

ნანა ასლამაზიშვილი

**მაკროეკონომიკური
სტატისტიკა**

სახელმძღვანელო

თბილისი 2021

ნანა ასლამაზიშვილი. (2021). მაკროეკონომიკური სტატისტიკა. სახელმძღვანელო. - თბილისი. -408 გვ.

სახელმძღვანელო წარმოადგენს მაკროეკონომიკური სტატისტიკის სფეროში უახლესი მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხებისა და საერთაშორისო სტანდარტების ადაპტაციას სასწავლო პროცესში გამოსაყენებლად. შესაბამისად, იგი ეფუძნება საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ შემუშავებულ და გამოქვეყნებულ მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოებსა და პრაქტიკულ მითითებებს, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და ავტორის პირად მიდგომებს, ხედვებსა და მრავალწლიან თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებას აღნიშნულ სფეროში. სახელმძღვანელო განკუთვნილია არა მარტო სტუდენტებისათვის, არამედ აგრეთვე მაკროეკონომიკის საკითხებით დაინტერესებული ნებისმიერი მომხმარებლისათვის.

შინაარსი

შესავალი	5
თავი 1. მაკროეკონომიკური სტატისტიკის არსი და შესწავლის ობიექტი: კურსის შესავალი	6
ინდივიდუალური სამუშაო.....	13
თავი 2. მაკროეკონომიკური სტატისტიკის მეთოდოლოგიური საფუძვლები	14
2.1. მთავარი მაკროეკონომიკური იგივეობები და სტატისტიკის ამოცანები	15
2.2. მაკროეკონომიკური სტატისტიკის წარმოების ფუნდამენტური პრინციპები	22
2.2.1. ეკონომიკური ერთეულები	23
2.2.2. რეზიდენტობის კონცეფცია.....	25
2.2.3. ინსტიტუციური სექტორები.....	34
2.2.4. ეკონომიკური ნაკადები და ნაშთების მდგომარეობა	49
2.2.5. ფინანსური ინსტრუმენტები	56
2.2.6. აღრიცხვიანობის პრინციპები.....	63
2.2.7. წარმოების საზღვრები	70
ინდივიდუალური სამუშაო.....	75
ტესტები ცოდნის განმტკიცებისთვის.....	76
თავი 3. მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემები.....	89
3.1. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა	89
3.1.1. წარმოშობის წინაისტორია.....	89
3.1.2. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის არსი და შესწავლის არეალი	96
3.1.3. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სტრუქტურა	97
3.1.4. ეროვნული ანგარიშების აგრეგატები და გაანგარიშების მეთოდები	122
3.1.5. საერთაშორისო შედარებები	129
ინდივიდუალური სამუშაო.....	141
ტესტები ცოდნის განმტკიცებისთვის.....	142
3.2. საგადასახდელო ბალანსი და საგარეო სექტორის სხვა ანგარიშები.....	152
3.2.1. საგარეო სექტორის ანგარიშები და მათი მნიშვნელობა.....	153
3.2.2. საგადასახდელო ბალანსის არსი და სტრუქტურა.....	159
3.2.3. საგადასახდელო ბალანსის ძირითადი იგივეობები	174
3.2.4. საგადასახდელო ბალანსის წარმოდგენის ფორმები და შესაბამისი იგივეობები	178
3.2.5. საგადასახდელო ბალანსის ანალიზის ძირითადი აქცენტები	189
3.2.6. საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა	199
3.2.7. საგარეო ვალის სტატისტიკა.....	212
ინდივიდუალური სამუშაო.....	223
ტესტები ცოდნის განმტკიცებისთვის	224
3.3. მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა	247
3.3.1. რას შეისწავლის მონეტარული სტატისტიკა?	248
3.3.2. მონეტარული ანგარიშები და მონეტარული სტატისტიკის ძირითადი იგივეობები.....	250
3.3.2. რას შეისწავლის ფინანსური სტატისტიკა?.....	265
ინდივიდუალური სამუშაო.....	284
ტესტები ცოდნის განმტკიცებისთვის	285
3.4. სამთავრობო ფინანსების სტატისტიკა.....	303

3.4.1. სამთავრობო ფინანსების არსი და ამოცანები	304
3.4.2. სამთავრობო ფინანსების წარმოების ჩარჩოები	306
3.4.3. მთავრობის ოპერაციების ანგარიში.....	315
3.4.4. ნაღდი ფულის წყაროებისა და გამოყენების ანგარიში	320
3.4.5. სხვა ეკონომიკური ნაკადების ანგარიში.....	322
3.4.6. საბალანსო ანგარიში	323
3.4.7. აქტივების წმინდა ღირებულება	326
3.4.8. ბიუჯეტის დაფინანსება	330
ინდივიდუალური სამუშაო.....	331
ტესტები ცოდნის განმტკიცებისთვის	332
თავი 4. ურთიერთკავშირები მაკროეკონომიკურ სტატისტიკურ სისტემებს შორის.....	338
4.1. სამთავრობო სექტორის მაკროეკონომიკური გავლენა რეალურ სექტორზე	344
4.2. საგადასახდლო ბალანსი აბსორბციისა და დაზოგვა-ინვესტიციების ბალანსის კონტექსტში	346
4.3. სამთავრობო სექტორის ანგარიშების გავლენა საგარეო სექტორზე	351
4.4. საგარეო და მონეტარული სექტორების ურთიერთქმედება	352
4.5. სამთავრობო სექტორის გავლენა მონეტარულ სექტორზე საგარეო სექტორზე	353
4.6. მონეტარული სექტორის გავლენა რეალურ სექტორზე	356
4.7. რეზიდენტი ინსტიტუციური სექტორები და საგარეო სექტორი	359
ინდივიდუალური სამუშაო.....	361
ტესტები ცოდნის განმტკიცებისთვის	362
თავი 5. მონაცემთა გავრცელების საერთაშორისო სტანდარტები	369
5.1. წინაპირობები.....	369
5.2. მონაცემთა გავრცელების სტანდარტების შემოღება	370
5.3. მეტაინფორმაციული სისტემა და მისი დანიშნულება.....	373
5.4. მონაცემთა გავრცელების სტანდარტები და მათი მახასიათებლები	376
5.5. საქართველოს მონაწილეობა მონაცემთა გავრცელების საერთაშორისო სტანდარტებში.....	384
5.6. რა უპირატესობა აქვს მონაცემთა გავრცელების სტანდარტებში მონაწილეობას?	385
5.7. საერთაშორისო სტატისტიკური გამოცემებისა და წყაროების მიმოხილვა	388
ინდივიდუალური სამუშაო.....	396
ტესტები ცოდნის განმტკიცებისთვის	397
გამოყენებული ლიტერატურა:.....	405

შესავალი

“თუ არ შემიძლია წარმოვიდგინო, ნიშნავს, რომ არ შემიძლია გავიგო“. ეს სიტყვები ალბერტ აინშტაინს ეკუთვნის. და მართლაც გენიალურია ეს, ერთი შეხედვით, აზრის მარტივი ფორმულირება. მეტიც: ეს აქსიომაა.

თუ სტატისტიკის, როგორც მეცნიერების, როგორც ადამიანთა საქმიანობის სფეროს, როგორც ინფორმაციის შესახებ აზრის ისტორიას გადავხედავთ, არაერთ არაერთგვაროვან და ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებას გადავეყრებით. მაგალითად, „რიცხვები არ იტყუებიან, მაგრამ რიცხვებს მატყუარები ქმნიან“, ამბობდა მარკ ტვენი (1835-1910), რომელიც სტატისტიკისა და სტატისტიკოსებისადმი განსაკუთრებული სკეპტიციზმით გამოირჩეოდა. ამ დარგის მიმართ დიდი შემწყნარებლობით არც სხვები გამოირჩეოდნენ, მაგალითად კატო ლომბი¹, რომელიც ამბობდა, რომ „რამდენჯერაც კი სტატისტიკურ ანგარიშებს ვკითხულობ, ყოველ ჯერზე ვცდილობ წარმოვიდგინო ჩემი საცოდავი თანამედროვე, საშუალო ადამიანი, რომელსაც ამ ანგარიშების მიხედვით, 0.66 ბავშვი ჰყავს, 0.032 ავტომობილი და 0.046 ტელევიზორი აქვს“. თუმცა, იყო ინგლისელი მწერალი ჰერბერტ უელსიც (1866-1946), რომელიც ამბობდა, რომ „სტატისტიკური აზროვნება, ერთ მშვენიერ დღეს, ისევე აუცილებელი იქნება ღირსეულ მოქალაქეთათვის, როგორც წერა-კითხვის ცოდნა“. რაც ღრო გადის, მით მეტად ვრწმუნდები, რომ ამ უკანასკნელ მოსაზრებას თანამედროვე საზოგადოების სულ უფრო მეტი წევრი იზიარებს. და მართლაც, ამისათვის ხომ ძალიან ბევრი არგუმენტი არსებობს.

როდესაც გვსურს დავადგინოთ ამა თუ იმ ქვეყნის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა - მივმართავთ რუკას. თუ გვინტერესებს რა ადგილს იკავებს ესა თუ ის ქვეყანა მსოფლიო ეკონომიკაში - მივმართავთ სტატისტიკას. და რადგანაც ამ საქმისათვის კაცობრიობას სხვა ხერხი ჯერ არ გამოუგონია, სტენფორდის უნივერსიტეტის სტატისტიკის პროფესორმა ბრედ ეფრონმა, ჯერ კიდევ არსებული სკეპტიკოსების გასაგონად, შემდეგი აზრი გააჟღერა: „ვინც იგნორირებას უკეთებს სტატისტიკას, განწირულია მის ხელახლა გამოგონებისათვის“.

რა ხერხები არსებობს, რომ წარმოვიდგინოთ ჩვენი შესწავლის საგანი - მაკროეკონომიკა? საგნობრივად და არა აბსტრაქტულად, მიზეზ-შედეგობრივ პრიზმაში და არა განყენებულად, დინამიკაში და არა სტატიკურად - ეს იმისათვის, რომ გავიგოთ იგი, თუ ისევ ალბერტ აინშტაინს დავესესხებით.

ღიას, უნდა წარმოვიდგინოთ მაკროეკონომიკა, რომ ჩაწვდეთ მის არსს. მის წარმოდგენაში კი მაკროეკონომიკური სტატისტიკა დაგეხმარებათ.

ავტორი

¹ უნგრელი მთარგმნელი და მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი სინქრონული თარჯიმანი (1909-2003).

თავი 1. მაკროეკონომიკური სტატისტიკის არსი და შესწავლის ობიექტი: კურსის შესავალი

რას წარმოადგენს მაკროეკონომიკა?

ეს იმდენად რთული და მრავალგანზომილებიანი ეკონომიკური კატეგორიაა, რომ მისი ერთმნიშვნელოვანი განმარტება ეკონომიკურ ლიტერატურაში არც მოიძებნება.

მაკროეკონომიკა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ ქცევათა ერთობლიობაა, რომლებიც მიმართულია მოთხოვნა-მიწოდებას შორის წონასწორობის მიღწევისაკენ და ამ პროცესებით განპირობებული ისეთი ეკონომიკური ფენომენების მართვისაკენ, როგორებიცაა ბიზნეს-ციკლი, დასაქმება, ფასები ა.შ. იგი ძალიან რთული სისტემაა, რომლის ფუნქციონირებაზე და განვითარებაზე ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას. ამ ყველაფერს ერთად და ცალ-ცალკე არაერთი მეცნიერება შეისწავლის. თუმცა, შეუძლებელია ეს მათ შეძლონ ისეთი მეცნიერების და ამავე დროს ინსტრუმენტის გარეშე, როგორც სტატისტიკაა. სტატისტიკა საზოგადოებაში მიმდინარე ეკონომიკური და სოციალური მოვლენების რაოდენობრივი ასპექტების შემსწავლელი მეცნიერებაა. რამდენადაც აღნიშნული მოვლენები მრავალგვარია სტატისტიკაც სპეციალიზებულია ასეთი მოვლენების თავისებურებების შესაბამისად. თუმცა, ესა თუ ის ეკონომიკა, როგორც მთლიანობა, როგორც მასში მონაწილე არაერთგვაროვან ეკონომიკურ ერთეულებს შორის მუდმივად მიმდინარე მრავალფეროვანი და ურთიერთდაკავშირებული ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ერთობლიობა, კომპლექსურ სტატისტიკურ შესწავლას საჭიროებს. სწორედ ამ საქმეს ემსახურება მაკროეკონომიკური სტატისტიკა.

მაკროეკონომიკური სტატისტიკა ეხმარება მომხმარებლებს, მთავრობას, ინვესტორებს და ბაზრის სხვა მონაწილეებს, ობიექტური და მიუკერძოებელი ინფორმაციის საფუძველზე, მიიღონ უკეთესი გადაწყვეტილებები თავიანთი საქმიანობის წარმართვისა და მომავალი განვითარებისათვის.

მომხმარებელს სჭირდება სტატისტიკა, რათა ჩამოყალიბდეს სად და როდის შეიძინოს მისთვის საჭირო საქონელი ხელსაყრელ ფასად, საიდან ისესხოს ფული, სად გადაცვალოს ვალუტა, სად დაისვენოს და სად მიიღოს უკეთესი მომსახურება. მეტიც: მომხმარებელს სჭირდება სტატისტიკა, რათა შეაფასოს მთავრობის საქმიანობა და გააკეთოს დასაბუთებული არჩევანი თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებისას არჩევნებზე.

ბიზნესი იყენებს სტატისტიკას, რათა მიიღოს გადაწყვეტილება რა აწარმოოს, რამდენი, სად გაყიდოს თავისი პროდუქცია, რამდენად გააფართოვოს წარმოება ინვესტიციების გზით და ა.შ.

ინვესტორები სწავლობენ ინვესტიციების უფექტიანად განხორციელებისათვის საჭირო სფეროებს, მათ დარგობრივ და გეოგრაფიულ განაწილებას და სხვ.

მთავრობამ სტატისტიკის ბაზაზე უნდა განსაზღვროს რა სფეროებიდან მიიღოს გადასახადი და სად დახარჯოს, საიდან მოიზიდოს საჭირო რესურსები და ა.შ.

საერთაშორისო ორგანიზაციებს სჭირდებათ სტატისტიკა არა მარტო გლობალური პროცესების შეფასებისა და პროგნოზირებისთვის, არამედ ცალკეული ქვეყნების მიმართ დახმარების სახეებისა და მასშტაბების განსაზღვრისთვის და მრავალი სხვა გადაწყვეტილების მისაღებად.

აკადემიური წრეების წარმატება კვლევით საქმიანობაში წარმოუდგენელია სტატისტიკის გარეშე. მათ უნდა შეისწავლონ საზოგადოების არა მარტო აწმყო სხვადასხვა რაკურსით, არამედ განსაზღვრონ მომავალი პერსპექტივები, რასაც დაეფუძნება მთავრობის, და არა მარტო მისი, პოლიტიკა.

ვინ არიან ის მოთამაშეები, რომელთა ერთობლიობა და მათ შორის განხორციელებული ეკონომიკური ოპერაციები აყალიბებს მაკროეკონომიკურ მთლიანობას, სხვადასხვა მასშტაბის ეკონომიკას, როგორც ასეთს?

ეს მოთამაშეები, ანუ მსგავსი ეკონომიკური ფუნქციების მქონე ეკონომიკური ერთეულების ერთობლიობები, შემდეგია:

-) არაფინანსური კორპორაციები, ანუ სამეწარმეო სექტორი;
-) მთავრობა;
-) ფინანსური კორპორაციები;
-) შინამეურნეობები;
-) შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი, და
-) „დანარჩენი სამყარო“ ანუ საგარეო სექტორი.

არაფინანსური კორპორაციები ფლობენ მიწას, კაპიტალსა და სამუშაო ძალას, რათა აწარმოონ საქონელი და მომსახურება ბაზარზე გასაყიდად. ამდენად, მათ უწევთ გადაწყვეტილებების მიღება, თუ რა და რამდენი აწარმოონ და რამდენი და რა სახის ინვესტიციები განხორციელონ, რათა მიიღონ მაქსიმალური მოგება.

მთავრობა აგროვებს გადასახადებს და საზოგადოებას სთავაზობს საჯარო მომსახურებას, როგორებიცაა განათლება, ჯანდაცვა, ინფრასტრუქტურა, თავდაცვა და სხვა.

ფინანსური კორპორაციები ფინანსურ შუამავლობას ახორციელებენ უკლებლივ ყველა ეკონომიკური ერთეულისათვის და, შესაბამისად, ისინი იღებენ გადაწყვეტილებებს თუ რა სახის ფინანსური მომსახურება შესთავაზონ მომხმარებელს.


შინამეურნეობები, როგორც მწარმოებლები, ფლობენ საწარმოო ფაქტორებს - მიწას, კაპიტალსა და სამუშაო ძალას, რომელსაც იყენებენ წარმოების პროცესში. თუმცა, ამავე დროს ისინი გვევლინებიან როგორც მომხმარებლები, რომლებიც საქონელსა და მომსახურებას იძენენ ბაზარზე. ამდენად, მათ უწევთ გადაწყვეტილებების მიღება, თუ რამდენი მოიხმარონ და რამდენი დაზოგონ.

შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციები, მიუხედავად იმისა, რომ არ არიან ორიენტირებული მოგებაზე, ასევე არიან ბაზრის მონაწილეები, რადგანაც ეწევიან მომსახურებას შინამეურნეობებისათვის და ამდენად, მონაწილეობას იღებენ მთლიანი შიდა პროდუქტის შექმნაში.

და ბოლოს, „დანარჩენი სამყარო“, როგორც არარეზიდენტების ერთობლიობა, რომლებიც ჩართულნი არიან ეკონომიკურ ოპერაციებში მოცემული ქვეყნის რეზიდენტებთან. საგარეო სექტორი აწარმოებს საქონელსა და მომსახურებას, რომლის ნაწილსაც აწვდის მოცემულ ქვეყანას, ახორციელებს ინვესტიციებს და პირიქით - ამასვე აკეთებს მოცემული ქვეყანა საზღვარგარეთთან მიმართებაში.

ამდენად, ბაზრის მოთამაშეები, ანუ ეკონომიკური აგენტები (ერთეულები), მუდმივ მოქმედებაში არიან და ურთიერთქმედებენ ერთმანეთზე (იხ.სქემა 1.1), უზრუნველყოფენ რა ეკონომიკური წრებრუნვის მუდმივ და განახლებად პროცესებს. ეს პროცესები მუდმივ დაკვირვებასა და შესწავლას მოითხოვს. უფრო მეტიც: იმ გადაწყვეტილებების მისაღებად, რასაც ახორციელებენ ზემოთ ჩამოთვლილი სექტორები და ბაზრის მოთამაშეები, მათ სჭირდებათ სრულყოფილი სტატისტიკური ინფორმაცია, რათა მათი მოქმედებები იყოს გონივრული და დასაბუთებული. სწორედ ამ საქმეს ემსახურება მაკროეკონომიკური სტატისტიკა.

სქემა 1.1. ეკონომიკური წრებრუნვა



თუმცა, ეკონომიკის მრავალფეროვნება სტატისტიკისაგან მოითხოვს ზედმიწევნით კომპლექსურ და ამავე დროს დეტალურ მაკროეკონომიკურ სურათს, რომელიც სწორი ეკონომიკური თუ სხვა გადაწყვეტილებების გარანტია იქნება. ამის მიღწევის ყველაზე ეფექტიანი და სრულყოფილი გზაა სტატისტიკის როგორც დარგის სპეციალიზაცია ბაზრის ძირითადი მოთამაშეების თავისებურებების შესაბამისად და გათვალისწინებით.

სწორედ ამ მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციების სტატისტიკური სამსახურების ძალისხმევით შემუშავებულია ოთხი მაკროეკონომიკური სტატისტიკა სისტემა, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან მაკროეკონომიკური სტატისტიკის წარმოების ყოვლისმომცველ მეთოდოლოგიურ საფუძველს. ეს მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემებია:


-) ეროვნულ ანგარიშთა სისტემა;
-) საგარეო სექტორის სტატისტიკა (საგადასახდლო ბალანსის, საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის, საერთაშორისო რეზერვებისა და საგარეო ვალის სტატისტიკა);
-) მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა;
-) სამთავრობო ფინანსების სტატისტიკა.

თუმცა, ამ სისტემების არსებობა არ ნიშნავს იმას, რომ სტატისტიკის, როგორც მეცნიერების განვითარება მხოლოდ ამ ოთხი მიმართულებითაა შემოსაზღვრული. საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ჩნდება ახალი ეკონომიკური გამოწვევები, რომლებიც ასევე მოითხოვენ სტატისტიკურ შესწავლასა და ანალიზს.

ასეთი გამოწვევების თვალსაჩინო მაგალითია გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოდან გახშირებულ ფინანსური, საბანკო და სავალუტო კრიზისები და მათთან დაკავშირებული ეკონომიკური რყევები, რომელთა მსგავსი მოვლენების თავიდან აცილება დაკავშირებულ პროცესებზე სისტემატურ დაკვირვებასა და ადრეულ სტადიაზე გამოვლენის აუცილებლობას წარმოშობს. სტატისტიკის სპეციალისტთა პასუხი ამ რეალობაზე იყო ის, რომ ჩაისახა და განვითარდა სტატისტიკის ახალი მიმართულება ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორების სტატისტიკის სახით, რაც არსებულ მაკროეკონომიკურ სტატისტიკურ სისტემებთან ერთად უფრო ღრმად და არსებითად სწავლობს ფინანსური სექტორისა და მისი კლიენტი სექტორების (არაფინანსური კორპორაციები, შინამეურნეობები, ფინანსური და კაპიტალის ბაზრები) ფინანსურ სიჯანსაღეს.

ქვემოთ წარმოდგენილი სქემა 1.2 თვალსაჩინოდ აღწერს მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემების შესწავლის სფეროებს როგორც ეროვნული ეკონომიკის მასშტაბით, ისე საზღვარგარეთთან მიმართებაში.

სქემა 1.2. მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემები და მათი კვლევების არეალი



ამდენად, მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემების შესწავლის სფეროებია:

1. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა: ეროვნული ეკონომიკა სრულად, რეალური ოპერაციების ნაწილში;
2. საგადასახდლო ბალანსი და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა - საგარეო სექტორი, ანუ ეროვნული ეკონომიკის საგარეო ეკონომიკური ოპერაციები არარეზიდენტებთან და საგარეო აქტივებისა და ვალდებულებების მდგომარეობა;
3. მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა:
 - მონეტარული სტატისტიკა: ეროვნული ეკონომიკის ფინანსური სექტორის ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთები და ნაკადები;
 - ფინანსური სტატისტიკა: ეროვნული ეკონომიკის ყველა სექტორის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთები და ნაკადები, ანუ მთელი ეკონომიკის მასშტაბით განხორციელებული ფინანსური ოპერაციები, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთები;
4. სამთავრობო ფინანსების სტატისტიკა: სამთავრობო (საჯარო) სექტორის ფინანსები, მისი შემოსავლები და ხარჯები.

ამასთან მნიშვნელოვანია აქვე აღინიშნოს, რომ აღნიშნული მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემების მაჩვენებლებს შორის არსებობს მკაფიო კავშირები, რაც არსებითი ფაქტორია მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობების დასადგენად და შესასწავლად.

ქვემოთ თანმიმდევრულად და დეტალურად იქნება განხილული თითოეული ზემოთ აღნიშნული მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემის არსი, მოქმედების არეალი, დანიშნულება, მაჩვენებელთა სისტემა, გამოყენების სფეროები და ერთმანეთთან კავშირურთიერთობები.

შესაბამისად, წინამდებარე სახელმძღვანელოს სტრუქტურა იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ სტუდენტმა შეძლოს თანმიმდევრულად და ნაბიჯ-ნაბიჯ გაიაზროს, თუ რის შესწავლაზეა ფოკუსირებული მაკროეკონომიკური სტატისტიკა და რა მეთოდოლოგიით, პრინციპებითა და მიდგომებით ახერხებს იგი ამ ამოცანის შესრულებას. შემდეგ ეტაპზე სახელმძღვანელო სტუდენტს სთავაზობს მაკროეკონომიკის - ამ ურთულესი ფენომენის სხვადასხვა მხარის დრმა და ყოვლისმომცველი რაოდენობრივი შესწავლის სტატისტიკური ინსტრუმენტების კასკადს, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა კუთხით სწავლობენ შესასწავლ ობიექტს, იმდენად არიან ერთმანეთთან ჰარმონიზებული მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, რომ უფრო თვალსაჩინოს ხდიან ეკონომიკის, როგორც მთლიანი

ორგანიზმის თავისებურებებს და ამით აადვილებენ მოვლენათა შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენასა და გაგებას.

ამდენად, ოთხი მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემის კვლევის მეთოდებისა და ხერხების თანმიმდევრულად დაუფლება სტუდენტს საშუალებას აძლევს საფუძვლიანად გაერკვეს მაკროეკონომიკური ცნებებისა და კატეგორიების ეკონომიკურ შინაარსში და ამით მიაღწიოს მათი სწორი ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ეს არის საკვანძო მომენტი მაკროეკონომიკური სტატისტიკის ამოცანის მიღწევისათვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცალკეული მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემა ერთი მთლიანის - მაკროეკონომიკური სტატისტიკის ორგანული ნაწილია. ამიტომ სახელმძღვანელოში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ურთიერთკავშირების შესწავლას მათ შორის, რაც მაკროეკონომიკური ანალიზის ფუნდამენტური ინსტრუმენტია.

როდესაც მაკროეკონომიკურ ანალიზზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია შესაბამის სტატისტიკურ მონაცემებზე ხელმისაწვდომობა. სახელმძღვანელოში სტუდენტებს აქვთ საშუალება გაეცნონ სტატისტიკური მონაცემების გავრცელების საერთაშორისო სტანდარტებს, მათ ფორმებსა და მეთოდებს, საერთაშორისოდ აღიარებულ რეკომენდაციებს მონაცემთა გავრცელების სფეროში. ეს მნიშვნელოვანი ინფორმაციაა სტატისტიკის მომხმარებლისათვის და მათი ცოდნა მაღალი სტატისტიკური წიგნიერების ერთ-ერთი მაჩვენებელია. გარდა ამისა, სახელმძღვანელოში საკმაოდ ადგილი აქვს დათმობილი მაკროეკონომიკის სფეროში უმთავრესი სტატისტიკური წყაროებისა და გამოცემების მიმოხილვას და სხვა პრაქტიკულ რჩევებს სტატისტიკურ ინფორმაციასთან დაკავშირებით.



1. მაკროეკონომიკური სტატისტიკის კვლევის ობიექტისა და ამოცანების გააზრების მიზნით, შეეცადეთ უპასუხოთ შეკითხვებს:

-) რატომ მაკროეკონომიკური სტატისტიკა?
-) საჭიროა თუ არა ოთხი მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემა ერთი მაკროეკონომიკური ფენომენის - მაკროეკონომიკის შესასწავლად? ხომ არ ართულებს ეს საქმეს?
-) რაში მდგომარეობს ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის სწორი ინტერპრეტაციის არსი? რას გულისხმობს სწორი ინტერპრეტაცია და რამდენად კრიტიკულია ამ უნარის გამომუშავება?
-) რა სარგებელი მოაქვს მაკროეკონომიკურ სტატისტიკას ბაზრის თითოეული მოთამაშისთვის ერთად და ცალ-ცალკე?
-) რამდენად საჭიროა მაკროეკონომიკური სტატისტიკის, როგორც სასწავლო დისციპლინის შეტანა სასწავლო პროგრამებში?
-) რა ვიცი დღემდე მაკროეკონომიკური სტატისტიკის შესახებ და როგორია ჩემი მოლოდინები ამ სასწავლო დისციპლინისადმი?

2. შეეცადეთ გაიხსენოთ და ჩამოთვალოთ ნებისმიერ პრაქტიკაში მაკროეკონომიკური სტატისტიკის გამოყენების სამი მაგალითი.

3. **თუ გვინტერესებს რა ადგილს იკავებს ესა თუ ის ქვეყანა მსოფლიო ეკონომიკაში - მივმართავთ სტატისტიკას.** განავითარეთ ეს აზრი; ჩამოაყალიბეთ მისი დადებითი და უარყოფითი/საწინააღმდეგო არგუმენტები; დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები.

თავი 2. მაკროეკონომიკური სტატისტიკის მეთოდოლოგიური საფუძვლები

*ეკონომიკური მეცნიერების ერთადერთი
მიზანია ეკონომიკური პოლიტიკის
სრულყოფის უზრუნველყოფა*

*იან ტინბერგენი
ნობელის პრემიის ლაურეატი
ნიდერლანდების ცენტრალური საგეგმო ბიუროს
პირველი ხელმძღვანელი*

ნობელის პრემიის ერთ-ერთ პირველ ლაურეატს ეკონომიკურ მეცნიერებათა სფეროში, ნიდერლანდების ცენტრალური საგეგმო ბიუროს პირველ ხელმძღვანელს, იან ტინბერგენს მიაწერენ გამოთქმას - “ეკონომიკური მეცნიერების ერთადერთი მიზანია ეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფის უზრუნველყოფა”. ეს სიტყვები, ეკონომიკურ მეცნიერებათა შორის, ყველაზე მეტად მაკროეკონომიკურ სტატისტიკას მიესადაგება, რადგანაც სწორედ მისი შესწავლის სფეროა ეკონომიკური პოლიტიკის ობიექტები, მათი და მათი საქმიანობის რაოდენობრივი კვლევა და შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის ინფორმაციული უზრუნველყოფა.

მაკროეკონომიკური სტატისტიკის კურსის დანიშნულებაა შეასწავლოს დაინტერესებულ აუდიტორიას ის პრინციპები, კონცეფციები, მეთოდები და ინსტრუმენტები, რაც უღევს საფუძვლად მაკრო დონეზე ეკონომიკური სტატისტიკის წარმოებას და რაც აუცილებელია ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების მაკროეკონომიკური თვალთახედვით შესწავლისა და მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების კომპლექსური ანალიზისათვის.

როგორც მისი შესწავლის საგანი - მაკროეკონომიკა არის უაღრესად რთული და კომპლექსური ფენომენი, ასევე კომპლექსური და მრავალმხრივია მაკროეკონომიკური სტატისტიკა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ მისი მეთოდოლოგია პასუხობდეს იმ მოთხოვნებსა და გამოწვევებს, რაც მის წინაშე მუდმივად არის მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე სწრაფად ცვალებადი და განვითარებადი პროცესებისა და ეროვნული ეკონომიკების მათში სრულფასოვანი ინტეგრაციისაკენ სწრაფვის პირობებში. აღნიშნულის ფონზე, შეუძლებელია მაკროეკონომიკური სტატისტიკის მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება და განვითარება ავტონომიურად, კონკრეტული ქვეყნების ფარგლებში. ამ საკითხზე შეთანხმება მიღწეულ იქნა ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში, საერთაშორისო სტატისტიკური კონგრესების ფარგლებში.

სტატისტიკის წარმოების საერთაშორისო სტანდარტების შემუშავების მასშტაბურ საქმიანობას საფუძველი ჩაეყარა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) სტატისტიკური კომისიის შექმნით, რომელიც დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს.

ეკონომიკის მაკროეკონომიკური ასპექტების კვლევა დიდი ხნის წინ დაიწყო. ჯერ კიდევ ადამ სმიტი, თავის ნაშრომებში, ეკონომიკის მდგომარეობისა და სტაბილურობის ინდიკატორებზე ამახვილებდა ყურადღებას და ეროვნული სიმდიდრე მიაჩნდა, ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთ ძირითად განმარტებელ მაჩვენებლად. უფრო მოგვიანებით, ეკონომისტების (კეინსი, ფრიში, ტიმბერგენი) კვლევის ცენტრში აღმოჩნდა ეკონომიკური ნაკადები. საბოლოოდ, ეს ორი ეკონომიკური ფენომენი - ოპერაციები და ეკონომიკური ნაკადები, ერთი მხრივ, და ეკონომიკური აქტივების ნაშთები საბალანსო ანგარიშებში, მეორე მხრივ, წარმატებით დაუკავშირდა ერთმანეთს და ჩამოყალიბდა ინტეგრირებულ ეკონომიკურ ანგარიშებში ეროვნული ანგარიშების სახით. ეს იყო უდიდესი მიღწევა ეკონომიკური სტატისტიკის სფეროში, რომელიც საფუძვლად დაედო მაკროეკონომიკური სტატისტიკის საფუძვლების ჩამოყალიბებას.

2.1. მთავარი მაკროეკონომიკური იგივეობები და სტატისტიკის ამოცანები

*თუ არ შემიძლია წარმოვიდგინო,
ნიშნავს, რომ არ შემიძლია გავიგო*

ალბერტ აინშტაინი

მაკროეკონომიკის ქვაკუთხედია რეალური სექტორი. იგი წარმოადგენს რეალური ეკონომიკური ოპერაციების ერთობლიობას, რომლებიც ხორციელდება ეკონომიკაში და რომელთა საბოლოო შედეგი რეალიზდება მთლიან შიდა პროდუქტში. რეალური სექტორში მიმდინარე ეკონომიკური აქტივობა განსაზღვრავს, თუ რამდენი უნდა მოიხმარონ შინამეურნეობებმა, რა მოცულობის ინვესტიციები უნდა განახორციელონ საწარმოებმა, რა რაოდენობის საქონლისა და მომსახურების წარმოება შეუძლია მთავრობას მიღებული გადასახადების შედეგად, რამდენი საქონლისა და მომსახურების ექსპორტირება შეუძლია ქვეყანას და რამდენის იმპორტირება სჭირდება თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად; რეალური სექტორის მდგომარეობა განსაზღვრავს, თუ როგორი ფასები ჩამოყალიბდება ბაზარზე და ა.შ.

რეალური სექტორის მდგომარეობა განსაზღვრავს მთავრობის შემოსავლებსაც. რაც უფრო კარგად ვითარდება რეალური სექტორი, მით მეტი შემოსავლები აქვთ ადამიანებსა და საწარმოებს, ე.ი. გადასახადის გადამხდელებს. აქედან გამომდინარე, მეტი ფინანსები გააჩნია მთავრობას საჯარო საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და შეთავაზებისათვის.

რეალური სექტორის მდგომარეობაზე ბევრადაა დამოკიდებული მონეტარული სექტორი. კერძოდ, იგი განსაზღვრავს ფულზე მოთხოვნისა და მიწოდების სიდიდეს. და პირიქით: ფულის მიწოდების სიდიდე განსაზღვრავს რეალური სექტორის განვითარების დონეს.

რა არის მოთხოვნა?

მოთხოვნა წარმოსდგება მომხმარებლისაგან, რაც დაკავშირებულია პირად და მთავრობის მოხმარებასთან, ინვესტირებასა და დაგროვებასთან, ასევე ექსპორტთან. უფრო ზუსტად:

მოთხოვნა = შუალედური მოხმარება + საბოლოო მოხმარება + + კაპიტალის მთლიანი ფორმირება + ექსპორტი	(1)
--	-----

მოთხოვნა თავისი ბუნებით განსაზღვრავს მიწოდებას და მათ შორის დგინდება ტოლობა:

მოთხოვნა = მიწოდება	(2)
----------------------------	-----

თუმცა, იმისათვის, რომ ეს ტოლობა შედგეს, საჭიროა ფული. ინდივიდუალურ მოთხოვნათა ჯამი განსაზღვრავს, თუ რამდენი ფულია საჭირო ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი პროდუქციის წარმოებისათვის, ან/და იმპორტისათვის, თუ საკუთარი წარმოება ამისათვის საკმარისი არ არის.

რას წარმოადგენს მიწოდება?

ეს არის მთლიანი გამოშვებისა და იმპორტის ჯამი.

შესაბამისად, აღნიშნული და ზემოთ მოტანილი (1) და (2) ტოლობები საშუალებას გვაძლევს მოთხოვნა-მიწოდებას შორის დამოკიდებულება შემდეგნაირად ჩამოვყალიბოთ:

გამოშვება + იმპორტი = შუალედური მოხმარება + საბოლოო მოხმარება + კაპიტალის მთლიანი ფორმირება + ექსპორტი	(3)
---	-----

საბოლოო მოხმარება გულისხმობს საბოლოო მომხმარებლისათვის მიწოდებულ საქონელსა და მომსახურებას, მაშინ, როცა შუალედური მოხმარება მოიცავს წარმოების პროცესში მოხმარებულ საქონელსა და მომსახურებას. რადგანაც ეს უკანასკნელი გამოშვების პროცესს უკავშირდება, თუ გადავადგილებთ (3) ტოლობის კომპონენტებს მივიღებთ ახლად შექმნილ, ანუ მთლიან დამატებულ ღირებულებას, როგორც გამოშვებასა და შუალედურ მოხმარებას შორის სხვაობას. ანუ, თუ ერთი მხრივ:

$$\text{გამოშვება} - \text{შუალედური მოხმარება} = \text{საბოლოო მოხმარება} + \text{კაპიტალის მთლიანი ფორმირება} + \text{ექსპორტი} - \text{იმპორტი} \quad (4)$$

სხვანაირად:

$$\text{მთლიანი დამატებული ღირებულება} = \text{საბოლოო მოხმარება} + \text{კაპიტალის მთლიანი ფორმირება} + \text{ექსპორტი} - \text{იმპორტი} \quad (5)$$

თუმცა, (5) ტოლობის მარჯვენა მხარე ასახავს მომხმარებლის, ანუ მყიდველის ხარჯებს და, აქედან გამომდინარე, იგი მოიცავს გადასახადებს და სუბსიდიებს საქონელსა და მომსახურებაზე. როცა პროდუქტებზე გადასახადები იზრდება, სუბსიდიები ამცირებს მომხმარებლის მიერ გადასახდელ ფასს. მეორე მხრივ, მწარმოებლის მხრიდან შეფასებულ გამოშვებაში არ მონაწილეობს გადასახადები, ხოლო სუბსიდიები მასში ჩართულია. ამდენად, თუ აღნიშნულს გავითვალისწინებთ, (5) ტოლობა, როგორც „მიწოდება-გამოყენების“ ამსახველი დამოკიდებულება, მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\text{გამოშვება} + \text{გადასახადები} - \text{სუბსიდიები} - \text{შუალედური მოხმარება} = \text{საბოლოო მოხმარება} + \text{კაპიტალის მთლიანი ფორმირება} + \text{ექსპორტი} - \text{იმპორტი} \quad (6)$$

ამდენად, (6) იგივეობის მარცხენა მხარე ასახავს ახლად შექმნილ პროდუქტს, ანუ **მთლიან შიდა პროდუქტს**, რომელიც ტოლია საბოლოო მოხმარებისა და ინვესტიციების ჯამს დამატებული წმინდა ექსპორტი. ამ იგივეობას ზოგიერთი ეკონომისტი „მაგიურ იგივეობასაც“ უწოდებს, რადგანაც მასში არაერთი მაკროეკონომიკური თავსატეხის გასაღებია.


ამდენად, თუ (6) ტოლობას სიმბოლოებით გამოვსახავთ, რაც შემდგომში ბევრჯერ გამოგვადგება, მივიღებთ მაკროეკონომიკაში ძალიან ცნობილ იგივეობას:

$$GDP = C + I + X - M \quad (7)$$

სადაც C არის საბოლოო მოხმარება, I - ინვესტიციები, X - ექსპორტი და M - იმპორტი.

თუ ზემოაღნიშნულს სქემატურად გამოვსახავთ, შემდეგ სურათს მივიღებთ:

სქემა 2.1.1. მოთხოვნა-მიწოდების დამოკიდებულების სქემა



მთლიანი შიდა პროდუქტი მოცემული ეროვნული ეკონომიკის რეზიდენტების საწარმოო საქმიანობის შედეგია (ამ საკითხს ჩვენ მომავალში დავუბრუნდებით და უფრო დეტალურად განვიხილავთ). თუმცა, მოცემული ქვეყანა, ჩართულია რა ეკონომიკურ ოპერაციებში არარეზიდენტებთან, მათგან იღებს (ან მათ გადასცემს) გარკვეულ შემოსავლებს, აგრეთვე ტრანსფერებს. შესაბამისად, ეს ორი კომპონენტი მოქმედებს მოცემული ეროვნული ეკონომიკის შემოსავლებზე. თუ აღნიშნულს გავითვალისწინებთ და გარკვეულად გარდავქმნით (7) იგივეობას, მივიღებთ კიდევ ორ ძალიან მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ ტოლობას.

დავუმატოთ ზემოთ მოცემული მე-7 იგივეობის ორივე მხარეს უცხოეთიდან მიღებული წმინდა შემოსავლები (შემოსავლებს მინუს გადახდები) – *PIB*:

$$GDP + PIB = C + I + X - M + PIB \quad (8)$$

გამომდინარე იქიდან, რომ განმარტების თანახმად, მშპ-ს დამატებული წმინდა შემოსავლები უცხოეთიდან წარმოადგენს **მთლიან ეროვნულ შემოსავალს**, იგივეობა მიიღებს სახეს:

$$GNI = C + I + X - M + PIB$$

ანალოგიურად, ბოლო იგივეობის ორივე მხარეს დავუმატოთ უცხოეთიდან მიღებული წმინდა ტრანსფერები - *SIB*. შედეგად მივიღებთ მთლიან ეროვნულ განკარგად

შემოსავალს, ანუ იმ შემოსავალს, რომელიც გააჩნია ქვეყანას, რაც მან უნდა გამოიყენოს თავისი საჭიროებების შესაბამისად.

$$GNI + SIB = C + I + X - M + PIB + SIB, \quad (9)$$

ანუ

$$GNDI = C + I + X - M + PIB + SIB$$

განმარტების თანახმად, წმინდა ექსპორტს დამატებული წმინდა შემოსავლები უცხოეთიდან და დამატებული წმინდა ტრანსფერები უცხოეთიდან წარმოადგენს საგადასახდლო ბალანსის ერთ-ერთ მთავარ იგივეობას, ანუ მიმდინარე ანგარიშს. აქედან გამომდინარე:

$$GNDI = C + I + CAB \quad (10)$$

ასევე განმარტების თანახმად (ამ განმარტებებს ჩვენ მოგვიანებით განვიხილავთ ამ საკითხების დეტალური შესწავლისას), მთლიანი ეროვნულ განკარგვად შემოსავალსა და მოხმარებას შორის სხვაობა ($GNDI - C$) წარმოადგენს მთლიან დანაზოგს (S). თუ მე-10 იგივეობას მცირედით გარდავქმნით, კერძოდ მოხმარებასა და ინვესტიციებს ტოლობის მარცხენა მხარეს გადავიტანთ, მივიღებთ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მაკროეკონომიკურ იგივეობას, რაც მკაფიოდ უჩვენებს მოცემული ეროვნული ეკონომიკის კავშირს დანარჩენ სამყაროსთან:

$$S - I = CAB, \quad (11)$$

რაც იმას ნიშნავს, რომ ეროვნული ეკონომიკის დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის სხვაობა მიმდინარე ანგარიშის ტოლია.

ამდენად, ზემოაღნიშნული იგივეობები გვიჩვენებს, თუ როგორ გაიანგარიშება მთლიანი შიდა პროდუქტი, მთლიანი ეროვნული შემოსავალი და მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი და რა კავშირი აქვთ ამ მაჩვენებლებს საზღვარგარეთთან. თუმცა, საკითხს თუ პრაქტიკულად შევხვდავთ, ბუნებრივია გაჩნდება უამრავი კითხვა: როგორ გავიანგარიშოთ აღნიშნული იგივეობების კომპონენტები? საიდან და რა გზით მოვიპოვოთ საჭირო ინფორმაცია? როგორ მოვახდინოთ ინფორმაციის წყაროების კლასიფიცირება საჭირო ნიშნების მიხედვით? ღირებულებითი შეფასების რა პარამეტრებით ვიხელმძღვანელოთ ეკონომიკურ აქტივებზე ფასების მუდმივი ცვალებადობის პირობებში? როგორ მივაღწიოთ ჩვენს მიერ გაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტის საერთაშორისო შესადარისობას? ბაზრის მონაწილეებს, აკადემიურ და ბიზნეს-წრეებს, ინვესტორებს, დონორებს და სხვა მრავალ მომხმარებელს

სტატისტიკისაგან სჭირდება დასაბუთებული, გამჭვირვალე, ობიექტური პასუხი ამ და მრავალ სხვა კითხვაზე თავიანთი საქმიანობის წარმართვისათვის.

მთლიანი შიდა პროდუქტისა და მისი კომპონენტების, ასევე შემოსავლების ფორმირებისა და მისი გამოყენების, დაგროვებისა და სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშებას, ამ მაჩვენებლებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას და მათი ეკონომიკურ-სტატისტიკურ ანალიზისა და პროგნოზირების მიზნებისათვის გამოყენების ინფორმაციულ მხარდაჭერას ემსახურება მაკროეკონომიკურ სტატისტიკურ სისტემებს შორის უმთავრესი - ეროვნულ ანგარიშთა სისტემა.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა მრავალმხრივი დანიშნულების სისტემაა. პირველ რიგში, იგი ეკონომიკური სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგიური საფუძველია. სწორედ იგი ადგენს იმ ფუნდამენტურ კონცეფციებს, პრინციპებსა და მიდგომებს, რომლებსაც ეფუძნება დანარჩენი მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემების წარმოება.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, წარმოადგენს რა მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების სტატისტიკურ ინსტრუმენტს, ამავე დროს უზრუნველყოფს ამა თუ იმ ქვეყნის მაკროეკონომიკური სტატისტიკური მოდელის და, აქედან გამომდინარე, შესაბამისი ეროვნული ეკონომიკის სტატისტიკური შესწავლისა და მისი მომავალი განვითარების პროგნოზირების უნივერსალურ საშუალებას; საერთაშორისო დონეზე იგი გამოიყენება არაერთი გადაწყვეტილების მისაღებად და იმის შესაფასებლად, თუ რამდენად სერიოზულად უდგებიან ქვეყნები სტატისტიკის განვითარების საკითხებს, რამდენად აცნობიერებენ და აღიარებენ ისინი სტატისტიკის სფეროში საერთაშორისო დონეზე მიღებულ მეთოდოლოგიებს, სტანდარტებსა და კლასიფიკაციებს.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის საბოლოო შედეგები და განმაზოგადებელი მაჩვენებლები ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო შედარებებისათვის და აგრეთვე მთელი რიგი ისეთი მაჩვენებლების შეფარდებითი ღონეების განსაზღვრისათვის, როგორებიცაა ინვესტიციები, გადასახადები, სამთავრობო ხარჯები, ექსპორტი, იმპორტი, მიმდინარე ანგარიშის ბალანსი და სხვა მაჩვენებლები მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში.

მთლიანი შიდა პროდუქტის, ან მთლიანი ეროვნული შემოსავლის საერთო ღონე, ან ერთ მოსახლეზე მათი მოცულობა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოიყენება ამა თუ იმ ქვეყნისათვის გამოსაყოფი სესხის, დახმარებების ან სხვა ფონდების მოცულობის განსაზღვრისათვის. ამისათვის ეროვნულ ვალუტაში მოცემული მაჩვენებლები კონვერტირდება ზოგად ვალუტაში მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის გამოყენებით. გარდა ამისა, მთლიანი შიდა პროდუქტის, ან ერთ მოსახლეზე მისი ღონის

მიხედვით განისაზღვრება საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრი ქვეყნების მიერ საწევრო შენატანების მოცულობა.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა მართლაც უნიკალური მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემაა. იგი წარმოადგენს არა მარტო ყოვლისმომცველ მეთოდოლოგიურ საფუძველს ეკონომიკური სტატისტიკის წარმოებისათვის, არამედ მომხმარებელს აწვდის ასევე ყოვლისმომცველ ინფორმაციას ეკონომიკისა და მისი მთავარი მოთამაშეების საქმიანობის შედეგების შესახებ, აღწერს ეკონომიკურ ოპერაციებსა და პროცესებს, რომლებიც განაპირობებენ ამ ოპერაციებს, უზრუნველყოფს ცნებებისა და კატეგორიების შესაბამისობას მაკროეკონომიკურ სტატისტიკურ სისტემებს შორის. ამ მიზეზთა გამო ეროვნული ანგარიშების სისტემა განიხილავენ, როგორც უნივერსალურ, გამჭვირვალე, ჰარმონიზებულ და მოქნილ სტატისტიკურ სისტემას. კერძოდ:

-) მისი უნივერსალობა მდგომარეობს იმაში, რომ მისი გამოყენება ერთნაირი წარმატებით შეიძლება განსხვავებული ეკონომიკების შესაფასებლად;
-) გამჭვირვალობა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელოების, გზამკვლევების, პრაქტიკული მაგალითების ერთნაირად ხელმისაწვდომობით ყველა დაინტერესებული მხარისათვის;
-) ჰარმონიზებულობა გულისხმობს ცნებებისა და კატეგორიების ერთიანობას ყველა მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემისა (საგადასახდელო ბალანსი, მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა, სამთავრობო ფინანსების სტატისტიკა) და სტატისტიკის სფეროსათვის;
-) მოქნილობა მდგომარეობს იმაში, რომ ამა თუ იმ მოვლენისა თუ პროცესის ეროვნულ ანგარიშებში ასახვის მიზნით შესაძლებელია მას დაემატოს ე.წ. სატელიტური ანგარიშები (მაგალითად, გარემოსდაცვითი, ტურიზმის და ა.შ.), რაც არ ცვლის სისტემის ცენტრალურ სტრუქტურას.

ამრიგად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა ადგენს იმ ძირითად პრინციპებს, კონცეფციებს, ცნებებსა და კატეგორიებს, რომლებიც საერთოა თითოეული მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემისათვის და ემსახურება მათი მეთოდოლოგიის ჰარმონიზებას. ეს უკანასკნელი კი აუცილებელია ეკონომიკის, როგორც მთლიანობის გაგებისა და რაოდენობრივი შესწავლისათვის, იმისათვის, რათა მაკროეკონომიკური სტატისტიკური მაჩვენებლები მეთოდოლოგიურად და პრაქტიკულად სწორად იქნეს აღქმული და ინტერპრეტირებული. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ მაკროეკონომიკური სტატისტიკა საბოლოო ჯამში წარმოგვიდგება ინტეგრირებული ანგარიშების სახით, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული მაჩვენებელი, თითოეული ეკონომიკური ოპერაცია ახსნადია ძალიან მკაფიოდ და გასაგებად. მთავარი პირობა ამ უკანასკნელის მისაღწევად არის იმ ფუნდამენტური პრინციპების,

კლასიფიკაციებისა და კონცეფციების ცოდნა, რომლებსაც ეფუძნება მაკროეკონომიკური სტატისტიკა.

2.2. მაკროეკონომიკური სტატისტიკის წარმოების ფუნდამენტური პრინციპები

სანამ მაკროეკონომიკური სტატისტიკის ფუნდამენტურ პრინციპებში გარკვევას დავიწყებთ, მნიშვნელოვანია, პირველ რიგში გავარკვიოთ, თუ რას ეფუძნება ამ პრინციპების ჩამოყალიბება; რომელია ის საბაზისო მომენტები, რომლებზედაც საერთაშორისო შეთანხმება აუცილებელია, რათა მიღწეულ იქნას მაკროეკონომიკური სტატისტიკის ერთიანობა და შესაღარიანობა როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე.

პირველი: ვინ არიან მოთამაშეები მაკროეკონომიკურ გარემოში?

ესენი არიან ინსტიტუციური ერთეულები, რომლებიც ერთიანდებიან ინსტიტუციურ სექტორებში.

მეორე: რას აკეთებენ ისინი?

ჩართულნი არიან წარმოებაში, მოხმარებასა და დაგროვებაში.

მესამე: რა არის თითოეული მათგანის განსაზღვრელი?

ოპერაციები და სხვა ნაკადები, რომლების განსაზღვრავენ აქტივების მდგომარეობას/ნაშთებს.

მეოთხე: როგორ ხდება ამ ინფორმაციის წარმოდგენა/დემონსტრირება?

ეკონომიკური ანგარიშების ერთობლიობით.

ამდენად, მაკროეკონომიკური სტატისტიკა, საბოლოო ჯამში, ხელშესახებია და თვალსაჩინოა ეკონომიკური ანგარიშების სახით, თუმცა ამის მიღწევა შეიძლება ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილი კატეგორიის საფუძვლების განსაზღვრის, კლასიფიცირების, სისტემატიზაციის და გაანგარიშების შემდეგ.

2.2.1. ეკონომიკური ერთეულები

ამა თუ იმ ეროვნულ ეკონომიკას, ისევე როგორც მსოფლიო ეკონომიკას, ემნის ინსტიტუციური ერთეულების ერთობლიობა. ინსტიტუციური ერთეულები ეკონომიკის ყველაზე პატარა/საწყისი/ამოსავალი შემადგენელი ელემენტებია. სწორედ ეს ელემენტები წარმოადგენენ ინსტიტუციური სექტორების ფორმირების საფუძველს. მაგრამ როგორ განვასხვავოთ რომელი ეკონომიკური ერთეული მიეკუთვნება მოცემულ ეკონომიკას და რომელი დანარჩენ სამყაროს? ეკონომიკური ერთეულების მოცემულ ტერიტორიაზე ფიზიკური არსებობა შესაძლოა გვაძლევდეს მიახლოებით წარმოდგენას, თუ რომელ ეკონომიკას მიეკუთვნებიან ისინი, თუმცა ეს არ არის საკმარისი კრიტერიუმი ამ ამოცანის ადეკვატურად გადაწყვეტისათვის.

ინსტიტუციური ერთეულების სწორად კლასიფიცირება გადამწყვეტია მაკროეკონომიკური სტატისტიკის წარმოებისათვის. ეს გვეხმარება სწორად მოვახდინოთ ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკაცია და გავავლოთ ზღვარი მოცემულ ეკონომიკასა და დანარჩენ სამყაროს შორის. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ინსტიტუციური ერთეულების ადეკვატურად კლასიფიცირება მნიშვნელოვანწილად გამორიცხავს მონაცემთა დუბლირებას/გადაფარვას და ბუნდოვანებას ეკონომიკურ ანალიზში.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა განასხვავებს ინსტიტუციური ერთეულების ორ ძირითად ტიპს. ესენია:

-) იურიდიული და სოციალური ერთეულები, და
-) შინამეურნეობები.

იურიდიული და სოციალური ერთეულების დამოუკიდებლობა აღიარებულია კანონისა და საზოგადოების მიერ. ისინი პასუხისმგებელი არიან თავიანთ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ეს ერთეულები, თავის მხრივ, იყოფა კორპორაციებად, სამთავრობო ერთეულებად და არამომგებიან ინსტიტუციებად. ეს ინსტიტუციური ერთეულები ერთმანეთისაგან განსხვავდება მათი თავისებურებებისა და ეკონომიკური ამოცანების შესაბამისად.

კორპორაციების მიზანია საქონლისა და მომსახურების წარმოება ბაზარზე გასაყიდად და მათი მფლობელებისათვის ფინანსური სარგებლის მოტანა. ისინი კანონის მიერ აღიარებულია, როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური ერთეულები.

სამთავრობო ერთეულები განსაკუთრებული ინსტიტუციური ერთეულებია. მათი შექმნა უკავშირდება პოლიტიკურ მოსაზრებებს და სამართლებრივად გააჩნიათ აღმასრულებელი უფლება სხვა ინსტიტუტებზე. მათი ფუნქციაა საზოგადოებისათვის

არასაბაზრო საქონლის წარმოება და მომსახურების გაწევა და ამ საქმიანობის დაფინანსება გადასახადებისა და სხვა შემოსავლების გზით.

არამომგებიანი ინსტიტუციების დანიშნულებაა ასევე საქონლის წარმოება და მომსახურების გაწევა, თუმცა წარმოებული საქონელი და მომსახურება არ უნდა იყოს ამ ინსტიტუციების დამფუძნებელი, მაკონტროლებელი ან დამფინანსებელი ერთეულების შემოსავლის წყარო.

ყველა იურიდიული და სოციალური ერთეული აწარმოებს გარკვეულ საქონელს ან/და დაკავებულია მომსახურების მიწოდებით. მაშინ როცა **შინამეურნეობები** შეიძლება იყვნენ ჩართული წარმოებაში ან - არა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი ჩართული არიან საბაზრო წარმოებაში, მაინც მათი უპირატესი ეკონომიკური ფუნქცია არის მოხმარება.

ამდენად, იურიდიული და/ან სოციალური ერთეულები ისეთი ინსტიტუციური ერთეულებია, რომელთაც შეუძლიათ:

-) ფლობდნენ აქტივებს და აიღონ ვალდებულებები,
-) ჩაერთონ ეკონომიკურ საქმიანობასა და ოპერაციებში სხვა ინსტიტუციურ ერთეულებთან,
-) გააფორმონ კონტრაქტები სხვა ინსტიტუციურ ერთეულებთან,
-) განახორციელონ მფლობელობის შეცვლა საქონელსა და აქტივებზე,
-) იყვნენ პასუხისმგებელი კანონის წინაშე თავისი ქმედებებისთვის,
-) აწარმოონ და წარადგინონ ფინანსური ანგარიშგება.

შინამეურნეობები ისეთი ინსტიტუციური ერთეულებია, რომლებიც შედგება ადამიანთა ჯგუფისაგან, რომლებსაც საერთო საცხოვრისი აქვთ, მეტ-ნაკლებად საერთო შემოსავალი და კოლექტიურად მოიხმარენ განსაზღვრული სახის საქონელსა და მომსახურებას.

შინამეურნეობები ორი ტიპისაა. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ყველასათვის ნაცნობი ინდივიდუალური შინამეურნეობა, რომელიც, როგორც წესი, მაგრამ არა ყოველთვის, შედგება ოჯახის წევრებისა და ნათესავებისაგან. შინამეურნეობების მეორე ტიპი ინსტიტუციური შინამეურნეობებია, რომლებიც შედგება ისეთი ადამიანების ჯგუფებისაგან, რომლებიც ამ ინსტიტუციაში რჩებიან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ესენი არიან პენსიონერები, პატიმრები, სასულიერო პირები.

ინსტიტუციური ერთეულების სტრუქტურა მოცემულია ქვემოთ.

სქემა 2.2.1.1. ინსტიტუციური ერთეულების სტრუქტურა



როგორ გავარკვიოთ რომელი ინსტიტუციური ერთეული მიეკუთვნება მოცემულ ეროვნულ ეკონომიკას და რომელი არა?

ამის დასადგენად უნდა გავერკვეთ ინსტიტუციური ერთეულების რეზიდენტობის კატეგორიაში.

2.2.2. რეზიდენტობის კონცეფცია

თანამედროვე სტატისტიკის წარმოების პრინციპული თავისებურებაა ეროვნული ეკონომიკის ცნების დამკვიდრება და მისი ერთ მთლიანობაში წარმოდგენა. ამ პრინციპის რეალიზაცია დაკავშირებულია რეზიდენტობის ცნების, როგორც მაკროეკონომიკური სტატისტიკის ფუნდამენტური კატეგორიის აღიარებასთან.

რატომ არის რეზიდენტობა მაკროეკონომიკური სტატისტიკის ფუნდამენტური კატეგორია?

ეს თუ ის ეროვნული ეკონომიკა წარმოადგენს ეკონომიკური ერთეულების ერთობლიობას. თუმცა, ყველა ეკონომიკური ერთეული არ წარმოადგენს კონკრეტული

ეროვნული ეკონომიკის ნაწილს, რომელთა საქმიანობის შედეგები კონკრეტული ეკონომიკის საბოლოო პროდუქტში აისახება. გლობალიზაციის არნახული ტემპებისა და მასშტაბების პირობებში ასევე სულ უფრო დიდ მასშტაბებს იძენს ადამიანების, კაპიტალისა და საქონლის გადაადგილება და მათ ურთიერთქმედებასთან დაკავშირებული ოპერაციები. ასეთ რეალობაში სულ უფრო რთულდება სტატისტიკის ამოცანა სწორად განსაზღვროს რომელი ოპერაციები რომელ ანგარიშებში ასახოს, ან ასახოს თუ არა საერთოდ ისინი მოცემული ეკონომიკის ანგარიშებში. ამ პრობლემის დაძლევის გზაა რეზიდენტობის ცნების შემოღება და მისი არსის სწორად გაგება. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ **ეროვნულ ეკონომიკას ქმნიან მხოლოდ რეზიდენტი ეკონომიკური ერთეულები.**

რეზიდენტობის კონცეფციის სწორად გაგება მნიშვნელოვანი და აუცილებელია მაკროეკონომიკური სტატისტიკის ყველა სფეროსათვის - ეროვნული ანგარიშების, საგარეო სექტორის სტატისტიკის, მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის და სამთავრობო ფინანსების სტატისტიკისათვის. ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემების ჰარმონიზაციის თვალსაზრისით.

თითოეული ეკონომიკური ერთეულის რეზიდენტობას განსაზღვრავს ის ეკონომიკური ტერიტორია, რომელთანაც მას აკავშირებს უპირატესი ეკონომიკური ინტერესი. აქედან გამომდინარე, ყოველი ეკონომიკური ერთეული შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ ერთი ეკონომიკური ტერიტორიის რეზიდენტი.

ეკონომიკური ერთეულის კავშირი კონკრეტულ ეკონომიკურ ტერიტორიასთან გულისხმობს მის ფიზიკურად ყოფნას ან იურიდიულ დაქვემდებარებაში ყოფნას მოცემულ ეკონომიკურ ტერიტორიაზე.

ეკონომიკური ერთეული ითვლება იმ ეკონომიკური ტერიტორიის რეზიდენტად, რომელთანაც მას აკავშირებს უპირატესი ეკონომიკური ინტერესების ცენტრი.

რას გულისხმობს ეკონომიკური ტერიტორია?

ეკონომიკური ტერიტორიის ყველაზე გავრცელებული კონცეფციაა ტერიტორია, რომელიც იმყოფება ერთი კონკრეტული მთავრობის ეფექტიანი კონტროლის ქვეშ. იგი მოიცავს:

-) მიწას;
-) საჰაერო სივრცეს;
-) ტერიტორიულ წყლებს, იმ სივრცეების ჩათვლით, რომლებზედაც ვრცელდება მოცემული მთავრობის იურისდიქცია თევზჭერის განხორციელების, საწვავისა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უფლებების თვალსაზრისით;

-) საზღვაო ტერიტორიებსა და კუნძულებს, რომლებიც ეკუთვნის მოცემულ ტერიტორიას;
-) ტერიტორიულ ანკლავებს საზღვარგარეთ, ანუ მკაფიოდ შემოსაზღვრულ ტერიტორიებს სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე, რომლებსაც ფლობს ან ქირაობს მოცემული ქვეყნის მთავრობა და იყენებს დიპლომატიური, სამხედრო, სამეცნიერო ან სხვა მიზნებისათვის, შესაბამის მთავრობებთან გაფორმებული შეთანხმებების საფუძველზე.

ეკონომიკური ტერიტორიისა და რეზიდენტობის ცნებები შემოღებულია, რათა მკაფიოდ განისაზღვროს, რომ თითოეული ინსტიტუციური ერთეული მიეკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ ერთ ეკონომიკურ ტერიტორიას.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაკავებული ტერიტორიული ანკლავი ცალკე ეკონომიკური ტერიტორიაა, რომელზედაც ვრცელდება მოცემული ორგანიზაციის იურისდიქცია; ეს ტერიტორიაც ასევე მკაფიოდ შემოსაზღვრულია და მას ფლობს ან ქირაობს ორგანიზაცია, შესაბამის მთავრობასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების არსებობის შემთხვევაში, ასეთი ზონები ყოველთვის უნდა ჩაირთოს მოცემული ეკონომიკური ტერიტორიის შემადგენლობაში, ერთიანი ეკონომიკური ხელშეკრულების თვალსაზრისით.

რას ნიშნავს უპირატესი ეკონომიკური ინტერესი/ინტერესის ცენტრი? ეს არის მოცემული ეკონომიკის შიგნით ადგილსამყოფელის, საცხოვრისის, წარმოების ადგილის ან სხვა უძრავი ქონების არსებობა, რომელიც დაკავებული აქვს ეკონომიკურ ერთეულს და აპირებს კვლავაც დაიკავოს იგი განუსაზღვრელი ან განსაზღვრული, მაგრამ ხანგრძლივი - ერთი წლით ან მეტი ვადით, მნიშვნელოვანი მასშტაბის ეკონომიკური საქმიანობის ან ოპერაციების განხორციელების მიზნით. საერთაშორისო შესადარისობის მიზნით, მოცემულ ეკონომიკურ ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის ან ოპერაციების განხორციელების ხანგრძლივ პერიოდად 1 ან მეტი წლის ვადის დათქმა პირობითია და გაურკვევლობის თავიდან აცილებას ემსახურება.

ამდენად, რეზიდენტობის კონცეფციის შემოღება ემსახურება ეკონომიკური საზღვრების დადგენას მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემების მაჩვენებელთა გაანგარიშებისათვის, აგრეთვე მთელი რიგი ეკონომიკური კატეგორიების კლასიფიცირებისათვის საშინაო და საგარეო კონტექსტში.

თუ რატომ არის ეს საკითხი ესოდენ მნიშვნელოვანი, უნდა გვახსოვდეს, რომ ***მთლიანი შიდა პროდუქტი იზომება, როგორც მხოლოდ და მხოლოდ რეზიდენტი მწარმოებლების მიერ წარმოებული საბოლოო პროდუქტი.*** თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ

რეზიდენტი მწარმოებლები პროდუქციას ქმნიან მხოლოდ თავიანთი ეკონომიკური ტერიტორიის გეოგრაფიული საზღვრების შიგნით. ეს შეიძლება განახორციელონ საზღვარგარეთაც. ისევე, როგორც არარეზიდენტებს შეუძლიათ შექმნან პროდუქცია მოცემული ეკონომიკური ტერიტორიის ფარგლებში. ამდენად, რეზიდენტობის კონცეფციის სწორად გაგებას და გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს ადეკვატური მაკროეკონომიკური გაანგარიშებებისა და შედეგების სწორი ინტერპრეტაციისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკური ერთეულების რეზიდენტობის განსაზღვრა არ უკავშირდება მათ მოქალაქეობას, ეროვნებას ან სამართლებრივ კრიტერიუმებს.

ჩვენ უკვე გავეცანით ეკონომიკური ერთეულების ორ ტიპს - შინამეურნეობებს და საწარმოებს. ამ ორი კატეგორიის ერთეულების რეზიდენტობის განსაზღვრას ახასიათებს სპეციფიკურობა, თუმცა, მოცემული ეკონომიკური ტერიტორიისადმი უპირატესი ეკონომიკური ინტერესის ცენტრის ქონა, როგორც რეზიდენტობის განსაზღვრის აუცილებელი პირობა, ძალაში რჩება.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (SNA 2008), ისევე როგორც საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის სახელმძღვანელოს მე-6 გამოცემა დეტალურად განმარტავს ეკონომიკური ერთეულების რეზიდენტობის განსაზღვრასთან დაკავშირებულ შემთხვევებს. კერძოდ:

ფიზიკური პირების რეზიდენტობა განისაზღვრება იმ შინამეურნეობის ძირითადი საცხოვრისის ადგილმდებარეობის მიხედვით, რომლის წევრიც არის მოცემული ფიზიკური პირი და არა მისი სამუშაო ადგილის მიხედვით. ერთი შინამეურნეობის ყველა წევრი ერთი და იგივე ეკონომიკის რეზიდენტია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი კვთენ საზღვარს სამუშაოსთან დაკავშირებით ან გარკვეული პერიოდის საზღვარგარეთ გატარების მიზნით. თუ მათი საზღვარგარეთ მუშაობის და ყოფნის ხანგრძლივობა იძლევა მათ მიერ უცხოეთში უპირატესი ეკონომიკური ინტერესის შექმნის საფუძველს, მაშინ ისინი წყვეტენ მათი წარმოშობის შინამეურნეობის წევრობას.

ზოგიერთი შინამეურნეობის წევრები სხვადასხვა ზომით დაკავშირებულნი არიან სხვადასხვა ეკონომიკებთან დასაქმების, აქტივების ფლობის, მოქალაქეობის, მიგრაციის სტატუსის, შემოსავლების, საშემოსავლო გადასახადის, ხარჯების, ბიზნეს-ინტერესების მიხედვით. მიუხედავად ამისა, ასეთი წევრებისაგან შემდგარი შინამეურნეობა წარმოადგენს იმ ეკონომიკური ტერიტორიის რეზიდენტს, რომელზედაც ისინი ინარჩუნებენ ან განზრახული აქვთ შეინარჩუნონ ძირითადი საცხოვრისი. მოცემულ ეკონომიკურ ტერიტორიაზე ყოფნა ერთი წლის და მეტი პერიოდის განმავლობაში, ან ასეთის განზრახვა, საკმარისი პირობაა იმისათვის, რათა

შინამეურნეობის საცხოვრისს მიეცეს ამ ეკონომიკურ ტერიტორიაზე მოცემული შინამეურნეობის ძირითადი საცხოვრისის კვალიფიკაცია.

ჩანართი 2.2.2.1. რეზიდენტობის ცნების ზოგიერთი განმარტების შესახებ

ზოგიერთ ეკონომიკურ ლიტერატურაში, არცთუ იშვიათად, გვხვდება რეზიდენტობის არასწორი განმარტებები, რაც ბევრ გაუგებრობას იწვევს. ქვემოთ მოტანილია ასეთი მაგალითები:

რეზიდენტი - იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც რეგისტრირებულია ან ხანგრძლივად ცხოვრობს (1 წელზე მეტ ხანს) ცხოვრობს მოცემულ ქვეყანაში (ასათიანი რ. 2014).

რეზიდენტები და არარეზიდენტები.

მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მოსახლეობის გარკვეული წილი უცხოელია.

სამართლებრივი სტატუსის მიხედვით უცხოელები იყოფიან:

-) მიმღებ ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები უცხოელები ანუ რეზიდენტები (ადგილზე დარჩენილები);
-) მიმღებ ქვეყანაში დროებით მცხოვრები უცხოელები ანუ არარეზიდენტები;

საქართველოს რეზიდენტად ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც ფაქტობრივად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 183 დღე ან მეტხანს ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის პერიოდში (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

ჩვეულებრივ რეზიდენტისა და არარეზიდენტის სამართლებრივი სტატუსი განსხვავებულია. მაგ., რეზიდენტის ქმედუნარიანობა მიმღები ქვეყნის კანონმდებლობით განისაზღვრება, ხოლო არარეზიდენტისა - ეროვნული ქვეყნის სტატუსით. იურიდიული თვალსაზრისით უცხოელი ეროვნული და მიმღები ქვეყნების სამართალწესრიგს ემორჩილება, რომლებიც შესაძლოა კონკურენტულ იურისდიქციაში იმყოფებოდეს.

საღეჭიო მასალები - საქრთაშორისო ბიზნესის რეგულირება.
https://old.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/biz.rebulireba.pdf

არარეზიდენტი - პირი, რომელიც არ არის რეზიდენტი.

რეზიდენტი - რეზიდენტი ფიზიკური პირი, ან რეზიდენტი იურიდიული პირი (საქართველოს საწარმო ან საქართველოს ორგანიზაცია).

საქართველოს საგადასახადო კოდექსი.
თავი 2, მუხლი 8: „ტერმინთა განმარტება“.

აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის წინა გამოცემა (1993) არ ითვალისწინებდა შინამეურნეობების რეზიდენტობის განსაზღვრის ასეთ დეტალიზაციას. თუმცა, თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე, როცა ეკონომიკურ ერთეულთა არცთუ მცირე ნაწილის საქმიანობა ასოცირდება ერთზე მეტ ეკონომიკასთან, ამის საჭიროება ნამდვილად არსებობს და 2008 წლიდან მოქმედებაში შესული ეს სახელმძღვანელო ამ პრობლემას თავს ნამდვილად ართმევს.

აღნიშნულ სახელმძღვანელოში გათვალისწინებულია ის შემთხვევაც, თუ შინამეურნეობის რომელიმე წევრი წყვეტს იმ ეკონომიკური ტერიტორიაზე ყოფნას (ცხოვრებას), რომლის რეზიდენტიც არის მისი შინამეურნეობა. ასეთ შემთხვევაში ეს ფიზიკური პირი აღარ ითვლება მოცემული შინამეურნეობის წევრად და მაშასადამე – რეზიდენტად.

თუმცა, არსებობს გამონაკლისები რეზიდენტობის განსაზღვრის აღნიშნული ზოგადი პრინციპებიდან. კერძოდ, არსებობს კატეგორიები, რომლებიც ინარჩუნებენ მოცემული ეკონომიკური ტერიტორიის რეზიდენტობას, მიუხედავად ამ ტერიტორიაზე ხანგრძლივი დროით არყოფნის შემთხვევებისა. ასეთ კატეგორიებს მიეკუთვნებიან:

-) სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ საზღვარგარეთ, რჩებიან იმ ქვეყნების რეზიდენტებად, რომელი ქვეყნის რეზიდენტებიც იყვნენ მანამდე;
-) პაციენტები, რომლებიც მკურნალობენ საზღვარგარეთ ხანგრძლივი დროის (1 წელზე მეტი ხნის) განმავლობაში, რჩებიან იმ ქვეყნების რეზიდენტებად, რომელი ქვეყნის რეზიდენტებიც იყვნენ მანამდე;
-) ეკიპაჟები (საზღვაო და საჰაერო ხომალდების, კოსმოსური სადგურების, ნავთობის ჭაბურღილების და მსგავსი ნაგებობების), რომლებიც ოპერირებენ იმ ეკონომიკური ტერიტორიის საზღვრებს გარეთ, რომელ ტერიტორიაზეც ამ ეკიპაჟების წევრები ატარებენ უმეტეს დროს;
-) დიპლომატური და სამხედრო პერსონალი, რომელიც მსახურობს სამთავრობო ანკლავებში განლაგებულ შესაბამის წარმომადგენლობებში, რჩებიან იმ ქვეყნის რეზიდენტებად, რომელ ქვეყნებშიც აქვთ მათ ძირითადი საცხოვრებელი ადგილი;
-) ტრანსსასაზღვრო დასაქმებულები, ითვლებიან იმ ტერიტორიის რეზიდენტებად, რომელ ტერიტორიაზეც აქვთ მათ ძირითადი საცხოვრისი, ან განზრახული აქვთ, რომ ჰქონდეთ ასეთი;
-) მაღალი მობილობის პერსონები, რომელთა შემთხვევებშიც რეზიდენტობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რომელ ტერიტორიას თვლიან ისინი თავიანთ ძირითად საცხოვრებელ ადგილად (ტერიტორიად);
-) ლტოლვილების რეზიდენტობა განისაზღვრება იმ ეკონომიკური ტერიტორიით, სადაც მათ აქვთ თავშესაფარი, თუ ისინი ამ ადგილზე რჩებიან, ან განზრახული აქვთ რომ დარჩნენ ერთი წლისა და მეტი ხნის განმავლობაში, მიუხედავად იმისა,

არის ეს ადგილი მათთვის მისაღები, დროებითი, თუ საერთოდ გაურკვეველია დარჩებიან ისინი ამ ადგილზე, თუ არა.

შინამეურნეობებისაგან განსხვავებით, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყვნენ ერთ ან მეტ ეკონომიკასთან, საწარმოები ყოველთვის (ან თითქმის ყოველთვის) ერთ ეკონომიკასთან ასოცირდებიან. აქ უმნიშვნელოვანესია ის ფაქტი, რომ საწარმოები წარმოადგენენ იურიდიულ ერთეულებს, ხოლო იურიდიული ერთეულები ითვლებიან იმ ეკონომიკური ტერიტორიის რეზიდენტებად, რომლის კანონმდებლობითაც არიან ისინი დაფუძნებული და დარეგისტრირებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე არიან დაფუძნებული და განლაგებული მათი სათაო ორგანიზაციები.

საწარმოების რეზიდენტობის განსაზღვრისას, შესაძლოა გაუგებრობა გამოიწვიოს იმან, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, საწარმო დარეგისტრირებულია ერთ ეკონომიკურ ტერიტორიაზე, თუმცა მისი მფლობელი, აქტივების ადგილმდებარეობა, მენეჯმენტის ან ადმინისტრაციის ადგილმდებარეობა არის სხვა ტერიტორიაზე ან სულაც გაურკვეველი. ასეთ და მსგავს შემთხვევებში, რეზიდენტობის კრიტერიუმად რჩება საწარმოს იურიდიული რეგისტრაციის ადგილი, მიუხედავად იმისა, თუ სად მდებარეობენ ან იმყოფებიან ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტები ან სუბიექტები.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მათში დასაქმებულთა რეზიდენტობის განსაზღვრის საკითხი.

საერთაშორისო ორგანიზაციები ხასიათდებიან გარკვეული თავისებურებებით. კერძოდ:

-) საერთაშორისო ორგანიზაციების წევრები არიან სახელმწიფოები ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა წევრები არიან ასევე სახელმწიფოები. აქედან გამომდინარე, ისინი იღებენ უფლებამოსილებას ან პირდაპირ წევრი სახელმწიფოებისაგან, ან არაპირდაპირ - სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი სახელმწიფოებისაგან;
-) საერთაშორისო ორგანიზაციები დაფუძნებულია წევრი სახელმწიფოების ფორმალური შეთანხმების საფუძველზე; მათი არსებობა აღიარებულია წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობებით;
-) რამდენადაც საერთაშორისო ორგანიზაციები დაფუძნებულია საერთაშორისო შეთანხმებით, მათ აქვთ სუვერენული სტატუსი და არ ექვემდებარებიან თავიანთი ადგილმდებარეობის ქვეყნის წესებსა და კანონებს;
-) საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნის მიზანი სხვადასხვაა, კერძოდ არიან ფინანსური ინსტიტუტები (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი და სხვა), ან მათი მიზანია არასაბაზრო კოლექტიური მომსახურების მიწოდება წევრი სახელმწიფოებისათვის, როგორებიცაა მშვიდობის დაცვა, ჯანდაცვა, ინტეგრაციული პროცესები და ა.შ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

-)] საერთაშორისო ორგანიზაციები არ წარმოადგენენ არცერთი ეროვნული ეკონომიკის რეზიდენტებს, იმ ეკონომიკების ჩათვლით, სადაც ისინი არიან განლაგებული და საქმიანობენ;
-)] ამ ორგანიზაციებში მომუშავე პერსონალი მიეკუთვნება იმ შინამეურნეობებს, რომლებიც ცხოვრობენ იმ ქვეყნებში, სადაც ფიზიკურად მდებარეობს ეს ორგანიზაციები.

მსოფლიო ეკონომიკის თანამედროვე თავისებურება მისი გახსნილობაა. ასეთ პირობებში, თუ ეკონომიკურ ერთეულთა უმეტესი ნაწილი ასოცირდება ერთ კონკრეტულ ეკონომიკასთან, გარკვეული ეკონომიკური ერთეულების ინტერესი რამდენიმე ეკონომიკასთან არის დაკავშირებული. მეტიც: ბევრი საწარმო, ასოცირებული კონკრეტულ ეკონომიკასთან, დაკავშირებულია სხვა საწარმოსთან საკუთრების ერთობლივად (მთლიანად ან ნაწილობრივ) ფლობის, ან/და საერთო მმართველობის სტრუქტურის თვალსაზრისით. ასეთ შემთხვევაში შეიძლება მიზანშეწონილი იყოს საწარმოთა ასეთი ჯგუფის ერთ საწარმოდ განხილვა და მათი ანგარიშების კონსოლიდაცია.

ამდენად, მაკროეკონომიკური სტატისტიკის მწარმოებელთათვის მნიშვნელოვანია რეზიდენტობის კონცეფციის სწორად გაგება, რამდენადაც ეკონომიკური ოპერაციების რეგისტრაციისას პირველი საკითხი, რაც მათი მხრიდან მოითხოვს გარკვევას, ეს არის ოპერაციის მონაწილე მხარეების რეზიდენტობის დადგენა.

უკანასკნელ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში თანამედროვე ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების კვალობაზე, მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებისას სხვადასხვა ეკონომიკურ სუბიექტებს (მაგ., ფინანსურ ინსტიტუტებს, საჯარო და სამოქალაქო რეესტრის სამსახურებს, საგადასახადო უწყებას და ა.შ.) უხდებათ იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან მუდმივი ურთიერთობა და შესაბამისად მათი ამა თუ იმ სტატუსის განსაზღვრა. ამ უკანასკნელთაგან ერთ–ერთი მნიშვნელოვანი და პრობლემატური სწორედ ეკონომიკური ერთეულების რეზიდენტობის დადგენაა, რომლის სწორად განსაზღვრაზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული როგორც პირველადი აღრიცხვის, ისე სტატისტიკური ანგარიშგების ხარისხი. თუმცა, ეკონომიკური ერთეულის რეზიდენტობის განსაზღვრის ეროვნული ანგარიშიანობის მიერ აღიარებულ მიდგომებში გაუთვითცნობიერება სერიოზული დაბრკოლებაა სწორი პირველადი აღრიცხვისა და სტატისტიკური ანგარიშგების წარმოების რთულ გზაზე. საქმე ისაა, რომ აღნიშნული ფინანსური თუ ადმინისტრაციული ორგანოები რეზიდენტობის განსაზღვრის კრიტერიუმად ფიზიკური პირების შემთხვევაში მოქალაქეობას მიიჩნევენ, რაც პრინციპულად არასწორია და სერიოზულ ზიანს აყენებს სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხს. დღეისათვის მსოფლიოში აღიარებული სტატისტიკური მეთოდოლოგიები ცალსახად მიუთითებს, რომ **რეზიდენტობის განსაზღვრა მოქალაქეობის მიხედვით დაუშვებელია**. აღნიშნული ორგანოებისთვის

ძალიან მნიშვნელოვანია იმის ცოდნა და აღიარება, რომ ასეთი საკითხების გადაწყვეტისას კონსულტაციები გაიარონ კომპეტენტურ ორგანოებთან (რეზიდენტობის შემთხვევაში, მაგალითად, საქსტატთან). ეს ყველაფერი აუცილებელია ცოდნაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების საჭიროებებიდან გამომდინარე.

პრაქტიკაში გვხვდება ქვეყნები, სადაც საგადასახადო მიზნებისათვის გამოიყენება რეზიდენტის განსხვავებული განმარტება, ვიდრე ეს ეროვნულ ანგარიშთა სისტემით არის განსაზღვრული. კერძოდ, რეზიდენტობის კრიტერიუმად მიჩნეულია ეკონომიკური ერთეულის მოცემულ ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქმიანობის ვადა 180 დღე და მეტი, ნაცვლად ერთი წლის და მეტი ვადისა. ასეა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაშიც, თუმცა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს აქ შემოთავაზებული რეზიდენტის ცნების განმარტება. კოდექსის მე-2 თავის, მე-8 მუხლის, მე-20 პუნქტში ვკითხულობთ, რომ რეზიდენტი არის „რეზიდენტი ფიზიკური პირი ან რეზიდენტი იურიდიული პირი (საქართველოს საწარმო ან საქართველოს ორგანიზაცია)“.

აღსანიშნავია, რომ საგადასახადო კოდექსის ერთ-ერთ წინა რედაქციაში, ჩვენი აზრით სრულიად მიზანშეწონილად, აღნიშნული იყო, რომ „ამ კოდექსის ტერმინები და ცნებები, რომლებსაც აქვთ საქართველოს კანონმდებლობის სხვა სფეროს ტერმინებისა და ცნებებისაგან განსხვავებული მნიშვნელობა, გამოიყენება მხოლოდ საგადასახადო ურთიერთობების რეგულირებისას, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“. თუმცა, ეს ჩანაწერი ახლა ამოღებულია, რაც ქმნის სტატისტიკის პრაქტიკაში რეზიდენტის ცნების ამ კოდექსში არსებული განმარტების სავალდებულოობის შთაბეჭდილებას, და, სამწუხაროდ, ხშირად რეზიდენტობის ცნების განმარტების საჭიროებისას ეყრდნობიან სწორედ კოდექსის განმარტებას და არა იმას, რასაც მოითხოვს ეროვნულ ანგარიშთა სისტემა და მაშასადამე მაკროეკონომიკური სტატისტიკის წარმოების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი.

ამდენად, მაკროეკონომიკური სტატისტიკის წარმოების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია ეკონომიკის ერთ მთლიანობაში განხილვა და ეს პრინციპი რეალიზდება სწორედ რეზიდენტობის კონცეფციის შემოღებით და ეროვნული ეკონომიკის განხილვით, როგორც რეზიდენტი ეკონომიკური ერთეულების ერთობლიობა. დანარჩენი ეკონომიკური ერთეულები წარმოადგენენ არარეზიდენტებს და მათი ერთობლიობა ქმნის „დანარჩენ მსოფლიოს“.

ახლა, როცა ნათელია ზღვარი მოცემულ ეროვნულ ეკონომიკასა და „დანარჩენ მსოფლიოს“ შორის, დავუბრუნდეთ რეზიდენტი ეკონომიკური ერთეულების უფრო დეტალურ გაგებას. ისინი საკმაოდ მრავალფეროვანი და ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულია ეკონომიკაში მათი ფუნქციების მიხედვით, ასევე შემოსავლის წყაროების მიხედვით და ა.შ. შესაბამისად, მათი სტატისტიკური შესწავლა და ანალიზი განსხვავებულ მიდგომებს, მეთოდებსა და მაჩვენებელთა სისტემებს მოითხოვს. ამას

უკავშირდება სტატისტიკის წარმოების მეორე ფუნდამენტური პრინციპის შემოღება. ეს არის ინსტიტუციური ერთეულების სექტორიზაციის პრინციპი.

2.2.3. ინსტიტუციური სექტორები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკონომიკური ერთეულები ორი ტიპისაა: იურიდიული/სოციალური (კორპორაციები, მთავრობა და შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციები) და შინამეურნეობები.

როგორ ნაწილდება ეს ინსტიტუციური ერთეულები ინსტიტუციური სექტორების მიხედვით?

ეკონომიკური ერთეულების სექტორიზაციის საკითხის განხილვამდე, შევეხოთ მაკროეკონომიკური სტატისტიკის მიერ ეკონომიკური ერთეულების საბაზრო მწარმოებელ და არასაბაზრო მწარმოებელ ერთეულებად გამიჯვნის საკითხს, რაც მნიშვნელოვანი კლასიფიკაციაა და ეკონომიკური ერთეულების სექტორიზაციის საკითხთან მჭიდრო კავშირშია.

საბაზრო მწარმოებლად მიჩნეულია ეკონომიკური ერთეული, თუ იგი მისი გამოშვების მთელ მოცულობას, ან მის უმეტეს ნაწილს აწვდის ბაზარს (სხვებს) ეკონომიკურად მნიშვნელოვან ფასად.

ეკონომიკური ერთეული არასაბაზრო მწარმოებელია, თუ იგი მისი გამოშვების მთელ მოცულობას, ან მის უმეტეს ნაწილს აწვდის სხვებს უფასოდ, ან ეკონომიკურად უმნიშვნელო ფასად.

რას წარმოადგენს ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ფასი?

ეკონომიკურად მნიშვნელოვანია ის ფასი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შეთავაზების იმ მოცულობაზე, რომელიც სურს მწარმოებელს, რომ განახორციელოს და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოცულობას, რომელიც მყიდველს სურს რომ შეიძინოს.

სხვა სიტყვებით, ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ფასი ყალიბდება მაშინ, როცა მწარმოებელი მზადაა გრძელვადიან პერიოდში მოგების მიღების, ან კაპიტალისა და სხვა ხარჯების მინიმუმის დაფარვის მიზნით, მოახდინოს მიწოდების კორექტირება,

ხოლო მომხმარებელს აქვს თავისუფლება შეიძინოს, ან არ შეიძინოს საქონელი, ანუ თავისუფალია გააკეთოს არჩევანი ფასიდან გამომდინარე.

როგორც წესი, ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ფასი არის ისეთი ფასი, რომელიც ფარავს ხარჯების 50 პროცენტზე მეტს ხანგრძლივი დროის განმავლობაში. სხვა სიტყვებით, ფასი არის ეკონომიკურად მნიშვნელოვანი, თუ გაყიდვები მნიშვნელოვანწილად ფარავს მწარმოებლის ფასს და მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს იყიდოს, თუ არა, ან რამდენი იყიდოს ამ ფასად.

ამდენად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეროვნული ეკონომიკა ეკონომიკური ერთეულების ერთობლიობაა.

ინსტიტუციური ერთეული მიიჩნევა ასეთად, თუ მას აქვს უფლებამოსილება:


-) ფლობდეს თავის განკარგულებაში საქონელს ან აქტივებს და გადასცეს იგი საკუთრებაში სხვა ინსტიტუციურ ერთეულს ოპერაციის გზით;
-) მიიღოს ეკონომიკური გადაწყვეტილება, დაკავდეს ეკონომიკური საქმიანობით და აიღოს ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობით;
-) აიღოს ვალდებულებები თავისი სახელით და დადოს კონტრაქტები;
-) ფლობდეს (უნდა) ანგარიშგების სრულ ჩამონათვალს, აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსის ჩათვლით, ან უნდა შეეძლოს შეადგინოს ანგარიშგება სრული მოცულობით, თუ ასეთი მოთხოვნა იქნება.

თუმცა, ინსტიტუციური ერთეულების მრავალფეროვნებისა და განსხვავებული თავისებურებების გამო ერთიანი მიდგომით მათი საქმიანობის გაზომვა შეუძლებელია. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა ახდენს ეკონომიკური ერთეულების კლასიფიკაციას *ინსტიტუციურ სექტორებად* ეკონომიკაში მათი პრინციპული ფუნქციების, ქცევისა და მიზნების მიხედვით. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მიხედვით ასეთი სექტორი ხუთია:

-) არაფინანსური კორპორაციები;
-) ფინანსური კორპორაციები;
-) მთავრობა;
-) შინამეურნეობები, და
-) შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციები (შიმკაო).

ეკონომიკური ერთეულების ინსტიტუციური სექტორებისადმი კუთვნილების სწორად განსაზღვრის მიზნით ეროვნულ ანგარიშთა სისტემა გვთავაზობს საკმაოდ პრაქტიკულ სქემას, სადაც ასახულია, თუ ეკონომიკური ერთეულების მიმართ სწორი კითხვების თანმიმდევრულად დასმის შედეგად, ნაბიჯ-ნაბიჯ როგორ დავადგინოთ ამა თუ იმ ინსტიტუციური სექტორისადმი მათი კუთვნილება.

სქემა 2.2.3.1. ეკონომიკური ერთეულების ინსტიტუციური სექტორებისადმი მიკუთვნების წესის ზოგადი ილუსტრაცია




ამა თუ იმ ეროვნული ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილია **შინამეურნეობები**, რომელიც, თავის მხრივ, იყოფა ინდივიდუალურ შინამეურნეობებად და ინსტიტუციურ შინამეურნეობებად.

შინამეურნეობები წარმოადგენს ადამიანთა ჯგუფს, რომლებსაც აერთიანებთ:

-) საერთო საცხოვრისი;
-) საერთო ან ნაწილობრივ საერთო შემოსავლები და ქონება;
-) მსგავსი საქონლისა და მომსახურების (ძირითადად საცხოვრისის და საკვების) მოხმარება კოლექტიურად;
-) საერთო მოთხოვნები კოლექტიური რესურსებისადმი.

ინსტიტუციური შინამეურნეობების კატეგორია გულისხმობს პირებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ დაწესებულებაში, ხანგრძლივად ან განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში.

სქემა 2.2.3.2. შინამეურნეობების სექტორის კლასიფიკაცია საკუთრივ შინამეურნეობად და ინსტიტუციურ შინამეურნეობად



შინამეურნეობის წევრთა რიცხვი შეზღუდული არ არის. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს ერთი ადამიანიც, ვინც მარტო ცხოვრობს, და ნებისმიერ-სულიანი ოჯახიც.

საყურადღებოა შემთხვევა, როცა ოჯახს ჰყავს დამხმარე პიროვნება, რომელიც ალაგებს, ამზადებს საჭმელს და ა.შ. შესაძლოა ასეთი პიროვნება ცხოვრობდეს იმავე ოჯახთან, ვინც მას ქირაობს და იქ იკვებებოდეს. თუმცა, დაქირავებული პიროვნება, რომელიც იღებს ხელფასს დამქირავებელი ოჯახიდან, წარმოადგენს ცალკე ოჯახს, მას არ აქვს დამქირავებელ ოჯახთან საერთო მოთხოვნები კოლექტიურ რესურსებზე და შესაბამისად წარმოადგენს ცალკე შინამეურნეობას, ან ცალკე შინამეურნეობის წევრს.

შინამეურნეობის სექტორის მეორე ნაწილს წარმოადგენს ინსტიტუციური შინამეურნეობა. ამ უკანასკნელის მაგალითებია გრძელვადიანი პაციენტები საავადმყოფოებში, მოხუცებულთა სახლებში მცხოვრები პირები, პატიმრები, რელიგიური ორდენის წევრები და სხვა.

შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ეკონომიკაში, რამდენადაც მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საბოლოო მოხმარების ფორმირებაში.

განმარტების თანახმად, თუ რეზიდენტი ეკონომიკური ერთეული არ წარმოადგენს შინამეურნეობას, არის არასაბაზრო მწარმოებელი და არ ექვემდებარება სახელმწიფოს, კლასიფიცირდება, როგორც შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაცია (შიმკაო).

გვხვდება სამი ტიპის შიმკაო:

-) ადამიანთა გაერთიანებები საქონლისა და მომსახურების შეთავაზებისათვის;
-) საქველმოქმედო და ანალოგიური ფილანტროპული მიზნებისათვის შექმნილი ორგანიზაციები;
-) კოლექტიური მომსახურების ორგანიზაციები.

ადამიანთა გაერთიანებები საქონლისა და მომსახურების შეთავაზებისათვის ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით:

-) შექმნილია ადამიანების გაერთიანების მიერ საქონლისა და მომსახურების შეთავაზებისათვის ძირითადად თავისი წევრებისათვის;
-) საქონლისა და მომსახურების მიწოდება წევრებისათვის ხდება ძირითადად უფასოდ;
-) დაფუძნებულია საწევროებისა და ხელმოწერის შენატანების ხარჯზე.

ასეთი ორგანიზაციების მაგალითებია პროფესიული ერთობები, პოლიტიკური პარტიები, სავაჭრო კავშირები, მომხმარებელთა ასოციაციები, სპორტული კლუბები, და რელიგიური დაწესებულებები.

საქველმოქმედო და ანალოგიური ფილანტროპული მიზნებისათვის შექმნილი ორგანიზაციებისათვის დამახასიათებელია, რომ;

-) ისინი შექმნილია ფილანტროპული და საქველმოქმედო მიზნებისთვის და არ ემსახურება მისი წევრების ინტერესებს;
-) საქონელსა და მომსახურებას აწვდის გაჭირვებულ შინამეურნეობებს უფასოდ ან არასაბაზრო საფუძვლებზე;
-) ეხმარება ბუნებრივი კატასტროფების ან ომების მსხვერპლ შინამეურნეობებს;
-) უმთავრესად ფინანსირდება დონორების მიერ, შინამეურნეობების, კორპორაციებისა და მთავრობების მხრიდან, როგორც ფულით ასევე ნატურით;
-) შესაძლოა დაფინანსდეს აგრეთვე არარეზიდენტებისაგან, მათ შორის სხვა ქვეყნების შიშკაობებისაგან.

ასეთი ორგანიზაციების მაგალითია ექიმები საზღვრებს გარეშე.

კოლექტიური მომსახურების ორგანიზაციები გულისხმობს ისეთ ორგანიზაციებს, როგორებიცაა, მაგალითად, კვლევითი ინსტიტუტები, ან გარემოს დამცველი ჯგუფები, რომლებიც თავიანთი საქმიანობის შედეგებს უფასოდ აწვდიან საზოგადოებას.

განმარტების თანახმად (იხ. სქემა 2.2.3.2), თუ ინსტიტუციური ერთეული არ წარმოადგენს შინამეურნეობას, მაგრამ ამავე დროს არის სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი არასაბაზრო მწარმოებელი, კლასიფიცირდება როგორც **სამთავრობო სექტორი**.

სამთავრობო სექტორი წარმოადგენს იმ ეკონომიკური ერთეულების ერთობლიობას, რომლებიც ასრულებენ სახელმწიფოს ფუნქციებს, როგორც თავიანთ ძირითად საქმიანობას. ეს ფუნქციებია:

-) აიღოს ვალდებულება, რათა მიაწოდოს საზოგადოებას არასაბაზრო საქონელი და მომსახურება;
-) გადაანაწილოს შემოსავალი და ქონება ტრანსფერების ფორმით;
-) დაკავდეს არასაბაზრო წარმოებით;
-) თავისი საქმიანობა დააფინანსოს უპირატესად გადასახადებითა და სხვა აუცილებელი ტრანსფერების ხარჯზე;
-) შეასრულოს თავისი პოლიტიკური პასუხისმგებლობები და ეკონომიკის მარეგულირებლის როლი.

ამ ფუნქციებიდან გამომდინარე, სამთავრობო სექტორს მიეკუთვნება:

-) ყველა სახელმწიფო დაწესებულება;
-) ყველა არასაბაზრო მწარმოებელი, რომელთაც აკონტროლებს სახელმწიფო (სახელმწიფო დაქვემდებარებაში მყოფი ერთეულები). მაგალითად, სკოლები, მუზეუმები და საავადმყოფოები;

-) სოცურუნველყოფის ფონდები, რომლებიც შექმნილია და კონტროლდება ამავე ერთეულების მიერ.

სამთავრობო სექტორი მოიცავს:

-) ცენტრალურ მთავრობას (ყველა სამინისტრო და ცენტრალური საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოები);
-) ადგილობრივ მთავრობას;
-) სოცურუნველყოფის ფონდებს.

ფინანსური კორპორაციების სექტორი ამა თუ იმ ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. განმარტების თანახმად, იგი მოიცავს საბაზრო მწარმოებელ კორპორაციებს, რომლებიც დაკავებული არიან ფინანსური მომსახურებით. ეს უკანასკნელი მოიცავს ფინანსურ შუამავლობას, საგადახდო სისტემებს, დაზღვევას და ქონების მართვას.

თუმცა, ფინანსური კორპორაციების ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა ფინანსური შუამავლობა, ანუ:

-) ფონდების მოზიდვა, ე.ი. ვალდებულებების წარმოქმნა, და
-) სახსრების გასესხება, თავისივე ხარჯზე და თავისივე ფინანსური რისკის ფასად.

ხშირ შემთხვევაში, მოზიდული სახსრები მოკლევადიანია, მაშინ, როცა გასესხებული სახსრები არის გრძელვადიანი. ამდენად, ფინანსური შუამავლობა გულისხმობს ერთი სახის ფინანსური ვალდებულების გარდაქმნას სხვა სახის ფინანსურ აქტივად. სახსრების ასეთ ტრანსფორმაციას უმთავრესად ბანკები ახორციელებენ, თუმცა მსგავსი ოპერაციებით დაკავებულნი არიან სხვა ტიპის ფინანსური კორპორაციებიც.

ამდენად, ფინანსური კორპორაციების სექტორი მოიცავს ორ ძირითად ქვესექტორს: დეპოზიტურ კორპორაციებს და სხვა ფინანსურ კორპორაციებს.


დეპოზიტური კორპორაციები უშვებენ ვალდებულებებს, რომლებიც ჩართულია ფართო ფულში. ეს უკანასკნელი მოიცავს ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც ასრულებენ გადახდის საშუალების ფუნქციას, ან აღვილად გადაიქცევიან ასეთად. ასეთ ვალდებულებებად გვევლინება დეპოზიტები, ან მასთან მიახლოებული ინსტრუმენტები.

დეპოზიტური კორპორაციების ქვესექტორი მოიცავს ცენტრალურ ბანკს და სხვა დეპოზიტურ კორპორაციებს.

სხვა ფინანსური კორპორაციების ქვესექტორი მოიცავს ისეთ ფინანსურ ინსტიტუტებს, რომელთა ვალდებულებებიც არ შედის ფართო ფულში.

ამდენად, ფინანსური კორპორაციების სექტორიზაციისას მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მათი ვალდებულებების ტიპი - ჩართულია ისინი ფართო ფულში, თუ არა. თუ ფინანსური ინსტიტუტის ვალდებულებების თუნდაც ნაწილი ჩართულია ფართო ფულში, იგი კლასიფიცირებული უნდა იყოს, როგორც დეპოზიტური კორპორაცია.

სქემა 2.2.3.3. ფინანსური სექტორის სტრუქტურა



ცენტრალური ბანკი წარმოადგენს ეროვნულ ფინანსურ დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს კონტროლს ფინანსური სისტემის უმთავრეს ასპექტებზე და ეწევა ისეთ საქმიანობას, როგორიცაა:

-)] ნაღდი ფულის ემისია,
-)] საერთაშორისო რეზერვების მართვა,
-)] საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ოპერაციების განხორციელება,
-)] ბოლო ინსტანციის კრედიტორის ფუნქციის განხორციელება,
-)] მთავრობის ფისკალური აგენტის ფუნქციის განხორციელება,
-)] ფინანსური სისტემის ნაწილზე ზედამხედველობის განხორციელება.

ზოგიერთ ქვეყანაში ცენტრალური ბანკები ასევე იღებენ ღებოზიტებს არაფინანსური ეკონომიკური ერთეულებისაგან ან გასცემენ კრედიტებს მათზე.

სხვა ღებოზიტური კორპორაციების ქვესექტორში გაერთიანებულია ყველა ფინანსური დაწესებულება (ცენტრალური ბანკის გარდა), რომელთა საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ფინანსური შუამავლობა და რომლებიც უშვებენ ფართო ფულის ეროვნულ განსაზღვრებაში შემავალ ვალდებულებებს.

სხვა ღებოზიტურ დაწესებულებებს მიეკუთვნება:

-)] კომერციული ბანკები;
-)] ინვესტიციური ბანკები;
-)] შემნახველი ბანკები, სასესხო-შემნახველი ასოციაციები, სამშენებლო საზოგადოებები და იპოთეკური ბანკები;
-)] საკრედიტო კავშირები და საკრედიტო კოოპერატივები;
-)] სასოფლო და სასოფლო-სამეურნეო ბანკები;
-)] კომპანიები, რომლებიც უშვებენ სამგზავრო ჩეკებს, და რომლებიც ძირითადად დაკავებულნი არიან ფინანსური დაწესებულებებისათვის დამახასიათებელი საქმიანობით.

თუმცა, ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და დაწესებულებებს, რომლებიც უშვებენ ფართო ფულის ეროვნულ განსაზღვრებაში შემავალ ვალდებულებებს, შესაძლოა ჰქონდეთ სხვა დასახელებებიც. ან პირიქით: აღნიშნული დასახელების მქონე დაწესებულება შეიძლება არ უშვებდეს შესაბამის ვალდებულებებს და ამიტომაც არ მიეკუთვნებოდეს სხვა ღებოზიტური დაწესებულებების კატეგორიას.

ფულადი ბაზრის ფონდები ისეთი საინვესტიციო სქემებია, რომელთა ფონდების წყაროა აქციების გამოშვება და ამ ფონდების ინვესტირება მოკლევადიან, ნაკლებ რისკიან და მაღალი ლიკვიდობის ინსტრუმენტებში. რამდენადაც ასეთი ფონდების საინვესტიციო პოლიტიკა და აქციები მიჩნეულია ღებოზიტებთან ახლოს მდგომ ინსტრუმენტებად, ისინი ჩართულია ფართო ფულში.

სხვა ფინანსური კორპორაციების ქვესექტორში გაერთიანებულია ექვსი ტიპის ფინანსური ერთეულები.

არაფულადი საბაზრო საინვესტიციო ფონდები - ეს არის კოლექტიური საინვესტიციო სქემები, რომელთა ფონდები ყალიბდება აქციების გამოშვებით და ამ ფონდების ინვესტირებით გრძელვადიან მაღალ რისკიან ფინანსურ და არაფინანსურ (უძრავ ქონებაში) აქტივებში.

სხვა ფინანსური შუამავლების ქვესექტორი მოიცავს სხვადასხვა ერთეულების ჯგუფს, სადაც შედის ყველა ფინანსური დაწესებულება, დეპოზიტური დაწესებულებების, სადაზღვევო კომპანიების, საპენსიო ფონდებისა და დამხმარე ფინანსური ერთეულების გარდა. სხვა ფინანსური შუამავლების ქვესექტორში შემავალი ერთეულები, როგორც წესი, სახსრების მობილიზებას ახდენენ გრძელვადიანი ან სპეციალიზირებული სახის დეპოზიტების მიღების და ფასიანი ქაღალდებისა და კაპიტალში მონაწილეობის ინსტრუმენტების გამოშვების გზით. ეს შუამავლები ხშირად სპეციალდებიან კონკრეტული კატეგორიის მსესხებლების დაკრედიტებაზე და ისეთი სპეციალური ფინანსური მექანიზმების გამოყენებაზე, როგორებიცაა ფინანსური ლიზინგი, ფასიანი ქაღალდების სესხად გაცემა და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები.

ფინანსური შუამავლების ქვესექტორში შემავალი ერთეულების მაგალითებია:

- 1) ფინანსური კომპანიები, რომლებიც წარმოადგენენ ინსტიტუციურ ერთეულებს, რომელთა საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა სამეწარმეო სექტორის საწარმოებისა და შინამეურნეობებისათვის კრედიტების მიცემა. ბევრი ფინანსური კომპანია წარმოადგენს დაქვემდებარებულ შვილობილ ფირმას, რომელიც ახდენს ფინანსური სახსრების მობილიზებას სათაო კომპანიის მიერ გამოსაყენებლად. ასეთი ფირმები, წარმოადგენენ რა განცალკევებულ ინსტიტუციურ ერთეულებს, რომლებიც არ ახდენენ ფართო ფულის შემადგენლობაში შემავალი ვალდებულებების ემისიას, კლასიფიცირდებიან, როგორც ფინანსური შუამავლები. ფინანსური კომპანიები, რომლებიც არ არიან დამოუკიდებელნი, განიხილება, როგორც სათაო კომპანიის ნაწილი, შესაბამისი ქვესექტორის შემადგენლობაში.
- 2) ფინანსური ლიზინგური კომპანიები ემსახურებიან მატერიალური აქტივების შეძენას. ლიზინგური კომპანიები წარმოადგენენ ამგვარი წესით შეძენილი საქონლის იურიდიულ მფლობელებს, თუმცა სინამდვილეში საკუთრების უფლების გადაცემა ხდება არენდატორზე, რომელიც იღებს ყველანაირ სარგებელს, რაც დაკავშირებულია გადაცემულ აქტივებზე საკუთრების უფლებასთან, ასევე თავის თავზე იღებს ამ უკანასკნელთან დაკავშირებულ ყოველგვარ ხარჯსა და რისკს.
- 3) საინვესტიციო ფონდები (გაერთიანებები) წარმოადგენენ ინსტიტუციურ ერთეულებს ფინანსური ორგანიზაციების სახით, საპენსიო ფონდების გარდა, რომლებიც თავს უყრიან ინვესტორთა სახსრებს, ფინანსური აქტივების შეძენის

მიზნით. საინვესტიციო ფონდების მაგალითია ერთობლივი ფონდები, საინვესტიციო კონცერნები, საპაიო საინვესტიციო ფონდები და სხვა კოლექტიური ინვესტიციური ფონდები. ინვესტორები, როგორც წესი, იძენენ აქციებს, რომლებსაც ფიქსირებული წილი აქვთ ფონდში. საინვესტიციო ფონდების ლიკვიდურობა შესაძლოა იყოს საკმაოდ განსხვავებული. ზოგიერთ ქვეყანაში საინვესტიციო ფონდები არალიკვიდურია ან შეზღუდული ლიკვიდურობა გააჩნიათ. სხვა ქვეყნებში საინვესტიციო ფონდების მიერ გამოშვებული აქციები ისეთივე (ან თითქმის ისეთივე) ლიკვიდურობით ხასიათდებიან, როგორც თავისთავად დეპოზიტური დაწესებულებების დეპოზიტები და მათ მიერ ემიტირებული სხვა ვალდებულებები. თუ ლიკვიდური საინვესტიციო ფონდების ვალდებულებები შედის ფართო ფულის შემადგენლობაში, ასეთი ინვესტიციური ფონდები კლასიფიცირებულ უნდა იქნენ, როგორც სხვა დეპოზიტური დაწესებულებები.

-) ფასიანი ქაღალდების გარანტიით განმთავსებლები (ანდერრაიტერები) და დილერები აერთიანებენ ფიზიკურ პირებსა და ფირმებს, რომლებიც სპეციალიზებული არიან ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ოპერაციების წარმოებაზე: 1) დახმარების გაწევის გზით იმ ფირმებისათვის, რომლებიც უშვებენ ფასიან ქაღალდებს, ანდერრაიტინგისა და ახალი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე განთავსების მეშვეობით და 2) ახალი ან დაუფარავი ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების გზით, საკუთარი ხარჯით. ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან ანდერრაიტერები და დილერები, რომლებიც გამოდიან ფინანსური შუამავლების როლში. ფასიანი ქაღალდების ბროკერები და სხვა ინსტიტუციური ერთეულები, რომლებიც ორგანიზებას უწევენ ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს ფასიანი ქაღალდების გამყიდველებსა და მყიდველებს შორის, მაგრამ არ ყიდულობენ ფასიან ქაღალდებს და არ ინახავენ მათ საკუთარ ხარჯზე, კლასიფიცირდებიან, როგორც დამხმარე ფინანსური ერთეულები.
-) წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე სპეციალიზებული შუამავლები მოიცავენ ინსტიტუციურ ერთეულებს, რომლებიც უმთავრესად დაკავებული არიან ისეთი წარმოებულების გამოშვებით, რომლებიც მიჩნეულია ფინანსურ აქტივებად.
-) სპეციალიზებული ფინანსური შუამავლები მოიცავს ჰოლდინგურ კორპორაციებს, ფირმებს, რომლებიც აფინანსებენ ექსპორტ/იმპორტს.

დამხმარე ფინანსური ერთეულების ქვესექტორი მოიცავს ფინანსურ დაწესებულებებს, რომელთა საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ფინანსურ შუამავლობასთან, თუმცა ისინი შუამავლის სტატუსით არ საქმიანობენ. ასეთ ერთეულებს მიეკუთვნებიან:

-) ფასიანი ქაღალდების საჯარო ბირჟები და ბაზრები, რომლებიც წარმოადგენენ ორგანიზებულ სტრუქტურებს, ისეთებს, როგორებიცაა ფასიანი ქაღალდების კომპანია-დეპოზიტარები, საადრიცხვო და კლირინგული ორგანოები, ასევე სხვა

კომპანიები, რომლებიც დაკავებულნი არიან ბირჟის საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურებით.

-)] ბროკერები და აგენტები, რომლებიც წარმომადგენელნი არიან ფიზიკური პირების ან ფირმების სახით და რომლებიც ორგანიზებას უწევენ, ასრულებენ ან სხვა გზით უზრუნველყოფენ კლიენტების ოპერაციებს ფინანსური აქტივებით. ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან ბროკერები და აგენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფასიანი ქაღალდების ან სხვა ფინანსური კონტრაქტების ყიდვა-გაყიდვას კლიენტებისათვის, ასევე საფინანსო-საკონსულტაციო სამსახურები, რომლებიც სპეციალიზებულ მომსახურებას უწევენ ბროკერებსა და მათ კლიენტებს. გამომდინარე იქიდან, რომ ზოგიერთი საბროკერო ფირმა ასევე დაკავებულია ფინანსური ფასიანი ქაღალდების ან წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვით თავისი ანგარიშით, შესაძლოა გაძნელდეს ბროკერებისა და აგენტების ანდერრაიტერებისა და დილერებისაგან გარჩევა. ასეთ შემთხვევაში. მოცემულ ჯგუფში ჩაირთვება მხოლოდ ის ბროკერები და აგენტები, რომლებიც ცალსახად არიან სპეციალიზებული საბროკერო და მასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე და არა საშუამავლო საქმიანობაზე, რაც არის ანდერრაიტერებისა და დილერების პეროგატივა.
-)] კომპანიები, რომლებიც ახორციელებენ ვალუტის გაცვლას, მათ შორის რომლებიც ყიდულობენ ან ყიდიან უცხოურ ვალუტას საცალო ან საბითუმო ბაზარზე.
-)] ფინანსური გარანტიების გამცემი კორპორაციები, სადაზღვევო და საპენსიო დამხმარე (დაზღვევის შემფასებლები და სამამშველო სამუშაოების ადმინისტრატორები) ერთეულები და სხვა დამხმარე ფინანსური ერთეულები, რომლებიც არ შედიან სხვა კატეგორიებში (მაგალითად, ამ კატეგორიაში მოხვდება ლომბარდები).

დაქვემდებარებული ფინანსური ინსტიტუციები ფინანსურ მომსახურებას სთავაზობს ერთეულების შეზღუდულ რაოდენობას, ფინანსური ბაზრების ოპერაციების გარეშე. ასეთი კომპანიები, როგორც წესი სხვა კომპანიების შემადგენლობაში არიან და ეხმარებიან თავიანთ მშობელ კომპანიებს საცალო ვაჭრობაში. ასეთი კომპანიების თვალსაჩინო მაგალითია საავტომობილო მრეწველობის შემთხვევები, როცა დაქვემდებარებული კომპანიები ავტო-სესხებს სთავაზობენ ავტომობილების შეძენის მსურველებს. აღნიშნულის მაგალითებია ისეთი კომპანიები, როგორებიცაა „ტოიოტას ფინანსური მომსახურება“, „ფორდ მოტორსის საკრედიტო კომპანია“ და სხვ. ისეთი კრედიტორები, რომლებიც გაასესხებენ მცირე მოცულობის თანხებს თავიანთი ფონდებიდან, ასევე ითვლებიან დაქვემდებარებულ ფინანსურ ინსტიტუტებად.

სადაზღვევო კომპანიები - ეკონომიკური ერთეულები, რომელთა პრინციპული ფუნქციაა სიცოცხლის დაზღვევა, უბედური შემთხვევებისაგან დაზღვევა, ავადმყოფობის დაზღვევა, ხანძარსაწინააღმდეგო და ინდივიდუალური ან ჯგუფური ინსტიტუციური ერთეულების სხვა სახის დაზღვევა.

საპენსიო ფონდები, რომლებიც ჩართულია მოცემულ ქვესექტორში, თავიანთი დამფუძნებლებისაგან დამოუკიდებელი ინსტიტუციური ერთეულებია. მათი დანიშნულებაა საპენსიო დახმარებების გაცემა მუშაკთა ამა თუ იმ სპეციფიკურ ჯგუფებზე. ასეთი ფონდები ფლობენ საკუთარ აქტივებსა და ვალდებულებებს და ახორციელებენ ფინანსურ ოპერაციებს საკუთარ ხარჯზე. ეს ფონდები ორგანიზებულია და იმართება კერძო ან სახელმწიფო დამქირავებლების და მათი მუშაკების მიერ; მუშაკები და/ან დამქირავებლები რეგულარულად ახორციელებენ შენატანებს/ანარიცხებს ამ ფონდებში. ეს ქვესექტორი არ მოიცავს საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამებს, რომლებიც გათვალისწინებულია კერძო და სახელმწიფო სტრუქტურების მუშაკთათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ ცალკე ორგანიზებული ფონდი და არ მოიცავს ისეთ პროგრამებს, რომლებიც ორგანიზებულია არასამთავრობო დამქირავებლების მიერ და რომელთა რეზერვები უბრალოდ ჩართულია თვით დამქირავებლის სარეზერვო სახსრებში ან ინვესტირებულია ამ დამქირავებლების მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებში.


განმარტების თანახმად (იხ. სექმა 2.2.3.2), კორპორაციები, რომელთა ძირითადი ფუნქციაა საქონლისა და არაფინანსური მომსახურების წარმოება, მიეკუთვნებიან **არაფინანსური კორპორაციების სექტორს**.

ამასთან, არაფინანსური კორპორაციები შესაძლოა ეწეოდნენ მეორად საქმიანობას და ეს იყოს ფინანსური მომსახურება. მაგალითად, მაღაზია, რომელიც არის არაფინანსური კორპორაცია, შესაძლოა თავის მომხმარებელს აძლევდეს სესხს მისი საქონლის შესაძენად. თუმცა, ეს მაღაზია მაინც იქნება არაფინანსური კორპორაცია, რამდენადაც ესა თუ ის ინსტიტუციური ერთეული შეიძლება მიეკუთვნებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ერთ ინსტიტუციურ სექტორს.

არაფინანსური კორპორაციები, ისევე როგორც ფინანსური კორპორაციები კლასიფიცირდება აგრეთვე მათი დაქვემდებარების მიხედვით, ანუ როგორც სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული და კერძო, მათ შორის უცხოური კაპიტალის კონტროლის ქვეშ მყოფი.


ამდენად, სახელმწიფო სექტორი წარმოდგენილია სამი ინსტიტუციური სექტორით: სამთავრობო სექტორით, არაფინანსური კორპორაციების სექტორით და ფინანსური კორპორაციების სექტორით.

სქემა 2.2.3.4. სახელმწიფო სექტორის სტრუქტურა ინსტიტუციურ ჭრილში



ამდენად, შეჯამებისათვის, შეიძლება ინსტიტუციური ერთეულები წარმოვიდგინოთ კლასიფიცირებული როგორც სექტორების, ისე დაქვემდებარების მიხედვით:

სქემა 2.2.3.5. ინსტიტუციური ერთეულების კლასიფიკაცია სექტორებისა და მფლობელთა კატეგორიების ქრილში



არაფინანსური, ისევე როგორც ფინანსური კორპორაციები კლასიფიცირდება როგორც სახელმწიფო, თუ მათ კაპიტალში სახელმწიფოს წილი ნახევარზე მეტია და კონტროლდება სახელმწიფო დაწესებულების ან სხვა საჯარო კორპორაციის მიერ. სახელმწიფო კონტროლი ასევე სპეციალური კანონმდებლობით შეიძლება ხორციელდებოდეს. კორპორაციების მფლობელობა კერძო და საგარეო კონტროლის ქვეშ მყოფ კორპორაციებში ასევე კაპიტალში ნახევარზე მეტი წილის ფლობის კრიტერიუმით განისაზღვრება.

2.2.4. ეკონომიკური ნაკადები და ნაშთების მდგომარეობა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაკროეკონომიკური სტატისტიკა, საბოლოო ჯამში, რეალიზდება ინტეგრირებულ ეკონომიკურ ანგარიშებში, რომლებშიც აისახება ოპერაციები, სხვა ეკონომიკური ნაკადები და საბალანსო უწყისები: მაკროეკონომიკური სტატისტიკის უმნიშვნელოვანესი სტრუქტურული ელემენტები. ისინი სხვადასხვა მაკროეკონომიკურ ანგარიშებში გვხვდება და მათი არსის სწორად გაგება მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკური პროცესების ანალიზისათვის.

ეკონომიკური ნაკადები კლასიფიცირდება ოპერაციებად და სხვა ეკონომიკურ ნაკადებად.

ოპერაცია წარმოადგენს ეკონომიკურ ქმედებას, განხორციელებულს ორ ან მეტ ეკონომიკურ ერთეულს შორის, ორმხრივი (ან მრავალმხრივი) შეთანხმების საფუძველზე, ან კანონით განსაზღვრული ქმედების საფუძველზე.

მაკროეკონომიკურ სტატისტიკაში ცნობილია აგრეთვე ეკონომიკური ოპერაციები ინსტიტუციურ ერთეულებს შორის, რომელთა აღიარება ოპერაციად გამართლებულია ანალიტიკური მოსაზრებებით. ზოგიერთი ოპერაცია გამოწვეულია კანონის მოქმედებით, მაგალითად, გადასახადის გადახდა.

ეკონომიკური ნაკადები, რომლებიც არ წარმოადგენს ეკონომიკური ოპერაციების შედეგს, ცნობილია სხვა ეკონომიკური ნაკადების სახელწოდებით.

სხვა ეკონომიკური ნაკადების შემთხვევაში ადგილი არ აქვს ორი ან მეტი ეკონომიკური ერთეულის ჩართულობას, როგორც ეკონომიკური ოპერაციების შემთხვევაში. ასეთი ნაკადები განიხილება მხოლოდ იმ ინსტიტუციური ერთეულის მიმართ, ვისი ეკონომიკური ანგარიშების მიმართაც განვიხილავთ ამ ნაკადებს; ისინი უკავშირდება აქტივებისა და ვალდებულებების სხვა რაოდენობრივ და ღირებულებით ცვლილებებს, რომელთა წინასწარ გათვლა ძნელია. ასეთებია ძირითადი კაპიტალის მოხმარება, აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების ცვლილება (ჰოლდინგური მოგება/ზარალი, ანუ გადაფასება), არაკულტივირებული ბიოლოგიური რესურსების ბუნებრივი ზრდა, არაწარმოებული აქტივების სხვა ნაკადები, როგორებიცაა წიაღისეული რესურსების აღმოჩენა ან სხვა ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური საქმიანობაში ჩართვა, აგრეთვე აქტივების ძალადობრივი მიტაცება და კატასტროფებთან დაკავშირებული დანაკარგები.

გადაფასება დაკავშირებულია აქტივების ღირებულების ცვლილებასთან, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ფასის ან გაცვლითი კურსის ცვლილებით. მას ადგილი აქვს ყოველთვის, როგორც აქტივებისა და ვალდებულებების ფლობის შედეგი.

გადაფასება გამორიცხავს აქტივების ისეთ ცვლილებას, რაც გამოწვეულია ამ აქტივების რაოდენობის ან ხარისხის შემცირებით. ასეთი ცვლილებები აისახება ოპერაციებში ან აქტივების სხვა ცვლილებებში.

გადაფასებასთან დაკავშირებული ჩანაწერები აისახება გადაფასების ანგარიშში. ჰოლდინგური მოგება ზრდის ეკონომიკური ერთეულის ქონებას, ხოლო ჰოლდინგური ზარალი პირიქით - ამცირებს.

აქტივების/ვალდებულებების მოცულობის ცვლილებები, რომლებიც არ არის გამოწვეული ოპერაციებით ან გადაფასებით, კლასიფიცირდება როგორც აქტივების სხვა ცვლილებები და უკავშირდება:

- 1) აქტივების/ვალდებულებების გაჩენას ან გაქრობას, რაც არ არის ოპერაციების შედეგი. მაგალითად, ბუნებრივი რესურსების დაკარგვა, ვალდებულებების ჩამოწერა და ა.შ. ან წარმოებული აქტივების, როგორებიცაა მონუმენტები ან სხვა მსგავსი აქტივები, როგორც ფასულობის აღიარება, არაკულტივირებული ბიოლოგიური რესურსების გაჩენა (როგორებიცაა ტყე, თევზი და ა.შ.); კრედიტორის მიერ ვალის დაბრუნებაზე უარის თქმა (ვალის პატიება)
- 2) საგარეო გავლენებს - მოსალოდნელს ან გაუთვალისწინებელს, რაც არ უკავშირდება ოპერაციებს და გადაფასებას. ასეთი შესაძლოა იყოს დანაკარგები ბუნებრივი კატასტროფის შედეგად, არაკომპენსირებული მიტაცება და სხვ.
- 3) ინსტიტუციური ერთეულის გადაკლასიფიცირებას, მისი სტრუქტურის ცვლილებას, ან აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციაში ცვლილებებს.

აქტივების/ვალდებულებების მოცულობის სხვა ცვლილებებს ადგილი აქვს მაშინ, როცა ხდება მისი საბალანსო უწყისიდან ამოღება, როგორც ბუნებრივი კატასტროფის შედეგი, ან საბალანსო უწყისში ასახვა, როგორც აღმოჩენილი სასარგებლო წიაღისეული.

ურთიერთკავშირი ეკონომიკური აქტივების მარაგებსა და ნაკადებს შორის გამოიხატება კარგად ცნობილი საბალანსო იგივეობის სახით: გარკვეული პერიოდის დასაწყისისთვის ამა თუ იმ აქტივის ან ვალდებულების მდგომარეობის (ნაშთის), პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ოპერაციების, ღირებულების ცვლილებისა და სხვა ცვლილებების ჯამი უნდა იყოს პერიოდის ბოლოსათვის იმავე აქტივების ან ვალდებულებების ნაშთის ღირებულებისა. კერძოდ,

$$C = O + T + V + O$$

ან სხვაგვარად -

$$C - O - T - V - O = 0$$

სადაც: OS არის საწყისი ნაშთი (ნაშთი პერიოდის დასაწყისისათვის);

CS - საბოლოო ნაშთი (ნაშთი პერიოდის ბოლოსათვის);

T - ოპერაციები;

VC - ღირებულების ცვლილება;

$OCVA$ - სხვა ცვლილებები.

ამდენად, ეკონომიკური ნაკადები და ნაშთების მდგომარეობა ინტეგრირებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ნაშთების ცვლილება პერიოდის განმავლობაში სრულიად ახსნადია ზემოთ მოტანილი იგივეობის კომპონენტებით - შედეგია ისინი გატარებული პოლიტიკის, თუ სხვა გარემოებებით არის გამოწვეული. მეორე მხრივ, ნაშთებისა და ნაკადების ამგვარი დამოკიდებულება მნიშვნელოვანია მონაცემთა შესაბამისობის დასადგენად და აგრეთვე მონაცემების ნაკლოვანებების (სისრულის ხარისხის) აღმოსაჩენად.

ეკონომიკური ოპერაციები მრავალგვარია, თუმცა მაკროეკონომიკური სტატისტიკა ოპერაციებს განიხილავს, უპირველეს ყოვლისა, როგორც მონეტარული და არამონეტარული ოპერაციები.

მონეტარული ოპერაციები ყველაზე გავრცელებული ოპერაციებია. რა თქმა უნდა, მაკროეკონომიკურ სტატისტიკაში ყველა ეკონომიკური ნაკადი მონეტარულ გამოსახულებაში აისახება. თუმცა, როცა მონეტარულ ოპერაციებზე ვსაუბრობთ, აქ საქმე ეხება შეთანხმების მონაწილე ორ ან მეტ მხარეს, რომლებიც ერთმანეთში დებენ გარიგებას და რაღაცას ცვლიან ფულზე. მაგალითად, საქონლისა და მომსახურების შეძენა, ფასიანი ქაღალდების შეძენა, ხელფასის გადახდა დაქირავებულებისათვის, პროცენტისა და დივიდენდების მიღება და ა.შ.

მონეტარულ ოპერაციებს შესაძლოა ჰქონდეს გაცვლის ხასიათი (საქონელი-ფული, ანუ რაღაც-რაღაცაზე), ან იყოს ტრანსფერი (რაღაც-არაფერზე).

არამონეტარული ოპერაციებიც ორგვარია: გაცვლა (საქონელი-საქონელი, ანუ რაღაც-რაღაცაზე) და ტრანსფერი (რაღაც-არაფერზე). ეს ისეთი ოპერაციებია, რომლის დროსაც გარიგება არ ითვალისწინებს ფულად ერთეულს. მაგალითად, გარიგების საგანი შესაძლოა იყოს ბარტერი, ან ანაზღაურება ნატურით. მაკროეკონომიკური სტატისტიკა არამონეტარული ოპერაციების ფარგლებში აღიარებს აგრეთვე ეკონომიკურ ოპერაციებს

ერთი ეკონომიკური ერთეულის შიგნით. მაგალითად, მარაგების ცვლილება საკუთარი წარმოების პროდუქციის ხარჯზე, ან ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია.

ტრანსფერი ისეთი ხასიათის ოპერაციაა, როცა ერთი ეკონომიკური ერთეული აწვდის საქონელს, მომსახურებას, ან აქტივებს მეორე ეკონომიკურ ერთეულს ანაზღაურების გარეშე, ან ეკონომიკურად უმნიშვნელო ანაზღაურებით, რაც მნიშვნელოვნად დაბალია მის რეალურ ღირებულებაზე.

ტრანსფერი ორგანოა: მიმდინარე და კაპიტალური. ასეთი დაყოფა გამომდინარეობს ამ ორი კატეგორიის ხასიათისა და გავლენის ერთმანეთისაგან განსხვავებულობის გამო.


კაპიტალური ტრანსფერი ისეთი ტრანსფერია, როცა აქტივებზე (გარდა ფულისა და მარაგებისა) საკუთრების უფლება იცვლება ერთი მხარიდან მეორეზე, ან ჩნდება ერთი ან ორივე მხარის ვალდებულება შეიძინონ ან განკარგონ აქტივები (გარდა ფულისა და მარაგებისა), ან როცა ხდება ვალდებულებების პატიება კრედიტორის მხრიდან.

მიმდინარე ტრანსფერია ყველა ის ტრანსფერი, რომელიც არ არის კაპიტალური.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკონომიკური ნაკადები და ნაშთები ერთმანეთთან ინტეგრირებულია და ეს თვალსაჩინოდ ჩანს საბალანსო უწყისებში. თუმცა, როგორც ნაშთები ისე ნაკადები მაკროეკონომიკური სტატისტიკის სხვადასხვა მიმართულებაში აისახება სხვადასხვა ზომითა და ხარისხით და ემსახურება კონკრეტული ეკონომიკური მოვლენის დეტალურად შესწავლას. კერძოდ, ეროვნულ ანგარიშებში ჩვენ ავსახავთ პროდუქციისა და მომსახურების წარმოებასთან, შემოსავლების განაწილებასთან, კაპიტალისა და ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებულ ნაკადებს, რითაც შევისწავლით წარმოებისა და მოხმარების პროცესებსა და მათ მასშტაბებს; სამთავრობო ფინანსების სტატისტიკაში ეკონომიკური ნაკადები ასახავს მთავრობის ოპერაციებს და აგრეთვე იმას, თუ როგორ ფინანსდება ეს ოპერაციები; საგარეო ეკონომიკურ ნაკადებს ავსახავთ საგადასახდლო ბალანსში ოპერაციების სახით, ხოლო საერთაშორისო ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთებს - საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ანგარიშში, სადაც ასევე ავსახავთ ინფორმაციას ეკონომიკური ნაკადების შესახებ; მონეტარული სტატისტიკა მონეტარული აგრეგატების ნაშთებს ასახავს; ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების ნაშთებისა და ნაკადების შესახებ ასახულია ფინანსურ ანგარიშში და გვიხასიათებს „ვინ-ვის“ აფინანსებს და რა ზომით. საბალანსო უწყისები, სამთავრობო ვალის სტატისტიკა, საგარეო ვალის სტატისტიკა და ეროვნული ანგარიშების დანახარჯები-გამოშვება ცხრილები ეფუძნება ნაშთების ჩანაწერებს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მაკროეკონომიკური სისტემა და სხვა ანგარიშები ერთმანეთთან მჭიდროდ ჰარმონიზებული სისტემებია, ადვილი გასაგები ხდება, თუ რაოდენ დიდი ანალიტიკური მნიშვნელობა აქვს მაკროეკონომიკური სტატისტიკის ჩამოთვლილ მიმართულებებს,

რაოდენ მრავალმხრივ ძალუძთ მათ შეისწავლონ ეკონომიკური მოვლენები და პროცესები, რაც ხდება ამა თუ იმ ეროვნულ ეკონომიკაში თუ მსოფლიოში.

სქემა 2.2.4.1. ეკონომიკური ნაკადების სტრუქტურა



ამდენად, ჩვენ ვისაუბრეთ ეკონომიკურ ნაკადებზე და იმაზე, თუ როგორ ახდენენ ისინი გავლენას ეკონომიკური აქტივების ნაშთებზე. რას წარმოადგენს ეს უკანასკნელი?

ნაშთი არის აქტივის/ვალდებულების მთლიანი მოცულობა, რომელსაც ფლობს ეკონომიკური ერთეული დროის გარკვეული მომენტისათვის. თუმცა იმისათვის, რომ ვისაუბროთ ნაშთებზე მაკროეკონომიკური სტატისტიკის კონტექსტში, პირველ რიგში, უნდა დავადგინოთ აქტივების საზღვრები.

მაკროეკონომიკური სტატისტიკა შეისწავლის მხოლოდ იმ ეკონომიკურ აქტივებს, საიდანაც მისი მფლობელი იღებს ეკონომიკურ სარგებელს და რომელთა მიმართაც შესაძლებელია განხორციელდეს ეკონომიკური საკუთრების უფლება. სწორედ ეს ორი უკანასკნელი პირობაა აუცილებელი, რათა აქტივი იყოს ეკონომიკური აქტივი. ამრიგად, დგინდება აქტივების ის საზღვრები, რაც წარმოადგენს მაკროეკონომიკური სტატისტიკის შესწავლის საგანს ამ კონტექსტში.

ეკონომიკური აქტივი ის რესურსია, რომლის ფლობის უფლებაც აქვს მის მფლობელს და საიდანაც იგი იღებს ეკონომიკურ სარგებელს.

ეკონომიკური სარგებელი ჩნდება ეკონომიკური აქტივის ფლობისა და გამოყენების შედეგად. იგი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. მაგალითად, სარგებელი შეიძლება გამოიხატებოდეს იმის შესაძლებლობაში, რომ გამოყენებული იყოს შესაბამისი აქტივი წარმოებისათვის, ან იძლეოდეს საკუთრებიდან შემოსავალს, ან შესაძლებელი იყოს მისი გაყიდვა და მოგების მიღება.

ინსტიტუციური ერთეული ეკონომიკურ აქტივს შეიძლება ფლობდეს ეკონომიკურად ან იურიდიულად (სამართლებრივად). პირველი მათგანი უკავშირდება ამ აქტივზე სარგებლის მოთხოვნას, შესაბამისი რისკების საკუთარ თავზე აღების ხარჯზე, ხოლო მეორე - აქტივზე სარგებლის მოთხოვნას კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში. მაგალითად, საქართველოს ავიახაზები იღებს ეკონომიკურ სარგებელს თვითმფრინავის გამოყენებიდან, მაგრამ ამავე დროს იღებს პასუხისმგებლობასაც შესაბამისი რისკებზე. უმეტეს შემთხვევაში აქტივების ეკონომიკური მფლობელი და იურიდიული მფლობელი ერთი და იგივეა, თუმცა არის შემთხვევები, როც ეს ასე არ არის. ასეთ შემთხვევაში აქტივის იურიდიული მფლობელი რისკებზე პასუხისმგებლობას გადასცემს ეკონომიკურ მფლობელს. აღნიშნულის მაგალითია ფინანსური ლიზინგი, რომლის პრაქტიკა ხშირად გამოიყენება ავიაციაში, აგრეთვე ბუნებრივი რესურსების გამოყენებაში.

ამდენად, მაკროეკონომიკური სტატისტიკა აქტივებს შეისწავლის მხოლოდ ეკონომიკური მფლობელის ეკონომიკური აქტივების ფარგლებში.

რას წარმოადგენს აქტივი?

აქტივი განისაზღვრება როგორც ღირებულება, რომლის ფლობა ან გამოყენება მის ეკონომიკურ მფლობელს აძლევს სარგებელს.

ეკონომიკური აქტივები კლასიფიცირდება უპირველეს ყოვლისა ფინანსურ აქტივებად და არაფინანსურ აქტივებად.

არაფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც:

-) წარმოებული არაფინანსური აქტივები და
-) არაწარმოებული არაფინანსური აქტივები

წარმოებული არაფინანსური აქტივები ისეთი აქტივებია, რომლებიც წარმოების პროცესის შედეგია, ხოლო არაწარმოებული არაფინანსური აქტივების წარმოშობა უკავშირდება წარმოების პროცესისაგან განსხვავებულ პროცესებს.

არაწარმოებული არაფინანსური აქტივები სამი სახისაა:

-) ბუნებრივი რესურსები;
-) კონტრაქტები, ლიზინგი და ლიცენზიები

) საქმიანი რეპუტაცია (Goodwill) და სხვა მარკეტინგული აქტივები.

სქემა 2.9. ეკონომიკური აქტივების კლასიფიკაცია

1 არაფინანსური აქტივები (1.1 + 1.2)
1.1 არაფინანსური წარმოებული აქტივები (1.1.1 + 1.1.2 + 1.1.3)
1.1.1 ძირითადი ფონდები (1.1.1.1 + 1.1.1.2)
1.1.1.1 ძირითადი მატერიალური ფონდები
1.1.1.2 ძირითადი არამატერიალური ფონდები
1.1.2 მატერიალური საბრუნავი საშუალებები
1.1.3 ფასეულობები
1.2 არაფინანსური არაწარმოებული აქტივები
1.2.1 მატერიალური არაწარმოებული აქტივები
1.2.2 არამატერიალური არაწარმოებული აქტივები
2 ფინანსური აქტივები (2.1 + 2.2 + 2.3 + 2.4 + 2.5 + 2.6 + 2.7 + 2.8)
2.1 მონეტარული ოქრო და სესხის სპეციალური უფლებები
2.2 ვალუტა და დეპოზიტები
2.3 ფასიანი ქაღალდები, აქციების გარდა (სავალო ფასიანი ქაღალდები)
2.4 სესხები
2.5 აქციები და სხვა საკუთარი კაპიტალი
2.6 სადაზღვევო, საპენსიო პროგრამები და სტანდარტული საგარანტიო სქემები
2.7 ფინანსური წარმოებულები
2.8 სხვა მისაღები/გადასახდელი ანგარიშები

ყველა ფინანსურ აქტივს შეესაბამება შემხვედრი ვალდებულება, გარდა ოქროს ზოდებისა, რომლებიც ასევე ჩვეულებრივი ფინანსური აქტივია და სარეზერვო აქტივის როლს ასრულებს.

ვალდებულება წარმოიშვება მაშინ, როცა ერთ ინსტიტუციურ ერთეულს - დებიტორს, გარკვეული ვითარების გამო, უჩნდება ვალდებულება მიაწოდოს ფონდები მეორე ერთეულს - კრედიტორს. ზოგადად, ვალდებულება გაფორმებულია კონტრაქტით, სადაც დაკონკრეტებულია ვალდებულების პირობები და გადახდის ვადები. ტიპურ შემთხვევაში, ვალდებულების წარმოქმნა უკავშირდება იმას, რომ ერთი ინსტიტუციური ერთეული - კრედიტორი აძლევს სახსრებს მეორეს - დებიტორს, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. თუმცა, ვალდებულებას შესაძლოა საფუძველად ჰქონდეს კანონიც, მაგალითად, ჯარიმის გადახდა კომერციული კონტრაქტის დარღვევისთვის, ან ადგილი ჰქონდეს გადასახადების გადახდის ვალდებულებას. ვალდებულება შესაძლოა წარმოშვას რაიმე მოვლენამ, რაც წარმოშობს შემდგომში ვალდებულების გადახდის

საჭიროებას. ამ უკანასკნელის მაგალითია ლატარიაში თანხის მოგება, რაც წარმოშობს შესაბამისი გადახდის ვალდებულებას მომავალში.

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ვალდებულებას ადგილი აქვს მაშინ, როცა კრედიტორს აქვს შესაბამისი მოთხოვნა დებიტორის მიმართ. ფინანსურ მოთხოვნას კრედიტორისთვის მოაქვს სარგებელი პროცენტის ან დივიდენდის სახით. ფინანსური მოთხოვნები იგივე ფინანსური აქტივებია, მონეტარული ოქროს ჩათვლით, რომელიც მონეტარული ხელისუფლების განკარგულებაშია და გამოიყენება, როგორც სარეზერვო აქტივი.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავისი ხასიათითა და შინაარსით მრავალგვარია, ამიტომ მაკროეკონომიკურ სტატისტიკაში მათი კლასიფიცირება ხდება შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტებად.

2.2.5. ფინანსური ინსტრუმენტები

ზემოთ ჩვენ გავეცანით ნაშთებსა და ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენენ ინსტიტუციურ ერთეულებს, როგორც კრედიტორებსა და დებიტორებს შორის ურთიერთობების შედეგებს. ეს ურთიერთობები მრავალგვარია და ამასთან განმტკიცებულია სხვადასხვა ტიპის ფინანსური კონტრაქტებით. ეს უკანასკნელი გამოხატულია ფინანსურ ინსტრუმენტებში, რომლებიც წარმოადგენენ როგორც საბალანსო უწყისის სტრუქტურის, ისე ნაშთებისა და ნაკადების სტატისტიკის საფუძველს. ამდენად, მნიშვნელოვანია ამ ფინანსური ინსტრუმენტების თავისებურებების ცოდნა, რათა შესაბამის მონაცემთა ანალიზი და ინტერპრეტირება იყოს ადეკვატური.

ფინანსური ინსტრუმენტები წარმოადგენს ფინანსურ კონტრაქტებს ინსტიტუციურ ერთეულებს შორის.

თუმცა, ყველა ფინანსური ინსტრუმენტი არ წარმოადგენს ფინანსურ აქტივს და არ არის საბალანსო უწყისის ნაწილი. ეს დამოკიდებულია იმაზე ფინანსურ ურთიერთობებს გააჩნიათ თუ არა თვალსაჩინო ღირებულება.

ფინანსური აქტივი არის ფინანსური მოთხოვნა, რომელსაც აქვს თვალსაჩინო ღირებულება და აისახება ინსტიტუციური ერთეულის საბალანსო უწყისში. ასეთი ფინანსური მოთხოვნა გამოხატავს ურთიერთობას აქტივის მფლობელ ინსტიტუციურ ერთეულს, ანუ კრედიტორსა და მოკორესპონდენტო ვალდებულების მქონე ერთეულს, ანუ დებიტორს შორის.

აღნიშნულისაგან განსხვავებით, არის ფინანსური ურთიერთობები, რომელთაც არ გააჩნიათ თვალსაჩინო ღირებულება და არ აქვთ ფინანსური ღირებულება, სანამ მომავალში არ განხორციელდება რაიმე პირობა. შესაბამისად, ასეთი ინსტრუმენტი არ წარმოადგენს ფინანსურ აქტივს და აისახება არა საბალანსო უწყისში, არამედ ბალანსგარეშე ანგარიშებში. ასეთი ინსტრუმენტების მაგალითებია ფინანსური გარანტიები, ან გამოუყენებელი საკრედიტო ხაზები.

ამდენად, ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს ფინანსურ ურთიერთობებს, რომელთაც გააჩნიათ თვალსაჩინო ღირებულება. ეს უკანასკნელი განისაზღვრება შემდეგი სამი პრინციპით:

-)] საკუთრების უფლება ფინანსურ მოთხოვნაზე განხორციელებადია ინდივიდუალურად ან კოლექტიურად ინსტიტუციური ერთეულის მიერ;
-)] შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის (პროცენტი, დივიდენდი, ან ერთი აქტივის მეორეზე გაცვლის შედეგად მიღებული სარგებელი) მიღება აქტივების ფლობის ან გამოყენების შედეგად გარკვეული პერიოდის განმავლობაში;
-)] ფინანსური მოთხოვნა მხარდაჭერილი უნდა იყოს სახელმეკრულებო ურთიერთობით, რომლის მეშვეობითაც ერთი ინსტიტუციური ერთეული აწვდის ფონდებს მეორე ინსტიტუციურ ერთეულს.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში შემოთავაზებულია რვა სახის ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომლებიც იყოფა სავალო ინსტრუმენტებად და არასავალო ინსტრუმენტებად.

სავალო ინსტრუმენტები:

-)] მონეტარული ოქრო და სესხების სპეციალური უფლებები (SDRs),
-)] ვალუტა და დეპოზიტები,
-)] სავალო ფასიანი ქაღალდები,
-)] სესხები,
-)] დაზღვევა, საპენსიო და სტანდარტული საგარანტიო სქემები,
-)] სხვა მისაღები/გადასახდელი ანგარიშები.

არასავალო ინსტრუმენტები:

-)] საკუთარი კაპიტალი და საინვესტიციო ფონდების აქციები,

) ფინანსური წარმოებულები და ოფციონები თანამშრომელთა აქციებზე.

სავალო ინსტრუმენტი ისეთი ფინანსური აქტივია, რომლის მფლობელსაც აქვს უფლება მიიღოს/დაიბრუნოს როგორც ძირითადი თანხა ისე საპროცენტო შემოსავალი მასზე. ხოლო დებიტორის მხრიდან, ვალი არის ყველა ვალდებულება, რომელიც ექვემდებარება კრედიტორისათვის გადახდას მომავალში, როგორც ძირითადი თანხის, ისე პროცენტის.

მონეტარული ოქრო მოიცავს მხოლოდ იმ ოქროს, რომელსაც ინახავს ცენტრალური ბანკი ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოები (ან სხვა სუბიექტები, რომლებსაც აკონტროლებენ ცენტრალური ბანკი ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოები) და რომელიც წარმოადგენს ქვეყნის ოფიციალური რეზერვების ნაწილს. მონეტარულ ოქროს მიეკუთვნება ოქრო, რომელიც არსებობს მონეტებისა და ზოდების ფორმით და რომლებიც სულ მცირე 995/1000 სინჯისაა. ოქროს მარაგი, რომელიც არ შედის სარეზერვო აქტივების შემადგენლობაში და არ კლასიფიცირდება როგორც მონეტარული ოქრო, წარმოადგენს არამონეტარულ ოქროს და კლასიფიცირდება როგორც არაფინანსური აქტივი.

სესხების სპეციალური უფლებები (SDRs) წარმოადგენს საერთაშორისო სარეზერვო აქტივს, რომელიც შექმნილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ 1969 წელს მისი წევრი ქვეყნების ოფიციალური რეზერვების მხარდასაჭერად. მისი ღირებულება განისაზღვრება მასში შემავალი ვალუტების კალათის ღირებულების შესაბამისად. ამ კალათის შემადგენლობის გადახედვა ხდება ყოველ 5 წელიწადში ერთხელ და ემსახურება სესხის სპეციალური უფლებების, როგორც საერთაშორისო აქტივის მიზიდველობის გაზრდას. 2015 წლის ნოემბერში, ფონდის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით მოხდა SDRs-ის კალათის მორიგი გადასინჯვა და გადაწყდა, რომ მის შემადგენლობას დაემატოს მე-5 ვალუტა - ჩინური რენმინბი (RNB). საერთოდ, SDRs-ის კალათის შემადგენლობაში ჩართვას ექვემდებარება ისეთი ვალუტები, რომლებიც აკმაყოფილებენ თავისუფლად მიმოქცევადი ვალუტის კრიტერიუმებს. ზემოთ აღნიშნული 2015 წლის ნოემბრის გადაწყვეტილება ძალაში შედის 2016 წლის 1 ოქტომბრიდან. შესაბამისად, ამ თარიღიდან 5 წლის განმავლობაში SDRs-ის კალათის შემადგენლობაში იქნება: აშშ დოლარი, ევრო, იაპონური იენი, ფუნტი სტერლინგი და ჩინური რენმინბი.

თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ესა თუ ის ვალუტა SDRs-ის კალათის შემადგენლობაში მოსახვედრად, განისაზღვრება საერთაშორისო სავალუტო ფონდის შესაბამისი მეთოდოლოგიით. ამჟამად ასეთ კრიტერიუმებად მიჩნეულია ექსპორტის კრიტერიუმი და თავისუფლად მიმოქცევადობის კრიტერიუმი.

SDRs-ის კალათის შემადგენლობის განსაზღვრის ექსპორტის კრიტერიუმის შემოღება (1970 წლის მეთოდოლოგიით) ემსახურება იმის აღიარებას, რომ კანდიდატი ვალუტის ემიტენტი ქვეყანა ან სავალუტო კავშირი ასრულებს ცენტრალურ როლს გლობალურ ვაჭრობაში. თვით კრიტერიუმი კი გულისხმობს ასეთი ქვეყნის ან სავალუტო კავშირის ექსპორტის უდიდეს წილს მსოფლიო ექსპორტში ბოლო 5 წლის განმავლობაში.

თავისუფლად მიმოქცევადობის კრიტერიუმი (2000 წლის მეთოდოლოგიით) ხაზს უსვამს ფინანსური ოპერაციების მნიშვნელობას გლობალურ ეკონომიკაში და გულისხმობს კანდიდატი ვალუტის ფართოდ გამოყენებას საერთაშორისო ოპერაციებში და ფართოდ ვაჭრობადობას საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადგილი აქვს კაპიტალის ანგარიშის შეზღუდვებს ცალკეულ შემთხვევაში (მაგალითად, ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა ფუნტი სტერლინგის და იაპონური იენის თავისუფლად მიმოქცევად ვალუტებად აღიარებისას, როცა მათ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა კაპიტალის შეზღუდვებს). ეს კრიტერიუმები არ გულისხმობს თავისუფლად კონვერტირებადობას. ანუ, თუ ვალუტა თავისუფლად კონვერტირებადია, ეს აუცილებლად არ ნიშნავს მის ფართოდ გამოყენებადობას საერთაშორისო ოპერაციებში და ფართოდ ვაჭრობადობას საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე.

SDRs-ის განაწილება წევრი ქვეყნების მიხედვით ხდება ფონდში თითოეული მათგანის კვოტის შესაბამისად და წარმოადგენს მფლობელი ქვეყნის პოტენციურ მოთხოვნას წევრი ქვეყნების ვალუტების თავისუფლად გამოყენებაზე. ეს ხდება ორი გზით: წევრ ქვეყნებს შორის ნებაყოფილობითი გაცვლით, ან ფონდის სპეციალური დონისძიებით, როდესაც მისი მითითებით მყარი საგარეო პოზიციის მქონე ქვეყანა ყიდულობს SDRs-ს სუსტი საგარეო პოზიციის მქონე ქვეყნისაგან.

SDRs-ის კალათის შემადგენლობაში ახალი ვალუტის დამატების კვალობაზე, 2016 წლის ოქტომბრიდან შეიცვლება შემავალი ვალუტების წონებიც. კერძოდ, ეს წონები ასე გადანაწილდება²:

-) აშშ დოლარი 41.73 პროცენტი (2010 წელს დადგენილი 41.9 პროცენტის ნაცვლად);
-) ევრო - 30.93 პროცენტი (შესაბამისად, 37.4 პროცენტის ნაცვლად);
-) ჩინური რენმინბი - 10.92 პროცენტი;
-) იაპონური იენი - 8.33 პროცენტი (9.4 პროცენტის ნაცვლად);
-) ფუნტი სტერლინგი - 8.09 პროცენტი (11.3 პროცენტის ნაცვლად).

² <http://www.imf.org/external/np/exr/facts/sdrcb.htm>

აღსანიშნავია, რომ ჩინური რენმინბის ჩართვა SDRs-ის კალათაში პირველი დიდი ცვლილებაა 1980 წლის შემდეგ, როცა კალათის მოცულობა შემცირდა 16-დან 5 ვალუტამდე და აგრეთვე 1999 წლის ცვლილების შემდეგ, როცა გერმანული მარკა და ფრანგული ფრანკი ევრომ შეცვალა.

2016 წლის მარტის მდგომარეობით საერთაშორისო სავალუტო ფონდს შექმნილი და წევრ ქვეყნებში განთავსებული ჰქონდა 204.1 მლრდ SDRs, ანუ დაახლოებით 285 მლრდ აშშ დოლარის ექვივალენტი თანხა³. SDRs-ის კალათის მოცულობისა და სტრუქტურის მომდევნო გადახედვა 2021 წლის 30 სექტემბერს იგეგმება.

სესხის სპეციალური უფლებების ავუარები წარმოადგენს სხვა წევრი ქვეყნებისაგან უცხოური ვალუტის ან სხვა სარეზერვო აქტივების მიღების უპირობო უფლებას.

ვალუტა წარმოადგენს ბანკნოტებსა და მონეტებს, რომელთაც გააჩნიათ ფიქსირებული ნომინალური ღირებულება და ემიტირებულია ცენტრალური ბანკის ან მთავრობის მიერ.

ვალუტა იყოფა ეროვნული ვალუტისა და უცხოური ვალუტის დამოუკიდებელ კატეგორიებად. ეს უკანასკნელი წარმოადგენს სხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკების ან მთავრობების ვალდებულებებს.

სამახსოვრო ან ნუმისმატიკური დანიშნულების მონეტები, რომლებიც არ მიმოიქცევა, როგორც გადანდის საშუალება, კლასიფიცირდება როგორც არაფინანსური აქტივები.

ცენტრალური ბანკის ან ცენტრალური მთავრობის ვალუტის მარაგები, რომლებიც არ არის გაშვებული მიმოქცევაში, ან მიმოქცევიდან ამოღებული ნაღდი ვალუტა, არ წარმოადგენს ფინანსურ აქტივებს.

დეპოზიტები მოიცავს ყველა მოთხოვნას ცენტრალური ბანკის, სხვა დეპოზიტური დაწესებულებების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების და, ზოგიერთ შემთხვევაში, სხვა ინსტიტუციური ერთეულების მიმართ, რაც წარმოადგენილია ანაბრის დამადასტურებელი მოწმობით. დეპოზიტების კატეგორიაში შედის მიმდინარე ანგარიშები და სხვა დეპოზიტები.

მიმდინარე დეპოზიტები მოიცავს ყველა დეპოზიტს, რომლის:

-) განაღდება შეიძლება ნომინალის მიხედვით პირველი მოთხოვნისთანავე, ჯარიმის გადახდის ან რაიმე შეზღუდვის გარეშე და

³ <http://www.imf.org/external/np/exr/facts/sdr.htm>

-) გამოყენება შეიძლება უშუალოდ გადახდის განსახორციელებლად ჩეკის, ტრატის, ჟირო-დავალების, პირდაპირი ჩარიცხვის/ჩამოწერის ან პირდაპირი გადახდის სხვა მექანიზმების საშუალებით.

სხვა დეპოზიტების კატეგორია მოიცავს ყველა მოთხოვნას, მიმდინარე ანგარიშების გარდა, რაც წარმოდგენილია ანაბრის დამადასტურებელი მოწმობით.

სავალო ფასიანი ქაღალდები ისეთი ფინანსური მოთხოვნებია, რომლებიც გარიგების საგანია. ეს ნიშნავს, რომ მასზე კანონიერი მფლობელობის უფლება ადვილად გადაცემადია ერთი ინსტიტუციური ერთეულიდან მეორეზე მიწოდების ან დადასტურების (ხელმოწერის) გზით. სავალო ფასიანი ქაღალდები, როგორც წესი, გაყიდვადია ორგანიზებულ ბაზარზე, როგორცაა საფონდო ბირჟა. ყველაზე გავრცელებული სახის სავალო ფასიანი ქაღალდებს მიეკუთვნება სახაზინო ვექსელები, სახელმწიფო ობლიგაციები, კორპორაციების ობლიგაციები და არაუზრუნველყოფილი სავალო ვალდებულებები, კორპორაციების ვექსელები და დეპოზიტური კორპორაციების მიერ გამოშვებული სადეპოზიტო სერთიფიკატები. სავალო ფასიანი ქაღალდების ასახვა საბალანსო უწყისში ხდება საბაზრო ფასებით. ეს უკანასკნელი უკეთ ასახავს იმ ღირებულებას, რაც შეუძლია მიიღოს სავალო ფასიანი ქაღალდის მფლობელმა ამ აქტივის ლიკვიდაციის შემთხვევაში. გარდა ამისა, საბაზრო ფასის გამოყენება უზრუნველყოფს დებიტორისა და კრედიტორის საბალანსო უწყისებში გატარებული თანხების შესადარისობას. თუ ამა თუ იმ მიზეზის გამო საბაზრო ფასის დადგენა შეუძლებელია, მაშინ ასეთი სავალო ფასიანი ქაღალდების მიმართ რეკომენდებულია სამართლიანი ფასის გამოყენება, ანუ დაახლებით ისეთი ფასის, რაც გააჩნია მსგავს ინსტრუმენტებს.

სესხები წარმოადგენს ფინანსურ აქტივებს, რომლებიც წარმოიქმნება, როცა კრედიტორი სახსრებს აწვდის პირდაპირ მოვალეს. აქტივების ამ კატეგორიაში შედის ასევე განვადებით შეძენაზე გაცემული სესხები, აგრეთვე სესხები საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან.

დაზღვევა, საპენსიო და სტანდარტული საგარანტიო სქემები წარმოადგენს სადაზღვევო კომპანიების ვალდებულებებს პოლისის მფლობელთა და ბენეფიციარების მიმართ. იგი მოიცავს გამოუმუშავებელი პრემიისა და ზარალების რეზერვების თანხებს.

სხვა მისაღები და გადასახდელი ანგარიშები (სხვა დებიტორების/კრედიტორების ანგარიშები) მოიცავს:

-) სავაჭრო კრედიტებსა და ავანსებს
-) სხვა ანგარიშებს.

სხვა ანგარიშების კატეგორია გამოიყენება ყველა იმ მუხლის ჩასაწერად, რომელიც სხვაგან არსად არ არის დაფიქსირებული. იგი ასევე მოიცავს მომავალი პერიოდის შემოსავალს და სესხის შესაძლო დანაკარგისა და სხვა რეზერვებს.

სხვა დებიტორები/კრედიტორების კატეგორიაში განხილული სავაჭრო კრედიტები უნდა განვასხვაოთ სესხების კატეგორიაში განხილული ვაჭრობაზე გაცემული კრედიტებისაგან. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ეს უკანასკნელი არის პროცენტის (შემოსავლის) მომტანი, მაშინ, როცა პირველი მათგანი არ არის პროცენტის (შემოსავლის) მომტანი.

არასავალო ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს იმ ფინანსურ აქტივებს, რომლებიც არ წარმოადგენს სავალო ინსტრუმენტებს. ისინი დაკავშირებულია ისეთ გადასახდებლებთან, რომლებიც განსხვავებულია ძირითადი თანხისა და პროცენტისაგან. აქედან გამომდინარე, ასეთი აქტივის მფლობელის მიერ მისაღები თანხების განსაზღვრა წინასწარ შეუძლებელია.

არასავალო ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვა საბალანსო უწყისებში ხდება საბაზრო, ან სამართლიანი ფასებით.

არასავალო ფასიანი ქაღალდები ორგვარია:

-) საკუთარი კაპიტალი და საინვესტიციო ფონდების აქციები, და
-) ფინანსური წარმოებულები.

საკუთარი კაპიტალი და საინვესტიციო ფონდების აქციები მოიცავს ყველა იმ ინსტრუმენტს და დოკუმენტაციას, რომელიც ადასტურებს მოთხოვნას კორპორაციის ქონებაზე, მას შემდეგ რაც დაკმაყოფილება ყველა კრედიტორის მოთხოვნა. საინვესტიციო ფონდების აქციები წარმოადგენს კაპიტალში მონაწილეობის უფლებას და, როგორც წესი, დასტურდება ისეთი დოკუმენტებით, როგორებიცაა აქციები, პაი, წილობრივი მონაწილეობის სერთიფიკატი და ანალოგიური დოკუმენტები. ეს კატეგორია მოიცავს კორპორაციის მესაკუთრეთა სახსრების წმინდა ღირებულებას.

ფინანსური წარმოებულები და ოფციონები თანამშრომელთა აქციებზე ისეთი ინსტრუმენტებია, რომლებიც დაკავშირებულია სპეციფიკურ ფინანსურ ინსტრუმენტთან, მაჩვენებელთან ან საქონელთან და რომლის მეშვეობითაც კონკრეტული ფინანსური რისკები (საპროცენტო განაკვეთის რისკი, სავალუტო რისკი, ფასის ცვლილების რისკი, საკრედიტო რისკი და ა.შ.) ივაჭრება ფინანსურ ბაზრებზე. ფინანსური წარმოებული წარმოადგენს კონტრაქტს, რომლის მიხედვითაც მხარეები იღებენ ვალდებულებას შეასრულონ რაიმე მოქმედება (იყიდონ, გაყიდონ, მიიღონ ან გადასცენ კონკრეტული საქონელი ან ფასიანი ქაღალდი) საბაზო აქტივის მიმართ. ფინანსური წარმოებულები კონტრაქტებია ორ მხარეს შორის, რომელთა მიხედვითაც

ისინი იღებენ ვალდებულებას ან უფლებას გადასცენ კონკრეტული აქტივი ან თანხა დადგენილ ვადაში და შეთანხმებულ ფასში. ფინანსური წარმოებულების მაგალითებია ფუჩერსები, ფორვარდული კონტრაქტები, სვოპები, ოპციონები და ა.შ.

ამდენად:

-) ფინანსური აქტივები წარმოიშვება მხოლოდ იმ ფინანსური ურთიერთობებიდან, რომლებსაც გააჩნიათ თვალსაჩინო ღირებულება,
-) ფინანსური აქტივები ჯგუფდება რვა კატეგორიად, რომლებიც თავის მხრივ დაყოფილია სავალო და არასავალო ინსტრუმენტებად.
-) ყველა მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემა იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების და მათ შორის ფინანსური აქტივების ერთნაირ კლასიფიკაციებს.

2.2.6. აღრიცხვიანობის პრინციპები

მაკროეკონომიკურ სტატისტიკაში გამოყენებული ანგარიშების სტრუქტურა იმგვარად არის აგებული, რომ შესაძლებელი იყოს ყველა სახის ეკონომიკური საქმიანობის ასახვა ცალკეული ინსტიტუციური ერთეულის, ერთეულთა ჯგუფის, ინსტიტუციური სექტორის და ეროვნული ეკონომიკის ყველა სექტორის, ასევე საზღვარგარეთის სექტორის ანგარიშების გაანგარიშება თანმიმდევრულად და ერთმანეთთან შესაბამისობაში. ეს სრულიად შესაძლებელია იქიდან გამომდინარე, რომ ყველა მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემა იყენებს აღრიცხვიანობის ერთიან პრინციპებს და წესებს.


მაკროეკონომიკური სტატისტიკა, ბუღალტრული აღრიცხვის მსგავსად, იყენებს ორმაგი ჩაწერის პრინციპს. ეს პრინციპი კარგად არის ჩამოყალიბებული ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში. იმისათვის, რომ ავხსნათ ამ პრინციპის გამოყენების არსი, უნდა განვასხვაოთ ბუღალტრული ჩაწერის სამი ტიპი:

-) ვერტიკალური ორმაგი ჩაწერა,
-) ჰორიზონტალური ორმაგი ჩაწერა, და
-) ოთხმაგი ჩაწერა.

ვერტიკალური ორმაგი ჩაწერის პრინციპის გამოყენება იგივეა, რაც ორმაგი ჩაწერა ბუღალტერიაში, რომლის დროსაც ნებისმიერი ოპერაციის გატარება ხდება მინიმუმ ორ ანგარიშზე: როგორც კრედიტი და როგორც დებეტი და ამასთან, ყველა საკრედიტო ჩანაწერის ჯამი ტოლი უნდა იყოს ყველა სადებეტო ჩანაწერის ჯამისა, ყველა


ეკონომიკური ნაკადის მიხედვით. ეროვნულ ანგარიშებში „ვერტიკალური“ ორმაგი ჩაწერის მიდგომის გამოყენება გამოიხატება იმაში, როცა ინსტიტუციური ერთეულის ყოველი ოპერაცია იწერება ორჯერ: ანგარიშის მარჯვენა მხარეს, როგორც **რესურსი** (ვალდებულების ცვლილება; იმ ოპერაციების ჩასაწერად, რომლებიც ზრდის ინსტიტუციური ერთეულის/სექტორის ეკონომიკური ღირებულების მოცულობას) და ანგარიშის მარცხენა მხარეს, როგორც **გამოყენება** (აქტივის ცვლილება; იმ ოპერაციებისათვის, რომლებიც ამცირებს ინსტიტუციური ერთეულის/სექტორის ეკონომიკური ღირებულების მოცულობას).

ვთქვათ, A ეკონომიკური ერთეული ყიდულობს 10 ერთეულის აქტივებს B ეკონომიკური ერთეულისაგან და გადახდას ახორციელებს ნაღდი ფულით. A-ს ბუღალტრულ ჩანაწერებში განხორციელდება შემდეგი გატარება: დებეტი (აქტივების შეძენა) -10, კრედიტი (ფულის შემცირება) - 10.




ადრიცხვიანობის ასეთი სისტემა საბალანსო უწყისში უზრუნველყოფს იმას, რომ აქტივების ჯამი ტოლი იყოს ვალდებულებების ჯამს პლუს წმინდა ქონება (გამომდინარე იქიდან, რომ აქტივებს მინუს ვალდებულებები უდრის წმინდა ქონებას).

შესაბამისად, B-ს ბუღალტრულ ჩანაწერებში გაჩნდება გატარება: კრედიტი (აქტივების გაყიდვა) – 10 და დებეტი (ფულის ზრდა) – 10.




ამდენად, ვერტიკალური ორმაგი ჩაწერის პრინციპი ფუნდამენტური პრინციპია საბალანსო უწყისის წარმოებისას.




ჰორიზონტალური ორმაგი ჩაწერის პრინციპის გამოიყენება იმისათვის, რომ ავსახოთ ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთკავშირი სხვადასხვა ინსტიტუციურ ერთეულებს შორის. ასეთი ჩაწერა უზრუნველყოფს თითოეული ოპერაციის მიხედვით კონტრაგენტი მხარეების ჩანაწერების შესაბამისობას. ეს ნიშნავს, რომ, ჩვენი მაგალითის მიხედვით,

ერთეული A-ს მიერ აქტივების შეძენის ღირებულება ტოლი უნდა იყოს ერთეული B-ის მიერ აქტივების გაყიდვის ღირებულებისა. ასევე, A-ს მიერ გადახდილი თანხის მოცულობა ტოლი უნდა იყოს B-ის მიერ მიღებული თანხის მოცულობისა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ ოპერაცია ერთი ეკონომიკური ერთეულისათვის რესურსია, მეორისთვის ეს გამოყენებაა. მაგალითად, ყველა ეკონომიკური ერთეულის მიერ გადახდილი ხელფასი, დაქირავებულების მიერ მიღებული ხელფასის ტოლი უნდა იყოს.



როცა ერთდროულად ვიყენებთ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ორმაგ ჩაწერას, სახეზე გვაქვს **ოთხმაგი ჩაწერის პრინციპის** გამოყენება. სწორედ ოთხმაგ ჩაწერას ეფუძნება ეროვნულ ანგარიშთა სისტემის წარმოება. ამასთან, საგარეო სექტორის სტატისტიკა, სამთავრობო სტატისტიკა და მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა იყენებს ვერტიკალური ორმაგი ჩაწერის პრინციპს. ორივე შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ აქტივები და ვალდებულებები იყოს შესაბამისობაში, როგორც შეფასების, ისე დროულობის, კლასიფიკაციების თვალსაზრისით.



აქტივები და ვალდებულებები შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა **ნაშთებისა და ნაკადების ანგარიშებში გატარების დრო**. ეს არის მაკროეკონომიკური სტატისტიკის აღრიცხვიანობის წესებიდან კიდევ ერთ-ერთი წესი. აქ უნდა განვასხვავოთ გატარების დრო, ერთი მხრივ ნაშთების, და მეორე მხრივ ნაკადების შემთხვევებისთვის.

როგორც ცნობილია, საბალანსო უწყისი, რომლის შედგენაც ხდება გარკვეული თარიღისათვის, ასახავს ნაშთების მდგომარეობას სწორედ მოცემული კონკრეტული თარიღისათვის.

სხვაგვარადაა საქმე ნაკადების შემთხვევაში. ეკონომიკური ნაკადები, იქნება ეს ოპერაციები თუ სხვა ნაკადები, ხორციელდება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში და გავლენა აქვს ნაშთებზე, რადგანაც ორივე ეს კატეგორია ინტეგრირებულია მაკროეკონომიკურ სტატისტიკაში.

ეროვნული ანგარიშვიანობის ზოგადი პრინციპია, რომ ინსტიტუციურ ერთეულებს შორის ოპერაციები უნდა აღრიცხოს მაშინ, როცა მოთხოვნები და ვალდებულებები/ეკონომიკური ღირებულებები იქმნება, გარდაიქმნება, იცვლება, გადაეცემა (ტრანსფერი), ან დაიფარება (ვალი). ეს მიდგომა ცნობილია **ღარიცხვის მეთოდის სახელწოდებით**. ასეთი აღრიცხვა შესაძლოა ემთხვეოდეს კიდევ საკასო მეთოდით აღრიცხვას, ე.ი. როცა აღრიცხვის დრო ემთხვევა ამა თუ იმ ოპერაციისათვის ფულის გადახდას. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში მოთხოვნის წარმოქმნა და ფულის გადახდის ოპერაციები დროში განსხვავებულია.

ეროვნულ ანგარიშებში და, შესაბამისად, მაკროეკონომიკურ სტატისტიკაში, ნაკადები და ნაშთები სხვადასხვა დროს აღირიცხება:

-) ნაკადები აღირიცხება დროის გარკვეული პერიოდისათვის (კალენდარული წელი ან კვარტალი),
-) ნაშთები აღირიცხება გარკვეული თარიღისათვის, კერძოდ, მაგალითად, საანგარიშო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის.

გარდა ამ ზოგადი მიდგომისა, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა აზუსტებს აღრიცხვის დროის განსაზღვრას კონკრეტული ოპერაციებისათვის. კერძოდ:

-) საქონლის შექმნის დროდ ითვლება ამ საქონელზე საკუთრების ცვლილების მომენტი. თუმცა, თუ ასეთის დადგენა გაძნელებულია, მაშინ შექმნის დროდ ითვლება ის დრო, როცა კონტრაგენტები თავიანთ ანგარიშებში ასახავენ საკუთრების უფლების ცვლილებას ამ საქონელზე.
-) საქონლის იმპორტი და ექსპორტი აღირიცხება მაშინ, როცა მასზე საკუთრების უფლების ცვლილება მოხდება. თუ აღნიშნულის დადგენა შეუძლებელია, მაშინ ასეთ დროდ ითვლება საქონლის მიერ საზღვრის გადაკვეთის დრო.
-) მომსახურების აღრიცხვის დროდ მიჩნეულია ის დრო, როდესაც იგი გაეწევა მომხმარებელს.
-) გამოშვება აღირიცხება იმ პერიოდის მიხედვით, რომლის განმავლობაშიც განხორციელდა მისი წარმოების პროცესი.
-) შუალედური მოხმარება აღირიცხება იმ დროის მიხედვით, როცა იგი ჩაერთვება წარმოების პროცესში.
-) მარაგები ასოცირდება იმ პროდუქტებთან, რომელთა შექმნა ხდება წარმოების პროცესში ჩასართველად ან საბითუმო ან საცალო გაყიდვასათვის. ყველა შემთხვევაში მათი აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ხორციელდება მათი შექმნა. მარაგების შემცირება აღირიცხება მაშინ, როცა ხდება მათი გაყიდვა ან გამოყენება, როგორც შუალედური მოხმარება, ან სხვა მიზნებისთვის.
-) გამანაწილებელი ოპერაციები, როგორებიცაა შრომის ანაზღაურება, პროცენტის გადახდა, იჯარის გადასახადი, სოციალური შეღავათები და ა.შ. აღირიცხება იმ პერიოდისათვის, როცა ეს თანხები უკვე გადასახდელია.
-) გადასახადები აღირიცხება იმ პერიოდისათვის, როცა ის ოპერაციები ხორციელდება, რომლებიც წარმოშობს საგადასახადო ვალდებულებებს.
-) მიმდინარე გადასახადები აღირიცხება მაშინ, როცა წარმოიშვება ის შემოსავლები, რასაც უკავშირდება ეს გადასახადები.

იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური მოვლენა დაკავშირებულია ფულის გადახდასთან მოგვიანებით, მაშინ დარიცხვის მეთოდით რეგისტრირებული ოპერაცია ფულის ნაკადის

განხორციელებას უკავშირდება გატარებით „სხვა გადასახდელ ანგარიშებში“; აღნიშნულის საილუსტრაციოდ განვიხილოთ ასეთი მაგალითი: ვთქვათ A ერთეულმა შეიძინა აქტივი B ერთეულისაგან პირველ კვარტალში. ერთეული A აღნიშნული აქტივის მფლობელი გახდა პირველ კვარტალში. კონტრაქტის მიხედვით A ერთეულმა შეძენილი აქტივის ღირებულება უნდა გადაიხადოს მე-3 კვარტალში. დარიცხვის მეთოდიდან გამომდინარე, აქტივის შეძენის ოპერაციის გატარება უნდა მოხდეს პირველ კვარტალში: ძირითადი ფონდები - დებეტი, სხვა გადასახდელი ანგარიშები - კრედიტი. მე-3 კვარტალში განხორციელდება ფულის გადახდა და შესაბამისი გატარებები იქნება: სხვა გადასახდელი ანგარიშები - დებეტი, ფული და დეპოზიტები - კრედიტი.

საკასო მეთოდი გულისხმობს, როცა ნაკადები რეგისტრირდება მაშინ, როცა ფული ჩაირიცხება ან გადაიხდება. ეს მეთოდი გამოიყენება მხოლოდ ფულადი ნაკადების და არა ეკონომიკური ნაკადების დროს.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის რეკომენდაციაა ოპერაციების შეფასება **საბაზრო ფასებში**. საბაზრო ფასი წარმოადგენს კონკრეტული გარიგების ფასს. თუ საბაზრო ფასის დადგენა შეუძლებელია, მაშინ გამოიყენება ფასი, წარმოქმნილი დანახარჯების მიხედვით (მაგალითად, მთავრობის მიერ გაწეული არასაბაზრო მომსახურება), ან ანალოგიურ საქონელსა და მომსახურებაზე არსებული ფასების შესაბამისად.

გამოშვების შეფასება ხდება **საბაზისო ფასებში და მწარმოებლის ფასებში**.

საბაზისო ფასი არის პროდუქტის ღირებულება, რასაც იღებს მწარმოებელი. იგი მოიცავს სუბსიდიებს პროდუქტებზე და გამორიცხავს პროდუქტებზე სახელმწიფოსათვის განკუთვნილ გადასახადებს.

მწარმოებლის ფასი წარმოადგენს საბაზისო ფასისა და პროდუქტებზე წმინდა გადასახადების ჯამს. ეს უკანასკნელი მიიღება, როგორც მყიდველის მიერ წარდგენილ ინვოისში გათვალისწინებულ გადასახადებსა და იმ სუბსიდიების შორის სხვაობა, რომლებსაც იღებს მწარმოებელი მთავრობისგან.


მყიდველის ფასი ეს არის მწარმოებლის ფასი, გაზრდილი სატრანსპორტო ხარჯებით და სავაჭრო დათმობის თანხით. მყიდველის ფასი შეიძლება იზრდებოდეს, იქიდან გამომდინარე, რომ პროდუქტი, რომელიც გადის მიმოქცევაში, შესაძლოა ბევრჯერ მონაწილეობდეს ბრუნვაში და ყოველ ეტაპზე მას ემატება გადასახადები, სუბსიდიები, სატრანსპორტო ხარჯები და ა.შ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბრუნვაში მიმოქცევის ყოველ ეტაპზე, მყიდველის პოზიციიდან, პროდუქტის ფასი არის განსხვავებული.

დამოკიდებულება საბაზისო ფასს, მწარმოებლის ფასსა და მყიდველის ფასს შორის ილუსტრირებულია სქემა 2.2.6.1-ზე.

ეროვნულ ანგარიშებში გამოშვების შეფასება ხდება თვითღირებულებით, ე.ი. როცა პროექტს არა აქვს საბაზრო ფასი. გამოშვება თვითღირებულებით მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

-) შუალედური მოხმარება;
-) დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება;
-) ძირითადი კაპიტალის მოხმარება;
-) პროექტებზე სხვა გადასახადები.

სქემა 2.2.6.1. დამოკიდებულება საბაზისო ფასს, მწარმოებლის ფასსა და მყიდველის ფასს შორის



2.2.7. წარმოების საზღვრები

მაკროეკონომიკური სტატისტიკა, კერძოდ კი ეროვნულ ანგარიშთა სისტემა ადგენს და აღიარებს, რომ

ამა თუ იმ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, როგორც წარმოების, ეკონომიკის განმაზოგადებელი საზომი, წარმოადგენს წარმოებაში ჩართული რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულების მიერ წარმოებული მთლიანი დამატებული ღირებულებების ჯამს (წმინდა გადასახადების ჩათვლით).

ეს არ არის იგივე, რა მოცულობის დამატებული ღირებულებაც შესაძლოა შეიქმნას მოცემული ეროვნული ეკონომიკის გეოგრაფიულ საზღვრებში განხორციელებული

საწარმოო საქმიანობიდან. საქმე ის არის, რომ ზოგიერთი საწარმოო საქმიანობა მოცემული ეროვნული ეკონომიკის გეოგრაფიულ ტერიტორიაზე უკავშირდება არარეზიდენტების საქმიანობას. და პირიქით: მოცემული ქვეყნის რეზიდენტების ნაწილი თავიანთ ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებენ საზღვარგარეთ.

გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად ჩვენ გვინტერესებს, თუ რა მოცულობის პროდუქტი და მომსახურება იქმნება მოცემული ქვეყნის მიერ არა ზოგადად მის ტერიტორიაზე, არამედ მისი რეზიდენტების მიერ, ცხადი ხდება, რომ უადრესად მნიშვნელოვანია კონკრეტულად განვსაზღვროთ, დავადგინოთ საზღვრები/ჩარჩოები, რომლის ფარგლებშიც უნდა გავზომოთ ეკონომიკური საქმიანობის შედეგები.

ამდენად, რადგანაც ჩვენ, პირველ რიგში, გვინტერესებს რეზიდენტების ეკონომიკური საქმიანობის მასშტაბები, ეროვნულ ანგარიშთა სისტემას, ამის დასადგენად შემოაქვს რეზიდენტის ცნება და განმარტავს, რომ

ინსტიტუციური ერთეული ითვლება იმ ეკონომიკური ტერიტორიის რეზიდენტად, რომელ ტერიტორიაზეც მას გააჩნია უპირატესი ეკონომიკური ინტერესების ცენტრი, ე.ი. სადაც იგი ახორციელებს, ან განზრახული აქვს განახორციელოს ეკონომიკური საქმიანობა, ან მნიშვნელოვანი მასშტაბის ეკონომიკური ოპერაციები განუსაზღვრელი, ან განსაზღვრული, მაგრამ ხანგრძლივი, ჩვეულებრივ, 1 წლის და მეტი ვადით.

წარმოება ეროვნულ ანგარიშთა სისტემის და, მაშასადამე, მაკროეკონომიკური სტატისტიკის ფუნდამენტური კატეგორიაა. იგი განისაზღვრება როგორც ფიზიკური პროცესი, რომელიც ხორციელდება ინსტიტუციური ერთეულის პასუხისმგებლობით, მისი მართვისა და კონტროლის ქვეშ, რომელიც ეწევა შრომის, კაპიტალის, საქონლისა და მომსახურების დანახარჯებს საქონლისა და მომსახურების წარმოების მიზნით. საქონლისა და მომსახურების წარმოებაში იგულისხმება ისეთი საბოლოო პროდუქტი, რომლის გაყიდვა შესაძლებელია ბაზარზე, ან სულ ცოტა, შესაძლებელია მისი შეთავაზება ერთი ეკონომიკური ერთეულის მიერ მეორისათვის გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, ან მის გარეშე. აქ შედის აგრეთვე ის საქონელი და მომსახურება, რომელიც მთავრობამ, ან შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციულმა ორგანიზაციამ შეიძლება შესთავაზოს საზოგადოების წევრებს ინდივიდუალური ან კოლექტიური მოხმარებისთვის.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა წარმოების საზღვრების განსაზღვრისას ამოსავალ კრიტერიუმად მიიჩნევს ეკონომიკური თვალსაზრისით მწარმოებლურ ეკონომიკურ საქმიანობას. მაგალითად, საკვების/სასმელის მიღება, ძილი და ა.შ. ასევე მნიშვნელოვანია, მაგრამ ეკონომიკურად - არაეფექტური. მეორე მხრივ, ეკონომიკური

თვალსაზრისით მწარმოებლურ შრომად ითვლება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისთვის:

-) სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება;
-) სხვა საქონლის წარმოება, როგორცაა საცხოვრისი, კვების პროდუქტები, ტანსაცმელი და ა.შ.
-) თავისი საცხოვრისის მომსახურება;
-) საყოფაცხოვრებო და პირადი მომსახურება: საკვების მომზადება, ბავშვების მოვლა, დალაგება, შეკეთება და ა.შ.

თუმცა, ამ ყველაფრის ფულად გამოსახულებაში ასახვა დიდი პრობლემაა. გარდა ამისა, მათი ეკონომიკური მნიშვნელობა განსხვავებულია სხვა ფულადი ნაკადებისაგან; მათი გავლენა ინფლაციასა და მაკროეკონომიკურ წონასწორობაზე მცირეა. აქედან გამომდინარე, ეროვნული ანგარიშების სპეციალისტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისთვის წარმოებული საქონლისა და მომსახურების ასახვამ ეკონომიკურ ანგარიშებში შესაძლოა გამოიწვიოს იმ პროცესების დამახინჯება, რაც სინამდვილეში ხდება ბაზარზე და ამით დაუკარგოს ამ ანგარიშებს ანალიტიკური მნიშვნელობა.

ამდენად, პირადი და იმ სახის მომსახურება, რომელიც გაწეულია და მოხმარებულია ერთი შინამეურნეობის შიგნით (დასუფთავება-დალაგება, საჭმლის მომზადება, ბავშვების მოვლა, ავადმყოფის მოვლა, საცხოვრებლისა და გრძელვადიანი ნივთების შეკეთება და ა.შ) წარმოების საზღვრებში არ ჩაითვლება. მეორე მხრივ, საჭმლის მომზადება, რეცხვა, ბავშვების მოვლა და ა.შ., რომლისთვისაც ერთი ეკონომიკური ერთეული უნაზღაურებს მეორე ეკონომიკურ ერთეულს, განიხილება წარმოების ფარგლებში. ამდენად, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის კონტექსტში წარმოების საზღვრები მოიცავს წარმოების საერთო საზღვრებს, გარდა შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის გაწეული საყოფაცხოვრებო და პირადი მომსახურებისა.

უფრო მეტიც: იმისათვის, რათა სტატისტიკურად სრულად აღიწეროს ეკონომიკური წრებრუნვა, მაკროეკონომიკური გაანგარიშებები უნდა მოიცავდეს ისეთი სახის საქმიანობასაც, რომელიც ბაზრის გავლით არ ანაზღაურდება და განიხილება როგორც ფიქტიური ანუ პირობითად გაანგარიშებული საბაზრო ოპერაციები. მათ მიეკუთვნება საკუთარ ბინაში ცხოვრებისათვის პირობითად გაანგარიშებული ბინის ქირა.

ამდენად, წარმოების საზღვრები, მწარმოებლური ეკონომიკური საქმიანობის თვალსაზრისით, მოიცავს წარმოებას, პირადი მომსახურების გარდა, ანაზღაურებად შინამომსახურებას და საკუთარ ბინაში ცხოვრებისათვის პირობითად გაანგარიშებულ ბინის ქირას.

წარმოების საზღვრების დადგენა, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ფარგლებში, ფაქტობრივად ნიშნავს ეროვნული ანგარიშების სტატისტიკის შესწავლის ობიექტის განსაზღვრას, ყველაზე ფართო გაგებით. აღნიშნულის გარეშე კი, ცხადია, სტატისტიკური კვლევა შეუძლებელია. ამასთან, მეორე მხრივ, წარმოების საზღვრების დადგენა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სრულყოფილი ინფორმაციული უზრუნველყოფის წინაპირობაა. უფრო მეტიც: წარმოების საზღვრების განსაზღვრის ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეთოდოლოგია აუცილებელად გულისხმობს ფარული ეკონომიკური საქმიანობის მასშტაბების სტატისტიკურ გაანგარიშებებში ასახვას. ასეთ საქმიანობას მიეკუთვნება:

-) ისეთი სახის საქონლისა და მომსახურების წარმოება და გავრცელება, რომლის გაყიდვა, გავრცელება ან ფლობა კანონით აკრძალულია. მაგალითად, ნარკოტიკები, საქონლის კონტრაბანდა, პროსტიტუცია.
-) საქონლისა და მომსახურების წარმოება, რომელიც ხორციელდება სახელმწიფო ორგანოებისაგან ფარულად, გადასახადებისაგან თავის არიდების ან ადმინისტრაციული პროცედურების უგულებელყოფის მიზნით.

გარდა აღნიშნულისა, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა მოითხოვს წარმოების საზღვრების გაფართოებას კულტივირებული ტყეების ბუნებრივი ზრდის, ლიტერატურისა და ხელოვნების ნამუშევრების, ასევე პროგრამული პროდუქტების განვითარების პროცესების ასახვის შედეგად.

ჩანართი 2.2.7.1. ფარული ეკონომიკა, როგორც ეროვნული ეკონომიკის ნაწილი

ფარული ეკონომიკა წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის ნაწილს, რომელსაც ეკონომიკური ერთეულები ახორციელებენ და რომელიც ამა თუ იმ სუბიექტური, თუ ობიექტური მიზეზით, სტატისტიკური დაკვირვების მიღმაა დარჩენილი.

ეკონომიკურ ლიტერატურაში საქმიანობის აღნიშნულ სეგმენტს სხვადასხვა ტერმინით მოიხსენიებენ. კერძოდ, იგივე შინაარსს გულისხმობს: „ჩრდილოვანი ეკონომიკა“, „არაფორმალური ეკონომიკა“, „იატაკქვემა ეკონომიკა“, „შავი ეკონომიკა“ და ა.შ.

წარმოების მიზეზების მიხედვით, ფარული ეკონომიკის არსებობა შესაძლოა განაპირობოს:

საკანონმდებლო ნაკლოვანებებმა: შესაძლოა, რომ ფარული ეკონომიკური საქმიანობა განაპირობოს ამა თუ იმ საკანონმდებლო და/ან ნორმატიული დოკუმენტის არარსებობამ, არსებობამ, ან არსებულის აღსრულების მექანიზმის არარსებობამ;

რეგისტრაციის ხარისხმა, ანუ ბიზნეს რეგისტრის ხარისხმა და მისი აქტუალიზაციის მექანიზმის მოქნილობის დაბალმა დონემ;

სტატისტიკური მეთოდოლოგიის ნაკლოვანებებმა.


ჩანართი 2.2.7.1. ფარული ეკონომიკა, როგორც ეროვნული ეკონომიკის ნაწილი

(გაგრძელება)

ფარული ეკონომიკა იყოფა საწარმოო და არასაწარმოო ფარულ საქმიანობად.

ფარული საწარმოო საქმიანობს დაკავშირებულია პროდუქციისა და მომსახურების წარმოებასთან, ხოლო ფარული არასაწარმოო საქმიანობა დაკავშირებულია შემოსავლების უკანონო გადანაწილებასთან. პირველი მათგანის შეუფასებლობა ამცირებს მთლიან შიდა პროდუქტს, ხოლო მეორე - ამახინჯებს ინსტიტუციურ სექტორებს შორის შემოსავლების გადანაწილების რეალურ სურათს და, შესაბამისად, მთელ რიგ მაკროეკონომიკურ პროპორციებს.

სქემატურად ფარული ეკონომიკური საქმიანობა შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:



კრიმინალურ ფარულ საწარმოო საქმიანობას მიეკუთვნება კანონით აკრძალული ისეთი სახის საქმიანობა, როგორებიცაა: ნარკოტიკების წარმოება, ნარკოტიკებით ვაჭრობა, იარაღის წარმოება, იარაღით ვაჭრობა, ყალბი ფულის ნიშნებისა და სხვა ფასიანი ღირებულებების წარმოება, კონტრაბანდა, პროსტიტუცია.

არაკრიმინალურ ფარულ საწარმოო საქმიანობას მიეკუთვნება ნებისმიერი სახის საწარმოო საქმიანობა, რომელიც დაშვებულია მოქმედი კანონმდებლობით:

- ⌋ მაგრამ მოცემულ პირ(ებ)ს არ აქვთ მისი განხორციელების უფლება, ანუ ფუნქციონირებენ რეგისტრაციის გარეშე;
- ⌋ ეკონომიკური ერთეული რეგისტრირებულია, მაგრამ სტატისტიკური აღრიცხვის მიღმაა დარჩენილი;
- ⌋ ეკონომიკური ერთეული რეგისტრირებულია, ადგენს ანგარიშგებას, მაგრამ ამახინჯებს მას (მაღავს შემოსავლებს და სხვ.).

არასაწარმოო ფარული საქმიანობა, თავისი ხასიათით, მთლიანად არაკანონიურია. მას მიეკუთვნება: მექრთამეობა, ქურდობა, რეკეტი, კორუფცია, წვრილმანი მაქინაციები, კაპიტალის გატანა და სხვ.

ამდენად, ჩვენ განვიხილეთ მაკროეკონომიკური სტატისტიკის წარმოების ფუნდამენტური პრინციპები, ცნებები და კატეგორიები, რომლებიც საერთოა თითოეული მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემისათვის და რომელთა ცოდნა დაგვეხმარება მათი არსის, სტრუქტურის, ანალიტიკური დანიშნულებისა და ერთმანეთთან ურთიერთკავშირის სწორად გაგებაში.



ინდივიდუალური სამუშაო

დავალება 1

იმსჯელეთ მაკროეკონომიკური სტატისტიკის წარმოების ფუნდამენტურ პრინციპებსა და კონცეფციებზე. რაში ხედავთ მათი პრაქტიკული გამოყენების უპირატესობებს? როგორ გესმით მაკროეკონომიკური სტატისტიკის წარმოების ფუნდამენტური პრინციპების სტანდარტიზაციისა და ჰარმონიზაციის არსი? შეეცადეთ ჩამოთვალოთ მისი უპირატესობები. ხომ არ ხედავთ რაიმე უარყოფითს ან აღრიცხვისთვის ხელისშემშლელს ამ პრინციპებში?

დავალება 2

ეწვიეთ საერთაშორისო გამჭვირვალობის ვებგვერდს -

<https://knowledgehub.transparency.org/helpdesk/overview-of-corruption-and-anti-corruption-in-armenia-azerbaijan-belarus-georgia-moldova-and-ukraine>

და გააანალიზეთ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში კორუფციის აღქმის ინდექსი. თქვენი აზრით რა გავლენას მოახდენს ამ ინდექსის სიდიდე ფარული ეკონომიკის მასშტაბების შეფასებაზე და რა მიმართულებით?



ტესტები ცოდნის განმტკიცებისთვის

ტესტი 1

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ინტეგრირებული ეკონომიკური ანგარიშების შემუშავებას საფუძვლად დაედო

1. ეკონომიკური ნაკადების შესახებ კვლევები (კეინსი, ფრიში, ტიმბერგენი)
2. კვლევები ეროვნული სიმდიდრის შესახებ (სმიტი)
3. 1 და 2 მიმართულებით კვლევების დაკავშირება და გაერთიანება
4. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა არაა კავშირში ინტეგრირებულ ეკონომიკურ ანგარიშებთან

ტესტი 2

რამდენად შესაძლებელია მაკროეკონომიკური სტატისტიკის მეთოდოლოგიის შემუშავება ავტონომიურად, ერთი კონკრეტული ქვეყნის ფარგლებში

1. შესაძლებელია და ამას აკეთებდნენ ქვეყნები ჯერ კიდევ მე-18-მე-19 საუკუნეებში
2. შესაძლებელია და ამას აკეთებდა ადამ სმიტი თავის ნაშრომებში
3. ასეთ შემთხვევაში სტატისტიკური მეთოდოლოგიის ჰარმონიზაცია საერთაშორისო დონეზე შეუძლებელია
4. შესაძლებელია, მხოლოდ ქვეყნების გარკვეული ჯგუფის

ტესტი 3

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მახასიათებელი შეესაბამება ინსტიტუციური ერთეულის განმარტებას?

ინსტიტუციური ერთეული წარმოადგენს ეკონომიკურ ერთეულს, რომელსაც შეუძლია:

1. საქონლისა და მომსახურების წარმოება
2. ფინანსური ანგარიშგების წარმოება და წარდგენა
3. იყოს ორი ან მეტი ეკონომიკის რეზიდენტი
4. ფლობდეს აქტივებს და არა ვალდებულებებს

ტესტი 4

ესა თუ ის ეროვნული ეკონომიკა წარმოადგენს ინსტიტუციური ერთეულების ერთობლიობას. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი წინადადება შეესაბამება მთლიანი ეკონომიკის განმარტებას

1. ინსტიტუციური ერთეულების ერთობლიობა, რომლებიც ფლობენ აქტივებს მოცემულ ეკონომიკაში
2. ინსტიტუციური ერთეულების ერთობლიობა, რომლებიც წარმოადგენენ მოცემული ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის რეზიდენტებს
3. ინსტიტუციური ერთეულების ერთობლიობა, რომლებსაც გააჩნიათ საბალანსო უწყისის შედგენის ვალდებულება
4. ინსტიტუციური ერთეულების ერთობლიობა, რომლებიც მონაწილეობენ ეკონომიკურ ურთიერთობებში არარეზიდენტებთან

ტესტი 5

ქვემოთ ჩამოთვლილი ერთეულებიდან რომელი მიეკუთვნება იურიდიულ ან სოციალურ ინსტიტუციურ ერთეულს (ერთზე მეტი პასუხი)

1. შინამეურნეობები
2. არამომგებიანი ინსტიტუციები
3. კორპორაციები
4. მთავრობა

ტესტი 6

რომელ საწარმოო ფაქტორებს ფლობენ შინამეურნეობები, როგორც მწარმოებლები, რომლებსაც იყენებენ წარმოების პროცესში

1. მიწას, კაპიტალსა და სამუშაო ძალას
2. უძრავ და მოძრავ ქონებას
3. ლეპოზიტებს
4. არცერთს

ტესტი 7

რომელია შინამეურნეობების უპირატესი ფუნქცია:

1. მხოლოდ მოხმარება
2. მხოლოდ წარმოება
3. მოხმარება და წარმოება
4. არცერთი

ტესტი 8

რომელი წინადადებაა მართებული შინამეურნეობებთან დაკავშირებით

1. შინამეურნეობის წევრებს აქვთ სხვადასხვა საცხოვრისი
2. შინამეურნეობის წევრებს აქვთ მეტ-ნაკლებად საერთო შემოსავალი და კოლექტიურად მოიხმარენ გარკვეულ საკვებს
3. ყველა სისხლით ნათესავი მიეკუთვნება ერთ შინამეურნეობას
4. მრავალწევრიანი შინამეურნეობის თითოეული წევრი ითვლება დამოუკიდებელ ინსტიტუციურ ერთეულად

ტესტი 9

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ შეესაბამება ადამიანთა ჯგუფის ერთ შინამეურნეობაში გაერთიანების საფუძველს

1. საერთო საცხოვრისი
2. საერთო ან ნაწილობრივ საერთო შემოსავლები და ქონება
3. მსგავსი საქონლისა და მომსახურების (ძირითადად საცხოვრისის და საკვების) მოხმარება კოლექტიურად
4. მსგავსი პოლიტიკური შეხედულებები

ტესტი 10

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის განმარტებით იურიდიული და სოციალური ერთეულები აწარმოებენ გარკვეულ საქონელს ან/და დაკავებული არიან მომსახურების მიწოდებით. მაშინ როცა **შინამეურნეობები** შეიძლება იყვნენ ჩართული წარმოებაში, ან - არა. რა არის შინამეურნეობების უპირატესი ეკონომიკური ფუნქცია:

1. საქონლისა და მომსახურების წარმოება
2. საქონლისა და მომსახურების მოხმარება
3. აქტივების ფლობა და განკარგვა
4. ჩამოთვლილთაგან არცერთი

ტესტი 11

სამთავრობო ეკონომიკური ერთეულების ფუნქციაა საზოგადოებისათვის არასაბაზრო საქონლისა და მომსახურების მიწოდება, რომლის დაფინანსება ხდება

1. სუბსიდიებით
2. გადასახადებისა და სხვა შემოსავლების ხარჯზე
3. საგარეო დაფინანსებით
4. ჩამოთვლილთაგან არცერთით

ტესტი 12

მთავრობა აგროვებს გადასახადებს და საზოგადოებას სთავაზობს

1. საჯარო მომსახურებას
2. ფასიან მომსახურებას
3. სამომხმარებლო საქონელს
4. არცერთს

ტესტი 13

მოცემული ქვეყნის ფინანსური კორპორაციები ახორციელებენ ფინანსურ შუამავლობას

1. მხოლოდ რეზიდენტებისთვის
2. მხოლოდ არარეზიდენტებისთვის
3. კონკრეტული ეკონომიკური ერთეულებისთვის
4. ყველა ეკონომიკური ერთეულისთვის

ტესტი 14

მონიშნეთ სწორი პასუხი.

შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციები არ არიან ორიენტირებული მოგების მიღებაზე

1. აღნიშნულიდან გამომდინარე ისინი არ იღებენ მონაწილეობას მშპ-ს შექმნაში
2. მიუხედავად ამისა, ისინი იღებენ მონაწილეობას მშპ-ს შექმნაში, რადგანაც მომსახურებას უწევენ შინამეურნეობებს
3. მიუხედავად ამისა, ისინი იღებენ მონაწილეობას მშპ-ს შექმნაში, თუ იღებენ მოგებას
4. შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციები იღებენ მოგებას და შესაბამისად მონაწილეობენ მშპ-ს შექმნაში

ტესტი 15

„ერთი წლის“ წესის დადგენა ინსტიტუციური ერთეულის რეზიდენტობის განსაზღვრისას ემსახურება

1. ინსტიტუციური ერთეულებისთვის შანსის მიცემას, რათა გახდნენ სასურველი ეკონომიკის რეზიდენტი
2. საერთაშორისო შესადარისობის უზრუნველყოფას ამ საკითხში
3. სწორია ორივე პასუხი
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 16

მიეკუთვნება თუ არა ყველა არამომგებიანი ინსტიტუტი შინამეურნეობის მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციების სექტორს

1. მიეკუთვნება
2. არ მიეკუთვნება

ტესტი 17

რომელი ორი ძირითადი ნიშნის მიხედვით უნდა მივაკუთვნოთ ინსტიტუციური ერთეული შინამეურნეობის მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციების სექტორს (ერთზე მეტი პასუხი)

1. უნდა იყოს არასაბაზრო მწარმოებელი
2. უნდა იყოს საბაზრო მწარმოებელი
3. უნდა იყოს სახელმწიფოს დაქვემდებარებაში
4. არ უნდა იყოს სახელმწიფოს დაქვემდებარებაში

ტესტი 18

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია დამახასიათებელი შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციებისათვის (ერთზე მეტი პასუხი)

1. არასაბაზრო მწარმოებელი
2. საბაზრო მწარმოებელი
3. სახელმწიფოს დაქვემდებარებაშია
4. არ არის სახელმწიფოს დაქვემდებარებაში

ტესტი 19

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მიეკუთვნება შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციების სექტორს

1. საავადმყოფო, რომელიც პაციენტებს ემსახურება უფასოდ და ფინანსირდება შინამეურნეობების შემოწირულობებს ხარჯზე
2. საავადმყოფო, რომელიც პაციენტებს ემსახურება საბაზრო ფასებით
3. საავადმყოფო, რომელიც დაფუძნებულია ეკლესიის მიერ და პაციენტებს ემსახურება საბაზრო ფასებით
4. არცერთი

ტესტი 20

მიეკუთვნება თუ არა ყველა არაკომერციული ორგანიზაცია შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციების სექტორს

1. დიახ
2. არა

ტესტი 21

რომელი ორი ძირითადი ნიშნის მიხედვით უნდა მივაკუთვნოთ ინსტიტუციური ერთეული არაფინანსური კორპორაციების სექტორს (ერთზე მეტი პასუხი)

1. უნდა იყოს საბაზრო მწარმოებელი
2. უნდა იყოს არასაბაზრო მწარმოებელი
3. უნდა აწარმოებდეს საქონელს და ეწეოდეს არაფინანსურ მომსახურებას
4. ჩართული უნდა იყოს ფინანსურ საშუაშალო საქმიანობაში და შეეძლოს დეპოზიტების მიღება და სესხების გაცემა

ტესტი 22

მაკროეკონომიკურ სტატისტიკაში ეკონომიკური ნაკადი არის

1. აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება პერიოდის განმავლობაში
2. აქტივებისა და ვალდებულებების ფლობა დროის მოცემულ მომენტში
3. ეკონომიკური ღირებულება, რომელიც მოძრაობს ერთეულებს შორის
4. ეკონომიკური ღირებულების შექმნა, გარდაქმნა, გაცვლა, გადაცემა ან გაქრობა (არსებობის შეწყვეტა)

ტესტი 23

რა დამოკიდებულება არსებობს ეკონომიკურ ნაკადებსა და ნაშთებს შორის

1. საწყისი ეკონომიკური ნაკადები პლუს ნაშთები უდრის საბოლოო ეკონომიკურ ნაკადებს
2. საწყისი ნაშთები პლუს ეკონომიკური ნაკადები უდრის საბოლოო ნაშთებს
3. ეკონომიკური ნაკადები და ნაშთები კავშირში არ არიან
4. ეკონომიკური ნაკადები და ნაშთები კონსოლიდირებულია

ტესტი 24

მაკროეკონომიკურ სტატისტიკაში ნაკადები ჩაიწერება

1. საკასო მეთოდით
2. კომერციული მეთოდით
3. დარიცხვის მეთოდით
4. კორპორაციული მეთოდით

ტესტი 25

განსაზღვრეთ მიეკუთვნება თუ არა მარცხნივ ჩამოთვლილი ნაკადები მოცემული ქვეყნის საერთაშორისო (რეზიდენტი-არარეზიდენტი) ოპერაციებს (შესაბამის ცარიელ უჯრებში ჩაწერეთ „კი“ ან „არა“)

ეკონომიკური ნაკადები	უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც იმყოფება მოცემულ ქვეყანაში გრძელვადიანი დაქირავებულის სტატუსით	არარეზიდენტი, რომელიც იმყოფება მოცემულ ქვეყანაში მოკლევადიანი დაქირავებულის სტატუსით
ხელფასი, მიღებული მოცემული ქვეყნის საწარმოდან		
პირადი ხარჯები მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე		
ფულადი გზავნილი საკუთარ (წარმოშობის) ქვეყანაში		
მცხოვრები ნათესავისთვის მოცემული ქვეყნის რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტის მოთხოვნა მის მიმართ		
მოცემული ქვეყნის რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტისადმი ვალდებულება		
ჰუმანიტარული დახმარების გაწევა სხვა (მესამე) ქვეყნის ბავშვთა სახლისათვის		
საწევრო შენატანი საკუთარი ქვეყნის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში		

ტესტი 26

განსაზღვრეთ მიეკუთვნება თუ არა მარცხნივ ჩამოთვლილი ნაკადები მოცემული ქვეყნის საერთაშორისო (რეზიდენტი-არარეზიდენტი) ოპერაციებს (შესაბამის ცარიელ უჯრებში ჩაწერეთ „კი“ ან „არა“)

ეკონომიკური ნაკადები	რეზიდენტი საწარმო (გრძელვადიანი	არარეზიდენტი საწარმო (მოკლევადიანი

	სამშენებლო პროექტი)	სამშენებლო პროექტი)
საწარმოს გაყიდვები რეზიდენტებზე		
საწარმოს შესყიდვები რეზიდენტებისაგან		
გადახდილი ხელფასი მოცემული ქვეყნის რეზიდენტი მუშებისათვის		
გადახდილი ხელფასი არარეზიდენტი მუშებისათვის		
ბიუჯეტში გადასახდელი მოგების გადასახადი		
მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე შენობის დაქირავების ხარჯები		
დავალიანება მოცემული ქვეყნის რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტისადმი		

ტესტი 27

მოახდინეთ ჩამოთვლილი ეკონომიკური ნაკადების კლასიფიცირება (მარჯვენა სვეტში ჩაწერეთ შესაბამისი ციფრი)

N	ეკონომიკური ნაკადები	1-ოპერაცია, 2- გადაფასება, 3- სხვა ცვლილებები
1	ფიზიკური პირის მიერ საშემოსავლო გადასახადის გადახდა ბიუჯეტში	
2	შინამეურნეობების დანახარჯები საქონელსა და მომსახურებაზე	
3	კომპანიის მიერ ძირითადი ფონდების შეძენა	
4	სახელმწიფოს მიერ შინამეურნეობებისათვის აქტივების ჩამორთმევა	
5	კომპანიის მიერ დივიდენდების გადახდა აქციონერებისათვის	
6	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	
7	სახელმწიფოს მიერ სოციალური დახმარებების გაცემა ფულადი სახით	
8	აქტივების ღირებულებაზე პერიოდის განმავლობაში ფასების ზრდის გავლენა	
9	სასარგებლო წიაღისეულის აღმოჩენა	
10	ბუნებრივი კატასტროფის შედეგად გზებისა და ხიდების განადგურება	
11	ეკონომიკური ერთეულის გადაკლასიფიცირება ერთი სექტორიდან მეორეში	

ტესტი 28

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ინსტიტუციური ერთეულია რესურსების ეკონომიკური მფლობელი

1. ერთეული, რომელსაც აქვს უფლება მიიღოს სარგებელი რესურსების გამოყენებიდან და აიღოს თავის თავზე რისკები, რაც უკავშირდება ამ რესურსების გამოყენებას
2. ერთეული, რომელიც იხდის ამ რესურსების საფასურს
3. ერთეული, რომელსაც კანონით აქვს მინიჭებული უფლება მიიღოს სარგებელი მოცემულ რესურსებზე
4. ერთეული, ვინც არის იმ საკუთრების მფლობელი, რომელზედაც არის განლაგებული მოცემული რესურსები

ტესტი 29

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შეესაბამება არაფინანსური აქტივის განმარტებას

1. არაფინანსური აქტივები მოიცავს ძირითად კაპიტალსა და მიწას
2. არაფინანსური აქტივები წარმოადგენს სხვა ერთეულების არაფინანსურ მოთხოვნებს
3. არაფინანსური აქტივებია ისეთი ეკონომიკური აქტივებია, რომლებიც არ არის ფინანსური აქტივები
4. არაფინანსური აქტივები არის წარმოებული და არაწარმოებული აქტივები, გარდა ინტელექტუალური საკუთრებისა და სხვა უნილავი აქტივებისა

ტესტი 30

მაკროეკონომიკურ სტატისტიკაში რომელ ორ ძირითად ჯგუფად იყოფა ფინანსური ინსტრუმენტები

1. ვაჭრობადი ინსტრუმენტები და არავაჭრობადი ინსტრუმენტები
2. სავალო ინსტრუმენტები და არასავალო (სხვა) ინსტრუმენტები
3. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები
4. კრიპტო-ინსტრუმენტები და დანარჩენი ფინანსური ინსტრუმენტები

ტესტი 31

რომელ ფინანსურ ინსტრუმენტს მიეკუთვნება იპოთეკა

1. ფულს და დეპოზიტებს

2. სესხებს
3. ფინანსურ წარმოებულებს
4. ეს დამოკიდებულია იპოთეკის ვალუტაზე

ტესტი 32

ქვემოთ ჩამოთვლილი ფინანსური ინსტრუმენტებიდან რომელი კლასიფიცირდება როგორც ფინანსური აქტივი (ერთზე მეტი პასუხი)

1. შინამეურნეობების მფლობელობაში არსებული ოქრო
2. იპოთეკური სესხი
3. სახელმწიფო გარანტია, გაცემული საგარეო დავალიანების ქვეშ
4. არაფინანსური კორპორაციების მიმდინარე ანგარიშები

ტესტი 33

იმის გათვალისწინებით, რომ ყველანაირი ოქრო არ არის ფინანსური აქტივი, მონიშნეთ სწორი პასუხი ქვემოთ მოცემული დებულებებიდან

1. მონეტარული ოქრო, როგორც ცენტრალური ბანკის მფლობელობაში ოფიციალური რეზერვების სახით არსებული ოქრო, არის ფინანსური აქტივი
2. მონეტარული ოქრო უფრო მაღალი ღირებულებისაა, ვიდრე არამონეტარული ოქრო
3. ყველანაირი ოქრო, მიუხედავად იმისა, თუ ვის მფლობელობაშია, არის ფინანსური აქტივი, რადგანაც იგი ვაჭრობადია
4. ესა თუ ის ცენტრალური ბანკი თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, თუ ვინ უნდა ფლობდეს მონეტარულ ოქროს

ტესტი 34

მონიშნეთ სწორი პასუხი ქვემოთ მოცემული დებულებებიდან (ერთზე მეტი პასუხი)

1. SDRs არის ფინანსური აქტივი, რომელიც შექმნილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ და განთავსებულია წევრ ქვეყნებში, როგორც საერთაშორისო რეზერვების ნაწილი
2. SDRs-ის ფასი განისაზღვრება ყოველდღიურად, უმთავრესი ვალუტების კალათის ფასის საფუძველზე
3. SDRs თავისუფლად ვაჭრობადი ინსტრუმენტია საფონდო ბაზარზე
4. SDRs-ის ემიტირება შეუძლიათ სისტემურად მნიშვნელოვან ცენტრალურ ბანკებს

ტესტი 35

ვთქვათ გვაქვს მცირე ზომის ეკონომიკა, რომლისთვისაც მშპ=100-ს, პირველადი შემოსავლების ბალანსი= -10-ს, მეორადი შემოსავლების ბალანსი = 5-ს, მოხმარება = 80-

ს, ინვესტიციები = 20-ს. გაიანგარიშეთ შემდეგი მაჩვენებლები მოცემული ეკონომიკისათვის:

		პასუხები
1	რას უდრის მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი?	
2	რას უდრის მიმდინარე ანგარიშის ბალანსი?	
4	დავუშვათ, რომ მოხმარება გაიზარდა 100-მდე. სხვა თანაბარ პირობებში, რამდენი იქნება მიმდინარე ანგარიშის ბალანსი?	

ტესტი 36

ქვემოთჩამოთვლილთაგან რომელი შეესაბამება მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავლის განმარტებას (ერთზე მეტი პასუხი):

1. მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი=მშპ+პირველადი შემოსავლების ბალანსი+მეორადი შემოსავლების ბალანსი
2. მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი=მშპ+მიმდინარე ანგარიშის ბალანსი
3. მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი=მთლიანი ეროვნული შემოსავალი+პირველადი შემოსავლების ბალანსი+მეორადი შემოსავლების ბალანსი
4. მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი=აბსორბცია+მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

ტესტი 37

მიმდინარე ანგარიშის ბალანსი რაოდენობრივად უდრის სხვაობას მთლიანი ეროვნულ განკარგვად შემოსავალსა და მოხმარებას შორის

1. სწორია
2. არასწორია

ტესტი 38

თუ მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი იზრდება და აბსორბცია იგივე რჩება, მაშინ მიმდინარე ანგარიშის ბალანსი უმჯობესდება

1. სწორია
2. არასწორია

ტესტი 39

თუ დაზოგვა არ იცვლება, ხოლო ინვესტიციები იზრდება, მიმდინარე ანგარიშის ბალანსი არ იცვლება

1. სწორია
2. არასწორია

ტესტი 40

თუ დაზოგვა არ იზრდება, ხოლო ინვესტიციები მცირდება, მიმდინარე ანგარიშის ბალანსი უმჯობესდება. მიმდინარე ანგარიშის ბალანსი ასევე უმჯობესდება, თუ დაზოგვის ზრდის ტემპი უფრო მაღალია, ვიდრე ინვესტიციების ზრდის ტემპი.

1. სწორია
2. არასწორია

ტესტი 41

წარმოების საზღვრები, მაკროეკონომიკური სტატისტიკის მიხედვით, არ მოიცავს:

1. არაანაზღაურებად პირადი მომსახურებას
2. ანაზღაურებად პირადი მომსახურებას
3. ანაზღაურებად შინამომსახურებას
4. საკუთარ ბინაში ცხოვრებისათვის პირობითად გაანგარიშებულ ბინის ქირას

ტესტი 43

მაკროეკონომიკურ სტატისტიკაში გამოყენებული ვერტიკალური ორმაგი ჩაწერის პრინციპი

1. განსხვავდება ორმაგი ჩაწერის პრინციპისაგან, რომელიც ბუღალტურიაში გამოიყენება
2. ზუსტად ემთხვევა ორმაგი ჩაწერის პრინციპს, რომელიც ბუღალტურიაში გამოიყენება
3. მაკროეკონომიკურ სტატისტიკაში ვერტიკალური ორმაგი ჩაწერის პრინციპი არ გამოიყენება
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 44

ჩამოთვლილთაგან რომელი არ გამოიყენება მაკროეკონომიკურ სტატისტიკაში

1. ვერტიკალური ორმაგი ჩაწერის პრინციპი

2. ჰორიზონტალური ორმაგი ჩაწერის პრინციპი
3. დიაგონალური ჩაწერის პრინციპი
4. ოთხმაგი ჩაწერის პრინციპი

ტესტი 45

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა ცნობილია, როგორც მოქნილი სტატისტიკური სისტემა. რაში მდგომარეობს მისი მოქნილობა:

1. იმაში, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია ერთდროულად როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში
2. იმაში, რომ ამა თუ იმ მოვლენისა თუ პროცესის ეროვნულ ანგარიშებში ასახვის მიზნით შესაძლებელია მას დაემატოს ე.წ. სატელიტური ანგარიშები (მაგალითად, გარემოსდაცვითი, ტურიზმის და ა.შ.), რაც არ ცვლის სისტემის ცენტრალურ სტრუქტურას
3. იმაში, რომ მისი შეცვლა დაუყოვნებლივ შეიძლება სხვა სისტემით
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 46

რას გულისხმობს სისტემის ჰარმონიზებულობა მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემების შემთხვევაში:

1. იმას, რომ მათი გამოყენება ერთნაირი წარმატებითაა შესაძლებელი განსხვავებული ეკონომიკების შემთხვევაში
2. იმას, რომ გამჭვირვალეა და ყველა დაინტერესებული მხარისათვის ერთნაირად ხელმისაწვდომია შესაბამისი სახელმძღვანელოები და გზამკვლევები
3. იმას, რომ გამოყენებული ცნებები და კატეგორიები ერთიანია ყველა მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემისა (საგადასახდელო ბალანსი, მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა, სამთავრობო ფინანსების სტატისტიკა) და სტატისტიკის სფეროსათვის
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

თავი 3. მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემები

3.1. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა

ეკონომისტები, აცხადებენ რა მთლიანი ეროვნული პროდუქტის პროგნოზებს მომავალი ათი წლის განმავლობაში პროცენტული ჰუნქტის მათედი სიზუსტით, ამით ამტკიცებენ, რომ აქვთ იუმორის გრძნობა

*ედგარ ფილდერი
ამერიკელი ეკონომისტი*

3.1.1. წარმოშობის წინაისტორია

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში სრულიად სამართლიანად გავრცელებულია აზრი იმის თაობაზე, რომ ეროვნულ ანგარიშთა სისტემა წარმოიშვა მეცნიერული კვლევების ორი მიმართულების შერწყმის შედეგად. ეს მიმართულებებია კვლევები, ერთი მხრივ, ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების სფეროში, ხოლო მეორე მხრივ, ეკონომიკური ზრდის თეორიის სფეროში.

მე-20 საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში ძალზე გაიზარდა ინტერესი ეროვნული შემოსავლის გაანგარიშებებისადმი. ამ პერიოდში იგი უკვე იანგარიშებოდა ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ინგლისი, საფრანგეთი, აშშ, ავსტრია, გერმანია, ავსტრალია, ნორვეგია, რუსეთი. თუმცა, ფუნდამენტური კვლევები ამ სფეროში უფრო ადრეულ პერიოდს მიეკუთვნება. ჯერ კიდევ ფიზიოკრატების კვლევები ეხებოდა მაკროეკონომიკურ სფეროს. მართალია, ისინი მხოლოდ სოფლის მეურნეობაში შექმნილ შემოსავალს იკვლევდნენ, მაგრამ მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ მათი მოღვაწეობის დროს სწორედ სოფლის მეურნეობაში იქმნებოდა შემოსავლის უდიდესი ნაწილი. მიუხედავად ამისა, კენესა (1694-1774) და მისი მიმდევრების მიერ შექმნილი ცხრილები წარმოადგენს მაკროეკონომიკური გაანგარიშებების პირველ მცდელობას. მაკროეკონომიკურმა გაანგარიშებებმა შემდგომი განვითარება ჰპოვა, ერთი მხრივ, კლასიკური ინგლისური სკოლის წარმომადგენლების - ადამ სმიტისა (1823-1790) და

დავიდ რიკარდოს (1772-1823) შრომებში, ხოლო მეორე მხრივ, მარქსის (1818-1883) შრომებში, რომლებიც მიმართული იყო ეროვნული შემოსავლის შექმნისა და განაწილების პროცესების კვლევებისადმი.

1928 წელს ერთა ლიგამ მოიწვია საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ეკონომიკური სტატისტიკის განვითარებასა და ამ პროცესის მხარდაჭერასთან, აგრეთვე შესაბამის გაანგარიშებათა უნიფიცირებული მეთოდების დანერგვასთან დაკავშირებულ საკითხებს. ეს იყო აღნიშნული პრობლემებისადმი პირველი ოფიციალური ინტერესი საერთაშორისო დონეზე.

კაპიტალისტური ეკონომიკის 1929-1933 წლების “დიდი დეპრესიის” ფონზე განსაკუთრებით იჩინა თავი მაკროეკონომიკური პროცესების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესწავლის აუცილებლობის პრობლემებმა. პარალელურად, მწიფდებოდა იდეა იმის შესახებ, რომ აუცილებელი იყო აღნიშნული პროცესების დამახასიათებელი მაკროეკონომიკური მოდელის შექმნა.

1936 წელს გამოვიდა ცნობილი ინგლისელი ეკონომისტის - ჯონ მეინარდ კეინსის (1883-1946) წიგნი “პროცენტის, დასაქმებისა და ფულის ზოგადი თეორია”, რომელმაც გადატრიალება მოახდინა ეკონომიკური ზრდის თეორიის განვითარებაში. კეინსმა, რომელიც კემბრიჯის უნივერსიტეტში ითვლებოდა ალფრედ მარშალის (1842-1924) ყველაზე ბრწყინვალე მოწაფედ, ეჭვის ქვეშ დააყენა მისი მოძღვრების ერთ-ერთი საფუძველი - მტკიცება იმის შესახებ, რომ თითქოს საბაზრო სისტემა ყოველთვის მიისწრაფის წონასწორობის მდგომარეობისაკენ რესურსების სრული დასაქმების პირობებში. კეინსმა, გააანალიზა რა კაპიტალისტური ეკონომიკის ფუნქციონირება 30-იანი წლების “დიდი დეპრესიის” ფონზე, დაასკვნა, რომ იმ პერიოდის ეკონომიკა იმყოფებოდა წონასწორობის მდგომარეობაში რესურსების არასრული დასაქმების პირობებში. მან ასევე დაასაბუთა, რომ “დეპრესიის” პირობებში საბაზრო მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს სრულ დასაქმებას და იგი უძღურია გამოიყვანოს ეკონომიკა ამ მდგომარეობიდან ღრვის პატარა მონაკვეთში. ეს სახელმწიფოს ფუნქციაა. მან უნდა უზრუნველყოს არასრული დასაქმების პირობებში ერთობლივი მოთხოვნის წახალისება. კეინსის აზრით, მოთხოვნა, სახელმწიფოს მეცადინეობით, შენარჩუნებულ უნდა იქნეს იმ დონეზე, რომელიც უზრუნველყოფს სრულ დასაქმებას. თუ ერთობლივი მოთხოვნა ეცემა ამ დონეზე დაბლა, წარმოიშვება უმუშევრობა; თუ იგი აჭარბებს ამ დონეს - იზრდება ინფლაცია. ამდენად, კეინსის მიერ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობის დასაბუთება და კლასიკური პრინციპის “ლაისსეუ ფაირე“-ს უარყოფა მთელი გადატრიალება იყო დასავლეთის ეკონომიკურ აზროვნებაში.

სახელმწიფო პოლიტიკის კეინსიანურმა გაგებამ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში გაზარდა მოთხოვნილება შესაბამის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე და წარმოშვა სათანადო ინფორმაციული ინსტრუმენტის არსებობის აუცილებლობა.

რაში გამოიხატება სახელმწიფოს მოთხოვნილება სტატისტიკურ ინფორმაციაზე საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში?

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფოს ამოცანა არ არის ჩაერიოს ცალკეული ეკონომიკური პროცესების მიმდინარეობაში. სახელმწიფო პასუხისმგებელია მართოს გლობალური მაკროეკონომიკური პროცესები და განახორციელოს ისეთი საერთოეკონომიკური მიზნები, როგორებიცაა ეკონომიკური ზრდისა და ფასების სტაბილურობა, სრული დასაქმება და საგარეო ეკონომიკური წონასწორობა (ე.წ. “მაგიური ოთხკუთხედი”). ამ საერთოეკონომიკური მიზნების ადეკვატურ მაჩვენებელთა სისტემის შექმნა და ეკონომიკური ციკლის აღწერა ინსტიტუციურ ერთეულებს შორის მიმდინარე ეკონომიკური ოპერაციების ასახვის გზით წარმოადგენს ეროვნული ანგარიშმანობის არსს.

ამდენად, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის წარმოშობა უკავშირდება, ერთი მხრივ, ეკონომიკური ზრდის თეორიის განვითარებასა და ეკონომიკური პროცესების ურთიერთდამოკიდებულების ასახვის აუცილებლობის დასაბუთებას, ხოლო მეორე მხრივ, ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების სფეროში კვლევების განვითარების ორიენტაციას ამ თეორიის ინფორმაციულ უზრუნველყოფაზე.

1939 წელს გამოვიდა ერთა ლიგის პირველი პუბლიკაცია “მსოფლიო ეკონომიკის მიმოხილვა”, რომელშიც გამოქვეყნდა მონაცემები 26 ქვეყნის ეროვნული შემოსავლის შესახებ 1929-1938 წლებში. აქედან, ქვეყნების დაახლოებით ნახევრის მონაცემები ეყრდნობოდა ოფიციალურ გაანგარიშებებს, ხოლო დანარჩენის - აკადემიურ ან კერძო გაანგარიშებებს. იმავე წელს ერთა ლიგის სტატისტიკოს ექსპერტთა კომიტეტმა ცნო ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების ერთიანი სახელმძღვანელოს საჭიროება, რამდენადაც აღნიშნულმა პუბლიკაციამ აჩვენა, რომ ამ მაჩვენებლის გაანგარიშების მეთოდები სხვადასხვა ქვეყნებში სრულიად განსხვავებული იყო. ინტერესს ამ სფეროსადმი განსაკუთრებით აძლიერებდა ამ პერიოდში სახელმწიფოების ფისკალური და სხვა ეკონომიკური ინტერესები. ამასთან, გაიზარდა დაინტერესება საერთაშორისო შედარებებით. უკვე 1944 და 1945 წლებში ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოსა და ჩრდილოეთ ირლანდიის წარმომადგენლები მსჯელობდნენ საერთაშორისო შედარებების პრობლემებზე და მათ მიერვე ხელმოწერილ იქნა პირველი საერთაშორისო შეთანხმება ეროვნული შემოსავლის გაანგარიშებების კონცეპტუალური მეთოდებისა და შედეგების გამოქვეყნების თაობაზე.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ქვეყნებს შორის საერთაშორისო დახმარებების განაწილების მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციებს გაუჩნდათ განსაკუთრებული საჭიროება ინფორმაციაზე ქვეყნების ეროვნული შემოსავლის, ასევე მათი ურთიერთშედარების შესაძლებლობის სფეროში. ამ საქმეში დახმარების

აღმოჩენის მიზნით ჩამოყალიბდა ერთა ლიგის სტატისტიკოს ექსპერტთა კომიტეტის ეროვნული შემოსავლის სტატისტიკის ქვეკომიტეტი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ექსპერტები, რომლებსაც გააჩნდათ დიდი გამოცდილება ეროვნული შემოსავლისა და მასთან დაკავშირებული გაანგარიშებების სფეროში ევროპის ქვეყნებში, ჩრდილოეთ ამერიკასა და ავსტრალიაში. აღნიშნული ქვეკომიტეტი შეიკრიბა 1945 წლის დეკემბერში, რათა განეხილათ კემბრიჯის უნივერსიტეტის გამოყენებითი ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის - რიჩარდ სტოუნის მიერ მომზადებული მემორანდუმი ეროვნული შემოსავლის შეფასების პრობლემებზე. ამ შეხვედრას რიჩარდ სტოუნის (თავმჯდომარე, გაერთიანებული სამეფო) გარდა ესწრებოდნენ: ჰ.პ. ბრაუნი (ავსტრალია), ჯ.ბ.დ. დერკსენი (ნიდერლანდები), ს.მ. ისბისტერი (კანადა), ჯორჯ ჯასცი (ამერიკის შეერთებული შტატები), ჰილდეგარდ კნილენდი (საერთაშორისო ამერიკული სტატისტიკური ინსტიტუტი), პაულ ორტიც მენა (მექსიკა), არნე სკაუგი (ნორვეგია) და ჯულიუს ვაილერი (შვეიცარია).

ეროვნული შემოსავლის სტატისტიკის ქვეკომიტეტის ანგარიში გამოქვეყნდა 1947 წელს სახელწოდებით “ეროვნული შემოსავლის შეფასება და სოციალური ანგარიშების აგება”, რიჩარდ სტოუნის მიერ მომზადებული დანართით “ეროვნული შემოსავლისა და მასთან დაკავშირებული საშედეგო მაჩვენებლების განმარტება და შეფასება”. მასში ნაჩვენებია იყო თუ როგორ ყალიბდება ეროვნული შემოსავალი და მთლიანი ეროვნული პროდუქტი ეკონომიკაში მიმდინარე ეკონომიკური ოპერაციებისაგან (შემდგომში “სოციალურ ანგარიშიანობად” წოდებული მიდგომა); ეროვნული შემოსავლის სტატისტიკის წარმოსადგენად და ეკონომიკური ანალიზისათვის შემოთავაზებული იყო ცხრა ანგარიში; ერთ-ერთი თავი მიძღვნილი იყო ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების სტატისტიკური წყაროებისა და დანერგვის პრობლემებისადმი, სადაც პუნქტობრივად იყო განხილული რეკომენდებული ცხრა ანგარიშის შევსების დეტალები.

ჩანართი 3.1.1.1. ეს საინტერესოა ...

სერ ჯონ რიჩარდ ნიკოლას სტოუნი (1913-1991). 1984 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი. „ეროვნული შემოსავლის აღრიცხვის მამად წოდებული“, ჯილბერტ და ელსი სტოუნების ერთადერთი შვილი, ბავშვობაში მატარებლებისა და საზღვაო ხომალდების მშენებლობის იდეით იყო შეპყრობილი. 1931-1935 წლებში იგი ეუფლებოდა სამართალს კემბრიჯის კოლეჯში. თუმცა, 2 წლის სწავლის შემდეგ მიატოვა სამართალი და ეკონომიკის შესწავლას შეუდგა, რითაც ძალიან გაანაწყენა მამა, რომელიც იმ დროისთვის ცნობილი ადვოკატი იყო. მისი ეს ნაბიჯი მნიშვნელოვნად განაპირობა „დიდმა ღებრესიამ“, რომელიც იმ წლებში მძვინვარებდა. რ.სტოუნს გულის სიდრემში სჯეროდა, რომ ეკონომიკის უკეთესი გაგება ბევრად შეცვლიდა მსოფლიოს.

1950 წლისათვის გაერთიანებული ერების სტატისტიკურმა სამსახურმა თავი მოუყარა 41 ქვეყნის 1938-1948 წლების ეროვნული შემოსავლის სტატისტიკის მონაცემებს, რომლებიც ეყრდნობოდა სოციალური ანგარიშიანობის საფუძვლებს.

ასევე 1950 წელს ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციამ გამოაქვეყნა მისი ეროვნული ანგარიშების კვლევის განყოფილების მიერ მომზადებული რიგი ანგარიშებისა, სადაც ყურადღება გამახვილებული იყო ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ეროვნული ანგარიშების სტატისტიკის შესადარისობაზე. ამ გამოცემამ ფართო გამოყენება ჰპოვა მთელ რიგ ქვეყნებში და შემდგომში - სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების განზოგადებისა და შესაბამისი კომენტარებით საფუძვლად დაედო “ეროვნული ანგარიშების სტანდარტულ სისტემას”, რომელიც გამოქვეყნდა 1952 წელს ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ.

ამავე დროს, გაერთიანებული ერების სტატისტიკური კომისია ცნობდა რა ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების საერთაშორისო სტანდარტის შექმნის აუცილებლობას, აქტიურად განაგრძობდა საქმიანობას ამ მიმართულებით. 1952 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შეიკრიბა ნიუ-იორკში, რათა ჩამოეყალიბებინა ასეთი სტანდარტული სისტემა. სწორედ ამ ჯგუფის მუშაობის შედეგი იყო პირველი სტანდარტული “ეროვნულ ანგარიშთა სისტემა და დამხმარე ცხრილები”, რომელიც გამოიცა 1953 წელს.

ამასთან, სისტემის 1953 წლის გამოცემაში ხაზგასმული იყო მთელი რიგი საერთაშორისო სტატისტიკური სტანდარტებისა და კლასიფიკაციების ჰარმონიზაციის მნიშვნელობა, სისტემის შემდგომი სრულყოფისა და განვითარების საჭიროება ისეთი მიმართულებების მიხედვით, როგორებიცაა შესადარი ფასები, საერთაშორისო შესადარისობა და ა.შ. ამრიგად, ამ და სხვა დამატებებითა და შესწორებებით 1953 წლის ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მოდიფიცირებული გამოცემა კიდევ ორჯერ გამოქვეყნდა - 1960 და 1964 წლებში.

1953 წლის ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, შედარებით მის შემდგომ გამოცემებთან, აღწერილობით ხასიათს ატარებდა; შედგებოდა ექვსი ძირითადი თანმიმდევრული ცხრილისაგან და აღწერდა ეკონომიკაში მიმდინარე ოპერაციებს. მიუხედავად ამისა, მან დიდი როლი შეასრულა ომისშემდგომ ეკონომიკების კვლევისა და აღდგენითი სამუშაოების გზების დასახვაში, შუზღუდული რესურსების პირობებში.

ჯერ კიდევ 1953 წლის ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მე-3 მოდიფიცირებული ვარიანტის გამოცემამდე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მოწვეულ იქნა ექსპერტთა ჯგუფი ეროვნულ ანგარიშთა სისტემის გაფართოებისა და გადასინჯვის მიზნით. 1964 წელს ეს ჯგუფი ორი კვირის განმავლობაში მსჯელობდა ამ მიმართულებით და რიჩარდ სტონისა და გაერთიანებული ერებისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და

განვითარების ორგანიზაციის მიერ მომზადებული პროექტების შესახებ. ამ პროექტების ბაზაზე ჩამოყალიბებული დოკუმენტები დიდხანს იყო განხილვისა და მსჯელობის საგანი ეროვნულ სტატისტიკურ სამსახურებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში. საბოლოო დოკუმენტი მოწონებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკური კომისიის მიერ 1968 წელს. ეს იყო 1968 წლის ეროვნულ ანგარიშთა სისტემა.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სპეციალისტები 1968 წლის გამოცემას მიიჩნევენ უაღრესად დიდ წინ გადადგმულ ნაბიჯად. მის ძლიერ მხარეს წარმოადგენდა ყურადღების გამახვილება დარგთაშორის სტრუქტურასა და შესაბამის კავშირურთიერთობებზე. დანახარჯები-გამოშვება მეთოდოლოგიის შემუშავება წარმოადგენდა ეროვნული ეკონომიკების დინამიკური ანალიზისადმი ფუნდამენტური სისტემური მიდგომის განვითარების საფუძველს. თუმცა, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ (Ward, 2004), ეროვნული ანგარიშების ამ ვერსიამ თავი ვერ გაართვა ინსტიტუციურ ცვლილებებს, რომლებიც მიმდინარეობდა მსოფლიოში და საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წარმოქმნილ გამოწვევებს.

მალევე 1968 წლის გამოცემიდან, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სპეციალისტებმა დაიწყეს საუბარი მის გადასინჯვაზე. სისტემა იყო საკმაოდ რთული და ქვეყნების უმრავლესობას უჭირდა მისი პრაქტიკაში დანერგვა, მიუხედავად იმისა, რომ მათ ამ საქმეში საერთაშორისო ექსპერტები ეხმარებოდნენ. ყველა ერთხმად აღიარებდა სისტემის გამარტივების აუცილებლობას. მეორე მხრივ, სპეციალისტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ 1968 წლის ეროვნულ ანგარიშთა სისტემა იმთავითვე ფოკუსირებული იყო „შიდა ეკონომიკაზე“, მაშინ, როცა ქვეყნების უმეტესობა პოლიტიკურადაც და ეკონომიკურადაც მეტწილად დამოკიდებული იყო საერთაშორისო ეკონომიკაზე.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ახალი ვარიანტის გამოსვლისთანავე გაერთიანებული ერების სტატისტიკურმა კომისიამ ეროვნული სტატისტიკური სამსახურებისაგან მოითხოვა ანგარიში ახალი სისტემის დანერგვის წარმატებებისა და სიძნელეების შესახებ. 70-იანი წლების დასაწყისისათვის 120-მდე ქვეყანამ წარადგინა ეროვნული ანგარიშების სტატისტიკის მონაცემები გაერთიანებული ერების წელიწდეულში გამოსაქვეყნებლად. შემდეგი ხუთი წელი დაეთმო რამდენიმე რეგიონალურ შეხვედრას, სადაც განიხილებოდა განვითარებადი ქვეყნების გამოცდილება ეროვნული ანგარიშთან დაკავშირებული დანერგვის საქმეში. ამ გამოცდილების განზოგადების შემდეგ, გაერთიანებული ერების სტატისტიკურმა კომისიამ გადაწყვიტა ექსპერტთა ჯგუფის მოწვევა. ჯგუფის შეხვედრა მოხდა 1980 წელს, რომელზედაც იმსჯელეს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის დანერგვის სამუშაოებზე და მის მომავალ განვითარებაზე, ამ საქმეში ქვეყნების გამოცდილებისა და ანალიზური პრიორიტეტების ცვლილებების ფონზე. ამავე ჯგუფის 1982 წლის შეხვედრაზე იმსჯელეს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის

გადასინჯვის საჭიროებაზე მისი გამარტივების, სრულყოფისა და სხვა სტატისტიკურ სისტემებთან ჰარმონიზაციის მიზნით. სტატისტიკურმა კომისიამ 1983 და 1985 წლების შეხვედრებზე მიიღო ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები ამ მიმართულებით. ამასთან, აღინიშნა შესაბამისი განმარტებებისა და კლასიფიკაციების ცვლილებების აუცილებლობა, აგრეთვე განვითარებად ქვეყნებში ეროვნულ ანგარიშთა სისტემის დანერგვის პრიორიტეტების შესახებ.

თავის 1985 წლის შეხვედრაზე სტატისტიკური კომისიის მიერ ჩამოყალიბებულ იქნა ეროვნული ანგარიშების სამდივნოთაშორისი მუშა ჯგუფი ევროსტატის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკური განყოფილებისა და რეგიონალური კომისიების და მსოფლიო ბანკის შემადგენლობით. ამ ჯგუფის მუშაობის მთავარი შედეგი იყო ის, რომ ეროვნულ ანგარიშთა სისტემა ცნობილ იქნა, როგორც სტატისტიკური სისტემის საფუძველი და ეკონომიკური სტატისტიკის წარმოების საერთაშორისო სტანდარტი როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში.

1986-1989 წლებში ექსპერტთა ჯგუფი თავის შეხვედრებზე განიხილავდა საკითხთა ფართო სპექტრს, რომლებიც რვა ძირითად მიმართულებად შეიძლება დაიყოს. ესენია: ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სტრუქტურა, ფასებისა და მოცულობის შესადარისობა, საგარეო სექტორი, შინამეურნეობების სექტორი, სახელმწიფო სექტორი, წარმოების ანგარიში და “დანახარჯები-გამოშვება” ცხრილები, ფინანსური ნაკადები და ბალანსები, ეროვნულ ანგარიშთა სისტემისა და სახალხო მეურნეობის ბალანსის შეთანაწყობა. 1989 წელს ჩამოყალიბდა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის საკოორდინაციო ექსპერტთა ჯგუფი გადასინჯული ეროვნულ ანგარიშთა სისტემის პროექტის მომზადების მიზნით. ეს ჯგუფი შეიკრიბა 14-ჯერ (თითოეული შეხვედრის საშუალო ხანგრძლივობა 5-10 სამუშაო დღე), დაახლოებით 50 ექსპერტის შემადგენლობით მსოფლიოს ყველა რეგიონის 40-მდე ქვეყნიდან. შეხვედრებს სპონსორობდა გაერთიანებული ერების რეგიონალური კომისიები. შედეგად, 1991 წელს სტატისტიკურ კომისიას წარუდგინა გადასინჯული ეროვნულ ანგარიშთა სისტემის 582-გვერდიანი პროექტი, რომელიც განხილვის საგანს წარმოადგენდა 1992 წლის ოქტომბერში გამართულ რეგიონთაშორის სემინარზე. 1993 წლის 22 თებერვლიდან 3 მარტის ჩათვლით ნიუ-იორკში გამართულ გაერთიანებული ერების ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 27-ე სესიაზე სტატისტიკური კომისიის მიერ წარდგენილი ეს პროექტი ერთხმად იქნა მიღებული და რეკომენდებული წევრი ქვეყნებისათვის, როგორც ეროვნული ანგარიშების სტატისტიკის საერთაშორისო სტანდარტი.

3.1.2. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის არსი და შესწავლის არეალი

რეალურ ეკონომიკაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს და მათ მონაწილეებს: ადამიანებს, რომლებიც ყოველდღიურად მოიხმარენ სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებას, რომელსაც თვითონ არ ქმნიან; მეორე მხრივ, თითოეულ მათგანს აქვს ცოდნა, გამოცდილება, ჩვევები, ნიჭი და სხვა საწარმოო რესურსები, რომელთა გაყიდვითაც ისინი იღებენ შემოსავალს, რასაც ხარჯავენ მათთვის საჭირო საქონლისა და მომსახურების შექმნაზე; ეკონომიკური პროცესების მონაწილეა მთავრობა, რომელსაც თავისი ფუნქციების განსახორციელებლად ესაჭიროება ფინანსური რესურსები, რასაც იღებს გადასახადების სახით. მას აგრეთვე ესაჭიროება საქონელი და მომსახურება სამთავრობო მოხმარებისათვის, რასაც ასევე იძენს მათი მწარმოებლებისაგან, და საწარმოო რესურსები, რასაც იძენს მოსახლეობისაგან (შინამეურნეობებისაგან). აღნიშნული ეკონომიკური პროცესების შემადგენელი ნაწილია ასევე ეროვნული ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკასთან ურთიერთქმედება, ანუ ის ეკონომიკური ოპერაციები, რომლებსაც ადგილი აქვთ რეზიდენტ ეკონომიკურ ერთეულებსა და არარეზიდენტ ეკონომიკურ ერთეულებს შორის საქონლის, მომსახურების, შემოსავლების, კაპიტალის ურთიერთგაცვლის პროცესში.

ამდენად, მაკროეკონომიკური სტატისტიკა შეისწავლის წარმოების პროცესში ეკონომიკურ ერთეულებს შორის გაცვლის ოპერაციების ერთობლიობას და ამ ერთეულთა ეკონომიკურ ქცევას, რომელთა მუდმივად განმეორებადი პროცესის, ანუ წრებრუნვის შედეგია **მთლიანი შიდა პროდუქტი**. ჩვენ უკვე ვისუბრეთ იმაზე, რომ ამ ურთულესი ამოცანის შესწავლის მიზნით, პირველ რიგში საჭიროა იმ ცნებებისა და კატეგორიების მკაფიოდ ფორმულირება, რომლებიც უკავშირდება ამ პრობლემას და ისეთი უნივერსალური სტანდარტებისა და მიდგომების შემუშავება, რომლებიც საერთო იქნება ყველა მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემისათვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათ შორის ჰარმონიზაციის მიღწევა. ამ საკითხში გადამწყვეტი როლი და ადგილი ეროვნულ ანგარიშთა სისტემას ეკუთვნის. ამიტომაც ვამბობთ, რომ ეროვნულ ანგარიშთა სისტემა წარმოადგენს ეკონომიკური სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგიურ საფუძველს.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა აყალიბებს კონცეპტუალურ მიდგომებსა და ჩარჩოებს მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა ფორმირებისათვის ეკონომიკის მდგომარეობის ყოველისმომცველი ანალიზის მიზნებისათვის, მათ შორის შინამეურნეობების მოხმარების, მთავრობის მოხმარების, კაპიტალის ფორმირების, ექსპორტის, იმპორტის, ხელფასების, მოგების, გადასახადების, დაკრედიტების და ა.შ. სფეროების შესწავლისათვის.

სანამ უშუალოდ მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების შესწავლაზე გადავალთ, საჭიროა გავიგოთ, თუ რატომაა მთლიანი შიდა პროდუქტის რაოდენობრივი შესწავლა ასე მნიშვნელოვანი, რას ემსახურება მისი ფორმირებისა და გამოყენების რთული პროცესების ესოდენ დეტალური აღწერა და ანალიზი, რომელ ეკონომიკურ ერთეულს რა როლი აქვს მთლიანი შიდა პროდუქტის შექმნასა და გამოყენებაში.

ტერმინი “მთლიანი შიდა პროდუქტი” ერთ-ერთი ხშირად ხმარებადი ტერმინია ახალ ამბებში, ეკონომიკურ ფორუმებზე, მთავრობისა და სხვადასხვა ეკონომიკური უწყებების ანგარიშებში, საქმიან საზოგადოებებში, საერთაშორისო ორგანიზაციების მოხსენებებში. ამის მიზეზი ის არის, რომ იგი ადამიანთა საზოგადოების საქმიანობის საბოლოო შედეგების ყველაზე უფრო განმაზოგადებელი მაჩვენებელია.

მთლიანი შიდა პროდუქტი ამა თუ იმ ეკონომიკის სიდიდის შეფასების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ინდიკატორია, ხოლო მისგან მიღებული მაჩვენებელი - მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ მოსახლეზე - ფართოდ გამოიყენება ცხოვრების სტანდარტების საერთაშორისო შედარებებისათვის.

ამდენად, რადგანაც მთლიანი შიდა პროდუქტი, ერთი მხრივ, ესოდენ მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, ხოლო მეორე მხრივ, მისი ფორმირება არაერთი თანმიმდევრული, ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანმაპირობებელი მოვლენისა და პროცესის შედეგია, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა ფოკუსირებულია სწორედ ამ მოვლენებისა და პროცესების ასევე თანმიმდევრულ და მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთქმედების აღწერასა და რაოდენობრივ შესწავლაზე, სათანადო მაჩვენებლთა სისტემის საფუძველზე და ამ გზით მთლიანი შიდა პროდუქტის დეტალურ გაანგარიშებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა წარმოადგენს გარკვეული ეკონომიკური ანგარიშების ლოგიკურ თანმიმდევრობას, რომელთა საშუალებითაც ნაბიჯ-ნაბიჯ, დეტალურად ხდება ეკონომიკური წრებრუნვის რაოდენობრივი აღწერა და მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება.

3.1.3. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სტრუქტურა

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა წარმოადგენს საბალანსო გაანგარიშებების უმნიშვნელოვანეს და საკმაოდ რთულ სისტემას, რომელიც ასახავს ქვეყანაში შექმნილი მთლიანი ეროვნული შემოსავლის ფორმირების პროცესს და ამდენად - მასთან დაკავშირებულ მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. იგი წარმოადგენს

გარკვეული ანგარიშების ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგებულ სისტემას, რომელიც ამავე დროს შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ამა თუ იმ ეროვნული ეკონომიკის განვითარების მაკროეკონომიკური სტატისტიკური მოდელი განსაზღვრული პერიოდისათვის.

ამდენად, ეროვნული ანგარიშიანობის ქვაკუთხედს წარმოადგენს განსაზღვრული ეკონომიკური ანგარიშების ერთობლიობა, რომელთა თანმიმდევრობის ლოგიკა კონკრეტული ეკონომიკური ქცევის შესაბამისია. აღნიშნული ეკონომიკური ანგარიშების ერთობლიობა სამ კატეგორიადაა დაჯგუფებული:

-) მიმდინარე ანგარიშებად (წარმოების ანგარიში და შემოსავლების ანგარიშები);
-) დაგროვებით ანგარიშებად (კაპიტალის ანგარიში, ფინანსური ანგარიში და აქტივების მოცულობის სხვა ცვლილებები);
-) საბალანსო ანგარიშებად.

მიმდინარე ანგარიშებში შედის:


-) წარმოების ანგარიში;
-) შემოსავლების ფორმირების ანგარიში;
-) შემოსავლების პირველადი განაწილების ანგარიში;
-) შემოსავლების გადანაწილების (მეორადი განაწილების) ანგარიში;
-) შემოსავლების გამოყენების ანგარიში.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მიმდინარე ანგარიშები ასახავს იმ ოპერაციებს, რომლებიც დაკავშირებულია წარმოებასთან, შემოსავლების ფორმირებასთან, მათ განაწილება-გადანაწილებასთან და გამოყენებასთან.

მიმდინარე ანგარიშები ასახავს ეროვნულ ეკონომიკასა და მის თითოეულ სექტორში დანაზოგების შექმნის პროცესს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიმდინარე ანგარიშების ყოველი წინა ანგარიშის გამოყენების მხარე იხურება დამაბალანსებელი მუხლით, რომლითაც იწყება მომდევნო ანგარიშის რესურსების მხარე. ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში დამაბალანსებელი მუხლებს განსაკუთრებული ანალიტიკური მნიშვნელობა აქვთ. მიმდინარე ანგარიშების ბოლო დამაბალანსებელი მუხლია დაზოგვა, რომელიც არის შემოსავლების ნაწილი, რასაც ქვეყანა იღებს წარმოებიდან და რაც სახეზე გვაქვს საბოლოო მოხმარების განხორციელების შემდეგ.

სქემა 3.1.3.1. ეროვნული ანგარიშების შემოკლებული სქემა (დამაბალანსებელი მუხლების მითითებით)



ჩანართი 3.1.3.1. ანგარიშების არქიტექტურა

თუმცა, სანამ კონკრეტული ანგარიშების შესწავლას შეუდგებით, მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ ეროვნული ანგარიშების აგების პრინციპებზე:

-) ანგარიშები შედგება ორი მხარისაგან. ესენია:
 - o რესურსები (მარჯვენა მხარე),
 - o გამოყენება (მარცხენა მხარე).
-) თითოეული ანგარიში მთავრდება დამაბალანსებელი მუხლით, რომელიც წარმოადგენს რესურსებსა და გამოყენებას შორის სხვაობას;
-) თითოეული ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლი გადადის მომდევნო ანგარიშის რესურსების პირველ მუხლად. ამ გზით მყარდება ლოგიკური კავშირი ანგარიშების მაჩვენებლებს შორის;
-) თითოეული დამაბალანსებელი მუხლი შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს ძირითადი კაპიტალის მოხმარებამდე (ამორტიზაცია) ან მის შემდეგ, რაც გამოისახება შესაბამისი ტერმინები: მთლიანი (ამორტიზაციის ჩათვლით) და წმინდა (ამორტიზაციის გარეშე).

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებლის - დამატებული ღირებულების გაანგარიშების თემას ეხება **წარმოების ანგარიში** (ცხრილი 3.1). იგი გვიჩვენებს მხოლოდ შედეგს და არა დამატებული ღირებულების წარმოების პროცესს. წარმოების ანგარიში აქვს ყველა ინსტიტუციურ ერთეულს.

ცხრილი 3.1. წარმოების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
შუალედური მოხმარება	გამოშვება
მთლიანი დამატებული ღირებულება/ მთლიანი შიდა პროდუქტი	

გამოშვება არის საქონლისა და მომსახურების მოცულობა, რომელიც წარმოებულია მოცემული საწარმოო ერთეულის მიერ⁴ გარკვეული პერიოდის განმავლობაში და რომელიც განკუთვნილია მოსახმარებლად სხვა საწარმოო ერთეულების მიერ. პროდუქცია, რომელიც განკუთვნილია იმავე საწარმოო ერთეულის მიერ მოსახმარებლად, როგორც შუალედური მოხმარება, გამოშვებაში არ ჩაითვლება.

დანაკარგები წარმოებისა და განაწილების პროცესში გამოშვებაში არ ჩაითვლება. მაგალითად, ელექტროენერჯის დანაკარგები მისი წარმოებისა და განაწილების დროს.

ჩვეულებრივ, საქონლისა და მომსახურების გამოშვებაში შედის საწარმოო პროცესით დასრულებული საქონელი და მომსახურება. თუმცა, თუ რომელიმე პროდუქტის წარმოება უფრო მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე ერთი საანგარიშო პერიოდია, მაშინ დაუმთავრებელი წარმოების მოცულობა პერიოდის ბოლოსათვის ასევე შევა გამოშვებაში.

არასაბაზრო გამოშვების შეფასება, რომელიც უფასოდ ან ეკონომიკურად უმნიშვნელო ფასად მიეწოდება მომხმარებელს, ხდება თვითღირებულებით.

არასაბაზრო გამოშვებაში შედის შემდეგი სუბიექტების გამოშვება:

-) მთავრობა;
-) შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციები;
-) მშენებლობა პირადი სარგებლობისთვის;
-) კვლევები და განვითარება პირადი სარგებლობისთვის;

⁴ საწარმოს შესაძლოა ჰქონდეს რამდენიმე საწარმოო ერთეული.

) პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება პირადი სარგებლობისთვის.

შუალედური მოხმარება მოიცავს საქონელსა და მომსახურებას, რომელიც გამოიყენება მწარმოებლის მიერ საანგარიშგებო პერიოდში საქონლისა და მომსახურების გამოშვებისათვის.

რაში მდგომარეობს წარმოების ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლის - *მთლიანი დამატებული ღირებულების* არსი და როგორ იქმნება იგი?

წარმოების ანგარიში იანგარიშება ინსტიტუციური სექტორების მიხედვით. მთლიანი დამატებული ღირებულება მიიღება როგორც ეკონომიკის ცალკეული მოთამაშის მიერ, ვთქვათ ინსტიტუციური სექტორებში შექმნილი დამატებული ღირებულებების ჯამი. ეროვნული ეკონომიკის დონეზე, დამატებული ღირებულებების ჯამს ემატება წმინდა გადასახადები პროდუქტებზე (გადასახადებს მინუს სუბსიდიები), რის შედეგადაც მიიღება მთლიანი შიდა პროდუქტი.

წარმოება რთული პროცესია და იგი არაერთ ეტაპს გადის სანამ საბოლოო პროდუქტი მიიღება. როგორ იქმნება დამატებული ღირებულება წარმოების ამ რთულ პროცესში?

წარმოვიდგინოთ ხის მერქნისაგან ქაღალდის მიღების პროცესი. ხე უნდა მოიჭრას და დამუშავების არაერთი პროცესი უნდა გაიაროს, სანამ მომხმარებელამდე ქაღალდის სახით მიაღწევს. ეს პროცესები იმდენად განსხვავებულია, რომ შეუძლებელია ყველა მათგანი ერთ საწარმოში განხორციელდეს. ერთი საწარმოსათვის წარმოების დასრულებული პროცესის პროდუქტი, მეორისთვის მასალაა ახალი პროდუქტის საწარმოებლად. და ასე გრძელდება, სანამ საბოლოოდ ქაღალდი არ იწარმოება. წარმოების ყოველ ახალ ეტაპზე იქმნება ახალი პროდუქტი - დამატებული ღირებულება. სწორედ ასეთი დამატებული ღირებულებების ჯამისაგან იქმნება მთლიანი შიდა პროდუქტი. აღნიშნულის საილუსტრაციოდ იხ. ცხრილი 3.2:

ცხრილი 3.2. დამატებული ღირებულების შექმნის სტადიები მერქნისაგან ქაღალდის წარმოების პროცესში

წარმოების სტადიები	გამოშვება	შუალედური მოხმარება	დამატებული ღირებულება
სატყეო მეურნეობის მიერ მერქნის მიყიდვა ხის დამამზადებელი საწარმოსათვის	150		150
ხის დამამზადებელი წარმოების მიერ თავისი პროდუქციის მიყიდვა ცელულოზის დამამზადებელი საწარმოსათვის	200	150	50 (200-150)
ცელულოზის მწარმოებელი საწარმოს მიერ თავისი ნაწარმის მიყიდვა ქაღალდის დამამზადებელი საწარმოსათვის	240	200	40 (240-200)
ქაღალდის დამამზადებელი საწარმოს მიერ ქაღალდის მიყიდვა სავაჭრო ორგანიზაციისათვის	340	240	100 (340-240)
სავაჭრო ორგანიზაციის მიერ ქაღალდის მიყიდვა საბოლოო მომხმარებლისათვის	400	340	60 (400-340)
სულ	1330	930	400 (1330-930)

ამდენად, წარმოების ანგარიში ასახავს ორ ძირითად მაკროეკონომიკურ იგივეობას -

$$\text{გამოშვება} - \text{შუალედური მოხმარება} = \text{მთლიანი დამატებული ღირებულება}$$

$$\text{მთლიანი დამატებული ღირებულება} + \text{წმინდა გადასახადები} = \text{მთლიანი შიდა პროდუქტი}$$

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების ეს მეთოდი **წარმოების მეთოდის** სახელწოდებითაა ცნობილი.

შემდგომში ჩვენ გავეცნობით მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების კიდევ ორ მეთოდს:

-) შემოსავლების მეთოდს და
-) დანახარჯების/საბოლოო მოხმარების მეთოდებს.

ჩანართი 3.1.3.2. მთლიანი შიდა პროდუქტის არსი

როგორც უკვე აღვნიშნეთ „მთლიანი შიდა პროდუქტი“ ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული ტერმინია ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის დასახასიათებლად. თუმცა, პრობლემები იწყება მაშინ, როცა საქმე შეეხება მის შინაარსს ან/და ამ შინაარსის დასაბუთებას. კერძოდ, ხშირად მას განმარტავენ, როგორც „... მოცემული ტერიტორიის (სახელმწიფოს) ფარგლებში რეზიდენტი და არარეზიდენტი პირების საქმიანობის შედეგს“ (მაგ. ჯიბუტი მ. 2020); ასევე არაერთ წყაროში „მთლიანი შიდა პროდუქტის“ შინაარსის დასადგენად მითითებულია სხვადასხვა ლექსიკონები (მაგ. ასათიანი, 2014, გვ. 249), სადაც მთლიანი შიდა პროდუქტი ასევე განმარტებულია, როგორც „... ეკონომიკური აქტივობის საზომი, რომელიც გამოხატავს განსაზღვრული დროის განმავლობაში, როგორც წესი, ერთი წლის განმავლობაში მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე რეზიდენტებისა და არარეზიდენტების მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების ერთობლივ საბაზრო ღირებულებას“. ასეთი განმარტებები მრავლად გვხვდება სხვადასხვა სახელმძღვანელოებში, სალექციო კურსებში და ა.შ. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ მოცემული ქვეყნის რეზიდენტების საწარმოო საქმიანობის შედეგს, მიუხედავად იმისა თუ სად იმყოფებიან ეს რეზიდენტები. ეს არის ამოსავალი დებულება ამ ეკონომიკური კატეგორიის შინაარსში. თუმცა, თუ საქსტატის მიერ მოცემულ განმარტებას გადავხედავთ, აქ ზუსტად ეს ამოსავალი დებულებაა გამოტოვებული და მთლიანი შიდა პროდუქტი განმარტებულია, როგორც „... ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებული საქონლისა და მომსახურების საბაზრო ფასებში გამოხატული მთლიანი ღირებულება“.

ლექსიკონებთან დაკავშირებით ჩნდება ლოგიკური კითხვა: მთლიანი შიდა პროდუქტის ამ ლექსიკონებში მოცემული განმარტება განსაზღვრულია მათი შემდგენელი მეცნიერების მიერ, თუ იმ მეცნიერების მიერ, რომელსაც დაესესხნენ ეს მეცნიერები? ნებისმიერ შემთხვევაში განმარტებები, რომლებიც გვეუბნებიან, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი წარმოადგენს რეზიდენტების და არარეზიდენტების მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებას კატეგორიულად მცდარია, ვინაიდან ერთადერთი, საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული, მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელიც განმარტავს თუ რას წარმოადგენს მთლიანი შიდა პროდუქტი და როგორ გაიანგარიშება იგი არის ეროვნულ ანგარიშთა სისტემა.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში (2008 SNA) ტერმინი მთლიანი შიდა პროდუქტი/მშპ გამოყენებულია 256-ჯერ. აქედან 9 პარაგრაფში (1.39, 1.49, 2.138, 6.70, 6.82, 6.84, 7.10, 7.21, A4.24) მთლიანი შიდა პროდუქტის განმარტება მოცემულია 11-ჯერ, სადაც მკაფიოდ არის საუბარი იმაზე, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი წარმოადგენს რეზიდენტი ინსტიტუციური ერთეულების მიერ წარმოებული მთლიანი დამატებული ღირებულების ჯამს (პლუს წმინდა გადასახადები).

ეროვნული ანგარიშების მომდევნო ანგარიში - *შემოსავლების ფორმირების ანგარიში* (ცხრილი 3.3) ასახავს დამატებული ღირებულების განაწილებას შრომის ანაზღაურებაზე, მთავრობაზე (გადასახადების სახით) და კაპიტალზე (დამაბალანსებელი მუხლების: ოპერაციული მოგების ან შერეული მოგების სახით).

ცხრილი 3.3. შემოსავლების ფორმირების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
შრომის ანაზღაურება	<i>მთლიანი დამატებული ღირებულება/ მთლიანი შიდა პროდუქტი</i>
გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე სუბსიდიები (-)	
<i>მთლიანი ოპერაციული მოგება</i>	
<i>მთლიანი შერეული შემოსავალი</i>	

შემოსავლების ფორმირების ანგარიში გვიჩვენებს, თუ რა კომპონენტებისაგან შედგება მთლიანი დამატებული ღირებულება, მას შემდეგ, რაც ის უკვე შექმნილია წარმოების პროცესში.

დამატებული ღირებულების კომპონენტებია:

-) დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება, რომელიც შედის დამსაქმებელთა მიერ დასაქმებულებისათვის გადახდილი ფულადი თანხა და ნატურის სახით გადახდა, მათ მიერ შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ. აგრეთვე, დასაქმებულთათვის ან გათავისუფლებულ თანამშრომელთათვის და მათი ოჯახის წევრებისათვის გადახდილი სოციალური ტრანსფერები, ავადმყოფობის ანაზღაურება, საგანმანათლებლო გრანტები და პენსიები, რაც არ ასოცირდება ცალკე ფონდებთან;
-) წარმოებაზე სხვა გადასახადებს მინუს სუბსიდიები, რაც გულისხმობს დამქირავებლის მიერ გადასახდელ გადასახადებს, დაკავშირებულს ისეთი საწარმოო პროცესის განსახორციელებლად, რაც არ არის დაკავშირებული გაყიდვებთან და მომგებიანობასთან. ასეთი გადასახადები უკავშირდება, მაგალითად, სალიცენზიების, მიწის, შენობების გამოყენების გადასახადს. ასეთი გადასახადები განსხვავებულია წარმოებასთან და გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახადებისაგან, რასაც ჰქვია პროდუქტებზე გადასახადები;
-) მთლიანი ოპერაციული მოგება - სხვაობა, რომელიც მიიღება დამატებული ღირებულებიდან ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების გამოკლებით. იგი მოიცავს ნასესხები სახსრებისათვის გადასახდელ პროცენტებს, არაწარმოებული აქტივებისათვის გადასახდელ იჯარას.

ამდენად, დამატებული ღირებულების/მთლიანი შიდა პროდუქტის შემოსავლების თვალსაზრისით განხილვა, გვიჩვენებს მის მეორე მხარეს, ანუ იმას, თუ როგორ ნაწილდება წარმოების ეტაპზე ახლად შექმნილი პროდუქტი.

შემოსავლების ფორმირების ანგარიშში ასახულია მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშებისადმი განსხვავებული მიდგომა, ვიდრე ამას წარმოების მეთოდი გვთავაზობს. კერძოდ, მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშებას შემოსავლების მხრიდან:

მთლიანი შიდა პროდუქტი = შრომის ანაზღაურება + გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე - სუბსიდიები პროდუქციასა და წარმოებაზე + მთლიანი საოპერაციო მოგება + მთლიანი შერეული შემოსავალი

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების ეს მეთოდი **შემოსავლების მეთოდის** სახელწოდებითაა ცნობილი.

შემოსავლების ფორმირების ანგარიშში ორი დამატებულ მუხლის არსებობა განპირობებულია იმით, რომ ამ ანგარიშში, თავისი ბუნებით განსხვავებულობის გამო, კორპორაციების მოგება და მეწარმე შინამეურნეობების მოგება გამიჯნულია ერთმანეთისაგან. კერძოდ:

- 1) ოპერაციული მოგება ეს არის მთლიანი დამატებული ღირებულების ნაწილი, რომელიც რჩებათ მწარმოებლებს (კორპორაციებს) შრომის ანაზღაურებისა და წარმოებაზე წმინდა გადასახადების გადახდის შემდეგ. ეს კატეგორია განსაზღვრავს მოგებას (ან ზარალს), საკუთრებიდან შემოსავლების აღრიცხვამდე.
- 2) შერეული შემოსავალი მოიცავს შინამეურნეობების საკუთრებაში არსებული არაკორპორირებული საწარმოების შემოსავლებს, წარმოებაზე გაწეული ხარჯების გარეშე. მასში აისახება შინამეურნეობების წევრების მიერ მიღებული ყველანაირი შემოსავალი ერთად; შინამეურნეობის წევრების მიერ კონკრეტულად ხელფასის სახით მისაღები თანხების მკაფიოდ გამოყოფა მთლიანი შემოსავლებიდან ფაქტობრივად შეუძლებელია და მოიცავს შინამეურნეობათა როგორც შრომის ანაზღაურებას, ასევე ამ არაკორპორირებულ საწარმოთა მოგებას.

მაშინ, როდესაც შემოსავლების ფორმირების ანგარიში ფოკუსირებულია იმ რეზიდენტ მწარმოებელ საწარმოებს/ორგანიზაციებზე და ინსტიტუციურ სექტორებზე, რომელთა ეკონომიკური აქტიურობის პროცესშიც იქმნება პირველადი შემოსავლები, **შემოსავლების პირველადი განაწილების/განთავსების ანგარიში** (ცხრილი 3.4)

აქცენტირებულია იმ ინსტიტუციურ სექტორებზე, რომლებიც იღებენ ამ შემოსავლებს (რესურსების მხარე). მისი გაანგარიშება ცალკეული წარმოებების მიხედვით შეუძლებელია, რადგანაც ძნელია გასანაწილებელი შემოსავლების დაკავშირება მათ მწარმოებელ სუბიექტებთან.

მეწარმე სუბიექტები, თავიანთი საქმიანობის პროცესში ახდენენ მოგების ინვესტირებას როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ აქტივებში. ცხადია, ასეთ ინვესტიციებს მოაქვს შემოსავალი და პირიქით - ხარჯი, თუ ხდება სხვისი საკუთრების გამოყენება. შემოსავლების პირველადი განაწილების ანგარიში საკუთრებიდან შემოსავლებს ასახავს რესურსების მხარეს, ხოლო გასავლებს - გამოყენების მხარეს.

ცხრილი 3.4. შემოსავლების პირველადი განაწილების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
	<i>ოპერაციული მოგება, წმინდა</i>
	<i>შერეული შემოსავალი, წმინდა</i>
	შრომის ანაზღაურება
	დანახარჯები წარმოებასა და იმპორტზე
	სუბსიდიები (-)
საკუთრებიდან შემოსავალი	საკუთრებიდან შემოსავალი
პირველადი შემოსავლების ბალანსი	

ამდენად, შემოსავლების პირველადი განაწილების ანგარიშის რესურსების მხარე ყალიბდება:

-)] ოპერაციული მოგებისა და შერეული მოგებისაგან,
-)] შინამეურნეობების მიერ მიღებული შრომის ანაზღაურებისაგან,
-)] მთავრობის მიერ მიღებული წმინდა გადასახადებისაგან (გადასახადები მიწის სუბსიდიები) და
-)] საკუთრებიდან შემოსავლისაგან, რომელიც შედგება:
 - საინვესტიციო შემოსავლებისაგან, როგორც რეზიდენტებიდან, ისე არარეზიდენტებიდან,
 - რენტისაგან ნატურალური რესურსების ფლობიდან.

შემოსავლების პირველადი განაწილების ანგარიშის დამაბალანსებელი **მუხლია პირველადი შემოსავლების ბალანსი**, როგორც სხვაობა მისაღებ და გადახდილ მთლიან პირველად შემოსავლებს შორის. ეროვნული ეკონომიკის დონეზე ეს მაჩვენებელი ცნობილია **მთლიანი ეროვნული შემოსავლის** სახელით.

რამი მდგომარეობს განსხვავება მთლიან შიდა პროდუქტსა და მთლიან ეროვნულ შემოსავალს შორის?

მთლიანი შიდა პროდუქტი მკაცრად საწარმოო განზომილებაა მთლიანი გამოშვებისა და შუალედური მოხმარების კომპონენტებით. იგი ამავე დროს არის წარმოების საზომი, რამდენადაც მიიღება რეზიდენტი ეკონომიკური ერთეულების მიერ შექმნილი დამატებული ღირებულებების შეჯამებით (პლუს წმინდა გადასახდები). მთლიანი ეროვნული შემოსავალი მიიღება იმავე რეზიდენტი ეკონომიკური ერთეულების პირველადი შემოსავლების ბალანსების შეჯამებით. მაშასადამე, რაოდენობრივი განსხვავება მთლიან შიდა პროდუქტსა და მთლიან ეროვნულ შემოსავალს შორის მდგომარეობს სხვაობაში რეზიდენტების მიერ არარეზიდენტებისაგან მიღებულ პირველად შემოსავლებსა და იმავე რეზიდენტების მიერ არარეზიდენტებისათვის გადახდილ პირველად შემოსავლებს შორის.

ამდენად ხაზგასასმელია, რომ განსხვავება ზემოაღნიშნულ ორ მაჩვენებელს შორის არის არა ინსტიტუციურ მოცვაში, არამედ იმაში, რომ **მთლიანი შიდა პროდუქტი წარმოების საზომია, ხოლო მთლიანი ეროვნული შემოსავალი - შემოსავლების.**

ამდენად, შემოსავლების პირველადი განაწილების/განთავსების ანგარიში საშუალებას გვაძლევს ავხსნათ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური იგივეობა, რომ:

$$\text{მთლიანი შიდა პროდუქტი} + \text{წმინდა პირველადი შემოსავლები უცხოეთიდან} = \text{მთლიანი ეროვნული შემოსავალი}$$

წმინდა პირველადი შემოსავლები უცხოეთიდან არის ერთ-ერთი ეკონომიკური კატეგორია, რომელიც აკავშირებს მოცემულ ეროვნულ ეკონომიკას, კერძოდ მის რეალურ სექტორს, დანარჩენ სამყაროსთან.

ეროვნული ეკონომიკის დანარჩენ სამყაროსთან ურთიერთობის საკითხებს ჩვენ მოგვიანებით დეტალურად დავუბრუნდებით.

შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში ასახავს შემოსავლების გადანაწილებას მიმდინარე ტრანსფერების სახით, რაც განსხვავებულია მთავრობისა და შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციების მიერ შინამეურნეობებზე ნატურის სახით განაწილებული სოციალური ტრანსფერებისაგან (ეს უკანასკნელი აისახება ნატურით შემოსავლების გადანაწილების ანგარიშში; იხ. ცხრილი 3.6).

შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიშის რესურსებისა და გამოყენების სტრუქტურა (ცხრილი 3.5), გარდა რესურსების პირველი მუხლისა - პირველადი შემოსავლების ბალანსი (შემოსავლების პირველადი განაწილების/განთავსების ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლი), ერთნაირია, რადგანაც აღნიშნული ტრანსფერები თუ რესურსია ზოგიერთი სექტორისათვის, გამოყენებაა - მეორისათვის.

ცხრილი 3.5. შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
	პირველადი შემოსავლების ბალანსი
მიმდინარე ტრანსფერები	მიმდინარე ტრანსფერები
მიმდინარე გადასახადები შემოსავალზე, ქონებაზე და სხვ.	მიმდინარე გადასახადები შემოსავალზე, ქონებაზე და სხვ.
წმინდა სოციალური შენატანები	წმინდა სოციალური შენატანები
სოციალური შეღავათები, ნატურაში სოციალური ტრანსფერების გარდა	სოციალური შეღავათები, ნატურაში სოციალური ტრანსფერების გარდა
სხვა მიმდინარე ტრანსფერები	სხვა მიმდინარე ტრანსფერები
განკარგვადი შემოსავალი	

შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია **განკარგვადი შემოსავალი**. ეს ის შემოსავალია, რომელიც შინამეურნეობებს შეუძლიათ გამოიყენონ საბოლოო მოხმარებისა და დაზოგვისათვის. არაფინანსური და ფინანსური კორპორაციების შემთხვევაში განკარგვადი შემოსავალი არ ნაწილდება საკუთარი კაპიტალის მფლობელებზე.

შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში გვიჩვენებს, თუ როგორ ტრანსფორმირდება ინსტიტუციური სექტორების პირველადი შემოსავლების განაწილების/განთავსების ანგარიში მათ განკარგვად შემოსავლებად მიმდინარე ტრანსფერების მიღების ან გადაცემის შედეგად. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ოპერაციას, როცა ერთი ინსტიტუციური ერთეული მეორეს აწვდის საქონელს, მომსახურებას ან აქტივებს ანაზღაურების გარეშე. ეს გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ ტრანსფერი ცალმხრივი ხასიათის ოპერაციაა.

მიმდინარე ტრანსფერები, იქნება ეს ფულის თუ ნატურის სახით, შეიძლება განხორციელდეს როგორც რეზიდენტებს შორის, ისე რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის. აქედან გამომდინარე მთლიანი (ან წმინდა) ეროვნული განკარგვადი შემოსავალი მიიღება როგორც მთლიანი (ან წმინდა) ეროვნული შემოსავლისა და უცხოეთიდან მიღებული წმინდა მიმდინარე ტრანსფერების (მიღებულ ტრანსფერებს გამოკლებული გადაცემული ტრანსფერები) ჯამი.

ამდენად, შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში საშუალებას გვაძლევს ავხსნათ მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური იგივეობები, რომ:

მთლიანი ეროვნული განკარგავალი შემოსავალი = მთლიანი ეროვნული შემოსავალი + წმინდა მეორადი შემოსავლები უცხოეთიდან, ანუ $GNDI = GNI + SIB$

და

მთლიანი შიდა პროდუქტი + წმინდა პირველადი შემოსავლები უცხოეთიდან + წმინდა მეორადი შემოსავლები უცხოეთიდან = მთლიანი ეროვნული განკარგავალი შემოსავალი,

ანუ $GDI + PIB + SIB = GNDI$

წმინდა მეორადი შემოსავლები უცხოეთიდან არის კიდევ ერთი ეკონომიკური კატეგორია, რომელიც ეროვნულ ეკონომიკას აკავშირებს საგარეო სექტორის ანგარიშებთან.

ცხრილი 3.6. ნატურით შემოსავლების გადანაწილების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
სოციალური ტრანსფერები ნატურაში	განკარგავალი შემოსავალი
კორექტირებული განკარგავალი შემოსავალი	სოციალური ტრანსფერები ნატურაში

ნატურით შემოსავლების გადანაწილების ანგარიშს რამდენიმე დანიშნულება აქვს. პირველ რიგში იგი საშუალებას იძლევა მკაფიოდ გამოჩინდეს მთავრობის როლი შინამეურნეობებისათვის საქონლითა და მომსახურებით უზრუნველყოფის მიმართულებით; მეორე - უფრო დეტალურ წარმოდგენას გვაძლევს შინამეურნეობების შემოსავლის სტრუქტურაზე; მესამე - იგი ემსახურება როგორც საერთაშორისო შედარებებს, ისე დინამიკაში იმაზე დაკვირვებას, თუ როგორ იცვლება ეკონომიკური და სოციალური ვითარება ამ სფეროში; და მეოთხე - ეს ანგარიში ასახავს შემოსავლების გადანაწილების პროცესს ქვესექტორებსა და შინამეურნეობების ჯგუფებს შორის.

შემოსავლების გამოყენების შესწავლას ემსახურება ეროვნული ანგარიშების ორი ანგარიში: **განკარგავალი შემოსავლების გამოყენების ანგარიში** (ცხრილი 3.7) და **კორექტირებული განკარგავალი შემოსავლების გამოყენების ანგარიში** (ცხრილი 3.8).

განკარგავალი შემოსავლების გამოყენების ანგარიშის რესურსების პირველი მუხლი - განკარგავალი შემოსავლები - შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია, ხოლო კორექტირებული განკარგავალი შემოსავლების

გამოყენების ანგარიში რესურსების პირველი მუხლი - კორექტირებული განკარგვადი შემოსავალი გადმოდის ნატურით შემოსავლების გადანაწილების ანგარიშიდან.

ცხრილი 3.7. განკარგვადი შემოსავლების გამოყენების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
	<i>განკარგვადი შემოსავალი</i>
საბოლოო მოხმარების ხარჯები	
კორექტირება საპენსიო გასაცემლების ცვლილებები მიხედვით	კორექტირება საპენსიო გასაცემლების ცვლილებები მიხედვით
დაზოგვა	

ცხრილი 3.8. კორექტირებული განკარგვადი შემოსავლების გამოყენების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
	<i>კორექტირებული განკარგვადი შემოსავალი</i>
ფაქტობრივი საბოლოო მოხმარება	
კორექტირება საპენსიო გასაცემლების ცვლილებები მიხედვით	კორექტირება საპენსიო გასაცემლების ცვლილებები მიხედვით
დაზოგვა	

ორივე ეს ანგარიში (ცხრილი 3.7 და ცხრილი 3.8) გვიჩვენებს, თუ როგორ ნაწილდება განკარგვადი შემოსავალი/კორექტირებული განკარგვადი შემოსავალი საბოლოო მოხმარებასა და დაზოგვას შორის.

ზემოთ, სადაც განვიხილავდით მაკროეკონომიკის ძირითად იგივეობებს, კერძოდ კი მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავლის იგივეობას, როგორც:

$$GNDI = C + I + X - M + PIB + SIB$$

მივუთითებდით, რომ „ბანმარტების თანახმად“ მთლიანი ეროვნულ განკარგვად შემოსავალსა და საბოლოო მოხმარებას შორის სხვაობა წარმოადგენს დაზოგვას. იქ იგულისხმებოდა სწორედ განკარგვადი შემოსავლების გამოყენების ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლი - დაზოგვა, რომელიც იანგარიშება როგორც:

$$GNDI - C = S.$$

დაზოგვა, როგორც განკარგვადი შემოსავლის გამოყენების ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლი, ამთავრებს ეროვნული ანგარიშების მიმდინარე ანგარიშების ჯგუფს.

ეროვნული ანგარიშების დაგროვებითი ანგარიშები მოიცავს:

) კაპიტალის ანგარიშს;

-) ფინანსურ ანგარიშს და
-) აქტივებისა და ვალდებულებების სხვა ცვლილებების ანგარიშებს. კერძოდ:
 - o აქტივებისა და ვალდებულებების სხვა ცვლილებების ანგარიშს და
 - o აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების ანგარიშს.

დაგროვებითი ანგარიშები ასახავს არაფინანსური აქტივების, ფინანსური აქტივებისა და პასივების და კაპიტალის წმინდა ღირებულების ცვლილებებთან დაკავშირებულ ნაკადებს. ამ ჯგუფის ანგარიშებსა და ქვეანგარიშებში აღწერილია დანაზოგების გამოყენების ოპერაციები ფინანსური და არაფინანსური ინვესტიციებისათვის და არაფინანსური აქტივების, ფინანსური აქტივებისა და პასივების მარაგების ცვლილება, რაც გამოწვეულია ფასებისა და სხვა (არა ოპერაციებთან დაკავშირებულ) ცვლილებებთან.

ეროვნული ანგარიშების დაგროვებითი ანგარიშების პირველი ნაწილი კაპიტალის ანგარიშს ეთმობა. იგი, განსხვავებით ფინანსური ანგარიშისაგან, ასახავს არაფინანსური აქტივებით განხორციელებულ ოპერაციებს. მისი მიზანია შეისწავლოს ოპერაციები, დაკავშირებული არაფინანსური აქტივების შექმნასა და გასხვისებასთან რეზიდენტების მიერ და ამგვარად ასახოს წმინდა კაპიტალის ცვლილება დაზოგვისა და კაპიტალური ტრანსფერების ხარჯზე. კაპიტალის ანგარიშის მარჯვენა მხარე ასახავს რესურსებს, რაც ხელმისაწვდომია აქტივების დაგროვებისათვის. იგი მოიცავს წმინდა დანაზოგს წინა - შემოსავლების გამოყენების ანგარიშიდან, და კაპიტალურ ტრანსფერტებს. კაპიტალური ტრანსფერტების გასხვისება მოცემულია უარყოფითი ნიშნით. კაპიტალის ანგარიშის რესურსების ჯამი - „საკუთარი კაპიტალის წმინდა ღირებულების ცვლილება დაგროვებისა და კაპიტალური ტრანსფერების ხარჯზე“ არ წარმოადგენს დამაბალანსებელ მუხლს. იგი გვიჩვენებს ფინანსურ ან არაფინანსურ აქტივებში ინვესტირების შესაძლებლობას (როცა ეს მუხლი დადებითია), ან ფონდების სესხების საჭიროებას (როცა იგი უარყოფითია).

ცხრილი 3.9. კაპიტალის ანგარიში

აქტივების ცვლილება	ვალდებულებებისა და წმინდა ღირებულების ცვლილება
	დაზოგვა
მთლიანი ძირითადი კაპიტალის ფორმირება	
ძირითადი კაპიტალის მოხმარება (-)	
მარაგების ცვლილება	
ფასულობათა წმინდა შექმნა	
არაწარმოებული აქტივების წმინდა შექმნა	
	კაპიტალური ტრანსფერები, მისაღები (+)
	კაპიტალური ტრანსფერები, გასაცემი (-)
	აქტივების წმინდა ცვლილება დაზოგვისა და კაპიტალური ტრანსფერების ხარჯზე
წმინდა გასესხება (+)/სესხება (-)	

კაპიტალის ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია „წმინდა გასესხება/სესხება“. ამ მუხლის დადებითი მნიშვნელობა მიუთითებს, რომ დანაზოგებისა და წმინდა კაპიტალური ტრანსფერტების ჯამი აჭარბებს არაფინანსური აქტივების დაგროვებას და არსებობს (ხელმისაწვდომია) ფონდები ფინანსური აქტივების შესაძენად შესაბამისი სექტორ(ებ)ის მიერ (წმინდა გასესხება). თუ ის უარყოფითია, მაშინ საქმე პირიქითაა (წმინდა სესხება).

კაპიტალის ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლი (წმინდა გასესხება/სესხება) ეკორესპონდენტება ფინანსური ანგარიშის იმავე სახელწოდების დამაბალანსებელ მუხლს, რომელიც მიიღება ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული ოპერაციების შედეგად. კონცეპტუალურად ეს ორი მაჩვენებელი ერთმანეთის ტოლი უნდა იყოს, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი დამოუკიდებელი წყაროების და მეთოდების საფუძველზე იანგარიშება, მათ შორის განსხვავება ყოველთვის არსებობს.

ცხრილი 3.10. ფინანსური ანგარიში

აქტივების ცვლილება	ვალდებულებებისა და წმინდა ღირებულებების ცვლილება		
	წმინდა გასესხება (+)/სესხება (-)		
ფინანსური ვალდებულებების წმინდა შეძენა	ფინანსური	ვალდებულებების	წმინდა წარმოქმნა
მონეტარული ოქრო და სესხების სპეციალური უფლებები	მონეტარული ოქრო და სესხების სპეციალური უფლებები		
ვალუტა და დეპოზიტები	ვალუტა და დეპოზიტები		
სავალო ფასიანი ქაღალდები	სავალო ფასიანი ქაღალდები		
სესხები	სესხები		
საკუთარი კაპიტალი და საინვესტიციო ფონდების აქციები	საკუთარი კაპიტალი და საინვესტიციო ფონდების აქციები		
დაზღვევა, საპენსიო და სტანდარტიზებული საგარანტიო სქემები	დაზღვევა, საპენსიო და სტანდარტიზებული საგარანტიო სქემები		
ფინანსური წარმოებულები და დასაქმებულთა ოფციონები	ფინანსური წარმოებულები და დასაქმებულთა ოფციონები		
სხვა მისაღები და გადასახდელი ანგარიშები	სხვა მისაღები და გადასახდელი ანგარიშები		

ამდენად:

) ფინანსური ანგარიში წარმოადგენს ბოლო ანგარიშს, რომლითაც მთავრდება ეროვნული ანგარიშების მწკრივი (იხ. სქემა 3.1). იგი ასახავს ფინანსური ინსტრუმენტების მოცულობების ცვლილებებს, რომლებიც გამოწვეულია ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული ოპერაციებით; ეს ოპერაციები ასახულია ეროვნული ანგარიშების ფინანსურ ანგარიშში მარცხენა მხარეს, როგორც ფინანსური აქტივების წმინდა შეძენა და მარჯვენა მხარეს, როგორც ვალდებულებების წმინდა წარმოქმნა;

-) ფინანსური ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია „წმინდა გასესხება/სესხება“, რომელიც ეროვნული ანგარიშების აგების პრინციპებიდან გამომდინარე, ტოლია წინა ანგარიშის, ანუ კაპიტალის ანგარიშის, იმავე სახელწოდების დამაბალანსებელი მუხლისა. თუმცა, პრაქტიკაში აღნიშნული იგივეობის მიღწევა შეუძლებელია სხვადასხვა მიზეზის გამო. ასეთი მიზეზებია ინფორმაციის სხვადასხვა წყაროები, ურთიერთშემხვედრი ოპერაციების განხორციელების დროში აცდენა, ვალუტის კურსებს შორის სხვაობა და ა.შ. აქედან გამომდინარე, განსხვავება კაპიტალისა და ფინანსური ანგარიშის „წმინდა გასესხება (+)/წმინდა სესხება (-)“ მუხლებს შორის დასაშვებია, მხოლოდ გონივრულ ფარგლებში და არა დიდი მოცულობით. თუ მათ შორის განსხვავება დიდია - ეს ნიშნავს, რომ რომელიმე მათგანის (ან ორივეს) წარმოებისას დაშვებულია უზუსტობები და ისინი გამოკვლევასა და გამოსწორებას საჭიროებს;
-) იგი ასახავს ოპერაციებს ფინანსური ინსტრუმენტებით და არ მოიცავს არაფინანსურ ინსტრუმენტებს;
-) ფინანსური ანგარიში ასახავს ოპერაციებს მხოლოდ ფინანსური ინსტრუმენტებით, რომლებიც აღრიცხულია საბალანსო უწყისში და არ მოიცავს ბალანსგარეშე მუხლებს;
-) განსხვავებით კაპიტალის ანგარიშისაგან, სადაც დამაბალანსებელი მუხლი „წმინდა გასესხება/სესხება“ აქტივების ცვლილების მხარესაა, ფინანსურ ანგარიშში იგი წარმოდგენილია ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის წმინდა ღირებულების ცვლილების მხარეს;
-) განსხვავებით ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ყველა წინა ანგარიშისაგან, ფინანსურ ანგარიშში დამაბალანსებელი მუხლი „წმინდა გასესხება/სესხება“ წარმოდგენილია არა როგორც გამოყენების მხარის დამამთავრებელი მუხლი, არამედ როგორც რესურსების მხარის საწყისი მუხლი, რადგანაც მას აღარ მოსდევს სხვა ანგარიში;
-) ფინანსური ანგარიში უჩვენებს, თუ წმინდა გამსესხებელი (კრედიტორი) ინსტიტუციური სექტორები როგორ აწოდებენ თავის რესურსებს სხვა სექტორებს: აქტივების წმინდა შეძენით, თუ ვალდებულებების წმინდა შემცირებით; და პირიქით: იგი ასახავს, თუ წმინდა დებიტორი სექტორები როგორ იღებენ რესურსებს - აქტივების წმინდა შემცირებით, თუ ვალდებულებების წმინდა ზრდით.

გადაფასების ანგარიში ასახავს წმინდა აქტივების ცვლილებას არაფინანსური აქტივების, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჰოლდინგური მოგება/ზარალის ხარჯზე ამა თუ იმ აქტივსა თუ ვალდებულებაზე ფასების ცვლილების შედეგად.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში ოპერაციები განსაზღვრულია როგორც ეკონომიკური ნაკადები ინსტიტუციურ ერთეულებს შორის, ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე. ოპერაციებად კლასიფიცირდება საქონლისა და მომსახურების ყველა სახის ყიდვა-გაყიდვა, აგრეთვე ისეთი შემოსავლების მიღება/გადახდა, როგორებიცაა საპროცენტო შემოსავალი, დივიდენდი, საშემოსავლო ტრანსფერი.

ოპერაციები განსხვავდება „სხვა ნაკადებისაგან“, რომელშიც იგულისხმება გადაფასება (ჰოლდინგური მოგება/ზარალი) და აქტივების სხვა ცვლილებები, გამოწვეული, მაგალითად, ბუნებრივი რესურსების აღმოჩენით, ან კატასტროფების შედეგად განცდილი დანაკარგებით და სხვ.

ცხრილი 3.11. აქტივების სხვა ცვლილებების ანგარიში

აქტივების ცვლილება	ვალდებულებებისა და წმინდა დირებულების ცვლილება
აქტივების აღმოჩენა	აქტივების აღმოჩენა
არაწარმოებული აქტივების გაქრობა	არაწარმოებული აქტივების გაქრობა
კატასტროფებთან დაკავშირებული დანაკარგები	კატასტროფებთან დაკავშირებული დანაკარგები
არაკომპენსირებული მიტაცება	არაკომპენსირებული მიტაცება
სხვა ცვლილებები	სხვა ცვლილებები
კლასიფიკაციების ცვლილება	კლასიფიკაციების ცვლილება
სხვა ცვლილებები, სულ	სხვა ცვლილებები, სულ
წარმოებული აქტივები	წარმოებული აქტივები
არაწარმოებული აქტივები	არაწარმოებული აქტივები
ფინანსური აქტივები	ფინანსური აქტივები
	აქტივების წმინდა ცვლილება, გამოწვეული სხვა ცვლილებებით

აქტივების სხვა ცვლილებების ანგარიშის მიხედვით აქტივების ზრდა და ვალდებულებების შემცირება იწვევს საკუთარი კაპიტალის წმინდა დირებულების ზრდას, ხოლო აქტივების შემცირება და ვალდებულებების ზრდა ამცირებს საკუთარი კაპიტალის წმინდა დირებულებას.

გადაფასების ანგარიში და აქტივების მოცულობის სხვა ცვლილების ანგარიში აუცილებელია ფინანსურ ნაკადებსა და ნაშთებს შორის ურთიერთდამოკიდებულების შესასწავლად, ანუ ისეთი ცნობილი ურთიერთდამოკიდებულებისა, რომელიც გამოიხატება ფორმულით:

$$\text{საწყისი ბალანსი} + \text{ფინანსური ოპერაციები} + \text{გადაფასება} + \text{მოცულობის სხვა ცვლილებები} = \text{საბოლოო ბალანსი}$$

საბალანსო ანგარიშები (უწყისები) მოიცავს:

- ⌋ აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსს პერიოდის დასაწყისისათვის;
- ⌋ აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსს პერიოდის ბოლოსათვის.

საბალანსო ანგარიშები (უწყისები) ასახავს არაფინანსური (მოწყობილობები, ნაგებობები, მიწა) და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მარაგებს (ნაშთებს) გარკვეული თარიღისათვის, ცალკეული სექტორების, მთელი ეკონომიკისა და დანარჩენი სამყაროს მიხედვით.

საბალანსო ანგარიში (უწყისი), გაანგარიშებული ეროვნული ეკონომიკის მიხედვით, აღრიცხავს ეროვნულ სიმდიდრეს, რომელიც არაფინანსური აქტივებისა და დანარჩენი სამყაროსადმი მოცემული ეკონომიკის წმინდა მოთხოვნების ჯამის ტოლია.

არაფინანსური აქტივების ნაკადები აისახება კაპიტალის ანგარიშში. საბალანსო უწყისის მთლიან აქტივებსა და მთლიან ვალდებულებებს შორის სხვაობა ასახავს წმინდა აქტივებს.

საბალანსო უწყისი უჩვენებს, თუ როგორ აფინანსებს ესა თუ ის სექტორი თავის საქმიანობას, ან როგორ ახორციელებს თავისი ფონდების ინვესტირებას. საბალანსო უწყისებში მკაფიოდ არის გამიჯნული არაფინანსური აქტივები და ფინანსური აქტივები და ვალდებულებები.

საბალანსო უწყისის დამაბალანსებელი მუხლია წმინდა საკუთარი კაპიტალი, რომელიც მიიღება სხვაობით მთლიან აქტივებსა და ვალდებულებებს შორის.

ცხრილი 3.12. გადაფასების ანგარიში

აქტივების ცვლილება	ვალდებულებებისა და წმინდა დირებულების ცვლილება
ჰოლდინგური მოგება/ზარალი	ჰოლდინგური მოგება/ზარალი
არაფინანსური აქტივები	არაფინანსური აქტივები
წარმოებული აქტივები	წარმოებული აქტივები
არაწარმოებული აქტივები	არაწარმოებული აქტივები
ფინანსური აქტივები/ვალდებულებები	ფინანსური აქტივები/ვალდებულებები
	აქტივების წმინდა ცვლილება, გამოწვეული ჰოლდინგური მოგება/ზარალით

დაგროვებითი ანგარიშები ასახავს ყველა იმ ცვლილებას, რაც ხდება ორ საბალანსო ანგარიშს შორის. თუ რას გულისხმობს ეს, გავარკვევთ საბალანსო უწყისების განხილვის შემდეგ.

საბალანსო უწყისები მოიცავს:

-) აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსს პერიოდის დასაწყისისათვის;
-) აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსს პერიოდის ბოლოსათვის.

საბალანსო უწყისები ასახავს არაფინანსური აქტივებისა და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთებს (მარაგებს). არაფინანსური აქტივების ღირებულებისა და წმინდა ფინანსური აქტივების (ფინანსური აქტივებისა და პასივების სხვაობის) ჯამი წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის ან/და მისი სექტორების აქტივების წმინდა ღირებულებას.

ცხრილი 3.13. საწყისი საბალანსო ანგარიში, ცვლილებები აქტივებსა და ვალდებულებებში და საბოლოო/დამამთავრებელი საბალანსო ანგარიში

ნაშთები და ცვლილებები აქტივებში	ნაშთები და ცვლილებები ვალდებულებებში
<i>საწყისი საბალანსო ანგარიში</i>	<i>საწყისი საბალანსო ანგარიში</i>
არაფინანსური აქტივები	არაფინანსური აქტივები
წარმოებული აქტივები	წარმოებული აქტივები
არაწარმოებული აქტივები	არაწარმოებული აქტივები
ფინანსური აქტივები/ვალდებულებები	ფინანსური აქტივები/ვალდებულებები
	წმინდა ქონება/აქტივების წმინდა ღირებულება

ოპერაციები, სულ და სხვა ნაკადები
არაფინანსური აქტივები
წარმოებული აქტივები
არაწარმოებული აქტივები
ფინანსური აქტივები/ვალდებულებები

ოპერაციები, სულ და სხვა ნაკადები
არაფინანსური აქტივები
წარმოებული აქტივები
არაწარმოებული აქტივები
ფინანსური აქტივები/ვალდებულებები

აქტივების წმინდა ცვლილება, სულ
 დაზოგვა და კაპიტალური ტრანსფერები
 აქტივების ღირებულების სხვა ცვლილებები
 ნომინალური ჰოლდინგური მოგება/ზარალი

საბოლოო საბალანსო ანგარიში
არაფინანსური აქტივები
წარმოებული აქტივები
არაწარმოებული აქტივები
ფინანსური აქტივები/ვალდებულებები

საბოლოო საბალანსო ანგარიში
არაფინანსური აქტივები
წარმოებული აქტივები
არაწარმოებული აქტივები
ფინანსური აქტივები/ვალდებულებები

წმინდა ქონება/აქტივების წმინდა ღირებულება

საბალანსო ანგარიშების დამაბალანსებელი მუხლია წმინდა ქონება/აქტივების წმინდა ღირებულება, ანუ სხვაობა აქტივებსა და ვალდებულებებს შორის.

საქონლისა და მომსახურების ანგარიში

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა მოიცავს ასევე საქონლისა და მომსახურების ანგარიშს. ეს ანგარიში წარმოადგენს ეკონომიკის ალტერნატიულ ხედვას, განსხვავებით სხვა დანარჩენი ანგარიშებისაგან, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ფოკუსირებულია, ერთი მხრივ, ეკონომიკისათვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებაზე, როგორც რესურსზე, გამოშვებისა და იმპორტის სახით, ხოლო მეორე მხრივ, ამ საქონლისა და მომსახურების გამოყენებაზე, შუალედური მოხმარების, საბოლოო მოხმარების, კაპიტალი ფორმირებისა და ექსპორტის სახით. სწორედ ეს ანგარიში ასახავს ეროვნული ანგარიშების მთავარ იგივეობას, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი (იხ.: იგივეობები 1-6). მიმდინარე ანგარიშებისაგან განსხვავებით, იგი დამოუკიდებელი ანგარიშია და:

-) აერთიანებს საქონლისა და მომსახურების მთლიან მიწოდებასა და მთლიან გამოყენებას;
-) იგი დამოუკიდებლად ბალანსდება და არ აქვს დამაბალანსებელი მუხლი;
-) რესურსები განლაგებულია ანგარიშის მარჯვენა მხარეს და გამოყენება - მარცხენა მხარეს.

ცხრილი 3.14. საქონლისა და მომსახურების ანგარიში

გამოყენება	რესურსები
შუალედური მოხმარება	გამომშვება
საბოლოო მოხმარება	საქონლისა და მომსახურების იმპორტი
მთლიანი კაპიტალის ფორმირება	გადასახადები პროდუქტებზე
მთლიანი ძირითადი კაპიტალის ფორმირება	სუბსიდიები პროდუქტებზე (-)
მარაგების ცვლილება	
ფასეულობების წმინდა შექმნა	
საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	
გამოყენება, სულ	რესურსები, სულ

აქ პირველ რიგში უნდა განვმარტოთ რას მოიცავს საბოლოო მოხმარება.

საბოლოო მოხმარება წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების ერთობლიობას, რომელიც გამოიყენებულია შინამეურნეობების ან საზოგადოების ინდივიდუალური და სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის. იგი მოიცავს:

-) შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების ხარჯებს;
-) მთავრობის საბოლოო მოხმარების ხარჯებს;

) შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციების საბოლოო მოხმარების ხარჯებს.

მთლიანი კაპიტალის ფორმირება ეროვნული ანგარიშების კონტექსტში იგივეა, რაც ინვესტიციები კაპიტალურ საქონელში. იგი მოიცავს მხოლოდ კაპიტალური საქონლის წარმოებას (შემობები, ნაგებობები, მანქანა-მოწყობილობები, გზები და ა.შ.) და არაწარმოებული აქტივების გაუმჯობესებას.

მთლიანი კაპიტალის ფორმირება ქვეყნის არაფინანსური აქტივების ღირებულების ცვლილების მთავარი ფაქტორია. მისი კომპონენტებია:

-) მთლიანი ძირითადი კაპიტალის ფორმირება;
-) მარაგების ცვლილება;
-) ფასეულობათა (საიუველირო ნაწარმი, ხელოვნების ნიმუშები და ა.შ.) წმინდა შეძენა (შეძენას გამოკლებული გაყიდვა).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ხშირად გამოყენებული ტერმინი *ინვესტიცია* უფრო ფართო ცნებაა. იგი გულისხმობს ინვესტიციებს როგორც წარმოებულ და არაწარმოებულ აქტივებში, ასევე ინვესტიციებს ფინანსურ აქტივებში.

საქონლისა და მომსახურების ექსპორტი და იმპორტი წარმოადგენს ეკონომიკურ ოპერაციებს მოცემული ეროვნული ეკონომიკის რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის. ექსპორტს/იმპორტს ადგილი აქვს მაშინ, როცა საქონელი და მომსახურება იცვლის მფლობელს, მიუხედავად გადაკვეთა თუ არა საზღვარი საქონელმა, ან რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელდა მომსახურების მიწოდება.

საბოლოოდ, ზემოთ ჩამოთვლილი ანგარიშები ერთიანდება ერთ დიდ ჯგუფში, რომლებსაც ინტეგრირებული ეკონომიკური ანგარიშები ეწოდება. ამ უკანასკნელის განზოგადებული სქემა მოცემულია ქვემოთ:

სქემა 3.15. ეროვნული ანგარიშების ინტეგრირებული ეკონომიკური ანგარიშები

საქონელი და მომსახურება	„დანარჩენი სამყარო“	ეკონომიკა, სულ	ინსტიტუციური სექტორები	ოპერაციები, დამაბალანსებელი მუხლები, მოთხოვნები და ვალდებულებები	ინსტიტუციური სექტორები	ეკონომიკა, სულ	„დანარჩენი სამყარო“	საქონელი და მომსახურება
მიმდინარე ანგარიშები								
გამოყენება და დამაბალანსებელი მუხლები					რესურსები			
დაგროვებითი ანგარიშები								
მოთხოვნების ცვლილება					ვალდებულებებისა და კაპიტალის წმინდა ღირებულების ცვლილება			
საბალანსო ანგარიშები								
აქტივები					ვალდებულებები და კაპიტალის წმინდა ღირებულება			

დანარჩენი მსოფლიოს ანგარიშები

როგორც ცხრილი 3.14-დან ჩანს ეროვნული ეკონომიკის ინტეგრირებული ეკონომიკური ანგარიშები მოიცავს ანგარიშებს დანარჩენი სამყაროს მიხედვითაც. რა თქმა უნდა, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, წარმოადგენს რა ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური საქმიანობის კომპლექსური შესწავლის უნივერსალურ საშუალებას, გულისხმობს საზღვარგარეთთან მოცემული ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობების შესწვლასაც. ამ მიზნით იგი იყენებს „დანარჩენი სამყაროს“ ანგარიშებს.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის „დანარჩენის სამყაროს“ ანგარიშები ახასიათებს მოცემული ქვეყნის ურთიერთობებს საზღვარგარეთთან, რაც ვლინდება ამ ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაში. ეს უკანასკნელი მოიცავს საქონლის, მომსახურებისა და ინტელექტუალური საკუთრების ექსპორტს/იმპორტს, სამუშაო ძალის ტრანსსასაზღვრო მოძრაობას, საერთაშორისო ტურიზმს, სადაზღვევო და საფინანსო საქმიანობას, ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო დახმარებას და ა.შ.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ამსახველი ოპერაციები ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში აისახება საგარეო სექტორის ანგარიშებში. ესენია:

-)] საქონლისა და მომსახურების ანგარიში;
-)] პირველადი შემოსავლებისა და მიმდინარე ტრანსფერტების ანგარიში;
-)] საგარეო დაგროვებითი ანგარიშები:
 - კაპიტალის ანგარიში;
 - ფინანსური ანგარიში;
 - აქტივების სხვა ცვლილებების ანგარიში;
 - გადაფასების ანგარიში;

- საგარეო აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიში.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის „დანარჩენის სამყაროს“ სექტორის ანგარიშებს ახასიათებს თავისებურება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ განსხვავებით ეროვნული ეკონომიკის ანგარიშებისაგან, მათში რესურსები და მათი გამოყენება განიხილება დანარჩენი სამყაროს თვალდახედვით. რესურსების მხარეს აისახება ის ოპერაციები, რომლებიც გულისხმობს „დანარჩენი სამყაროს“ მიერ მიმდინარე შემოსავლების მიღებას მოცემული ქვეყნიდან. მაგალითად, იმპორტი აისახება საქონლისა და მომსახურების ანგარიშის რესურსების მხარეს, რაც გულისხმობს შემოსავლების მიღებას სხვა ქვეყნების მიერ მოცემული ქვეყნიდან, საქონლისა და მომსახურების იმპორტთან დაკავშირებული ოპერაციებიდან.

„დანარჩენი სამყაროს“ სექტორის ანგარიშების გამოყენების მხარე ასახავს სხვა ქვეყნების მიერ მოცემული ქვეყნისათვის შემოსავლების გადაცემის ოპერაციებს. მაგალითად, საქონლისა და მომსახურების ანგარიშის გამოყენების მხარეს ხდება საქონლისა და მომსახურების ექსპორტის რეგისტრაცია, რაც ნიშნავს მოცემული ქვეყნის მიერ საზღვარგარეთიდან მიმდინარე შემოსავლების მიღების ოპერაციებს.

თუმცა იმისათვის, რომ სტატისტიკამ სრულყოფილად ასახოს ამა თუ იმ ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების ყველა მხარე და ეტაპი, ამისათვის ეროვნულ ანგარიშთა სისტემა საკმარისი არ არის. სწორედ ამისათვის არსებობს დანარჩენი მაკროეკონომიკური სისტემები. შესაბამისად, ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ოპერაციები მართალია აღირიცხება ეროვნულ ანგარიშებში, მაგრამ უფრო დეტალურად ეს ოპერაციები აღირიცხება საგარეო ეკონომიკურ ანგარიშებში: საგადასახდლო ბალანსში, საერთაშორისო ინვესტიციურ მდგომარეობაში, საგარეო ვალისა და ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების სტატისტიკაში.

ამდენად, ჩვენ გავეცანით ეროვნული ანგარიშების სტრუქტურას, მათ თანმიმდევრობას და შესაბამის მაჩვენებელთა სისტემას. თუმცა, სინამდვილეში ეროვნული ანგარიშები უფრო რთული და კომპლექსური სისტემაა. მაგალითად, უფრო მეტი ანალიზისთვის, თითოეული ანგარიში მეტად კომბინირებული შეიძლება იყოს; ვთქვათ გამოშვება, შუალედური მოხმარება და მთლიანი დამატებული ღირებულება შეიძლება გაანგარიშებულ იქნას ინსტიტუციური სექტორებისა და ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით (იხ. ცხრილი 3.16), თუმცა მათი გაანგარიშება ცალ-ცალკევ შეიძლება (თუ ინფორმაციის წყაროები არასაკმარისია).

ცხრილი 3.16. გამოშვების, შუალედური მოხმარებისა და დამატებული ღირებულების გაანგარიშების კომბინირებული ცხრილი ინსტიტუციური სექტორებისა და ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

	სოფლის მეურნეობა	მრეწველობა და მშენებლობა	ვაჭრობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულ	ფინანსური შუამავლობა	განათლება, ჯანდაცვა და არასაბაზრო მომსახურება	ეკონომიკა, სულ
	(1)	(2)	(3)	(4)	(5)	(6)=(1)+..+(5)
გამოშვება საბაზისო ფასებით	33	179	64	20	80	376
არაფინანსური კორპორაციები	20	153	49		70	292
ფინანსური კორპორაციები				18		18
შინამეურნეობები&შიმკაოები	13	26	15	2		56
მთავრობა					10	10
შუალედური მოხმარება მყიდველის ფასებში	8	110	31	6	25	180
არაფინანსური კორპორაციები	6	93	26		21	146
ფინანსური კორპორაციები				6		6
შინამეურნეობები&შიმკაოები	2	17	5			24
მთავრობა					4	4
მთლიანი დამატებული ღირებულება საბაზისო ფასებში	25	69	33	14	55	196
არაფინანსური კორპორაციები	14	60	23		49	146
ფინანსური კორპორაციები	0			12		12
შინამეურნეობები&შიმკაოები	11	9	10	2		32
მთავრობა					6	6

ეროვნული ანგარიშების წარმოდგენის ფორმები მრავალია, იქიდან გამომდინარე, თუ რა დეტალიზაცია გვჭირდება. მაგალითად, ინტეგრირებული ეკონომიკური ანგარიშები საშუალებას იძლევა ანგარიშების მთელი სპექტრი გავიანგარიშოთ და გავაანალიზოთ ინსტიტუციური სექტორების მიხედვით.

3.1.4. ეროვნული ანგარიშების აგრეგატები და გაანგარიშების მეთოდები

ამდენად, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სტრუქტურის განხილვამ დაგვანახა, რომ იგი საკმაოდ რთული სისტემაა, რომლის კარგად გაგება მისი ზედაპირულ შესწავლით შეუძლებელია. იმისათვის, რომ ღრმად ჩავწვდეთ ეროვნული ანგარიშის არსს და მნიშვნელობას ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების არსებითი შესწავლისათვის, საჭიროა იგი სხვადასხვა რაკურსით განვიხილოთ და წარმოვიდგინოთ. აღნიშნული თვალსაზრისით ერთ-ერთი გზაა არა მარტო ერთობლიობაში წარმოვიდგინოთ მისი მთავარი მაჩვენებლები, არამედ კარგად გავაანალიზოთ მათი გაანგარიშების მეთოდები, რაც ილუსტრირებულია თვით ანგარიშების სტრუქტურაში.

ამრიგად, ეროვნული ანგარიშები თანმიმდევრულად ასახავს ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობის დამახასიათებელ მაჩვენებლებს დამაბალანსებელი მუხლების მეშვეობით -დამატებული ღირებულების შექმნიდან წმინდა ქონების/აქტივების წმინდა ღირებულების ფორმირებამდე.

თუ გაანგარიშების თვალსაზრისით შევხედავთ, ზემოაღნიშნული მაჩვენებლებისა და აგრეთვე საქონლისა და მომსახურების ანგარიშის მაჩვენებლების გაანგარიშების მიდგომები განსხვავებულია, გამომდინარე შესაბამისი ანგარიშების სტრუქტურიდან. კერძოდ, დამატებული ღირებულების/მშპ-ს არსი ეფუძნება წარმოების კონცეფციას, ანუ დამატებული ღირებულება იქმნება საქონლისა და მომსახურების წარმოების პროცესში (ცხრილი 3.1) და მისი გაანგარიშების მეთოდი **წარმოების მეთოდის** სახელწოდებითაა ცნობილი. საქონლისა და მომსახურების ანგარიში (ცხრილი 3.14), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისეა აგებული, რომ იგი ასახავს, ერთი მხრივ, ეკონომიკისათვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებას, გამოშვებისა და იმპორტის სახით, ხოლო მეორე მხრივ, ამ საქონლისა და მომსახურების გამოყენებას, შუალედური მოხმარების, საბოლოო მოხმარების, კაპიტალი ფორმირებისა და ექსპორტის სახით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქონლისა და მომსახურების ანგარიში ახდენს მთლიანი შიდა პროდუქტის შეფასებას საბოლოო გამოყენების/დანახარჯების მხრიდან. მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების ეს მეთოდი ცნობილია **დანახარჯების მეთოდის** სახელწოდებით.

თუმცა, ეროვნული ანგარიშების სტრუქტურა საშუალებას იძლევა ასევე მთლიან შიდა პროდუქტს შევხედოთ შემოსავლების მხრიდანაც (ცხრილი 3.4), ანუ იმ თვალსაზრისით, თუ როგორ ნაწილდება ახლად შექმნილი პროდუქტი შემოსავლებზე. ამ მიდგომას მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების **შემოსავლების მეთოდი** ეწოდება. ქვემოთ მოტანილი ცხრილი, ერთი მხრივ, თვალნათლივ უჩვენებს მთლიანი შიდა პროდუქტის

განგარიშების აღნიშნული სამი მეთოდის არსს, ხოლო მეორე მხრივ - ეროვნული ანგარიშების ძირითადი მაჩვენებლების განგარიშების წესებს.

ცხრილი 3.17. ეროვნული ანგარიშების ძირითადი მაჩვენებლები

წარმოების მეთოდი	დანახარჯების მეთოდი	შემოსავლების მეთოდი
+ ყველა პროდუქტის მიხედვით დამატებული ღირებულების ჯამი, საბაზისო ფასებში + გადასახადები პროდუქტებზე - სუბსიდიები პროდუქტებზე	+საბოლოო მოხმარების ხარჯები +ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება +მარაგების ცვლილება +საქონლისა და მომსახურების ექსპორტი -საქონლისა და მომსახურების იმპორტი	+დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება +გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე -სუბსიდიები წარმოებაზე +საოპერაციო მოგება/შერეული მოგება
= <i>მთლიანი შიდა პროდუქტი</i> (მშპ) საბაზრო ფასებში -ძირითადი კაპიტალის მოხმარება = <i>წმინდა შიდა პროდუქტი</i>		
+პირველადი შემოსავლები, მისაღები უცხოეთიდან -პირველადი შემოსავლები, გადასახდელი უცხოეთისათვის		
= <i>მთლიანი ეროვნული შემოსავალი</i> საბაზრო ფასებში -ძირითადი კაპიტალის მოხმარება = <i>წმინდა ეროვნული შემოსავალი</i> საბაზრო ფასებში		შეიძლება განგარიშებულ იქნეს აგრეთვე როგორც ყველა ინსტიტუციური სექტორის პირველადი შემოსავლების ბალანსების ჯამი
+მიმდინარე ტრანსფერები, მისაღები უცხოეთიდან -მიმდინარე ტრანსფერები, გადასახდელი უცხოეთისათვის		
= <i>მთლიანი ეროვნული განკარგავლი შემოსავალი</i> -ძირითადი კაპიტალის მოხმარება = <i>წმინდა ეროვნული განკარგავლი შემოსავალი</i> საბაზრო ფასებში		შეიძლება განგარიშებულ იქნეს აგრეთვე როგორც ყველა ინსტიტუციური სექტორის განკარგავლი შემოსავლების ჯამი

ამდენად, თუ ზემოთ წარმოდგენილ ცხრილს კარგად დავაკვირდებით, ადვილად გასაგები გახდება, რომ მშპ-ს გაანგარიშება წარმოების მეთოდით ემყარება წარმოების ანგარიშს და მისი ძირითადი იგივეობებია:

- მთლიანი დამატებული ღირებულება* = **გამოშვება**
- მშპ საბაზრო ფასებში*
 - შუალედური მოხმარება
 - = მთლიანი დამატებული ღირებულება საბაზისო ფასებში
 - + გადასახადები პროდუქტებზე
 - სუბსიდიები პროდუქტებზე

მშპ-ს გაანგარიშებას დანახარჯების მეთოდით საფუძვლად უდევს საქონლისა და მომსახურების ანგარიში და მისი ძირითადი იგივეობა:

- მშპ საბაზრო ფასებში* = საბოლოო მოხმარების ხარჯები (შინამეურნეობების, შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციების (შიმკაო) და მთავრობის)
- + კაპიტალის მთლიანი ფორმირება (კაპიტალის მთლიანი ფორმირება და მარაგების ცვლილება)
- + საქონლისა და მომსახურების ექსპორტი
- საქონლისა და მომსახურების იმპორტი

მშპ-ს გაანგარიშება შემოსავლების მეთოდით ხდება მწარმოებლების (დარგების ან ინსტიტუციური სექტორების) შემოსავლების ფორმირების ანგარიშის საფუძველზე და გულისხმობს წარმოებული დამატებული ღირებულების შემადგენელი კომპონენტების მიხედვით ჩამლას. შესაბამისად, ძირითადი იგივეობა გამოიხატება როგორც:

- მშპ საბაზრო ფასებში* = **დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება**
- + გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე
- სუბსიდიები იმპორტზე
- + ოპერაციული მოგება/შერეული მოგება.

ამდენად, მშპ-ს გაანგარიშების ეს სამი მეთოდი წარმოადგენს ეროვნული ანგარიშიანობის საფუძველს. ამავე დროს, ასეთი მიდგომა მშპ-ს ალტერნატიული მეთოდებით შეფასების საშუალებას იძლევა. საქმე ის არის, რომ მშპ-ს გაანგარიშების აბსოლუტურად სრულყოფილი წყაროები არსებობა პრაქტიკულად შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ქვეყნები თვითონ წყვეტენ, რომელი მეთოდის შესაბამისი წყაროები აქვთ უფრო სრულყოფილი და რომელი მეთოდით გაანგარიშებული მშპ არის მათთვის ადეკვატური. სხვადასხვა მეთოდით გაანგარიშებულ მშპ-ს მაჩვენებლებს შორის განსხვავების სიდიდე იმის მაჩვენებელია, თუ ინფორმაციის რომელი წყაროები მოითხოვს სრულყოფას.

ამრიგად, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, როგორც მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემების შემადგენელი ნაწილი, არის, ხატოვნად რომ ვთქვათ, „მთავართა შორის მთავარი“ სისტემა, რომელიც ადგენს ძირითად პრინციპებსა და მიდგომებს, თუ როგორ უნდა ვაწარმოოთ სტატისტიკა, როგორ უნდა დავაკავშიროთ ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის სხვადასხვა მიმართულებები საზოგადოების განვითარების ყოვლისმომცველი სურათის დასადგენად. თუმცა, დანარჩენი სპეციალიზებული მაკროეკონომიკური სისტემების გარეშე, ეკონომიკის განვითარების სურათი სრულყოფილი ვერ იქნებოდა. ყველა მათგანი ერთად და თითოეული ცალ-ცალკე საშუალებას გვაძლევს მივიღოთ პასუხები მრავალრიცხოვან კითხვებზე:

-)] როგორ ვითარდება ეკონომიკა;
-)] როგორია საზოგადოების ცხოვრების ხარისხი;
-)] რა ცვლილებებია საზოგადოების მოხმარებაში, დაგროვებისა და ინვესტიციების ტენდენციებში;
-)] როგორია ეკონომიკისა და მისი ცალკეული სექტორის დავალიანების დონე, გადახდისუნარიანობის დონე, ან ქონების დაგროვების პოტენციალი;
-)] როგორი იქნება ეკონომიკის მომავალი განვითარების ტენდენციები და ა.შ.

ჩანართი 3.1.4.1. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის დანერგვა საქართველოში

1993 წლის 3 სექტემბერს, N 660 დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა „საქართველოს რესპუბლიკაში აღრიცხვისა და სტატისტიკის სისტემის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გარდაქმნისა და ფუნქციონირების სახელმწიფო პროგრამა“ და მისი განხორციელების პირველი ეტაპის (1993-1995) ღონისძიებები (შემდგომში - „პროგრამა“).

ეს იყო მართლაც უპრეცედენტო მოვლენა. როდესაც ქვეყნის სტატისტიკურმა სამსახურმა, დამოუკიდებლად შეძლო საკმაოდ მასშტაბური პროგრამის შემუშავება და ამისათვის ქვეყნის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს მხარდაჭერა მიიღო. და ეს 11 წლით უსწრებდა საერთაშორისო ორგანიზაციების მოწოდებასა და რეკომენდაციას მსგავსი პროგრამების შემუშავებისაკენ.

პროგრამა შედგება კონცეპტუალური ნაწილისა და რეალიზაციის ღონისძიებებისაგან.

კონცეპტუალური ნაწილის პრეამბულაში დანასიათებულია ქვეყნის აღრიცხვისა და სტატისტიკის სფეროში შექმნილი ვითარება და დასაბუთებულია აღნიშნული სისტემის თვისებრივი გარდაქმნისა და საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის აუცილებლობა; ჩამოყალიბებულია პროგრამის მიზნები და ამოცანები. კერძოდ, ნათქვამია, რომ „ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მისი ორგანიზაციული ფორმებისა და სტრუქტურების

ჩანართი 3.1.4.1. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის დანერგვა საქართველოში (გაგრძელება)

კომპლექსური, მეცნიერულად დასაბუთებული დახასიათება მოითხოვს მისი ისეთი მაკროეკონომიკური სტატისტიკური მოდელის შექმნას, რომელიც მრავალმხრივ, ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაში განიხილავს საზოგადოების საქმიანობის საბოლოო პროდუქტის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესებს, მატერიალური და ფინანსური ნაკადების მოძრაობასა და მათ შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. ამ პრობლემების მოგვარება უცვილობლად მოითხოვს თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ დონეზე ფუნქციონირებადი ეროვნული ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ორგანიზაციას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლიანობა მოითხოვს აქვე აღინიშნოს, რომ პრობლემის ხედვა, მისი მასშტაბი და დამოკიდებულება იმდენად ღრმაა, რომ დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა და კარგი მაგალითი და საფუძველია მისი გაზიარებისა და პრაქტიკაში გამოყენებისათვის.

შემდგომი თავი ეძღვნება „სახელმწიფო პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს“, სადაც ნათქვამია, რომ „ამ პროგრამის ძირითადი მიზანია აღნიშნულ სფეროში მსოფლიო პრაქტიკაში მოქმედი და კარგად აპრობირებული აღრიცხვიანობის უნივერსალური სისტემის - ეროვნულ ანგარიშთა სისტემის დანერგვა და მისი ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა“.

რით არის მნიშვნელოვანი პროგრამის მიზნების და ამოცანების ჩამოყალიბებული ხედვა?

საქმე ის არის, რომ ის სტატისტიკური პრაქტიკა, რომელიც არსებობდა საქართველოს სტატისტიკური სისტემაში 1991 წლამდე, ე.წ. მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მმართველობის პერიოდში, არ აღიარებდა და არ იზიარებდა სტატისტიკის წარმოების დასავლურ სტანდარტებს, რომელიც სწორედ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეთოდოლოგიას ეფუძნებოდა. მეორე მხრივ, პროგრამა, რომელიც განსაზღვრული იყო 1993-1995 წლების პერიოდისათვის, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის 1993 წლის რედაქციის (რიგით მესამე) დანერგვას ისახავდა მიზნად. თუნდაც ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს იმ სტატისტიკოსთა პროგრესულ აზროვნებასა და პროფესიულ განსწავლულობაზე, რომლებმაც იმ ძნელბედობის ჟამს მნიშვნელოვნად განსაზღვრეს სტატისტიკური სისტემის ბედი საქართველოში. „საქართველოს რესპუბლიკაში ეროვნული ანგარიშთა სისტემის შემოღებას საფუძვლად ედება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული ეროვნულ ანგარიშთა სისტემის 1993 წლის სტანდარტული ვარიანტი, რომლის საფუძველზეც გათვალისწინებულია ეროვნულ ანგარიშთა სისტემის საქართველოს რესპუბლიკისათვის გამოსადეგი მოდიფიცირებული ვარიანტის შექმნა“ - ნათქვამია სახელმწიფო პროგრამის მიზნებისა და ამოცანების ნაწილში.

ჩანართი 3.1.4.1. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის დანერგვა საქართველოში (გაგრძელება)

პროგრამის მესამე თავი ეძღვნება სახელმწიფო სტატისტიკის მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული საფუძვლების სრულყოფის საკითხებს. პირველ რიგში გამახვილებულია ყურადღება სახელმწიფო სტატისტიკის სამართლებრივი ბაზის შექმნასა და ანგარიშვალდებული ეკონომიკური ერთეულების სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურთან ურთიერთობების პრინციპების ჩამოყალიბების აუცილებლობაზე. აღნიშნული კიდეც ერთხელ უსვამს ხაზს ქვეყანაში სტატისტიკის განვითარების სტრატეგიის სწორ და თანმიმდევრულ ხედვას, რაც ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი და იმსახურებს ყურადღებას.

ამავე თავში პროგრამა ითვალისწინებდა სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის ისეთი აუცილებელი ინსტრუმენტების შექმნის ორგანიზაციული და მეთოდოლოგიური საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობას, როგორებიცაა კლასიფიკაციები და ბიზნეს-რეგისტრი.

სახელმწიფო პროგრამის კომპლექსურობასა და სრულყოფილებას კიდეც ერთხელ ხაზს უსვამს მისი მომდევნო ორი თავი: „კადრების მომზადება და გადამზადება ეროვნულ ანგარიშთან დაკავშირებული მოთხოვნების შესაბამისად“ და „საერთაშორისო თანამშრომლობის როლი სახელმწიფო პროგრამის რეალიზაციის საქმეში“.

პროგრამაში ხაზგასმულია, რომ მისი განხორციელება მთლიანად დამოკიდებულია კადრების პროფესიონალიზმზე და ამ უკანასკნელის ასამაღლებლად აუცილებელია:

- ⌋ ეროვნული ანგარიშთანობის სფეროში დაგროვილი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების შესწავლა და ადამიანური რესურსების მომზადება/გადამზადების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;
- ⌋ უმაღლეს სასწავლებელთა შესაბამისი პროფილის პროფესორ-მასწავლებელთა გადამზადების ორგანიზება;
- ⌋ ეკონომიკური პროფილის დისციპლინებში ახალი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესაბამისი სახელმძღვანელოების შექმნა;
- ⌋ სპეციალისტთა სტაჟირების ორგანიზება საზღვარგარეთის ქვეყნების ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციების სტატისტიკურ სამსახურებში.

ამდენად, პროგრამის კონცეპტუალური ნაწილის კომპლექსურობიდან გამომდინარე ნათელია, რომ მისი განხორციელება სცილდება მხოლოდ სტატისტიკური სამსახურის კომპეტენციის საზღვრებს. მართლაც, პროგრამის მონაწილე მხარეთა რაოდენობა შთამბეჭდავია. ესენია:

- ⌋ სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური (მაშინდელი სოცეკონომინფორმი);
- ⌋ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (მაშინდელი ეკონომიკის სამინისტრო);
- ⌋ ფინანსთა სამინისტრო;
- ⌋ ეროვნული ბანკი;
- ⌋ საბაჟო სამსახური (მაშინდელი საბაჟო კომიტეტი);
- ⌋ საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტი;
- ⌋ ჯანდაცვის სამინისტრო;

ჩანართი 3.1.4.1. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის დანერგვა საქართველოში (გაგრძელება)

- † სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტრო;
- † განათლების სამინისტრო;
- † დარგობრივი სამინისტროები და უწყებები;
- † მეცნიერებათა აკადემია;
- † ფინანსებისა და სტატისტიკის ინსტიტუტი;
- † ეკონომიკის ინსტიტუტი;
- † თსუ-ს სტატისტიკის კათედრა.

პროგრამის განხორციელების ღონისძიებები მოიცავს ოთხ თავს. ესენია:

1. სახელმწიფო სტატისტიკის მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული საფუძვლების სრულყოფა (8 ღონისძიება);
2. საქართველოს რესპუბლიკაში ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შემოღება (13 ღონისძიება);
3. ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა (39 ღონისძიება);
4. კადრების მომზადება და გადამზადება ეროვნულ ანგარიშთან დაკავშირებული მოთხოვნების შესაბამისად (6 ღონისძიება).
5. პროგრამის განხორციელების წლებში, მიუხედავად ქვეყანაში იმ პერიოდში არსებული უმძიმესი პირობებისა, უპრეცედენტოდ რთული და მრავალმხრივი მუშაობა ჩატარდა სტატისტიკის სამსახურის მხრიდან, რათა ქვეყნის სტატისტიკური სისტემა გამხდარიყო მსოფლიო სტატისტიკური საზოგადოების ღირსეული პარტნიორი.
6. საქართველოში აღრიცხვისა და სტატისტიკის სისტემის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გარდაქმნისა და ფუნქციონირების სახელმწიფო პროგრამის პირველი ეტაპის ღონისძიებების შესრულების ანგარიშში, რომელიც თან დაერთო იმავე სახელწოდების მეორე ეტაპის (1997-2000) სახელმწიფო პროგრამას, აღნიშნული იყო, რომ ამ ღონისძიებების განხორციელების ძირითადი შედეგები იყო:
 - † სტატისტიკის სამართლებრივი ბაზის შექმნა;
 - † ეროვნულ ანგარიშთა სისტემის გაანგარიშების ორგანიზაცია და დანერგვა;
 - † საგადასახდლო ბალანსის სტატისტიკის ქვეყნის თავისებურებების შესაბამისი მეთოდოლოგიური და ინფორმაციული საფუძვლების შექმნა და დანერგვა;
 - † სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიური, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა;
 - † ბიზნეს-რეგისტრის ფორმირების მეთოდოლოგიურ-ორგანიზაციული საფუძვლების შექმნა;
 - † კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემის ჩამოყალიბება;
 - † ეკონომისტთა კადრების მომზადებისათვის სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შემუშავება.

ჩანართი 3.1.4.1. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის დანერგვა საქართველოში (გაგრძელება)

თუმცა, პროგრამის რეალიზაციის ტონისძიებების სრულყოფილად განხორციელება მაინც ვერ მოხერხდა მთელი რიგი პრობლემების გადაუჭრელობის გამო. მათ შორის იყო:

- ⌋ პროგრამის ტონისძიებების განხორციელებისათვის აუცილებელი და საკმარისი იურიდიული და ნორმატიული ბაზა (კანონები საბანკო საქმიანობის შესახებ, საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების შესახებ და ა.შ.);
- ⌋ თანამშრომლობის პრინციპები ისეთ ეკონომიკური პროფილის ორგანოებს შორის, როგორებიცაა სტატისტიკის სამსახური, ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო და სხვ.;
- ⌋ პროგრამის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა;
- ⌋ აღრიცხვისა და სტატისტიკის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გარდაქმნისათვის საჭირო და შესაბამისი საკადრო პოლიტიკა.

სახელმწიფო პროგრამის მეორე ეტაპის რეალიზაციის ტონისძიებები ასევე შინაარსიანი და ფართომასშტაბიანი იყო, რომლებიც წინა პროგრამის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა. თუმცა, იმდროისათვის ქვეყანაში არსებული მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებისა და მიზეზების გამო, მისი დამტკიცება რამდენჯერმე გადაიდო და შეჩერდა.

3.1.5. საერთაშორისო შედარებები

რაც დრო გადის გლობალიზაციის მასშტაბების, საერთაშორისო ბაზრების ინტეგრაციის პროცესებისა და საზოგადოების სოციალური საკითხებისადმი ინტერესი სულ უფრო იზრდება. სწორედ ამიტომ მაკროეკონომიკური სტატისტიკისადმი ინტერესი და მისი საჭიროება, მოთხოვნილება სტაბილური ცოდნისადმი ამ სფეროში სულ უფრო აქტუალური ხდება სხვადასხვა პოლიტიკური და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისათვის სიღარიბესთან ბრძოლისა და მთელი რიგი სხვა სოციალური საკითხების დარეგულირების საკითხებში.

მაკროეკონომიკური სტატისტიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო შედარებები განხორციელების თვალსაზრისით. საერთაშორისო შედარებების მიზანია ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობის დონეების შედარება, ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის შეფასება, სხვადასხვა ეკონომიკების

ფინანსური შესაძლებლობებისა და საერთაშორისო ბაზრების კონიუნქტურის ანალიზი, საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის შესწავლა და ა.შ.

საერთაშორისო შედარებების ძირითადი ამოცანაა სხვადასხვა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტისა და ეროვნული ანგარიშების სხვა განმაზოგადებელი მაჩვენებლების (საბოლოო მოხმარება, ძირითადი კაპიტალის ფორმირება, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების დანახარჯები) გადაანგარიშება ერთიან ვალუტაში მათი ურთიერთშედარების მიზნით. ამ ამოცანის გადასაწყვეტად გამოიყენება მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი – სტატისტიკური კატეგორია, რომელიც წარმოადგენს ტექნიკურ ინსტრუმენტს მთლიანი შიდა პროდუქტისა და მისი კომპონენტების საერთაშორისო შესადარისობის მისაღწევად. ამ ინსტრუმენტის გამოყენება საერთაშორისო შედარებებში საშუალებას იძლევა ერთმანეთს შევადაროთ ნებისმიერი ქვეყანა, რეგიონი, მიუხედავად შესაბამისი ეკონომიკების მასშტაბებისა.

ამდენად, საერთაშორისო შედარებების განხორციელებას საფუძვლად უდევს ფასებისა და შინამეურნეობების დანახარჯების სტრუქტურის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის გაანგარიშება.

მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის გაანგარიშება ხდება, ერთი მხრივ, სტანდარტული სამომხმარებლო კალათის ფასების შესახებ ინფორმაციისა და, მეორე მხრივ, შინამეურნეობების დანახარჯების შესახებ მონაცემების საფუძველზე, რომელიც აუცილებელია კალათის თითოეული კომპონენტის წონის განსაზღვრისათვის.

მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი გვიჩვენებს მოცემული ქვეყნის ფულადი ერთეულის იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა იგივე რაოდენობის საქონლისა და მომსახურების შესაძენად, რისი ყიდვაც შეიძლება აშშ-ში 1 დოლარად. მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი მარტო ცალკეული პროდუქტებისათვის არ გამოითვლება. იგი გამოითვლება საქონელთა სხვადასხვა ჯგუფებისათვის, სადაც მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი წარმოადგენს ჯგუფის შიგნით სხვადასხვა პროდუქტის შედარებითი ფასების საშუალო გეომეტრიულს. მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი გამორიცხავს ფასთა სხვაობას ქვეყნებს შორის, რაც შეუძლებელია იგივე მიზნებით გაცვლითი კურსების გამოყენებისას. გაცვლითი კურსი, როგორც უცხოური ვალუტის ფასი, უპრიანია გამოსაყენებლად საიმპორტო და საექსპორტო ოპერაციებთან მიმართებაში და არა ქვეყნის შიგნით განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით. მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი კი, გამორიცხავს რა სხვადასხვა ქვეყანაში ფასების დონეებს შორის სხვაობას, საშუალებას იძლევა გაანგარიშებულ იქნას შესადარი მთლიანი შიდა პროდუქტი. ეს მეთოდი მთლიანი შიდა პროდუქტის საბაზისო წლის ფასებში გაანგარიშების ანალოგიურია, იმ განსხვავებით, რომ თუ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის დროში განსაზღვრულობასთან, პირველ შემთხვევაში ეს განსაზღვრულობა განიხილება

სივრცეში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეორე შემთხვევაში გამორიცხულია ფასების დონეებს შორის სხვაობა დროში, პირველ შემთხვევაში კი - სივრცეში, ანუ ქვეყნებს შორის.

მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი ეს არის გაცვლითი კურსის ერთგვარი ფორმა, დაფუძნებული ქვეყნებს შორის ფასების შედარებაზე. მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მარტივი მაგალითია ფართოდ ცნობილი ბიგ მაკის ინდექსი, რომელიც ემყარება ერთი სამომხმარებლო საქონლის ფასის შედარებას ამა თუ იმ ქვეყანას და აშშ-ს შორის. მაგალითად, ბიგ მაკის (შემწვარი კარტოფილით და საშუალო სასმელით) ფასს ფილიპინებზე, რაც შეადგენს 107 პესოს, უდარებენ მის ფასს აშშ-ში – 3.99 დოლარს და ეს შეფარდება წარმოადგენს მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის საბაზო მაგალითს. ეს შეფარდება – 26.82 ნიშნავს, რომ 26.82 პესოს აქვს იგივე მსყიდველობითი უნარი ფილიპინებზე, რაც ერთ აშშ დოლარს - ამერიკაში.

თუ გვინდა ფილიპინებისა და აშშ-ს ეკონომიკების შედარება, პირველი, რასაც ვაკეთებთ ფილიპინების მთლიანი შიდა პროდუქტი გადაგვყავს აშშ დოლარებში. თუ ამისათვის გამოვიყენებთ გაცვლით კურსს, ფილიპინების მთლიანი შიდა პროდუქტი უნდა გავყოთ 55.6-ზე. ეს არის უმარტივესი გზა ორი სხვადასხვა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის შედარებისათვის. თუ გამოვიყენებთ ბიგ მაკის ინდექსზე დაფუძნებულ მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტს, მაშინ იგივე მაჩვენებელი უნდა გავყოთ 26.82-ზე. შედეგი თითქმის ორჯერ იქნება განსხვავებული.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ გაცვლითი კურსი ადეკვატურად არ ასახავს ადგილობრივი ვალუტის მსყიდველობით უნარს საკუთარ ბაზარზე, რადგანაც იგი არ ასახავს ფასთა განსხვავებას ქვეყნებს შორის. მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის კონცეფცია გაჩნდა სწორედ მთლიანი შიდა პროდუქტის კონვერსიის ალტერნატიული მეთოდის შემუშავების აუცილებლობიდან გამომდინარე.

მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი არის შედარებითი ფასები საქონელისა და მომსახურების კალათაზე, რადგანაც ფასების დონე სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებაზე განსხვავებულია. თითოეული ქვეყანა, რომელიც მონაწილეობს საერთაშორისო შედარებების პროგრამაში, წარადგენს საშუალო ეროვნულ ფასებს დაახლოებით 1000 სპეციფიკურ, მსგავს საქონელსა და მომსახურებაზე, შედარებების განხორციელების უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით ფასები გროვდება, დაახლოებით, წელიწადში 4-ჯერ, ქალაქად და სოფლად, ფორმალურ და არაფორმალურ ბაზრებსა და სავაჭრო ობიექტებზე. მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი გამოითვლება ქვეყნების მიხედვით, შესადარი საქონლისა და მომსახურების საშუალო ფასებზე დაყრდნობით.

სწორედ ამ მიდგომას იყენებს მსოფლიო ბანკი ისეთი მაჩვენებლების გაანგარიშებისას, როგორებიცაა სხვადასხვა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი და მთლიანი ეროვნული

პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე. ამ მაჩვენებლებს მნიშვნელოვანი ოპერატიული და ანალიტიკური დატვირთვა აქვთ. მათი მეშვეობით ხდება დებიტორი ქვეყნების რაწეირება მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი ეროვნული პროდუქტის მიხედვით, სესხების პირობების განსაზღვრის მიზნით. იგივე მაჩვენებელი გამოიყენება ქვეყნების კლასიფიცირებისათვის ქვეჯგუფებად ანალიტიკური მიზნებისათვის. ასეთი ოთხი ჯგუფია: დაბალშემოსავლიანი, საშუალოზე დაბალშემოსავლიანი, საშუალოზე მაღალშემოსავლიანი და მაღალშემოსავლიანი ქვეყნები. ამ და სხვა მსგავს მაჩვენებლებს დიდი გამოყენება აქვს მსოფლიოში სიღარიბის შემცირების პოლიტიკის შემუშავებასა და მისი ცხოვრებაში გატარების მიზნებისათვის.

მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტით შეფასებული მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლები ქვეყნების მიხედვით შესაძლებლობას იძლევა შევადაროთ თითოეული ქვეყნის ეკონომიკა და ეკონომიკური კეთილდღეობის დონე დანარჩენ ქვეყნებთან მიმართებაში. საერთაშორისო შედარებების პროგრამაში მონაწილეობა ეხმარება ამა თუ იმ ქვეყანას გამოსახოს თავისი ქვეყნის მაკროეკონომიკური აგრეგატები მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის კონტექსტში და ამ გზით განსაზღვროს რამდენად კონკურენტუნარიანია მოცემული ქვეყანა სხვა ქვეყნებთან შედარებით, ანუ:

-) რამდენად ძვირია მოცემული ქვეყანა სხვა ქვეყნებთან შედარებით;
-) როგორია მოცემული ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონე სხვა ქვეყნებთან მიმართებაში;
-) რამდენად მწვავეა სიღარიბის დონე სხვა ქვეყნებთან შედარებით;
-) რამდენად განსხვავებულია ეკონომიკის სტრუქტურა სხვა ქვეყნების ანალოგიური მაჩვენებლებისაგან.

ეს კითხვები მეტად აქტუალურია ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკის გამთარებელთათვის ეკონომიკური და სოციალური სტრატეგიების ფორმირებისა და რეალიზაციის პროცესში.

საერთაშორისო შედარებების პროგრამის და, შესაბამისად, მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მონაცემებს კონკრეტული დანიშნულება აქვთ რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე ქვეყნების განვითარების დონის განსაზღვრისა და სიღარიბის მონიტორინგის თვალსაზრისით. მსოფლიო ბანკი, განსაზღვრავს რა სიღარიბის ზღვარს დღეში 1.90 აშშ დოლარის ოდენობით, ამისათვის იყენებს სწორედ მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით გაანგარიშებულ მთლიან შიდა პროდუქტს.

საარსებო მინიმუმის გაანგარიშებასაც, მსოფლიო ბანკის მიერ, ასევე საფუძვლად უდევს მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტზე დაფუძნებული სხვადასხვა ქვეყნებში შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების ხარჯები 1 მოსახლეზე.

მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტს ეყრდნობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ეროვნული ეკონომიკების ზომისა და ზრდის მაჩვენებლების გაანგარიშებაც. ეკონომიკის ზრდის პოტენციალის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზომია ინვესტიციების წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, რომელიც მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის საფუძველზეა გაანგარიშებული.

მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის გაანგარიშება სექტორების მიხედვით შესაძლებელს ხდის ფასების დონის შედარება განხორციელდეს მთლიანი შიდა პროდუქტის კომპონენტების მიხედვით. ეს საშუალებას აძლევს, მაგალითად, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას და გაეროს განათლებისა და მეცნიერების ორგანიზაციას შეაფასონ ქვეყნების მდგომარეობა ჯანდაცვასა და განათლებაზე გაწეული დანახარჯების მიხედვით, რაც ადამიანური კაპიტალის შეფასების მნიშვნელოვანი რაოდენობრივი მახასიათებელია.

მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი არანაკლებ საჭირო და მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია კერძო სექტორის ხელშიც. კერძო მეწარმეობას მუდმივად სჭირდება თვალყური ადევნოს, თუ რამდენად კონკურენტუნარიან ფასებს აწესებს იგი სხვებთან შედარებით, რამდენად არის შესაბამისობაში მისი ოპერაციული ხარჯები სხვა ქვეყნების მსგავსი ფირმების ანალოგიურ მაჩვენებლებთან. ამ კითხვებზე პასუხს მხოლოდ მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი იძლევა.

მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მონაცემებისადმი ინტერესი იზრდება გლობალიზაციისა და მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების გაფართოების კვალობაზე. დღითიდღე იზრდება მულტიეროვნული კორპორაციების მოთხოვნილება საიმედო და დროულ ინფორმაციაზე ბაზრების მოცულობის, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის, წარმოების ხარჯების და მსოფლიო ფინანსურ და კაპიტალის ბაზრებზე მიმდინარე მოვლენების შესახებ.

საერთაშორისო შედარებების პროგრამის შედეგები და ინფორმაცია მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის შესახებ ტურისტების, საქმიანი ადამიანების, დამსაქმებლების, კომერსანტების ცხოველი ინტერესის საგანია, რამდენადაც იგი იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ რამდენად ძვირი ან იაფია ის ქვეყანა, რომელსაც სტუმრობს ტურისტი, რა ღირს საქონელი და მომსახურება იმ ქვეყანაში, რომელშიც აპირებს ბიზმესმენი თავისი საქონლის გაყიდვას (ან საქონლის ყიდვას თავის ქვეყანაში იმპორტირების მიზნით). არაერთი სამეცნიერო კვლევა ეძღვნება საერთაშორისო ფასების, ეკონომიკური ზრდის, სიღარიბის და სხვა საკითხებს, რომლებიც სწორედ საერთაშორისო შედარებების შედეგებს ეფუძნება.

უფრო გლობალურ კონტექსტში, მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტს დიდი მნიშვნელობა აქვს:

-)] მსოფლიო ბანკისათვის (WB) – მსოფლიოში სიღარიბის დონის მონიტორინგისა და შეფასებისათვის;
-)] გაეროს განვითარების პროგრამისათვის (UNDP) – ადამიანური განვითარების ინდექსის აგებისათვის;
-)] მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის (WHO) – 1 მოსახლეზე გადაანგარიშებით ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების შესადარებლად;
-)] გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციისათვის (UNESCO) – 1 მოსახლეზე გადაანგარიშებით განათლებაზე გაწეული ხარჯების შესადარებლად;
-)] გაეროს ბავშვთა ფონდისათვის (UNICEF) – ბავშვთა კეთილდღეობის მონიტორინგისათვის;
-)] საერთაშორისო სავალუტო ფონდისა (IMF) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისათვის (OECD) – სხვადასხვა ეკონომიკების შედარებითი ზომის შესაფასებლად და რეგიონალური ზრდის ტემპების დასადგენად.
-)] გარდა ზემოაღნიშნული მომხმარებლებისა, მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი ფართოდ გამოიყენება ე.წ. “მეოთხე ხელისუფლების” – მედიის მიერ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის კომენტარებისათვის.

საერთაშორისო შედარებები ხორციელდება საერთაშორისო შედარებების პროგრამის იგიდით. რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 50-იან წლებში, როდესაც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის თაოსნობით განხორციელდა პირველი ასეთი შედარებები. ამას მოჰყვა შედარებები:

-)] 1959 წელს - ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების ფარგლებში;
-)] 60-იანი წლების დასაწყისში – ლათინოამერიკულ რეგიონში;
-)] 60-იან წლებში - ცენტრალიზებული გეგმიანი მეურნეობის ეკონომიკისა და საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, ევროპის სტატისტიკოსთა კონფერენციის ეგიდით.


ზემოაღნიშნულმა ადრეულმა კვლევებმა უზარმაზარი წვლილი შეიტანა საერთაშორისო შედარებების პროგრამის მეთოდოლოგიების შექმნასა და სრულყოფაში. გარდა ამისა, ამ შედარებებმა ცხადყო, რომ ასეთი სამუშაოები განხორციელებადია და აუცილებელიც.

ასეთი, შედარებით მცირემასშტაბიანი, შედარებებიდან ფართომასშტაბიან შედარებებზე გადასვლის იდეა დაიბადა 1965 წელს გაეროს სტატისტიკური კომისიის მე-13 სესიაზე, რომელმაც მიიღო რეკომენდაცია შეესწავლათ საერთაშორისო შედარებების საკითხებში იმ დრომდე დაგროვილი გამოცდილება და საერთაშორისო, რეგიონალურ

და ეროვნულ დონეზე მონაცემთა მოპოვების პრაქტიკა, ამ სფეროში მომავალი საქმიანობის სტრატეგიის შემუშავების მიზნით. აღნიშნული რეკომენდაციის რეალიზება და ხორცშესხმა განხორციელდა 1967 წელს და შესაბამისი მოხსენება „წარმოების, შემოსავლებისა და ხარჯების ნაერთი მაჩვენებლების საერთაშორისო შედარებები“ წარედგინა სტატისტიკურ კომისიას, მის მე-15 სესიაზე 1968 წელს. მოხსენებაში ჩამოყალიბებული იყო, შერჩეული ქვეყნების მიხედვით, საერთაშორისო შედარებების ჩატარების გეგმის პროექტი, რომელიც გათვალისწინებული იყო 1968-1971 წლებისათვის, და შესაბამისი მეთოდების აღწერა. განსახორციელებელი სამუშაოების პროექტი იმდენად რესურსტევადი აღმოჩნდა, რომ კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს დამატებითი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და წევრი ქვეყნების დახმარების ჩართვა, მოსალოდნელი ღონისძიებების განხორციელების სათანადო რესურსებით უზრუნველყოფის მიზნით.

ჩანართი 3.1.5.1. ეს საინტერესოა ...

უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის ხვედრითი წილი 2010-2015 წლებში 16 პროცენტიდან 10 პროცენტამდე შემცირდა, როცა 1990 წელს ეს მაჩვენებელი 36 პროცენტს შეადგენდა. ექსპერტები პროგნოზირებენ, რომ 2030 წლისთვის მსოფლიოში უკიდურესი სიღარიბე 6 პროცენტამდე უნდა შემცირდეს.



აღსანიშნავია, რომ 2018 წლის მონაცემებით უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა, ანუ დღეში 1.90 აშშ დოლარზე ნაკლებს მოიხმარდა, არა მარტო უმუშევარი, არამედ დასაქმებული მოსახლეობის 8 პროცენტიც.

სიმდიდრისა და სიღარიბის შეფასების რამდენიმე გზა არსებობს. ყველაზე უფრო გავრცელებულია სამი მიდგომა. კერძოდ, საზოგადოების კეთილდღეობის შეფასება შემოსავლების დონის (იხ. დანართი 4-5), აქტივების (სიმდიდრე ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და უძრავი ქონების სახით) მოცულობისა და სოციალურ-ეკონომიკური განზომილებების (ჯანდაცვისა და კვების ხარისხი, ბავშვთა მოკვდაობის დონე, სანიტარული პირობები და საზოგადოების კეთილდღეობის სხვა ასპექტები) მიხედვით.

გაეროს შეფასებით, მსოფლიო მოსახლეობის უღარიბესი 40 პროცენტი ფლობს მსოფლიო შემოსავლების მხოლოდ 5 პროცენტს, მაშინ, როცა უმდიდრესი 20 პროცენტი - 75 პროცენტს, ხოლო მათგან უმდიდრესი 10 პროცენტი - 54 პროცენტს.

წყარო: <https://unstats.un.org/sdgs/report/2019/goal-01/>.

საერთაშორისო შედარებების პროექტის განხორციელება დაიწყო 1968 წელს, როცა გაეროსა და მსოფლიო ბანკის პატრონაჟით დაარსდა საერთაშორისო შედარებების ქვედანაყოფი. მას სათავეში ჩაუდგა პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი ირვინგ კრავისი. პროექტის პერსონალი ორ ჯგუფად გაიყო: ერთი მათგანი განთავსდა გაეროს ცენტრალურ ოფისში, ხოლო მეორე – ფილადელფიაში – პენსილვანიის უნივერსიტეტში. ამ უკანასკნელი ჯგუფის მხარდასაჭერად ფორდის ფონდმა გასცა მნიშვნელოვანი საუნივერსიტეტო სახსრები. სერიოზული ფინანსური სახსრები გამოყო მსოფლიო ბანკმა და, აგრეთვე, მონაწილე ქვეყნების სტატისტიკურმა სამსახურებმა. პროგრამის პირველი ფაზა (1970 წ.) მოიცავდა 10 ქვეყანას.

პირველი მოხსენება ამ პროგრამის შედეგების შესახებ გამოქვეყნდა 1975 წელს, სახელწოდებით „მთლიანი პროდუქტის საერთაშორისო შედარებების სისტემა და მსყიდველობითუნარიანობა“ (კრავისი, კენესი, ჰესტონი, სამმერსი). მასში დეტალურად იყო აღწერილი ათი ქვეყნის მონაცემთა შედარების ანალიზი. ეს ქვეყნები იყო: აშშ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, ინდოეთი, იტალია, კენია, კოლუმბია, საფრანგეთი და უნგრეთი. ამდენად, ქვეყნების ამ ჩამონათვალთან ჩანს, რომ მისი შემადგენლობა მოიცავდა, ეკონომიკური განვითარების მიხედვით, ყველა კატეგორიის ქვეყანას. მეორე მხრივ, ამ ქვეყნების შედარებისას გამოყენებული იყო მრავალმხრივი შედარებების მეთოდოლოგია. ეს კი შესაძლებელს ხდიდა გაფართოებულიყო საერთაშორისო შედარებების პროგრამაში მონაწილე ქვეყნების ჩამონათვალი.

საერთაშორისო შედარებების პროექტის განხორციელების მე-2 ეტაპზე (1973 წ.) მოხდა 16 ქვეყნის მონაცემთა შედარება 1970-1973 წლების მონაცემების მიხედვით, რომლის შედეგები გამოქვეყნდა 1978 წელს (კრავისი, ჰესტონი, სამმერსი).

საერთაშორისო შედარებების მე-3 ეტაპის (1975წ.) შედეგები გამოქვეყნდა 1982 წელს (კრავისი, ჰესტონი, სამმერსი). ამ ეტაპის შემდეგ მოხდა საერთაშორისო შედარებების პროგრამის რეგიონალიზაცია, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ სხვადასხვა რეგიონები პასუხისმგებელნი გახდნენ შედარებების განხორციელებაზე შესაბამისი რეგიონების მასშტაბით. ხოლო გლობალური შედარებები დაეყრდნობოდა სწორედ რეგიონალურ შედარებებს.

საერთაშორისო შედარებების პროგრამის მე-3 ეტაპიდან (1975წ.) საერთაშორისო შედარებები ხორციელდებოდა 5 წლის ინტერვალით და მონაწილე ქვეყნების რიცხვი გაიზარდა 34-დან (1975 წელს) 64-მდე (1985 წელს). 1985 წლიდან პროექტს საერთაშორისო შედარებების პროგრამა ეწოდა. 1990 წელს განხორციელდა შედარებების ევროპული პროგრამის (შეპ) რაუნდი 40 ქვეყნის მონაწილეობით. 1993 წელს საერთაშორისო შედარებების პროგრამაში უკვე 115 ქვეყანა მონაწილეობდა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა საერთაშორისო შედარებებში მსოფლიოს ყველა

რეგიონი მონაწილეობდა, თუმცა გლობალური შედარებები არ განხორციელებულა. ამ ფონზე, გაეროს სტატისტიკურმა კომისიამ მიიღო საერთაშორისო შედარებების პროგრამის გადასინჯვისა და მისი გაუმჯობესების გადაწყვეტილება. შედეგად, 2005 წელს წარმატებით განხორციელდა საერთაშორისო შედარებების 2005 წლის ციკლი მსოფლიოს 146 ქვეყნის მონაწილეობით, რის შემდეგაც გაეროს სტატისტიკური კომისიის 39-ე სესიაზე 2009 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საერთაშორისო შედარებების გლობალურ ოფისს სათავეში ჩადგომოდა მსოფლიო ბანკი და კოორდინაცია გაეწია საერთაშორისო შედარებების მორიგი 2011 წლის ციკლისათვის (199 ქვეყანა).

საერთაშორისო შედარებების პროგრამამ დამსახურებულად შეიძინა გლობალური პროგრამის სტატუსი. იგი ერთ-ერთი უმსხვილესი სტატისტიკური პროგრამაა. მასში მონაწილე ქვეყნების რიცხვი 10 ქვეყნიდან (1970 წელს) 2017 წლისათვის 176 ქვეყნამდე გაიზარდა და მოიცვა მსოფლიოს ყველა რეგიონი. თუმცა, 2011 წელთან შედარებით 2017 წლის შედარებებისას მონაწილე ქვეყნების რიცხვი შემცირდა პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობისა და დაფინანსების არასაკმარისობის გამო.

საერთაშორისო შედარებების პროგრამაში საქართველო 1993 წლიდან ჩაერთო. იგი შევიდა მე-2 ევროპულ ჯგუფში, რომელიც თავის მხრივ 4 ქვეჯგუფისაგან შედგებოდა. შემდგომ ციკლში (2005) საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო შედარებებში განხორციელდა დსთ-ს სტატისტიკური კომიტეტის მეშვეობით, რაც ეფუძნებოდა თანამეგობრობის სტატისტიკური სამსახურების ხელმძღვანელთა საბჭოს გადაწყვეტილებას (“გაეროს მთლიანი შიდა პროდუქტის საერთაშორისო შედარებების პროგრამაში თანამეგობრობის წევრი ქვეყნების ეროვნული სტატისტიკური სამსახურების მონაწილეობის შესახებ” საბჭოს სხდომის ოქმი N 5, პუნქტი 4; 25-26 ივნისი, 1998წ.).

საერთაშორისო შედარებების 2011 წლის ციკლში საქართველო მონაწილეობდა ცალკე (ჯგუფის გარეშე⁵), ამიტომ მისი მონაწილეობა საერთაშორისო შედარებებში განხორციელდა საქართველოსა და სომხეთის მთლიანი შიდა პროდუქტის ორმხრივი შედარებების გზით⁶. ამგვარად საქართველო დაუკავშირდა დსთ-ს რეგიონალურ ჯგუფს და ამ გზით ჩაერთო გლობალურ შედარებებში.

⁵ 2011 წლის საერთაშორისო შედარებებში, საქართველოს მსგავსად, ასევე ცალკე ქვეყნად მონაწილეობდა ირანის ისლამური რესპუბლიკა, რომელიც თურქეთთან ორმხრივი შედარებების გზით ჩაერთო ევროსტატი/ეგთო ჯგუფში. Purchasing Power Parities and the Real Size of World Economies: A Comprehensive Report of the 2011 International Comparison Program. World Bank Group. 2015. p.10. <http://pubdocs.worldbank.org/en/711001503680105564/ICP2011-Global-Report.pdf>

⁶ საქართველოსა და სომხეთის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის შედარება.

http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/GEO-ARM%20Bilateral%20Comparison%20-%20Georgian.pdf

საერთაშორისო შედარებების 2017 წლის ციკლში საქართველო, უკრაინასთან ერთად, შედარებებში მონაწილეობდა ევროსტატი-ეთგო პროგრამით⁷. ფასები შესწავლილ იქნა 800 ობიექტზე, მხოლოდ დედაქალაქში. ობიექტების სტრუქტურა შემდეგნაირად იყო შერჩეული (პროცენტებში):

-) დიდი მაღაზიები - 2.50,
-) საშუალო და მცირე მაღაზიები - 2.13,
-) ბაზრები - 4.50,
-) სპეციალიზებული მაღაზიები - 35.63,
-) კერძო მომსახურების ობიექტები - 52.63,
-) საჯარო და ნახევრად საჯარო მომსახურების ობიექტები - 1.38,
-) სხვა სახის სავაჭრო ობიექტები - 1.25.

3.1.5.1. საერთაშორისო შედარებების 2017 წლის ციკლის შედეგები


ამრიგად, საერთაშორისო შედარებების პროგრამა გულისხმობს შედარებითი ფასებისა და შინამეურნეობების დანახარჯების შესახებ მონაცემების შეგროვებას მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის გაანგარიშების მიზნით.

საერთაშორისო შედარებების 2017 წლის ციკლის შედეგებით მსოფლიო ეკონომიკის ზომა 120 ტრილიონ დოლარად შეფასდა და გამოვლინდა ორი უდიდესი ეკონომიკა, რომელთა წილად მოდის გლობალური ეკონომიკის თითქმის მესამედი. ესენია ჩინეთი და აშშ, თითქმის ერთნაირი წილით, 16.4 და 16.3 პროცენტი, შესაბამისად. მესამე ადგილზეა ინდოეთი - 6.7 პროცენტი.

მაღალშემოსავლიან ქვეყნებზე მოდის მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტით შეფასებული გლობალური მშპ-ს თითქმის ნახევარი, საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნების წილად - მესამედზე მეტი, ხოლო დანარჩენ ქვეყნებზე მხოლოდ 17 პროცენტი.

⁷ <https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/33623/9781464815300.pdf>


დიაგრამა 3.1.5.1. სხვადასხვა შემოსავლების მქონე ქვეყნების ჯგუფების წილი მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტით შეფასებულ გლობალურ მშპ-ში



საერთაშორისო შედარებების 2017 წლის ციკლის შედეგებით:

-) ფასების დონის მიხედვით ყველაზე ძვირი ეკონომიკა ბერმუდაა; მას მოსდევს ისლანდია, ნორვეგია და შვეიცარია. ყველაზე იაფ ეკონომიკად დასახელდა ეგვიპტე, რომელსაც მოსდევს უკრაინა, სუდანი და ყირგიზეთი.
-) ჯანდაცვის ხარჯები მოსახლეობის ერთ სულზე ყველაზე მაღალია აშშ-ში: 9.4 ათასი დოლარი; მას მოსდევს გერმანია - 6.2 ათასი.
-) მსოფლიო ინვესტიციებში 26 პროცენტით პირველ ადგილზეა ჩინეთი; მას მოსდევს აშშ - 14 პროცენტით.

დიაგრამა 3.1.5.2. გლობალური მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტზე დაფუძნებული მშპ-ს განაწილება რეგიონების მიხედვით, 2017⁸



⁸ <https://blogs.worldbank.org/opendata/new-results-international-comparison-program-shed-light-size-global-economy>



დავალბა 1

იმსჯელეთ ეროვნულ ანგარიშთა სისტემაზე, როგორც მაკროეკონომიკური სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგიურ საფუძველზე. რა იცით მის შესახებ და რაში ხედავთ მისი პრაქტიკული გამოყენების უპირატესობებს.

დავალბა 2

იმსჯელეთ საერთაშორისო შედარებების მნიშვნელობაზე. რაში ხედავთ მის დადებით და უარყოფით მხარეებს და მისი პრაქტიკული გამოყენების უპირატესობებს. დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები.

გამოიყენეთ ინტერნეტრესურსები და შეადარეთ საქართველოს მონაცემები სხვა ქვეყნების ანალოგიურ მონაცემებს; გააკეთეთ დასკვნები.

<https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/33623/9781464815300.pdf>



ტესტი 1

ქვემოთ მოტანილი ტექსტებიდან, რომელია მართებული ეროვნულ ანგარიშთა სისტემასთან (ეას) მიმართებაში (ერთზე მეტი პასუხი):

1. ეას-ის წარმოების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია ეკონომიკის კომპლექსური ხედვა
2. ეას-ი წარმოადგენს გარკვეული ეკონომიკური ანგარიშების ერთობლიობას
3. ეას-ი წარმოადგენს სტატისტიკის წარმოების საფუძველს მხოლოდ საერთაშორისო დონეზე
4. არცერთი დებულება არ არის სწორი

ტესტი 2

ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული:

1. მთლიანი შიდა პროდუქტი = მთლიანი დამატებული ღირებულება + გადასახადები - სუბსიდიები
2. მთლიანი შიდა პროდუქტი = მთლიანი დამატებული ღირებულება + გადასახადები + სუბსიდიები
3. მთლიანი შიდა პროდუქტი = წმინდა დამატებული ღირებულება + გადასახადები - სუბსიდიები
4. მთლიანი შიდა პროდუქტი = წმინდა დამატებული ღირებულება + გადასახადები + სუბსიდიები

ტესტი 3

მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი უდრის (ერთზე მეტი პასუხი):

1. მშპ+პირველადი შემოსავლების ბალანსი+მეორადი შემოსავლების ბალანსი
2. მშპ+მიმდინარე ანგარიშის ბალანსი
3. მეპ+პირველადი შემოსავლების ბალანსი+მეორადი შემოსავლების ბალანსი
4. აბსორბცია+მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

ტესტი 4

ჩამოთვლილთაგან რომელი მათგანი გამოიყენება, როგორც მოცემული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელი სხვა ქვეყნებთან მიმართებაში

1. მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ მოსახლეზე
2. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი
3. ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი
4. მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში

ტესტი 5

რამდენად სწორია შემდეგი დებულება: მთლიანი შიდა პროდუქტი მოიცავს შუალედურ მონმარებას

1. სწორია
2. არასწორია

ტესტი 6

რამდენად სწორია შემდეგი დებულება: ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი უკეთ აფასებს ეკონომიკის განვითარების ტენდენციებს, ვიდრე რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი

1. სწორია
2. არასწორია

ტესტი 7

მოცემულია: $GNDI = C+I+X-M+PIB+SIB$

გადააწყვეთ შესაკრებები ისე, რომ მიიღოთ დაზოგვა-ინვესტიციების ბალანსი:

ტესტი 8

ინვესტიციები შესაძლოა იყოს უარყოფითი

1. სწორია
2. არასწორია

ტესტი 9

ზოგადად, დაზოგვა უდრის განკარგვად შემოსავალს, თუ ეკონომიკა არაფერს მოიხმარს

1. სწორია
2. არასწორია

ტესტი 10

მოცემულია, რომ:

კერძო დაზოგვა (S_p) = 200

კერძო ინვესტიციები (I_p) = 50

სახელმწიფო დაზოგვა (S_g) = -300

სახელმწიფო ინვესტიციები (I_g) = 100

გაიანგარიშეთ:

კერძო სექტორის დაზოგვა-ინვესტიციების ბალანსი

სახელმწიფო სექტორის დაზოგვა-ინვესტიციების ბალანსი

მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

ტესტი 11

მიმდინარე ანგარიშის ბალანსი უდრის სხვაობას მთლიან ეროვნულ განკარგვად შემოსავალსა და აბსორბციას შორის

1. სწორია
2. არასწორია

ტესტი 12

სხვა თანაბარ პირობებში დაზოგვის შემცირება (ან ინვესტიციების ზრდა) ამცირებს (აუარესებს) მიმდინარე ანგარიშის ბალანსს

1. სწორია
2. არასწორია

ტესტი 13

რას ზომავს მთლიანი შიდა პროდუქტი?

1. ეკონომიკის სიდიდეს
2. ეკონომიკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებას
3. მოცემული ქვეყნის ეკონომიკური ოპერაციებს „დანარჩენ სამყაროსთან“
4. ეკონომიკურ ოპერაციებს რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის

ტესტი 14

დანახარჯების მეთოდით გაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტი უდრის:

1. საქონლისა და მომსახურების მოხმარებას
2. მოხმარებისა და საქონლისა და მომსახურების ექსპორტის ჯამს
3. მოხმარების, ინვესტიციებისა და საქონლისა და მომსახურების იმპორტის ჯამს
4. მოხმარების, ინვესტიციებისა და საქონლისა და მომსახურების წმინდა ექსპორტის ჯამს

ტესტი 15

რაში მდგომარეობს ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ნაკლი?

1. იგი არ გამორიცხავს ფასების ცვლილებას
2. იგი გამორიცხავს ფასების ცვლილებას
3. იგი გამორიცხავს არაანაზღაურებად საქმიანობას
4. იგი არ გამორიცხავს არაანაზღაურებად საქმიანობას

ტესტი 16

დავუშვათ ქვეყნის საქონლისა და მომსახურების ბალანსი უდრის -400-ს. ქვემოთ მოცემული დებულებებიდან რომელია სწორი? (ერთზე მეტი პასუხი)

1. ქვეყანას უფრო მეტი საქონელი და მომსახურება შემოაქვს, ვიდრე გააქვს
2. ქვეყანაში აბსორბცია (C+I) ჭარბობს მთლიან შიდა პროდუქტს
3. დაზოგვისა (S) და ინვესტიციების (I) ბალანსი უარყოფითია
4. მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი (GNDI) მეტია ვიდრე აბსორბცია (C+I)

ტესტი 17

როგორც წესი, ერთობლივი მოთხოვნის რომელი კომპონენტია ყველაზე დიდი:

1. ინვესტიციები
2. პირადი მოხმარება
3. სახელმწიფო მოხმარება
4. წმინდა ექსპორტი

ტესტი 18

საქონლისა და მომსახურების გამოშვების მოცულობაში შედის

1. პროდუქცია, რომელიც განკუთვნილია საკუთარი შუალედური მოხმარებისთვის

2. პროდუქციის დანაკარგები წარმოებისა და განაწილების პროცესში
3. დაუმთავრებელი წარმოება
4. ჩამოთვლილთაგან არცერთი

ტესტი 19

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის რომელი ანგარიში მოიცავს ერთდროულად ორ დამაბალანსებელ მუხლს

1. წარმოების ანგარიში
2. შემოსავლების ფორმირების ანგარიში
3. შემოსავლების განაწილების ანგარიში
4. კაპიტალის ანგარიში

ტესტი 20

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შემოსავლების ფორმირებ ის ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლი „შერეული შემოსავალი“ მოიცავს

1. შინამეურნეობების მიერ მიღებულ შემოსავლებს ერთზე მეტი დამსაქმებლისაგან
2. შინამეურნეობის წევრების მიერ მიღებულ ყველანაირ შემოსავალს ერთად მათ საკუთრებაში არსებული არაკორპორირებული საწარმოდან
3. შინამეურნეობების მიერ მიღებულ შემოსავლებს რეზიდენტებისგან და არარეზიდენტებისგან ერთად
4. პირველს და მესამეს

ტესტი 21

რაში მდგომარეობს სხვაობა მთლიან შიდა პროდუქტსა და მთლიან ეროვნულ შემოსავალს შორის

1. მთლიანი შიდა პროდუქტი წარმოების საზომია, ხოლო მთლიანი ეროვნული შემოსავალი - შემოსავლების
2. მთლიან შიდა პროდუქტს რეზიდენტები ქმნიან, ხოლო მთლიან ეროვნულ შემოსავალს - რეზიდენტები და არარეზიდენტები
3. მთლიანი შიდა პროდუქტი იქმნება ქვეყნის გეოგრაფიულ ტერიტორიაზე, ხოლო მთლიანი ეროვნული შემოსავალი - ეკონომიკურ ტერიტორიაზე
4. მათ შორის განსხვავება მხოლოდ „სტატისტიკური განსხვავებაა“

ტესტი 22

დამოკიდებულება $CAB = S - I$ ასახავს:

1. რა კავშირია კაპიტალის ანგარიშსა და ინვესტიციებს შორის
2. თუ რა გავლენას ახდენს საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის მდგომარეობა ქვეყნის დაგროვება-ინვესტიციების ბალანსზე
3. რომ თუ ინვესტიციები სჭარბობს დაგროვებას ეს გამოიწვევს მიმდინარე ანგარიშის გაუმჯობესებას
4. რომ ქვეყნის რესურსები საკმარისია საგადასახდელო ბალანსის პროფიციტის შესანარჩუნებლად

ტესტი 23

ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის საერთაშორისო შედარებების მიზანი:

1. ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების დონეების შედარება
2. ქვეყნების ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის შეფასება
3. ქვეყნების ფინანსური შესაძლებლობების შესაწავლა
4. ქვეყნების კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა და შედარება

ტესტი 24

ჩამოთვლილთაგან რომელია საერთაშორისო შედარებების ძირითადი ამოცანა:

1. სხვადასხვა ქვეყნისთვის ფინანსური დახმარების გაწევა
2. სხვადასხვა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტისა და ეროვნული ანგარიშების სხვა განმაზოგადებელი მაჩვენებლების გადაანგარიშება ერთიან ვალუტაში მათი ურთიერთშედარების მიზნით
3. სხვადასხვა ქვეყნის საწარმოო პოტენციალის შესწავლა
4. არცერთი

ტესტი 25

რას წარმოადგენს მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი:

1. ეს არის გაცვლითი კურსის ერთგვარი ფორმა, დაფუძნებული ქვეყნებს შორის ფასების შედარებაზე
2. იგივეა რაც გაცვლითი კურსი
3. იგივეა რაც რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი
4. არცერთი ჩამოთვლილთაგან არ შეესაბამება მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის განმარტებას

ტესტი 26

რას წარმოადგენს მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი:

1. იგივეა რაც რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი
2. იგივეა რაც ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი
3. ეს არის შედარებითი ფასი საქონლისა და მომსახურების კალათაზე სხვადასხვა ქვეყანაში
4. არცერთი ჩამოთვლილთაგან არ შეესაბამება მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის განმარტებას

ტესტი 27

რაში მდგომარეობს გაცვლითი კურსის ნაკლი მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტთან შედარებით საერთაშორისო შედარებებისას:

1. გაცვლითი კურსი ადეკვატურად არ ასახავს ადგილობრივი ვალუტის მსყიდველობით უნარს საკუთარ ბაზარზე, რადგანაც იგი არ ასახავს ფასებს შორის განსხვავებას ქვეყნებს შორის
2. გაცვლითი კურსი და მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი იდენტური ეკონომიკური კატეგორიებია
3. გაცვლით კურსს უპირატესობა აქვს საერთაშორისო შედარებებისას, რადგანაც იგი ყოველდღიურად ღვინდება
4. გაცვლითი კურსის ნაკლი არის ის, რომ ბევრ ქვეყანას არ აქვს თავისი საკუთარი ვალუტა, რასაც საერთაშორისო შედარებებისას გამოიყენებდა

ტესტი 28

რას წარმოადგენს მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი:

1. მოცემული ქვეყნის ფულადი ერთეულის იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა იგივე რაოდენობის საქონლისა და მომსახურების შესაძენად, რისი ყიდვაც შეიძლება აშშ-ში 1 დილარად
2. იგივეა რაც რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი
3. იგივეა რაც ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი
4. არცერთი ჩამოთვლილთაგან არ შეესაბამება მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის განმარტებას

ტესტი 29

რაში მდგომარეობს მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის უპირატესობა გაცვლითი კურსთან შედარებით საერთაშორისო შედარებებისას:

1. მისი გაანგარიშების ოპერატიულობა
2. გაცვლითი კურსი და მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი იდენტური ეკონომიკური კატეგორიებია
3. მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი გამორიცხავს ფასებს შორის განსხვავებას ქვეყნებს შორის, რაც შეუძლებელია იგივე მიზნით გაცვლითი კურსის გამოყენებისას
4. ძნელია მათ შორის უპირატესობის გამოკვეთა, რადგანაც მეტ-ნაკლებად ორივე ერთ მიზანს ემსახურება

ტესტი 30

რას წარმოადგენს მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი:

1. იგივეა რაც რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი
2. იგივეა რაც ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი
3. ეს არის სტატისტიკური კატეგორია, რომელიც წარმოადგენს ტექნიკურ ინსტრუმენტს მთლიანი შიდა პროდუქტისა და მისი კომპონენტების საერთაშორისო შესადარისობის მისაღწევად
4. არცერთი ჩამოთვლილთაგან არ შეესაბამება მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის არსს

ტესტი 31

საერთაშორისო შედარებების პროგრამაში მონაწილეობა ეხმარება ქვეყნებს შეისწავლონ (ერთზე მეტი პასუხი):

1. რამდენად ძვირია მოცემული ქვეყანა სხვა ქვეყნებთან შედარებით
2. როგორია მოცემული ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონე სხვა ქვეყნებთან შედარებით
3. რამდენად მწვავეა სიღარიბის დონე მოცემულ ქვეყანაში სხვა ქვეყნებთან მიმართებაში
4. რამდენად განსხვავებულია მოცემული ეკონომიკის სტრუქტურა სხვა ქვეყნებისაგან

ტესტი 32

საერთაშორისო შედარებების პროგრამაში მონაწილეობა ეხმარება ქვეყნებს შეისწავლონ:

1. რამდენად განსხვავებულია მოცემული ეკონომიკის სტრუქტურა სხვა ქვეყნებისაგან
2. რამდენად ხელსაყრელია სხვა ქვეყნებთან ვაჭრობა

3. რამდენად მდგრადია სხვა ქვეყნების ეკონომიკები
4. რამდენად სტაბილურია მოცემული ქვეყნის ფინანსური სექტორი სხვა ქვეყნებთან შედარებით

ტესტი 33

საერთაშორისო შედარებების პროგრამაში მონაწილეობა ეხმარება ქვეყნებს შეისწავლონ:

1. საერთაშორისო შედარებების პროგრამაში მონაწილეობა აქტუალური არ არის, ამიტომ მასში ქვეყნების მინიმალური რაოდენობა მონაწილეობს
2. რამდენად მწვავეა სიღარიბის დონე მოცემულ ქვეყანაში სხვა ქვეყნებთან მიმართებაში
3. რამდენად სტაბილურია მოცემული ქვეყნის არაფინანსური კორპორაციების სექტორი სხვა ქვეყნებთან შედარებით
4. რა რაოდენობის ფულადი გზავნილებია ქვეყანაში ინვესტიციების მხარდასაჭერად

ტესტი 34

საერთაშორისო შედარებების პროგრამაში მონაწილეობა ეხმარება ქვეყნებს შეისწავლონ:

1. როგორია მოცემული ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონე სხვა ქვეყნებთან შედარებით
2. ინვესტიციების საჭიროებები თავიანთ ქვეყნებში
3. საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებში ჩართულობის აუცილებლობის სიმწვავე
4. საერთაშორისო შედარებების პროგრამაში მონაწილეობა აქტუალური არ არის, ამიტომ მასში ქვეყნების მინიმალური რაოდენობა მონაწილეობს

ტესტი 35

საერთაშორისო შედარებების განხორციელებას საფუძვლად უდევს:

1. სტანდარტული სამომხმარებლო კალათის ფასებისა და შინამეურნეობების დანახარჯების სტრუქტურის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და მდვიდველობითუნარიანობის პარიტეტის გაანგარიშება
2. მხოლოდ სტანდარტული სამომხმარებლო კალათის ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვება
3. ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის გადაანგარიშება ერთიან ვალუტაში გაცვლითი კურსის მეშვეობით

4. ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტისა და მისი კომპონენტების გადაანგარიშება ერთიან ვალუტაში გაცვლითი კურსის მეშვეობით

ტესტი 36

მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის გაანგარიშებისას, სტანდარტული სამომხმარებლო კალათის ფასების გარდა, გამოიყენება:

1. შინამეურნეობების შემოსავლების სტრუქტურის შესახებ ინფორმაცია, რომელიც საჭიროა კალათის თითოეული კომპონენტის წონის განსაზღვრისათვის
2. შინამეურნეობების დანახარჯების სტრუქტურის შესახებ ინფორმაცია, რომელიც საჭიროა კალათის თითოეული კომპონენტის წონის განსაზღვრისათვის
3. არასტანდარტული სამომხმარებლო კალათის ფასებიც
4. მწარმოებელთა ფასებიც

ტესტი 37

ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის ამა თუ იმ ქვეყანაში სიმდიდრის/სიღარიბის შესწავლის კრიტერიუმი:

1. საზოგადოების შემოსავლების დონე
2. აქტივების (სიმდიდრე ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და უძრავი ქონების სახით) მოცულობა
3. ქვეყანაში სპორტის განვითარების დონე
4. სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრების (ჯანდაცვისა და კვების ხარისხი, ბავშვთა მოკვდაობის დონე, სანიტარული პირობები და სხვ.) დონე

3.2. საგადასახდლო ბალანსი და საგარეო სექტორის სხვა ანგარიშები

სტატისტიკის ცოდნა უცხო ენების ან ალგებრის ცოდნას გავს: ის შეიძლება ნებისმიერ დროს და ნებისმიერ სიტუაციაში სასარგებლო აღმოჩნდეს.

ა.დ. ბოული (1869-1957)

ინგლისელი სტატისტიკოსი და ეკონომისტი

თანამედროვე მაკროეკონომიკური სტატისტიკის ერთ-ერთი თავისებურება და მნიშვნელოვანი უპირატესობაა ეკონომიკის ერთ მთლიანობაში განხილვა. კურსის დასაწყისში, როცა მთავარ მაკროეკონომიკურ იგივეობებზე ვსაუბრობდით, ნაწილობრივ კარგად გამოჩნდა ეს თავისებურება, ხოლო შემდგომში - მაკროეკონომიკური სტატისტიკის წარმოების ფუნდამენტური პრინციპებში უკვე დეტალურად ჩანს ამ თავისებურების არსი, ანუ ის, რომ:

-) ჯერ ერთი, ეროვნული ეკონომიკა განიხილება, როგორც რეზიდენტი ეკონომიკური ერთეულების ერთობლიობა;
-) მეორე, რეზიდენტობა განიხილება, როგორც მოცემულ ეკონომიკურ ტერიტორიასთან (და არა გეოგრაფიულ ტერიტორიასთან) ინსტიტუციური ერთეულის უპირატესი ეკონომიკური ინტერესების კავშირი;
-) მესამე, წარმოების საზღვრების მკაფიოდ განსაზღვრა და
-) მეოთხე, საგარეო სექტორის, როგორც იმ არარეზიდენტების ერთობლიობის განხილვა, რომლებიც ჩართულნი არიან ეკონომიკურ ოპერაციებში მოცემული ქვეყნის რეზიდენტებთან.

ამდენად, მაკროეკონომიკური სტატისტიკა თავისი კვლევის არეალის მიღმა არ ტოვებს ადამიანთა საქმიანობის არცერთ სფეროს, და ამასთან, არც ზედმეტი არაფერია მასში წარმოდგენილი (მაგალითად, საზღვარგარეთი მთლიანად).

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ფარგლებში ჩვენ განვიხილეთ, თუ რა გზებითა და მეთოდებით შეისწავლება ესე თუ ის ეროვნული ეკონომიკა. მოცემული ეროვნული ეკონომიკის დანარჩენ სამყაროსთან ურთიერთობის თვალსაჩინო და, ერთი შეხედვით, მარტივი მაგალითია დაზოგვა-ინვესტიციების თანაფარდობის მიმდინარე ანგარიშთან/საგადასახდლო ბალანსთან მიმართება:

$$S - I = CAB.$$

ეს იგივეობა გვიჩვენებს, რომ თუ $CAB \geq 0$ ეს მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანა დაზოგვისკენაა მიდრეკილი, ხოლო თუ $CAB \leq 0$ - ქვეყანა წმინდა დებიტორია.

თუმცა, ეს ურთიერთობები ასე მარტივი ნამდვილად არ არის. მაკროეკონომიკურ სტატისტიკას ესაჭიროება არანაკლებ მძლავრი სტატისტიკური მეთოდოლოგია და შესაბამისი ინსტრუმენტები, ვიდრე ეროვნულ ანგარიშთა სისტემაა, რათა დეტალურად შეისწავლოს ის რთული და მრავალმხრივი ეკონომიკური ურთიერთობები, რაც თანამედროვე გლობალიზებულ გარემოში მოცემულ ეკონომიკასა და „დანარჩენ მსოფლიოს“ შორის მიმდინარეობს. აღნიშნულ ამოცანას ემსახურება საგარეო სექტორის სტატისტიკა საგადასახდლო ბალანსის, საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის, საერთაშორისო რეზერვებისა და საგარეო ვალის სტატისტიკის სახით.

3.2.1. საგარეო სექტორის ანგარიშები და მათი მნიშვნელობა

ამა თუ იმ ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები გულისხმობს მოცემული ქვეყნის ეკონომიკური აგენტების ეკონომიკურ ურთიერთობებს არარეზიდენტებთან, ანუ „დანარჩენ სამყაროსთან“. ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ მრავალფეროვანი და მასშტაბური შეიძლება იყოს აღნიშნული ეკონომიკური ურთიერთობები და მათთან დაკავშირებული ფინანსური მოთხოვნები და ვალდებულებები. ყოველივე აღნიშნულის შესასწავლად საგარეო სექტორის ანგარიშები გამოიყენება. ეს ანგარიშები საშუალებას იძლევა ვუპასუხოთ კითხვებს, თუ რამდენის მოხმარება შეუძლია ქვეყანას და რამდენის - ინვესტირება; რამდენის სესხება შეუძლია „დანარჩენი სამყაროდან“ და რამდენის - გასესხება. მეორე მხრივ, საგარეო სექტორის ანგარიშები საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ ქვეყანაში მოხმარებისა და ინვესტირებისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურების წყაროების პრიორიტეტები: ვაწარმოოთ ისინი თავად, თუ იმპორტს მივანიჭოთ უპირატესობა.

ამდენად, საგარეო სექტორის ანგარიშები, რომლებიც მოწოდებულია უპასუხოს ამ და ბევრ სხვა ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს შეკითხვას, აუცილებელი ინსტრუმენტია პოლიტიკის გამტარებელთა ხელში, რათა მათ სწორად განსაზღვრონ ქვეყნის, არა მარტო საგარეო ეკონომიკური, არამედ მთლიანი ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტები.

რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის ურთიერთობების შესასწავლად შემდეგი სტატისტიკური ანგარიშები გამოიყენება:

-) საგადასახდლო ბალანსი;
-) საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსი;
-) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სხვა ცვლილებების ანგარიშები, როგორებიცაა ღირებულების ცვლილებები და სხვა ნაკადები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ოპერაციებთან და რომლებსაც შესაბამისობაში მოჰყავს ერთმანეთთან საგადასახდლო ბალანსი და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსი.

თუმცა, ზემოაღნიშნული ანგარიშები უფრო მეტ დეტალიზაციას საჭიროებენ საერთაშორისო აქტივებისა და ვალდებულებების ნაწილში. ამ ამოცანას ემსახურება საერთაშორისო სარეზერვო აქტივების მატრიცა და საგარეო ვალის სტატისტიკა.

საგარეო სექტორის ანგარიშები ჰარმონიზებულია ეროვნულ ანგარიშთა სისტემასთან, იყენებს რა იგივე ცნებებსა და კონცეფციებს, რასაც ეს უკანასკნელი.

ქვემოთ მოტანილია საგარეო სექტორის ანგარიშების ზოგადი სტრუქტურა. მომდევნო თავებში ჩვენ თანმიმდევრულად შევისწავლით თითოეულის წარმოების პრინციპებს, მათ შორის ურთიერთკავშირებსა და ანალიზის ძირითად მიმართულებებს.

ცხრილი 3.2.1.1. საგარეო სექტორის ანგარიშების ზოგადი სტრუქტურა


საგადასახდლო ბალანსი	კრედიტი	დებეტი	ბალანსი
მიმდინარე ანგარიში			
საქონელი და მომსახურება			
საქონელი			
მომსახურება			
პირველადი შემოსავლები			
დასაქმებულთა შრომის ანაზრაურება			
პროცენტი			
კორპორაციების განაწილებული შემოსავალი			
რეინვესტირებული შემოსავალი			
რენტა			
მეორადი შემოსავალი			
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი			
კაპიტალის ანგარიში			
არაწარმოებული, არაფინანსური აქტივების შექენა/გასხვისება			
კაპიტალური ტრანსფერები			
კაპიტალის ანგარიშის ბალანსი			
წმინდა გასესხება (+)/სესხება (-) (მიმდინარე და კაპიტალის ანგარიშების ბალანსი)			
ფინანსური ანგარიში	ფინანსური აქტივების წმინდა შექენა	ფინანსური ვალდებულებების წმინდა წარმოქმნა	ბალანსი
პირდაპირი ინვესტიციები			
პორტფელის ინვესტიციები			
ფინანსური წარმოებულები			
სხვა ინვესტიციები			
სარეზერვო აქტივები			
აქტივებისა და ვალდებულებების მთლიანი ცვლილება			
წმინდა გასესხება (+)/სესხება (-) (ფინანსური ანგარიშიდან)			
წმინდა შეცდომები და გამოტოვებები			

ცხრილი 3.2.1.1. საგარეო სექტორის ანგარიშების ზოგადი სტრუქტურა (გაგრძელება)

საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსი	საწყისი ბალანსი	ოპერაციები	სხვა ცვლილებები	გადაფასება	საბოლოო ბალანსი
აქტივები					
პირდაპირი ინვესტიციები					
პორტფელის ინვესტიციები					
ფინანსური წარმოებულები					
სხვა ინვესტიციები					
სარეზერვო აქტივები					
ვალდებულებები					
პირდაპირი ინვესტიციები					
პორტფელის ინვესტიციები					
ფინანსური წარმოებულები					
სხვა ინვესტიციები					
წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა					


საგარეო სექტორის ანგარიშების ქვემოთ მოტანილი სქემატური გამოსახულება უფრო თვალსაჩინოდ ასახავს დამოკიდებულებას საგარეო სექტორის მთავარ ანგარიშებს შორის.

სქემა 3.2.1.2. საგარეო სექტორის ანგარიშების სტრუქტურა



თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საგარეო სექტორის კომპლექსურობა მოითხოვს უფრო მეტ დეტალიზაციას და კონკრეტიზაციას მთელი რიგი საკითხებისა. ასეთთა რიგს განეკუთვნება საერთაშორისო რეზერვები და საგარეო ვალი. აქედან გამომდინარე, ამ საკითხებს სწავლობს სტატისტიკის სპეციალური მიმართულებები: საერთაშორისო რეზერვების მატრიცა და საგარეო ვალის სტატისტიკა. ქვემოთ მოტანილი სქემა სწორედ აღნიშნული მიმართულებების ადგილს უჩვენებს საგარეო სექტორის ანგარიშების სისტემაში.

სქემა 3.2.1.3. საგარეო სექტორის ანგარიშების დეტალური სტრუქტურა



საგარეო სექტორის ანგარიშების წარმოების მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის სახელმძღვანელო (BPM6)⁹, რომელიც მომზადდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ და გამოიცა 2009 წელს¹⁰. სახელმძღვანელო აწესებს

⁹ შემდგომში - სახელმძღვანელო.
¹⁰ <http://www.imf.org/external/pubs/ft/bop/2007/bopman6.htm>

მოცემულ ქვეყანასა და დანარჩენ სამყაროს შორის განხორციელებული ეკონომიკური ოპერაციებისა და ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკური მდგომარეობის სტატისტიკური შესწავლის სტანდარტულ სტრუქტურას.

სახელმძღვანელოს მთავარი მიზანია:

-)] საგადასახდლო ბალანსისა და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის კონცეფციების, ცნებები, კლასიფიკაციების განმარტება;
-)] მონაცემთა საერთაშორისო შესადარისობის გაფართოება და უზრუნველყოფა;
-)] საგადასახდლო ბალანსისა და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის სტატისტიკის სხვა მაკროეკონომიკურ სტატისტიკურ სისტემებთან კავშირების დადგენა და ახსნა;
-)] საგადასახდლო ბალანსისა და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის სტატისტიკის მონაცემთა გამოყენების ძირითადი მიმართულებების მიმოხილვა.

სახელმძღვანელო უკეთესად არის ჰარმონიზებული სხვა მაკროეკონომიკურ სტატისტიკურ სისტემებთან (ეროვნულ ანგარიშთა სისტემა - 2008, მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა - 2016, სამთავრობო ფინანსების სტატისტიკა - 2014), ვიდრე მისი წინამორბედი გამოცემები (1948, 1950, 1961, 1977 და 1993).

საგადასახდლო ბალანსის მე-6 გამოცემაში (BPM6) აისახა გლობალურ ეკონომიკაში მომხდარი ცვლილებები, როგორებიცაა:

-)] გლობალიზაცია;
-)] ფინანსური ინოვაციები;
-)] საბალანსო მიდგომის განვითარება.

საერთაშორისო საზოგადოებრიობის მხრიდან ქვეყნების საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების შესწავლის უდიდეს მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ საგადასახდლო ბალანსის პირველი წელიწადული გამოცემა ერთ კიდეზე 1949 წელს, სულ მალე მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან, რომელიც მოიცავდა 1938, 1946 და 1947 წლის მონაცემებს.

2007 წლიდან საქართველოში საგარეო სექტორის სტატისტიკის წარმოებასა და გავრცელებაზე პასუხისმგებელი ორგანო არის საქართველოს ეროვნული ბანკი. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის - „ეროვნული ბანკის ამოცანები და ფუნქციები“ - მე-3 პუნქტის თ) ქვეპუნქტის თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ფუნქციაა „საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების შესაბამისად აწარმოოს და გაავრცელოს ქვეყნის საფინანსო და საგარეო სექტორების სტატისტიკა“. 2007 წლამდე სტატისტიკის ამ

მიმართულების წარმოებასა და გავრცელებას ახორციელებდა სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური, რომელიც ამ საქმიანობას 1993 წლიდან ეწეოდა.

3.2.2. საგადასახდელო ბალანსის არსი და სტრუქტურა

ზოგადი მიმოხილვა

საგადასახდელო ბალანსის დანიშნულებაა მოცემული ეროვნული ეკონომიკის რეზიდენტების მიერ არარეზიდენტებთან, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, განხორციელებული ეკონომიკური ოპერაციების რაოდენობრივი ასახვა.

მაკროეკონომიკური სტატისტიკის წარმოების ფუნდამენტური პრინციპების განხილვისას ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმაზე, რომ ეკონომიკური ოპერაცია წარმოადგენს ორ ან მეტ ეკონომიკურ სუბიექტს შორის განხორციელებულ ქმედებას. შესაბამისად, ასეთი ქმედება ორმხრივია: ერთი ყიდის, ხოლო მეორე ყიდულობს და ამისათვის ახორციელებს ანაზღაურებას. ასევე მაკროეკონომიკური სტატისტიკის წარმოების ფუნდამენტური პრინციპებით განსაზღვრულია, რომ ეკონომიკური ოპერაციების ეს ორმაგი ბუნება ანგარიშებშიც შესაბამისად უნდა აისახოს კრედიტისა და დებეტის სახით.

ამდენად, აღნიშნული პრინციპების შესაბამისად, საგადასახდელო ბალანსში ოპერაციები რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის აისახება, ერთი მხრივ, მისაღები შემოსავლებისა და, მეორე მხრივ, გადასახდელების სახით. აქედან გამომდინარე, დგინდება გარკვეული საგარეოეკონომიკური წონასწორობა მოცემულ ქვეყანასა და დანარჩენ სამყაროს შორის.

მარტივად რომ წარმოვიდგინოთ, საგადასახდელო ბალანსი წონასწორულ მდგომარეობაშია დანარჩენ სამყაროსთან, თუ საქონლისა და მომსახურების უცხოეთში გაყიდვებიდან ამონაგები და აგრეთვე შემოსავლები უცხოეთში განხორციელებული დაბანდებებიდან ტოლია საზღვარგარეთიდან საქონლისა და მომსახურების იმპორტზე გაწეული დანახარჯებისა და არარეზიდენტების იმ ინვესტიციებიდან შემოსავლების ჯამისა, რომლებსაც ისინი იღებენ მოცემულ ქვეყანაში მათ მიერ განხორციელებული კაპიტალდაბანდებებიდან. თუმცა, პრაქტიკაში ასეთი იდეალური საგადასახდელო ბალანსი არ არსებობს, ანუ არცერთ ქვეყანას ასეთი წინასწორორულ მდგომარეობაში ყოფნა საზღვარგარეთთან არ შეუძლია, რადგანაც რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის ეკონომიკური ოპერაციები იმდენად მრავალგვარია, იმდენად ინტენსიური და გლობალიზებულია, რომ ქვეყნები ისწრაფვიან არა წონასწორობისაკენ, არამედ უპირატესობის მოპოვებისაკენ ამ სფეროში. შესაბამისად, არიან ქვეყნები დადებითი

საგადასახდლო ბალანსით და არიან ქვეყნები, რომლებიც ამას ვერ აღწევენ და უარყოფითი ბალანსი აქვთ.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2019 წლის მონაცემებით, მსოფლიოს 192 ქვეყნიდან, რომლებიც აქვეყნებენ საგადასახდლო ბალანსის მონაცემებს, 135-ის, ანუ 70 პროცენტზე მეტი ქვეყნის ბალანსი უარყოფითია, 1.1 ტრილიონი აშშ დოლარის ჯამური დეფიციტით. ამ თანხიდან უმსხვილესი ათეულის საგადასახდლო ბალანსის დეფიციტის მოცულობა ჯამში 844.6 მლრდ აშშ დოლარს აღწევს, რომლის 75.1 პროცენტი აშშ-სა და გაერთიანებული სამეფოს დეფიციტის წილად მოდის¹¹.

თუმცა, საგადასახდლო ბალანსის დეფიციტის განმაზოგადებელი ინდიკატორი მისი მშპ-სთან შეფარდების მაჩვენებელია. ქვემოთ მოტანილია ცხრილი, რომელშიც ასახულია შერჩეული ქვეყნები, მათი საგადასახდლო დეფიციტის/პროფიციტის მშპ-სთან თანაფარდობის სიდიდის მიხედვით.

ცხრილი 3.2.2. შერჩეული ქვეყნები მშპ-ს მიმართ საგადასახდლო ბალანსის დეფიციტის/პროფიციტის მიხედვით, 2018 ¹²

ქვეყანა	დეფიციტი, % მშპ-სთან	ქვეყანა	პროფიციტი, % მშპ-სთან
სერბეთი	-5.2	სინგაპური	17.9
რუმინეთი	-4.6	აზერბაიჯანი	12.9
გაერთ.სამეფო	-4.3	ნიდერლანდები	10.8
თურქეთი	-3.5	ირლანდია	10.7
საბერძნეთი	-2.9	შვეიცარია	10.5
სლოვაკეთი	-2.6	მალტა	9.8
კანადა	-2.6	გერმანია	7.3
აშშ	-2.4	ნორვეგია	7.2
ინდოეთი	-2.4	დანია	7.0
ავსტრალია	-2.1	რუსეთი	6.8
ფინეთი	-1.6	ლუქსემბურგი	4.8
პოლონეთი	-1.0	იაპონია	3.5
საფრანგეთი	-0.7	ისლანდია	2.8
მოლდოვა	-10.6	იტალია	2.6
სომხეთი	-9.4	ისრაელი	2.5
ყირგიზეთი	-8.9	ავსტრია	2.4
საქართველო	-6.8	ესტონეთი	2.0
ტაჯიკეთი	-5.0	ესპანეთი	1.9
უკრაინა	-3.3	შვედეთი	1.7
ლატვია	-0.6	ლიტვა	1.5
ყაზახეთი	-0.2	ჩინეთი	0.4

¹¹ <https://imf.org/external/datamapper/datasets/WEO/4>

¹² <https://data.worldbank.org/indicator/BN.CAB.XOKA.GD.ZS?view=chart>

მეორე მხრივ, საგადასახდელო ბალანსი განიხილება, როგორც ქვეყნის საერთაშორისო გადასახდელების ოფიციალური სტატისტიკური ანგარიში, რომელიც წარმოდგენილია სამი ქვეანგარიშით. ესენია: მიმდინარე ანგარიში, კაპიტალის ანგარიში და ფინანსური ანგარიში.

დანარჩენ სამყაროსთან ეკონომიკური ოპერაციების სირთულე და მრავალმხრივობა განაპირობებს საგადასახდელო ბალანსის კომპლექსურობას როგორც ფორმის, ისე შინაარსის თვალსაზრისით, რაც ასახულია საგადასახდელო ბალანსის წარმოდგენის (პრეზენტაციის) სხვადასხვა ფორმაში. აღნიშნული, თავის მხრივ, საფუძველს ქმნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ღრმა და ყოვლისმომცველი ანალიზისათვის. არსებობს პრეზენტაციის რამდენიმე ფორმა. ზოგიერთ მათგანს მოგვიანებით შევხებით, თუმცა დასაწყისისთვის საჭიროა აღინიშნოს, რომ არსებობს საგადასახდელო ბალანსის წარმოდგენის მოკლე და ვრცელი ფორმა.

საგადასახდელო ბალანსის მოკლე პრეზენტაცია ზოგად წარმოდგენას იძლევა ამ ბალანსის ძირითად შინაარსსა და აგებულებაზე. საგადასახდელო ბალანსის ერთ სვეტად წარმოდგენის ეს ფორმა მოსახერხებელია დროითი მწკრივების საწარმოებლად.

ცხრილი 3.2.3. საგადასახდელო ბალანსი: მოკლე პრეზენტაცია

მიმდინარე ანგარიში	
კრედიტი	
დებეტი	
საქონელი და მომსახურება	
კრედიტი	
დებეტი	
საქონელი	
კრედიტი	
დებეტი	
მომსახურება	
კრედიტი	
დებეტი	
პირველადი შემოსავალი	
კრედიტი	
დებეტი	
მეორადი შემოსავალი	
კრედიტი	
დებეტი	
კაპიტალის ანგარიში	
კრედიტი	

ღებუტი
წმინდა დაკრედიტება(+) / წმინდა სესხება(-) (მიმდინარე ანგარიშის და კაპიტალის ანგარიშის ბალანსი)
ფინანსური ანგარიში
პირდაპირი ინვესტიციები
ინვესტირება საზღვარგარეთ
ინვესტირება საქართველოში
პორტფელის ინვესტიციები
აქტივები
პასივები
ფინანსური წარმოებულები და თანამშრომელთა ოფციონები აქციებზე
აქტივები
პასივები
სხვა ინვესტიციები
აქტივები
პასივები
სარეზერვო აქტივები
წმინდა შეცდომები და გამოტოვებები

საგადასახდლო ბალანსის აგების პრინციპები ჰარმონიზებულია დანარჩენ მაკროეკონომიკურ სტატისტიკურ სისტემებთან. შესაბამისად, იგი იყენებს ანგარიშებზე ორმაგი ჩაწერის პრინციპს. ეს უკანასკნელი საგადასახდლო ბალანსის წარმოების პრინციპებს შორის ერთ-ერთი უმთავრესია. ეს უკავშირდება ოპერაციების ორად ბუნებას: რაღაც იყიდება, რაშიც ხდება გარკვეული საფასურის გადახდა. ამდენად, თითოეული ოპერაციის საგადასახდლო ბალანსში ასახვა ხდება ორი ეკვივალენტური თანხის გატარებით: როგორც კრედიტი და როგორც ღებუტი.

საგადასახდლო ბალანსის სწორად შედგენის მნიშვნელოვანი პირობაა საკრედიტო და საღებუტო ეკონომიკური ოპერაციების სწორად განსაზღვრა. ამ მიზნით ქვემოთ მოტანილია ცხრილი, რომელიც ოპერაციების ორმაგი ჩაწერის პრინციპის გაგების გამარტივებას ემსახურება. აღნიშნულის ცოდნა მნიშვნელოვანია საგადასახდლო ბალანსის მონაცემების სწორი ინტერპრეტაციისთვის.

ცხრილი 3.2.4. საგადასახდელო ბალანსი: ორმაგი ჩაწერის პრინციპის გამოყენება

კრედიტი	დებიტი
) საქონლის ექსპორტი) საქონლის იმპორტი
) მომსახურების მიწოდება) მომსახურების შექმნა
) შემოსულობები წარმოების ფაქტორებიდან (სამუშაო ძალისა და არაწარმოებული აქტივების გამოყენებიდან მისაღები შემოსავლები)) წარმოების ფაქტორების გამოყენება (სამუშაო ძალისა და არაწარმოებული აქტივების გამოყენებისათვის გადასახდელი ხარჯები)
) მისაღები მიმდინარე ტრანსფერები) გადასახდელი მიმდინარე ტრანსფერები
) მისაღები კაპიტალური ტრანსფერები) გადასახდელი კაპიტალური ტრანსფერები
) ფინანსური ოპერაციები, რომლებიც ასახავს ქვეყნის საგარეო აქტივების შემცირებას ან საგარეო ვალდებულებების ზრდას) ფინანსური ოპერაციები, რომლებიც ასახავს ქვეყნის საგარეო აქტივების ზრდას ან საგარეო ვალდებულებების შემცირებას

ამდენად, მიმდინარე და კაპიტალის ანგარიშებში საკრედიტო ჩანაწერები აღნიშნავს გატარებებს, რომლებიც ზრდის შემოსავლებს არარეზიდენტებისაგან საქონლისა და მომსახურების ექსპორტის, პირველადი შემოსავლების მიღების, მეორადი შემოსავლების, კაპიტალის ტრანსფერის და არაწარმოებული, არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან.

გადასახდელები, რომლებიც დაკავშირებულია რეზიდენტების მიერ არარეზიდენტებისათვის გადახდებთან, იგივე მუხლების მიხედვით, ჩაიწერება როგორც დებიტი.

საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსის სტატისტიკის ახალი სახელმძღვანელოს მიხედვით (BPM6), ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციებთან დაკავშირებით, შემოვიდა ახალი ტერმინები: „აქტივების წმინდა შექმნა“ და „ვალდებულებების წმინდა წარმოქმნა“.

საგადასახდელო ბალანსის ფინანსური ანგარიშის მუხლების - „აქტივების წმინდა შექმნა“ და „ვალდებულებების წმინდა წარმოქმნა“ დადებითი ცვლილება აღნიშნავს აქტივების ან ვალდებულებების ზრდას, ხოლო უარყოფითი ცვლილება - აქტივების ან ვალდებულებების შემცირებას.

საყურადღებოა აქტივებისა და ვალდებულებების შემცირების ან ზრდის ინტერპრეტაცია კრედიტის და დებეტის კონტექსტში. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ თუ რომელი მათგანის - აქტივის თუ ვალდებულების ზრდაზე თუ კლებაზეა საუბარი.

დებეტი აქტივებისათვის ნიშნავს ზრდას, ხოლო ვალდებულებებისათვის - შემცირებას.

რას წარმოადგენს ეკონომიკური ოპერაციები, რომლებიც საგადასახდელო ბალანსში აისახება?

ასეთი ოპერაციები დაკავშირებულია რეზიდენტობის თვალსაზრისით საკუთრების უფლების გადაცემასთან:

-) საქონელზე,
-) მომსახურებაზე,
-) წარმოების ფაქტორებზე,
-) არაწარმოებულ, არაფინანსურ აქტივებზე და
-) ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე.

ეკონომიკური ოპერაციები რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის შესაძლოა იყოს ორმხრივი და ცალმხრივი.

როგორც წესი, თითოეული ეკონომიკური ოპერაცია გულისხმობს მინიმუმ ორი ურთიერთმომხვედრი ნაკადის მოძრაობას: ერთი ეკონომიკური ერთეული ყიდის, მაგალითად საქონელს, მეორე მას ყიდულობს, რაშიც იხდის ფულს. თუმცა, არის ისეთი ოპერაციებიც, რომლებსაც შემხვედრი ფინანსური ან სხვა ნაკადები არ ახლავს. მაგალითად, ჰუმანიტარული დახმარება, გრანტი და მსგავსი ოპერაციები, რომლებიც ხორციელდება უსასყიდლოდ. ასეთი ოპერაციები ცალმხრივი ხასიათისაა.

მეორე მხრივ, ეკონომიკური ოპერაციები, რომლებიც საგადასახდელო ბალანსში აისახება, არის **რეალური ან ფინანსური**. რეალური ოპერაციები დაკავშირებულია საქონლის, მომსახურების, შემოსავლებისა და ტრანსფერების მოძრაობასთან, ხოლო ფინანსური ოპერაციების დროს ადგილი აქვს ფინანსური აქტივების შექმნას/განთავსებას, მოთხოვნებისა და ვალდებულებების წარმოქმნას, დაფარვას, ანულირებას და/ან სხვა ცვლილებას.

რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის განხორციელებული რეალური ოპერაციები აისახება საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშსა და კაპიტალის ანგარიშში, ხოლო ფინანსური ოპერაციები - ფინანსურ ანგარიშში.

რაზე მიუთითებს ფინანსური ანგარიშის პოზიტიური, ან პირიქით - ნეგატიური განვითარება?

ფინანსური ანგარიშის პოზიტიური განვითარება მიუთითებს აქტივების წმინდა ზრდაზე და/ან ვალდებულებების წმინდა შემცირებაზე. და პირიქით: უარყოფითი მიმართულებით განვითარება მიუთითებს ვალდებულებების წმინდა ზრდაზე და/ან აქტივების წმინდა შემცირებაზე.

პრინციპში, საგადასახდლო ბალანსის ანგარიშები უნდა ბალანსდებოდეს. ანუ, გამომდინარე იქიდან, რომ ერთი და იგივე ოპერაციის შესაბამისი თანხა ორ სხვადასხვა ადგილას აისახება, საგადასახდლო ბალანსის საკრედიტო და სადებეტო ჩანაწერების სხვაობა ნულის ტოლი უნდა იყოს. თუმცა, პრაქტიკაში ეს ასე არ ხდება და სხვაობა ამ ჩანაწერებს შორის არსებობს. ამის მიზეზებია:

-)] ურთიერთშემხვედრი ეკონომიკური ოპერაციების განხორციელება დროის სხვადასხვა პერიოდში. მაგალითად, საქონლის იმპორტი პირველ კვარტალში და შესაბამისი საფასურის გადახდა მეორე კვარტალში;
-)] განსხვავებული ინფორმაციული წყაროები ერთი და იმავე ოპერაციების ამსახველი საკრედიტო და სადებეტო ჩანაწერებისათვის;
-)] ინფორმაციის ნაკლებობა, ან ისეთი ოპერაციები, რომლებიც სტატისტიკური დაკვირვების მიღმა ხორციელდება (მაგალითად, კონტრაბანდა), და ა.შ.;
-)] სუბიექტური ფაქტორები, როგორც შეიძლება იყოს სტატისტიკოსის სათანადო ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობა და სხვ.

იმისათვის, რომ დაბალანსდეს შესაბამისი გატარებები, საგადასახდლო ბალანსში არსებობს სპეციალური მუხლი - „წმინდა შეცდომები და გამოტოვებები“.

მოცემული ქვეყნის ეკონომიკური ოპერაციები არარეზიდენტებთან სხვადასხვა ვალუტებში ხორციელდება, თუმცა, ბალანსში ამ ოპერაციების ასახვისას გამოყენებულ უნდა იქნეს ერთი კონკრეტული **ადრიცხვის ერთეული**, ანუ ყველა ოპერაცია უნდა აისახოს ერთ კონკრეტულ ვალუტაში. როგორც წესი, ასეთ ვალუტად მიჩნეულია საყოველთაოდ აღიარებული სტაბილური კონვერტირებადი ვალუტა. დღეისათვის ქვეყნების უმეტესობაში ასეთ ვალუტად აღიარებულია აშშ დოლარი. თუმცა, ევროპის ქვეყნები თავიანთ საგადასახდლო ბალანსებს ევროში ანგარიშობენ.

საგადასახდლო ბალანსის **მიმდინარე ანგარიში** აერთიანებს საგადასახდლო ბალანსის მნიშვნელოვანი ანგარიშების ჯგუფს. იგი ასახავს ოპერაციებს რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის, დაკავშირებულს საქონელთან და მომსახურებასთან, პირველად შემოსავლებთან და მეორედ შემოსავლებთან.

მიმდინარე ანგარიშის მთავარი კომპონენტებია:

-)] საქონელი,
-)] მომსახურება,

-) პირველადი შემოსავლები და
-) მეორადი შემოსავლები.

თითოეული ეს კომპონენტი დაკავშირებულია განსხვავებულ ეკონომიკურ პროცესებთან.

მიმდინარე ანგარიშის ბალანსი ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებული ეკონომიკური მაჩვენებელია. იგი არის საქონლის, მომსახურების, პირველადი შემოსავლებისა და მეორადი შემოსავლების საკრედიტო და სადებეტო ჩანაწერებს შორის სხვაობა. მიმდინარე ანგარიშის დადებითი ბალანსი იმის მაჩვენებელია, რომ რეზიდენტების უცხოური აქტივები იზრდება და შესაბამისად უმჯობესდება ქვეყნის წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური პოზიცია. თუ მიმდინარე ანგარიშის ბალანსი დეფიციტურია, ეს ნიშნავს რეზიდენტების უცხოური ვალდებულებების ზრდას და ქვეყნის წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის გაუარესებას.

მიმდინარე და კაპიტალის ანგარიშების ბალანსი ასახავს მოცემული ეკონომიკის მდგომარეობას დანარჩენი სამყაროს მიმართ, ხოლო ფინანსური ანგარიში გვიჩვენებს, თუ როგორ ფინანსდება ის ეკონომიკური ოპერაციები, რომლებიც მიმდინარე ანგარიშშია ასახული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საგადასახდლო ბალანსი იყოფა სამ ქვეანგარიშად. ესენია მიმდინარე ანგარიში, კაპიტალის ანგარიში და ფინანსური ანგარიში. თითოეული მათგანის სტრუქტურა და ზოგადი შინაარსი შემდეგნაირია:

1. მიმდინარე ანგარიში, სადაც აისახება:

1.1. საქონელი

1.2. მომსახურება

- 1.2.1. მანუფაქტურული მომსახურება (სხვისი კუთვნილი საქონლის საწარმოო მომსახურება);
- 1.2.2. სარემონტო მომსახურება;
- 1.2.3. სატრანსპორტო მომსახურება;
- 1.2.4. ტურიზმი;
- 1.2.5. სამშენებლო მომსახურება;
- 1.2.6. სადაზღვევო მომსახურება;
- 1.2.7. ფინანსური მომსახურება;
- 1.2.8. ინტელექტუალური მომსახურება (ინტელექტუალური საკუთრების გამოყენების საფასური);
- 1.2.9. ტელესაკომუნიკაციო მომსახურება;
- 1.2.10. კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურება;
- 1.2.11. სხვა საქმიანი მომსახურება (კვლევები და განვითარება, პროფესიული და მმართველობითი საკონსულტაციო მომსახურება, ვაჭრობასთან დაკავშირებული და სხვა საქმიანი მომსახურება);

- 1.2.12. პირადი მომსახურება;
- 1.2.13. კულტურულ-გასართობი მომსახურება;
- 1.2.14. სამთავრობო საქონელი და მომსახურება.
- 1.3. **პირველადი შემოსავლები**, სადაც აისახება:
 - 1.3.1. შრომის ანაზღაურება;
 - 1.3.2. საინვესტიციო შემოსავალი (საზღვარგარეთ არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მფლობელობიდან შემოსავალი, რომელიც ექვემდებარება გადახდას ერთი ეკონომიკის რეზიდენტების მიერ მეორე ეკონომიკის რეზიდენტების სასარგებლოდ).

გამომდინარე იქიდან, რომ საინვესტიციო შემოსავალი დაკავშირებულია ფინანსურ ანგარიშთან, იგი კლასიფიცირებულია მის შესაბამისად და იყოფა შემოსავლებად პირდაპირი ინვესტიციებიდან, პორტფელის ინვესტიციებიდან, სხვა ინვესტიციებიდან და სარეზერვო აქტივებიდან და სხვა პირველად შემოსავლებად (როგორებიცაა: რენტა, გადასახადები და სუბსიდიები პროდუქტებსა და წარმოებაზე)

- 1.4. **მეორადი შემოსავლები**, მოიცავს ყველა ტრანსფერს, რაც არ კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალური ტრანსფერი.
- 2. **კაპიტალის ანგარიში**, რომელიც მოიცავს ყველა ოპერაციას, რაც დაკავშირებულია:
 - 2.1. კაპიტალური ტრანსფერის მიღებასა და გადახდასთან (ვალის პატიება, არა-სიცოცხლის დაზღვევასთან დაკავშირებული მოთხოვნები, საინვესტიციო გრანტები, ერთჯერადი გარანტიები და სხვა სავალო შეთავაზებები, გადასახადები კაპიტალზე და სხვა კაპიტალური ტრანსფერები);
 - 2.2. არა-წარმოებული, არა-ფინანსური აქტივების შეძენა/გაყიდვა. აქ განიხილება ოპერაციები, რომლებიც ასოცირდება მატერიალურ აქტივებთან (მაგალითად, მიწა და წიაღისეული აქტივები), ისევე როგორც არამატერიალურ აქტივებთან (პატენტები, საავტორო უფლებები, სავაჭრო მარკები, ფრანშიზები და ა.შ.).
- 3. **ფინანსური ანგარიში**, რომელიც მოიცავს ქვეყნის უცხოურ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე მფლობელობის შეცვლასთან დაკავშირებულ ოპერაციებს. იგი იყოფა ხუთ ძირითად ფუნქციონალურ კატეგორიად:
 - 3.1. პირდაპირი ინვესტიციები (რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც: სააქციო კაპიტალი და საინვესტიციო ფონდების აქციები, შემოსავლების რეინვესტირება და სავალო ინსტრუმენტები);
 - 3.2. პორტფელის ინვესტიციები (რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც: სააქციო კაპიტალი და საინვესტიციო ფონდების აქციები, შემოსავლების რეინვესტირება საინვესტიციო ფონდების აქციებიდან და სავალო ფასიანი ქაღალდებიდან);
 - 3.3. ფინანსური წარმოებულები და თანამშრომელთა ოფციონები აქციებზე;

- 3.4. სხვა ინვესტიციები (კლასიფიცირებულია, როგორც: სხვა სააქციო კაპიტალი, ვალუტა და დეპოზიტები, სესხები, დაზღვევა, საპენსიო სქემები და სხვა სტანდარტიზებული საგარანტიო სქემები, სავაჭრო კრედიტები და ავანსები, სხვა მისაღები და გადასახდელი ანგარიშები);
- 3.5. ოფიციალური სარეზერვო აქტივები (კლასიფიცირებულია, როგორც: მონეტარული ოქრო, სესხის სპეციალური უფლებები, სარეზერვო პოზიცია საერთაშორისო სავალუტო ფონდში და სხვა სარეზერვო აქტივები).

საგადასახდლო ბალანსის ანალიზისას არაერთი მეთოდოლოგიური საკითხია გასათვალისწინებელი, რომელთა უგულებელყოფამ შესაძლოა მონაცემთა არასწორი ინტერპრეტაცია გამოიწვიოს. მათ რიცხვს მიეკუთვნება საქონლის ექსპორტისა და იმპორტის თავისებურებების ცოდნა.

საქონლის ცნება, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კონტექსტში, გულისხმობს ნებისმიერ გადაადგილებად ღირებულებას, ანუ მოძრავ ქონებას, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ყიდვა-გაყიდვის, ან სხვა ფორმით გასხვისების საგანს სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკურ ერთეულებს შორის, ანუ რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის. იგი მოიცავს:

- საქონლის ექსპორტს და იმპორტს;
- პორტებსა და აეროპორტებში სატრანსპორტო საშუალებების მიერ შეძენილ საქონელს;
- განსაკუთრებული სახის საქონელს, როგორცაა ბუნებრივი აირი, ელექტროენერჯია;
- არამონეტარულ ოქროს.

საქონლის ექსპორტი/იმპორტი წარმოადგენს საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემის ოპერაციას რეზიდენტის/არარეზიდენტის მიერ არარეზიდენტისათვის/რეზიდენტისათვის (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა). საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემის ოპერაცია კი, თავის მხრივ, გულისხმობს საქონელთან დაკავშირებულ ნებისმიერ – კომერციულ, ან არაკომერციულ ოპერაციას რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის, რომლის დროსაც ხდება საქონლის გადაადგილება და მასზე მფლობელობის შეცვლა.

პრაქტიკაში საქონლის ექსპორტი/იმპორტი ხორციელდება სხვადასხვა ფორმით, რასაც განსაზღვრავს ე.წ. ოპერაციის ხასიათი, ანუ ის თავისებურება, რითაც ერთი ოპერაცია განსხვავდება მეორისაგან. საქონლის ექსპორტის/იმპორტის მიზანი შეიძლება იყოს მისი ყიდვა-გაყიდვა, ანუ საგარეო ვაჭრობა, აგრეთვე ჩუქება, პირდაპირი ინვესტირება, იჯარა, კონტრაბანდა და სხვა.

საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა შეიძლება იყოს, ან არ იყოს დაკავშირებული ამ საქონლის მიერ საზღვრის გადაკვეთასთან, ისევე, როგორც ეს უკანასკნელი ყოველთვის არ არის კავშირში საქონელზე საკუთრების უფლების ცვლილებასთან. მაგალითად, მოცემული ქვეყნიდან ტვირთის გაგზავნა სხვა ქვეყანაში საკუთარი დიპლომატური წარმომადგენლობისათვის დაკავშირებულია ამ ტვირთის მიერ საზღვრის გადაკვეთასთან, მაგრამ რეზიდენტობის თვალსაზრისით ეს ტვირთი მფლობელს არ იცვლის. შესაბამისად, ეს ოპერაცია არ წარმოადგენს საგარეო სავაჭრო ოპერაციას, ანუ სავაჭრო ოპერაციას რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის და არ ექვემდებარება საგადასახდლო ბალანსში ასახვას. სხვა შემთხვევაში, შესაძლოა ტვირთმა არ გადაკვეთოს ქვეყნის საზღვარი, თუმცა ოპერაცია განხორციელდეს რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის (მაგალითად, მოცემული ქვეყნის თევზსაჭერი გემიდან, რომელიც საქმიანობს საერთაშორისო წყლებში, თევზის გაყიდვა არარეზიდენტებზე). ასეთი ოპერაცია, ცხადია ექვემდებარება საგადასახდლო ბალანსში ასახვას.

საქონლით საერთაშორისო ვაჭრობა მოიცავს სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების საფუძველზე ფორმირებულ საერთაშორისო სავაჭრო ნაკადებს, კორექტირებულს იმ ნაკადებით, რომლებიც არ არის დაფიქსირებული სატვირთო-საბაჟო დეკლარაციებში და ასევე იმ ნაკადებით, რომლებიც დაფიქსირებულია სატვირთო საბაჟო დეკლარაციებში, მაგრამ თავისი ხასიათის გამო არ მიეკუთვნება საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის კატეგორიას და სხვაგვარად კლასიფიცირდება. ანუ, სხვა სიტყვებით, საქონლის კატეგორია, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კონტექსტში, მოიცავს თითქმის ყველა გადაადგილებად საქონელს, რომელზედაც ხდება საკუთრების უფლების შეცვლა რეზიდენტიდან არარეზიდენტის სასარგებლოდ, ან პირიქით.

ამასთან, არის ზოგიერთი საქონელი, რომელიც სხვაგვარად კლასიფიცირდება და საგადასახდლო ბალანსში აღირიცხება არა საქონლის კატეგორიაში, არამედ - შესაბამის მუხლებში. მათ მიეკუთვნება:

- 1) საქონელი, რომლის შეძენაც ხდება მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე ტურისტების, ან არარეზიდენტი მომსახურე პერსონალისა და დიპლომატური და სამხედრო წარმომადგენლობების თანამშრომელთა და ოფიციალურ პირთა პირადი მოხმარებისათვის. პირველ შემთხვევაში საქონელი კლასიფიცირდება როგორც “ტურისტული მომსახურება”, ხოლო მეორე შემთხვევაში - როგორც “სამთავრობო მომსახურება”;
- 2) გაზეთები და პერიოდული გამოცემები, რომლებსაც იღებენ უშუალოდ და პირდაპირ ხელმომწერები, კლასიფიცირდება როგორც “სატელეკომუნიკაციო, ინფორმაციული და კომპიუტერული მომსახურება”;

-) ქალაქის ფული და მონეტები, რომლებიც იმყოფება მიმოქცევაში, აგრეთვე ფასიანი ქაღალდები, კლასიფიცირდება როგორც ფინანსური და არა როგორც სასაქონლო ოპერაცია. ამავე კატეგორიას მიეკუთვნება მონეტარული ოქროს გადაადგილება.

საქონლის კატეგორიაში არ აღირიცხება:

-) ტრანზიტული ტვირთი. ეს ისეთი სახის ტვირთია, რომელსაც განსაკუთრებული საბაჟო რეჟიმი აძლევს უფლებას გადაკვეთოს მოცემული ქვეყნის ტერიტორია, თუმცა ეს ტვირთი განკუთვნილია სხვა ქვეყნის რეზიდენტებისათვის.
-) მიგრანტების პირადი ნივთები. მათ მიეკუთვნება პირად საკუთრებაში არსებული ნივთები, რომლებიც თან ახლავს ადამიანებს, რომლებიც იცვლიან რეზიდენტობას.
-) საელჩოებისათვის, სამხედრო ბაზებისა და მსგავსი ერთეულებისათვის განკუთვნილი საქონელი საკუთარი ადმინისტრაციებისაგან.
-) საწარმოების საგარეო ოპერაციების შესასრულებლად საჭირო საქონელი, თუ ასეთ საწარმოთა საქმიანობა საზღვარგარეთ არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, რომ იგი ჩაითვალოს ფილიალად.
-) დროებით ექსპორტირებული და დროებით იმპორტირებული საქონელი, რომელიც არ იცვლის მფლობელს. ასეთი საქონლის მაგალითია, გამოფენებისა და წარმოდგენებისთვის (მაგ. საცირკო) დროებით გატანილი ან შემოტანილი საქონელი.
-) ფინანსური ლიზინგის ქვეშ შექმნილი საქონელი.
-) საქონელი, რომელსაც არ აქვს პოზიტიური ღირებულება. ასეთი შეიძლება იყოს სიცოცხლისთვის საშიში საქონელი, რომელიც განკუთვნილია გასანადგურებლად ან შესანახად. თუმცა, ნარჩენები და ჯართი, რასაც აქვს პოზიტიური ღირებულება შედის საგარეო ვაჭრობაში.
-) უკან დაბრუნებული საქონელი. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა საქონელი არ იქნა მიღებული კონტრაგენტის მიერ, ან თუნდაც შეიცვალა მფლობელი, თუმცა მხარეები მოგვიანებით შეთანხმდნენ, რომ გააუქმებენ მფლობელის შეცვლას. სასურველია, რომ უკან დაბრუნებული საქონლით კორექტირება მოხდეს იმავე პერიოდში, როცა საქონელი თავდაპირველად აღირიცხა, თუმცა, თუ ეს შეუძლებელია, ექსპორტში და/ან იმპორტში ასეთი ანულირება უნდა მოხდეს, როცა საქონელი დაბრუნდა.
-) თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში და რეზიდენტებს შორის საქონლით ვაჭრობა.
-) ნებისმიერი საქონელი, რომლის აღრიცხვაც მოხდა საბაჟო სტატისტიკის მონაცემთა ბაზებში, მაგრამ აშკარაა, რომ მასზე არ მომხდარა საკუთრების უფლების ცვლილება რეზიდენტობის თვალსაზრისით.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიებისა, არსებობს განსაკუთრებული სახის საქონელი, რომელიც განსაკუთრებულ საბაჟო რეჟიმს ექვემდებარება თავისი სპეციფიკურობის გამო, თუმცა კლასიფიცირდება, როგორც საქონელი. საქონლის ასეთი კატეგორიებია:

-) სასაქონლო (არამონეტარული) ოქრო, ვერცხლის ზოდები, ალმასები და სხვა ძვირფასი ლითონები და ქვები;
-) ქაღალდის ფული და მონეტები, რომლებიც არ არის მიმოქცევაში (ნუმიზმატიკური დანიშნულების), აგრეთვე ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც ჯერ-ჯერობით არა აქვს კანონიერი ძალა; ამ აქტივების შეფასება ხდება არა ნომინალური ღირებულების მიხედვით, არამედ როგორც საქონლის;
-) ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყალი. ამ კატეგორიის საქონელი ქვეყნის საზღვარს კვეთს არა საბაჟოს გავლით, თუმცა აუცილებლად უნდა აღირიცხოს როგორც ექსპორტი/იმპორტი;
-) შინაური საქონელი, რომელიც საზღვარზე გადაიდენება;
-) საფოსტო ამანათები;
-) სამთავრობო ორგანოების მიერ განხორციელებული საქონლის ექსპორტი და იმპორტი, ოფიციალური ტრანსფერტებისა და კრედიტებით შეძენილი საქონლის ჩათვლით;
-) კონტრაბანდა, მათ შორის საბაჟო ორგანოების მიერ გამოვლენილი;
-) სხვა არარეგისტრირებული საქონელი, მათ შორის საჩუქრები, აგრეთვე საქონელი, რომლის ღირებულება ნაკლებია დადგენილ მინიმალურ ღირებულებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთაშორისო ვაჭრობის კონტექსტში საქონლის კატეგორიას მიეკუთვნება აგრეთვე პორტებსა და აეროპორტებში სატრანსპორტო საშუალებების მიერ შეძენილი საქონელი ბორტზე მოხმარების მიზნით, რასაც რეზიდენტი სატრანსპორტო საშუალებები იძენენ უცხოეთში, ან არარეზიდენტები - მოცემულ ქვეყანაში (საწვავი, სურსათი, მატერიალური მარაგები).

რამი მდგომარეობს საქონლითა და მომსახურებით საგარეო სავაჭრო ბალანსის ეკონომიკური ინტერპრეტაცია?

ჩანართი 3.2.2.1. ეს საინტერესოა ...

საქართველოს, თავისი ტერიტორიის სიმცირის მიუხედავად, მეტად მრავალფეროვანი და უნიკალური ბუნებრივი რესურსები გააჩნია. ნებისმიერი ქვეყნის წიაღისეული სიმდიდრიდან მნიშვნელოვანია სათბობ-ენერგეტიკული რესურსები: ნავთობი, ქვანახშირი, ბუნებრივი აირი და ტორფი.

ნავთობის დაზვერილი მარაგი საქართველოში 13 მლნ ტონას შეადგენს, თუმცა მაღალია მისი ხარისხი. სავარაუდო რეზერვი 580 მლნ ტონაა, აქედან 200 მლნ ტონას ვარაუდობენ დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროზე და მის შელფზე, 380 მლნ ტონას კი - ხმელეთზე. ძალზე პერსპექტიულად ითვლება ტარიბანის ნავთობის საბადო, სადაც წინასწარი გათვლებით, 1 მლრდ ბარელი ნავთობის მარაგია.

ქვანახშირის მრეწველობას საქართველოში თითქმის 2 საუკუნის ისტორია აქვს. პირველი ინფორმაცია ტყიბულის მიდამოებში არსებული ქვანახშირის შესახებ მე-19 საუკუნის 20-იან წლებში გავრცელდა, თუმცა მისი შესწავლა გაცილებით გვიან დაიწყო. მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან ცნობილია ტყვარჩელის ქვანახშირის საბადო. დღეისათვის საქართველოში ქვანახშირის არსებული რეზერვი 450 მლნ ტონაა, რომელიც შეიძლება კიდევ 700 მლნ ტონით გაიზარდოს. სამწუხაროდ ქვანახშირის უმეტესი ნაწილი შედარებით დაბალი ხარისხისაა.

ნავთობის თანმხლები ბუნებრივი აირის მოპოვება წარმოებს სამგორ-პატარძულისა და თელეთის საბადოებზე. აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის საქართველოს შელფურ ზონაში ბუნებრივი აირის მარაგი 1.8 მლრდ კუბური მეტრია.

მანგანუმს ჭიათურასა და საჩხერეში მოიპოვებენ. იგი შავი მეტალურგიის განვითარებისთვის მეტად საჭირო ნედლეულია. პერსპექტივის თვალსაზრისით, საყურადღებოა ჩხარი-აჯამეთის საბადო ქუთაისის და თერჯოლის მიდამოებში, აგრეთვე შქმერის, აგარისა და ჯავის საბადოები. სულ საქართველოში გამოვლენილი მანგანუმის სავარაუდო მარაგი 0.5 მლრდ ტონას შეადგენს.

რკინის მადნის საბადოებიდან ყველაზე მძლავრია ფოლადაურის საბადო და მაგნეტიტური ქვიშები გურიის ზღვისპირა ზოლში. აქ რკინი მარაგი 150-200 მლნ ტონაა. აღსანიშნავია აგრეთვე ძამის საბადო, რომლის მარაგი 20 მლნ ტონას შეადგენს.

საქართველოში ფერადი ლითონების საბადოებია: სპილენძ-ტყვია-თუთიის (მადნეული), ტყვია-თუთიის (კვაისა), დარიშხანის (განის და ლუხუნის).

ბარიტი გამოიყენება მედიცინასა და ქიმიურ მრეწველობაში, ბარიუმის პრეპარატებისა და მინერალური საღებავების დასამაზადებლად; მშენებლობასა და ქიმიურ მრეწველობაში ფართოდ გამოიყენება ანდეზიტი (13 მლნ კუბ.მეტრი); სოფლის მეურნეობაში სასუქად და გაზის მრეწველობაში გამწმენდ საშუალებად წარმატებით იყენებულ ცეოლიტებს.

ნავთობ-ქიმიურ მრეწველობაში უმნიშვნელოვანესი ნედლეულია ბენტონიტური თიხები. საქართველოში მისი სავარაუდო მარაგი 180 მლნ ტონამდეა. იგი გამოიყენება ლითონჩამომსხმელ საწარმოებში, როგორც საყალიბე მასალა, ასევე, როგორც ნავთობის, ცხიმებისა და ღვინის გამწმენდი საშუალება.

ჩანართი 3.2.2.1. ეს საინტერესოა ... (გაგრძელება)

ტალკი და სერპენტინიტი ხაშურის მუნიციპალიტეტსა და ძირულას მასივის ტერიტორიაზე მოიპოვება, რომელთაც რუბეროიდის წარმოებასა და სოფლის მეურნეობაში იყენებენ.

საქართველოში მოიპოვებენ მოსაპირკეთებელ ქვებს: აქატს (ახალციხის მუნიციპალიტეტი), საიუველირო აქატს (მარნეულის მუნიციპალიტეტი), ობსიდიანს (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი). მათ ზუსტი ხელსაწყოების, საათების წარმოებასა და საიუველირო საქმეში იყენებენ.

საქართველოს მინერალურ რესურსებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მინერალურ წყლებს. ზოგიერთი მათგანი (ბორჯომი, წყალტუბო და სხვა) მსოფლიო მნიშვნელობისაა. საქართველოში მინერალური წყლების გამოვლინების ორი ძირითადი რეგიონია: კავკასიონის სამხრეთი კალთები და მცირე კავკასიონი. ჯერჯერობით, მინერალური წყაროების უმრავლესობა არასაკმარისადაა შესწავლილი.

წყარო: https://tamarenuqi.blogstop.com/p/blog-page_16.html (ნანახია 13.03.2021)

„გეოგრაფია“ - სპეციალური კურსი აბიტურიენტებისათვის.

ავტორები: მაია ბლიაძე, გია ჭანტურია, დავით კერესელიძე.

დავუბრუნდეთ ერთ-ერთ ძირითად მაკროეკონომიკურ იგივეობას:

$$GDP = C + I + X - M$$

და გადავადგილოთ მისი შესაკრებები:

$$GDP - (C + I) = X - M.$$

ეს იგივეობა გვეხმარება გავიგოთ **არის თუ არა საკმარისი ადგილობრივი წარმოება ერთობლივი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.**

თუ მთლიანი შიდა პროდუქტი აჭარბებს შიდა მოხმარებას, საბოლოო მოხმარებასა და ინვესტიციებზე დანახარჯების სახით, ეს ნიშნავს, რომ სახეზეა წარმოებული საქონლისა და მომსახურების სიჭარბე, რომელიც შეიძლება საზღვარგარეთ გაიყიდოს. შესაბამისად, სავაჭრო ბალანსი $X - M$ იქნება დადებითი.

თუ ქვეყანა უფრო მეტ საქონელსა და მომსახურებას მოიხმარს, ვიდრე აწარმოებს, მაშინ ეს განსხვავება იმპორტით უნდა დაიფაროს და შესაბამისად, სავაჭრო ბალანსი $X - M$ იქნება უარყოფითი.

3.2.3. საგადასახდლო ბალანსის ძირითადი იგივეობები

ამდენად, გამომდინარე იქიდან, რომ მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემები და მათ შორის საგადასახდლო ბალანსიც ბუღალტრული ორმაგი ჩაწერის პრინციპით აიგება, ეს გულისხმობს მთელი რიგი იგივეობების დამყარებას შესაბამის მაჩვენებლებს შორის.

საგადასახდლო ბალანსის ერთ-ერთი მთავარი იგივეობაა მიმდინარე ანგარიშსა და მის კომპონენტებს შორის არსებული დამოკიდებულება. კერძოდ, მიმდინარე ანგარიში მიიღება საქონლისა და მომსახურების ბალანსის, პირველადი შემოსავლების ბალანსისა და მეორადი შემოსავლების ბალანსისაგან:

$$CAB = X - M + P + S$$

სადაც CAB აღნიშნავს მიმდინარე ანგარიშის ბალანსს, X - საქონლისა და მომსახურების ექსპორტს, M - საქონლისა და მომსახურების იმპორტს, PIB - პირველადი შემოსავლების ბალანსს, SIB - მეორადი შემოსავლების ბალანსს. თუ $CAB < 0$ ეს ნიშნავს, რომ მოცემული ქვეყნის მიერ არარეზიდენტებისათვის გადახდილი იმ ოპერაციების შესაბამისი ანაზღაურება, რომლებიც უკავშირდება საქონლისა და მომსახურების იმპორტს, წარმოების ფაქტორებსა და მიმდინარე ტრანსფერებს, მეტია იმაზე რასაც რეზიდენტები ანალოგიური ოპერაციებისათვის არარეზიდენტებისაგან იღებენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს იმას, რომ მიმდინარე ანგარიში დეფიციტური ანუ უარყოფითია. თუ $CAB > 0$, მაშინ არარეზიდენტებისაგან მიღებული გადასახდელები მეტია რეზიდენტების მიერ მათთვის გადახდილზე და მიმდინარე ანგარიში დადებითია, ანუ პროფიციტურია.

მიმდინარე ანგარიში ძალიან ბევრ კითხვას სცემს პასუხს, თუ მას კარგად გავაანალიზებთ.

პირველ რიგში, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ცალსახად არ ნიშნავს იმას, რომ საქმე ცუდადაა. დეფიციტი ნიშნავს, რომ ქვეყანა დებიტორია დანარჩენი მსოფლიოს მიმართ; იგი ახორციელებს იმაზე მეტ ინვესტიციებს, ვიდრე მას ამის საშუალებას საკუთარი დანაზოგები აძლევს, ამიტომაც იგი სესხულობს უცხოეთიდან.

რატომ არ არის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი მოვლენა?

დავუშვათ, ქვეყანა გეგმავს, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში მიიღოს შემოსავალი ინვესტიციებიდან. იგი აბანდება ფულს საინვესტიციო პროექტებში საზღვარგარეთ, რაც საგადასახდლო ბალანსის ფინანსურ ანგარიშში აისახება როგორც დებეტი (-). მომდევნო წლებში, აღნიშნული პროექტიდან, ქვეყანა მიიღებს საინვესტიციო

შემოსავლებს, რომლებიც აისახება პირველადი შემოსავლების ანგარიშში როგორც კრედიტი (+). ეს თავის მხრივ, გამოიწვევს მიმდინარე ანგარიშის გაუმჯობესებას და შესაბამისად მეტ სახსრებს საგარეო დავალიანების დასაფარად, იმპორტის დასაფინანსებლად და ა.შ.

ამდენად, დიდი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას, თუ რა იწვევს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეფასებები და დასკვნები მოწყვეტილი იქნება რეალობას.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი შეიძლება გამოიწვიოს უცხოური ინვესტიციების მოძალებამაც, რაც უკავშირდება უცხოური ვალდებულებების ზრდას და შესაბამისად მეტი საინვესტიციო ხარჯების გადახდას, რაც აისახება პირველადი შემოსავლების ანგარიშში როგორც დებეტი (-). თუმცა, უცხოურ ინვესტიციებს ახლავს ბევრი დადებითი შედეგი, რაც უკავშირდება არაფინანსური აქტივების ზრდას ფიქსირებული აქტივების სახით, სამუშაო ადგილების გაჩენას, ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიებისა და „ნოუ-ჰაუს“ შემოტანას, მწარმოებლურობის ზრდას. აღნიშნულის შედეგად, ქვეყანას შეუძლია გაზარდოს ექსპორტი და დააფინანსოს დეფიციტი.

საგადასახდლო ბალანსის მთავარი იგივეობა გამომდინარეობს ასევე ორმაგი ჩაწერის პრინციპიდან. იგი მდგომარეობს იმაში, რომ მიმდინარე და კაპიტალის ანგარიშის ჯამი უდრის ფინანსურ ანგარიშს:

$$C + K = F .$$

თუმცა, როგორც ცნობილია, ბუნებაში აბსოლუტური წონასწორობა არ არსებობს. ეს ეხება ამ წონასწორობასაც. გამომდინარე იქიდან, რომ საგადასახდლო ბალანსის აგებისას აბსოლუტურად ზუსტი ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელია, ასევე იმის გამო, რომ რეალური და ფინანსური ოპერაციები, როგორც წესი, ყოველთვის არ ემთვევა ერთმანეთს და ისინი დროში განსხვავებულია და ა.შ. ასეც ხდება, რომ ზემოაღნიშნული ტოლობის შესრულება შეუძლებელია. იმისათვის, რომ ეს ტოლობა შესრულდეს, საგადასახდლო ბალანსში არსებობს დამაბალანსებელი მუხლი „შეცდომებისა და გამოტოვებების“ სახით, რომელიც შემდეგნაირად გაიანგარიშება:

$$F - (C + K) = N ,$$

სადაც სიმბოლოებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:


CAB - საგადასახდლო ბალანსის მიმდინარე ოპერაციების ანგარიში (მინდინარე ანგარიში);

KAB - საგადასახდლო ბალანსის კაპიტალის ანგარიში;

FAB - საგადასახდლო ბალანსის ფინანსური ანგარიში;

NEO - წმინდა შეცდომები და გამოტოვებები.

ჩანართი 3.2.3.1. რაზე მიგვანიშნებს საქართველოს საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკა?



წყარო: აგებულია ჩვენს მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების საფუძველზე.

ძირითადი ტენდენციები:

- ⌋ საქართველოს საგადასახდელო ბალანსმა მკვეთრი გაუარესება 2005 წლიდან დაიწყო, 2008 წელს ყველზე დაბალ ნიშნულზე დაეცა (2.8 მლრდ აშშ დოლარი) და მშპ-ს 22.0 პროცენტი შეადგინა. მიმდინარე ანგარიშის აღნიშნული გაუარესება თითქმის მთლიანად საქონლით საგარეო ვაჭრობის მკვეთრმა გაუარესებამ განაპირობა;
- ⌋ მიუხედავად იმისა, რომ 2009 წელს საქონლით საგარეო ვაჭრობის ბალანსი გაუმჯობესდა, 2010 წლიდან მან მკვეთრი ვარდნა განაგრძო და 2010-2019 წლების განმავლობაში მისი დეფიციტი დარჩა საშუალოდ 2008 წლის დონეზე (საშუალოდ -3.9 მლრდ აშშ დოლარი);
- ⌋ 2009 წელს საქონლით საგარეო ვაჭრობის ბალანსის ერთწლიანი გაუმჯობესების შედეგად გაუმჯობესებული მიმდინარე ანგარიშის ბალანსი 2009-2019 წლებში მეტ-ნაკლებად ინარჩუნებდა სტაბილურობას მომსახურების, უმეტესწილად, ტურისტული მომსახურების ბალანსის აგრეთვე პირადი ტრანსფერების დადებითი დინამიკის ხარჯზე მშპ-ს 9-10 პროცენტის დონეზე (ზოგიერთ წლებში უფრო დაბალ ნიშნულზეც);

ამდენად, საქართველოს საგადასახდელო ბალანსის „აქილევსის ქუსლი“ - საქონლით საგარეო ვაჭრობის უარყოფითი დინამიკა კვლავ სერიოზულ საფრთხედ რჩება ქვეყნის ეკონომიკისათვის.

საბოლოოდ, საგადასახდელო ბალანსის მთავარი იგივეობა წარმოგვიდგება შემდეგი სახით:

$$CAB + KAB = FAB - NEO,$$


ანუ

$$CAB + KAB - FAB + NEO = 0$$

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, საგადასახდელო ბალანსი კომპლექსური ანგარიშია და არაერთ მიზანს ემსახურება. შესაბამისად, მისი წარმოდგენის ფორმებიც განსხვავებულია, რომლებიც ასევე განსხვავებულ იგივეობებს ამყარებს ბალანსის მაჩვენებლებს შორის.

ჩანართი 3.2.3.2. საქართველოს საგადასახდელო ბალანსის პროფიციტური და დეფიციტური მუხლების შედარება

ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის ძირითადი პროფიციტური და დეფიციტური მუხლების შედარება გვიჩვენებს, რომ ოთხი ძირითადი პროფიციტური მუხლიდან, როგორიცაა ტურიზმი, პირადი გზავნილები, შრომის ანაზღაურება არარეზიდენტებისაგან და მილ- და ელექტროსადენები. ამ უკანასკნელის გარდა პირველი სამი უაღრესად მოწყვლადია საგარეო ფაქტორებისადმი, რაც დადასტურდა კიდევ Covid-19-ის განვითარების ფონზე.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

3.2.4. საგადასახდლო ბალანსის წარმოდგენის ფორმები და შესაბამისი იგივეობები

საგადასახდლო ბალანსი და მისი ანალიზი მნიშვნელოვანი ბერკეტია პოლიტიკის გამტარებელთა ინფორმაციულ არსენალში სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისათვის. ამ მიზნით შემუშავებულია საგადასახდლო ბალანსის წარმოდგენის მეთოდები:

-) სტანდარტული;
-) მონეტარული;
-) ანალიტიკური.

საგადასახდლო ბალანსის წარმოდგენის ეს ფორმები ემსახურება საგარეო სექტორის სხვადასხვა რაკურსში ანალიზის მიზნებს. თუმცა, საგადასახდლო ბალანსის ანალიზის მიმართულებები მხოლოდ წარმოდგენის აღნიშნული ფორმებით არ ამოიწურება.

3.2.4.1. საგადასახდლო ბალანსის სტანდარტული წარმოდგენა

საგადასახდლო ბალანსის ზემოთ განხილული საკითხები და იგივეობები გამომდინარეობდა მისი **სტანდარტული წარმოდგენიდან**, რომელიც შემოკლებული სახით შემდეგნაირია (ცხრილი 3.2.5):

ცხრილი 3.2.5. საგადასახდლო ბალანსი: სტანდარტული წარმოდგენა

	კრედიტი	დებეტი
მიმდინარე ანგარიში		
საქონლისა და მომსახურების ანგარიში		
საქონელი		
მომსახურება		
პირველადი შემოსავლები		
მეორადი შემოსავლები		
კაპიტალის ანგარიში		
კაპიტალური ტრანსფერები		
არაწარმოებული, არაფინანსური აქტივების შექმნა/გაყიდვა		
წმინდა სესხება (+)/გასესხება (-) (მიმდინარე ანგარიშისა და კაპიტალის ანგარიშის ბალანსი)		
ფინანსური ანგარიში		
პირდაპირი ინვესტიციები, წმინდა		
პორტფელის ინვესტიციები, წმინდა		

ფინანსური წარმოებულები, წმინდა		
სხვა ინვესტიციები, წმინდა		
სარეზერვო აქტივები		
წმინდა შეცდომები და გამოტოვებები		

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფინანსური ანგარიში გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება საგადასახდლო ბალანსის მიმდინარე ანგარიშისა და კაპიტალის ანგარიშის დაფინანსება. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ:

$$C + K = F$$

სადაც CAB აღნიშნავს მიმდინარე ანგარიშის ბალანსს, KAB - კაპიტალის ანგარიშის ბალანსს და FAB - ფინანსური ანგარიშის ბალანსს.

უფრო დეტალურად ეს იგივეობა შეიძლება შემდეგნაირად გამოისახოს:

$$\underbrace{X - M + \Delta P + \Delta S}_{\Delta C \quad B} = -(\Delta K + \underbrace{\Delta F + \Delta P + \Delta D + \Delta O + \Delta I}_{\Delta F}), \text{ სადაც}$$

- X - საქონლისა და მომსახურების ექსპორტი;
- M - საქონლისა და მომსახურების იმპორტი;
- ΔPIB - პირველადი შემოსავლების ბალანსი;
- ΔSIB - მეორადი შემოსავლების ბალანსი;
- ΔCAB - მიმდინარე ანგარიშის ბალანსი;
- ΔKAB - კაპიტალის ანგარიშის ბალანსი;
- ΔFDI - პირდაპირი ინვესტიციების ბალანსი;
- ΔPI - პორტფელის ინვესტიციების ბალანსი;
- ΔD - ფინანსური წარმოებულების ბალანსი;
- ΔOI - სხვა ინვესტიციების ბალანსი;
- ΔIR - საერთაშორისო რეზერვების ცვლილება;
- ΔFAB - ფინანსური ანგარიშის ბალანსი.

თუმცა, პრაქტიკაში ამ იგივეობის დაცვა შეუძლებელია, იმავე მიზეზებით, რომლებზედაც გვქონდა საუბარი საგადასახდლო ბალანსის საკრედიტო და სადებეტო გატარებებს შორის იგივეობის შემთხვევაში. ამიტომ, ასეთ ვითარებაში, ასევე უნდა მივმართოთ საგადასახდლო ბალანსის დამაბალანსებელ მუხლს - „წმინდა შეცდომებს და გამოტოვებებს“ (NEO). თუ გავითვალისწინებთ აღნიშნულს და დავუბრუნდებით წინა იგივეობას, საგადასახდლო ბალანსის იგივეობა მიიღებს სახეს:

$$C + K = F - NEO.$$

ან, თუ შესაკრებებს გადავადგილებთ, მივიღებთ:

$$C + K - F + N = 0.$$

თუ $NEO > 0$, ეს ნიშნავს, რომ საგადასახდელო ბალანსის გარკვეული საკრედიტო ჩანაწერები, ე.ი. ინფორმაცია ექსპორტის, მისაღები გადასახდელების, აქტივების გაყიდვის ან ვალდებულებების წარმოქმნის შესახებ არ მოხვდა ანგარიშგებაში და შესაბამისად - საგადასახდელო ბალანსში. ან პირიქით: სადებეტო ჩანაწერები, ანუ ინფორმაცია იმპორტის, გადასახდელების, აქტივების შექმნის ან ვალდებულებების შემცირების შესახებ გადაჭარბებულით არის შეფასებული.

ამდენად, საგადასახდელო ბალანსის შედგენისას „წმინდა შეცდომებისა და გამოტოვებების მუხლს“ დეტალური ანალიზი სჭირდება. ამასთან, მისი ზედმეტად დიდი მოცულობა მიუთითებს იმაზე, რომ:

-) ინფორმაციული წყაროების საგადასახდელო ბალანსის შესადგენად არასაკმარისია, ნაკლებად სანდოა და საჭიროებს სრულყოფასა და გაუმჯობესებას;
-) საგადასახდელო ბალანსის შედგენაზე პასუხისმგებელ სპეციალისტებს მეტი მუშაობა სჭირდებათ სათანადო მეთოდოლოგიის, ბალანსის შედგენის ხერხებისა და უნარების ათვისებისა და სრულყოფისათვის, რათა შეძლონ ხარისხიანი ანგარიშის შედგენა;
-) კომუნიკაცია ინფორმაციის მომწოდებლებთან საჭიროებს გაუმჯობესებას, რათა ბალანსის შემდგენლებს ჰქონდეთ მეტი დამატებითი ინფორმაცია ამა თუ იმ მონაცემის ეკონომიკური შინაარსის შესახებ, იმ მიზნით, რომ სწორად მოხდეს მისი ასახვა საგადასახდელო ბალანსში;
-) ინფორმაციის მომწოდებელთან კომუნიკაცია არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ გარკვეული სტატისტიკური მონაცემების მოპოვებით. რესპონდენტებთან სისტემატურ თანამშრომლობას საგადასახდელო ბალანსის მნიშვნელობის, მისი თავისებურებების, საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული კლასიფიკატორების არსისა და მათი სწორად გამოყენების თაობაზე დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს;
-) საჭიროა საგადასახდელო ბალანსის შემდგენლები გრძნობდნენ მსოფლიო ეკონომიკური პროცესების მაჯისცემას, რათა კარგად განსაზღვრონ მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები და ეროვნულ ეკონომიკაზე მათი შესაძლო ზემოქმედების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ამ და სხვა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შექმნასა და განახლებაზე სისტემატური ზრუნვა და მუშაობა საგადასახდელო ბალანსის მაღალი ხარისხის მიღწევის ერთადერთი გზაა.

3.2.4.2. საგადასახდლო ბალანსის ანალიტიკური წარმოდგენა

საგადასახდლო ბალანსის ანალიტიკური წარმოდგენა წარმოადგენს სტანდარტული წარმოდგენის ალტერნატივას, რომელიც კონკრეტულ ანალიტიკურ მიზნებს ემსახურება. მისი მთავარი იგივეობა ასახავს საგადასახდლო ბალანსის ყველა ოპერაციის მიმართებას ცენტრალური ბანკის საერთაშორისო რეზერვების ცვლილებასთან:

$$\Delta + \Delta K - (\Delta F + \Delta + \Delta + \Delta) = \Delta, \text{ სადაც}$$

ΔOB

ΔOB არის მთლიანი ბალანსი;

$\Delta FDI + \Delta PI + \Delta D + \Delta OI$ - ფინანსური ანგარიში (რეზერვების გარეშე).

მთლიანი ბალანსი ასახავს ცენტრალური ბანკის რეზერვების ცვლილებას. თუმცა, თუ ქვეყანა იყენებს მცურავ გაცვლით კურსს, რეზერვები არ იცვლება ცენტრალური ბანკის ინტერვენციების გარეშე.

საგადასახდლო ბალანსის ანალიტიკური წარმოდგენა გულისხმობს ბალანსის სტანდარტული პრეზენტაციის მუხლების განსხვავებულად სტრუქტურირებას, რაც გამოიხატება საგადასახდლო ბალანსის ყველა ოპერაციის განხილვაში სარეზერვო აქტივებისა და სხვა ფინანსური მუხლების ცვლილებების მიმართ. ეს ემსახურება ამ უკანასკნელთა დეტალური ანალიზისა და მართვის მიზნებს. იგი ახდენს საგადასახდლო ბალანსის ე.წ. „ხაზის ქვემო“ ნაწილის მუხლების იდენტიფიცირებას:

-) სარეზერვო აქტივების,
-) საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მიღებული სესხებისა და
-) განსაკუთრებული დაფინანსების სახით.

ცხრილი 3.2.6. საგადასახდლო ბალანსი: ანალიტიკური წარმოდგენა

მიმდინარე ანგარიში	კრედიტი	დებიტი
მიმდინარე ანგარიში		
საქონლისა და მომსახურების ანგარიში		
საქონელი		
მომსახურება		
მანუფაქტურული მომსახურება		
რემონტი		
სატრანსპორტო მომსახურება		
ტურიზმი		
სამთავრობო მომსახურება		
სხვა მომსახურება		
პირველადი შემოსავლები		

დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება
ინვესტიციებიდან შემოსავალი
სხვა პირველადი შემოსავალი
მეორადი შემოსავლები
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი
კაპიტალის ანგარიში
კაპიტალური ტრანსფერები
არაწარმოებული, არაფინანსური აქტივების შექმნა/გაყიდვა
კაპიტალის ანგარიშის ბალანსი
ფინანსური ანგარიში
პირდაპირი ინვესტიციები, წმინდა
პორტფელის ინვესტიციები, წმინდა
ფინანსური წარმოებულები, წმინდა
სხვა ინვესტიციები, წმინდა
ფინანსური ანგარიშის ბალანსი
მიმდინარე, კაპიტალისა და ფინანსური ანგარიშების ბალანსი
წმინდა შეცდომები და გამოტოვებები
რეზერვები და მასთან დაკავშირებული მუხლები
სარეზერვო აქტივები
კრედიტები და სესხები სსფ-დან
განსაკუთრებული დაფინანსება

ამდენად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საგადასახდლო ბალანსის ანალიტიკური წარმოდგენისას, ერთი მხრივ, ბალანსის ყველა ოპერაცია და, მეორე მხრივ, ცენტრალური ბანკის საერთაშორისო რეზერვები, განიხილება ერთმანეთის მიმართ მიზეზ-შედეგობრივ კავშირში.

საერთაშორისო ანუ ოფიციალური სარეზერვო აქტივები წარმოადგენს მატალიკვიდურ უცხოურ აქტივებს, რომელსაც ფლობს ან აკონტროლებს ქვეყნის ცენტრალური ბანკი და რომლის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ დროს დაუყოვნებლივ, ქვეყნის საგადასახდლო ბალანსის დეფიციტის დასაფინანსებლად, პირდაპირ ან არაპირდაპირ - ეროვნული ვალუტის კურსზე ზემოქმედების მიზნით სავალუტო ბაზარზე ინტერვენციების გზით და სხვა მიზნებისათვის. სარეზერვო აქტივები უცხოური ვალუტის აქტივებია და ამასთან ისეთი აქტივებია, რომლებიც რეალურად არსებობს. პოტენციური აქტივები სარეზერვო აქტივებში არ ჩაირთვება.

ამდენად, სარეზერვო აქტივები ისეთი აქტივებია, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს ორ აუცილებელ პირობას. უნდა იყოს:

-) მონეტარული ხელისუფლების ორგანოების კონტროლის ქვეშ და
-) დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომი, ანუ მაღალი ლიკვიდობის მქონე.

სარეზერვო აქტივების განმარტების საკითხი მჭიდროდ უკავშირდება მონეტარული ხელისუფლების ორგანოების განმარტებას. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება ცენტრალური ბანკი (და მასზე მიკუთვნებული ინსტიტუციური ერთეული, მაგალითად სავალუტო საბჭო, ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე სხვა სამთავრობო ინსტიტუტები ან სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებული ბანკები, თუ მათ ფუნქციებში შედის ვალუტის ემისია, სარეზერვო აქტივების მართვა, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან დაკავშირებული ოპერაციების ჩათვლით.

იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს ლიკვიდობის მოთხოვნა აქტივები უნდა იყოს დენომინირებული უცხოური ვალუტით და ამასთან, კონვერტირებადი ვალუტით, ე.ი. იყოს თავისუფლად კონვერტირებადი საერთაშორისო ოპერაციების ანგარიშსწორებისას.

მონეტარულ ოქროსა და სესხების სპეციალურ უფლებებში დენომინირებული აქტივებიც კლასიფიცირდება, როგორც სარეზერვო აქტივები.

სარეზერვო აქტივები, ოქროს ზოდების გარდა, უნდა წარმოადგენდეს მოთხოვნებს არარეზიდენტების მიმართ. რეზიდენტების, მათ შორის რეზიდენტი ბანკების მიმართ უცხოური ვალუტის მოთხოვნები არ მიეკუთვნება სარეზერვო აქტივებს.

ამდენად, სარეზერვო აქტივებს მიეკუთვნება:

-) მონეტარული ოქრო,
-) სესხების სპეციალური უფლებები (SDRs)
-) სარეზერვო პოზიცია საერთაშორისო სავალუტო ფონდში
-) ვალუტა და დეპოზიტები
-) სავალო და სააქციონერო ფასიანი ქაღალდები
-) ფინანსური წარმოებულები
-) სხვა მოთხოვნები.

რას წარმოადგენს „**კრედიტები და სესხები საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან**“? ქვეყნებს შეუძლიათ გამოიყენონ საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტები, სიღარიბის შემცირების ან ზრდის მექანიზმის (Growth Facility) სესხები, როგორც დამატებითი რესურსები საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან

„განსაკუთრებული დაფინანსება“ აერთიანებს ქვეყნის სამთავრობო სტრუქტურების განსაკუთრებულ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც ფიკუსირებულია საგადასახდლო ბალანსის საჭიროებებზე. ეს ღონისძიებები განიხილება. როგორც საერთაშორისო რეზერვების, საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტის და

სესხების გამოყენების ალტერნატივა, რათა დაძლეულ იქნას მიმდინარე ანგარიშის დისბალანსი.

„განსაკუთრებული დაფინანსება“ მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

-) საგარეო ვალის რესტრუქტურირება, რაც გულისხმობს არსებული კონტრაქტების შეცვლას გადავადებული ვალის მომსახურების გადასახდელებით. საგადასახდლო ბალანსის მთავარი მუხლი, რომელზედაც მოქმედებს რესტრუქტურირება, არის საპროცენტო გადასახდელები (მიმდინარე ანგარიშის პირველადი შემოსავლების ანგარიში). ვალის რესტრუქტურირება შესაძლოა მოიცავდეს აგრეთვე ჯარიმებს პროცენტებზე ან ძირზე, ისევე როგორც გეგმურ საპროცენტო და ძირითადი ვალის გადასახდელებს.
-) ჯარიმები ვალის მომსახურების ვადაგადაცილებაზე. ჯარიმები განიხილება როგორც მოკლევადიანი სესხი. აქედან გამომდინარე, გეგმიური საპროცენტო გადასახდელები პირველადი შემოსავლების ანგარიშში ჩაიწერება როგორც შემოსავლების დებეტი, ხოლო შესაბამისი საკრედიტო ჩანაწერი გაკეთდება ფინანსურ ანგარიშში როგორც მოკლევადიანი ვალდებულებები.
-) ვალის პატიება, ანუ ვალის (მთელის ან ნაწილის) ნებაყოფილობითი ანულირება კრედიტორის მიერ; იწერება კაპიტალის ანგარიშში როგორც ოფიციალური ტრანსფერი.
-) სავალო სვოპი, ანუ ერთი სახეობის სავალო ინსტრუმენტის გაცვლა სხვა სავალო ინსტრუმენტზე (მაგალითად, სესხის გადაცვლა სავალო ფასიან ქაღალდზე, ან სავალო ინსტრუმენტის გადაცვლა კაპიტალზე) უფრო ხელსაყრელი პირობებით. ასეთ შემთხვევაში საკრედიტო ჩანაწერი გატარდება განსაკუთრებულ დაფინანსებაში (ხაზის ქვემოთ), ხოლო სადებეტო ჩანაწერი - ხაზის ზემოთ შესაბამისი სავალო ინსტრუმენტის მიხედვით.

„განსაკუთრებული დაფინანსება“ საგადასახდლო ბალანსის ანალიტიკურ წარმოდგენაში განსაკუთრებული მუხლია. იგი მოიცავს:

-) ვალის პატიებას და სამთავრობოთაშორისო გრანტებს (ორმხრივს და მრავალმხრივს);
-) ვალის კაპიტალიზაციას;
-) სესხებას საგადასახდლო ბალანსის მხარდასაჭერად;
-) ვალის რესტრუქტურირებას/რეფინანსირებას;
-) ვალის წინასწარი გადახდას ან დავალიანების გამოსყიდვას;
-) პროცენტების გადახდას;
-) სესხს განვითარებისათვის.

ეს მუხლები გამოიყოფა:

-) ფინანსური ანგარიშიდან (რეზერვები, სსფ-ს კრედიტები და სესხები, დაგროვილი დავალიანება),
-) კაპიტალის ანგარიშიდან (ვალის პატიება) და
-) მიმდინარე ანგარიშიდან (ვალდებულებებზე პროცენტების გადახდის პატიება, ტრანსფერტები), რომლებიც საგადასახდლო ბალანსის სტანდარტულ წარმოდგენაში გვხვდება.

„განსაკუთრებული დაფინანსების“ გატარება საგადასახდლო ბალანსის სხვადასხვა წარმოდგენაში შემდეგი სქემით ხორციელდება:

სქემა 3.2.4.1.1. ვალის პატიების ასახვა საგადასახდლო ბალანსში

	ანალიტიკური წარმოდგენა		სტანდარტული წარმოდგენა	
	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი
ვალის პატიება				
პროცენტები	განსაკუთრებული დაფინანსება	ინვესტიციებიდან შემოსავალი, სხვა ინვესტიციები	კაპიტალური ტრანსფერები, ვალის პატიება	ინვესტიციებიდან შემოსავალი, სხვა ინვესტიციები
წინა პერიოდში დარიცხული პროცენტები	განსაკუთრებული დაფინანსება	სხვა ინვესტიციები, ვალდებულებები, სესხები	კაპიტალის ტრანსფერები, ვალის პატიება	სხვა ინვესტიციები, ვალდებულებები, სესხები
ძირითადი თანხა	განსაკუთრებული დაფინანსება	სხვა ინვესტიციები, ვალდებულებები, სესხები	კაპიტალის ტრანსფერები, ვალის პატიება	სხვა ინვესტიციები, ვალდებულებები, სესხები

სამთავრობოთაშორისო გრანტების გატარების წესი საგადასახდლო ბალანსის სხვადასხვა წარმოდგენაში შემდეგნაირია:

სქემა 3.2.4.1.2. სამთავრობოთაშორისო გრანტების ასახვა საგადასახდლო ბალანსში

	ანალიტიკური წარმოდგენა		სტანდარტული წარმოდგენა	
	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი
სამთავრობოთაშორისო გრანტები	განსაკუთრებული დაფინანსება	სარეზერვო აქტივები	მიმდინარე/კაპიტალური ტრანსფერები	სარეზერვო აქტივები

მეორე მხრივ, საგადასახდლო ბალანსის „ხაზის ზემო“ ნაწილს ემატება მუხლი „მთლიანი ბალანსი“ (OB), რომელიც ტოლია -

$$O = C + K - F + N$$

სადაც „ * “ მიუთითებს იმაზე, რომ შესაბამისი ბალანსები კორექტირებულია იმ მუხლებით, რაც გადმოტანილია „ხაზის ქვემო“ ნაწილში. აქედან გამომდინარე, მიიღება იგივეობა, რომლითაც მთლიანი ბალანსი = მთლიან დაფინანსებას.

საგადასახდლო ბალანსის ანალიტიკური წარმოდგენა საშუალებას იძლევა დროულად აღმოვაჩინოთ სირთულეები საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში. მთლიანი ბალანსი იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად არის საკმარისი ფინანსური ანგარიშის კაპიტალის ნაკადები დააფინანსოს მიმდინარე ანგარიში, და თუ ეს ასე არ არის, რა რესურსებით უნდა მოხდეს მისი დაფინანსება: ცენტრალური ბანკის რეზერვებით, თუ სხვა წყაროებით, როგორებიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტები და/ან განსაკუთრებული დაფინანსება.

საგადასახდლო ბალანსის ანალიტიკური წარმოდგენა სატელიტური ანგარიშების ერთგვარ მაგალითს წარმოადგენს, რომელიც უმთავრესად ფოკუსირებულია საერთაშორისო რეზერვებისა და მასთან დაკავშირებული მუხლების მართვის საკითხებზე. ამით იგი ზღვარს ავლენს მონეტარული ხელისუფლების ოპერაციებსა (ხაზის ქვემოთ) და სხვა მუხლებს შორის (ხაზის ზემოთ). ამასთან, აქ სიტყვა „ანალიტიკური“, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ საგადასახდლო ბალანსის წარმოდგენის სხვა ფორმებს არ გააჩნიათ ანალიტიკური დატვირთვა.

საგადასახდლო ბალანსის ანალიტიკური წარმოდგენის ერთ-ერთი გზაა აგრეთვე ფინანსური ანგარიშის მუხლების დაჯგუფება ეკონომიკის სექტორების მიხედვით, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ ფინანსდებიან რეზიდენტი რეციპიენტები საგარეო სექტორიდან. ეს საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ საგარეო ფაქტორებისადმი მოცემული ეკონომიკის თითოეული სექტორის მდგრადობისა და მოწყვლადობის იდენტიფიცირება და ანალიზი.

3.2.4.3. საგადასახდლო ბალანსის მონეტარული წარმოდგენა

საგადასახდლო ბალანსის **მონეტარული წარმოდგენა** გვეხმარება შევაფასოთ საგადასახდლო ბალანსის ოპერაციების გავლენა მონეტარული სექტორის განვითარებაზე.

ამა თუ იმ ქვეყნის ფინანსური შუამავლები, ისევე როგორც დანარჩენი ეკონომიკური ერთეულები, მონაწილეობენ საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებში. ამდენად, მათი ეკონომიკური საქმიანობა ერთდროულად უკავშირდება როგორც საბანკო, ისე საგარეო სექტორებს. გარდა ამისა, საბანკო სექტორის საგარეო ოპერაციები „სარკისებურად“ ასახავს საგადასახდლო ბალანსში არასაბანკო სექტორის საერთაშორისო საქმიანობას. აქედან გამომდინარე, საგადასახდლო ბალანსის მონეტარული წარმოდგენის მიზანია შეისწავლოს ეს კავშირურთიერთობები.

რას ეფუძნება საგადასახდლო ბალანსის მონეტარული წარმოდგენის საჭიროება?

პირველ რიგში იმას, რომ როგორც საგადასახდლო ბალანსის, ისე მონეტარულ ანგარიშების მნიშვნელოვანი კომპონენტია საბანკო სექტორის საგარეო ოპერაციები.

მეორე საფუძველი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ის არის, რომ საბანკო სექტორის საგარეო ოპერაციები სარკისებურად ასახავს არასაბანკო სექტორის საგარეო ოპერაციებს.

საგადასახდლო ბალანსის მონეტარული წარმოდგენა გვიჩვენებს, თუ რა მონეტარული შედეგები აქვს საერთაშორისო ოპერაციებს. ამის დასადგენად შემდეგი იგივეობები გამოიყენება:

ა) დეპოზიტების მიმღები კორპორაციების (ბანკების) საბალანსო ანგარიშების მიხედვით:

$$N + \Delta D - \Delta M + O = 0, \text{ სადაც}$$

NFA = დეპოზიტების მიმღები კორპორაციების უცხოურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული ოპერაციები;

DC = შიდა კრედიტი;

M = ფართო ფული;

OTR = სხვა ოპერაციები (წმინდა) რეზიდენტებთან მიმართებაში;

Δ = ოპერაციები (ე.ი. სხვა ცვლილებებისა და გადაფასების გარეშე).

ბ) საგადასახდლო ბალანსის მონეტარული წარმოდგენა საშუალებას იძლევა გაიმიჯნოს საგადასახდლო ბალანსში ფულის მფლობელთა (არასაბანკო ეკონომიკური ერთეულების) საგარეო ეკონომიკური ოპერაციები ფულის ემიტენტების (საბანკო ეკონომიკური ერთეულების) საგარეო ეკონომიკური ოპერაციებისაგან. თუმცა ბუნებრივია, საგადასახდლო ბალანსის მთავარი იგივეობა ძალაში რჩება. ანუ:

$$E + E = 0 \text{ (საგადასახდლო ბალანსის იგივეობის თანახმად).}$$

სადაც: *ETB* ბანკების წმინდა საგარეო ოპერაციებია, ხოლო *ETN* - არასაბანკო ეკონომიკური ერთეულების (შინამეურნეობების, არაფინანსური კორპორაციების, სხვა ფინანსური შუამავლების და მთავრობის) წმინდა საგარეო ოპერაციები.

მეორე მხრივ, *ETB* - ბანკების წმინდა საგარეო ოპერაციები წარმოადგენს ფულის მასის ერთ-ერთ კომპონენტს. კერძოდ, მონეტარული ანგარიშების მთავარი იგივეობის მიხედვით:

$$E + \Delta D + O = \Delta M,$$

სადაც ΔDC არის შიდა კრედიტის ოპერაციები, *OTR* - სხვა წმინდა ოპერაციები რეზიდენტებთან.

თუ გავითვალისწინებთ, რომ:

$$E = -E', \text{ მაშინ}$$

$$-E' + \Delta D + O = \Delta M,$$

რაც ასახავს არასაბანკო ეკონომიკური ერთეულების საგარეო ეკონომიკური ოპერაციების გავლენას ფართო ფულის ცვლილებაზე, ანუ ასახავს კავშირს საგადასახდლო ბალანსსა და მონეტარულ სტატისტიკას შორის.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი იგივეობა საანგარიშგებო იგივეობაა, რაც აუცილებლად არ ნიშნავს იმას, რომ არასაბანკო ეკონომიკური ერთეულების საგარეო ეკონომიკური ოპერაციები ყოველთვის ახდენს უშუალო გავლენას ფართო ფულზე.

საგადასახდლო ბალანსის მონეტარული წარმოდგენის შინაარსი, უფრო თვალსაჩინოდ, წარმოდგენილია ქვემოთ:

სქემა 3.2.4.3.1. საგადასახდლო ბალანსი: მონეტარული წარმოდგენა	
	მიმდინარე ანგარიში
+	კაპიტალის ანგარიში
+	არასაბანკო სექტორის ფინანსური ოპერაციების ბალანსი
+	შეცდომები და გამოტოვებები
=	არასაბანკო სექტორის საგადასახდლო ბალანსი
=	- საბანკო სექტორის საგადასახდლო ბალანსი
=	საბანკო სექტორის წმინდა საგარეო აქტივების ცვლილება

რა შემთხვევაში არ ახდენს გავლენას არასაბანკო ეკონომიკური ერთეულების საგარეო ეკონომიკური ოპერაციები ფართო ფულზე?

დავუშვათ რეზიდენტებმა, მათ ხელთ არსებული უცხოური ობლიგაციები მიჰყიდეს ადგილობრივ ბანკებს (ე.ი. ადგილი აქვს საბანკო სექტორის უცხოური აქტივების ზრდას) და სანაცვლოდ მიღებული ნაღდი ფული დააბანდეს რეზიდენტი ბანკების მიერ გამოშვებულ გრძელვადიან ფასიან ქაღალდებში (რაც ნიშნავს ადგილობრივი ბანკების ვალდებულებების ზრდას რეზიდენტების მიმართ). ეს გარიგებები ფართო ფულის მოცულობაზე გავლენას არ ახდენს, რადგანაც ადგილი აქვს საბანკო სექტორის უცხოური აქტივების ზრდის დაბალანსებას მათი ადგილობრივი ვალდებულებების ზრდით.


თუმცა, რეალურ ცხოვრებაში უამრავ განსხვავებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, განსაკუთრებით მაშინ, როცა საკითხი საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებს ეხება. ამიტომაც, საგადასახდელო ბალანსის კომპლექსური, სისტემატური და თანმიმდევრული ანალიზი შესაბამისი სპეციალისტების მუდმივი ზრუნვის საგანი უნდა იყოს.

3.2.5. საგადასახდელო ბალანსის ანალიზის ძირითადი აქცენტები

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, საგადასახდელო ბალანსი საკმაოდ მრავალმხრივი სტატისტიკური ანგარიშია, ამიტომ მისი ანალიზის მეთოდების სრულად გადმოცემა ერთ სახელმძღვანელოში შეუძლებელია. თუმცა, მთავარი საკითხი აქ მდგომარეობს იმაში, რამდენად სწორად განვსაზღვრავთ იმ მიზნებს, რისთვისაც ამ ანალიზის შედეგებს ვიყენებთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საგადასახდელო ბალანსის ანალიზის მიმართულებებს განსაზღვრავს კონკრეტული მიზნები იმ სფეროების მიხედვით, რომლებიც გაუმჯობესებას მოითხოვენ; ანალიზის შედეგები კი საფუძვლად ედება გასატარებელი ღონისძიებების ფორმირებასა და მათ განხორციელებას.


ზემოაღნიშნული მექანიზმის თვალსაჩინოებისთვის ქვემოთ მოტანილია დიაგრამები.

საგადასახდელო ბალანსის მიზანი 1 უკავშირდება მონეტარულ პოლიტიკას და მის ინფორმაციულ უზრუნველყოფას.




აღნიშნულ შემთხვევაში საგადასახდლო ბალანსის ანალიზი ფოკუსირებულია საგარეო ფაქტორების ანალიზზე მოსალოდნელი შოკების შეფასების მიზნით, მათი გავლენის მასშტაბების ანალიზზე ფასებსა და სხვა ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. შესაბამისად, მონეტარული პოლიტიკის ღონისძიებები მიმართულია ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფისაკენ.


მიზანი 2 აქცენტს აკეთებს ფინანსური სექტორის სტაბილურობაზე. ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდება ქვეყნის ფინანსური სექტორის სტაბილურობის თვალსაზრისით საფრთხის შემცველ რისკებზე, რომელთა განეიტრალება საკანონმდებლო და ნორმატიული რეგულირების ინსტრუმენტების გამოყენებით მიიღწევა. ეს შეიძლება იყოს სავალუტო რეჟიმის სფეროში პოლიტიკა, ინვესტიციების ქცევები და ა.შ.




საგადასახდლო ბალანსის ანალიზის მე-3 მიზანი ფისკალურ სექტორს უკავშირდება და მიმართულია საგარეო სექტორის წონასწორობაზე ფისკალური პოლიტიკის გავლენების კვლევაზე. ეს შეეხება საბაჟო და სატარიფო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, ინვესტიციების მოცულობებს და სხვა.



საგადასახდლო ბალანსის ანალიზის მე-4 მიზანი გულისხმობს სტრუქტურული რეფორმების გავლენის შესწავლას საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაზე და, შესაბამისად, საგადასახდლო ბალანსზე. მნიშვნელოვანია ეკონომიკის შეფარდებითი უპირატესობების პოტენციალის შესწავლა და მისი ამოქმედება საგადასახდლო ბალანსის დადებითი ტენდენციების მისაღწევად.



როდესაც საგადასახდელო ბალანსის ანალიზის საკითხებს ვეხებით, ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საერთაშორისო ფინანსური გარემოს სისტემატური მონიტორინგი და მისი ცვლილებით გამოწვეული რისკების დროული შეფასება. შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებები უნდა იყოს ასევე დროული და ადეკვატური.



საგარეო სექტორის ანალიზისას განიხილავენ ქვეყნის საგარეო გახსნილობის ხარისხის მაჩვენებელს, როგორც საგარეო სავაჭრო ბრუნვის მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობას:

$$O = \frac{X + |M|}{G}$$

სადაც X აღნიშნავს ექსპორტს, ხოლო M - იმპორტს.

აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი წარმატებით გამოიყენება საერთაშორისო შედარებებისათვისაც.

ქვეყნის საგარეო გახსნილობის ხარისხის დონის შეფასებისთვის გამოიყენებენ აგრეთვე ექსპორტის შეფარდებას მთლიან შიდა პროდუქტთან. ეს მაჩვენებელი ასახავს ქვეყნის უნარს მიიღოს უცხოური სავალუტო შემოსავალი და მოემსახუროს საგარეო ვალდებულებებს:

$$O = \frac{X}{G}$$

საგარეო ვაჭრობის ანალიზისას მიმართავენ აგრეთვე ექსპორტის იმპორტთან თანაფარდობის (X/M) დინამიკის მონიტორინგს. რაც უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი, მით მეტია სავალუტო შემოსავლები სავალუტო ხარჯებზე და მეტი რესურსი უჩნდება ქვეყანას საგარეო ვალდებულებების გასასტუმრებლად.

საგარეო ვაჭრობა საგადასახდლო ბალანსის დაფინანსების მნიშვნელოვანი წყაროა. იმის შესწავლას, თუ რამდენად შედეგიანია ქვეყნისთვის საგარეო ვაჭრობა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. საგარეო ვაჭრობის ეფექტიანობას შეისწავლიან მაჩვენებლით, რომელსაც ვაჭრობის პირობებს უწოდებენ.

როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის მოცულობის ცვლილება დამოკიდებულია ორი ცვლადის ცვლილებაზე. ეს ცვლადებია საქონლისა და მომსახურების რაოდენობა (Q) და ფასი (P).

თუ მაგალითად, ექსპორტს აღვნიშნავთ X -ით, მაშინ მისი მოცულობის ცვლილება ორ პერიოდს შორის გამოითვლება ფორმულით:

$$\frac{X_t}{X_{t-1}} = \frac{Q_t * P_t}{Q_{t-1} * P_{t-1}}$$

რაც ნიშნავს, რომ ექსპორტის პროცენტული ცვლილება ტოლია მისი რაოდენობისა და ფასის პროცენტული ცვლილების ნამრავლსა, ე.ი.:

$$\% \Delta V = \left[\left(1 + \frac{\% \Delta Q}{100} \right) * \left(1 + \frac{\% \Delta P}{100} \right) - 1 \right] * 100.$$

შესაბამისად, ექსპორტის რაოდენობრივი ცვლილება ტოლია მისი ღირებულების ცვლილების შეფარდებისა ფასების ცვლილებასთან:

$$\% \Delta Q = \left[\left(1 + \frac{\% \Delta V}{100} \right) / \left(1 + \frac{\% \Delta P}{100} \right) - 1 \right] * 100.$$

ამ მაჩვენებლების გაანგარიშებით და მათ დინამიკაზე დაკვირვებით, ჩვენ შეგვიძლია გავაანალიზოთ ექსპორტის (იმპორტის) ქცევა შესასწავლი პერიოდის განმავლობაში, რაც საშუალებას მოგვცემს ამ ქცევის კორექტირებისა, თუ ამას მოითხოვს საგარეო სავაჭრო პოლიტიკა.

ამდენად, საჭიროა გაანალიზდეს ექსპორტი-იმპორტის ფასების ინდექსები, ისევე როგორც რაოდენობის ინდექსები და ვაჭრობის პირობები, ანუ ექსპორტის ფასების შეფარდება იმპორტის ფასებთან. ეს უკანასკნელი მაჩვენებელი გვიჩვენებს, თუ რა გავლენა აქვს ექსპორტი-იმპორტზე ფასების ცვლილებას ქვეყნის ეკონომიკაზე.

$$\text{ვაჭრობის პირობები} = \frac{\text{ექსპორტის ფასების ინდექსი}}{\text{იმპორტის ფასების ინდექსი}} * 100.$$

აღნიშნული ინდექსები წარმოადგენს ექსპორტის (იმპორტის) ფასების საშუალო ცვლილებას მოცემული პერიოდის განმავლობაში და გამოსახულია პროცენტებში.

მაგალითად, თუ მოცემულ პერიოდში ექსპორტის ფასები გაიზარდა 10 პროცენტით (110%), ხოლო იმპორტის ფასები - 5 პროცენტით (105%), მაშინ ვაჭრობის პირობები გაიანგარიშება შემდეგნაირად:

$$110 * 100 / 105 = 104.8,$$

რაც ნიშნავს, რომ ვაჭრობის პირობები გაუმჯობესდა 4.8 პროცენტით. ამდენად, თუ ვაჭრობის პირობები მეტია 100, ეს ნიშნავს მის გაუმჯობესებას, ხოლო თუ ნაკლებია 100-ზე - გაუარესებას.

მეორე მხრივ, თუ ვაჭრობის პირობები უმჯობესდება, ეს ნიშნავს, რომ ექსპორტის ერთეულიდან მიღებული შემოსავლით შესაძლებელია უფრო მეტი იმპორტის განხორციელება. ხოლო, თუ ვაჭრობის პირობები უარესდება, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანას სჭირდება სულ უფრო მეტი საქონლისა და მომსახურების ექსპორტირება, რომ შეძლოს საჭირო საქონლისა და მომსახურების იმპორტის დაფინანსება. შესაბამისად, უარესდება ცხოვრების სტანდარტები, რადგანაც იმპორტი ხარჯიანი ხდება.

ვაჭრობის პირობების გაუმჯობესება ასევე იმის მიმანიშნებელია, რომ იმპორტის ფასები მცირდება, ექსპორტის ფასებთან შედარებით, რაც დადებითად აისახება ინფლაციის მაჩვენებელზე.

ექსპორტის და იმპორტის ფასებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადგილობრივი ვალუტის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ეფექტი. რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი ასახავს ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებას მთავარი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვალუტების მიმართ და იმავდროულად ადგილობრივი სამომხმარებლო ფასების ცვლილებას იმავე პარტნიორ ქვეყნებში ფასების ცვლილების მიმართ.

რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი გამოითვლება ფორმულით:

$$R = \frac{E * P_W}{P} = \left(\frac{E_1 * P_1}{P} \right)^{w_1} \left(\frac{E_2 * P_2}{P} \right)^{w_2} \dots \left(\frac{E_n * P_n}{P} \right)^{w_n}$$

სადაც E არის ნომინალური გაცვლითი კურსი, P - სამომხმარებლო ფასების ინდექსი, ხოლო W - კონკრეტული სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წონა ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბრუნვაში.

როცა ადგილობრივი ვალუტა მყარდება უცხოური ვალუტების მიმართ, ეს ნიშნავს, რომ ადგილობრივი ვალუტის ერთეულით ჩვენ შეგვიძლია ვიყიდოთ მეტი უცხოური ვალუტა და შევიძინოთ მეტი უცხოური საქონელი. მეორე მხრივ, იმპორტის გაიაფება კარგი ამბავია ადგილობრივი მწარმოებლებისათვის, რადგანაც მათ შეეძლებათ იყიდონ უფრო მეტი უცხოური ნედლეული, მაგალითად, რათა გამოუშვან ესა თუ ის პროდუქცია, რაც უფრო იაფი დაუჯდებათ, ვიდრე მანამდე და მიიღებენ მეტ მოგებას.


იმპორტის გაიაფება შეამცირებს ინფლაციას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. შესაბამისად, ადგილობრივ მწარმოებლებსაც მოუწევთ ფასების შემცირება თავის პროდუქციაზე, რათა გაუძლონ კონკურენციას უცხოური საქონლის მხრიდან. ეს ნიშნავს, რომ მომხმარებელს მოუწევს გაცილებით ნაკლები დახარჯოს იმავე რაოდენობის საქონლისა და მომსახურების შეძენაზე, ვიდრე მანამდე.

თუმცა, ადგილობრივი ვალუტის გამყარების შედეგად იმპორტის გაიაფება და მისი მოცულობის ზრდა აუარესებს საგარეო სავაჭრო ბალანსს.



მყარი ადგილობრივი ვალუტა აძვირებს ექსპორტს. ეს ხდება იმიტომ, რომ იმპორტიორს სჭირდება მეტი საკუთარი ვალუტა იმ მიზნით, რომ იყიდოს ექსპორტიორის ვალუტა და გადაუხადოს საქონლის საფასური. აქედან გამომდინარე, ისინი იძენენ ნაკლებ საქონელს ექსპორტიორისაგან და შესაბამისად მოცემული ქვეყნის ექსპორტის მოცულობა მცირდება.

ამდენად, მყარი ადგილობრივი ვალუტა აუარესებს საგარეო სავაჭრო ბალანსს. პირიქით ხდება, ადგილობრივი ვალუტის დასუსტების შემთხვევაში.


ქვემოთ მოცემულია გრაფიკი, რომელიც ასახავს საქართველოს მიმდინარე ანგარიშისა (მშპ-სთან მიმართებაში) და რეალური გაცვლითი კურსის დინამიკას 2006-2019 წლებში, საიდანაც კარგად ჩანს ამ ორი მაჩვენებლის ურთიერთდამოკიდებულება, ანუ ის, თუ რეალური გაცვლითი კურსის გამყარება (ზრდა) და მისი გაუფასურება (შემცირება) როგორ აისახება მიმდინარე ანგარიშის დინამიკაზე.




ქვემოთ მოტანილია საქართველოს საგადასახდელო ბალანსის გარკვეული მიმართულებების დინამიკის გრაფიკული გამოსახულებები. რაზე მიგანიშნებთ ეს დიაგრამები? გააანალიზეთ ისინი და გააკეთეთ დასკვნები რა გავლენას ახდენს თითოეული მათგანი საგადასახდელო ბალანსის საერთო მდგომარეობაზე.



დიაგრამა 3.2.5.4. წმინდა საინვესტიციო შემოსავლების დინამიკა



დიაგრამა 3.2.5.5. მეორადი შემოსავლების ბალანსი და პირადი ტრანსფერები, მლნ აშშ დოლარი



3.2.6. საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა

საგადასახდლო ბალანსისაგან განსხვავებით, რომელიც ასახავს რეზიდენტების არარეზიდენტებთან ურთიერთობის ოპერაციებს მოცემული პერიოდის განმავლობაში, **საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსი** ასახავს მოცემული ქვეყნის უცხოური ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მდგომარეობას მოცემული კონკრეტული თარიღისათვის. აღნიშნული ბალანსის ცვლილება ერთი თარიღიდან მეორემდე ასახავს უცხოური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთებს შორის სხვაობას ორი პერიოდის მიხედვით. ეს სხვაობა გამოწვეულია საგარეო ფინანსური ოპერაციებით, ასევე ფინანსური აქტივების ღირებულებითი ცვლილებებით და სხვა ცვლილებებით.

საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსი, პირველ რიგში იყოფა ორ მსხვილ კატეგორიად. ესენია უცხოური აქტივები და ვალდებულებები.

საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსის უცხოურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობა ახასიათებს ქვეყნის წმინდა საერთაშორისო ინვესტიციურ მდგომარეობას.

საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსი მოიცავს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომელთაც აქვთ საერთაშორისო ხასიათი. ამას განაპირობებს ის, რომ ამ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული ოპერაციები ხორციელდება რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის.

საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსის აქტივები/ვალდებულებები იყოფა შემდეგ ფუნქციონალურ კატეგორიებად:

-) პირდაპირი ინვესტიციები;
-) პორტფელის ინვესტიციები;
-) ფინანსური წარმოებულები;
-) სხვა ინვესტიციები;
-) სარეზერვო აქტივები (მხოლოდ აქტივების მხარეს).

საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსისა და საგადასახდლო ბალანსის ფინანსური ანგარიშის მუხლების კლასიფიკაციები ერთნაირია. კერძოდ, მათში გამოყენებული კლასიფიკაციები შემდეგია:

-) ფუნქციონალური კატეგორიები - პირდაპირი ინვესტიციები, პორტფელის ინვესტიციები, ფინანსური წარმოებულები, სხვა ინვესტიციები და სარეზერვო აქტივები;
-) ფინანსური ინსტრუმენტები;
-) რეზიდენტების ინსტიტუციური სექტორები;

-) ვადიანობა - გრძელვადიანი, მოკლევადიანი;
-) ვალუტა - ეროვნული და უცხოური;
-) საპროცენტო განაკვეთის სტრუქტურა - ფიქსირებული და ცვალებადპროცენტიანი.


ცხრილი 3.2.7. საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსის ზოგადი სქემა 1	
პერიოდის დასაწყისისთვის	ფინანსური ანგარიში
	ოპერაციები ღირებულების ცვლილება აქტივების ფასისა და გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგად სხვა ცვლილებები პერიოდის ბოლოსათვის
აქტივები	
ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით	
პირდაპირი ინვესტიციები	
პორტფელის ინვესტიციები	
ფინანსური წარმოებულები და თანამშრომლებთან ოფციონები აქციებზე	
სხვა ინვესტიციები	
სარეზერვო აქტივები	
ინსტრუმენტების მიხედვით	
სააქციო კაპიტალი და საინვესტიციო ფონდების აქციები	
სავალო ინსტრუმენტები	
სესხის სპეციალური უფლებები	
ვალუტა და დეპოზიტები	
სავალო ფასიანი ქაღალდები	
სესხები	
სადაზღვევო, საპენსიო პროგრამები და სტანდარტული საგარანტიო სქემები	
სხვა მისაღები/გადასახდელი ანგარიშები	
სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები	
მონეტარული ოქრო	
ფინანსური წარმოებულები და	

თანამშრომლებთან ოფციონები აქციებზე
ვალდებულებები
ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით
პირდაპირი ინვესტიციები
პორტფელის ინვესტიციები
ფინანსური წარმოებულები და თანამშრომლებთან ოფციონები აქციებზე
სხვა ინვესტიციები
ინსტრუმენტების მიხედვით
სააქციო კაპიტალი და საინვესტიციო ფონდების აქციები
სავალო ინსტრუმენტები
სესხის სპეციალური უფლებები
ვალუტა და დეპოზიტები
სავალო ფასიანი ქაღალდები
სესხები
სადაზღვევო, საპენსიო პროგრამები და სტანდარტული საგარანტიო სქემები
სხვა მისაღები/გადასახდელი ანგარიშები
სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები
მონეტარული ოქრო
ფინანსური წარმოებულები და თანამშრომლებთან ოფციონები აქციებზე
წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა

საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსის წარმოდგენის ეს ფორმა მკაფიოდ ასახავს საგადასახდელო ბალანსის ფინანსურ ანგარიშთან მის კავშირს (სვეტი - ოპერაციები), რომელსაც ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ.

ეკონომიკური ანალიზის მიზნებისათვის, საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსის წარმოდგენის სხვადასხვა ფორმა არსებობს. გარდა ზემოთ წარმოდგენილისა, ანალიტიკოსები იყენებენ აგრეთვე საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსის წარმოდგენის ფორმას, რომელიც ფოკუსირებულია ინსტიტუციურ სექტორებსა და აქტივების/ვალდებულებების ფუნქციონალურ კატეგორიებზე.

ჩანართი 3.2.6.2. საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების სტრუქტურა, მლნ აშშ დოლარი



ამდენად, საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა გვიჩვენებს საერთაშორისო აქტივებისა და ვალდებულებების მდგომარეობას კონკრეტული თარიღისათვის, პერიოდის დასაწყისისა და პერიოდის ბოლოსათვის. თუმცა, ამ ორი პერიოდის მონაცემებს შორის სხვაობა თითქმის არასდროს არ არის ტოლი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ოპერაციებისა (რაც საგადასახდელო ბალანსის ფინანსურ ანგარიშშია ასახული). მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში იცვლება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების როგორც ფასი, ასევე გაცვლითი კურსი იმ ვალუტებისა, რომლებშიც შესაძლოა დენომინირებული იყოს ეს აქტივები და ვალდებულებები. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესაძლოა გარკვეული სტიქიური კატასტროფების, ომების და სხვა მიზეზების გამო მოხდეს აქტივებისა და ვალდებულებების განადგურება. აქედან გამომდინარე, ორ თარიღს შორის პერიოდის განმავლობაში საერთაშორისო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებას, განხორციელებულ ოპერაციებთან ერთად, განაპირობებს აღნიშნული ცვლილებებიც. შესაბამისად, მართებულია შემდეგი ტოლობა:

$$O + T + V + O = C ,$$

სადაც:
 OS არის ნაშთი პერიოდის დასაწყისისთვის;

TR - ოპერაციები;
 VC - ღირებულების ცვლილებები;
 $OCVA$ - აქტივების ღირებულების სხვა ცვლილებები;
 CS - ნაშთი პერიოდის ბოლოსათვის.

ამდენად, რომელი კომპონენტები განსაზღვრავენ გარკვეული t დროისათვის უცხოური აქტივების/ვალდებულებების ღირებულებას?

ესენია ამ აქტივების/ვალდებულებების რაოდენობა (Q_t), საბაზრო ფასი (P_t) და გაცვლითი კურსი (e_t):

$$A_t/L_t = Q_t * P_t * e_t.$$

რა ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს უცხოური აქტივების/ვალდებულებების ღირებულების ცვლილება $t+1$ პერიოდისათვის? ეს შეიძლება იყოს რაოდენობის ცვლილება, რომელიც უმთავრესად დაკავშირებულია ოპერაციებთან. თუმცა, შესაძლოა რაოდენობის ცვლილება გამოიწვიოს ისეთმა მოვლენებმა, რომლებიც დაკავშირებულია არა ოპერაციებთან, არამედ სხვა ცვლილებებთან. მაგალითად, როცა მსესხებელი ვედარ იხდის ვალს, ან იგი (მსესხებელი) საერთოდ აღარ არსებობს; ან შესაძლოა სხვა ცვლილებები გამოიწვიოს აქტივების/ვალდებულებების ერთი კლასიფიკაციიდან მეორეში გადასვლამ (გადაკლასიფიცირებამ), მეთოდოლოგიური ან სხვა მოსაზრებებით, ან სხვა ცვლილებებმა.

უცხოური აქტივების/ვალდებულებების ღირებულების ცვლილება $t+1$ პერიოდისათვის შეიძლება გამოიწვიოს აგრეთვე საბაზრო ფასის ცვლილებამ და გაცვლითი კურსის ცვლილებამ. ამდენად,

$$A_{t+1}/L_{t+1} = \Delta Q_{t+1} * \Delta P_{t+1} * \Delta e_{t+1}.$$

ვთქვათ მოცემული ქვეყნის ევროთი დენომინირებული ავუარები 2015 წლის დასაწყისისათვის შეადგენდა 1 მლრდ ევროს; წლის განმავლობაში განხორციელებული ოპერაციების შედეგად ევროს ავუარების წმინდა შესყიდვამ შეადგინა 0.5 მლრდ ევრო; შესაბამისად წლის ბოლოსათვის ევროს მოცულობა იქნება 1.5 მლრდ ევროს ტოლი. დავუშვათ, რომ ამ ქვეყნის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები გამოსატულია აშშ დოლარებში და შესაბამისად ევროს ავუარებიც, შესაბამისი კურსით, გადაყვანილ უნდა იქნეს აშშ დოლარებში. ქვემოთ მოტანილ ცხრილში აღწერილია, თუ როგორ ხდება ევროს ავუარების აღრიცხვა აშშ დოლარებში გამოსატულ საერთაშორისო რეზერვებში:

მაგალითი 1.

	ნაშთი 01.01.2015-ის მდგომარეობით	ოპერაციები	ღირებულების ცვლილება	ნაშთი 31.12.2015-ის მდგომარეობით
ევროს ავუარები, მლნ	€ 1,000.00	€ 500.00		€ 1,500.00
რეზერვები აშშ დოლარებში, მლნ	\$1,390.00	\$680.00	\$210.00	\$2,280.00
გაცვლითი კურსები:				
01.01.2015	1.39			
31.12.2015	1.52			
საშუალო წლის განმავლობაში	1.36			

ამდენად, წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის ევროს ავუარების დოლარში გადაყვანა ხდება წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსებით; ევროთი განხორციელებული ოპერაციები დოლარებში გადაიყვანება წლის განმავლობაში არსებული საშუალო გაცვლითი კურსით. ხოლო სხვაობა მათ შორის (წლის ბოლოსათვის არსებულ ნაშთს გამოკლებული ნაშთი წლის დასაწყისისათვის და გამოკლებული ოპერაციები) შეადგენს გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეულ ღირებულებით ცვლილებას.

მოცემული მაგალითის მიხედვით, პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ოპერაციები 680 მლნ აშშ დოლარის ოდენობით, უნდა აისახოს აგრეთვე საგადასახდლო ბალანსში.

განვიხილოთ მეორე მაგალითი, დაკავშირებული საერთაშორისო აქტივების სხვა ცვლილებებთან. დავუშვათ, რომ პერიოდის განმავლობაში მოცემული ქვეყნის ცენტრალურმა ბანკმა ჩამოწერა არარეზიდენტი ბანკისათვის მიცემული სესხი 30 ერთეული ვალუტის ოდენობით და რეზიდენტებისაგან შეიძინა 15 ერთეული უცხოური ვალუტა. ამასთან მოცემულია საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსის აქტივების მუხლები (დავუშვათ, რომ ვალდებულებები 0-ია). ქვემოთ მოტანილ ცხრილში ნაჩვენებია, თუ რა ჩანაწერები გვაქვს ქვეყნის საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსში 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რა ჩანაწერებია საგადასახდლო ბალანსში შესაბამისი მუხლების მიხედვით, რა ცვლილებებს განიცდის საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსი მოცემული მაგალითის პირობების გამო და როგორი იქნება მისი მდგომარეობა 2015 წლის ბოლოსათვის.

მაგალითი 2.

	ნაშთი 01.01.2015-ის მდგომარეობით	საგადასახდლო ბალანსი	აქტივების ღირებულების სხვა ცვლილებები	ნაშთი 31.12.2015-ის მდგომარეობით
აქტივები	110		-30	80
სხვა ინვესტიციები	100	0	-45	55
ვალუტა&დეპოზიტები	70	0	-15	55
სესხები	30	0	-30	0
რეზერვები	10	0	+15	25
ვალდებულებები	0	0	0	0

1. არარეზიდენტებისათვის ვალის ჩამოწერის გამო 2015 წლის ბოლოსათვის ვალის ნაშთი იქნება 0. შესაბამისად, სხვაობა წლის ბოლოსათვის ნაშთსა და წლის დასაწყისის ნაშთს შორის ($0-30=-30$) ჩაიწერება როგორც „სხვა ცვლილება“.
2. იმის გამო, რომ ცენტრალურმა ბანკმა 15 ერთეული უცხოური ვალუტა შეიძინა რეზიდენტებისაგან, ეს ოპერაცია არ აისახება საგადასახდლო ბალანსში (რადგანაც ეს ოპერაცია კლასიფიცირდება როგორც რეზიდენტებს შორის განხორციელებული ოპერაცია), თუმცა როგორც უცხოური აქტივების სტრუქტურის ცვლილება, იგი უნდა აისახოს საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსში როგორც: (1) უცხოური ვალუტისა და დეპოზიტების აკუმულაციის შემცირება 15-ით და (2) რეზერვების ზრდა 15-ით. შესაბამისად გამოითვლება საერთაშორისო აქტივების მდგომარეობა 2015 წლის ბოლოსათვის, რაც ნაჩვენებია ცხრილში (მაგალითი 2).

საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსის აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობა, რომელსაც წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა ეწოდება, გვიჩვენებს ქვეყანა უცხოეთთან მიმართებაში არის წმინდა გამსესხებელი („+“ ; კრედიტორი) თუ მსესხებელი („-“ ; დებიტორი). ანუ წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა

$$NI_t = A_t - L_t.$$

თუ $NI_t > 0$, ეს ნიშნავს, რომ აქტივები მეტია ვალდებულებებზე - $A_t > L_t$ და ქვეყანა წმინდა კრედიტორია, ხოლო თუ $NI_t < 0$, ეს ნიშნავს, რომ ვალდებულებები მეტია აქტივებზე $L_t > A_t$ და ქვეყანა წმინდა დებიტორია.

ორ პერიოდს შორის წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ცვლილება უდრის სხვაობას აქტივების ღირებულების ცვლილებასა და ვალდებულებების ღირებულების ცვლილებას შორის:

$$\Delta NI_{t+1} = \Delta A_{t+1} - \Delta L_{t+1},$$

სადაც: $\Delta A_{t+1} A_{t+1} - A_t$ და $\Delta L_{t+1} - L_{t+1} - L_t$.

ამასთან, ΔA_{t+1} წარმოადგენს უცხოურ აქტივებთან დაკავშირებულ ოპერაციებს, ანუ აქტივების წმინდა შექმნას (NAA), რაც საგადასახდელო ბალანსის ფინანსური ანგარიშის კომპონენტია, ხოლო ΔL_{t+1} უცხოურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ოპერაციებია, რაც ასევე საგადასახდელო ბალანსის ფინანსური ანგარიშის კატეგორიაა და იწოდება ვალდებულებების წმინდა წარმოქმნად (NIL).

ამდენად, ზემოთ აღნიშნული მიუთითებს კავშირზე საგადასახდელო ბალანსსა და საერთაშორისო ინვესტიციურ მდგომარეობას შორის, რაც შემდეგ იგივეობით გამოისახება:

$$\Delta A_{t+1} = N_{t+1} - N_t + V_{t+1} + O_{t+1} = F_{t+1} + V_{t+1} + O_{t+1}.$$


ეს ტოლობა წარმოადგენს საგადასახდელო ბალანსსა და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსს შორის დამოკიდებულების ამსახველ მთავარ იგივეობას.

თუმცა ანალიტიკური თვალსაზრისით, საგადასახდელო ბალანსსა და საერთაშორისო ინვესტიციურ მდგომარეობას შორის უფრო ღრმა მიზეზ-შედეგობრივი კავშირურთიერთობები არსებობს.

როგორც აღვნიშნეთ, საერთაშორისო ინვესტიციური ბალანსის მუხლები და საგადასახდელო ბალანსის ფინანსური ანგარიშის მუხლები ერთმანეთს ემთხვევა. თუმცა, თუ პირველი მათგანი ასახავს შესაბამისი აქტივებისა და ვალდებულებების მდგომარეობას გარკვეული თარიღისათვის, მეორე მათგანი ასახავს ოპერაციებს, განხორციელებულს დროის გარკვეულ მონაკვეთში.

კავშირი საგადასახდელო ბალანსსა და საერთაშორისო ინვესტიციურ მდგომარეობას შორის კარგად ჩანს ქვემოთ მოტანილ სქემაზე:

სქემა 3.2.6.1. კავშირი საგადასახდლო ბალანსსა და საერთაშორისო ინვესტიციურ მდგომარეობას შორის




საგადასახდლო ბალანსსა და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსს შორის კავშირურთიერთობებს ნათლად დავინახავთ, თუ წარმოვიდგენთ რა ხდება მათ შორის ჩვეულებრივ რეალობაში. კერძოდ:

1. ნებისმიერ ქვეყანას გააჩნია უცხოური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც უნდა აისახოს საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსში;
2. ეს აქტივები და ვალდებულებები განაპირობებს შემოსავლებსა (კრედიტი) და გადასახდლებს (დებეტი) საგადასახდლო ბალანსის პირველადი შემოსავლების ბალანსში; თუ წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა დადებითია, ე.ი. $A_t > L_t$, ეს ნიშნავს, რომ აქტივებზე შემოსავლები სჭარბობს ვალდებულებებთან დაკავშირებულ გადასახდლებს, რაც დადებითად აისახება საგადასახდლო ბალანსის როგორც პირველადი შემოსავლების ბალანსზე, ისე მთლიანად მიმდინარე ანგარიშზე. და პირიქით: თუ $A_t < L_t$, ქვეყანას უწევს მეტის გადახდა მის მიერ აღებულ ვალდებულებებზე, რაც უარყოფითად აისახება პირველადი შემოსავლების ბალანსსა და შესაბამისად - მიმდინარე ანგარიშზე.
3. პირველადი შემოსავლების ბალანსი საქონლისა და მომსახურების ბალანსთან და მეორადი შემოსავლების ბალანსთან ერთად აყალიბებს მიმდინარე ანგარიშს, რომელიც კაპიტალის ანგარიშთან ერთად, განაპირობებს ფინანსურ ანგარიშს;
4. ფინანსური ანგარიში, მასში ასახული ოპერაციების სახით, განსაზღვრავს საერთაშორისო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებას t -დან $t+1$ პერიოდში და შესაბამისად წმინდა საერთაშორისო ინვესტიციურ მდგომარეობას, რაც თავის მხრივ განაპირობებს მიმდინარე ანგარიშის პირველადი შემოსავლების ბალანსის შემოსავლებსა და ხარჯებს და ა.შ.

აღწერილი პროცესები ციკლური ხასიათისაა და მათი უკეთ გაგება გვეხმარება ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების უკეთ შესწავლაში (იხ.გრაფიკული გამოსახულება ქვემოთ).

სქემა 3.2.6.2. ურთიერთდამოკიდებულება საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის მაჩვენებლებს შორის



როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საგადასახდელო ბალანსის ფინანსური ანგარიშის ოპერაციების ხასიათი და მოცულობა განსაზღვრავს საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ცვლილებას პერიოდის განმავლობაში. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ ამ ცვლილებების ევოლუცია დამოკიდებულია საგადასახდელო ბალანსის ფინანსური ანგარიშის დაფინანსების მოცულობაზე, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია თანაფარდობაზე, ერთი მხრივ, საქონლისა და მომსახურების ექსპორტიდან შემოსულობებსა და იმპორტთან და საგარეო ვალდებულებების (ვალის ძირითადი თანხის და პროცენტის) გასტუმრებასთან დაკავშირებულ გადასახდელებს შორის.

რა ინსტრუმენტებით უნდა მოხდეს ზემოაღნიშნულ ფენომენებს შორის ურთიერთდამოკიდებულების პოზიტიური განვითარების ხელშეწყობა?

ჩანართი 3.2.6.3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

დიაგრამა 3.3.5.3 თვალნათლივ უჩვენებს, რომ 2015 წლიდან შეინიშნება ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაშთების მნიშვნელოვანი მატება. იმისათვის, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რასთან და რა მასშტაბებთან გვაქვს საქმე ამ ფენომენტთან მიმართებაში, მივმართოთ გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კომისიის მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკას¹ (ცხრილი 1):

ცხრილი 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: განმაზოგადებელი მაჩვენებლები შერჩეული ქვეყნების მიხედვით

	2017	2018	2019
შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მთლიანი ძირითადი კაპიტალის ფორმირების მიმართ, %			
საქართველო	40.7	24.4	23.6
სომხეთი	12.0	12.2	11.8
აზერბაიჯანი	29.1	14.5	15.3
ესტონეთი	28.8	20.2	37.2
ლატვია	10.6	12.8	10.1
ლიტვა	10.8	10.0	8.5
სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა და დსთ	10.1	6.7	10.2
მსოფლიო	8.4	6.9	7.0
პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაშთები მშპ-ს მიმართ, %			
საქართველო	x	103.7	107.9
სომხეთი	x	44.3	41.5
აზერბაიჯანი	x	65.4	68.3
ესტონეთი	x	80.7	87.5
ლატვია	x	50.7	52.6
ლიტვა	x	36.5	37.7
სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა და დსთ	x	34.1	36,2
მსოფლიო	x	38.5	42.0

ამდენად:

- 2017-2019 წლებში საქართველოში მთლიანი ძირითადი კაპიტალის ფორმირების 29.6 პროცენტი შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით იყო უზრუნველყოფილი, როცა ანალოგიური მაჩვენებელი სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპისა და მსოფლიო მასშტაბით საშუალოდ, შესაბამისად, დაახლოებით 9.0 და 7.4 პროცენტს შეადგენდა; ასევე დაბალია ეს მაჩვენებლები რეგიონის და ბალტიის ქვეყნებთან შედარებით; აღნიშნულის შედეგად ქრონიკულად დეფიციტურია ქვეყნის დაზოგვა-ინვესტიციების ბალანსი და შესაბამისად - მიმდინარე ანგარიში.

ჩანართი 3.2.6.3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (გაგრძელება)

- საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაშთების შეფარდება მშპ-სთან 2018-2019 წლებში საშუალოდ 105.8 პროცენტი იყო (წინა წლებში - უფრო მეტი) და თითქმის 3-ჯერ აჭარბებდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით ანალოგიურ მაჩვენებელს, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებდა კიდევ შესაბამისი გადასახდელების მკვეთრ ზრდას და პირველადი შემოსავლების ბალანსის დეფიციტს.

ამის დასადგენად, პირველ რიგში შესწავლილ უნდა იქნას, თუ რამდენად დიდია ქვეყნის საგარეო ვალდებულებების მოცულობა და რამდენად სტაბილურია მათი დაფინანსების წყაროები; საკმარისი არის თუ არა ქვეყნის ლიკვიდური რესურსები საგარეო ვალდებულებების დასაფინანსებლად და არის თუ არა რესურსების ოპტიმიზაციის შესაძლებლობა. ამ და მსგავს კითხვებზე უარყოფითი პასუხის არსებობის შემთხვევაში დიდია რისკები, რაც საგარეო სექტორს შეუძლია წარმოშვას მოცემულ ქვეყანასთან მიმართებაში. ერთ-ერთი ასეთი რისკია ზემოქმედება გაცვლით კურსზე.

უცხოეთის მიმართ მოცემული ქვეყნის ვალდებულებების საზომია წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან. ეს მაჩვენებელი ახასიათებს აგრეთვე ქვეყნის უცხოური ვალდებულებების ზომას ეკონომიკის სიდიდესთან მიმართებაში.

საგარეო სექტორის ანგარიშების ანალიზისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგარეო მდგრადობის მაჩვენებელების ანალიზს. ერთ-ერთი ასეთი მაჩვენებელია მიმდინარე ანგარიშის შეფარდება არავალწარმომქმნელი კაპიტალის მოცულობასთან, ანუ:

$$CA_S = \frac{\Delta C}{\Delta F_N + \Delta P_N}, \text{ სადაც}$$

ΔC არის მიმდინარე ანგარიშის ბალანსი;

ΔF_N - პირდაპირი ინვესტიციები: სააქციო კაპიტალი და წმინდა რეინვესტირებული შემოსავლები;

ΔP_N - პორტფელის ინვესტიციები: წმინდა ფასიანი ქაღალდები.

ანალოგიურად შეიძლება დავითვალოთ წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის მდგრადობა (საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსიდან):

$$N_S = \frac{N}{F_N + P_N}, \text{ სადაც}$$

I არის წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა;

F_N - პირდაპირი ინვესტიციები: სააქციო კაპიტალი და წმინდა რეინვესტირებული შემოსავლები;

P_N - პორტფელის ინვესტიციები: წმინდა ფასიანი ქაღალდები.

საგარეო სექტორის ანგარიშების ანალიზის პრობლემატიკა ასევე მჭიდროდ არის დაკავშირებული საგარეო ვალთან. ამ საკითხს და მასთან დაკავშირებულ სტატისტიკურ მაჩვენებლებს შემდგომი თავი განიხილავს.

3.2.7. საგარეო ვალის სტატისტიკა

საგარეო ვალის სტატისტიკის კონცეფცია ჰარმონიზებულია ისეთ მაკროეკონომიკურ სტატისტიკურ სისტემებთან, როგორებიცაა საგადასახდლო ბალანსი, საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. შესაბამისად, საგარეო ვალი მოიცავს ყველა ვალდებულებას, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეთოდოლოგიით (კაპიტალთან დაკავშირებული ვალდებულებების გარდა).

საერთაშორისო ინვესტიციურ მდგომარეობაში, ისევე როგორც საგადასახდლო ბალანსის ფინანსურ ანგარიშში ასახული საგარეო ვალდებულებები იყოფა **სავალო ვალდებულებებად და კაპიტალის ვალდებულებებად**.

საგარეო ვალი წარმოადგენს საერთაშორისო სავალო ვალდებულებების - სავალო ფასიანი ქაღალდების, სესხების, უცხოური ვალუტისა და საბანკო დეპოზიტების ერთობლიობას.

საგარეო ვალის განმარტება ემყარება იდეას, რომ თუ რეზიდენტს გააჩნია მიმდინარე ვალდებულება არარეზიდენტის მიმართ, რაც მოითხოვს ძირითადი თანხის და/ან პროცენტის გადახდას მომავალში, ასეთი ვალდებულება წარმოადგენს არარეზიდენტის მოთხოვნას რეზიდენტის ეკონომიკის რესურსებზე და ამდენად ამ ეკონომიკის საგარეო ვალს.

ამასთან, ეს განმარტება ფოკუსირებას ახდენს მთლიან ვალდებულებებზე, ე.ი. არ მოიცავს/გულისხმობს აქტივებს.

ამდენად, იმისათვის, რომ მოცემული ეროვნული ეკონომიკის სავალო ვალდებულებები კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც საგარეო ვალი, მას უნდა ფლობდნენ რეზიდენტები არარეზიდენტების მიმართ.

საგარეო ვალი, ნებისმიერი მოცემული თარიღისათვის, წარმოადგენს ფაქტობრივად გადაუხდელ თანხას და არა პირობით ვალდებულებას, რომელიც ექვემდებარება დებიტორის მიერ ძირითადი თანხის და/ან პროცენტის გადახდას მომავალში.

თანხა, რომელსაც ფლობს დებიტორი კრედიტორის მიმართ, ცნობილია ძირითადი თანხის სახელწოდებით. ამ თანხით სარგებლობისთვის დებიტორი კრედიტორს პერიოდულად უხდის სარგებელს, რაც ცნობილია საპროცენტო გადასახდელის სახელწოდებით.

დებიტორის მიერ კრედიტორის სასარგებლოდ განხორციელებულ სხვა დანარჩენ გადასახდელებს ეწოდება ძირითადი ვალის გადასახდელები.

საგარეო ვალდებულებები, თავდაპირველი ვადიანობის მიხედვით, არსებობს გრძელვადიანი და მოკლევადიანი:

-) გრძელვადიანია ვალდებულება 1 წელზე მეტი თავდაპირველი ვადიანობით.
-) მოკლევადიანად ითვლება 1 წლიანი ან ნაკლები ვადიანობის ვალი.

მეორე მხრივ, მეთოდოლოგიით რეკომენდებულია ვალის დარჩენილი ვადიანობის მიხედვით გრძელვადიან და მოკლევადიან საგარეო ვალად კლასიფიცირებაც:

-) საგარეო ვალი მოკლევადიანი დარჩენილი ვადიანობის მიხედვით მოიცავს გადასახდელებს, რაც ექვემდებარება გადახდას ერთი წლის და ნაკლების პერიოდის განმავლობაში და გაიანგარიშება, როგორც მოკლევადიანი საგარეო ვალის ნაშთისა და გრძელვადიანი საგარეო ვალის ნაშთის იმ ნაწილის ჯამი, რომელიც ექვემდებარება გადახდას 1 წლის ან ნაკლები ვადის განმავლობაში.
-) საგარეო ვალი გრძელვადიანი დარჩენილი ვადით მოიცავს გადასახდელებს, რაც ექვემდებარება გადახდას ერთ წელზე მეტი ვადის განმავლობაში.

3.2.7.1. რას წარმოადგენს მთლიანი საგარეო ვალი?

ამდენად, მთლიანი საგარეო ვალი არის დავალიანების თანხა, რომელიც არის მოცემული ეკონომიკის რეზიდენტების მიმდინარე ვალდებულება (და არა პირობითი) არარეზიდენტების მიმართ, რომელიც მოითხოვს დებიტორის მიერ როგორც ძირითადი თანხის, ისე პროცენტის გადახდას მომავალში.

საგარეო ვალი, პირველ რიგში, არის რეზიდენტის ვალდებულება არარეზიდენტის მიმართ განახორციელოს მომავალში პროცენტის და ძირითადი თანხის გადახდა მის სასარგებლოდ.

რეზიდენტის (დებიტორის) აღნიშნული სავალო ვალდებულება წარმოიქმნება არარეზიდენტისაგან (კრედიტორისაგან) ეკონომიკური ღირებულების (აქტივების, მომსახურების, ან შემოსავლის) მიღების საფუძველზე, როგორც წესი, საკონტრაქტო ხელშეკრულების საფუძველზე. თუმცა, სავალო ვალდებულება შესაძლოა წარმოიქმნას კანონის ძალითაც, მაგალითად, ვალდებულებები გადასახადებთან, ჯარიმებთან და სხვა ანალოგიურთან დაკავშირებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საგარეო ვალის განმარტება არ მოიცავს პირობითი ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება გარკვეული პირობის შესრულების შესაბამისად. მაგალითად, საგარეო ვალი გამორიცხავს აუთვისებელ კრედიტს. პირობითი ვალდებულება განსხვავდება მიმდინარე ვალდებულებისაგან, რადგანაც იგი დაკავშირებულია გარკვეული პირობების შესრულებასთან, ვიდრე იქცევა ვალდებულებად.

საგარეო ვალის განმარტება არ განასხვავებს, თუ:

-) როდის არის გადასახდელი ძირითადი თანხა ან პროცენტის თანხა;
-) რა ფაქტორებზეა იგი დამოკიდებული, მაგალითად, დენომინირების ან/და ანგარიშსწორების ვალუტა, გადახდის მეთოდი (ნაღდი, ნატურით და ა.შ.), წინასწარ ცნობილია (მაგ., სესხი) თუ არა (მაგ., მოთხოვნამდე დეპოზიტი) გადახდის თარიღი.

საგარეო ვალის სტატისტიკა იყენებს წარმოების იგივე პრინციპებს, რაც განსაზღვრულია ეროვნულ ანგარიშთა სისტემით (რეზიდენტობა, სექტორიზაცია, შეფასების დრო და მეთოდები).

საგარეო ვალთან დაკავშირებული ანგარიშების სტრუქტურაში პრიორიტეტი ენიჭება:

-) ინსტიტუციურ სექტორებს;
-) ვადიანობას;
-) სავალო ინსტრუმენტის ტიპს.

ინსტიტუციური სექტორების მიხედვით კლასიფიკაცია ორ მიდგომას ეყრდნობა: „ინსტიტუციურ სექტორზე დაფუძნებულ მიდგომას“ და „საჯარო სექტორზე დაფუძნებულ მიდგომას“ (იხ. ცხრილი 3.2.9):

ცხრილი 3.2.9. საგარეო ვალის კლასიფიკაცია სექტორების მიხედვით

<p>მთლიანი საგარეო ვალი: ინსტიტუციურ სექტორზე დაფუძნებული მიდგომა</p>	<p>მთლიანი საგარეო ვალი: საჯარო სექტორზე დაფუძნებული მიდგომა</p>
<ul style="list-style-type: none"> ⌋ მთავრობა ⌋ ცენტრალური ბანკი ⌋ დეპოზიტების მიმღები კორპორაციები, ცენტრალური ბანკის გარდა ⌋ სხვა სექტორები <ul style="list-style-type: none"> ▪ სხვა ფინანსური კორპორაციები ▪ არაფინანსური კორპორაციები ▪ შინამეურნეობები და შიმკაო ⌋ პირდაპირი ინვესტიციები: კომპანიათაშორისი დაფინანსება <ul style="list-style-type: none"> ▪ პირდაპირი ინვესტირების საწარმოს სავალო ვალდებულება პირდაპირი ინვესტორის მიმართ ▪ პირდაპირი ინვესტორის სავალო ვალდებულება პირდაპირი ინვესტირების საწარმოს მიმართ ▪ სავალო ვალდებულებები მონათესავე საწარმოთა შორის ⌋ სულ 	<ul style="list-style-type: none"> I. საჯარო და სახელმწიფოს მიერ გარანტირებული კერძო სექტორის საგარეო ვალი <ul style="list-style-type: none"> ⌋ მოკლევადიანი ⌋ გრძელვადიანი ⌋ პირდაპირი ინვესტიციები: კომპანიათაშორისი დაფინანსება II. კერძო სექტორის დავალიანება, სახელმწიფოს მიერ არა-გარანტირებული <ul style="list-style-type: none"> ⌋ მოკლევადიანი ⌋ გრძელვადიანი ⌋ პირდაპირი ინვესტიციები: კომპანიათაშორისი დაფინანსება III. სულ (I+II)

ვადიანობის მიხედვით კლასიფიკაცია გულისხმობს ვალდებულებების თავდაპირველი ვადიანობის ბაზაზე მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად წარმოდგენას.

სავალო ინსტრუმენტების ტიპების მიხედვით კლასიფიკაცია მოიცავს: სავალო ფასიან ქაღალდებს, სესხებს, ვალუტასა და დეპოზიტებს, სავაჭრო კრედიტებს და სხვა სავალო ინსტრუმენტებს:

ცხრილი 3.2.10. სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაცია

- ❖ მოკლევადიანი ინსტრუმენტები
 - სავალო ფასიანი ქაღალდები
 - სესხები
 - ვალუტა და დეპოზიტები
 - სავაჭრო კრედიტები და ავანსები
 - სხვა სავალო ვალდებულებები
- ❖ გრძელვადიანი ინსტრუმენტები
 - სავალო ფასიანი ქაღალდები
 - სესხები
 - ვალუტა და დეპოზიტები
 - სავაჭრო კრედიტები და ავანსები
 - სხვა სავალო ვალდებულებები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საგარეო ვალი წარმოადგენს საერთაშორისო სავალო ვალდებულებების - სავალო ფასიანი ქაღალდების, სესხების, უცხოური ვალუტისა და საბანკო დეპოზიტების ერთობლიობას, ანუ სხვა სიტყვებით:

მთლიანი საგარეო ვალი წარმოადგენს საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის მთლიან საგარეო ვალდებულებებს, სააქციო კაპიტალისა და საინვესტიციო ფონდების აქციების, ფინანსური წარმოებულებისა და აქციებზე თანამშრომლებთა ოფციონების გარეშე (იხ.:საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსის ზოგადი სქემა 1).

ქვემოთ მოტანილია ცხრილი, რომელიც თვალნათლივ უჩვენებს საგარეო ვალდებულებების შესაბამისობას საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსსა და საგარეო ვალის სტატისტიკას შორის (დამტრინული სტრიქონებით აღნიშნულია ინსტრუმენტები, რომლებიც არ შედის სავალო ვალდებულებებში).

ცხრილი 3.2.11. საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა და საგარეო ვალის სტატისტიკა

	ცენტრალური ბანკი	დეპოზიტების მიმღები ორგანიზაციები	მთავრობა	სხვა სექტორები	საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა	საგარეო ვალის სტატისტიკა (მუხლების შესაბამისობა)
აქტივები						
ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით						
პირდაპირი ინვესტიციები						
პორტფელის ინვესტიციები						
ფინანსური წარმოებულები და თანამშრომლებთან ოფციონები აქციებზე						
სხვა ინვესტიციები						
სარეზერვო აქტივები						
აქტივები, სულ						
ვალდებულებები						
ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით						
პირდაპირი ინვესტიციები						
სააქციო კაპიტალი და საინვესტიციო ფონდების აქციები						
სავალო ინსტრუმენტები						კომპანიათაშორისი დაფინანსება
პორტფელის ინვესტიციები						
სააქციო კაპიტალი და საინვესტიციო ფონდების აქციები						
სავალო ფასიანი ქაღალდები						სავალო ფასიანი ქაღალდები
ფინანსური წარმოებულები და თანამშრომლებთან ოფციონები აქციებზე						
სხვა ინვესტიციები						
სხვა ფასიანი ქაღალდები						
სავალო ინსტრუმენტები						
სესხის სპეციალური უფლებები (SDRs)						SDRs
ვალუტა და დეპოზიტები						ვალუტა და დეპოზიტები
სესხები						სესხები

სადაზღვევო, საპენსიო პროგრამები და სტანდარტული საგარანტიო სქემები						სხვა სავალო ვალდებულებები
სხვა მისაღები/გადასახდელი ანგარიშები						
სავაჭრო კრედიტები და ავანსები						სავაჭრო კრედიტები და ავანსები
დანარჩენი მისაღები/გადასახდელი ანგარიშები						სხვა სავალო ვალდებულებები
ვალდებულებები, სულ						
აქედან მთლიანი სავალო ინსტრუმენტები						მთლიანი საგარეო ვალი
წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა						
აქედან წმინდა სავალო ინსტრუმენტები						წმინდა საგარეო ვალი

ზემოაღნიშნული შესაბამისობა საგარეო ვალსა და საერთაშორისო ინვესტიციურ მდგომარეობას შორის სამართლიანია როგორც ვალდებულებების ნაშთების, ისე ნაკადების შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, შესაბამისი კავშირურთიერთობები არსებობს საგარეო ვალის სტატისტიკასა და საგადასახდლო ბალანსს შორის.

3.2.7.2. საგარეო ვალის სტაბილურობის ანალიზის სტატისტიკური ინდიკატორები

საგარეო ვალის ანალიზის მიზნებს ემსახურება სტატისტიკური ინდიკატორები, რომელთა შორის ყველაზე გავრცელებული და ზოგადი მაჩვენებლებია საგარეო ვალის ნაშთის შეფარდება ექსპორტთან, მთლიან შიდა პროდუქტთან და ფისკალურ შემოსავლებთან. ამ მაჩვენებლების მაღალი დონე მეტყველებს საგარეო ვალის მომსახურების სიმძიმეზე, მითუმეტეს, თუ ეს მაჩვენებლები მზარდი ტენდენციით ხასიათდება.

განსაკუთრებით საყურადღებოა საგარეო ვალის ნაშთის ექსპორტთან შეფარდების მაჩვენებელი, რადგანაც ექსპორტი არის ძირითადი წყარო საგარეო ვალდებულებების დასაფინანსებლად. თუმცა, დანარჩენ ორ მაჩვენებელსაც აქვს თავისი უპირატესობა. მაგალითად, საგარეო ვალდებულებების მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდება შეიძლება იმის მაჩვენებელი იყოს, თუ პოტენციურად რამდენად არის მოსალოდნელი საგარეო ვალის ტვირთის შემსუბუქება ადგილობრივი წარმოების გაფართოების ბაზაზე.

თუ დომინირებს საჯარო საგარეო ვალი, რამდენად უზარუნველყოფს მის დაფინანსებას ქვეყნის ფისკალური შემოსავლები მნიშვნელოვანი მაჩვენებელი შეიძლება იყოს. ამისათვის კარგი ინდიკატორია საგარეო ვალდებულებების ნაშთის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებთან შეფარდება.

საგარეო ვალი განსაკუთრებით დამანგრეველია განვითარებადი ეკონომიკებისათვის. მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებმა, დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებისათვის ამ რისკის თავიდან აცილების მიზნით, შეიმუშავეს სპეციალური სტრატეგია, ე.წ. ვალის სტაბილურობის ჩარჩო (DSF), რომელიც ითვალისწინებს რეგულარულად ვალის სტაბილურობის ანალიზის განხორციელებას. პოლიტიკის ხარისხისა და ინსტიტუტების სიძლიერის თვალსაზრისით შედარებით სუსტ ქვეყნებს უფრო ხშირად აქვთ ვალის დაფარვის პრობლემები. ექსპერტებმა მოახდინეს ამ ნიშნების მიხედვით ქვეყნების დიფერენცირება 3 კატეგორიად და თითოეულისათვის შეიმუშავეს ვალის ტვირთის შეფასების დიფერენცირებული მაჩვენებლები. ძლიერი პოლიტიკისა და ინსტიტუტების მქონე ქვეყნებისათვის ეს მაჩვენებლები უფრო მაღალია, გამომდინარე იქიდან, რომ უკეთესი მდგომარეობის ქვეყნებისათვის ვალის სიდიდით გამოწვეული რისკები უფრო დაბალია (იხ. ცხრილი 3.2.12):

ცხრილი 3.2.12. საგარეო ვალის ტვირთის ზღვრული ინდიკატორები¹³

პოლიტიკა და ინსტიტუციების განვითარება	საგარეო ვალი პროცენტულად:			ვალის მომსახურება პროცენტულად:	
	ექსპორტთან	მშპ-სთან	შემოსავლებთან	ექსპორტთან	შემოსავლებთან
სუსტი	100	30	200	15	18
საშუალო	150	40	250	20	20
ძლიერი	200	50	300	25	22

მიჩნეულია, რომ ამ მაჩვენებლების გადაჭარბების შემთხვევაში გარღვეულია ქვეყნის საგადასახდლო ბალანსის პრობლემები და საგარეო დავალიანების ტვირთის დამძიმება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მათი სისტემატური მონიტორინგი და ანალიზი.

საგარეო ვალის ვადიანობის სტრუქტურას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ლიკვიდობაზე. ამ მოვლენის დონისა და ტენდენციების შესასწავლად გამოიყენება რეზერვების შეფარდება მოკლევადიან ვალდებულებებთან. აშშ-ს ფედერალური რეზერვების

¹³ <http://www.imf.org/external/np/exr/facts/jdsf.htm>

ყოფილი ხელმძღვანელის მიერ შემოთავაზებული წინადადებით, ქვეყნის რეზერვები უნდა აჭარბებდეს სახელმწიფო და სახელმწიფოს მიერ გარანტირებულ მოკლევადიან საგარეო ვალდებულებებს.

საგარეო ვალის ნაშთის მიხედვით გაანგარიშებული კოეფიციენტები განიხილება, როგორც გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები, ხოლო საგარეო ვალის მომსახურების კოეფიციენტები - როგორც პოტენციური ლიკვიდობის კოეფიციენტები.

რას წარმოადგენს ვალის მომსახურება?

ვალის მომსახურება = პროცენტები + ამორტიზაცია.

ამორტიზაცია წარმოადგენს ვალის ძირითადი თანხის გადახდას, რაც დაკავშირებულია საშუალო- და გრძელვადიანი ვალდებულებებისა და მოკლევადიანი (1-წლიანი და ნაკლები ვადიანობის) ვალდებულებების დაფარვასთან.

საგარეო ვალის ინდიკატორების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს გვეხმარება შევისწავლოთ:

-) რამდენად ხარჯიანია საგარეო დავალიანება;
-) ვალისა და სავალო კრიზისების წარმოშობის მიზეზები;
-) სავალო კრიზისების შექანიზმები.

ზემოაღნიშნული საკითხების დასადგენად და შესასწავლად არსებობს რიგი სტატისტიკური ინდიკატორებისა. ესენია საგარეო სტაბილურობის დამახასიათებელი შემდეგი მაჩვენებლები:

-) წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა მშპ-სთან მიმართებაში - უჩვენებს რა ვალდებულებები გააჩნია ქვეყანას დანარჩენი სამყაროს მიმართ (ან პირიქით) ეკონომიკის სიდიდესთან შედარებით ;
-) საგარეო ვალის ნაშთი მშპ-სთან ან ექსპორტთან მიმართებაში - ასახავს საგარეო ვალის მიმართებას ქვეყნის მთლიან შემოსავალთან მშპ-ს სახით, ან ექსპორტიდან მიღებულ შემოსულობებთან, იმ გაგებით, რომ მშპ-სთან ერთად ექსპორტიდან შემოსავლებიც ემსახურება საგარეო ვალდებულებების გასტუმრებას;
-) საგარეო ვალის მომსახურება მშპ-სთან ან ექსპორტთან მიმართებაში - უჩვენებს, თუ რამდენად ძვირი უჯდება ქვეყანას საგარეო ვალი;

საერთაშორისო რეზერვები იმპორტის თვეებში ან დაფარვამდე დარჩენილი ვალის მიხედვით კლასიფიცირებული მოკლევადიანი ვალის¹⁴ მიმართ - უჩვენებს რამდენად საკმარისია რესურსები საქონლისა და მომსახურების იმპორტისათვის, ან საგარეო ვალდებულებების დასაფარად.

ამდენად, საგარეო ვალის დამახასიათებელი ინდიკატორები დიდ როლს თამაშობს იმ პოლიტიკის შემუშავებაში, რაც აუცილებელია კრიზისის თავიდან აცილებისათვის. რამდენადაც ნათელია ეს პოლიტიკა, იმდენად ნათელია ის გამაფრთხილებელი სიგნალები, რაც მიანიშნებს საფრთხის მოახლოებაზე და მასზე რეაგირების აუცილებლობაზე.

საგარეო ვალის სტატისტიკის ამოცანაა სწორად განსაზღვროს რა სახის მაჩვენებლებით უნდა შეფასდეს ვალისა და რეზერვების მდგომარეობა და მათი მოწყვლადობა შოკების მიმართ.

საგარეო ვალი, საერთაშორისო რეზერვებთან ერთად, მათი გავლენით ქვეყნის შესაძლებლობებზე გაუმკლავდეს საგარეო ვალდებულებებს, გავლენას ახდენს ქვეყნის საგარეო მოწყვლადობის ხარისხზე.

ქვემოთ მოტანილ ცხრილში თავმოყრილია საგარეო ვალისა და რეზერვების მდგომარეობის დამახასიათებელი მაჩვენებლები.

ცხრილი 3.2.13. საგარეო ვალის შეფარდებითი მაჩვენებლები

მაჩვენებლები	დანიშნულება
რეზერვებთან დაკავშირებული ინდიკატორები	
რეზერვები მოკლევადიან საგარეო ვალთან	რეზერვების ადეკვატურობას ამსახველი ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, კაპიტალის ბაზრებზე მნიშვნელოვანი მაგრამ არასტაბილური წვდომის ქვეყნებისათვის
რეზერვები იმპორტთან	რეზერვების საჭიროების საზომი იმ ქვეყნებისთვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული წვდომა კაპიტალის ბაზრებზე; ფართოდ გამოიყენება ქვეყნების შედარებისათვის.
რეზერვები ფართო ფულთან	ადგილობრივი ვალუტისადმი ნდობის დაკარგვის პოტენციური გავლენის საზომი.

¹⁴ დაფარვამდე დარჩენილი ვალის მიხედვით კლასიფიცირებული მოკლევადიანი ვალი = გასული წლის ბოლოსათვის არსებული მოკლევადიანი ვალის ნაშთი + გრძელვადიანი დავალიანების ამორტიზაცია მიმდინარე პერიოდში.

საგარეო ვალთან დაკავშირებული ინდიკატორები	
საგარეო ვალი ექსპორტთან	ქვეყნის საგარეო ვალის დაფარვის შესაძლებლობების საზომი
საგარეო ვალი მშპ-სთან	საგარეო ვალის ქვეყნის რესურსებთან თანაფარდობის საზომი; ამავე მიზნით საინტერესო მაჩვენებელია საგარეო ვალის სამემოსავლო გადასახადებთან შეფარდებაც, განსაკუთრებით იმ ქვეყნებისთვის, სადაც მთავრობის საგარეო ვალი განსაკუთრებით დიდია.
მოკლევადიანი საგარეო ვალი მთლიან საგარეო ვალთან	საგარეო ვალთან დაკავშირებული რისკების ინდიკატორი. ანუ, თუ საგარეო ვალის მშპ-სთან თანაფარდობა დაბალია, მაგრამ ვალი გადასახდელია უახლოეს პერიოდში, ამან შესაძლოა წარმოშვას ლიკვიდობის პრობლემა. ეს უკანასკნელი მოსალოდნელია, თუ მოკლევადიანი საგარეო ვალდებულებების წილი მთლიან საგარეო ვალდებულებებში იზრდება.
საშუალო საპროცენტო განაკვეთი საგარეო ვალზე	საგარეო ვალის პირობების მაჩვენებელი; ვალის ტვირთის საზომი. გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით: $\text{საშუალო საპროცენტო განაკვეთი} = \frac{\text{საპროცენტო გადასახდელები}}{\text{ვალის საშუალო ნაშთი}_{t-1,t}}$ გვიჩვენებს რამდენი პირველადი გადასახადი შეიძლება დაგროვდეს მომავლისათვის.
საგარეო ვალის საშუალო ვადიანობა	გვიჩვენებს, თუ რამდენი წელია საჭირო საშუალოდ არსებული ვალის გადასახდელად და გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით: $\text{საშუალო ვადიანობა} = \frac{\text{ვალის ნაშთი}_{t-1}}{\text{ამორტიზაცია}_t}$
უცხოური ვალუტით საგარეო ვალი მთლიან საგარეო ვალთან	საგარეო ვალზე გაცვლითი კურსის გავლენის საზომი.



დავალბა 1

იმსჯელეთ საგადასახდლო ბალანსის, როგორც რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის მიმდინარე ეკონომიკური ოპერაციების ამსახველ მნიშვნელოვან ანგარიშზე. ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი რამდენად კომპლექსურია ეს ანგარიში. სად ხედავთ მის ძლიერ და სუსტ მხარეებს? როგორ გესახებათ ამ ანგარიშის ინფორმაციული უზრუნველყოფის საკითხები?

დავალბა 2

გაიანგარიშეთ და შეავსეთ წინასწარ მოცემულ ცხრილში საგადასახდლო ბალანსის გამოტოვებული მაჩვენებლები: იმსჯელეთ ამ მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდებზე; გააანალიზეთ მოცემული საგადასახდლო ბალანსის მაჩვენებლების დინამიკა ბოლო 5 წლის განმავლობაში; გააკეთეთ შესაბამისი დასკვნები.

დავალბა 3

გააანალიზეთ საგადასახდლო ბალანსის წარმოდგენის ფორმები, ჩამოაყალიბეთ თითოეული მათგანის თავისებურებები და მოახდინეთ მათ შორის განსხვავების მიზნები და ამოცანები.

დავალბა 4

წინასწარ მოცემული ინფორმაციის საფუძველზე გაიანგარიშეთ საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსის ძირითადი მაჩვენებლები; იმსჯელეთ საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის მნიშვნელობაზე და მისი განვითარების ძირითად ტენდენციებზე.

დავალბა 5

„წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2020 წლის IV კვარტალში -102.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა“ (წყარო: საქსტატი, პრესრელიზი: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, 2020 (წინასწარი). იმსჯელეთ რას ნიშნავს პუი-ის განხორციელება უარყოფითი ნიშნით.



ტესტი 1

ანგარიშებზე ორმაგი ჩაწერის პრინციპიდან გამომდინარე, ქვემოთ ჩამოთვლილი ოპერაციებიდან რომლებია საკრედიტო ჩანაწერები საგადასახდლო ბალანსში? (ერთზე მეტი პასუხი)

1. საქონლისა და მომსახურების ექსპორტი
2. მიღებული ჰუმანიტარული დახმარება
3. გაცემული ტექნიკური დახმარება
4. ვალდებულებების წარმოქმნა არარეზიდენტების მიმართ

ტესტი 2

ანგარიშებზე ორმაგი ჩაწერის პრინციპიდან გამომდინარე, ქვემოთ ჩამოთვლილი ოპერაციებიდან რომლებია სადებეტო ჩანაწერები საგადასახდლო ბალანსში? (ერთზე მეტი პასუხი)

1. საქონლისა და მომსახურების იმპორტი
2. გაცემული ტექნიკური დახმარება
3. არარეზიდენტების მიმართ ვალდებულებების შემცირება
4. გადასახდელი საფასური არარეზიდენტების მიერ მოწოდებული სამუშაო ძალის, ფინანსური აქტივებისა და ბუნებრივი რესურსებისათვის

ტესტი 3

შემდეგი დებულებებიდან რომელია სწორი საგადასახდლო ბალანსთან მიმართებაში (ერთზე მეტი პასუხი)?

1. საგადასახდლო ბალანსი ასახავს ეკონომიკურ ოპერაციებს მოცემულ ქვეყანასა და დანარჩენ სამყაროს შორის, დროის მოცემული მონაკვეთის განმავლობაში;
2. საგადასახდლო ბალანსი ასახავს მხოლოდ ორმხრივ ოპერაციებს;
3. საგადასახდლო ბალანსი აიგება სალაროს პრინციპით;
4. საგადასახდლო ბალანსი აიგება დარიცხვის პრინციპით;

5. საგადასახდლო ბალანსი ასახავს ოპერაციებს, რომლებიც ასახავს არარეზიდენტებთან მიმართებაში საკუთრების უფლების ცვლილებას საქონელზე, მომსახურებისა და წარმოების ფაქტორების მიწოდებას, ფინანსური აქტივების შექმნას და გაყიდვას, ვალდებულებების წარმოქმნას და შემცირებას;
6. საგადასახდლო ბალანსი ასახავს ფინანსური აქტივების ღირებულების ცვლილებას, რაც გამოწვეულია მათი ფასისა და გაცვლითი კურსის ცვლილების გამო

ტესტი 4

ქვემოთ ჩამოთვლილი მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემებიდან რომელი შეისწავლის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებს:

1. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა
2. მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა
3. საგადასახდლო ბალანსის სტატისტიკა
4. სამთავრობო სტატისტიკა

ტესტი 5

რამდენად სწორია შემდეგი დებულება: საგადასახდლო ბალანსი ასახავს ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ მდგომარეობას და არა ოპერაციებს

3. სწორია
4. არასწორია

ტესტი 6

საგადასახდლო ბალანსში ასახვას ექვემდებარება ოპერაციები, რომლებიც ხორციელდება:

1. მხოლოდ მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე
2. რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის
3. არარეზიდენტებს შორის
4. ორი ან მეტი ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე

ტესტი 7

რამდენად სწორია შემდეგი დებულება: საგადასახდლო ბალანსში ასახვას ექვემდებარება მხოლოდ ორმხრივი ხასიათის ოპერაციები

1. სწორია
2. არასწორია

ტესტი 8

საგადასახდლო ბალანსის შედგენა ხდება:

1. ერთ კონკრეტულ მყარ ვალუტაში, ჩვეულებრივ აშშ დოლარში
2. აუცილებლად ეროვნულ ვალუტაში
3. ბალანსში თითოეული ოპერაციის გატარება ხდება იმ ვალუტაში, რომელშიც არის განხორციელებული შესაბამისი ოპერაცია
4. აუცილებლად ევროში

ტესტი 9

ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია სწორი (ერთზე მეტი პასუხი):

1. „წმინდა შეცდომები და გამოტოვებები“ დადებითია, თუ საკრედიტო ჩანაწერები მეტია სადებეტო ჩანაწერებზე;
2. „წმინდა შეცდომები და გამოტოვებები“ დადებითია, თუ სადებეტო ჩანაწერები მეტია საკრედიტო ჩანაწერებზე;
3. „წმინდა შეცდომები და გამოტოვებები“, რომლებიც დიდი მოცულობისაა და ერთი და იმავე ნიშანს ინარჩუნებს ხანგრძლივად, მიუთითებს იმაზე, რომ საქმე გვაქვს ქრონიკულ აღურიცხაობასთან (მონაცემების ნაკლებობასთან) ან კრედიტის, ან დებეტის ნაწილში;
4. საგადასახდლო ბალანსის ანალიზისას „შეცდომებისა და გამოტოვებების მუხლის“ განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ენიჭება.

ტესტი 10

ჩამოთვლილთაგან რომელია საგადასახდლო ბალანსის დამაბალანსებელი მუხლი?

1. მიმდინარე ანგარიში
2. შემოსავლების ანგარიში
3. შეცდომები და გამოტოვებები
4. ფინანსური ანგარიში

ტესტი 11

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულებაა სწორი (ერთზე მეტი პასუხი)?

საგადასახდლო ბალანსის „წმინდა შეცდომები და გამოტოვებების“ მუხლი ნაკლებია ნულზე, ეს ნიშნავს, რომ:

1. მიმდინარე და კაპიტალის ანგარიშში საკრედიტო ჩანაწერების მოცულობა გადაჭარბებითაა შეფასებული და/ან მიმდინარე და კაპიტალის ანგარიშში სადებეტო ჩანაწერების მოცულობა ზედმეტად დაბალია
2. მიმდინარე და კაპიტალის ანგარიშში საკრედიტო ჩანაწერების მოცულობა ზედმეტად დაბალია და/ან მიმდინარე და კაპიტალის ანგარიშში სადებეტო ჩანაწერების მოცულობა ზედმეტად მაღალია
3. ფინანსურ ანგარიშში აქტივების წმინდა ზრდა ზედმეტად დაბალია და/ან ფინანსურ ანგარიშში ვალდებულებების წმინდა ზრდა ზედმეტად მაღალია.
4. არცერთი დებულება არ შეესაბამება სინამდვილეს

ტესტი 12

„წმინდა შეცდომებისა და გამოტოვებების“ მუხლი საგადასახდლო ბალანსში შესაბამისი სახელმძღვანელოს მე-6 გამოცემის მიხედვით იანგარიშება ფორმულით:

1. $F - (C + K) = N$,
2. $C + K - F = -N$,
3. $C - K - F = -N$
4. $FAB - CAB + KAB = -NEO$

ტესტი 13

„წმინდა შეცდომებისა და გამოტოვებების“ მუხლი საგადასახდლო ბალანსში შესაბამისი სახელმძღვანელოს მე-5 გამოცემის მიხედვით იანგარიშება ფორმულით:

1. $F - (C + K) = N$,
2. $C + K - F = -N$,
3. $C - K - F = -N$
4. $FAB - CAB + KAB = -NEO$

ტესტი 14

საგადასახდლო ბალანსის ფინანსური ანგარიშის პოზიტიური განვითარება შესაძლოა უკავშირდებოდეს (ერთზე მეტი პასუხი):

1. ან/და აქტივების წმინდა ზრდას
2. ან/და აქტივების წმინდა შემცირებას
3. ან/და ვალდებულებების წმინდა ზრდას
4. ან/და ვალდებულებების წმინდა შემცირებას.

ტესტი 15

საგადასახდლო ბალანსის მიმდინარე და კაპიტალის ანგარიშებში საკრედიტო ჩანაწერები აღნიშნავს გატარებებს, რომლებიც უკავშირდება (ერთზე მეტი პასუხი):

1. საქონლის ექსპორტს
2. მომსახურების იმპორტს
3. პირველადი შემოსავლების მიღებას
4. არაწარმოებული, არაფინანსური აქტივების შექმნას

ტესტი 16

საგადასახდლო ბალანსის მიმდინარე და კაპიტალის ანგარიშებში სადებუტო ჩანაწერები აღნიშნავს გატარებებს, რომლებიც უკავშირდება (ერთზე მეტი პასუხი):

1. საქონლისა და მომსახურების ექსპორტს
2. საქონლისა და მომსახურების იმპორტს
3. პირველადი შემოსავლების მიღებას
4. სხვა ქვეყნისათვის ვალის პატიებას.

ტესტი 17

მიმდინარე ანგარიში უდრის:

1. ექსპორტი + წმინდა შემოსავლები უცხოეთიდან + წმინდა ტრანსფერები
2. (იმპორტი+ექსპორტი) + წმინდა შემოსავლები უცხოეთიდან + დახმარება საზღვარგარეთიდან
3. წმინდა ექსპორტი - (წმინდა შემოსავლები საზღვარგარეთიდან + წმინდა მიმდინარე ტრანსფერები)
4. (ექსპორტი - იმპორტი) + წმინდა შემოსავლები უცხოეთიდან + წმინდა ტრანსფერები უცხოეთიდან

ტესტი 18

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ ფაქტორს აქვს ყველაზე დიდი გავლენა მიმდინარე ანგარიშზე?

1. ინფლაციას
2. მშპ-ს
3. გაცვლით კურსს
4. მთლიან ეროვნულ პროდუქტს

ტესტი 19

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის მიმდინარე ანგარიშის კომპონენტი?

1. ექსპორტირებული და იმპორტირებული საქონელი
2. ექსპორტირებული და იმპორტირებული მომსახურება

3. რეზიდენტების ანგარიშები ადგილობრივ ბანკებში
4. პირადი ტრანსფერები უცხოეთიდან

ტესტი 20

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ოპერაციები ექვემდებარება ასახვას საგადასახდლო ბალანსის მიმდინარე ანგარიშში (ერთზე მეტი პასუხი)

1. საქონლის იმპორტი
2. მოკლევადიანი ფინანსური აქტივების შექმნა
3. ვალდებულებების ზრდა
4. საგარეო ვალის ძირითადი ნაწილის გადახდა
5. იურიდიული მომსახურების გაწევა
6. იმპორტირებული საქონლის ფრახტი და დაზღვევა
7. საგარეო ვალის პროცენტის გადახდა
8. პირადი ფულადი გზავნილები

ტესტი 21

ქვემოთ ჩამოთვლილი ანგარიშებიდან/მუხლებიდან რომელია საგადასახდლო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის ნაწილი (ერთზე მეტი პასუხი)

1. საქონლისა და მომსახურების ანგარიში
2. პირველადი შემოსავლების ანგარიში
3. პირდაპირი ინვესტიციები
4. პორტფელის ინვესტიციები
5. მეორადი შემოსავლების ანგარიში
6. სხვა ინვესტიციები
7. შეცდომები და გამოტოვებები

ტესტი 22

ჩამოთვლილთაგან რომელი მიეკუთვნება მოცემული ქვეყნის საგარეო აქტივებს? (ერთზე მეტი პასუხი)

1. უცხოური ვალუტა
2. ეროვნული ვალუტა, რომელსაც ფლობენ არარეზიდენტები
3. არარეზიდენტებზე გაცემული სესხი
4. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც ფლობენ არარეზიდენტები
5. არარეზიდენტი კომპანიის აქციები, რომლებსაც ფლობენ მოცემული ქვეყნის რეზიდენტები

6. რეზიდენტი კომპანიის აქციები, რომლებსაც ფლობენ არარეზიდენტები
7. არარეზიდენტ ბანკებში რეზიდენტების მიერ განთავსებული დეპოზიტები

ტესტი 23

ქვევით საგადასახდლო ბალანსის მიმდინარე ანგარიშისა და კაპიტალის ანგარიშის ჯამი უარყოფითია, ხოლო შეცდომები და გამოტოვებების მუხლი ნულის ტოლია. ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია სწორი:

1. წმინდა გასესხება მეტია წმინდა სესხებაზე საზღვარგარეთთან მიმართებაში;
2. წმინდა სესხება მეტია წმინდა გასესხებაზე საზღვარგარეთთან მიმართებაში;
3. ინფორმაცია საკმარისი არ არის რომ შევაფასოთ ეს შემთხვევა.

ტესტი 24

ჩამოთვლილთაგან რომლებია საგადასახდლო ბალანსის ფინანსური ანგარიშის კომპონენტები (ერთზე მეტი პასუხი)

1. საქონლისა და მომსახურების ანგარიში
2. პირველადი შემოსავლების ანგარიში
3. სარეზერვო აქტივები
4. წმინდა შეცდომები და გამოტოვებები
5. სხვა ინვესტიციები
6. მეორადი შემოსავლების ანგარიში
7. კაპიტალის ანგარიში
8. პირდაპირი ინვესტიციები
9. პორტფელის ინვესტიციები
10. ფინანსური წარმოებულები

ტესტი 25

ქვემოთ ჩამოთვლილი ბალანსებიდან/ანგარიშებიდან რომელი მათგანი მიუთითებს იმაზე, მოცემული ეკონომიკა არის წმინდა მსესხებელი, თუ გამსესხებელი დანარჩენი სამყაროს მიმართ:

1. მიმდინარე ანგარიში
2. საქონლისა და მომსახურების ანგარიში
3. ფინანსური ანგარიში
4. მთლიანი ბალანსი

ტესტი 26

დავუშვათ ქვეყნის საგადასახდლო ბალანსის საქონლისა და მომსახურების ბალანსი უარყოფითია და უდრის -200-ს. ქვემოთ მოტანილი დებულებებიდა რომელია სწორი (ერთზე მეტი პასუხი):

1. ქვეყანას უფრო მეტი საქონელი და მომსახურება შემოაქვს, ვიდრე გააქვს;
2. ქვეყნის მოხმარებისა და ინვესტიციების ჯამი მეტია მთლიან შიდა პროდუქტზე;
3. ქვეყნის მოხმარებისა და ინვესტიციების ჯამი ნაკლებია მთლიან შიდა პროდუქტზე;
4. არცერთი დებულება არ არის სწორი

ტესტი 27

მოცემულია, რომ მოცემული ქვეყნის საქონლისა და მომსახურების ანგარიში უარყოფითია და უდრის -40-ს, პირველადი შემოსავლების ბალანსი უდრის 15-ს, ხოლო მეორადი შემოსავლების ბალანსი ასევე უარყოფითია და უდრის -5-ს. რამდენად სწორია შემდეგი დებულებები:

		სწორია	არასწორია
1.	მოცემული ქვეყნის საქონლისა და მომსახურების იმპორტი მეტია ექსპორტზე		
2.	მოცემული ქვეყნის მიერ წარმოების ფაქტორების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლები მეტია წარმოების ფაქტორების მიღებისათვის გადახდილ ხარჯებზე		
3.	მოცემული ქვეყნის მიერ არარეზიდენტებისათვის მიცემული მიმდინარე ტრანსფერები ნაკლებია საზღვარგარეთიდან მიღებულ მიმდინარე ტრანსფერებზე		
4.	მოცემული ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის ბალანსი უდრის -30-ს		

ტესტი 28

ქვემოთ მოტანილი ოპერაციებიდან განსაზღვრეთ რომელი მიეკუთვნება პირველადი შემოსავლების ბალანსს (PIB) და რომელი - მეორადი შემოსავლების ბალანსს (SIB) საგადასახდლო ბალანსში.

1	საგარეო ვალის პროცენტის გადახდა	
2	სეზონური მუშებისათვის გადახდილი ხელფასი	
3	ფულადი გზავნილები	
4	უცხოელი ინვესტორისათვის გადახდილი დივიდენდები	
5	დახმარება საკვებითა და მედიკამენტებით	
6	მთავრობის მიერ დონორებისაგან მიღებული გრანტები	

ტესტი 29

ქვემოთჩამოთვლილთაგან რომელი მოვლენა გაზრდის საგადასახდელო ბალანსის პირველადი შემოსავლების ბალანსს:

1. ტურისტული შემოსავლების ზრდა
2. საგარეო ვალზე პროცენტების გადახდა არარეზიდენტებისათვის
3. ფულადი გზავნილების განხორციელება საზღვარგარეთ მცხოვრები ნათესავების სასარგებლოდ
4. რეზიდენტების მიერ უცხოეთის კაპიტალის ბაზრებში ინვესტირება და დივიდენდების მიღება

ტესტი 30

საგადასახდელო ბალანსის პირველადი შემოსავლების ანგარიში არ მოიცავს შემოსავლებს და ხარჯებს, დაკავშირებულს:

1. საწარმოო პროცესებთან
2. ფინანსური აქტივების ფლობასთან
3. ფულად გზავნილებთან
4. არაწარმოებული აქტივების ფლობასთან

ტესტი 31

საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის რომელი კომპონენტი ამყარებს კავშირს მთლიან შიდა პროდუქტსა და მთლიან ეროვნულ შემოსავალს შორის

1. საქონლის ანგარიში
2. მომსახურების ანგარიში
3. პირველადი შემოსავლების ანგარიში
4. მეორადი შემოსავლების ანგარიში

ტესტი 32

ქვეყანამ მიიღო გრანტი უცხოეთიდან და დახარჯა პროდუქციის იმპორტისათვის.

სხვა თანაბარ პირობებში, როგორ შეიცვლება (ჩაწერეთ ერთ-ერთი:

გაიზრდება/შემცირდება/იგივე დარჩება):

მეორადი შემოსავლების ბალანსი: -----

საქონლისა და მომსახურების ბალანსი (წმინდა ექსპორტი): -----

მიმდინარე ანგარიში: -----

ტესტი 33

ქვეყანამ მიიღო გრანტი უცხოეთიდან და დახარჯა პროდუქციის იმპორტისათვის.

სხვა თანაბარ პირობებში, როგორ შეიცვლება საგადასახდლო ბალანსის მეორადი შემოსავლების ბალანსი:

1. გაიზრდება
2. შემცირდება
3. არ შეიცვლება
4. ინფორმაცია საკმარისი არ არის სწორი პასუხისთვის

ტესტი 34

ქვეყანამ მიიღო გრანტი უცხოეთიდან და დახარჯა პროდუქციის იმპორტისათვის.

სხვა თანაბარ პირობებში, როგორ შეიცვლება საგადასახდლო ბალანსის საქონლისა და მომსახურების ბალანსი (წმინდა ექსპორტი):

1. შემცირდება
2. გაიზრდება
3. არ შეიცვლება
4. ინფორმაცია საკმარისი არ არის სწორი პასუხისთვის

ტესტი 35

ქვეყანამ მიიღო გრანტი უცხოეთიდან და დახარჯა პროდუქციის იმპორტისათვის. სხვა თანაბარ პირობებში, როგორ შეიცვლება საგადასახდლო ბალანსის მიმდინარე ანგარიში:

1. იგივე დარჩება
2. შემცირდება
3. გაიზრდება

- ინფორმაცია საკმარისი არ არის სწორი პასუხისთვის

ტესტი 36

საგადასახდლო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის რომელი კომპონენტი ამყარებს კავშირს მთლიან ეროვნულ შემოსავალსა და მთლიან ეროვნულ განკარგვად შემოსავალს შორის

- საქონლის ანგარიში
- მომსახურების ანგარიში
- პირველადი შემოსავლების ანგარიში
- მეორადი შემოსავლების ანგარიში

ტესტი 37

საგადასახდლო ბალანსის რომელი ორი კომპონენტი ამყარებს კავშირს მთლიან შიდა პროდუქტსა და მთლიან ეროვნულ განკარგვად შემოსავალს შორის

- საქონლისა და მომსახურების ანგარიშები
- მიმდინარე და კაპიტალის ანგარიშები
- პირველადი და მეორადი შემოსავლების ანგარიშები
- მიმდინარე და ფინანსური ანგარიშები

ტესტი 38

საგადასახდლო ბალანსის მონეტარული წარმოდგენა ასახავს:

- საბანკო სექტორის საგარეო ოპერაციების ზეგავლენას საგადასახდლო ბალანსზე
- საბანკო სექტორის საგარეო ოპერაციების ზეგავლენას ფართო ფულზე
- არასაბანკო სექტორის საგარეო ოპერაციების ზეგავლენას საგადასახდლო ბალანსზე
- არასაბანკო სექტორის საგარეო ოპერაციების ზეგავლენას ფართო ფულზე.

ტესტი 39

საგადასახდლო ბალანსის წარმოდგენის რომელი ფორმა ასახავს საგადასახდლო ბალანსის ყველა ოპერაციის მიმართებას ცენტრალური ბანკის საერთაშორისო რეზერვების ცვლილებასთან

- სტანდარტული წარმოდგენა
- ანალიტიკური წარმოდგენა
- მონეტარული წარმოდგენა

4. არცერთი

ტესტი 40

რას ასახავს შემდეგი იგივეობა:

$$E = -E ,$$

(სადაც *ETB* ბანკების წმინდა საგარეო ოპერაციებია, ხოლო *ETN* - არასაბანკო ეკონომიკური ერთეულების წმინდა საგარეო ოპერაციები)

1. რომ ბანკების წმინდა საგარეო ოპერაციები უდრის არასაბანკო ეკონომიკური ერთეულების წმინდა საგარეო ოპერაციებს
2. რომ ბანკების წმინდა საგარეო ოპერაციები სარკისებურად ასახავს არასაბანკო ეკონომიკური ერთეულების წმინდა საგარეო ოპერაციებს
3. რომ ბანკების წმინდა საგარეო ოპერაციები ყოველთვის განაპირობებს არასაბანკო ეკონომიკური ერთეულების წმინდა საგარეო ოპერაციებს
4. არცერთი პასუხი არ შეესაბამება მოცემულ იგივეობას.

ტესტი 41

რამდენად სწორია შემდეგი დებულება:

არასაბანკო ეკონომიკური ერთეულების საგარეო ეკონომიკური ოპერაციები ყოველთვის ახდენს უშუალო გავლენას ფართო ფულზე.

1. სწორია
2. არასწორია

ტესტი 42

საგადასახდლო ბალანსის მიხედვით, რას წარმოადგენს იგივეობა $\Delta FDI + \Delta PI + \Delta D + \Delta OI$

1. ფინანსურ ანგარიშს (რეზერვების გარეშე)
2. ფინანსურ ანგარიშს (რეზერვების ჩათვლით)
3. კაპიტალისა და ფინანსური ანგარიშების ჯამს
4. მთლიან ბალანსს

ტესტი 43

საგადასახდლო ბალანსის მიხედვით, რას წარმოადგენს იგივეობა -

$\Delta + \Delta K - (\Delta F + \Delta + \Delta + \Delta)$ (ერთზე მეტი პასუხი).

1. კაპიტალისა და ფინანსური ანგარიშების ჯამს
2. მთლიან ბალანსს
3. ფინანსურ ანგარიშს, რეზერვების ჩათვლით
4. საერთაშორისო რეზერვების ცვლილებას

ტესტი 44

რას ასახავს შემდეგი იგივეობა: $C + K = F$? (ერთზე მეტი პასუხი)

1. სტანდარტული საგადასახდლო ბალანსის მთავარ იგივეობას
2. ანალიტიკური საგადასახდლო ბალანსის მთავარ იგივეობას
3. ასახავს, თუ როგორ ხდება მიმდინარე და კაპიტალის ანგარიშების დაფინანსება
4. ასახავს, რომ მიმდინარე და კაპიტალის ანგარიშების ჯამი ყოველთვის უდრის ფინანსურ ანგარიშს

ტესტი 45

საგადასახდლო ბალანსის ანალიტიკურ წარმოდგენაში მთლიანი ბალანსი გვიჩვენებს:

1. ფინანსური ანგარიშის ბალანსს საწინააღმდეგო ნიშნით
2. რამდენად არის საკმარისი ფინანსური ანგარიშის კაპიტალის ნაკადები დააფინანსოს მიმდინარე ანგარიში
3. „წმინდა შეცდომებსა და გამოტოვებებს“ საწინააღმდეგო ნიშნით
4. არცერთი პასუხი არ შეესაბამება დასმულ კითხვას.

ტესტი 46

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება „განსაკუთრებული დაფინანსების“ მუხლს საგადასახდლო ბალანსის ანალიტიკურ წარმოდგენაში:

1. ვალის პატიება და სამთავრობოთაშორისო გრანტები (ორმხრივი და მრავალმხრივი);
2. ვალის კაპიტალიზაცია;
3. სესხება კერძო ინვესტორის მიერ;
4. ვალის რესტრუქტურირება/რეფინანსირება;
5. ვალის წინასწარი გადახდა ან დავალიანების გამოსყიდვა;
6. პროცენტების გადახდა;
7. სესხი განვითარებისათვის.

ტესტი 47

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ვალუტების რომელი ჯგუფი შედის სესხის სპეციალური უფლებების (SDRs-ის) კალათის შემადგენლობაში:

1. აშშ დოლარი, ევრო, ავსტრალიური დოლარი, კანადური დოლარი, იაპონური იენი
2. აშშ დოლარი, ევრო, იაპონური იენი, ფუნტი სტერლინგი და ჩინური რენმინბი
3. აშშ დოლარი, ევრო, ავსტრალიური დოლარი, კანადური დოლარი, ფუნტი სტერლინგი
4. აშშ დოლარი, ევრო, ფუნტი სტერლინგი, იაპონური იენი, კანადური დოლარი

ტესტი 48

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ვალუტა სესხის სპეციალური უფლებების (SDRs-ის) კალათის შემადგენლობაში შესატანად (ერთზე მეტი პასუხი):

1. ექსპორტის კრიტერიუმი
2. იმპორტის კრიტერიუმი
3. თავისუფლად მიმოქცევადობის კრიტერიუმი
4. კონვერტირებადობის კრიტერიუმი

ტესტი 49

რამდენ წელიწადში ერთხელ ახდენს საერთაშორისო სავალუტო ფონდი სესხის სპეციალური უფლებების (SDRs-ის) კალათის მოცულობისა და შემადგენლობის გადახედვას:

1. ყოველწლიურად
2. ორ წელიწადში ერთხელ
3. ხუთ წელიწადში ერთხელ
4. 10 წელიწადში ერთხელ

ტესტი 50

ქვემოთ ჩამოთვლილი ვალუტებიდან რომელს უჭირავს ყველაზე დიდი ხვედრითი წილი სესხის სპეციალური უფლებების (SDRs-ის) კალათის შემადგენლობაში:

1. აშშ დოლარს
2. ევროს
3. ფუნტ სტერლინგს
4. იაპონურ იენს

ტესტი 51

რომელი ფინანსური აქტივია გამოტოვებული ქვემოთ მოტანილ ჩამონათვალში:

1. მონეტარული ოქრო და სესხის სპეციალური უფლებები
2. ვალუტა და დეპოზიტები
3. -----
4. სესხები
5. აქციები და სხვა კაპიტალი
6. დაზღვევა, საპენსიო და სტანდარტიზებული საგარანტიო სქემები
7. ფინანსური წარმოებულები და თანამშრომელთა ოფციონები აქციებზე
8. სხვა მისაღები/გადასახდელი ანგარიშები

ტესტი 52

მონიშნეთ სწორი პასუხი შემდეგი დებულების მართებულობის თაობაზე:

საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსი ასახავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაკადებს.

1. სწორია
2. არასწორია

ტესტი 53

მონიშნეთ სწორი პასუხი შემდეგი დებულების მართებულობის თაობაზე:

საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსი ასახავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების იმავე მუხლებს, რაც ასახულია საგადასახდლო ბალანსის ფინანსურ ანგარიშში.

1. სწორია
2. არასწორია

ტესტი 54

მონიშნეთ სწორი პასუხი შემდეგი დებულების მართებულობის თაობაზე:

წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა წარმოადგენს უცხოურ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობას.

1. სწორია
2. არასწორია

ტესტი 55

მონიშნეთ სწორი პასუხი შემდეგი დებულების მართებულობის თაობაზე:

თუ ქვეყნის წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა დადებითია, მაშინ ეს ქვეყანა არის:

1. წმინდა კრედიტორი დანარჩენი სამყაროს მიმართ
2. წმინდა დებიტორი დანარჩენი სამყაროს მიმართ
3. არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 56

მონიშნეთ სწორი პასუხი შემდეგი დებულების მართებულობის თაობაზე:
ფინანსური აქტივები და ვალდებულებები საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსში აისახება:

1. გარკვეული თარიღისათვის არსებულ ფასებში
2. იმ ფასებში, როცა მოხდა მათი შექმნა/წარმოქმნა
3. ღრობის გარკვეულ მონაკვეთში არსებულ საშუალო ფასებში

ტესტი 57

მონიშნეთ სწორი პასუხი შემდეგი დებულების მართებულობის თაობაზე:
საგადასახდლო ბალანსის ფინანსური ანგარიშის დადებითი ბალანსი ყოველთვის იწვევს წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო მდგომარეობის გაუმჯობესებას.

1. სწორია
2. არასწორია

ტესტი 58

მონიშნეთ სწორი პასუხი შემდეგი დებულების მართებულობის თაობაზე:
საგადასახდლო ბალანსის მიმდინარე და კაპიტალის ანგარიშების დეფიციტი ყოველთვის იწვევს წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის გაუარესებას.

1. სწორია
2. არასწორია

ტესტი 59

მონიშნეთ სწორი პასუხი შემდეგი დებულების მართებულობის თაობაზე:

საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსი ასახავს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთებს.

1. სწორია
2. არასწორია

ტესტი 60

მონიშნეთ სწორი პასუხი შემდეგი დებულების მართებულობის თაობაზე:
საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსი ასახავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების იმავე მუხლებს, რაც ასახულია საგადასახდლო ბალანსის მიმდინარე ანგარიშში.

1. სწორია
2. არასწორია

ტესტი 61

მონიშნეთ სწორი პასუხი შემდეგი დებულების მართებულობის თაობაზე:
წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა წარმოადგენს სხვაობას უცხოურ ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის.

1. სწორია
2. არასწორია

ტესტი 62

მონიშნეთ სწორი პასუხი შემდეგი დებულების მართებულობის თაობაზე:
თუ ქვეყნის წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა უარყოფითია, მაშინ ეს ქვეყანა არის:

1. წმინდა კრედიტორი დანარჩენი სამყაროს მიმართ
2. წმინდა დებიტორი დანარჩენი სამყაროს მიმართ
3. არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 63

საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა მოიცავს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომელთაც აქვთ საერთაშორისო ხასიათი, რადგანაც:

1. ისინი საერთაშორისო ბაზრებზე ივაჭრება

2. აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული ოპერაციების ხორციელდება რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის
3. ისინი განსაზღვრავენ გაცვლითი კურსის ცვალებადობას

ტესტი 64

მონიშნეთ მაჩვენებელი, რომელიც შეისწავლის პირდაპირი ინვესტიორის დამოკიდებულებას ვალწარმომქმნელი და არავალწარმომქმნელი ინვესტიციების მიმართ:

1. პირდაპირი ინვესტიციები მოსახლეობის ერთ სულზე
2. სავალო კაპიტალის შეფარდება პირდაპირ ინვესტიციებთან
3. საერთაშორისო რეზერვები მოკლევადიან კაპიტალთან
4. არცერთი მაჩვენებელი არ შეესაბამება დასმულ კითხვას

ტესტი 65

რომელი კომპონენტები განსაზღვრავენ უცხოური აქტივების/ვალდებულებების ღირებულებას t დროისთვის საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსში:

1. აქტივების/ვალდებულებების რაოდენობა და ინფლაცია
2. აქტივების/ვალდებულებების ფასი და გაცვლითი კურსი
3. აქტივების/ვალდებულებების რაოდენობა, საბაზრო ფასი და გაცვლითი კურსი
4. აქტივების/ვალდებულებების შეძენა/გასხვისება, საბაზრო ფასი და გაცვლითი კურსი

ტესტი 66

საგარეო მდგრადობის მაჩვენებელი გაიანგარიშება, როგორც მიმდინარე ანგარიშის შეფარდება:

1. ვალწარმომქმნელ კაპიტალთან
2. არავალწარმომქმნელ კაპიტალთან
3. საერთაშორისო რეზერვებთან
4. ფინანსურ ანგარიშთან

ტესტი 67

წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის მდგრადობის მაჩვენებელი გაიანგარიშება, როგორც წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის შეფარდება:

1. საერთაშორისო ფინანსურ აქტივებთან

2. საერთაშორისო ფინანსურ ვალდებულებებთან
3. ვალწარმომქმნელ კაპიტალთან
4. არავალწარმომქმნელ კაპიტალთან

ტესტი 68

წმინდა საგარეო ვალი არის:

1. ძველი საგარეო ვალი პლუს ამორტიზაცია
2. მთლიანი საგარეო ვალი მინუს საგარეო აქტივები
3. მთლიანი საგარეო ვალი მინუს საერთაშორისო ფინანსური აქტივები
4. მთლიანი საგარეო ვალი მინუს საერთაშორისო ფინანსური აქტივების სავალო ინსტრუმენტები

ტესტი 69

საგარეო ვალი არის:

1. ფინანსური ვალდებულება კრედიტორის მიმართ, რომელიც არ არის დებიტორი ქვეყნის რეზიდენტი
2. ვალდებულება, რომელიც წარმოიშვება უცხოური გრანტების მიღების შედეგად
3. ვალდებულება, რომელიც წარმოიშვება საზღვარგარეთიდან მიღებული მიმდინარე ტრანსფერტების შედეგად
4. ვალდებულება, რომელიც წარმოიშვება საზღვარგარეთიდან მიღებული კაპიტალური ტრანსფერტების

ტესტი 70

რამდენად სწორია დებულება: ქვეყნის საგარეო ვალი მოიცავს რეზიდენტების სავალო ვალდებულებებს არარეზიდენტების მიმართ, პირობითი ვალდებულებების ჩათვლით

1. სწორია
2. არასწორია

ტესტი 71

საგარეო დავალიანების ზღვრული ინდიკატორების რომელი კომბინაციაა მიჩნეული საგარეო დავალიანობის საშიშ დონედ პოლიტიკური და ინსტიტუციური თვალსაზრისით სუსტი ქვეყნებისათვის:

	საგარეო ვალი პროცენტულად:			ვალის მომსახურება პროცენტულად:	
	ექსპორტთან	მშპ-სთან	შემოსავლებთან	ექსპორტთან	შემოსავლებთან
1.	120	30	240	15	20
2.	150	40	250	20	20
3.	100	30	200	15	18
4	არცერთი კომბინაცია არ შეესაბამება				

ტესტი 72

საგარეო დავალიანების ზღვრული ინდიკატორების რომელი კომბინაციაა მიჩნეული საგარეო დავალიანობის საშიშ დონედ პოლიტიკური და ინსტიტუციური თვალსაზრისით საშუალო ქვეყნებისათვის:

	საგარეო ვალი პროცენტულად:			ვალის მომსახურება პროცენტულად:	
	ექსპორტთან	მშპ-სთან	შემოსავლებთან	ექსპორტთან	შემოსავლებთან
1.	150	40	250	20	20
2.	150	50	200	15	18
3.	200	50	300	25	20
4	არცერთი კომბინაცია არ შეესაბამება				

ტესტი 73

საგარეო დავალიანების ზღვრული ინდიკატორების რომელი კომბინაციაა მიჩნეული საგარეო დავალიანობის საშიშ დონედ პოლიტიკური და ინსტიტუციური თვალსაზრისით ძლიერი ქვეყნებისათვის:

	საგარეო ვალი პროცენტულად:			ვალის მომსახურება პროცენტულად:	
	ექსპორტთან	მშპ-სთან	შემოსავლებთან	ექსპორტთან	შემოსავლებთან
1.	100	30	200	15	18
2.	200	50	300	25	22
3.	200	40	250	25	22
4	არცერთი კომბინაცია არ შეესაბამება				

ტესტი 74

საგარეო დავალიანების ზღვრული ინდიკატორების რომელი კომბინაციაა მიჩნეული საგარეო დავალიანობის საშიშ დონედ პოლიტიკური და ინსტიტუციური თვალსაზრისით სუსტი ქვეყნებისათვის:

	საგარეო ვალი პროცენტულად:			ვალის მომსახურება პროცენტულად:	
	ექსპორტთან	მშპ-სთან	შემოსავლებთან	ექსპორტთან	შემოსავლებთან
1.	100	40	200	15	18
2.	150	50	250	20	20
3.	200	60	300	25	22
4	არცერთი კომბინაცია არ შეესაბამება				

ტესტი 75

პირობითი საგარეო ვალდებულება განსხვავდება მიმდინარე საგარეო ვალდებულებისაგან, რადგანაც:

1. მისი გადახდის გრაფიკი შედარებით მოქნილია
2. იგი დაკავშირებულია გარკვეული პირობების შესრულებასთან, ვიდრე იქცევა ვალდებულებად
3. მასზე არ გადაიხდება პროცენტი
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 76

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მაჩვენებელი გამოიყენება როგორც საგარეო ვალის ქვეყნის რესურსებთან თანაფარდობის საზომი;

1. რეზერვები მოკლევადიან საგარეო ვალთან
2. რეზერვები ფართო ფულთან
3. საგარეო ვალის საშუალო ვადიანობა
4. საგარეო ვალი მშპ-სთან

ტესტი 77

საგარეო ვალის საშუალო ვადიანობა გვიჩვენებს, თუ:

1. საგარეო ვალის საშუალოდ რა ნაწილს იხდის ქვეყანა ყოველწლიურად
2. რამდენი წელია საჭირო საშუალოდ არსებული ვალის დასაფარად
3. ქვეყნის საგარეო ვალის დაფარვის შესაძლებლობებს

4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 78

საშუალო საპროცენტო განაკვეთი საგარეო ვალზე ახასიათებს (ერთზე მეტი პასუხი):

1. საგარეო ვალის დაფარვის შესაძლებლობებს
2. საგარეო ვალის პირობებს
3. საგარეო ვალის ტვირთს
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 79

ადგილობრივი ვალუტისადმი ნდობის დაკარგვის პოტენციური გავლენის საზომად გამოიყენებენ საერთაშორისო რეზერვების შეფარდებას:

1. იმპორტთან
2. მოკლევადიან საგარეო ვალდებულებებთან
3. ფართო ფულთან
4. მთლიან შიდა პროდუქტთან

ტესტი 80

რამდენად ძვირი უჯდება ქვეყანას საგარეო ვალი შეისწავლება ისეთი მაჩვენებლებით, როგორებიცაა (ერთზე მეტი პასუხი):

1. საგარეო ვალის მომსახურების შეფარდება მშპ-სთან
2. საგარეო ვალის მომსახურების შეფარდება ექსპორტთან
3. რეზერვების შეფარდება მოკლევადიან საგარეო ვალთან
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 81

რა მიზანს ემსახურება საგარეო ვალის სავალუტო შემადგენლობის ანალიზი:

1. ფულის მასაზე გავლენის შეფასებას
2. ინფლაციის გამომწვევი მიზეზების დადგენას
3. გაცვლითი კურსების ცვლილებით გამოწვეული საგარეო დავალიანების ტვირთის ზრდის რისკების შეფასებას
4. კაპიტალის საერთაშორისო მიძრაობის ეკონომიკაზე გავლენის შესწავლას

ტესტი 82

რა მიზნებს ემსახურება საგარეო ვალის პრეზენტაცია ადგილობრივი და უცხოური ვალუტების ჭრილში:

1. საგარეო ვალის გადახდის გრაფიკის სწორად შედგენას
2. გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდობის რისკებისადმი საგარეო ვალის მოწყვლადობის ანალიზისა და მონიტორინგის მიზნებს
3. საგარეო ვალის შეფარდებითი მაჩვენებლების გაანგარიშების ხელშეწყობას
4. საგარეო ვალის მაჩვენებლების საერთაშორისო შესადარისობის დადაგენას

ტესტი 83

რას გვიჩვენებს საგარეო ვალის საშუალო ვადიანობის მაჩვენებელი:

1. რამდენი წელია საშუალოდ საჭირო არსებული საგარეო დავალიანების გადასახდელად
2. გაცვლითი კურსის გავლენას საგარეო ვალზე
3. საგარეო დავალიანების რისკებს
4. არცერთი პასუხი არ შეესაბამება საგარეო ვალის საშუალო ვადიანობის განმარტებას

ტესტი 84

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მაჩვენებელი ემსახურება საგარეო ვალდებულებების მიმართების შესწავლას ქვეყნის სავალუტო შემოსავლებთან:

1. საგარეო ვალის ნაშთის შეფარდება ექსპორტთან
2. საგარეო ვალის ნაშთის შეფარდება იმპორტთან
3. საგარეო ვალის მომსახურების შეფარდება მშპ-სთან
4. საგარეო ვალის მომსახურების შეფარდება ექსპორტთან

3.3. მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა

ადამიანთა უმრავლესობა სტატისტიკას იყენებს ისევე, როგორც მთვრალი - განათების ბოძს: უფრო მოსაჭიდებლად და არა განათებისთვის.

ენდრიუ ლანგი (1844-1912)

მოტლანდიელი პოეტი და პროზაიკოსი

საგადასახდლო ბალანსის განხილვისას ჩვენ გავეცანით მისი წარმოდგენის ფორმებს, რომელთა შორის ერთ-ერთი იყო საგადასახდლო ბალანსის მონეტარული წარმოდგენა.

მონეტარული პრეზენტაცია ემსახურება საგადასახდლო ბალანსში რეზიდენტი საბანკო ინსტიტუციების საგარეო ეკონომიკური ოპერაციების გამიჯვნას რეზიდენტი არასაბანკო ინსტიტუციების იმავე ხასიათის ოპერაციებისაგან. ამასთან, თუ მხედველობაში მივიღებთ ერთი მხრივ იმას, რომ რეზიდენტი საბანკო ინსტიტუციების საგარეო ეკონომიკური ოპერაციები არასაბანკო ინსტიტუციების იმავე სახის ოპერაციების სარკისებური ანარეკლია ($ETB = - ETN$) და, მეორე მხრივ, საგადასახდლო ბალანსის მთავარ იგივეობას, შეგვიძლია განვიხილოთ შემდეგი იგივეობა:

$$ETB + ETN = 0$$

კონცეპტუალურად, რეზიდენტი საბანკო ინსტიტუციების საგარეო ეკონომიკური ოპერაციები წმინდა საგარეო აქტივებთან ასოცირდება, ანუ:

$$ETB = NFA.$$

ამასთან, განმარტების თანახმად, წმინდა უცხოური აქტივებისა და წმინდა საშინაო აქტივების ჯამი ფართო ფულის ტოლია:

$$NFA + \Delta DA + OTR = \Delta M.$$

ამდენად, წმინდა საგარეო აქტივები ფართო ფულის მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია. შესაბამისად, მისი ზრდა ან შემცირება, სხვა თანაბარ პირობებში, პირდაპირპროპორციულ გავლენას ახდენს ფართო ფულის სიდიდეზე. იმისათვის, რომ თვალის მივადევნოთ ფართო ფულის დინამიკას ქვეყანაში, აუცილებელია მოვანდინოთ იმ საგარეო ოპერაციების იდენტიფიცირება, რომელთაც გავლენის მოხდენა შეუძლიათ

ფულის მასაზე ქვეყნის შიგნით. საგადასახდლო ბალანსის მონეტარული პრეზენტაცია წარმოადგენს გარკვეულ მაკროსტატისტიკურ ინსტრუმენტს, რომელიც საშუალებას იძლევა გავმიჯნოთ ფულის მფლობელების (არასაბანკო ინსტიტუციების) საგარეო ოპერაციები ფულის ემიტენტების (საბანკო ინსტიტუციები) იმავე ხასიათის ოპერაციებისაგან.

ამდენად, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ $ETB = -ETN$, შესაბამისად -

$$-E + \Delta D + O = \Delta M,$$

სადაც ETN წარმოადგენს არასაბანკო ინსტიტუციების საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებს.

ეს იგივეობა ასახავს არასაბანკო ეკონომიკური ერთეულების საგარეო ეკონომიკური ოპერაციების გავლენას ფართო ფულის ცვლილებაზე, ანუ ასახავს კავშირს საგადასახდლო ბალანსსა და მონეტარულ სტატისტიკას შორის და გვეხმარება შევაფასოთ საგარეო ეკონომიკური ოპერაციების გავლენა მონეტარული სექტორის მდგომარეობასა და განვითარებაზე.

რას წარმოადგენს მონეტარული სექტორი და რა გავლენა აქვს მას ეკონომიკაზე? რას წარმოადგენს ფართო ფული? რა ინსტრუმენტებით შეისწავლება იგი და რა გავლენა აქვს მას ეროვნულ ეკონომიკაზე?

ყველა ამ და სხვა კითხვაზე პასუხს გვცემს მონეტარული სტატისტიკა, ანუ მონეტარული ანგარიშები და მათი გაანგარიშების წარმოების მეთოდოლოგია.

3.3.1. რას შეისწავლის მონეტარული სტატისტიკა?

მონეტარული სტატისტიკა მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემებიდან ერთ-ერთის - მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია.

მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა შეისწავლის ეკონომიკის ფინანსური სექტორის თავისებურებებს, მისი საშუამავლო ფუნქციების განხორციელების მექანიზმებს და რაოდენობრივად ასახავს, ერთი მხრივ, ამა თუ იმ ეროვნული ეკონომიკის ფინანსური სექტორის ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთებსა და ნაკადებს (მონეტარული სტატისტიკა), ხოლო მეორე მხრივ, ეკონომიკის თითოეული სექტორის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთებს და ნაკადებს სხვა სექტორებთან, აგრეთვე არარეზიდენტებთან მიმართებაში (ფინანსური სტატისტიკა). ამდენად, ფინანსური საქმიანობის მრავალფეროვნების შესაბამისად და სათანადო აქტივობების ღრმად და საფუძვლიანად შესწავლის მიზნით,


ეს მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემა ორ ნაწილად იყოფა: მონეტარული სტატისტიკა და ფინანსური სტატისტიკა.

მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგიური საფუძველია 2016 წელს გამოცემული საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ იმავე სახელწოდების სახელმძღვანელო. 2008 წელს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ახალი, მე-4 გამოცემის გამოქვეყნებამ, ასევე „საგადასახდელი ბალანსისა და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსის სახელმძღვანელოს“ მე-6 და „სამთავრობო სტატისტიკის სახელმძღვანელოს“ მე-3 გამოცემების გამოქვეყნებამ, შესაბამისად, 2009 და 2014 წლებში, აუცილებელი გახდა 2000 წლიდან მოქმედი „მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის სახელმძღვანელოს“ მათთან ჰარმონიზება და აგრეთვე იმ პერიპეტიების გათვალისწინება მასში, რაც დაკავშირებულია მთელი მსოფლიოს მასშტაბით მზარდი ფინანსური ინტეგრაციული პროცესების ცვალებადობასთან, მათი რაოდენობრივი შესწავლის, ანალიზისა და პროგნოზირების საჭიროებებთან.

მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა ეყრდნობა ეკონომიკური სტატისტიკის იმ ფუნდამენტურ კონცეფციებს, პრინციპებსა და კატეგორიებს, რომლებიც ჩვენ ზემოთ უკვე განვიხილეთ. შესაბამისად, ამ თავში ჩვენ მათ აღარ შევხებით, თუმცა მათი ცოდნა აუცილებელია იმ ცნებებისა და კატეგორიების გასაგებად, რომლებსაც ეფუძნება როგორც მონეტარული, ისე ფინანსური სტატისტიკა.

მონეტარული სტატისტიკა შეისწავლის ამა თუ იმ ქვეყნის ფინანსური სექტორის ფინანსური და არაფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნაშთებსა და ნაკადებს. ეს დებულება უფრო თვალსაჩინო რომ იყოს, მოვიტანთ სქემას, თუ რას მოიცავს მონეტარული სტატისტიკის შესწავლის ობიექტი:

სქემა 3.3.1.1. მონეტარული სტატისტიკის შესწავლის ობიექტი



უნდა აღინიშნოს, რომ სხვა მაკროეკონომიკურ სტატისტიკურ სისტემებს შორის მონეტარულ სტატისტიკას განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამის მიზეზია ის, რომ:

-)] ჯერ ერთი, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რომელიც ფულს ემყარება, ფინანსური სექტორი შუამავლის როლს ასრულებს ეკონომიკურ სექტორებს შორის რესურსების ნაკადების მოძრაობაში. ამდენად, ფინანსური სექტორის ანგარიშები ასახავს ზემოაღნიშნული რესურსების ნაკადების ქცევას;
-)] მეორე, ფინანსური სექტორის ანგარიშები ფოკუსირებულია ისეთ ღირებულებებზე, როგორებიცაა ფული, კრედიტი, უცხოური მოთხოვნები და ვალდებულებები, რომლებიც ცენტრალურ ადგილს იკავებენ მაკროეკონომიკური ანალიზის პროცესში;
-)] მესამე, მონეტარულ სექტორსა და სხვა მაკროეკონომიკურ სექტორებს შორის ფინანსური კავშირები ცენტრალურ როლს თამაშობს მონეტარული პოლიტიკის ფორმირებაში;
-)] მეოთხე, მონეტარული მაჩვენებლები, წარმოების თვალსაზრისით, უფრო მოკლე დროშია ხელმისაწვდომი, ვიდრე სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორები, რაც მნიშვნელოვან ინსტრუმენტად აქცევს მათ პოლიტიკის გამტარებელთა ხელში ეკონომიკის განვითარების მონიტორინგის მიზნებისათვის.

3.3.2. მონეტარული ანგარიშები და მონეტარული სტატისტიკის ძირითადი იგივეობები

იმისათვის, რომ უპასუხოთ იმ მოთხოვნებს, რაც მონეტარული სტატისტიკის წინაშეა, ეს უკანასკნელი იყენებს მონეტარულ ანგარიშებს, რომელთა წარმოება ე.წ. იერარქიულ მიდგომას ემყარება. ეს გულისხმობს, რომ ფინანსური ინსტიტუტების საბალანსო ანგარიშების გამოყენებით, მონეტარული სტატისტიკა, პირველ რიგში, აწარმოებს ფინანსური სექტორის ქვესექტორების **სექტორულ საბალანსო ანგარიშებს**, რის საფუძველზეც ანგარიშობს ფინანსური სექტორისა და მისი ქვესექტორების **ანალიტიკურ მიმოხილვებს**.

რას წარმოადგენს სექტორული ბალანსი (სექტორული საბალანსო ანგარიში)?

სექტორული ბალანსი არის ფინანსური სექტორის ქვესექტორების აქტივებისა და ვალდებულებების სისტემატიზაციის (წარმოდგენის) განსაკუთრებული ფორმა (წესი):

- ვალუტების მიხედვით,
- ინსტრუმენტების მიხედვით,

- კონტრაგენტი სექტორების მიხედვით,
- ინსტიტუციური სექტორების რეზიდენტობის მიხედვით.

სექტორული ბალანსი იანგარიშება ფინანსური სექტორის სამი ქვესექტორის მიხედვით:

- ცენტრალური ბანკი (ფორმა 1SR),
- სხვა დეპოზიტური კორპორაციები (ფორმა 2SR),
- სხვა ფინანსური კორპორაციები (ფორმა 4SR).

ცენტრალური ბანკის სექტორული ბალანსი (ფორმა 1SR) მოიცავს ცენტრალური ბანკის მონაცემებს (სათაო ოფისი, ფილიალები, სავალუტო საბჭო). თუ ქვეყნის მონეტარული ხელისუფლება მოიცავს სხვა სამთავრობო სტრუქტურებსაც, ცენტრალური ბანკის გარდა, მაშინ შესაბამისი სექტორული ბალანსი გაიანგარიშება ყველა ასეთი ერთეულის მონაცემების ჩათვლით.

სხვა დეპოზიტური კორპორაციების სექტორული ბალანსი (ფორმა 2SR) მოიცავს ყველა იმ ფინანსური კორპორაციის მონაცემებს, რომლებიც ფლობენ ფართო ფულში ჩართულ ვალდებულებებს (ცენტრალური ბანკის გარდა). ესენია სხვა დეპოზიტური კორპორაციები, საკრედიტო კავშირები.

სხვა ფინანსური კორპორაციების სექტორული ბალანსი (ფორმა 4SR) მოიცავს სადაზღვევო კომპანიებს, საპენსიო ფონდებს, სხვა ფინანსურ შუამავლებს და დამხმარე ფინანსურ ერთეულებს. მიჩნეულია, რომ იდეალურ შემთხვევაში სხვა ფინანსური კორპორაციების სექტორული ბალანსი უნდა მოიცავდეს ყველა ფინანსური კორპორაციის ბალანსებს, ცენტრალური ბანკისა და სხვა დეპოზიტური კორპორაციების გარდა.

სექტორული ბალანსების გაანგარიშებას საფუძვლად უდევს ინდივიდუალური ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული საბალანსო მონაცემები, რომელთა შინაარსი უნდა პასუხობდეს სექტორული ბალანსების მოთხოვნებს.

მონეტარულ სტატისტიკაში აღრიცხვის სტანდარტული ერთეულია ეროვნული ვალუტა. უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ეროვნულ ვალუტაში ხდება შესაბამისი გაცვლითი კურსის გამოყენებით. საქართველოს ეროვნული ბანკი ამისათვის ოფიციალურ გაცვლით კურსს იყენებს, თუმცა ზოგადი რეკომენდაციაა ამ მიზნით საბაზრო გაცვლითი კურსის გამოყენება.

სექტორულ ბალანსებს გააჩნია რიგი უპირატესობებისა, რომელთა შორის უმთავრესია ის, რომ:

- კონცეფციები, კლასიფიკაციები, ცნებები და კატეგორიები შეესაბამება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და გასაგებია მომხმარებლისათვის;
- მეთოდოლოგია არის მკაფიო და გამჭვირვალე;
- წარმოადგენს ძირითად და მნიშვნელოვან წყაროს ფინანსური სტატისტიკისა და საბალანსო მიდგომის მატრიცის (BSA) წარმოებისათვის (ამ საკითხებზე შესაბამის თავში გვექნება საუბარი).

სექტორული ბალანსის აგების ძირითადი პრინციპი ემყარება ნაშთებსა და ნაკადებს შორის დამოკიდებულების ცნობილ იგივეობას:

$$CS = OS + T + VC + OC$$

ან -

$$CS - OS - T - VC - OC = 0$$

სადაც CS და OS არის საბოლოო და საწყისი ნაშთები;

T - ოპერაციები;

VC - ღირებულების ცვლილება;

OC - სხვა ცვლილებები.

ცხრილი 3.3.1. სექტორული ბალანსი (ფრაგმენტი)

ინსტრუმენტი (მაგ., სესხი, დეპოზიტი და ა.შ.)	
აქტივები	<p>ეროვნული ვალუტა</p> <p>რეზიდენტები</p> <p>არაფინანსური კორპორაციების სექტორი</p> <p>საჯარო არაფინანსური კორპორაციები</p> <p>სხვა არაფინანსური კორპორაციები</p> <p>ფინანსური სექტორი</p> <p>ცენტრალური ბანკი</p> <p>სხვა დეპოზიტური კორპორაციები</p> <p>სხვა ფინანსური კორპორაციები</p> <p>სამთავრობო სექტორი</p> <p>ცენტრალური მთავრობა</p> <p>ადგილობრივი მთავრობა</p>

	<p>სხვა რეზიდენტი სექტორები</p> <p>არარეზიდენტები</p> <p>უცხოური ვალუტა</p> <p>რეზიდენტები</p> <p>არაფინანსური კორპორაციების სექტორი</p> <p>საჯარო არაფინანსური კორპორაციები</p> <p>სხვა არაფინანსური კორპორაციები</p> <p>ფინანსური სექტორი</p> <p>ცენტრალური ბანკი</p> <p>სხვა დეპოზიტური კორპორაციები</p> <p>სხვა ფინანსური კორპორაციები</p> <p>სამთავრობო სექტორი</p> <p>ცენტრალური მთავრობა</p> <p>ადგილობრივი მთავრობა</p> <p>სხვა რეზიდენტი სექტორები</p> <p>არარეზიდენტები</p>
ვალდებულებები	
	<i>(აქტივების ანალოგიურად)</i>

ზუსტად ასეთი სტრუქტურა მეორდება თითოეული ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით.

სექტორული ბალანსების ანალიტიკური სიღრმე მართო ზემოაღნიშნული დეტალიზაციით არ შემოიფარგლება. ძალიან მნიშვნელოვანია მისი გაანგარიშება და წარმოდგენა ინსტრუმენტების ნაშთებისა და ნაკადების სრული სპექტრის მიხედვით, რაც საბოლოო ანგარიშით იძლევა ძალიან დეტალურ სურათს თითოეული ქვესექტორის აქტივებისა და ვალდებულებების მოძრაობისა, ცვლილებებისა და მდგომარეობის შესახებ.

ცხრილი 3.3.2. სექტორული ბალანსი (ფრაგმენტი; დეტალური)

	ნაშთი პერიოდის დასაწყისისთვის	ოპერაციები	ღირებულების ცვლილებები	სხვა ცვლილე- ბები	ნაშთი პერიოდის ბოლოსათვის
ინსტრუმენტი					
აქტივები					
ეროვნული ვალუტა					
რეზიდენტები					
არაფინანსური					
კორპორაციები					
ფინანსური სექტორი					
სამთავრობო სექტორი					
სხვა რეზიდენტი					
სექტორები					
არარეზიდენტები					
უცხოური ვალუტა					
რეზიდენტები					
არაფინანსური					
კორპორაციები					
ფინანსური სექტორი					
სამთავრობო სექტორი					
სხვა რეზიდენტი					
სექტორები					
არარეზიდენტები					

ამდენად, მონეტარული სტატისტიკის წარმოების პირველი დონე გულისხმობს ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული საბალანსო მონაცემების საფუძველზე სექტორული ბალანსების გაანგარიშებას:

-) ცენტრალური ბანკის,
-) სხვა დეპოზიტური კორპორაციების და
-) სხვა ფინანსური კორპორაციების მიხედვით.

მონეტარული სტატისტიკის წარმოების მეორე დონეზე ხდება, სექტორული ბალანსების მონაცემთა კონსოლოდაციის საფუძველზე, მონეტარული მიმოხილვების/ანალიტიკური ბალანსების გაანგარიშება.

მონეტარული სტატისტიკა განიხილავს მიმოხილვების სამ დონეს. პირველი დონე გულისხმობს ფინანსური სექტორის ქვესექტორების მიმოხილვების წარმოებას. ესენია:


-) ცენტრალური ბანკის მიმოხილვა (CBS),
-) სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა (ODCS) და
-) სხვა ფინანსური კორპორაციების მიმოხილვა (OFCS).

მიმოხილვების მეორე დონე გულისხმობს დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვის (DCS) წარმოებას, რომელიც მიიღება ცენტრალური ბანკისა (CBS) და სხვა დეპოზიტური კორპორაციების (ODCS) მიმოხილვების კონსოლიდაციის საფუძველზე.

მიმოხილვების მესამე დონეზე ხდება დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვისა (DCS) და სხვა ფინანსური კორპორაციების მიმოხილვის (OFCS) კონსოლიდაციით ფინანსური კორპორაციების მიმოხილვის (FCS) გაანგარიშება.

მონეტარული მიმოხილვების ზემოაღნიშნული იერარქია სქემატურად წარმოდგენილია ქვემოთ:

სქემა 3.3.2.1. მონეტარული მიმოხილვების იერარქია



მონეტარული მიმოხილვები გულისხმობს ფინანსური სექტორის ქვესექტორების მოთხოვნებისა და ვალდებულებების კონსოლიდირებული მაჩვენებლების გაანგარიშებას, რომელთაც მნიშვნელოვანი ანალიტიკური დანიშნულება აქვთ.

მონეტარული მიმოხილვის დანიშნულებაა:

-) ხელი შეუწყოს მაკროეკონომიკურ ანალიზს;

-) შეისწავლოს კავშირები მონეტარული სტატისტიკისა და სხვა მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემების მაჩვენებლებს შორის;
-) შეისწავლოს ურთიერთდამოკიდებულება ფართო ფულსა და საგარეო აქტივებსა და ვალდებულებებს შორის, აგრეთვე დეპოზიტური კორპორაციების მოთხოვნები და ვალდებულებები ცენტრალური მთავრობის მიმართ და ა.შ.

3.3.2.1. ცენტრალური ბანკის მონეტარული მიმოხილვა

ცენტრალური ბანკის როგორც სექტორული ბალანსის, ისე მონეტარული მიმოხილვის შედგენისათვის ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს ცენტრალური ბანკის ბალანსი.

ცენტრალური ბანკის მიმოხილვის ანუ ანალიტიკური ბალანსის შედგენა გულისხმობს სექტორული ბალანსის მუხლების გადაჯგუფებას, ერთი მხრივ, წმინდა უცხოური აქტივებად და წმინდა საშინაო აქტივებად, და მეორე მხრივ, ვალდებულებებად სარეზერვო ფულის და მისი კომპონენტების სახით, ანუ იმგვარად, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკური ანალიზისათვის.

მონეტარული სექტორის რომელი მაჩვენებელია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური ანალიზისათვის? ეს არის ფული მიმოქცევაში, რამდენადაც იგი მნიშვნელოვანი და მთავარი კომპონენტია ფულის მიწოდებას, რეალურ სექტორსა და ინფლაციას შორის ურთიერთქმედების მექანიზმში.

ცხრილი 3.3.3. ცენტრალური ბანკის მიმოხილვა/ანალიტიკური ბალანსი	
აქტივები	ვალდებულებები
წმინდა უცხოური აქტივები (NFA)	სარეზერვო ფული (MB)
წმინდა საშინაო აქტივები (NDA)	ეროვნული ვალუტა მიმოქცევაში
წმინდა შიდა კრედიტი (NDC)	ვალუტა ბანკების სალაროში
წმინდა მოთხოვნები მთავრობისადმი (NCG)	ბანკებს გარეთ არსებული ვალუტა
მოთხოვნები სხვა დეპოზიტური კორპორაციებისადმი (CDMB)	ბანკების დეპოზიტები
მოთხოვნები დანარჩენი სექტორებისადმი (CPS)	სავალდებულო რეზერვები
სხვა მუხლები, წმინდა (OIN)	ნაშთები საკორესპონდენტო ანგარიშებზე
	სხვა დეპოზიტები
	ვალდებულებები ეკონომიკის დანარჩენი სექტორებისადმი

ამდენად, ცენტრალური ბანკის მიმოხილვის/ანალიტიკური ბალანსის აქტივების მხარე მოიცავს შემდეგ მაჩვენებლებს:

- ⌋ წმინდა უცხოური აქტივები, რომელიც წარმოადგენს სხვაობას უცხოურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის.
 - უცხოური აქტივები (ოფიციალური სარეზერვო აქტივები) მოიცავს მონეტარულ ოქროს, სესხის სპეციალურ უფლებებს, სარეზერვო პოზიციას საერთაშორისო სავალუტო ფონდში, უცხოურ ვალუტას და სხვა უცხოურ აქტივებს.
 - უცხოური ვალდებულებები მოიცავს მონეტარული ხელისუფლების ყველა მონეტარულ ვალდებულებას არარეზიდენტების მიმართ, მათ შორის საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტის გამოყენებას.
- ⌋ საშინაო აქტივები კლასიფიცირებულია, როგორც:
 - წმინდა მოთხოვნები ცენტრალური მთავრობისადმი,
 - მოთხოვნები სხვა დეპოზიტური კორპორაციებისადმი და
 - სხვა მოთხოვნები, როგორებიცაა მოთხოვნები ადგილობრივი მთავრობისადმი, მოთხოვნები არაფინანსური დაწესებულებებისადმი, კერძო სექტორისადმი და სხვა ფინანსური ინსტიტუტებისადმი.
- ⌋ სხვა მუხლები (წმინდა) მოიცავს სხვა არაკლასიფიცირებულ აქტივებს/ვალდებულებებს. ამ მუხლში შედის აგრეთვე სტატისტიკური ცდომილებები, რომლებსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ამა თუ იმ მიზეზის გამო (გაურკვეველი თანხები, შემთხვევითი შეცდომები და ა.შ).

ცენტრალური ბანკის მიმოხილვის/ანალიტიკური ბალანსის ვალდებულებების მხარე მოიცავს სარეზერვო ფულს და მის კომპონენტებს.

ცენტრალური ბანკის მიმოხილვა, ისევე როგორც დანარჩენი მიმოხილვები, ფოკუსირებულია ერთ კონკრეტულ და, ამავე დროს, ძირითად მაჩვენებელზე. ცენტრალური ბანკის მიმოხილვის შემთხვევაში ასეთი მაჩვენებელია **სარეზერვო ფული**.

სარეზერვო ფული წარმოადგენს მონეტარული ხელისუფლების ვალდებულებებს ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფულის, ბანკების რეზერვებისა (ბანკების სალაროში არსებული ფულისა და ცენტრალურ ბანკში განთავსებული თავისუფალი დეპოზიტების სახით) და დანარჩენი ეკონომიკის (ბანკებისა და ცენტრალური მთავრობის გარდა) მოთხოვნამდე დეპოზიტების სახით.

ცენტრალური ბანკის მიმოხილვა/ანალიტიკური ბალანსი ასახავს სარეზერვო ფულის შექმნას. რატომ არის იგი ასე მნიშვნელოვანი?

ცენტრალური ბანკის, როგორც ფულის ემიტენტის ძირითადი ფუნქციაა მონეტარული პოლიტიკის განხორციელება, ანუ კონტროლის პოლიტიკის განხორციელება ფულის მასაზე. ამდენად, ცენტრალური ბანკის მიმოხილვა, ფოკუსირებულია რა სარეზერვო ფულის გაანგარიშებაზე, არის ის ერთ-ერთი ძირითადი სტატისტიკური ინსტრუმენტი, რომლითაც ბანკი თავის ძირითად ფუნქციას ახორციელებს.

ამდენად, სარეზერვო ფული (MB; Money Base):

-) არის ცენტრალური ბანკის ანალიტიკური მიმოხილვის ცენტრალური მაჩვენებელი;
-) წარმოადგენს ცენტრალური ბანკის ვალდებულებას დანარჩენი სისტემის მიმართ;
-) მისი საშუალებით ცენტრალური ბანკი აკონტროლებს ეკონომიკისათვის ფულის მიწოდების მდგომარეობას.

ცენტრალური ბანკის მიმოხილვის ძირითადი იგივეობებია:

ვალდებულებების მხრიდან -

$$MB = CY + R$$

სადაც CY არის ფული მიმოქცევაში (ბანკებს გარეთ არსებული ფული), ხოლო

R - ბანკების რეზერვები, ცენტრალურ ბანკში ბანკების დეპოზიტებისა და ბანკების სალაროში ფულის ჩათვლით.

საბალანსო უწყისის იგივეობის მხრიდან -

$$MB = NFA + NCG + CDMB + CPS + OIN,$$

ან

$$MB = NFA + NDA$$

$$\Delta MB = \Delta NFA + \Delta NDA.$$

სადაც, MB - სარეზერვო ფულია, NFA - წმინდა უცხოური აქტივები, NCG - წმინდა მოთხოვნები მთავრობის მიმართ, $CDMB$ - მოთხოვნები ბანკების მიმართ, CPS - მოთხოვნები კერძო სექტორის მიმართ, OIN - სხვა წმინდა მუხლები, NDA - წმინდა საშინაო აქტივები, Δ - მაჩვენებელების ცვლილება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

მონეტარული მიმოხილვები, ზოგადად:

-)] ასახავს აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთებს განსახილველი პერიოდის ბოლოსათვის;
-)] გაიანგარიშება ეროვნული ვალუტით;
-)] უჩვენებს აქტივებისა და ვალდებულებების მთლიან მოცულობას და არა წმინდას;
-)] ზოგიერთი მუხლი შესაძლოა ასახავდეს აქტივების წმინდა მოცულობას და ასეთ შემთხვევაში **წმინდა აქტივი უარყოფითი ნიშნით ნიშნავს წმინდა ვალდებულებას.**

რას გვიჩვენებს ცენტრალური ბანკის მიმოხილვა/ანალიტიკური ბალანსი?

სარეზერვო ფულის, წმინდა უცხოური აქტივებისა და წმინდა საშინაო აქტივების ცვლილება გვიჩვენებს როგორ აფინანსებს ცენტრალური ბანკი თავის საქმიანობას, როგორ იყენებს იგი ფინანსებს, ან რომელ სექტორებს აფინანსებს. მაგალითად, მიმოქცევაში არსებული ფულის მასის ზრდის ხარჯზე ცენტრალურ ბანკს შეუძლია შეიძინოს უცხოური ან/და საშინაო აქტივები. ანალოგიურად, უცხოური აქტივების შემცირებით, მას შეუძლია შეიძინოს საშინაო აქტივები, ან შეამციროს თავისი ვალდებულებები დანარჩენი სისტემის მიმართ. ამდენად, სარეზერვო ფული დიდწილად განაპირობებს კრედიტისა და ფართო ფულის ზრდას. ეს საკითხები უფრო დეტალურად გაანალიზებული იქნება მონეტარული სტატისტიკის სხვა მაკროეკონომიკურ სტატისტიკურ სისტემებთან ურთიერთკავშირების განხილვისას.

ძირითადი ინსტრუმენტები, რითაც ცენტრალური ბანკი გავლენას ახდენს სარეზერვო ფულის სიდიდეზე, შემდეგია:

-)] ინტერვენციები უცხოური ვალუტით;
-)] ღია ბაზრის ოპერაციები;
-)] მთავრობის დეფიციტის დაფინანსება;
-)] რეფინანსირება;
-)] სარეზერვო მოთხოვნები;
-)] სხვა.

3.3.2.2. სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა, ძირითადი მაჩვენებლები და იგივეობები

სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა ასახავს თუ როგორ იქმნება დეპოზიტები საბანკო სისტემაში. სხვა სიტყვებით - იგი ახასიათებს, თუ როგორ ანხორციელებენ სხვა დეპოზიტური კორპორაციები თავიანთ ფუნქციებს -

-) დეპოზიტების შეგროვების,
-) ფინანსური რესურსების მიწოდების და
-) მოკლევადიანი დეპოზიტების გრძელვადიან სესხებად ტრანსფორმაციის გზით.

სხვა დეპოზიტური კორპორაციები ამ ფუნქციების განხორციელების პროცესში უზრუნველყოფენ ცენტრალური ბანკის მონეტარული პოლიტიკის გადაცემას დანარჩენ ეკონომიკაზე. აქედან გამომდინარეობს ამ ქვესექტორის ანალიტიკური ბალანსის წარმოების მნიშვნელობაც.

ცხრილი 3.3.4. სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა	
აქტივები	ვალდებულებები
წმინდა უცხოური აქტივები (NFA)	დეპოზიტები
ბანკების რეზერვები	მოთხოვნამდე დეპოზიტები
ეროვნული ვალუტა სალაროში	ვადიანი და შემნახველი
სავალდებულო რეზერვები	დეპოზიტები უცხოური ვალუტით
დეპოზიტები ცენტრალურ ბანკში	ვალდებულებები ცენტრალური ბანკის მიმართ
შიდა კრედიტი	სხვა ნაკლებად ლიკვიდური ვალდებულებები
წმინდა მოთხოვნები მთავრობისადმი	
მოთხოვნები დანარჩენი სექტორებისადმი	
სხვა მუხლები, წმინდა (OIN)	

სხვა დეპოზიტური კორპორაციების უცხოური აქტივები მოიცავს ოქროს და სხვა ძვირფას ლითონებს, მოთხოვნებს არარეზიდენტი ბანკებისადმი (მაგალითად, არარეზიდენტი ბანკების აქციების, უცხოური ვალუტის სახით) და სხვა არარეზიდენტებისადმი (მაგალითად, მოთხოვნებს სხვა ქვეყნების მთავრობებისადმი სახაზინო ვალდებულებების ან სესხების სახით).

შიდა კრედიტი მოიცავს წმინდა მოთხოვნებს მთავრობისადმი და ასევე სხვა რეზიდენტი სექტორებისადმი.

სხვა დეპოზიტური კორპორაციების რეზერვები მოიცავს ვალუტასა და დეპოზიტებს, ასევე მოთხოვნებს მონეტარული ხელისუფლების ორგანოებისადმი. ცენტრალურ

ბანკში განთავსებული რეზერვების ნაწილი სავალდებულოა (სავალდებულო რეზერვები).

სხვა მუხლები (წმინდა) მოიცავს არაკლასიფიცირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს და სტატისტიკურ ცდომილებებს.

სხვა დეპოზიტური კორპორაციების ვალდებულებების მხარე მოიცავს დეპოზიტებს, რომლებიც გულისხმობს მოთხოვნამდე, ვადიან, შემნახველ და უცხოური ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებს, რომლებსაც შესაძლოა ფლობდნენ როგორც რეზიდენტები, ისე არარეზიდენტები; ვალდებულებების მხარე მოიცავს აგრეთვე ვალდებულებებს ცენტრალური ბანკის მიმართ და ასევე სხვა, ნაკლებად ლიკვიდურ ვალდებულებებს.

3.3.2.3. მონეტარული მიმოხილვა

მონეტარული მიმოხილვა, როგორც მონეტარული ხელისუფლებისა და სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვების კონსოლიდაციის შედეგი, მონეტარული სტატისტიკის ცენტრალური და საბაზო ინსტრუმენტია. იგი ახდენს რა ვიწრო ფულისა და ფართო ფულის კატეგორიების დახასიათებას, განსაკუთრებულ ანალიტიკურ დატვირთვას იძენს ეკონომიკური ანალიზის პროცესში.

ქვემოთ მოტანილია დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვის, ანუ მონეტარული მიმოხილვის სქემა. მისი ცენტრალური მაჩვენებელი არის ფართო ფული, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკის ფულით უზრუნველყოფის საზომს და გვიჩვენებს, თუ რამდენი ფულის გამოყენება შეუძლია ეკონომიკას ეკონომიკური ოპერაციების განსახორციელებლად.

ცხრილი 3.3.5. დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა	
აქტივები	ვალდებულებები
წმინდა უცხოური აქტივები (NFA)	ფართო ფული (BML)
წმინდა საშინაო აქტივები (NDA)	ეროვნული ვალუტა მიმოქცევაში
შიდა კრედიტი (DC)	მიმდინარე ანგარიშები
წმინდა მოთხოვნები მთავრობისადმი (NCG)	მოთხოვნამდე დეპოზიტები
მოთხოვნები დანარჩენი სექტორებისადმი (CPS)	ვადიანი და შემნახველი დეპოზიტები
სხვა მუხლები, წმინდა (OIN)	ფულის ბაზრის ფონდების დეპოზიტები
	დეპოზიტები უცხოური ვალუტით
	სხვა დეპოზიტები
	ფასიანი ქაღალდები, აქციების გარდა
	სადეპოზიტო სერთიფიკატები

დეპოზიტური კორპორაციების აქტივები წარმოდგენილია წმინდა უცხოური აქტივების, წმინდა საშინაო აქტივებისა და სხვა წმინდა მუხლებისაგან, ხოლო ვალდებულებების მხარე - ფართო ფულისა და შესაბამისი კომპონენტებისაგან.

წმინდა უცხოური აქტივები შედგება მონეტარული ხელისუფლების უცხოური აქტივების, სხვა დეპოზიტური კორპორაციების უცხოური აქტივების, არარეზიდენტებისადმი სხვა მოთხოვნებისა და ნებისმიერი უცხოური ვალდებულებებისაგან (მინუს ნიშნით).

შიდა კრედიტი მოიცავს წმინდა მოთხოვნებს მთავრობისადმი და, აგრეთვე, სხვა შიდა სექტორებისადმი, როგორებიცაა სამეწარმეო სექტორის საწარმოები, არამონეტარული ფინანსური ინსტიტუტები, კერძო საწარმოები, შინამეურნეობები, შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციები. ეს მოთხოვნები შედგება ობლიგაციების, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების, სესხებისა და ავანსებისაგან.

სხვა წმინდა მუხლები მოიცავს საბალანსო ანგარიშის არაკლასიფიცირებულ მუხლებს და აგრეთვე – სტატისტიკურ ცდომილებას.

მონეტარული მიმოხილვის ვალდებულებების მხარე ახასიათებს საბანკო სისტემის საერთო ლიკვიდობას, ფულის მასის სახით. მოიცავს საბანკო სისტემის გარეთ მიმოქცევაში არსებულ ნაღდ ფულსა და კომერციულ ბანკებში ეროვნული ვალუტით არსებულ დეპოზიტებს, საბანკო და სამთავრობო დეპოზიტების გარდა.

ფართო ფული, ფართო გაგებით, ეს არის ეკონომიკისათვის ფულის მიწოდების საზომი; იგი წარმოადგენს დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვის ცენტრალურ მაჩვენებელს.

მონეტარული მიმოხილვის ძირითადი იგივეობებია (ნაშთების და ნაკადების მიხედვით):

- $BML = NFA + NDA$
 - $\Delta BML = \Delta NFA + \Delta NDA$
-
- $BML = NFA + \underbrace{NCG + CPS + OIN}_{DC}$

სადაც BML ფართო ფულია, NFA - წმინდა უცხოური აქტივები, NDA - წმინდა საშინაო აქტივები, NCG - წმინდა მოთხოვნები მთავრობისადმი, $CORS$ - მოთხოვნები ეკონომიკის სხვა სექტორებისადმი, OIN - სხვა მუხლები (წმინდა), DC - შიდა კრედიტი.

მესამე იგივეობიდან გამომდინარეობს, რომ:

$$\Delta M2 = \Delta NFA + \Delta NCG + \Delta CPS + \Delta OIN.$$

შესაბამისად, ფართო ფულის ცვლილებაზე მისი კომპონენტების ცვლილების გავლენა გამოითვლება ფორმულით:

$$\frac{\Delta M2}{M2_{-1}} + \frac{\Delta N}{M2_{-1}} + \frac{\Delta N}{M2_{-1}} + \frac{\Delta C}{M2_{-1}} + \frac{\Delta O}{M2_{-1}}$$

ფართო ფულის სტრუქტურა დეტალურად მოცემულია ქვემოთ:

ცხრილი 3.3.6. ფართო ფულის სტრუქტურა

	M0	M1	M2	M3
ეროვნული ვალუტა მიმოქცევაში (გამოშვებული ეროვნული ვალუტა - ეროვნული ვალუტა საქართველოს ეროვნული ბანკის სალაროში)	x	x	x	x
დეპოზიტები მოთხოვნამდე ეროვნული ვალუტით		x	x	x
ვადიანი და შემნახველი დეპოზიტები ეროვნული ვალუტით			x	x
დეპოზიტები უცხოური ვალუტით				x

ახლა დავაზუსტოთ, თუ რატომ არის M2/M3 აგრეგატი ფული, როგორც ასეთი.

ჯერ ერთი იმიტომ, რომ იგი მოიცავს ნაღდ ფულს.

მეორე, ის მოიცავს დეპოზიტებს, რომელიც გვევლინება გადახდის საშუალებად, რადგანაც მის მფლობელს შეუძლია გამოწეროს ჩეკი, განახორციელოს გადარიცხვა, ან გამოიტანოს თავისი ანგარიშიდან ნაღდი ფული მოთხოვნისთანავე (გამომდინარე იქიდან, თუ რა სახის დეპოზიტზეა საუბარი).

აქედან გამომდინარე, ფართო ფული არის ყველა ლიკვიდური ფინანსური ინსტრუმენტის ჯამი, რომლებიც აღიარებულია ქვეყანაში გაცვლის საშუალებად, იმ ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლით, რომლებიც შესაძლოა გადაიქცეს გაცვლის საშუალებად მოთხოვნისთანავე. ლიკვიდობა არის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი ფინანსური ინსტრუმენტისათვის ფართო ფულში ჩასართველად.

სხვადასხვა ქვეყანაში ფინანსური სექტორის განვითარების განსხვავებული სპეციფიკის გამო მონეტარული აგრეგატების რაოდენობა და სტრუქტურა სხვადასხვაგვარია. მაგალითად, კონცეპტუალური მოსაზრებებისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, ცენტრალური ბანკების ევროპული სისტემა განიხილავს ვიწრო ფულის (M1), “შუალედური” ფულის (M2) და ფართო ფულის (M3) კატეგორიებს.

მონეტარული აგრეგატების ეს კატეგორიები სტრუქტურულად შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი 3.3.7. ევროს ზონის მონეტარული აგრეგატების სტრუქტურა

ვალდებულებები	M1	M2	M3
ფული მიმოქცევაში	x	x	x
ერთდღიანი დეპოზიტები	x	x	x
დეპოზიტები, ვადით 2 წლამდე		x	x
დეპოზიტები, ვადით 3 თვემდე		x	x
რეპო			x
ფულის ბაზრის ფონდების აქციები			x
სავალო ფასიანი ქაღალდები, ვადით 2 წლამდე			x

წყარო: European Central Bank.

ამდენად, მონეტარული სტატისტიკა გადამწყვეტია მონეტარული მდგომარეობის ანალიზისა და მონეტარული პოლიტიკის განხორციელებისათვის. თუმცა, იმისათვის, რომ დავადგინოთ მონეტარული პოლიტიკის კავშირი ინფლაციასთან, რეალური ეკონომიკის აქტივობასთან, საგარეო სექტორთან, გაცვლით კურსთან გვჭირდება მონეტარული ანგარიშების გაანგარიშებისა და ანალიზის ღრმა ცოდნა. სწორედ ამას ემსახურება მონეტარული სტატისტიკა.

მონეტარული სტატისტიკის მონაცემების გასაცნობად ეწვიეთ საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდს: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=715>

3.3.2. რას შეისწავლის ფინანსური სტატისტიკა?

*ფინანსები მთლიანად განსხვავდება
დანარჩენი ეკონომიკისაგან*

ალან გრინსპანი

*აშშ-ს ფედერალური რეზერვების
მმართველი 1987-2006 წლებში*

ფინანსური სტატისტიკა, როგორც მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის სისტემის ნაწილი, ამავე დროს წარმოადგენს მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემების მნიშვნელოვან შემადგენელ ელემენტს.

რას შეისწავლის ფინანსური სტატისტიკა და რა ადგილს იკავებს იგი მაკროეკონომიკურ სტატისტიკურ სისტემებში?


ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 50-იან წლებში, როდესაც დიდი დეპრესიის შემდეგ, სტატისტიკის სისტემური განვითარების აუცილებლობის დასაბუთებამ საფუძველი ჩაუყარა ეროვნული ანგარიშიანობის განვითარებას, გაჩნდა უამრავი კითხვა იმის თაობაზე, თუ საიდან და რა გზებით ხდება მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოებისა და გამოყენების პროცესების დაფინანსება. ამ სფეროში პიონერული კვლევები ეკუთვნის ამერიკელ ეკონომისტს, პროფესორ **მორის კოპელანდს** (Morris A. Copeland; 1895-1989). მან გააანალიზა რა ამერიკის შეერთებულ შტატებში ფულადი ნაკადები, გახდა პირველი, რომელმაც ჩამოაყალიბა ე.წ. ფონდების ნაკადების თეორია.

მისი კვლევები უკავშირდებოდა ეროვნული ანგარიშიანობის საკვანძო საკითხებს, კერძოდ კი ეროვნულ ანგარიშებში ასახული რეალური ოპერაციების დაფინანსების წყაროების კვლევას. მან გააანალიზა აშშ-ში ფულადი ნაკადები ექვსწლიანი პერიოდისთვის - დიდი დეპრესიის შემდგომ აღდგენის პერიოდიდან მეორე მსოფლიო ომის დასაწყისამდე. იგი მჭიდროდ თანამშრომლობდა აშშ-ს ფედერალური რეზერვებისა და ეკონომიკური კვლევების ეროვნულ ბიუროსთან და როგორც ამ თანამშრომლობის ლოგიკური შედეგი, 1955 წელს ფედერალურმა რეზერვებმა პირველად გამოაქვეყნა წლიური ფონდების ნაკადების სტატისტიკა, ხოლო 1959 წელს - კვარტალური. ამდენად, მორის კოპელანდის ნაშრომი “ფულადი ნაკადების კვლევა აშშ-ში” აღიარებულია მონუმენტურ ნაშრომად ამ სფეროში და პასუხს სცემს ეროვნული ანგარიშიანობის არაერთ ძირულ თეორიულ კითხვას.

მიუხედავად ეკონომიკის კომპლექსური ხედვისა, რაც აღიარებულია საერთაშორისო დონეზე, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა არ ახდენს ისეთი ოპერაციების იდენტიფიცირებას, თუ როგორ აწვდის ერთი ინსტიტუციური სექტორი ფულად სახსრებს სხვა სექტორებს სესხების, კაპიტალური ტრანსფერების ან სხვა სახით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეროვნული ანგარიშები არ ახდენს ეკონომიკური აქტივობის აღწერას ფინანსურ განზომილებაში. სწორედ ეს პრობლემატიკა იყო მორის კოპელანდის ინტერესის სფერო და ფონდების ნაკადების თეორიის შექმნით მან დიდი წვლილი შეიტანა ეროვნული ანგარიშების ანალიტიკური შინაარსის გამდიდრებაში.

ფონდების ნაკადების თეორიის არსი მდგომარეობს იმაში, რომ იგი, პირველ რიგში, ახდენს მიღებული ფონდების რესურსების, ხოლო მეორე მხრივ, ეკონომიკაში მათი გამოყენების მიმართულებების კლასიფიცირებას და აღწერს ფინანსურ ოპერაციებს ინსტიტუციურ სექტორებს შორის. აღნიშნულის საფუძველზე იგი ამყარებს კავშირს დაზოგვა-ინვესტიციებსა და სესხება-გასესხებას შორის.

კურსის დასაწყისში ჩვენ საუბარი გვქონდა ეკონომიკურ წრებრუნვაზე და მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემების როლზე მისი ამა თუ იმ პრიზმაში შესწავლის საქმეში. ეკონომიკური წრებრუნვის ქვაკუთხედია რეალური ოპერაციები, რომლის დროსაც იქმნება მთლიანი შიდა პროდუქტი და შემოსავლები. ქვემოთ მოტანილი სქემა ასახავს აღნიშნული წრებრუნვის გამარტივებულ ვარიანტს, ანუ იმას, თუ როგორ მოძრაობს ფული საწარმოებიდან შინამეურნეობების მიმართულებით ფაქტორული შემოსავლების სახით (ხელფასი, რენტა, დივიდენდი და სხვ.), ხოლო შინამეურნეობები, იძენენ რა საწარმოებიდან საქონელსა და მომსახურებას, ეწევიან ხარჯებს, რაც შემოსავლების სახით უბრუნდება წარმოებას (იხ. სქემა).



90

რა ფაქტორები განაპირობებს აღნიშნული ფულადი ნაკადების მოცულობას?

მოცემული სქემიდან ნათელია, რომ თუ წარმოება შენელებულია, ფულადი ნაკადები შემცირდება, ხოლო თუ წარმოება გაიზრდება - შესაბამისად გაიზრდება ფულადი ნაკადების მოცულობაც. ამდენად, ფულადი ნაკადები წარმოადგენს ეროვნული შემოსავლის საზომს.


თუმცა, რეალურ ცხოვრებაში ეკონომიკური წრებრუნვა გაცილებით კომპლექსურია. ინსტიტუციურ ერთეულებს აქვთ გაცილებით მეტი მოთხოვნილებები, ვიდრე ეს მოტანილი სქემიდან ჩანს. მაგალითად შინამეურნეობები მიდრეკილნი არიან გააკეთონ დანაზოგები, ხოლო წარმოებას კი ესაჭიროება ინვესტიციები თავიანთი სასიცოცხლო ციკლის შენარჩუნებისთვის.

ჩვენი მარტივი მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ წარმოებული პროდუქცია გაყიდული პროდუქციის ტოლია. თუმცა, პროდუქციის გარკვეული ნაწილი შესაძლოა არ გაიყიდოს. მაშინ ეს დარჩენილი ნაწილი გადადის მარაგებში. ეროვნული ანგარიშები მარაგების მატებას განიხილავს როგორც განხორციელებული ინვესტიციების ნაწილს. აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ წარმოებული პროდუქტი მოხმარების და ინვესტიციების ჯამის ტოლია - $GDP = C + I$. თუ გავიხსენებთ ერთ-ერთ ძირითად მაკროეკონომიკურ იგივეობას: $GDP = C + I + NX$, და მივიღებთ მხედველობაში, რომ ჩვენი მაგალითი გამარტივებულია და მხედველობაში არ მიიღება დანარჩენი სამყარო - შედეგი იგივეა: $GDP = C + I$.


მეორე მხრივ, თუ ისევ ჩვენი მარტივი მაგალითიდან გამომდინარე ეროვნულ პროდუქტს გამოყენების თვალთახედვით შევხედავთ, ცხადია იგი უნდა განვიხილოთ როგორც მოხმარების და დაგროვების ჯამი. შესაბამისად, $GDP = C + S$.

ამდენად, ბოლო ორი იგივეობიდან გამოდის, რომ „გამარტივებულ“ ეკონომიკაში ინვესტიციები დანაზოგების ტოლია.

თუ შინამეურნეობები დაიწყებენ დაზოგვას, საწარმოებს შეუმცირდებათ შემოსავალი და ისინი შეიზღუდებიან ინვესტიციების განხორციელების თვალსაზრისით. შესაბამისად, მათ უნდა ისესხონ ფინანსური ბაზრებიდან. აქედან იწყება დანაზოგების გავლენა ინვესტიციებზე. (იხ. სქემა).



თუმცა, რა თქმა უნდა, არიან სხვა ინსტიტუციური მოთამაშეებიც, რომლებმაც უნდა განახორციელონ სახელმწიფოებრივი ფუნქციები, ისეთები, როგორებიცაა თავდაცვა, ჯანდაცვა, განათლება და ა.შ. ამისათვის სათავრობო ინსტიტუციური ერთეულებია მოწოდებული. მათ უნდა შეიძინონ საქონელი და მომსახურება, მაგალითად, ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, ან თავდაცვისათვის და ა.შ. მათ ასევე ესაჭიროებათ ფული, რომ შეძლონ თავიანთი ფუნქციების შესრულება, რისთვისაც აწესებენ გადასახადებს. როცა გადასახადები არ არის საკმარისი სამთავრობო ხარჯების დასაფარად, მაშინ საჭირო ხდება ფულის სესხება ფინანსური ინსტიტუტებიდან. ამდენად, ფართოვდება ფულადი ნაკადების მიმოქცევის არეალი და იზრდება მათი მოცულობა. მეტიც: თუ ფინანსური ინსტიტუტები ვერ ახერხებენ ფინანსური სახსრების მობილიზებას ქვეყნის შიგნით, მაშინ საქმეში ერთვება საზღვარგარეთი, როგორც ფინანსური რესურსების წყარო (იხ.სქემა).



ეროვნული ანგარიშების პრობლემატიკის შესწავლისას ჩვენ ვნახეთ, რომ ამ სისტემის ბოლო დამამთავრებელი ანგარიშია ფინანსური ანგარიში და საბალანსო უწყისები, რომლებიც ეკონომიკის სექტორების, მათ განკარგულებაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათი ურთიერთქმედების თანმიმდევრული და სისტემური დაკვირვებისა და შესწავლის სტატისტიკური ინსტრუმენტებია. მეტიც: ეროვნული ინსტიტუციური სექტორები თავიანთი ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით დაკავშირებულნი არიან არა მარტო ერთმანეთთან, არამედ დანარჩენ სამყაროსთანაც. ფინანსური ანგარიში და საბალანსო უწყისები, ე.წ. „დანარჩენი სამყაროს“ ანგარიშების სახით, ასახავს სწორედ ამ ურთიერთობებს.

ამდენად, ფინანსურ სტატისტიკას საფუძვლად უდევს ეროვნული ანგარიშები, რომელიც წარმოადგენს წარმოების, განაწილების და მთელი ეკონომიკისა და მისი ცალკეული სექტორის ყველა ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთებისა და ნაკადების ამსახველ ყოვლისმომცველ სისტემას.

ფინანსური სტატისტიკა ეროვნული ანგარიშების საბალანსო და დაგროვებითი ანგარიშების ერთობლიობაა, რომელთაგან პირველი ემსახურება ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთების შესწავლას გარკვეული

თარიღისათვის, ხოლო მეორე შეისწავლის ნაკადებს, რომელიც ასახავს შესასწავლი პერიოდის განმავლობაში მათში განხორციელებულ ცვლილებებს.

ფინანსური ანგარიში და საბალანსო უწყისები არაერთ საჭირობოროტო კითხვას პასუხობენ. კერძოდ, თუ:

-) რა ფინანსური კავშირებია ეკონომიკის სექტორებს შორის? როგორ ხდება მათი გაერთიანება ფინანსურ ანგარიშში და საბალანსო უწყისში? რომელი ფინანსური ინსტრუმენტია მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული?
-) რომელი ფინანსური ბაზარია გამორჩეული? რა როლი აქვთ სხვადასხვა ეკონომიკურ მოთამაშეებს? რა როლს თამაშობს სექტორებს შორის და ქვეყნებს შორის კავშირები ფინანსური რისკების გავრცელებაში? რა სახის რისკები ერთვება ინვესტირებასა და დაკრედიტებაში?
-) რა როლი აქვთ ბანკებსა და სხვა ფინანსურ კორპორაციებს და როგორ ურთიერთქმედებენ ისინი დანარჩენ სამყაროსთან? რამდენად მზარდია მათი როლი? რას წარმოადგენს „ჩრდილოვანი ბანკინგი“ და რა სახის ახალი ფინანსური კორპორაციების გაჩენასთანაა იგი დაკავშირებული?
-) როგორ შევაფასოთ შინამეურნეობების უნარი დააგროვონ კაპიტალი და დააგროვონ ვალი? როგორ არის განაწილებული ეს ფენომენი შინამეურნეობების ჯგუფების მიხედვით?
-) სად ვეძებთ არაფინანსური კორპორაციების ფონდების გამოყენების წყარო გლობალიზაციის პირობებში? როგორ იცვლება კომპანიების ფინანსური ქცევები დროში?
-) რა მაჩვენებლებით შევაფასოთ მთავრობის ფინანსური მდგომარეობა? როგორ განვსაზღვროთ და შევაფასოთ მთავრობის ვალი?
-) როგორ უკავშირდება ეროვნული ეკონომიკა დანარჩენ სამყაროს ფინანსური რესურსების გადანაწილების თვალსაზრისით? როგორ ურთიერთქმედებენ ისინი?
-) რა განსხვავებაა ფინანსურ და არაფინანსურ სიმდიდრეს/დოვლათს შორის? ვინ ფლობს სიმდიდრეს/დოვლათს და როგორ არის ის დაგროვილი? როგორ მიიღება საბალანსო უწყისების სრული კომპლექტი სხვადასხვა სექტორების მიხედვით?
-) რატომაა ასე მნიშვნელოვანი ეკონომიკის ინსტიტუციური სტრუქტურის ცოდნა ფინანსური ანგარიშის არსის გასაგებად? როგორია საპენსიო ფონდებისა და სახელმწიფოს როლი საპენსიო რესურსების შექმნაში?
-) რა ვისწავლეთ ბოლო 2007-2009 წლების ფინანსური კრიზისიდან? როგორ განვახორციელოთ მონიტორინგი და როგორ შევაფასოთ რისკების წარმოქმნისა და გადაცემის მექანიზმები? რა სახის სტატისტიკა გვჭირდება ამისათვის? რა

როლი აქვს და რა რისკების მატარებელია „გლობალური მასშტაბით სისტემური მნიშვნელობის ფინანსური ინსტიტუტები“?

-) რა სახის სტატისტიკა იწარმოება და ქვეყნდება ფინანსურ ანგარიშთან და საბალანსო უწყისებთან დაკავშირებით? რა გამოყენება აქვთ ფინანსურ ანგარიშსა და საბალანსო უწყისებს?

ფინანსური ანგარიშის მეშვეობის სტატისტიკა აწარმოებს სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფორმაციას ეკონომიკის სექტორების მოწყვლადობისა და რისკების შესახებ; მისი მიზანია მონეტარული გადაცემის მექანიზმის დეტალური აღწერა და შესწავლა.

ფინანსური სტატისტიკა ერთგვარად ავსებს ეროვნულ ანგარიშთა სისტემას ფინანსურ სფეროში მიმდინარე პროცესების დეტალური აღწერით. იგი აღწერს, თუ **ვის მიერ** (ანუ რომელი სექტორის მიერ), **რა მასშტაბით**, **ვისთვის** (რომელი სექტორისათვის) და **რა ფორმით** გადანაწილდება ფინანსური რესურსები და რომელი ფინანსური შუამავალი არის ჩართული ფინანსურ ციკლში. სწორედ ამ გზით იკვლევენ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები, პოლიტიკის გამტარებლები, ფინანსური სექტორის სპეციალისტები თუ მკვლევარები ფინანსური სისტემის საფუძვლებს, შინამეურნეობების, საწარმოებისა თუ მთავრობის ფინანსურ ქცევებს.

ამდენად, ფინანსური სტატისტიკის შესწავლის სფეროა მაკროფინანსური კავშირურთიერთობები:

-) ფინანსური სექტორის შიგნით - ქვესექტორების დონეზე;
-) ფინანსურ სექტორსა და ეკონომიკის დანარჩენ სექტორებს შორის;
-) რეზიდენტ სექტორებსა და არარეზიდენტებს შორის.

ფინანსური სტატისტიკა, როგორც წარმოების, ისე შინაარსის თვალსაზრისით, საკმაოდ კომპლექსური და მრავალწახნაგოვანი სისტემაა. იგი ფინანსური ინსტრუმენტების მარაგებსა და ნაკადებს შეისწავლის მრავალი მიმართულებით. ფინანსური სტატისტიკის დეტალიზაციის დონე და ხარისხი დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, ანუ იმაზე, თუ რამდენად დეტალური ინფორმაციული წყაროებია მისი მწარმოებლების (შემდგენლების) განკარგულებაში, რამდენად მნიშვნელოვანია ესა თუ ის ინსტიტუციური სექტორი/ქვესექტორი ქვეყნის ეკონომიკისათვის, რომელი ფინანსური ინსტრუმენტებით ოპერირებენ მოცემული ეკონომიკის ეკონომიკური ერთეულები ადგილობრივ და საერთაშორისო ფინანსურ და კაპიტალის ბაზრებზე. აქ მნიშვნელოვანია აგრეთვე ანალიტიკური მოსაზრებები, რასაც სტატისტიკის ამ დარგზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია ემსახურება. აღნიშნულის შესაბამისია ფინანსური სტატისტიკის არც თუ მარტივი პრეზენტაციის ფორმებიც, რომლებიც, მათი აგების სირთულიდან გამომდინარე, ორ- და სამგანზომილებიან მატრიცას წარმოადგენს.

ორგანიზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის მარტივა საბალანსო უწყისის მსგავსია. იგი არ ასახავს ინფორმაციას კონტრაგენტი სექტორების შესახებ. მაგალითად, ასახავს არაფინანსური კორპორაციების მიერ სავალო ფასიანი ქაღალდების შექმნას, მაგრამ არ ახდენს ამ ფასიანი ქაღალდების გამომშვები სექტორის იდენტიფიცირებას.

სამგანიზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის მატრიცა ახდენს „ვისგან-ვის“ ინფორმაციის იდენტიფიცირებას, სადაც ფინანსური ინსტრუმენტების ნაშთები და ნაკადები წარმოდგენილია ფინანსური ინსტრუმენტებისა და კონტრაგენტი სექტორების მიხედვით. მაგალითად, სწავლობს არაფინანსური კორპორაციების მიერ სავალო ფასიანი ქაღალდების შექმნას, რომლებიც გამოშვებულია სამთავრობო სექტორის მიერ.

ფინანსური სტატისტიკა იმდენად დეტალურად წარმოადგენს იმ ზღვა ინფორმაციას, რაზედაც ზემოთ იყო საუბარი, რომ, რომ არა მისი წარმოდგენის ფორმებისა და მეთოდების მრავალფეროვანი შესაძლებლობები, ადვილი შესაძლებელი იქნებოდა მის მომხმარებელს გასჭირვებოდა სწორი დასკვნების გაკეთება არსებული ინფორმაციიდან.

რას წარმოადგენს ორგანიზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის მატრიცა?

ორგანიზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის მატრიცა აიგება:

-) ოპერაციების მიხედვით;
-) ნაშთების მიხედვით;
-) სხვა ნაკადების (ცალ-ცალკე გადაფასების და აქტივების სხვა ცვლილებების) მიხედვით;
-) მთლიანი ნაკადების მიხედვით.

მეთოდოლოგიის მიხედვით რეკომენდებულია, რომ ორგანიზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის წარმოება მოხდეს როგორც ერთი პერიოდისთვის, ისე რამდენიმე პერიოდის მიხედვით.

ოპერაციების მიხედვით ორგანიზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის მატრიცის მაგალითი მოტანილია ქვემოთ:

ცხრილი 5.4. ორგანოზომილებიანი ფინანსური სტატისტიკა: ოპერაციები¹⁵

	არაფინანსური კორპორაციები		ფინანსური კორპორაციები		მთავრობა		სხვა რეზიდენტები		ეროვნული ეკონომიკა, სულ		დანარჩენი სამყარო	
	აქტივების ცვლილება	ვალდებულებების ცვლილება	აქტივების ცვლილება	ვალდებულებების ცვლილება	აქტივების ცვლილება	ვალდებულებების ცვლილება	აქტივების ცვლილება	ვალდებულებების ცვლილება	აქტივების ცვლილება	ვალდებულებების ცვლილება	აქტივების ცვლილება	ვალდებულებების ცვლილება
მონეტარული ოქრო და სესხების სპეციალური უფლებები			0.4	-0.0					0.4	0.0	-0.0	0.4
ვალუტა და დეპოზიტები	16.9		41.1	29.1	-4.1		25.8		79.6	29.1	-14.7	35.8
სავალო ფასიანი ქაღალდები	27.9	-6.7	12.7	-0.8	1.6	15.8	-1.4		40.8	8.4	-35.7	-3.3
სესხები	-1.3	-1.4	-19.8	4.6	0.5	-7.7	0.1	-19.7	-20.4	-24.2	-2.4	1.4
საკუთარი კაპიტალი და საინვესტიციო ფონდების აქციები	14.4	28.6	9.7	52.4	1.0		-2.2		22.9	81.1	37.6	-20.6
დაზღვევა, საპენსიო და სტანდარტული საგარანტიო სქემები	0.7		-1.6	15.3	0.0		12.8		11.9	15.3	-0.3	-3.7
ფინანსური წარმოებულები	0.0	-0.2	2.4	4.6			1.5	0.9	3.9	3.6	-0.3	-0.0
სხვა დებიტორები/კრედიტორები	-40.5	7.5	12.6	-40.8	5.0	12.0	4.0	3.0	-18.9	-18.3	-0.2	-0.8
სულ	18.1	26.2	57.7	64.4	4.0	20.2	40.5	-15.9	120.1	94.9	-16.0	9.2
წმინდა ფინანსური ინვესტიციები (ფინანსური აქტივების წმინდა შეძენას მინუს ფინანსური ვალდებულებების წმინდა წარმოქმნა)		-8.1		-6.9		-16.2		56.4		25.2		-25.2

ამდენად, ფინანსური სტატისტიკის წარმოდგენა ხდება მატრიცის სახით, ერთი მხრივ ოპერაციების და, მეორე მხრივ, ნაშთების ასახვის მიზნით. ფინანსური ოპერაციები მოიცავს ფინანსურ აქტივებზე მფლობელობის შეცვლასთან დაკავშირებულ ყველა ოპერაციას, ფინანსური აქტივების წარმოშობისა და ლიკვიდაციის ოპერაციების ჩათვლით.

¹⁵ 5.4 და 5.5 ცხრილებში მოცემული პირობითი მონაცემები მოტანილია *Monetary and Financial Statistics Manual and Compilation Guide*-ის მიხედვით.

ფინანსური ოპერაციები წარმოადგენს ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით ოპერაციებს, ინსტიტუციურ სექტორებს შორის და მათსა და არარეზიდენტებს შორის.

რას გვიჩვენებს ფინანსური ოპერაციები?

1. ასახავს რეალურ ფინანსურ ოპერაციებს ანუ „ნაღდ ნაკადებს“ (და არა პირობით ოპერაციებს);
2. ფინანსური ოპერაციები შესაძლოა ეკორესპონდენტებოდეს არაფინანსურ ოპერაციებს, ან სხვა ფინანსურ ოპერაციებს (მაგალითად, აქციების შეძენა);
3. აღირიცხება სალდირებული სახით, კერძოდ -
 -) აქტივები: შეძენას მინუს გასხვისება,
 -) ვალდებულებები: წარმოქმნას მინუს დაფარვა (იხ. ცხრილი 5.4).

ოპერაციების მიხედვით შედგენილი ორგანოზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის მატრიცა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ფინანსური ანგარიშის მსგავსია (იხ. ცხრილი 5.2). თითოეული სექტორის მიხედვით ფინანსური აქტივების შეძენის და ვალდებულებების წარმოქმნის აღსარიცხავად გვაქვს ცალ-ცალკე სვეტები. ამ ორ მაჩვენებელს შორის სხვაობა წარმოადგენს **წმინდა ფინანსურ ინვესტიციებს**, განსხვავებით წმინდა გასესხება/სესხებისაგან ფინანსურ ანგარიშში, და იგი ოპერაციების მიხედვით შედგენილი ორგანოზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის მატრიცის ცენტრალური მაჩვენებელია.

რაში მდგომარეობს განსხვავება **წმინდა ფინანსურ ინვესტიციებსა** და კაპიტალის ანგარიშის დამაბალანსებელ მუხლს - **წმინდა გასესხება/სესხებას** შორის:

კაპიტალის ანგარიშის მიხედვით წმინდა გასესხება/სესხება იანგარიშება ფორმულით:

$$NL/NB \equiv \text{წმინდა დანაზოგი} + \text{წმინდა კაპიტალური ტრანსფერტები} - \text{წმინდა კაპიტალის ფორმირება.}$$

ხოლო ფინანსური ანგარიშის მიხედვით (ორგანოზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის ოპერაციების მატრიცის მიხედვით) წმინდა ფინანსური ინვესტიციები იანგარიშება ფორმულით:

$$NFI \equiv \text{ფინანსური აქტივების წმინდა შეძენა} - \text{ვალდებულებების წმინდა წარმოქმნა.}$$

თუმცა, საერთაშორისო დონეზე კონსენსუსი ჯერ კიდევ არ არის მიღწეული ამ განსხვავებასთან დაკავშირებით. ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, თუ ეს განსხვავება დარჩება, მაშინ მომხმარებელს დარჩება შთაბეჭდილება, რომ კაპიტალის ანგარიშის, ისევე როგორც ფინანსური ანგარიშის მონაცემთა ხარისხი არ არის შესაბამისი. ამის საწინააღმდეგოდ, მეორენი მიზანშეწონილად მიიჩნევენ განსხვავების გადანაწილებას

კაპიტალის ანგარიშის, ან ფინანსური ანგარიშის, ან ორივე ანგარიშის სხვადასხვა მუხლების მიხედვით. ერთი კი ცხადია, რომ როგორც კაპიტალის, ისე ფინანსური ანგარიშის შემდგენლებისთვის ეს განსხვავება ღირებული ინფორმაციაა, სიგნალია იმ თვალსაზრისით, რომ გამოკვლევას საჭიროებს მონაცემთა ხარისხი, განსხვავების მიზეზები, რომ საჭიროა დამატებითი წყაროების მოძიება და ა.შ.

ორგანიზაციებიანი ფინანსური სტატისტიკის მატრიცა მარაგების მიხედვით მსგავსია ეროვნულ ანგარიშთა სისტემის საბალანსო ანგარიშის. თითოეული სექტორის მიხედვით აქტივები და ვალდებულებები ცალ-ცალკე სვეტშია ასახული, ხოლო მათ შორის სხვაობა წარმოადგენს **წმინდა ფინანსურ მდგომარეობას**, რომელიც მარაგების მიხედვით შედგენილი ორგანიზაციებიანი ფინანსური სტატისტიკის მატრიცის ცენტრალური მაჩვენებელია.

ცხრილი 5.5. ორგანიზაციებიანი ფინანსური სტატისტიკა: მარაგები (საფინანსო უწყისი)

	არაფინანსური კორპორაციები		ფინანსური კორპორაციები		მთავრობა		სხვა რეზიდენტები		ეროვნული ეკონომიკა, სულ		დანარჩენი სამყარო	
	აქტივები	ვალდებულებები	აქტივები	ვალდებულებები	აქტივები	ვალდებულებები	აქტივები	ვალდებულებები	აქტივები	ვალდებულებები	აქტივები	ვალდებულებები
მონეტარული ოქრო და სესხების სპეციალური უფლებები			34.7	6.7					34.7	6.7	6.7	7.0
ვალუტა და დეპოზიტები	658.5		527.6	2658.3	241.9		1484.0		2911.9	2658.3	54.1	307.7
სავალო ფასიანი ქაღალდები	497.8	485.6	2305.0	680.1	25.6	1110.7	140.0		2868.4	2276.2	89.8	782.0
სესხები	102.7	1483.9	3093.3	668.9	174.1	307.1	3.6	1351.9	3373.8	3811.7	503.9	65.9
საკუთარი კაპიტალი და საინვესტიციო ფონდების აქციები	569.0	2219.5	897.7	2038.3	28.4		2260.7		3755.7	4257.8	600.3	98.2
დაზღვევა, საპენსიო და სტანდარტული საგარანტიო სქემები	11.8	0.0	13.6	632.1	24.2	0.0	594.1		643.7	632.1	18.6	30.3
ფინანსური წარმოებულები	14.2	9.2	35.8	56.8	0.0	0.0	15.6	9.3	65.6	75.3	14.7	5.0
სხვა დებიტორები/კრედიტორები	251.3	112.6	195.4	523.0	45.3	25.1	210.0	181.6	702.0	842.3	203.1	62.8
სულ	2105.4	4310.6	7103.0	7264.2	539.5	1442.9	4707.9	1542.7	14455.8	14560.4	1491.3	1359.1
წმინდა ფინანსური მდგომარეობა												
		-2205.2		-161.2		-903.4		3165.2		-104.6		132.2

სხვა ნაკადებისათვის გამოიყენება იგივე მატრიცა, რაც ოპერაციებისათვის (იხ. ცხრილი 5.4). ეს მატრიცა წარმოადგენს დამაკავშირებელ ინსტრუმენტს ოპერაციებსა და საწყისი და საბოლოო ბალანსების სხვაობას შორის. უფრო მეტი დეტალიზაციისა და ანალიზისათვის ცალ-ცალკე დგება მატრიცები აქტივების გადაფასებისა და სხვა ცვლილებებისათვის.

ორგანოზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის წარმოდგენის ფორმები გულისხმობს აგრეთვე კომბინირებული მატრიცის წარმოებას მარაგების, ოპერაციებისა და სხვა ნაკადების მონაწილეობით. ასეთი კომბინირებული მატრიცა შემდეგნაირად გამოიყურება:


ცხრილი 5.6. ორგანოზომილებიანი ფინანსური სტატისტიკა: მარაგები, ოპერაციები და სხვა ნაკადები

საწყისი ბალანსი	არაფინანსური კორპორაციები		ფინანსური კორპორაციები		მთავრობა		სხვა რეზიდენტები		უროვნული ეკონომიკა		დანარჩენი სატარო	
	აქტივები	პასივობები	აქტივები	პასივობები	აქტივები	პასივობები	აქტივები	პასივობები	აქტივები	პასივობები	აქტივები	პასივობები
მონეტარული ოქრო და სესხების სპეციალური უფლებები												
...												
სხვა დებიტორები / კრედიტორები												
სულ												
წმინდა ფინანსური მდგომარეობა (ფინანსურ აქტივებს შინუს ვალდებულებები)												
ოპერაციები პერიოდის განმავლობაში	გამოყვ	წყარო	გამოყვ	წყარო	გამოყვ	წყარო	გამოყვ	წყარო	გამოყვ	წყარო	გამოყვ	წყარო
მონეტარული ოქრო და სესხების სპეციალური უფლებები												
...												
სხვა დებიტორები / კრედიტორები												
სულ												
წმინდა ფინანსური ინვესტიციები (გამოყენებას შინუს რესურსები)												

სხვა ნაკადები პერიოდის განმავლობაში	აქტივების მართვა	ვალდებულებების მართვა	აქტივების მართვა	ვალდებულებების მართვა	აქტივების მართვა	ვალდებულებების მართვა	აქტივების მართვა	ვალდებულებების მართვა	აქტივების მართვა	ვალდებულებების მართვა	აქტივების მართვა	ვალდებულებების მართვა
	აქტივების მართვა	ვალდებულებების მართვა	აქტივების მართვა	ვალდებულებების მართვა	აქტივების მართვა	ვალდებულებების მართვა	აქტივების მართვა	ვალდებულებების მართვა	აქტივების მართვა	ვალდებულებების მართვა	აქტივების მართვა	ვალდებულებების მართვა
მონეტარული ოქრო და სესხების სპეციალური უფლებები												
...												
სხვა დებიტორები/კრედიტორები												
სულ												
სხვა წმინდა ნაკადები (აქტივების ცვლილებას მინუს ვალდებულებების ცვლილება)												
დამამთავრებელი ბალანსი	აქტივები	ვალდებულებები	აქტივები	ვალდებულებები	აქტივები	ვალდებულებები	აქტივები	ვალდებულებები	აქტივები	ვალდებულებები	აქტივები	ვალდებულებები
მონეტარული ოქრო და სესხების სპეციალური უფლებები												
...												
სხვა დებიტორები/კრედიტორები												
სულ												
წმინდა ფინანსური მდგომარეობა (ფინანსურ აქტივებს მინუს ვალდებულებები)												

ორგანიზაციების ფინანსური სტატისტიკის შინაარსისა და ფინანსურ სტატისტიკაში მისი ადგილის თვალსაჩინოდ და უკეთ გასაგებად ქვემოთ წარმოდგენილია სქემა:

სქემა 3.3.2.1 ორგანოზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის სქემატური ილუსტრაცია



სამგანზომილებიანი ფინანსური სტატისტიკა, ორგანოზომილებიანისაგან განსხვავებით, ასახავს კონტრაგენტ სექტორებსაც. ამ გზით იგი იძლევა „ვისგან-ვის“ ანალიზის საშუალებას, ანუ შეისწავლის თუ რომელი სექტორი რომელ სექტორს აფინანსებს, რომელი ფინანსური ინსტრუმენტის მეშვეობით და რა მოცულობით.

ოპერაციების შემთხვევაში სამგანზომილებიანი ფინანსური სტატისტიკა ასახავს ფინანსურ ოპერაციებში მონაწილე ორივე მხარეს და გამოყენებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს. ამ სტატისტიკას ხშირად ფონდების ნაკადების სტატისტიკის (Flow-of-Funds) სახელით მოიხსენიებენ.

სამგანზომილებიან ფინანსურ სტატისტიკას მარაგების შემთხვევაში, სადაც ასახულია როგორც კრედიტორი, ისე დებიტორი სექტორები და შესაბამისი ფინანსური ინსტრუმენტ(ებ)ი, მოიხსენიებენ აგრეთვე საბალანსო მიდგომის (BSA) სახელით.

ქვემოთ მოტანილია სამგანზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის მაგალითი გამარტივებული მატრიცის სახით, ორი სექტორისათვის:

ცხრილი 5.7. სამგანზომილებიანი ფინანსური სტატისტიკა (გამარტივებული მატრიცა)

დებიტორი/გამომშვები რეზიდენტობისა და სექტორების მიხედვით	ფინანსური კორპორაციები			მთავრობა			...
	აქტივი	ვალდებულება	წმინდა მდგომარეობა	აქტივი	ვალდებულება	წმინდა მდგომარეობა	...
ფინანსური კორპორაციები							
მონეტარული ოქრო და სესხების სპეციალური უფლებები							
ვალუტა და დეპოზიტები							
ფასიანი ქაღალდები აქციების გარდა							
სესხები							
აქციები და სხვა კაპიტალი დაზღვევა							
ფინანსური წარმოებულები							
სხვა დებიტორები/კრედიტორები							
მთავრობა							
მონეტარული ოქრო და სესხების სპეციალური უფლებები							
ვალუტა და დეპოზიტები							

ფასიანი ქაღალდები აქციების გარდა							
სესხები							
აქციები და სხვა კაპიტალი							
დაზღვევა							
ფინანსური წარმოებულები							
სხვა დებიტორები/კრედიტორები							
...							
<i>შენიშვნა: წმინდა მდგომარეობა, ანუ წმინდა ფინანსური მდგომარეობა = ფინანსურ აქტივებს - ვალდებულებები.</i>							

სამგანზომილებიანი ფინანსური სტატისტიკა საკმაოდ დეტალური ჩაშლების საშუალებას იძლევა. მაგალითად, დებიტორი და კრედიტორი სექტორები შეიძლება წარმოდგენილ იყოს ქვესექტორების ჭრილში, არარეზიდენტები - ქვეყნების ჭრილში, ინსტრუმენტები - ქვეინსტრუმენტების ჭრილში და ა.შ. იგი გამოიყენება როგორც მარაგების, ისე ოპერაციებისა და სხვა ნაკადების შესასწავლად.


ცხრილი 5.7-ის წარმოება შესაძლებელია როგორც კონსოლიდაციის წესით, ისე მის გარეშე. როცა მონაცემები კონსოლიდირებულია, ცხრილის დიაგონალზე (სექტორებს შიდა მარაგები) არსებული უჯრები ცარიელია. არაკონსოლიდირებული სამგანზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის წარმოება ანალიზისათვის უფრო მეტ ინფორმაციას იძლევა.

მარაგების მიხედვით სამგანზომილებიანი ფინანსური სტატისტიკა, როგორც საბალანსო მდგომარეობის ანალიზი, ფართოდ გამოიყენება მოწყვლადობის ანალიზისა და ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვადასხვა ტიპის უწონასწორობის/შუესაბამობის შესასწავლად. ასეთი შუესაბამობები შესაძლოა წარმოიშვას ვალუტების მიხედვით (სავალუტო შუესაბამობა, როცა უცხოური ვალუტით დენომინირებული ვალდებულებები აჭარბებს ამავე ვალუტით არსებულ აქტივებს), ვადიანობის მიხედვით (მოკლევადიანი ვალდებულებების პირობებში ადგილი აქვს გრძელვადიანი აქტივების, რაც წარმოშობს ჭარბი დაფინანსებისა და საპროცენტო განაკვეთების რისკებს) კაპიტალის სტრუქტურის მიხედვით (ზედმეტი დამოკიდებულება დავალიანებაზე, ვიდრე საკუთარ კაპიტალზე: მაღალი ლევერეჯი) და

გადახდისუნარიანობის მიხედვით (როცა დებიტორის აქტივები არ არის საკმარისი მისი ვალდებულებების, მათ შორის პირობითი ვალდებულებების დასაფარად)¹⁶.

სამგანზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის შინაარსისა და ფინანსურ სტატისტიკაში მისი ადგილის თვალსაჩინოდ და უკეთ გასაგებად ქვემოთ წარმოდგენილია სქემა:

სქემა 3.3.2.2. სამგანზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის სქემატური ილუსტრაცია



თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსური სტატისტიკის აქ მოტანილი მატრიცების ფორმატი, რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის „მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის სახელმძღვანელოს შესაბამისია, არ არის ერთადერთი. მაგალითად, ევროგაერთიანების ქვეყნები იყენებენ განსხვავებულ ფორმატსაც (ცხრილი 5.8):

¹⁶ ასლამაზიშვილი ნ., ვახვახიშვილი ნ. ეკონომიკის ცალკეულ სექტორში არსებული სავალუტო შეუსაბამობის ანალიზი: საბალანსო მიდგომა. ჟურნალი „ეკონომიკა და საბანკო საქმე. ტომი 4, N2, 2016. გვ.გვ.: 49-65. <https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2016/2/IV.pdf>.

ცხრილი 5.8. ფონდების ნაკადების სტრუქტურა

	ფინანსური კორპორაციები	მთავრობა	შინამეურნეობები	არაფინანსური კორპორაციები	დანარჩენი სამყარო
ფინანსური აქტივების წმინდა შეძენა					
მონეტარული ოქრო					
ფული და დეპოზიტები					
სავალო ფასიანი ქაღალდები					
სესხები					
აქციები და სხვა საკუთარი კაპიტალი					
დაზღვევა, საინვესტიციო და საგარანტიო სქემები					
სხვა მისაღები ანგარიშები					
ვალდებულებების წმინდა წარმოქმნა					
ფული და დეპოზიტები					
სავალო ფასიანი ქაღალდები					
სესხები					
აქციები და სხვა საკუთარი კაპიტალი					
დაზღვევა, საინვესტიციო და საგარანტიო სქემები					
სხვა გადასახდელი ანგარიშები					
წმინდა გასესხება/სესხება					

ამდენად, მოკლედ თუ შევაჯამებთ, თუ რას შეისწავლის ფინანსური სტატისტიკა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი ასახავს:

1. ორი სახის ინფორმაციას: ნაკადებს (ოპერაციებს და სხვა ნაკადებს) და ნაშთებს/მარაგებს;

2. ფინანსურ ნაკადებს სექტორებს შორის;
3. სექტორების ინვესტიციურ ქცევას;
4. სექტორების ფინანსურ მდგომარეობას (ნაშთებს/მარაგებს) და დავალიანებას;
5. კორპორაციების დაფინანსებას მოზიდული სახსრების/საკუთარი კაპიტალის ხარჯზე;
6. არაპირდაპირ ფინანსურ აქტივებს საპაიო ფონდებში, საპენსიო ფონდებში და ა.შ.

ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა სახის სტატისტიკა, ფინანსური სტატისტიკის ხარისხიც დიდადაა დამოკიდებული მონაცემთა წყაროების ხარისხზე. სტატისტიკის სხვა მიმართულებებისაგან განსხვავებით, ფინანსური სტატისტიკისათვის საჭირო ინფორმაციული წყაროები ხელმისაწვდომია სტატისტიკის სხვა სფეროებიდან. ანუ საჭირო მონაცემები უკვე მოპოვებული და დამუშავებულია სტატისტიკის სხვა მიმართულებების მიხედვით, თუმცა ისინი საჭიროებენ თავმოყრას, გაანალიზებას ფინანსური სტატისტიკის მოთხოვნების შესაბამისად და გამოყენებას.

ფინანსური სტატისტიკის წარმოებისათვის ძირითად წყაროს წარმოადგენს ცენტრალური ბანკის, სხვა დეპოზიტური კორპორაციებისა და სხვა ფინანსური კორპორაციების სექტორული ბალანსები, საგადასახდელო ბალანსი, საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა და ცენტრალური მთავრობის ოპერაციების ამსახველი ჩანაწერები. ინფორმაციის წყაროების ეს მრავალფეროვნება უკვე მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად ფართოა ფინანსური სტატისტიკის მაკროეკონომიკური მნიშვნელობა. შესაბამის კავშირურთიერთობებზე მსჯელობას მე-5 თავში გავაგრძელებთ.



დავალბა 1

გამოიყენეთ ტექსტში მოცემული მინიშნებები ფინანსური სტატისტიკის გამოყენებასთან დაკავშირებით ანალიზისა და პროგნოზირების მიზნებისათვის და შეაფასეთ შერჩეული ქვეყნის ფინანსური გარემო და მისი პერსპექტივები, რომელშიც ინსტიტუციურ სექტორებს უწევთ ოპერირება:

1. რა ძირითად ტენდენციებს ხედავთ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების განაწილებაში და გადანაწილებაში?
2. ხომ არა აქვს ადგილი სავალუტო და/ან ვადიანობის შეუსაბამობებს?
3. ხომ არ არის მოსალოდნელი პრობლემები კაპიტალის სტრუქტურასთან და გადახდისუნარიანობასთან დაკავშირებით?
4. სად ხედავთ ფინანსური გარემოს გაუმჯობესების შესაძლებლობებს?

შეისწავლეთ და გააანალიზეთ ეს საკითხები ეკონომიკის სექტორების მიხედვით და გააკეთეთ დასკვნები.

იმსჯელეთ თქვენი მიგნებების შესახებ ჯგუფში მეცადინეობისას, გაუზიარეთ თქვენი მოსაზრებები და წინადადებები ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით თქვენს მეგობრებს და მოისმინეთ შეფასებები.



ტესტი 1

რატომაა სხვა დეპოზიტური კორპორაციები მნიშვნელოვანი მონეტარული პოლიტიკის კონტექსტში?

1. რადგანაც ისინი იღებენ დეპოზიტებს შესანახად
2. რადგანაც ისინი გასცემენ სესხებს ეკონომიკურ ერთეულებზე
3. რადგანაც ისინი დეპოზიტებს აქცევენ გრძელვადიან აქტივებად
4. რადგანაც ისინი იღებენ გადაწყვეტილებას დეპოზიტების მიღებისა და სესხების გაცემის თაობაზე, რაც გავლენას ახდენს ეკონომიკაში ლიკვიდობის მოცულობაზე

ტესტი 2

მონეტარული მიმოხილვების რამდენ დონეს განიხილავს მონეტარული სტატისტიკა?

1. მიმოხილვების 2 დონეს
2. მიმოხილვების 3 დონეს
3. მიმოხილვების 4 დონეს
4. არსებობს მონეტარული მიმოხილვის მხოლოდ ერთი დონე

ტესტი 3

მონეტარული სტატისტიკის მოთხოვნები სექტორალური საბალანსო ანგარიშების აგებისადმი გულისხმობს მათ სტრუქტურირებას:

1. ინსტრუმენტების, ვალუტების, სექტორებისა და რეზიდენტობის მიხედვით
2. მხოლოდ ვალუტების მიხედვით
3. მხოლოდ ინსტრუმენტებისა და სექტორების მიხედვით
4. სექტორალური ბალანსების აგებისას მათი სტრუქტურიზება რაიმე ნიშნის მიხედვით აუცილებელი არ არის

ტესტი 4

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ ასახავს დამოკიდებულებას საბალანსო ანგარიშების საწყის ბალანსსა და საბოლოო ბალანს შორის?

1. საწყისი ბალანსი + ფინანსური ოპერაციები + გადაფასება + მოცულობის სხვა ცვლილებები = საბოლოო ბალანსი
2. საწყისი ბალანსი + ფინანსური ოპერაციები + გადაფასება + მოცულობის სხვა ცვლილებები - საბოლოო ბალანსი = 0
3. საწყისი ბალანსი - ფინანსური ოპერაციები - გადაფასება + მოცულობის სხვა ცვლილებები = საბოლოო ბალანსი
4. საწყისი ბალანსი + ფინანსური ოპერაციები = საბოლოო ბალანსი - (გადაფასება + მოცულობის სხვა ცვლილებები)

ტესტი 5

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულებაა სწორი:

1. სარეზერვო ფული არის ცენტრალური ბანკის მიმოხილვის ცენტრალური მაჩვენებელი
2. სარეზერვო ფული არის სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვის ცენტრალური მაჩვენებელი
3. სარეზერვო ფული არის ცენტრალური ბანკის ბალანსის საწყისი მუხლი
4. არცერთი არ არის სწორი

ტესტი 6

სარეზერვო ფულის შექმნას ასახავს:

1. სხვა ფინანსური კორპორაციების მიმოხილვა
2. დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა
3. სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა
4. ცენტრალური ბანკის მიმოხილვა

ტესტი 7

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ შეესაბამება სარეზერვო ფულის განმარტებას:

1. სარეზერვო ფული = ეროვნული ვალუტა მიმოქცევაში + კომერციული ბანკების დეპოზიტები ცენტრალურ ბანკში

2. სარეზერვო ფული = ეროვნული ვალუტა მიმოქცევაში + უცხოური ვალდებულებები
3. სარეზერვო ფული = ეროვნული ვალუტა მიმოქცევაში + სავალდებულო რეზერვები + ნაშთები საკორესპონდენტო ანგარიშებზე ეროვნულ ბანკში
4. სარეზერვო ფული = ცენტრალური ბანკის წმინდა უცხოური აქტივები + წმინდა საშინაო აქტივები + სადეპოზიტო ვალდებულებები

ტესტი 8

ჩამოთვლილთაგან რომელი არ შეესაბამება სარეზერვო ფულის განმარტებას:

1. სარეზერვო ფული = დეპოზიტები ეროვნული ვალუტით + დეპოზიტები უცხოური ვალუტით
2. სარეზერვო ფული = ეროვნული ვალუტა მიმოქცევაში + სხვა დეპოზიტური კორპორაციების დეპოზიტები ცენტრალურ ბანკში
3. სარეზერვო ფული = ეროვნული ვალუტა მიმოქცევაში + სხვა დეპოზიტური კორპორაციების სავალდებულო რეზერვები ეროვნულ ბანკში + სხვა დეპოზიტური კორპორაციების საკორესპონდენტო ანგარიშები ეროვნულ ბანკში + სხვა დეპოზიტური კორპორაციების სხვა დეპოზიტები ეროვნულ ბანკში
4. ზემოთჩამოთვლილთაგან არცერთი

ტესტი 9

ფართო ფულის კატეგორია არის:

1. დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვის ცენტრალური მაჩვენებელი
2. ცენტრალური ბანკის მიმოხილვის ცენტრალური მაჩვენებელი
3. სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვის ცენტრალური მაჩვენებელი
4. სხვა ფინანსური კორპორაციების მიმოხილვის ცენტრალური მაჩვენებელი

ტესტი 10

ჩამოთვლილთაგან რომელი ასახავს მონეტარული სტატისტიკის ძირითად იგივეობას:

1. წმინდა უცხოური აქტივები = ფართო ფული - წმინდა საშინაო აქტივები
2. წმინდა უცხოური აქტივები = ფართო ფული + წმინდა საშინაო აქტივები
3. მთლიანი უცხოური აქტივები = ფართო ფული - წმინდა საშინაო აქტივები
4. მთლიანი უცხოური აქტივები = ფართო ფული + წმინდა საშინაო აქტივები

ტესტი 11

ფართო ფულის შექმნას ასახავს:

1. დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა
2. ცენტრალური ბანკის მიმოხილვა
3. სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა
4. სხვა ფინანსური კორპორაციების მიმოხილვა

ტესტი 12

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ასახავს დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვის ძირითად იგივეობას:

1. ფართო ფული (M3 აგრეგატი) = წმინდა უცხოური აქტივები + წმინდა საშინაო აქტივები
2. ფართო ფული (M3 აგრეგატი) = უცხოური აქტივები + წმინდა საშინაო აქტივები
3. ფართო ფული (M3 აგრეგატი) = M2 აგრეგატი + უცხოური ვალდებულებები
4. არცერთი მათგანი არ ასახავს დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვის ძირითად იგივეობას

ტესტი 13

ჩამოთვლილთაგან რომელი შეესაბამება ფართო ფულის M3 აგრეგატის განმარტებას:

1. M3 აგრეგატი = M2 აგრეგატი პლუს დეპოზიტები უცხოური ვალუტით
2. M3 აგრეგატი = M2 აგრეგატი პლუს დეპოზიტები ეროვნული ვალუტით
3. M3 აგრეგატი = M1 აგრეგატი პლუს სავალდებულო რეზერვები
4. M3 აგრეგატი = M2 აგრეგატი პლუს სხვა დეპოზიტური კორპორაციების საკორესპონდენტო ანგარიშები ეროვნულ ბანკში

ტესტი 14

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ შეესაბამება დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვის ძირითად იგივეობებს:

1. მონეტარული აგრეგატი M2 = მონეტარული აგრეგატი M1 + ვადიანი დეპოზიტები ეროვნული ვალუტით
2. ფართო ფული (M3 აგრეგატი) = წმინდა უცხოური აქტივები - წმინდა უცხოური ვალდებულებები
3. ფართო ფული (M3 აგრეგატი) = მონეტარული აგრეგატი M2 + დეპოზიტები უცხოური ვალუტით

4. მონეტარული აგრეგატი $M1 = \text{ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული} + \text{დეპოზიტები მოთხოვნამდე ეროვნული ვალუტით}$

ტესტი 15

მონეტარულ მიმოხილვაში რას ნიშნავს წმინდა აქტივი უარყოფითი ნიშნით

1. წმინდა ვალდებულებას
2. მთლიან ვალდებულებას
3. მთლიან აქტივს
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 16

ფინანსური კორპორაციების მიმოხილვა წარმოადგენს:

1. დეპოზიტური კორპორაციებისა და სხვა ფინანსური კორპორაციების მიმოხილვების გაერთიანებას
2. ცენტრალური ბანკისა და სხვა ფინანსური კორპორაციების მიმოხილვების გაერთიანებას
3. ცენტრალური ბანკისა და სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვების გაერთიანებას
4. დეპოზიტური კორპორაციებისა და ცენტრალური ბანკის მიმოხილვების გაერთიანებას

ტესტი 17

ჩამოთვლილი პირობებიდან რომელი განსაზღვრავს ფულზე მოთხოვნის ზრდას (სხვა დანარჩენის უცვლელობის პირობებში; ერთზე მეტი პასუხი)

1. რეალური შემოსავლების (Y) ზრდა
2. ფასების დონის (P) ზრდა
3. ფასების დონის (P) შემცირება
4. არამონეტარულ აქტივებზე ნომინალური საპროცენტო განაკვეთის (r) ზრდა

ტესტი 18

მონიშნეთ სწორი პასუხი შემდეგი დებულების მართებულობის თაობაზე:

დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა მნიშვნელოვანია პოლიტიკის გამტარებელთათვის, რამდენადაც ყველა დეპოზიტური კორპორაციის საბალანსო

ანგარიშების კონსოლიდაცია ასახავს მონეტარული აგრეგატებისა და ეკონომიკაზე გაცემული კრედიტის ევოლუციას.

1. სწორია
2. არასწორია

ტესტი 19

ქვემოთ მოტანილი დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვის ცარიელ უჯრებში ჩაწერეთ შესაბამისი კომპონენტების რიგითი ნომერი:

1. მთავრობის წმინდა დავალიანება; 2. ფული მიმოქცევაში; 3. სხვა დეპოზიტები; 4. სხვა რეზიდენტი სექტორების დავალიანება; 5. მიმდინარე დეპოზიტები; 6. ფასიანი ქაღალდები, აქციების გარდა.

აქტივები	ვალდებულებები
წმინდა უცხოური აქტივები	ფართო ფული
წმინდა საშინაო აქტივები	
შიდა კრედიტი	
სხვა მუხლები, წმინდა	

ტესტი 20

დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვის რომელ აგრეგატს მიეკუთვნება მთავრობის დეპოზიტები დეპოზიტურ კორპორაციებში?

1. წმინდა უცხოურ აქტივებს
2. წმინდა შიდა აქტივებს
3. სხვა მუხლებს, წმინდა
4. ფართო ფულს

ტესტი 21

დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვის რომელ აგრეგატს მიეკუთვნება ნაღდი ფული მიმოქცევაში?

1. წმინდა უცხოურ აქტივებს
2. წმინდა შიდა აქტივებს
3. სხვა მუხლებს, წმინდა

4. ფართო ფულს

ტესტი 22

დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვის რომელ აგრეგატს მიეკუთვნება საწარმოებზე გაცემული სესხები?

1. წმინდა უცხოურ აქტივებს
2. წმინდა შიდა აქტივებს
3. სხვა მუხლებს, წმინდა
4. ფართო ფულს

ტესტი 23

დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვის რომელ აგრეგატს მიეკუთვნება უცხოური ვალუტა?

1. წმინდა უცხოურ აქტივებს
2. წმინდა შიდა აქტივებს
3. სხვა მუხლებს, წმინდა
4. ფართო ფულს

ტესტი 24

დეპოზიტური კორპორაციების რომელ აგრეგატს მიეკუთვნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა?

1. წმინდა უცხოურ აქტივებს
2. წმინდა შიდა აქტივებს
3. სხვა მუხლებს, წმინდა
4. ფართო ფულს

ტესტი 25

დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვის რომელ აგრეგატს მიეკუთვნება კაპიტალი?

1. წმინდა უცხოურ აქტივებს
2. წმინდა შიდა აქტივებს
3. სხვა მუხლებს, წმინდა
4. ფართო ფულს

ტესტი 26

დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვის რომელ აგრეგატს მიეკუთვნება მოთხოვნამდე, ვადიანი და შემნახველი დეპოზიტები?

1. წმინდა უცხოურ აქტივებს
2. წმინდა შიდა აქტივებს
3. სხვა მუხლებს, წმინდა
4. ფართო ფულს

ტესტი 27

რა ცვლილებებს გამოიწვევს ფართო ფულში (სხვა ფაქტორების მუდმივობის პირობებში) ცენტრალური ბანკის მიერ უცხოური ვალუტის შექმნა და იმავდროულად ეკვივალენტური თანხის (ეროვნულ ვალუტაში) სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვა?

1. ფართო ფულის ზრდას
2. ფართო ფულის შემცირებას
3. ფართო ფული არ შეიცვლება

ტესტი 28

რა ცვლილებებს გამოიწვევს ფართო ფულში (სხვა ფაქტორების მუდმივობის პირობებში) კერძო სექტორზე კრედიტების გაცემის ზრდა?

1. ფართო ფულის ზრდას
2. ფართო ფულის შემცირებას
3. ფართო ფული არ შეიცვლება

ტესტი 29

რა ცვლილებებს გამოიწვევს ფართო ფულში (სხვა ფაქტორების მუდმივობის პირობებში) კერძო სექტორზე კრედიტების გაცემის ზრდა და იმავდროულად ეკვივალენტური თანხით (ეროვნული ვალუტით) უცხოური ვალდებულებების ზრდა?

1. ფართო ფულის ზრდას
2. ფართო ფულის შემცირებას
3. ფართო ფული არ შეიცვლება

ტესტი 30

რომელი ძირითადი ფუნქცია განასხვავებს დეპოზიტურ კორპორაციებს სხვა ფინანსური შუამავლებისაგან?

1. დეპოზიტების მიღება შესანახად, გადახდის საშუალებების მიწოდება და ეკონომიკური აქტივობის ფულადი რესურსებით უზრუნველყოფა
2. საფონდო ბაზრებზე დილერების როლში საქმიანობა
3. დაზღვევის შეთავაზება ბუნებრივი კატასტროფების შემთხვევაში
4. საპენსიო ფონდების მობილიზება და პენსიების გაცემა

ტესტი 31

ფინანსური სტატისტიკის შესწავლის საგანია:

1. ეროვნული ეკონომიკის ყველა სექტორის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთები და ნაკადები
2. ეროვნული ეკონომიკის ყველა სექტორის ფინანსური და არაფინანსური აქტივების ნაშთები და ნაკადები
3. ეროვნული ეკონომიკის ფინანსური სექტორის ფინანსური და არაფინანსური აქტივების ნაშთები და ნაკადები
4. ეროვნული ეკონომიკის ყველა სექტორის ფინანსური აქტივების ნაშთები

ტესტი 32

ეროვნული ანგარიშების ანგარიშთა რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ფინანსური ანგარიში

1. მიმდინარე ანგარიშებს
2. დაგროვებით ანგარიშებს
3. საბალანსო ანგარიშებს
4. ზემოთ ჩამოთვლილთაგან არცერთს

ტესტი 33

ფონდების ნაკადების თეორიის ავტორია:

1. რიჩარდ სტოუნი
2. ჯონ მენარდ კეინსი
3. მორის კოპელანდი
4. ჩამოთვლილთაგან არცერთი

ტესტი 34

ფინანსური ანგარიში ასახავს (ერთზე მეტი პასუხი)

1. ფინანსურ ნაკადებს ინსტიტუციურ სექტორებს შორის;
2. ინსტიტუციური სექტორების ინვესტიციურ ქცევას;
3. ინსტიტუციური სექტორების ფინანსურ მდგომარეობას (ნაშთებს) და დავალიანებას;
4. კორპორაციების დაფინანსებას მოზიდული სახსრების/საკუთარი კაპიტალის ხარჯზე.

ტესტი 35

ფინანსური რესურსების „ვისგან-ვის“ ანალიზის საშუალებას იძლევა:

1. ორგანოზომილებიანი ფინანსური სტატისტიკა
2. სამგანზომილებიანი ფინანსური სტატისტიკა ნაკადების მიხედვით
3. სწორია 1 და 2 პასუხები
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 36

თეორიულად, ეროვნული ანგარიშების რომელი ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლის ტოლი უნდა იყოს ფინანსური ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლი „წმინდა გასესხება (+)/წმინდა სესხება (-)“

1. წარმოების ანგარიშის
2. შემოსავლების ფორმირების ანგარიშის
3. განკარგვადი შემოსავლის გამოყენების ანგარიშის
4. კაპიტალის ანგარიშის

ტესტი 37

სამგანზომილებიანი ფინანსური სტატისტიკა ოპერაციების მიხედვით ცნობილია აგრეთვე, როგორც:

1. ფინანსური ანგარიში
2. ფონდების ნაკადების ანგარიში
3. საბალანსო მიდგომა
4. ოპერაციების ანგარიში

ტესტი 38

სამგანზომილებიანი ფინანსური სტატისტიკა მარაგების მიხედვით ცნობილია აგრეთვე, როგორც:

1. ფინანსური ანგარიში
2. სხვა ნაკადების ანგარიში
3. ოპერაციების ანგარიში
4. საბალანსო მიდგომა

ტესტი 39

კაპიტალის ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია:

1. წმინდა ინვესტირება
2. წმინდა გასახება/სესხება
3. წმინდა სიმდიდრე
4. წმინდა ქონება

ტესტი 40

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მიხედვით ოპერაციებად განიხილება:

1. ეკონომიკური ნაკადები ინსტიტუციურ ერთეულებს შორის, ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე
2. სხვა ნაკადები, რომლებიც გულისხმობს ჰოლდინგურ მოგებას/ზარალს და აქტივების სხვა ცვლილებებს
3. სხვა ცვლილებები, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი კატაკლიზმებით
4. 1 და 2

ტესტი 41

ფინანსური სტატისტიკა შეისწავლის:

1. წარმოების პროცესს
2. შემოსავლების ფორმირების პროცესს
3. სესხება/გასესხებისა და ინსტიტუციურ სექტორებში წმინდა სიმდიდრის შექმნის პროცესს
4. რეალური სექტორის ფუნქციონირების პროცესს

ტესტი 42

სამგანზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის წარმოებისას რეკომენდებულია, რომ გატარებები იყოს მხოლოდ:

1. კონსოლიდირებული
2. არაკონსოლიდირებული
3. 1 და 2
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 43

სამგანზომილებიანი ფინანსური სტატისტიკა არ გამოიყენება ისეთი უწონასწორობის/შეუსაბამობის შესასწავლად, როგორცაა:

1. სავალუტო შეუსაბამობა
2. ვადიანობის შეუსაბამობა
3. კაპიტალის სტრუქტურის შეუსაბამობა
4. ჭარბვალიანობა

ტესტი 44

ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება ეროვნულ ანგარიშთა სისტემის დაგროვებით ანგარიშებს:

1. შემოსავლების ფორმირების ანგარიში
2. კაპიტალის ანგარიში
3. ფინანსური ანგარიში
4. აქტივებისა და ვალდებულებების სხვა ცვლილებების ანგარიში

ტესტი 45

ფინანსური ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია:

1. წმინდა დაზოგვა
2. წმინდა ვალდებულებები
3. წმინდა აქტივები
4. წმინდა გასესხება/სესხება

ტესტი 46

ფინანსური სტატისტიკის წარმოების სირთულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია მისი წარმოება დონეების მიხედვით. ფინანსური სტატისტიკის წარმოების რამდენი დონეა ცნობილი

1. 2
2. 3
3. 4

4. 5

ტესტი 47

რომელი დებულებაა მართებული: ინსტიტუციურ ერთეულებს/სექტორებს სავალუტო შეუსაბამობა წარმოექმნებათ, როცა

1. მათი შემოსავლები, ერთი მხრივ, და ხარჯები, მეორე მხრივ, სხვადასხვა ვალუტაშია დენომინირებული და, შესაბამისად, დროთა განმავლობაში მათ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის მკვეთრად ირღვევა წონასწორობა
2. მათი შემოსავლები, ერთი მხრივ, და ხარჯები, მეორე მხრივ, სხვადასხვა ვალუტაშია დენომინირებული, დროთა განმავლობაში მათ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის მკვეთრად ირღვევა წონასწორობა და შესაბამისად, ჩნდება სავალუტო რისკი
3. 1 და 2
4. არცერთი

ტესტი 48

რომელი დებულებაა მართებული

1. ამა თუ იმ ინსტიტუციური სექტორის უცხოური ვალუტით დენომინირებულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის წონასწორობის დარღვევისას სექტორი მოწყვლადი ხდება გაცვლითი კურსის ცვალებადობის მიმართ
2. ამა თუ იმ ინსტიტუციური სექტორის უცხოური ვალუტით დენომინირებულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის შეუსაბამობა სექტორს მოწყვლადს ხდის ფასების ცვალებადობის მიმართ
3. 1 და 2
4. არცერთი

ტესტი 49

რომელი დებულებაა მართებული

1. ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის ვადიანობის შეუსაბამობას ადგილი აქვს მაშინ, როცა ინსტიტუციური სექტორი გრძელვადიან აქტივებს აფინანსებს მოკლევადიანი ვალდებულებებით
2. ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის ვადიანობის შეუსაბამობას ადგილი აქვს მაშინ, როცა ინსტიტუციური სექტორი გრძელვადიან აქტივებს აფინანსებს გრძელვადიანი ვალდებულებებით
3. ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის ვადიანობის შეუსაბამობას ადგილი აქვს მაშინ, როცა ინსტიტუციური სექტორი მოკლევადიანი აქტივებს აფინანსებს მოკლევადიანი ვალდებულებებით

4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 50

ქვემოთ ჩამოთვლილი იგივეობებიდან რომელი არ ასახავს კავშირს საწყის ბალანსს, საბოლოო ბალანსსა და ფინანსურ ოპერაციებს შორის:

1. საწყისი ბალანსი + ფინანსური ოპერაციები + გადაფასება + აქტივების მოცულობის სხვა ცვლილებები = საბოლოო ბალანსი
2. საწყისი ბალანსი + ფინანსური ოპერაციები + გადაფასება + აქტივების მოცულობის სხვა ცვლილებები - საბოლოო ბალანსი = 0
3. საბოლოო ბალანსი = საწყისი ბალანსი + ფინანსური ოპერაციები + გადაფასება + აქტივების მოცულობის სხვა ცვლილებები
4. საწყისი ბალანსი + ფინანსური ოპერაციები + გადაფასება - აქტივების მოცულობის სხვა ცვლილებები = საბოლოო ბალანსი

ტესტი 51

ორგანიზომილებიანი კომბინირებული ფინანსური სტატისტიკის პრეზენტაცია გულისხმობს მატრიცას, რომელიც მოიცავს:

1. საწყისი ბალანსს, ფინანსურ ოპერაციებს, სხვა ნაკადებს და საბოლოო ბალანსს ყველა კონტრაგენტი სექტორისა და ყველა ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით
2. საწყისი ბალანსს, ფინანსურ ოპერაციებს, სხვა ნაკადებს და საბოლოო ბალანსს ყველა ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით, კონტრაგენტი სექტორების ასახვის გარეშე
3. საწყისი ბალანსს, ფინანსურ ოპერაციებს, სხვა ნაკადებს და საბოლოო ბალანსს ძირითადი კონტრაგენტი სექტორებისა და ყველა ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 52

ფინანსური ნაკადების შესახებ „ვისგან-ვის“ ინფორმაციას ასახავს

1. მონეტარული სტატისტიკა
2. ორგანიზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის მატრიცა
3. სამგანზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის მატრიცა
4. არცერთი

ტესტი 53

რა განსხვავებაა ორგანოზომილებიან და სამგანოზომილებიან ფინანსური სტატისტიკის მატრიცებს შორის?

1. ორგანოზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის მატრიცა არ იძლევა ინფორმაციას კონტრაგენტი სექტორების შესახებ, სამგანოზომილებიანი - იძლევა
2. ორგანოზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის მატრიცა იძლევა ინფორმაციას კონტრაგენტი სექტორების შესახებ, სამგანოზომილებიანი - არ იძლევა
3. ორგანოზომილებიანი და სამგანოზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის მატრიცებს შორის განსხვავება მათში ასახული ფინანსური ინსტრუმენტების რაოდენობაშია
4. ორგანოზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის მატრიცა ასახავს მხოლოდ ფინანსურ აქტივებს, ხოლო სამგანოზომილებიანი - აქტივებს და ვალდებულებებს

ტესტი 54

წმინდა ფინანსური ინვესტიციები ორგანოზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის მატრიცაში იგივეა, რაც:

1. წმინდა გასესხება
2. წმინდა სესხება
3. წმინდა გასესხება/სესხება
4. არცერთი არაა სწორი

ტესტი 55

წმინდა ფინანსური ინვესტიციები ორგანოზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის ოპერაციების მატრიცაში გაიანგარიშება როგორც:

1. ფინანსური აქტივების წმინდა შექენასა და ვალდებულებების წმინდა წარმოქმნას შორის სხვაობა
2. სხვაობა ფინანსური აქტივების შექენასა და გასხვისებას შორის
3. სხვაობა ფინანსური ვალდებულებების დაფარვასა და წარმოქმნას შორის
4. არცერთი არაა სწორი

ტესტი 56

ორგანოზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის მარაგების მატრიცის დამაბალანსებელი მუხლია

1. წმინდა ფინანსური პოზიცია
2. წმინდა ინვესტიციები
3. წმინდა ფინანსური ინვესტიციები

4. არცერთი

ტესტი 57

ორგანოზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის სხვა ნაკადების მატრიცა აიგება ოპერაციების მატრიცის ანალოგიურად. რა ეწოდება მის დამაბალანსებელ მუხლს?

1. წმინდა ფინანსური ინვესტიციები
2. წმინდა სხვა ნაკადები
3. წმინდა აქტივები
4. წმინდა ვალდებულებები

ტესტი 58

ორგანოზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის კომბინირებული მატრიცა მოიცავს:

1. მხოლოდ საწყის მარაგებს და საბოლოო მარაგებს
2. საწყის მარაგებს, ოპერაციებს და საბოლოო მარაგებს
3. საწყის მარაგებს, ოპერაციებს, სხვა ნაკადებს და საბოლოო მარაგებს
4. მხოლოდ ოპერაციებს და სხვა ნაკადებს

ტესტი 59

ფონდების ნაკადების სტატისტიკად იწოდება:

1. სამგანზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის ოპერაციების მატრიცა
2. სამგანზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის მარაგების მატრიცა
3. ორგანოზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის ოპერაციების მატრიცა
4. ორგანოზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის მარაგების მატრიცა

ტესტი 60

საბალანსო მიდგომად იწოდება:

1. სამგანზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის ოპერაციების მატრიცა
2. სამგანზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის მარაგების მატრიცა
3. ორგანოზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის ოპერაციების მატრიცა
4. ორგანოზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის მარაგების მატრიცა

ტესტი 61

საბალანსო მიდგომის გამოყენება ფინანსურ სტატისტიკაში გულისხმობს

1. მონაცემთა პრეზენტაციას თითოეული ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით, დებიტორებისა და კრედიტორების (სექტორებისა და ქვესექტორების მიხედვით) ჭრილში
2. მონაცემთა პრეზენტაციას თითოეული ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით მხოლოდ დებიტორების (სექტორებისა და ქვესექტორების მიხედვით) ჭრილში
3. მონაცემთა პრეზენტაციას თითოეული ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით მხოლოდ კრედიტორების (სექტორებისა და ქვესექტორების მიხედვით) ჭრილში
4. მონაცემთა პრეზენტაციას ყველა ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით ჯამურად, დებიტორებისა და კრედიტორების (სექტორებისა და ქვესექტორების მიხედვით) ჭრილში

ტესტი 62

ფინანსური ანგარიში ასახავს ოპერაციებს:

1. მხოლოდ ფინანსური ინსტრუმენტებით
2. ფინანსური ინსტრუმენტებით და ბალანსგარეთა მუხლებით
3. არაფინანსური ინსტრუმენტებით
4. 1 და 3-ით

ტესტი 63

ფინანსური სტატისტიკის წარმოება, მისი სირთულიდან გამომდინარე, ეტაპებად ხორციელდება და ყოველი მიმდევრო ეტაპი მეტი დეტალიზაციით გამოირჩევა. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტორი არ განაპირობებს ფინანსური სტატისტიკის დეტალიზაციის ხარისხს:

1. რამდენად სრულყოფილი და დეტალური ინფორმაციაა ხელმისაწვდომი მისი მწარმოებლებისათვის
2. რამდენად მნიშვნელოვანია ესა თუ ის ინსტიტუციური სექტორი/ქვესექტორი მოცემული ქვეყნისთვის
3. რომელი ფინანსური ინსტრუმენტებია მნიშვნელოვანი მოცემული ეკონომიკის ინსტიტუციური ერთეულებისათვის ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე ოპერირებისას
4. რამდენად სრულყოფილ ინფორმაციას იძლევა კაპიტალის ანგარიში

ტესტი 64

ოპერაციების მიხედვით შედეგენილი ორგანოზომილებიანი ფინანსური სტატისტიკის მატრიცის ცენტრალური მაჩვენებელია:

1. წმინდა ფინანსური ინვესტიციები

2. წმინდა ფინანსური მდგომარეობა
3. წმინდა საკუთარი კაპიტალი
4. წმინდა გასესხება/სესხება

ტესტი 65

სამგანზომილებიანი ფინანსური სტატისტიკა არ ასახვს ისეთი უწონასწორობას/შეუსაბამობას, როგორცაა:

1. სავალუტო შეუსაბამობა
2. ვადიანობის შეუსაბამობა
3. კაპიტალის სტრუქტურის შეუსაბამობა
4. შეუსაბამობა შინამეურნეობების შემოსავლებსა და ხარჯებს შორის

3.4. სამთავრობო ფინანსების სტატისტიკა

კურსის დასაწყისში, როდესაც ძირითად მაკროეკონომიკურ იგივეობებზე ვსაუბრობდით, ერთ-ერთი ბოლო იგივეობა, რომელსაც შევეხეთ ეს იყო იგივეობა დაზოგვა-ინვესტიციების ბალანსსა და მიმდინარე ანგარიშს შორის:

$$S - I = CAB.$$

ეს იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ ეროვნული ეკონომიკის დანაზოგებსა და განხორციელებულ ინვესტიციებს შორის სხვაობა (ეროვნული ანგარიშების მიხედვით) შეიძლება განისაზღვროს საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობით (საგარეო სექტორის ანგარიშებიდან), და პირიქით. ეს იგივეობა ნათლად ასახავს დამოკიდებულებას ქვეყნის რეალურ და საგარეო სექტორებს შორის.

თუ უფრო დეტალურ ანალიზს მოვიხდომებთ, ეს იგივეობა შეიძლება განვიხილავთ ეროვნულ ეკონომიკაში დანაზოგებისა და ინვესტიციები განმახორციელებელი მსხვილი ინსტიტუციების - მთავრობისა და კერძო სექტორის ჭრილში, რადგანაც დიდი მნიშვნელობა აქვს იმის შესწავლას, თუ რომელი სექტორის პასუხისმგებლობაა საგადასახდელო ბალანსის უარყოფითი ტენდენცია. ამ მიზნით, აღნიშნული იგივეობა შეიძლება შემდეგნაირად გარდავქმნათ:

$$(S_g + S_p) - (I_g + I_p) = CAB, \text{ ანუ}$$

$$(S_g - I_g) + (S_p - I_p) = CAB,$$

სადაც ***S_g*** და ***S_p*** სამთავრობო და კერძო სექტორების დანაზოგებია, ხოლო ***I_g*** და ***I_p*** - ამავე სექტორების მიერ განხორციელებული ინვესტიციები.

ანუ ეს იგივეობა იკითხება იმგვარად, რომ საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობა დამოკიდებულია ერთი მხრივ, მთავრობის, ხოლო მეორე მხრივ, კერძო სექტორის დანაზოგები-ინვესტიციების ბალანსზე.

სამთავრობო სექტორის დაზოგვა-ინვესტიციების სფეროში განხორციელებულ პოლიტიკას, შესაბამის მიზნულ-შედეგობრივ კავშირებს და გავლენებს სხვა სექტორებზე, ასევე ბევრ სხვა მიმართულებას, რომელიც მთავრობის შემოსავლებსა და ხარჯებს უკავშირდება, შეისწავლის სამთავრობო ფინანსების სტატისტიკა, როგორც მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი.

3.4.1. სამთავრობო ფინანსების არსი და ამოცანები

სამთავრობო ფინანსების სტატისტიკის, როგორც ფისკალური სფეროს სტატისტიკური შესწავლის საერთაშორისო სტანდარტის უმთავრესი ამოცანაა კომპლექსური კონცეპტუალური საფუძვლების ჩამოყალიბება ფისკალური და საბიუჯეტო პოლიტიკის, განსაკუთრებით კი სამთავრობო სექტორის საქმიანობის შეფასებისა და ანალიზისათვის.

სამთავრობო ფინანსების სტატისტიკა წარმოადგენს მთავრობის ფინანსური საქმიანობის ამსახველ მონაცემთა ეკონომიკური ანალიზის, დაგეგმვისა და პროგნოზირებისათვის მოსახერხებელი ფორმატით წარმოდგენის საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სისტემას. იგი გარკვეული სტატისტიკური ანგარიშების მეშვეობით ახდენს მთავრობის სხვა ეკონომიკურ ერთეულებთან ეკონომიკური ოპერაციების სისტემატიზაციას განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. მთავრობის ეკონომიკური ოპერაციები, რომლებიც უკავშირდება სამუშაო ძალის დაქირავებას, სამთავრობო მოხმარებას, საქონლისა და მომსახურების წარმოებას, გამოიხატება სამთავრობო შემოსავლებსა და ხარჯებში. ამ უკანასკნელთა შორის სხვაობა - დეფიციტი ან პრეფიციტი ასახავს მთავრობის საქმიანობის საბოლოო შედეგს. სამთავრობო ფინანსების სტატისტიკის დანიშნულებაა სამთავრობო სექტორის მასშტაბების ანალიზი, მისი როლის და მნიშვნელობის შეფასება ერთობლივი მოთხოვნის, ინვესტიციებისა და დაგროვების ფორმირებაში; ფისკალური და საბიუჯეტო პოლიტიკის ეკონომიკაზე გავლენის შესწავლა; სამთავრობო ფინანსების სტატისტიკა შეისწავლის, თუ რამდენად ეფექტიანად გამოიყენება სახელმწიფო სახსრები სიღარიბის შემცირების თვალსაზრისით, რამდენად მდგრადია ფისკალური და საბიუჯეტო პოლიტიკა.

სამთავრობო ფინანსების სტატისტიკის დამოუკიდებელ სტატისტიკურ სისტემად არსებობა განპირობებულია და აუცილებელია ეროვნული ეკონომიკის ფარგლებში სამთავრობო სექტორის მნიშვნელოვანი როლიდან გამომდინარე. სამთავრობო სექტორის ცნების განსაზღვრა, რომელიც სამთავრობო ფინანსების სტატისტიკის ამოსავალი კატეგორიაა, საშუალებას იძლევა დადგინდეს იმ ინსტიტუციური ერთეულების, კერძოდ კი, სახელმწიფო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების წრე, რომელთა შემოსავლები და ხარჯებიც ექვემდებარება სახელმწიფო ბიუჯეტში ასახვას. სამთავრობო სექტორი მოიცავს იმ ეკონომიკურ ერთეულებს, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ თავისი მმართველობითი ფუნქციების შესრულებასთან. ეს ფუნქციები მდგომარეობს, ერთი მხრივ, სამთავრობო პოლიტიკის გატარებაში არასაბაზრო ხასიათის მომსახურების გზით და, მეორე მხრივ, შემოსავლებისა და დოვლათის გადანაწილებაში საზოგადოების წევრებისათვის, რაც ხორციელდება გადასახადების მობილიზაციისა და პენსიებისა და სხვა სოციალური

დახმარებების გაცემით. ამდენად, მთავრობა ეკონომიკაზე გავლენას ახდენს ფისკალური პოლიტიკის, ხარჯვითი პოლიტიკისა და ფინანსური საქმიანობის (მაგ.: ფინანსურ ბაზრებზე ოპერაციების გზით) მეშვეობით. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პროცესების მონიტორინგი აუცილებელია და იგი ხორციელდება სწორედ სამთავრობო ფინანსების სტატისტიკის მეშვეობით. სტატისტიკის ამ დარგის მეთოდოლოგიურ საფუძველსა და წარმოების საერთაშორისო სტანდარტს წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდის “სამთავრობო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელო” (Government Finance Statistics Manual. 2014. International Monetary Fund. 2014). მისი მიზანია ფისკალური და საბიუჯეტო სტატისტიკის ეკონომიკური და აღრიცხვის პრინციპების შემუშავება, ასევე შესაბამისი მეთოდოლოგიური რეკომენდაციების ჩამოყალიბება. სამთავრობო ფინანსების სტატისტიკის დანიშნულებაა დირექტიული ორგანოებისა და ანალიტიკოსების უზრუნველყოფა სტატისტიკური ინფორმაციით სამთავრობო სექტორის ფინანსური ოპერაციებისა და ლიკვიდობის შესახებ. ამ მიზნით სამთავრობო ფინანსების სტატისტიკა ემყარება საბალანსო მაჩვენებელთა ისეთ ერთობლიობას, **როგორებიცაა წმინდა ოპერაციული ბალანსი, წმინდა გასესხება/სესხება, აქტივების წმინდა ღირებულების ცვლილება.**

სამთავრობო ფინანსების სტატისტიკის ჩამოყალიბების მეთოდოლოგიური სამუშაოები გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან იღებს სათავეს. შესაბამისი სახელმძღვანელოს პროექტი, ინგლისურ, ესპანურ და ფრანგულ ენებზე, დიდხანს იყო განხილვისა და დისკუსიის საგანი ფინანსთა სამინისტროების, ცენტრალური ბანკების, ეროვნული სტატისტიკური ორგანოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების სპეციალისტთა და ექსპერტთა წრეებში და საბოლოოდ 1986 წელს გამოქვეყნდა მისი პირველი გამოცემა. იგი იყო პირველი გზამკვლევი სამთავრობო ფინანსების სტატისტიკური შესწავლის საქმეში, თუმცა ნაკლებად იყო შესაბამისობაში იმ დროისათვის მოქმედ სხვა მაკროეკონომიკურ სტატისტიკურ სისტემებთან - ეროვნულ ანგარიშთა სისტემასთან, საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკასთან, მონეტარულ და ფინანსურ სტატისტიკასთან.

2001 წელს გამოქვეყნდა სამთავრობო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს მეორე გამოცემა, რომელიც წარმოადგენდა 1986 წელს გამოცემული ანალოგიური სახელმძღვანელოს გადამუშავებულ და განახლებულ ვერსიას. იგი ჰარმონიზებული იყო დანარჩენი მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემების შესაბამის სტანდარტებთან და მეტად პასუხობდა ფისკალური ანალიზის ამოცანებს. ამასთან, სამთავრობო ფინანსების სტატისტიკაში პირველად, მან შემოიღო საბალანსო ანგარიშების მიდგომა შესაბამისი სტატისტიკის შედგენისას.

სამთავრობო ფინანსების სტატისტიკის 2001 წლის სახელმძღვანელოს გამოქვეყნების შემდეგ, მსოფლიო მუდრუნობრივი პროცესების შემდგომი განვითარების, სხვადასხვა

გლობალური თუ რეგიონალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისების ფონზე, აუცილებელი გახდა გარკვეული ცვლილებებისა და გაუმჯობესებების განხორციელება საერთაშორისო სტატისტიკურ თეორიასა და პრაქტიკაში. შესაბამისად, საჭირო გახდა მოქმედი მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემების განახლება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2008 წელს გამოქვეყნდა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ახალი გამოცემა (2008 SNA), ხოლო 2009 წელს - საგადასახდლო ბალანსისა და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსის სახელმძღვანელო (BPM6); მიმდინარეობდა მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის სახელმძღვანელოს განახლება, რომელიც გამოიცა 2016 წელს (*Monetary and Financial Statistics Manual and Compilation Guide. Prepublication Draft. 2016*). შესაბამისად, განახლების პროცესს დაექვემდებარა სამთავრობო ფინანსების სტატისტიკის მეორე, 2001 წლის გამოცემაც.

2014 წელს გამოქვეყნდა სამთავრობო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს მესამე გამოცემა, რომელიც სრულ შესაბამისობაშია დანარჩენი მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემების განახლებულ ვერსიებთან.

მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემების ჰარმონიზაცია ნიშნავს იმის შესაძლებლობას, რომ ერთი მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემის, მაგალითად, სამთავრობო ფინანსების სტატისტიკის მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ინფორმაციის წყარო დანარჩენი სისტემებისათვის, და პირიქით.


სამთავრობო ფინანსების სტატისტიკის წარმოების ძირითადი კონცეფციები, კლასიფიკაციები და განმარტებები საკმაოდ უნივერსალურია იმისათვის, რათა გამოყენებადი იყოს ნებისმიერი ტიპის ეკონომიკის პირობებში, დამოუკიდებლად ქვეყნის სამთავრობო სექტორის ინსტიტუციური თუ სამართლებრივი სტრუქტურისა, სტატისტიკის განვითარების დონისა, ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების სახელმწიფო სისტემისა.

3.4.2. სამთავრობო ფინანსების წარმოების ჩარჩოები

სამთავრობო სექტორი ერთ-ერთია იმ ხუთი ინსტიტუციური სექტორიდან, რომლებიც მთლიანობაში ქმნიან ეროვნულ ეკონომიკას (არაფინანსური კორპორაციები, ფინანსური კორპორაციები, მთავრობა, შინამეურნეობები და შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციები). მასში გაერთიანებული ეკონომიკური ერთეულების ფუნქციაა სამთავრობო მომსახურების განხორციელება; ისინი იმყოფებიან სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ და ფინანსდებიან (ძირითადად) მთავრობის მიერ. სამთავრობო სექტორი მოიცავს უშუალოდ მთავრობას და საჯარო/სახელმწიფო

კორპორაციებს (საჯარო/სახელმწიფო ფინანსურ და საჯარო/სახელმწიფო არაფინანსურ კორპორაციებს). სამთავრობო სექტორის სტრუქტურა მოცემულია ქვემოთ (სქემა 3.4.2.1):

სქემა 3.4.2.1. სამთავრობო სექტორის სტრუქტურა



ცენტრალური მთავრობა წარმოადგენს იმ ინსტიტუციური ერთეულების ერთობლიობას, რომელთა დანიშნულებაა საზოგადოების კოლექტიური მომსახურება, როგორცაა ეროვნული თავდაცვა, საერთაშორისო ურთიერთობების დამყარება და წარმართვა, საზოგადოების უსაფრთხოების დაცვა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ასეთ ინსტიტუციურ ერთეულებს მიეკუთვნება სათანადო სამინისტროები და უწყებები.

ადგილობრივი მთავრობა პასუხისმგებელია ადგილობრივი რეზიდენტების კოლექტიურ მომსახურებაზე. იგი შედგება მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისაგან.


სახელმწიფო/საჯარო სექტორის მეორე სეგმენტია სახელმწიფო/საჯარო კორპორაციები, რომელიც შედგება ფინანსური და არაფინანსური კორპორაციებისაგან. სახელმწიფო ფინანსური კორპორაციები მოიცავს მონეტარულ ფინანსურ კორპორაციებს და არამონეტარულ ფინანსურ კორპორაციებს.

მონეტარული სახელმწიფო/საჯარო ფინანსური კორპორაციები მოიცავს როგორც ცენტრალურ ბანკს, ისე რეზიდენტ დეპოზიტურ კორპორაციებს, რომლებიც იმყოფებიან მთავრობის კონტროლის ქვეშ. ჩვენ ქვეყანაში მონეტარულ სახელმწიფო/საჯარო

ფინანსურ კორპორაციებს მიეკუთვნება მხოლოდ ეროვნული ბანკი, რადგანაც სხვა დეპოზიტური კორპორაციები სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არ არიან.

არამონეტარული სახელმწიფო/საჯარო ფინანსური კორპორაციები მოიცავს დანარჩენ ფინანსურ კორპორაციებს, რომელთა დანიშნულებაა ფინანსური შუამავლობა და რომლებიც ფლობენ ვალდებულებებს დეპოზიტების, ან სხვა ინსტრუმენტების სახით, რომლებიც თავიანთი ბუნებით ახლოს არიან დეპოზიტებთან.

სახელმწიფო/საჯარო არაფინანსური კორპორაციები გულისხმობს ყველა არაფინანსურ კორპორაციას, რომელთა დანიშნულებაა საქონლის წარმოება და მომსახურების გაწევა და რომლებიც კონტროლდებიან სახელმწიფოს მხრიდან.



ისევე, როგორც დანარჩენი მაკროეკონომიკური სისტემები, სამთავრობო სტატისტიკა იყენებს დარიცხვის მეთოდს ოპერაციების აღრიცხვისას.

დარიცხვის მეთოდი გულისხმობს იმას, რომ ნაკადების აღრიცხვა ხდება, როცა:

-)] იცვლება მფლობელობა საქონელზე;
-)] როცა ხდება მომსახურების მიწოდება;
-)] დგება გადასახადის გადახდის ვალდებულება;
-)] სოციალური ანარიცხების გადახდის მოთხოვნა დგება;

) ან სხვა უპირობო მოთხოვნები წარმოიქმნება.

ამდენად, ნაკადების აღრიცხვა ხდება გადახდის ფაქტობრივად განხორციელებისაგან დამოუკიდებლად. ჩანართი 1-ში აღწერილია განსხვავება დარიცხვისა და საკასო მეთოდებს შორის და ანგარიშებში მათი ასახვის მაგალითები.

ჩანართი 3.4.2.1. დარიცხვის მეთოდისა და საკასო მეთოდის გამოყენების შემთხვევები

ვთქვათ განათლების სამინისტრომ მშენებარე სკოლისათვის 2014 წელს შეიძინა 1 000 მერხი, თითოეული 70 ლარის ღირებულების. თუმცა, სკოლის მშენებლობა დამთავრდა 2015 წელს და მერხებიც ამ წელს გადაეცა სკოლას. ამ ოპერაციების შესაბამისი ჩანაწერები შემდეგნაირი იქნება:

	2014	2015
საქონლის (მერხების) შეძენა (საკასო მეთოდი)	70 000	0
საქონლის გამოყენება (დარიცხვის მეთოდი)	0	70 000
მარაგების ცვლილება	70 000	-70 000

აღსანიშნავია აგრეთვე სამთავრობო სტატისტიკაში გამოყენებული მონაცემთა კონსოლიდაციის მეთოდი (რაც ასევე გამოიყენება მონეტარულ სტატისტიკაში). რას წარმოადგენს კონსოლიდაცია? იგი არის მონაცემთა აგრეგაციის ხერხი/ტექნიკა, რომელიც გულისხმობს მონაცემთა დისაგრეგირებული დონიდან უფრო მაღალი აგრეგაციის დონეზე გადასვლისას, მონაცემთა არა უბრალო დაჯამებას, არამედ ქვესექტორებს შორის განხორციელებული ოპერაციების სალდირებას, რაც ემსახურება ორმაგი აღრიცხვის თავიდან აცილებას. სხვა სიტყვებით, კონსოლიდაცია ერთი და იგივე დონის ერთეულებს შორის ყველა ოპერაციისა და დებიტორულ-კრედიტორული ურთიერთობების ელიმინირებას გულისხმობს (იხ. ჩანართი 2). კონსოლიდაცია გვეხმარება შევაფასოთ სამთავრობო სექტორის გავლენა დანარჩენ ეკონომიკაზე.

თუმცა, მონაცემთა წარმოდგენის ამ ხერხსაც აქვს ნაკლი. კერძოდ, სალდირებისას იკარგება ზოგიერთი დეტალური მონაცემი, რაც თავის მხრივ ხელს უშლის ანალიტიკოსებს მიიღონ სრული სურათი მთავრობის ფინანსების მოძრაობის (ნაკადების) შესახებ.


ჩანართი 3.4.2.2. მთავრობის ანგარიშების კონსოლიდაცია

ქვემოთ მოცემულია მთავრობის ანგარიშების კონსოლიდაციის მაგალითი. თუ გვინდა ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობების ანგარიშების აგრეგაცია და მთავრობის ერთიანი ანგარიშის მიღება, მაშინ ყველა შესაბამის მუხლს ვაჯამებთ და ვიღებთ მთავრობის აგრეგირებულ ანგარიშს. თუმცა, ასეთი აგრეგაცია არ იძლევა საშუალებას გავიგოთ მთელი სამთავრობო სექტორის გავლენა დანარჩენ ეკონომიკაზე, რადგანაც სამთავრობო ერთეულებს (ქვესექტორებს) შორის ოპერაციები ორჯერ იქნება მასში ჩართული: როგორც ხარჯი (გამცემი ქვესექტორისათვის) და როგორც შემოსავალი (მიმღები სექტორისათვის). სწორედ ამ განმეორებითი აღრიცხვის ელიმინირების მიზნით ვიყენებთ კონსოლიდაციის მეთოდს, რაც ნიშნავს ქვესექტორებს შორის ყველა ოპერაციისა და დებიტორულ-კრედიტორული ურთიერთობების ელიმინირებას. ქვემოთ მოტანილია მაგალითი, როდესაც ცენტრალური მთავრობა ადგილობრივ მთავრობას აძლევს გრანტს 45 ერთეულის ოდენობით, რომელიც ამ ანგარიშების კონსოლიდაციისას არ უნდა მოხვდეს მთავრობის ანგარიშში.

	ცენტრალური მთავრობა	ადგილობრივი მთავრობა	მთავრობა
შემოსავლები	430	85	470
გადასახადები	400	40	440
გრანტები	30	45	30
ხარჯები	405	60	420
ხელფასი	280	35	315
საქონელი და მომსახურება	60	15	75
გრანტები	45	0	0
სხვა	20	10	30
წმინდა ოპერაციული ბალანსი	25	25	50

ეკონომიკური ნაკადები, ისევე როგორც აქტივები, ვალდებულებები და აქტივების ღირებულების ცვლილება (წმინდა ქონება) სამთავრობო ფინანსების სტატისტიკაში აღირიცხება საბაზრო ღირებულებით. თუმცა, თუ იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბაზრო ღირებულება, რომლებიც ივაჭრება ბაზრებზე, ადვილად ხელმისაწვდომია, ეს ხშირად შეუძლებელია ან გაძნელებულია იმ აქტივებისა და ვალდებულებებისათვის, რომლებზედაც ვაჭრობა ბაზრებზე იშვიათად ხდება, ან საერთოდ არ ხდება. აქედან გამომდინარე, ასეთი შემთხვევებისათვის გამოიყენება საბაზროსთან მიახლოებული ფასები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამთავრობო ფინანსების სტატისტიკა განკუთვნილია მთავრობის და სახელმწიფო/საჯარო სექტორის სტატისტიკური შესწავლისა და ანალიზისათვის. მისი მიზანია ფისკალური სექტორის კონცეპტუალური და საანგარიშგებო ჩარჩოების ფარგლებში, რომლებსაც განსაზღვრავს სამთავრობო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელო, მოიპოვოს, დაამუშაოს და გაავრცელოს სტატისტიკური ინფორმაცია ფისკალური პოლიტიკის ანალიზისა და სრულყოფის მხარდასაჭერად.



სამთავრობო ფინანსების სტატისტიკის სტრუქტურა ეფუძნება არაფინანსური და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთებს, ასევე აქტივების წმინდა ღირებულების ცვლილებას და ეკონომიკურ ნაკადებს, რომლებიც წარმოდგენილია რამდენიმე ანგარიშში. ეკონომიკური ნაკადები გულისხმობს ორი სახის ნაკადებს: ოპერაციებს და სხვა ეკონომიკურ ნაკადებს.

სამთავრობო ფინანსების სტატისტიკაში არაფინანსური და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთები, აქტივების წმინდა ღირებულების ცვლილება და ეკონომიკური ნაკადები ერთმანეთთან მჭიდროდ ინტეგრირებულია. ეს იმას ნიშნავს, რომ ნაშთებში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება ახსნადია შესაბამისი ნაკადებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ შორის არსებობს დამოკიდებულება:

$$S_1 = S_0 + F$$

სადაც S_0 და S_1 წარმოადგენს ნაშთებს პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის, ხოლო F - წმინდა ნაკადს პერიოდის განმავლობაში.

სამთავრობო ფინანსების სტატისტიკა ასახავს ორი სახის ნაკადებს: ოპერაციებს და სხვა ეკონომიკურ ნაკადებს.

ოპერაციები წარმოადგენს ორ ეკონომიკურ ერთეულს შორის ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე განხორციელებულ ურთიერთობებს. ისინი კლასიფიცირდება როგორც შემოსავლები, ხარჯები, არაფინანსური აქტივების წმინდა შექმნა, ფინანსური აქტივების წმინდა შექმნა ან ვალდებულებების წმინდა წარმოქმნა. შემოსავლებთან და ხარჯებთან დაკავშირებული *ოპერაციები განაპირობებს აქტივების წმინდა ღირებულების ცვლილებას.*

სხვა ეკონომიკური ნაკადები გულისხმობს აქტივებისა და ვალდებულებების ისეთ ცვლილებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული ოპერაციებთან. ასეთი ნაკადების ორ კატეგორიას განასხვავებენ: ჰოლდინგურ მოგება/ზარალს და აქტივებისა და ვალდებულებების სხვა ცვლილებებს.

ჰოლდინგური მოგება/ზარალი აქტივებისა და ვალდებულებების ისეთ ცვლილებებს უკავშირდება, რომლებიც გამოწვეულია, ერთი მხრივ, ფასების დონისა და სტრუქტურის, ხოლო მეორე მხრივ, გაცვლითი კურსის ცვალებადობით.

აქტივებისა და ვალდებულებების სხვა ცვლილებები გამოწვეულია ისეთი ეკონომიკურ ცვლილებებით, რომლებიც არ არის დაკავშირებული ოპერაციებთან და ჰოლდინგურ მოგება/ზარალთან. ასეთები შეიძლება იყოს, მაგალითად, ვალების ჩამოწერა, ან დანაკარგები კატასტროფების, სხვა ბუნებრივი მოვლენების ან ომების გამო, ასევე ახალი აქტივების (ბუნებრივი წიაღისეულის) აღმოჩენა, აქტივების გადაკლასიფიცირება.

ზემოაღნიშნული ნაკადების შესწავლისადმი კომპლექსური მიდგომა სამთავრობო ფინანსების სტატისტიკის ჩარჩოებში საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნეს მოთხოვნებისა და ვალდებულებების საწყისი და საბოლოო ბალანსების სრული ჰარმონიზაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ მოთხოვნის ან ვალდებულების დონე (ნაშთი) მოცემული საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის, გაზრდილი/შემცირებული პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ოპერაციებისა და სხვა ეკონომიკური ნაკადების ცვლილებების თანხით, უტოლდება მოთხოვნის ან ვალდებულების ნაშთებს საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის. აღნიშნული ინტეგრირებული სტატისტიკური მიდგომა საშუალებას იძლევა სრულად გაანალიზდეს სათანადო პოლიტიკისა და კონკრეტული ეკონომიკური მოვლენების შედეგები.

სამთავრობო ფინანსების სტატისტიკა შესაბამისი ნაშთებისა და ნაკადების აღწერის მიზნით იყენებს კლასიფიკაციებს. მაგალითად, შემოსავლების კლასიფიცირება ხდება იმის მიხედვით, მიეკუთვნება ისინი გადასახადებს (საგადასახადო შემოსავლები), თუ სხვა სახის შემოსავლებს; ხარჯები კლასიფიცირდება მიზნობრიობისა და ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით; აქტივები კლასიფიცირდება ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებად, ხოლო ფინანსური აქტივები და ვალდებულებები – როგორც ინსტრუმენტის სახეების მიხედვით, ისე სექტორების მიხედვით.

ამდენად, სამთავრობო სექტორი ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სექტორია. მისი საქმიანობა უკავშირდება:

-) გადასახადების შეგროვებას,
-) არასაბაზრო საქონლისა და მომსახურების წარმოებას,
-) შემოსავლების განაწილება ტრანსფერების სახით.

მთავრობის საქმიანობის თითოეული აღნიშნული მიმართულება მოითხოვს მთავრობის მიერ სხვა სექტორების დაფინანსებას, ან პირიქით. სწორედ ამ პროცესში თავს იჩენს დანარჩენ ეკონომიკაზე მთავრობის მაკროეკონომიკური გავლენა. ამ უკანასკნელისა და საერთოდ, მთავრობის საქმიანობის შესწავლას ემსახურება სწორედ სამთავრობო სექტორის სტატისტიკა.


სამთავრობო სტატისტიკის მიზანია შეისწავლოს, თუ რა გავლენას ახდენს მთავრობის საქმიანობა მაკროეკონომიკაზე და რამდენად სტაბილურია მისი საქმიანობა. ეს ხდება ოთხი ძირითადი ანგარიშის საფუძველზე. ესენია (იხ.სქემა 3.4.2.4):

სქემა 3.4.2.4. სამთავრობო ფინანსების სტატისტიკის ანგარიშები



ამასთან, მთავრობის საწყისი და საბოლოო საბალანსო ანგარიშები ასახავს ნაშთებს, ხოლო მთავრობის ოპერაციების ანგარიში და სხვა ეკონომიკური ნაკადების ანგარიში წარმოადგენს ნაკადებს, ხოლო დამოკიდებულება ამ ოთხ ანგარიშს შორის ჩვეულებრივი საბალანსო იგივეობით გამოიხატება:

სქემა 3.4.2.5. დამოკიდებულება სამთავრობო ფინანსების სტატისტიკის ანგარიშებს შორის



ამდენად, ზემოაღნიშნული ასახავს სამთავრობო ფინანსების სტატისტიკის ანგარიშების ზოგად სქემას. თუმცა, ეს სქემა სრულყოფილი ვერ იქნება, თუ არ გავარკვეით, თუ წარმოადგენს ფისკალური ანგარიშები და რომელია მისი მთავარი მუხლები, როგორ ხდება მთავრობის საქმიანობის დაფინანსება და ა.შ. თუმცა მანამდე განვიხილოთ სამთავრობო სტატისტიკის წარმოების პრინციპები.

3.4.3. მთავრობის ოპერაციების ანგარიში

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთავრობის ოპერაციების ანგარიშის, ისევე როგორც სხვა ეკონომიკური ნაკადების ანგარიშის დანიშნულებაა შესაბამისი ნაკადების აღრიცხვა.

მთავრობის ოპერაციების ანგარიში ასახავს:

- მთავრობის საქმიანობას წლის განმავლობაში, და
- აღრიცხავს ორი ძირითადი ტიპის ოპერაციას.

ეს ოპერაციებია:

<p>ოპერაციები, რომლებიც გავლენას ახდენს აქტივების წმინდა ღირებულების ცვლილებაზე (წმინდა ქონებაზე)</p> <ul style="list-style-type: none"> • შემოსავლები • ხარჯები
<p>ოპერაციები, დაკავშირებული</p> <ul style="list-style-type: none"> • არაფინანსურ აქტივებთან • ფინანსურ აქტივებთან და • ფინანსურ ვალდებულებებთან (დაფინანსებასთან)

განვიხილოთ რას გულისხმობს თითოეული მათგანი.

ცხრილი 2.1. ოპერაციები, რომლებიც გავლენას ახდენს აქტივების წმინდა ღირებულების ცვლილებაზე (წმინდა ქონებაზე)			
1	შემოსავლები	2	ხარჯები
1.1.	გადასახადები	2.1.	დასაქმებულთა შრომის ანაზრაურება
) შემოსავალზე, მოგებაზე) ხელფასი
) ქონებაზე) სოც.ანარიცხები
) საქონელსა და მომსახურებაზე	2.2.	საქონლისა და მომსახურების გამოყენება
) საერთაშორისო ვაჭრობაზე	2.3.	ძირითადი კაპიტალის მოხმარება
1.2.	სოციალური ანარიცხები	2.4.	პროცენტების გადახდა
) სოციალური უზრუნველყოფა) არარეზიდენტებისათვის
) სხვა) არასახელმწიფო რეზიდენტი სექტორისათვის

1.3.	გრანტები) სახელმწიფო სექტორის სხვა ერთეულებისათვის
) უცხოეთის მთავრობებიდან	2.5	სუბსიდიები
) საერთაშორისო ორგანიზაციებიდან	2.6	გრანტები
) სხვა მთავრობებიდან	2.7	სოციალური დახმარებები
1.4.	სხვა შემოსავლები	2.8	სხვა
) საკუთრებიდან შემოსავალი		
) პროცენტები		
) სხვა		

ყველა სახის ოპერაცია, რომელიც ზრდის მთავრობის აქტივების წმინდა ღირებულებას (წმინდა ქონებას), კლასიფიცირდება, როგორც შემოსავალი (იხ. ცხრილი 2.1). არსებობს სამი ძირითადი ტიპის შემოსავალი, როგორც შედეგი მთავრობის ფისკალური ოპერაციებისა: გადასახადები, სოციალური ანარიცხები და სხვა შემოსავლები. ზოგიერთ ქვეყანაში შემოსავლების აღნიშნულ წყაროებს ემატება გრანტები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამონაგები არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან შემოსავლებს არ მიეკუთვნება, რადგანაც ასეთი ოპერაციები გავლენას არ ახდენს აქტივების წმინდა ღირებულებაზე (წმინდა ქონებაზე), რამეთუ ასეთ შემთხვევაში საბალანსო ანგარიშში ერთი ტიპის აქტივი იცვლება მეორე ტიპის აქტივით.

ყველა სახის ოპერაცია, რომელიც ამცირებს მთავრობის აქტივების წმინდა ღირებულებას (წმინდა ქონებას), კლასიფიცირდება, როგორც ხარჯი (იხ. ცხრილი 2.1). ისევე, როგორც შემოსავლების შემთხვევაში, არაფინანსური აქტივების შეძენა არ კლასიფიცირდება როგორც ხარჯი, რადგანაც იგი არ ახდენს გავლენას მთავრობის აქტივების წმინდა ღირებულებაზე (წმინდა ქონებაზე): ერთი სახეობის აქტივი იცვლება მეორე სახეობის აქტივით.

ოპერაციების ბალანსი, რომლებიც გავლენას ახდენს აქტივების წმინდა ღირებულებაზე (წმინდა ქონებაზე) იწოდება „წმინდა ოპერაციულ ბალანსად“ და გამოისახება შემდეგი იგივეობით:

$$\text{შემოსავლები (R) - ხარჯები (E) = წმინდა ოპერაციული ბალანსი (NOB).}$$

ეს არის მთავრობის ოპერაციების მთავარი შედეგი და ზომავს მთავრობის აქტივების წმინდა ღირებულების (წმინდა ქონების) ცვლილებას.

ახლა განვიხილოთ მთავრობის ოპერაციების ის ნაწილი, რომლებიც დაკავშირებულია არაფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან. ეს ოპერაციები მთავრობის ოპერაციების ანგარიშში მოიცავს შემდეგი მუხლებს:

ცხრილი 2.2. აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული ოპერაციები

31	არაფინანსური აქტივები	32	ფინანსური აქტივები
311	ძირითადი კაპიტალი	321	საშინაო
) შენობები და ნაგებობები) ფული და ღებოზიტები
) მანქანები და მოწყობილობები) ფასიანი ქაღალდები, აქციების გარდა
) სხვა ფიქსირებული აქტივები) სესხები
312	მარაგები) აქციები და სხვა კაპიტალი
) სტრატეგიული მარაგები) დაზღვევის ტექნიკური რეზერვები
) სხვა მარაგები) ფინანსური წარმოებულები
313	ფასეულობები) სხვა მისაღები ანგარიშები
314	არაწარმოებული აქტივები	322	საგარეო
) მიწა) ფული და ღებოზიტები
) გრუნტის აქტივები) ფასიანი ქაღალდები, აქციების გარდა
) სხვა ბუნებრივი აქტივები) სესხები
) არამატერიალური არაწარმოებული აქტივები) აქციები და სხვა კაპიტალი
) დაზღვევის ტექნიკური რეზერვები
) ფინანსური წარმოებულები
) სხვა მისაღები ანგარიშები
		323	მონეტარული ოქრო და სესხის სპეციალური უფლებები
		324	ვალდებულებები
			საშინაო
) (იგივე მუხლები)
			საგარეო
) (იგივე მუხლები)

თუ წმინდა ოპერაციულ ბალანსს (*NOB*) გამოვაკლებთ არაფინანსური აქტივების წმინდა შეძენას (*NANA*), მივიღებთ წმინდა გასესხებას/სესხებას (*NLB*), ანუ

$$NOB - NANA = NLB.$$

თუ $NLB < 0$, ეს ნიშნავს, რომ მთავრობამ უნდა მიიღოს წმინდა დაფინანსება, რათა შეძლოს თავისი საქმიანობის განხორციელება: მან უნდა გაზარდოს ფინანსური ვალდებულებები, ან შეამციროს ფინანსური აქტივები (მაგალითად, თავისი ღებოზიტები საბანკო სისტემაში).

მეორე მხრივ, $NLB = 0$ ფინანსური აქტივების წმინდა შეძენას - ფინანსური ვალდებულებების წმინდა წარმოქმნა.

თუმცა, თავისი პოლიტიკის განხორციელების პროცესში მთავრობას უწევს წმინდა გასესხება/სესხებაში შეიტანოს კორექტივები. ეს უკავშირდება პრივატიზაციის თემას და სესხების გაცემას ზოგიერთ სექტორზე პოლიტიკური მოსაზრებებით.

იმისათვის, რომ ერთობლიობაში წარმოვიდგინოთ მთავრობის ოპერაციები და მათთან დაკავშირებული ძირითადი იგივეობები, განვიხილოთ მთავრობის ოპერაციების ანგარიშის სქემა (ცხრილი 2.3):

ცხრილი 2.3. მთავრობის ოპერაციების ანგარიში	
ოპერაციები, რომლებიც გავლენას ახდენს აქტივების წმინდა ღირებულების ცვლილებაზე:	
1	შემოსავლები
11	გადასახადები
12	სოციალური ანარიცხები
13	გრანტები
14	სხვა შემოსავლები
2	ხარჯები
21	დასაქმებულთა შრომის ანაზრაურება
22	საქონლისა და მომსახურების გამოყენება
23	ძირითადი კაპიტალის მოხმარება
24	პროცენტები
25	სუბსიდიები
26	გრანტები
27	სოციალური დახმარებები
28	სხვა ხარჯები
NOB/GOB	წმინდა/მთლიანი ოპერაციული ბალანსი (1-2)
ოპერაციები არაფინანსური აქტივებით:	
31	წმინდა/მთლიანი ინვესტიციები არაფინანსურ აქტივებში (არაფინანსური აქტივების წმინდა შეძენა; NANA)
311	ძირითადი კაპიტალი
312	მარაგები
313	ფასულობები
314	არაწარმოებული აქტივები
2M	დანახარჯები (2+31)
NLB	წმინდა გასესხება (+)/წმინდა სესხება (-); (1-2-31 = 1-2M = 32-33)
ოპერაციები ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით (დაფინანსება):	
32	ფინანსური აქტივების წმინდა შეძენა
321	ადგილობრივი
322	საგარეო
33	ვალდებულებების წმინდა წარმოქმნა
331	ადგილობრივი
332	საგარეო

ამდენად, მთავრობის ოპერაციების ანგარიში, ასახავს რა მთავრობის შემოსავლებთან და ხარჯებთან დაკავშირებულ ოპერაციებს, აგრეთვე არაფინანსურ აქტივებში წმინდა

ინვესტიციებს, ფინანსური აქტივების წმინდა შეძენასა და ვალდებულებების წმინდა წარმოქმნას, იძლევა ორ მნიშვნელოვან ანალიტიკურ იგივეობას:

-)] წმინდა ოპერაციულ ბალანსს (NOB) და
-)] წმინდა გასესხება (+)/წმინდა სესხებას (-) (NLB).

აქედან პირველი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზომავს მთავრობის ოპერაციებით გამოწვეულ აქტივების წმინდა ღირებულების (წმინდა ქონების) ცვლილებას, ხოლო მეორე გვიჩვენებს, თუ რამდენად ძალუძს მთავრობას დააფინანსოს ეკონომიკის სხვა სექტორები ან/და საზღვარგარეთი (თუ NLB დადებითია), ან რამდენად იყენებს იგი სხვა სექტორების ან/და დანარჩენი სამყაროს მიერ მიერ შექმნილ რესურსებს (თუ NLB უარყოფითია).

ამდენად, მთავრობის ოპერაციების ანგარიში (ცხრილი 2.3) სამი განყოფილებისაგან შედგება. ესენია:

-)] შემოსავლებთან და ხარჯებთან დაკავშირებული ოპერაციები;
-)] არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული ოპერაციები, და
-)] ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული ოპერაციები.

შემოსავლები ოპერაციებია, რომლებიც ზრდის მთავრობის აქტივების წმინდა ღირებულებას, მაშინ, როცა ხარჯები - პირიქით, წარმოადგენს ოპერაციებს, რომლებიც ამცირებს აქტივების წმინდა ღირებულებას.

შემოსავლებისა და ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია (შემოკლებული) წარმოდგენილია ცხრილ 3-ში. თუმცა ხარჯების კლასიფიცირება ხდება აგრეთვე მთავრობის ფუნქციების მიხედვით. ხარჯების ასეთი კლასიფიკაცია ემსახურება დეტალური ინფორმაციის დამუშავებას მთავრობის ფუნქციების განხორციელების მიზნებისათვის გაწეული დანახარჯების შესახებ. ეს ფუნქციებია:

-)] ზოგადი საჯარო მომსახურება;
-)] თავდაცვა;
-)] საზოგადოებრივი უსაფრთხოება;
-)] ეკონომიკა;
-)] გარემოს დაცვა;
-)] საცხოვრებელი და საზოგადოებრივი კეთილმოწყობა;
-)] ჯანდაცვა;
-)] დასვენება, კულტურა, რელიგია;
-)] განათლება;
-)] სოციალური დაცვა.

მთავრობის ოპერაციების ანგარიშის მეორე განყოფილება ასახავს არაფინანსური აქტივების წმინდა შეძენას, ანუ ოპერაციებს, რომლებიც ცვლის მთავრობის წმინდა ინვესტიციებს არაფინანსურ აქტივებში. არაფინანსური აქტივები ეკონომიკური აქტივებია, განსხვავებული ფინანსური აქტივებისაგან. ასეთი აქტივები ღირებულებათა ისეთი მარაგებია, რომლიდან სარგებელიც გამოიხატება მის გამოყენებაში საქონლისა და მომსახურების წარმოების პროცესში ან საკუთრებიდან მიღებულ შემოსავალსა და ჰოლდინგურ მოგებაში.

მთავრობის ოპერაციების ანგარიშის მესამე განყოფილება ასახავს ფინანსურ ოპერაციებს, რომლებიც ცვლის მთავრობის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობას. არსებობს მთავრობის ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული ოპერაციების რამდენიმე კლასიფიკაცია. სიმარტივისათვის ცხრილი 3 ასახავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციას რეზიდენტობის თვალსაზრისით (ადგილობრივი და საგარეო).

არსებობს აგრეთვე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია ფინანსური ინსტრუმენტის ტიპების მიხედვით (იმის ანალოგიური, რაც გამოიყენება მონეტარულ და ფინანსურ სტატისტიკაში). ეს ინსტრუმენტებია:

-) მონეტარული ოქრო და სესხის სპეციალური უფლებები,
-) ფული და დეპოზიტები,
-) სავალო ფასიანი ქაღალდები,
-) სესხები,
-) საკუთარი კაპიტალი და საინვესტიციო ფონდებისა და სხვა ერთეულების აქციები,
-) დაზღვევა, საპენსიო ფონდები და სტანდარტული საგარანტიო სქემები,
-) ფინანსური წარმოებულები და თანამშრომელთა ოფციონები აქციებზე,
-) სხვა დებიტორები/კრედიტორები.

უფრო დრმა ანალიტიკური მიზნებისათვის არსებობს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია, დაფუძნებული კონტრაგენტი ერთეულების სექტორებზე.

3.4.4. ნაღდი ფულის წყაროებისა და გამოყენების ანგარიში

მთავრობისა და სახელმწიფო/საჯარო სექტორის ლიკვიდობის შესწავლას ემსახურება ნაღდი ფული წყაროებისა და გამოყენების ანგარიში. იგი გვიჩვენებს ნაღდი ფულის მთლიან მოცულობას, რომელიც გენერირდება ან გაიწოვება მთავრობის მიმდინარე

ოპერაციული საქმიანობის, არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული ოპერაციების, ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული ოპერაციების (გარდა ფინანსური ინსტრუმენტისა „ვალუტა და დეპოზიტები“). ნაღდი ფულის მარაგის წმინდა ცვლილება წარმოადგენს აღნიშნული სამი წყაროდან მიღებული ნაღდი ფულის წმინდა ცვლილებათა ჯამს.

ცხრილი 2.4. ნაღდი ფულის წყაროებისა და გამოყენების ანგარიში	
ნაღდი ფულის ნაკადები ოპერაციული საქმიანობიდან:	
C1	ნაღდი ფულის ნაკადების შემოსავლები
C11	გადასახადები
C12	სოციალური ანარიცხები
C13	გრანტები
C14	სხვა შემოსავლები
C2	ნაღდი ფულის ნაკადების ხარჯები
C21	დასაქმებულთა შრომის ანაზრაურება
C22	საქონლისა და მომსახურების შეძენა
C24	პროცენტები
C25	სუბსიდიები
C26	გრანტები
C27	სოციალური დახმარებები
C28	სხვა გადასახდელები
C10	ნაღდი ფულის წმინდა შემოდინება ოპერაციული საქმიანობიდან (C1-C2)
ნაღდი ფულის ნაკადები არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული ოპერაციებიდან:	
C31	ნაღდი ფულის წმინდა გაღინება არაფინანსურ აქტივებში ინვესტიციებიდან
C311	ძირითადი კაპიტალი
C312	მარაგები
C313	ფასეულობები
C314	არაწარმოებული აქტივები
C2M	ნაღდი ფულის ნაკადების დანახარჯები (C2+C31)
CSD	ნაღდი ფულის პროფიციტი (+)/დეფიციტი (-); (C1-C2-C31 = 1-C2M = C32-C33)
ნაღდი ფულის ნაკადები ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული ოპერაციებიდან (დაფინანსება):	
C32x	ფინანსური აქტივების (გარდა ნაღდი ფულისა) წმინდა შეძენა
C321x	ადგილობრივი
C322	საგარეო
C33	ვალდებულებების წმინდა წარმოქმნა
C331	ადგილობრივი
C332	საგარეო
NFB	ნაღდი ფულის წმინდა შემოდინება ფინანსური საქმიანობიდან (C33-C32x)
NCB	ნაღდი ფულის მარაგების წმინდა ცვლილება (CSD+NFB)

განსხვავებით მთავრობის ოპერაციების ანგარიშისაგან, ნაღდი ფულის წყაროებისა და გამოყენების ანგარიშში ოპერაციები აღირიცხება საკასო აღრიცხვის მეოთხით. ამ

ანგარიშის ცენტრალური მაჩვენებლები და დამაბალანსებელი მუხლებია **ნაღდი ფულის პროფიციტი (+)/დეფიციტი (-) და ნაღდი ფულის მარაგების წმინდა ცვლილება**.

3.4.5. სხვა ეკონომიკური ნაკადების ანგარიში

სხვა ეკონომიკური ნაკადების ანგარიში ასახავს აქტივების, ვალდებულებებისა და აქტივების ღირებულების წმინდა ცვლილებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული ოპერაციებთან (ცხრილი 2.5). ამ ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია **აქტივების ღირებულების წმინდა ცვლილება, გამოწვეული სხვა ეკონომიკური ნაკადებით**.

ცხრილი 2.5. სხვა ეკონომიკური ნაკადების ანგარიში	
9	სხვა ეკონომიკური ნაკადებით გამოწვეული აქტივების ღირებულების წმინდა ცვლილება (4+5)
4	ჰოლდინგური მოგება/ზარალით გამოწვეული აქტივების ღირებულების წმინდა ცვლილება
41	არაფინანსური აქტივები
411	ძირითადი აქტივები
412	მარაგები
413	ფასულობები
414	არაწარმოებული აქტივები
42	ფინანსური აქტივები
43	ვალდებულებები
5	აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობის სხვა ცვლილებებით გამოწვეული აქტივების ღირებულების წმინდა ცვლილება
51	არაფინანსური აქტივები
511	ძირითადი აქტივები
512	მარაგები
513	ფასულობები
514	არაწარმოებული აქტივები
52	ფინანსური აქტივები
53	ვალდებულებები

სხვა ეკონომიკური ნაკადების ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლი განისაზღვრება როგორც ჰოლდინგური მოგება/ზარალით გამოწვეული აქტივების ღირებულების წმინდა ცვლილებისა და აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობის სხვა ცვლილებებით გამოწვეული აქტივების ღირებულების წმინდა ცვლილების ჯამი.

აქტივების ღირებულების წმინდა ცვლილება, რაც გამოწვეულია აქტივებისა და ვალდებულებების ჰოლდინგური მოგება-ზარალით, განისაზღვრება როგორც ჯამი ყველა დადებითი და უარყოფითი ჰოლდინგური მოგებისა და ჰოლდინგური ზარალისა

ყველა აქტივისა და ვალდებულებების მიხედვით, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს ფასების ცვლილებასთან ამ აქტივებზე და ვალდებულებებზე. გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენას ჰოლდინგურ მოგებაზე/ზარალზე ადგილი აქვს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივების/ვალდებულებების შემთხვევაში). ჰოლდინგური მოგება/ზარალი გამორიცხავს აქტივების/ვალდებულებების რაოდენობრივ ცვლილებებს.

აქტივების ღირებულების წმინდა ცვლილება, გამოწვეული აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობის სხვა ცვლილებებით უკავშირდება აქტივების/ვალდებულებების ღირებულებების ისეთ ცვლილებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული ოპერაციებთან ან ფასების ცვლილებებთან. ასეთი შეძლება იყოს არსებული აქტივების/ვალდებულებების განადგურება, დაკარგვა, ან გადაკლასიფიცირება.

აქტივებისა და ვალდებულებების ჰოლდინგური მოგება-ზარალისა და აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობის სხვა ცვლილებები ყოველთვის იწვევს აქტივების ღირებულების წმინდა (წმინდა ქონების) ცვლილებას. თუმცა, გამონაკლისს წარმოადგენს აქტივების/ვალდებულებების გადაკლასიფიცირება, რადგანაც ასეთ შემთხვევაში აქტივის/ვალდებულებების გადაჯგუფება ხდება ერთი საკლასიფიკაციო ჯგუფიდან მეორეში, რაც მის საერთო ღირებულებას არ ცვლის.

ამდენად, სხვა ეკონომიკური ნაკადების ანგარიში უმეტესწილად არ არის დაკავშირებული ფისკალურ პოლიტიკასთან. იგი შესაძლოა დაკავშირებული იყოს მონეტარულ პოლიტიკასთან, გაცვლითი კურსის ან ფასების პოლიტიკასთან და სხვა.

3.4.6. საბალანსო ანგარიში

საბალანსო ანგარიში წარმოადგენს ანგარიშს, სადაც აისახება აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთები გარკვეული თარიღისათვის (იხ. ცხრილი 2.6). საბალანსო ანგარიშის მთავარი დამაბალანსებელი მუხლია **აქტივების წმინდა ღირებულება (წმინდა ქონება)**. იგი გაიანგარიშება როგორც სხვაობა აქტივების მთლიან ღირებულებასა და ვალდებულებების მთლიან ღირებულებას შორის. აქტივების წმინდა ღირებულების ცვლილება წარმოადგენს ფისკალურ ინდიკატორს, რომელიც ახასიათებს ფისკალური აქტივობის მდგრადობას.

ცხრილი 2.6. საბალანსო ანგარიში

		საწყისი ბალანსი	საბოლოო ბალანსი
6	აქტივების წმინდა ღირებულება/წმინდა ქონება (61+62-63)		
61	არაფინანსური აქტივები		
611	ძირითადი აქტივები		
612	მარაგები		
613	ფასეულობები		
614	არაწარმოებული აქტივები		
62	ფინანსური აქტივები		
621	ადგილობრივი		
622	საგარეო		
63	ფინანსური ვალდებულებები		
631	ადგილობრივი		
632	საგარეო		

აქტივები, რომლებიც ასახულია საბალანსო ანგარიშში, წარმოადგენს ეკონომიკურ აქტივებს და განსაზღვრულია, როგორც რესურსები, რომლებზედაც არსებობს საკუთრების უფლება და საიდანაც მფლობელი იღეს ეკონომიკურ სარგებელს. ეს უკანასკნელი წარმოიშვება ეკონომიკური აქტივების ფლობისა და გამოყენებიდან პერიოდის განმავლობაში.

აქტივები არსებობს არაფინანსური და ფინანსური.

არაფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც:

-) ძირითადი აქტივები
-) მარაგები
-) ფასეულობები
-) არაწარმოებული აქტივები (მიწა, მინერალური და ენერგორესურსები, სხვა ბუნებრივი რესურსები და არამატერიალური არაწარმოებული აქტივები).

არაფინანსური აქტივების დეტალური კლასიფიკაცია მოცემულია ქვემოთ (ცხრილი 2.7):

ცხრილი 2.7. არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

61	არაფინანსური აქტივები
611	ძირითადი აქტივები
6111	შენობები და ნაგებობები
61111	საცხოვრისები
61112	სხვა შენობები
61113	სხვა ნაგებობები
61114	კულტივირებული მიწები
6112	მანქანები და მოწყობილობები
61121	სატრანსპორტო საშუალებები

61122			სხვა მანქანები და მოწყობილობები
6113			სხვა ძირითადი აქტივები
61131			კულტივირებული ბიოლოგიური რესურსები
61132			ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტები
6114			შეიარაღების სისტემები
612			მარაგები
613			ფასულობები
614			არაწარმოებული აქტივები
6141			მიწა
6142			მინერალური და ენერგორესურსები
6143			სხვა გამოვლენილი ბუნებრივი აქტივები
61431			არაკულტივირებული ბიოლოგიური რესურსები (ცხოველები, ფრინველები, თევზები და ა.შ.)
61432			წყლის რესურსები
61433			სხვა ბუნებრივი რესურსები
6144			არამატერიალური არაწარმოებული აქტივები
61441			კონტრაქტები, ლიზინგები და ლიცენზიები
61442			გუდვილი (პრესტიჟი, რეპუტაცია) და საბაზრო აქტივები (ბრენდის სახელი, სატიტულო მონაცემები, სავაჭრო ნიშანი, ლოგო, დომენის სახელი)

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება:

-) ინსტრუმენტების მიხედვით (იხ. ზემოთ);
-) ვადიანობის მიხედვით;
-) კონტრაგენტის რეზიდენტობისა და სექტორის მიხედვით.

ვალდებულებები წარმოიქმნება მაშინ, როცა ერთი ეკონომიკური ერთეული (დებიტორი) ვალდებულია, გარკვეული პირობების საფუძველზე, მიაწოდოს ფონდები ან სხვა რესურსები მეორე ეკონომიკურ ერთეულს (კრედიტორს). კლასიფიკაციების უმეტესობა, რომლებიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მიმართ, გამოყენებადია ვალდებულებების მიმართაც.

საბალანსო ანგარიში მთავრობის ფისკალური პოლიტიკის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

ჯერ ერთი, მასში ასახულია მთლიანი ვალდებულებების - მთლიანი დავალიანების ნაშთი. ეს უკანასკნელი შესაძლოა იყოს როგორც შიდა ისე საგარეო.

მეორე, საბალანსო ანგარიში იძლევა საშუალებას გავიანგარიშოთ აქტივების წმინდა ღირებულება (წმინდა ქონება), როგორც მთლიან აქტივებს გამოკლებული ვალდებულებები:

$$NW = A - L.$$

მესამე, საბალანსო ანგარიში იძლევა საშუალებას გავიანგარიშოთ ფინანსური აქტივების წმინდა ღირებულება (წმინდა ფინანსური ქონება), როგორც მთლიან ფინანსურ აქტივებს გამოკლებული ვალდებულებები:

$$NFW = FA - L.$$

3.4.7. აქტივების წმინდა ღირებულება

ამდენად, აქტივების წმინდა ღირებულება/წმინდა ქონება წარმოადგენს მთავრობის საბალანსო ანგარიშის დამაბალანსებელ მუხლს. მის ცვლილებას განაპირობებს, უპირველეს ყოვლისა, წმინდა ოპერაციული ბალანსის მდგომარეობა - დადებითია იგი უარყოფითი. ანუ, აქტივების წმინდა ღირებულების ცვლილებაზე გავლენა აქვს მთავრობის ოპერაციების ანგარიშის (იხ. ცხრილი 3) მთავარ იგივეობას -

$$R - E = NOB,$$

და მეორე მხრივ, სხვა ეკონომიკური ნაკადებით გამოწვეულ ცვლილებებს (ჰოლდინგური მოგება/ზარალი და მოცულობის სხვა ცვლილებები; იხ. ცხრილი 2.5).

აქტივების წმინდა ღირებულება გაიანგარიშება აგრეთვე, როგორც მთავრობის მთლიან აქტივებს გამოკლებული მთლიანი ვალდებულებები (იხ. მთავრობის საბალანსო ანგარიში; ცხრილი 6):

$$NW = A - L.$$

შესაბამისად, აქტივების წმინდა ღირებულების ცვლილება გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\Delta NW = \Delta A - \Delta L.$$

ამდენად, აქტივების წმინდა ღირებულების ცვლილება, რაც გამოწვეულია შემოსავლებთან და ხარჯებთან დაკავშირებული ოპერაციებისა და სხვა ეკონომიკური ნაკადების ცვლილებებიდან, ფისკალური ინდიკატორია და გამოიყენება მთავრობის ფისკალური საქმიანობის შესაფასებლად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აქტივების წმინდა ღირებულებასთან დაკავშირებით ადგილი აქვს შემდეგ იგივეობას:

$$\Delta NW = NW_t - NW_{t-1} = NOB + OEF,$$

სადაც NW_t არის აქტივების წმინდა ღირებულება საანგარიშო პერიოდში, NW_{t-1} - აქტივების წმინდა ღირებულება საანგარიშოს წინა პერიოდში, NOB - წმინდა ოპერაციული ბალანსი და OEF - სხვა ეკონომიკური ნაკადები.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ სხვა ეკონომიკური ნაკადების მნიშვნელობა, ეკონომიკის ნორმალური მდგომარეობისას, უმნიშვნელოა, ზემოაღნიშნული იგივეობიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ:

-) აქტივების წმინდა ღირებულების ცვლილება მთავრობის ფისკალური პოლიტიკის შედეგია (NOB);
-) დადებითი (უარყოფითი) წმინდა ოპერაციული ბალანსი იწვევს აქტივების წმინდა ღირებულების ზრდას (შემცირებას);
-) უარყოფითი წმინდა ოპერაციული ბალანსი, იწვევს რა აქტივების წმინდა ღირებულების შემცირებას, შეძლება გამოწვეული იყოს აქტივების შემცირებით ან/და ვალდებულებების ზრდით;
-) აქტივების წმინდა ღირებულების შემცირება ყოველთვის არ ნიშნავს მთავრობის ვალდებულებების ზრდას; იგი შეიძლება გამოწვეული იყოს აქტივების შემცირებით.

ამდენად, სამთავრობო სექტორისა და ფისკალური პოლიტიკის ანალიზის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი იგივეობები, რომლებიც ზემოთ აღწერილი ანგარიშების მთავარი დამაბალანსებელი მუხლებია:

წმინდა ოპერაციული ბალანსი (NOB) = შემოსავლები - ხარჯები
წმინდა გასესხება/სესხება (NLB)
= წმინდა ოპერაციული ბალანსი (NOB) - არაფინანსური აქტივების წმინდა შექენა (NANA)
= ფინანსური აქტივების წმინდა შექენა - ვალდებულებების წმინდა წარმოქმნა
მთლიანი ბალანსი (OB)
= წმინდა გასესხება/სესხება (NLB) კორექტირებული პოლიტიკასთან დაკავშირებული ფინანსური ოპერაციებით

მთლიანი ოპერაციული ბალანსი (GOB) = შემოსავლები - ხარჯები, ძირითადი კაპიტალის მოხმარების გამოკლებით
ნაღდი ფულის პროფიციტი/დეფიციტი
= ნაღდი ფულის შემოდინება ოპერაციული საქმიანობიდან
- ნაღდი ფულის გადინება არაფინანსურ აქტივებში ინვესტიციებიდან
მთლიანი პირველადი ბალანსი = მთლიანი ბალანსი (OB) + წმინდა პროცენტული ხარჯები
პირველადი ოპერაციული ბალანსი =
= წმინდა ოპერაციული ბალანსი (NOB) + წმინდა პროცენტული ხარჯები

გარდა ზემოაღნიშნულისა, უფრო დეტალური ფისკალური ანალიზის მიზნებისათვის გამოიყენება ისეთი დამატებითი ცვლადები და ბალანსები, როგორებიცაა:

მთლიანი ფისკალური ბალანსი	წმინდა გასესხება/სესხება, კორექტირებული აქტივებისა და ვალდებულებების იმ ოპერაციების გადაღებებით, რომლებიც განხორციელებულია საჯარო პოლიტიკის მიზნებისათვის. მაგალითად, პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები ჩაირთვება ფინანსურ მუხლებში, ისევე, როგორც სესხის ფორმით გაცემული სუბსიდიები აისახება, როგორც ხარჯები.
შესწორებული მთლიანი ფისკალური ბალანსი	მთლიანი ფისკალური ბალანსი (ან წმინდა გასესხება/სესხება), შესწორებული ზოგიერთი ან ყველა გრანტის გამოკლებით, ასევე ზოგიერთ ანკლავში განხორციელებული საქმიანობის შედეგებით (მაგალითად ნავთობის სექტორში), ან დიდი და არაპერიოდული ოპერაციებით, რომლებიც ამახინჯებენ ზოგად ფისკალურ სურათს,

მთლიანი პირველადი ბალანსი	მთლიანი ფისკალური ბალანსი წმინდა პროცენტული ხარჯების დამატებით.
პირველადი ოპერაციული ბალანსი	წმინდა ოპერაციული ბალანსი წმინდა პროცენტული ხარჯების დამატებით.
მთლიანი დაზოგვა	მთლიანი ოპერაციული ბალანსი მინუს მისაღები წმინდა კაპიტალური ტრანსფერები, დამატებული წმინდა კაპიტალური გრანტები და კაპიტალის გადასახადები.
ფისკალური ტვირთი	საგადასახადო შემოსავლები გაზრდილი სავალდებულო სოცდაზღვევის ანარიცხებით (პროცენტულად მშპ-სთან).
მთლიანი ხარჯები	დანახარჯები პლუს არაფინანსური აქტივების წმინდა შექენა (ფასეულობების გარდა, თუ შესაძლებელია).
მთლიანი ხარჯების სტრუქტურა	მთლიანი ხარჯების დეკომპოზიცია ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით.
მთავრობის საბოლოო მოხმარების ხარჯები	დასაქმებულთა ხელფასი პლუს საქონლისა და მომსახურების გამოყენება, პლუს ძირითადი კაპიტალის მოხმარება მინუს საქონლისა და მომსახურების გაყიდვა, პლუს შექენები შინამეურნეობებისათვის გადასაცემად (სოციალური დანხარებები ნატურაში).
მთლიანი ინვესტიციები	არაფინანსური აქტივების წმინდა შექენა (შექენას გამოკლებული გაყიდვები), ფასეულობების წმინდა შესყიდვების გარდა.
მთლიანი ვალდებულებები (ვალი)	ყველა ვალდებულების ნაშთი, გარდა აქციებისა და სხვა კაპიტალისა და ფინანსური წარმოებულებისა.
პირობითი ვალდებულებები	მთავრობის გარანტიით არებული ვალდებულებების ნაშთი პლუს სოციალური დაცვის სქემების ვალდებულებების წმინდა მიმდინარე ღირებულება.


3.4.8. ბიუჯეტის დაფინანსება

როცა წმინდა გასესხება/სესხება უარყოფითია ($NLB < 0$), მაშინ მთავრობა იწყებს ფიქრს მისი დაფინანსების წყაროებზე. ასეთი წყაროები შეიძლება იყოს ადგილობრივი და საგარეო.

ადგილობრივი დაფინანსებისათვის ორი სექტორი არსებობს: ფინანსური სექტორი და არაფინანსური კერძო სექტორი. პირველში იგულისხმება ცენტრალური ბანკი და კომერციული ბანკები, ხოლო მეორეში - შინამეურნეობები და საწარმოები.

ბიუჯეტის დაფინანსების მეორე წყაროა საზღვარგარეთი.

სქემა 3.4.8.1. ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროები



ამდენად, თუ $NLB < 0$, მაშინ ყველა წყაროდან მიღებული **წმინდა** დაფინანსება ნულზე მეტია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ თითოეული ინდივიდუალური წყაროდან მიღებული დაფინანსება დადებითია.



ამოცანები

ამოცანა 1. ცხრილში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე გაიანგარიშეთ ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობების შემოსავლები, ხარჯები და წმინდა ოპერაციული ბალანსი და გამოთვალეთ მთავრობის კონსოლიდირებული ანგარიში:

	ცენტრალური მთავრობა	ადგილობრივი მთავრობა	მთავრობა
შემოსავლები			
გადასახადები	540	65	605
გრანტები	50	55	
ხარჯები			
ხელფასი	320	45	365
საქონელი და მომსახურება	60	20	80
გრანტები	55	0	
სხვა	25	10	35
წმინდა ოპერაციული ბალანსი			

ამოცანა 2. ცხრილში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე გაიანგარიშეთ მთავრობის წმინდა ფინანსური ქონების ცვლილება:

არარეზიდენტებისაგან მიღებული დაფინანსება	10
მთავრობის ფასიანი ქაღალდების განთავსება ადგილობრივ ბაზარზე	80
მთავრობის დეპოზიტების ზრდა ცენტრალურ ბანკში	40
ვადაგადაცილებული დავალიანების შემცირება ადგილობრივი მომწოდებლებისადმი	15
დეპოზიტების შემცირება კომერციულ ბანკებში	5
გაიანგარიშეთ:	
წმინდა ფინანსური ქონების ცვლილება	$(40-5)-(10+80-15)=35-75=40$



ტესტი 1

მოცემულია, რომ მთავრობის წმინდა ოპერაციული ბალანსი - NOB = 0 (ე.ი. შემოსავლები=ხარჯებს). თუმცა, მთავრობა ზრდის ხარჯებს, რადგანაც საგარეო ვალთან დაკავშირებული მისი საპროცენტო ვალდებულებები იზრდება. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულებაა მართებული წმინდა ქონებაზე საპროცენტო ხარჯის ზრდის გავლენასთან დაკავშირებით (ერთზე მეტი პასუხი):

1. მთავრობამ უნდა ისესხოს, რათა დაფაროს დამატებითი ხარჯები;
2. მთავრობამ უნდა შეამციროს თავისი დეპოზიტები საბანკო სისტემაში, რათა დაფაროს დამატებითი ხარჯები;
3. მთავრობამ უნდა გაყიდოს თავისი აქტივები, რათა დაფაროს დამატებითი ხარჯები.
4. არცერთი ღონისძიება არ არის სწორი

ტესტი 2

ჩამოთვლილი სამი კატეგორიიდან: „არაფინანსური აქტივები“, „ფინანსური აქტივები“, „ფინანსური ვალდებულებები“, რომელს მიეკუთვნება ცენტრალური მთავრობის საბალანსო ანგარიშის შემდეგი მუხლები:

		არაფინანსური აქტივები	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები
1	შენიშვნები და ნაგებობები			
2	მატერიალური მარაგები			
3	ნავთობის მარაგები			
4	ნაღდი ფული და დეპოზიტები			
5	კერძო სექტორზე გაცემული სესხები			
6	სახელმწიფო კორპორაციების ფასიანი ქაღალდები			
7	საგარეო ვალი			

ტესტი 3

წმინდა სესხება/გასესხება გამოითვლება ფორმულით:

1. NOB – NANA (წმინდა ოპერაციული ბალანსი - არაფინანსური აქტივების წმინდა შეძენა)
2. NOB – Overall Balance (წმინდა ოპერაციული ბალანსი - მთლიანი ბალანსი)
3. Overall Balance – NANA (მთლიანი ბალანსი - არაფინანსური აქტივების წმინდა შეძენა)
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 4

ცხრილის შემასმენელში მითითებულ რომელ კატეგორიას მიეკუთვნება ქვემდებარეში ჩამოთვლილი ცენტრალური მთავრობის ოპერაციები:

		არაფინანსური აქტივების შეძენა	არაფინანსური აქტივების გაყიდვა	ფინანსური აქტივების შეძენა	ფინანსური აქტივების გაყიდვა	ვალდებულებების წარმოქმნა	ვალდებულებების შემცირება
1	შენიშვნების შეძენა						
2	სასაქონლო მარაგების გაყიდვა						
3	კერძო სექტორზე სესხის გავება						
4	სახელმწიფო საწარმოს აქციების გაყიდვა						
5	ვალის დაფარვა						
6	საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდების გაყიდვა						

ტესტი 5

სამთავრობო სტატისტიკის ერთ-ერთი იგივეობით: წმინდა გასესხება/სესხება = წმინდა ოპერაციული ბალანსი - არაფინანსური აქტივების წმინდა შეძენა, ანუ $NLB = NOB - NANA$. აქედან გამომდინარე, რამდენად სწორია შემდეგი დებულება:

$NOB > 0$, თუ შემოსავლები აჭარბებს ხარჯებს. ეს მატება შესაძლებელია მოხმარდეს არაფინანსური აქტივების შეძენას (დაგროვებას) და/ან წმინდა გასესხების ზრდას.

1. სწორია
2. არასწორია

ტესტი 6

სამთავრობო სტატისტიკის ერთ-ერთი იგივეობით: წმინდა გასესხება/სესხება = წმინდა ოპერაციული ბალანსი - არაფინანსური აქტივების წმინდა შეძენა, ანუ $NLB = NOB - NANA$. აქედან გამომდინარე, რამდენად სწორია შემდეგი დებულება:

დადებითი $NANA$ ნიშნავს, რომ მთავრობა იძენს მეტ არაფინანსურ აქტივებს (მაგ., შენობებს, ნაგებობებს, მატერიალურ მარაგებს), ვიდრე ყიდის. ეს წმინდა შეძენა ფინანსდება ან დადებითი წმინდა ოპერაციული ბალანსით, ან წმინდა სესხებით.

1. სწორია
2. არასწორია

ტესტი 7

სამთავრობო სტატისტიკის ერთ-ერთი იგივეობით: წმინდა გასესხება/სესხება = წმინდა ოპერაციული ბალანსი - არაფინანსური აქტივების წმინდა შეძენა, ანუ $NLB = NOB - NANA$. აქედან გამომდინარე, რამდენად სწორია შემდეგი დებულება:

თუ $NOB < 0$, ეს ნიშნავს, რომ მთავრობამ უნდა მოითხოვოს დაფინანსება ეკონომიკის სხვა სექტორებიდან იმავე თანხით.

1. სწორია
2. არასწორია

ტესტი 8

დავუშვათ, რომ მთავრობის წმინდა ოპერაციული ბალანსი - არაფინანსური აქტივების წმინდა შეძენა < 0 , ანუ $NOB - NANA < 0$. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ემსახურება დეფიციტის დაფინანსებას (ერთზე მეტი პასუხი):

მთავრობის მიერ -

1. ცენტრალური ბანკიდან საკუთარი დეპოზიტების გამოტანა
2. ადგილობრივი ბანკებიდან სესხის აღება
3. საგარეო ვალის შემცირება
4. სახელმწიფო საწარმოების აქციების გაყიდვა

ტესტი 9

როგორც ცნობილია აქტივების წმინდა ღირებულების (წმინდა ქონების) ცვლილება -

$$\Delta NW = NW_t - NW_{t-1} = NOB + OEF,$$

სადაც NW_t არის აქტივების წმინდა ღირებულება საანგარიშო პერიოდში, NW_{t-1} - აქტივების წმინდა ღირებულება საანგარიშოს წინა პერიოდში, NOB - წმინდა ოპერაციული ბალანსი და OEF - სხვა ეკონომიკური ნაკადები. ცნობილია ასევე, რომ ნორმალურ ვითარებაში OEF მნიშვნელობა უმნიშვნელოა. აქედან გამომდინარე, ქვემოთ მოტანილი დებულებებიდან რომელია სწორი (ერთზე მეტი პასუხი):

1. დადებითი NOB განაპირობებს აქტივების წმინდა ღირებულების (წმინდა ქონების ზრდას
2. დადებითი NOB განაპირობებს აქტივების წმინდა ღირებულების (წმინდა ქონების შემცირებას
3. უარყოფითი NOB განაპირობებს აქტივების წმინდა ღირებულების (წმინდა ქონების შემცირებას
4. უარყოფითი NOB განაპირობებს აქტივების წმინდა ღირებულების (წმინდა ქონების ზრდას

ტესტი 10

როგორც ცნობილია აქტივების წმინდა ღირებულების (წმინდა ქონების) ცვლილება -

$$\Delta NW = NOB + OEF,$$

NOB წმინდა ოპერაციული ბალანსია და OEF - სხვა ეკონომიკური ნაკადები. ცნობილია ასევე, რომ ნორმალურ ვითარებაში OEF მნიშვნელობა უმნიშვნელოა.

აქედან გამომდინარე რამდენად სწორია დებულება, რომ აქტივების წმინდა ღირებულების შემცირება ყოველთვის დაკავშირებულია მთავრობის ვალდებულებების ზრდასთან

1. სწორია
2. არასწორია

ტესტი 11

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შეესაბამება წმინდა ქონების განმარტებას?

1. წმინდა ქონება = ფინანსური აქტივები - ფინანსური ვალდებულებები
2. წმინდა ქონება = არაფინანსური აქტივები - არაფინანსური ვალდებულებები
3. წმინდა ქონება = მთლიანი აქტივები (ფინანსური და არაფინანსური) - ვალდებულებები
4. არცერთი არ შეესაბამება

ტესტი 12

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მიეკუთვნება მთავრობის შემოსავლებს? (ერთზე მეტი პასუხი)

1. ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადი
2. იურიდიული პირების საშემოსავლო გადასახადი
3. გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე
4. პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები

ტესტი 13

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მიეკუთვნება მთავრობის ხარჯებს? (ერთზე მეტი პასუხი)

1. ხელფასები
2. საქონლისა და მომსახურების გამოყენება
3. სუბსიდიები
4. ვალის ძირითადი თანხის გადახდა
5. ვალის მომსახურება

ტესტი 14

თუ წმინდა ოპერაციული ბალანსი $NOB > 0$ და ამავე დროს არაფინანსური აქტივების წმინდა შექენა $NANA < 0$, მაშინ წმინდა სესხებს/გასესხება NLB :

1. დადებითია
2. უარყოფითია

ტესტი 15

რამდენად სწორია შემდეგი დებულება:

სამთავრობო სექტორის წმინდა ქონება უდრის სხვაობას მთავრობის მთლიან აქტივებსა და ვალდებულებებს შორის

1. სწორია
2. არასწორია

ტესტი 16

რამდენად სწორია შემდეგი დებულება:

სამთავრობო სექტორის წმინდა ფინანსური ქონება უდრის სხვაობას მთავრობის მთლიან აქტივებსა და ვალდებულებებს შორის

1. სწორია
2. არასწორია

თავი 4. ურთიერთკავშირები მაკროეკონომიკურ სტატისტიკურ სისტემებს შორის

*თუ სტატისტიკა მოსაწყენია, ე.ი.
არასწორი მონაცემები გაქვთ.*

ედუარდ ტუფტე
იელის უნივერსიტეტის სტატისტიკის
პროფესორ-ემერიტუსი
1942

ჩვენი სახელმძღვანელოს ეს თავი გარკვეული შეჯამებაა იმ მასალის, რაც აქამდე განვიხილეთ და იმედია - შეისწავლეთ. მისი მიზანი არ არის უბრალოდ დასკვნის გაკეთება აქამდე განხილულ თემებთან დაკავშირებით. მისი მიზანია მომხმარებელს დაანახოს ურთიერთკავშირები მაკროეკონომიკურ ანგარიშებს შორის და დაეხმაროს იმ მოვლენებისა და პროცესების ახსნაში, რომელთაც ადგილი აქვთ მაკროეკონომიკურ კონტექსტში, მოცემული ეროვნული ეკონომიკის შიგნით და მის ურთიერთობებში დანარჩენ სამყაროსთან.

მაკროეკონომიკური სტატისტიკა წარმოადგენს მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ ჩარჩოს, რომლის დანიშნულებაა დაეხმაროს მომხმარებელს რაოდენობრივად ახსნას, თუ როგორ ფუნქციონირებს ეკონომიკა, როგორ ფუნქციონირებენ ბაზრები ერთად და ცალ-ცალკე, როგორ ურთიერთქმედებენ ერთმანეთზე ინსტიტუციური სექტორები ერთი ეროვნული ეკონომიკის შიგნით, ერთი მხრივ, და დანარჩენ სამყაროზე, მეორე მხრივ, რა გავლენა აქვს დანარჩენ სამყაროს ეროვნული ეკონომიკის შიგნით განვითარებულ ეკონომიკურ მოვლენებზე და ა.შ. ამ ამოცანების განხორციელებას მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემები ერთად და ცალ-ცალკე ახორციელებენ ერთმანეთში ჰარმონიზებული მეთოდოლოგიური კონცეფციებით, პრინციპებითა და კლასიფიკაციებით.

მაკროეკონომიკური სტატისტიკის წარმოების ფუნდამენტური პრინციპების განხილვისას ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ეს პრინციპები ჰარმონიზებულია მაკროეკონომიკურ სტატისტიკურ სისტემებს შორის, რაც განაპირობებს მათ შორის

მჭიდრო ურთიერთკავშირებს. ეს უკანასკნელი ძალზედ მნიშვნელოვანია გამომდინარე იქიდან, რომ თითოეული მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემა შეისწავლის ერთი მთლიანი ორგანიზმის - ეროვნული ეკონომიკის სხვადასხვა მხარეს. სწორედ ეს ურთიერთკავშირები მაკროეკონომიკურ სტატისტიკურ სისტემებს შორის აყალიბებს მყარ საფუძველს იმისათვის, რათა შესაძლებელი იყოს ამა თუ იმ ეროვნული ეკონომიკის მაკროსტატისტიკური მოდელის ფორმირება, განვითარების სხვადასხვა სცენარების შედგენა, მომავალი განვითარების ორიენტირების დადგენა და ა.შ. აღნიშნული კავშირურთიერთობების ცოდნა აუცილებელია ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დასადგენად და იმ მოწყვლადი ადგილების გამოსავლენად, რაც ხელს უშლის განვითარებას.

რა განაპირობებს ურთიერთკავშირებს მაკროეკონომიკურ ანგარიშებს შორის?

პასუხი მარტივია: სხვადასხვა ინსტიტუციური სექტორების ურთიერთქმედება, რაც რეალიზდება მათ მიერ საქონლითა და მომსახურებით, წარმოების ფაქტორებითა და ფინანსური აქტივებით ოპერაციების პროცესში.

გავიხსენოთ ეროვნულ ანგარიშთა სისტემა და მისი წარმოების ლოგიკა; მისი სტრუქტურა ეროვნული ეკონომიკის ინსტიტუციური სექტორების მიხედვით და დანარჩენ მსოფლიოსთან მისი მიმართება. ამგვარად მოდელირებული ანგარიშების ერთობლიობა ნათელი ილუსტრაციაა იმისა, რომ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის არსებობს ძალიან მჭიდრო, ლოგიკური, თანმიმდევრული და ურთიერთგანმაპირობებელი კავშირები, რაც გამოისახება შესაბამის იგივეობებში. ეს საშუალებას იძლევა იმისა, რომ თითოეული მაჩვენებელი, შესაბამისად, ეკონომიკური მოვლენა, იყოს ახსნადი მასთან კავშირში მყოფი სხვა ეკონომიკური მოვლენების მიმდინარეობით ან მდგომარეობით.

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ გავიხსენოთ ერთ-ერთი ძირითადი მაკროეკონომიკური იგივეობა:

$$Y + M = C_F + C_G + I_F + I_G + X$$

რაც ნიშნავს, რომ ერთობლივი მიწოდება (იგივეობის მარცხენა მხარე) უდრის ერთობლივი მოხმარების (კერძო და მთავრობის), ინვესტიციებისა (კერძო და მთავრობის) და ექსპორტის ჯამს.


რა მოხდება, თუ მაგალითად მთავრობა გადაწყვეტს გაზარდოს თავისი დანახარჯები $C_G + I_G$? იმისათვის, რომ აღნიშნული იგივეობა შესრულდეს უნდა გაიზარდოს მიწოდება, რაც ყოველთვის შესაძლებელი არ არის. ამიტომ უნდა შემცირდეს კერძო სექტორის დანახარჯები $C_P + I_P$ და/ან ასევე - ექსპორტი X . თუმცა, აღნიშნული იგივეობის შენარჩუნების ამ ორი საშუალებიდან რომელი უნდა განხორციელდეს, ან რომლის

განხორციელებაა მიზანშეწონილი, ამის შეფასება უნდა მოხდეს პოლიტიკის გამტარებლების მიერ, სათანადო მონაცემების ანალიზიდან გამომდინარე.

ზოგადად, მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის არსებობს ორი სახის დამოკიდებულება: **იგივეობრივი და ქცევითი**. იგივეობრივი დამოკიდებულება კონკრეტული იგივეობით გამოიხატება. ქცევითი დამოკიდებულება გვიჩვენებს, რომ ერთი კონკრეტული ინსტიტუციური სექტორის ქცევა იწვევს შესაბამის რეაგირებას სხვა სექტორ(ებ)ის ქცევაში; ანუ ქცევითი კავშირები გვხმარება დავადგინოთ ამა თუ იმ ოპერაციის განმსაზღვრელი კონკრეტული ფაქტორები.

სანამ კონკრეტულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა შორის კავშირების განხილვაზე გადავალთ, უპრიანია განვიხილოთ ერთი მარტივი სქემა, რომელიც ასახავს შესაბამის სექტორებს შორის ურთიერთკავშირებს.

სქემა 4.1. ძირითადი მაკროეკონომიკური კავშირები ინსტიტუციურ სექტორებს შორის



ამდენად, გამოიყოფა ექვსი ძირითადი ტიპის კავშირურთიერთობა ეკონომიკის სექტორებს შორის:

პირველი, რეალურ სექტორსა და სამთავრობო სექტორს შორის, ანუ ეროვნულ ანგარიშებსა და სამთავრობო ფინანსების სტატისტიკას შორის. ეს დამოკიდებულება იგივეობრივია. კერძოდ, ეროვნული ანგარიშების სამთავრობო მოხმარება სამთავრობო ფინანსების სტატისტიკაში ეკორესპონდენტება მიმდინარე დანახარებს, საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯებისა და ხელფასებზე გაწეული ხარჯების სახით. ამავე დროს, სახელმწიფო ინვესტიციები ეროვნულ ანგარიშებში ეკორესპონდენტება არაფინანსური აქტივების შეძენის ხარჯებს (კაპიტალური დანახარჯები) სამთავრობო ფინანსების სტატისტიკაში.

მეორე, რეალურ სექტორსა და საგარეო სექტორს შორის, ანუ ეროვნულ ანგარიშებსა და საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკას შორის. ეს დამოკიდებულებაც იგივეობრივია. საქონლისა და მომსახურების ექსპორტის და იმპორტის მონაცემები საგადასახდელო ბალანსში ეკორესპონდენტება ანალოგიურ მონაცემებს ეროვნულ ანგარიშებში. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ ეროვნული ანგარიშები იანგარიშება ეროვნულ ვალუტაში, მაშინ, როცა საგადასახდელო ბალანსის აგება ხდება უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარი ან ევრო). შესაბამისად, ამ ორი სექტორის მონაცემების შესაბამისობაში მოსაყვანად გამოიყენება გაცვლითი კურსი.

მესამე, საგარეო სექტორსა და სამთავრობო სექტორს შორის, ანუ საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკასა სამთავრობო ფინანსების სტატისტიკას შორის. ეს დამოკიდებულებაც იგივეობრივია. კერძოდ, უცხოეთიდან მიღებული გრანტები სამთავრობო ფინანსების სტატისტიკიდან საგადასახდელო ბალანსში ეკორესპონდენტება მეორადი შემოსავლების ანგარიშის ოფიციალურ (სამთავრობო) ტრანსაქციებს (კრედიტი); იმ შემთხვევაში თუ ეს გრანტები, მთლიანად ან ნაწილობრივ კაპიტალურ ხასიათს ატარებს, მაშინ იგი ეკორესპონდენტება საგადასახდელო ბალანსის კაპიტალური ანგარიშის შესაბამის მუხლს.

სამთავრობო სექტორის საგარეო დაფინანსება, სამთავრობო ფინანსების სტატისტიკიდან, უნდა აისახოს აგრეთვე საგადასახდელო ბალანსის ფინანსურ ანგარიშში, ჰორტიკული ინვესტიციებისა და/ან სესხების მუხლში.


მეოთხე, საგარეო სექტორსა და მონეტარულ სექტორს შორის, ანუ საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკასა მონეტარულ სტატისტიკას შორის. ეს დამოკიდებულებაც იგივეობრივია. კერძოდ, საგადასახდელო ბალანსში ასახული რეზერვების ცვლილება ეკორესპონდენტება უცხოური აქტივების ცვლილებას ცენტრალური ბანკის ანგარიშებში მონეტარული სტატისტიკის მიხედვით, ხოლო სხვა დეპოზიტური კორპორაციების უცხოური აქტივების ცვლილება ეკორესპონდენტება საგადასახდელო ბალანსის ჰორტიკული ინვესტიციებს, ფინანსურ წარმოებულებსა და სხვა ინვესტიციებს. ამ შემთხვევაშიც, სათანადო მაჩვენებელთა შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, გამოიყენება გაცვლითი კურსი, რადგანაც მონეტარული მაჩვენებლების გაანგარიშება ხორციელდება ეროვნული ვალუტით.

მეხუთე, მონეტარულ სექტორსა და სამთავრობო სექტორს შორის, ანუ მონეტარულ სტატისტიკასა და სამთავრობო ფინანსების სტატისტიკას შორის. წინა შემთხვევების მსგავსად, ეს დამოკიდებულებაც იგივეობრივია. კერძოდ, ცენტრალური ბანკისა და სხვა დეპოზიტური კორპორაციების ანგარიშებში ასახული მაჩვენებელი - წმინდა მოთხოვნები მთავრობისადმი ეკორესპონდენტება სამთავრობო სტატისტიკის ანგარიშებში ასახულ ადგილობრივი საბანკო სისტემიდან დაფინანსების მაჩვენებელს.

ბეუქსე, რეალურ სექტორსა და მონეტარულ სექტორს შორის, ანუ ეროვნულ ანგარიშებსა და მონეტარულ სტატისტიკას შორის. ეს დამოკიდებულება ქცევითი ხასიათისაა. პირველ რიგში, უნდა გავიხსენოთ, რომ მონეტარული ანგარიშების მიხედვით, წმინდა უცხოური აქტივებისა (*ΔNFA*) და/ან წმინდა სამინაო აქტივების ცვლილება (*ΔNDA*) იწვევს ფართო ფულის ცვლილებას (*ΔBML*). ამ უკანასკნელმა კი შესაძლოა, თავის მხრივ, გამოიწვიოს ცვლილებები ფულზე მოთხოვნის, ინფლაციის, წარმოების განვითარების სფეროებში. ასევე, მონეტარულ ანგარიშებში არასამთავრობო სექტორებისადმი მოთხოვნების ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს ცვლილებები რეალური სექტორის დაფინანსების სფეროში და შესაბამისად ამ სექტორის განვითარება, ან პირიქით, ამ პროცესის შეფერხება. თუმცა, ეს დამოკიდებულება გაცილებით უფრო რთულია და სხვა სექტორების მონაწილეობასაც გულისხმობს მეტ-ნაკლები ზომით, გამომდინარე იქიდან, რომ მონეტარული სექტორის ქცევებს უმეტესწილად განაპირობებს მისი კლიენტი სექტორების ქცევები.

ინსტიტუციურ სექტორებს შორის იგივეობრივ დამოკიდებულებებს კარგად ასახავს შემდეგი სქემა, სადაც მოცემულია რეალური სექტორი (ეროვნული ანგარიშები), სამთავრობო სექტორი, მონეტარული სექტორი და საგარეო სექტორი (საგადასახდელო ბალანსი) და მათი დამახასიათებელი ძირითადი ინდიკატორები:

სქემა 4.2. იგივეობრივი ურთიერთკავშირები მაკროეკონომიკური ანგარიშების მაჩვენებლებს შორის




მაკროეკონომიკურ სტატისტიკაში ნებისმიერი მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემა მნიშვნელოვანია, თუმცა, მთავართა შორის მთავარი არის ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. იგი მოიცავს საზოგადოების განვითარების ყველა სფეროს, ადგენს მაკროეკონომიკური სტატისტიკის წარმოების ძირითად პრინციპებს, თუმცა ამა თუ იმ

ეკონომიკის კომპლექსურობა მოითხოვს მისი მრავალწახნაგოვანი ბუნების მეტ სიღრმეებში წვდომას. ამას ემსახურებიან დანარჩენი მაკროეკონომიკური სისტემები: საგარეო სექტორის სტატისტიკა, მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა და სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკა.

4.1. სამთავრობო სექტორის მაკროეკონომიკური გავლენა რეალურ სექტორზე

დავუბრუნდეთ ინსტიტუციურ სექტორებს შორის მაკროეკონომიკური კავშირურთიერთობების სქემას (სქემა 4.1), აგრეთვე იგივეობრივი ურთიერთკავშირების სქემას (სქემა 4.2) მაკროეკონომიკური ანგარიშების მაჩვენებლებს შორის და ეს უკანასკნელი განვიხილოთ უფრო დეტალურად:

სქემა 4.1.1. იგივეობრივი კავშირები რეალურ სექტორსა და სამთავრობო სექტორს შორის



აგრეთვე უნდა გავიხსენოთ მიწოდება-მოთხოვნის ამსახველი იგივეობა,

$$Y + M = C_F + C_G + I_F + I_G + X$$

სადაც მთავრობის მოხმარება და ინვესტიციები მოთხოვნის კომპონენტებია, კერძო მოხმარებასა და ინვესტიციებთან და ექსპორტთან ერთად. ამდენად, ეს იგივეობა გვიჩვენებს, რომ **მთავრობა გავლენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნაზე.**

$$Y + M = (C_p + I_p) + (C_g + I_g) + X$$

რა მოხდება, თუ მთავრობა გაზრდის მოთხოვნას ($C_g + I_g$)?

პირველ რიგში, ეს ნიშნავს, რომ იგი ზრდის საქონლისა და მომსახურების მოხმარებას, ხელფასებს, ინვესტიციებს (ეს რა თქმა უნდა არ ნიშნავს, რომ ყველა ეს კომპონენტი იზრდება; შეიძლება რომელიმე მათგანი არ გაიზარდოს, ან შემცირდეს, ან განიცადოს უმნიშვნელო ცვლილება). მთავრობის მოთხოვნის ზრდის მაკროეკონომიკური გავლენა რეალურ სექტორზე რამდენიმე მიმართულებით ვლინდება:

-) მთავრობის მიერ საქონლისა და მომსახურების მოხმარების მოცულობის ზრდა გაზრდის მოთხოვნას ადგილობრივი წარმოების მიმართ, ან/და იმპორტის მიმართ;
-) თუ მთავრობა გაზრდის ხელფასებს, ეს გამოიწვევს მოთხოვნის ზრდას შინამეურნეობების მხრიდან და ინფლაციას;
-) მთავრობის მიერ ინვესტიციების ზრდა ასევე გამოიწვევს მოთხოვნის ზრდას და შესაბამისად ზეწოლას წარმოებასა და იმპორტზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რეალური სექტორი აღმოჩნდება იმ რეალობის წინაშე, რომ:

-) უნდა გაზარდოს წარმოება და/ან იმპორტი; ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, გავლენას იქონიებს სავაჭრო ბალანსზე.
-) ან უნდა შეამციროს კერძო სექტორის მოხმარება და ინვესტიციები, რისთვისაც მოუწევს მარეგულირებელი ღონისძიებების გატარება (ვთქვათ, შეზღუდვები ინვესტიციების განხორციელებაზე); ან ბანკების მხრიდან კრედიტის შეზღუდვა და ამით კერძო სექტორის სექტორის (არაფინანსური კორპორაციებისა და შინამეურნეობების) მოთხოვნის შემცირება. ეს ყველაფერი არაპოპულარული ღონისძიებებია, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, აფერხებს წარმოების განვითარებას.

თავისი გაზრდილი მოთხოვნების დასაფინანსებლად შეიძლება მთავრობამ მიმართოს ბანკებს დასაფინანსებლად, ან ისესხოს საზღვარგარეთიდან.

ვთქვათ, მთავრობამ მიმართა ცენტრალურ ბანკს სესხისთვის და ცენტრალურმა ბანკმა მას მიაწოდა სესხი. ამ შემთხვევაში მთავრობა, ახდენს რა ზეწოლას ცენტრალური ბანკის ბალანსზე (წმინდა სავაჭრო აქტივები + წმინდა საშინაო აქტივები = ფართო ფული), არაპირდაპირ ზეწოლას ახდენს რეალურ სექტორზე: მთავრობაზე გაცემული სესხის გამო, მონეტარული ანგარიშების ბალანსის შენარჩუნების მიზნით, ცენტრალურმა ბანკმა შესაძლოა სესხები შეუმციროს ბანკებს, რომლებიც თავის მხრივ დაფინანსებას

შეუმცირებენ დანარჩენ ეკონომიკას და შეაფერხებენ მის განვითარებას (ამაზე უფრო დეტალურად ქვემოთ შევჩერდებით).

თუ მთავრობა მიმართავს საზღვარგარეთიდან დაფინანსებას, მაშინ ეს გავლენას მოახდენს საგარეო სექტორის ანგარიშებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერ ეკონომიკაში სექტორებს შორის წმინდა ორმხრივი ურთიერთქმედების მაგალითები ძნელი მოსაძებნია. ეკონომიკების სირთულიდან გამომდინარე, ასეთი ურთიერთობები უმეტესად მულტისექტორულია. ამის მაგალითია იგივეობა დაზოგვა-ინვესტიციების ბალანსსა და მიმდინარე ანგარიშს შორის და შესაბამისი კავშირურთიერთობები.

4.2. საგადასახდლო ბალანსი აბსორბციისა და დაზოგვა-ინვესტიციების ბალანსის კონტექსტში

კურსის დასაწყისში, მოთხოვნა-მიწოდების იგივეობის განხილვისას, ჩვენ უკვე შევეხეთ სხვადასხვა მაკროეკონომიკურ იგივეობებს და ვისაუბრეთ მათ შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებებზე. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ურთიერთდამოკიდებულება იყო $GNDI = C + I + CAB$, ანუ $GNDI - (C + I) = CAB$.

მონმარებისა და ინვესტიციების ჯამი ($C + I$) განიხილება როგორც ადგილობრივი მონმარება, ანუ აბსორბცია. მაკროეკონომიკურ ანალიზში ერთ-ერთი საინტერესო მიდგომაა რას გულისხმობს ეს უკანასკნელი?

ეს გულისხმობს იმას, რომ მიმდინარე ანგარიშის მდგომარეობა განიხილება იმ ფაქტორების ფონზე, რომლებიც არ წარმოსდგება საგადასახდლო ბალანსიდან, მაგალითად არ ეხება საგარეო ვაჭრობას, ან სხვა საგარეო ფაქტორებს.

საგადასახდლო ბალანსის ანალიზი აბსორბციის კონტექსტში გულისხმობს იმას, რომ **მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი განიხილება, როგორც აბსორბციის გადაჭარბება მთლიან ეროვნულ განკარგვად შემოსავალზე**, გამომდინარე იქიდან, რომ -

$$GNDI - A = CAB.$$

ანუ სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი განიხილება, როგორც ეროვნული ეკონომიკის ანარეკლი, რომელიც ხარჯავს თავის შესაძლებლობებზე მეტს.

ასეთი შემთხვევაში როგორი შეიძლება სხვა სექტორების ქცევა მაკროეკონომიკური თვალსაზრისით?

პირველ რიგში, მონეტარული და ფისკალური სექტორები ამკაცრებენ თავიანთ პოლიტიკას მოხმარებისა და ინვესტიციების შეზღუდვისა და, შესაბამისად, აბსორბციის შემცირების მიზნით;

მეორე, მოკლევადიან პერიოდში რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის შემცირებით/გაუფასურებით მონეტარული სექტორი ახდენს გამოშვებისა და შემოსავლების ზრდის წახალისებას, რაც საშუალოვადიან პერიოდში ქმნის წარმოების გაფართოებისა და ინვესტიციების ზრდის შესაძლებლობას.

ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაკროეკონომიკური იგივეობა, რომლითაც დავასრულეთ მთავარი მაკროეკონომიკური იგივეობების განხილვა, იყო ქვეყნის დაზოგვა-ინვესტიციების ბალანსსა და მიმდინარე ანგარიშის ბალანსს შორის იგივეობა:

$$S - I = CAB.$$

ეს იგივეობა საშუალებას იძლევა **მიმდინარე ანგარიში განვიხილოთ დაზოგვა-ინვესტიციების ბალანსის კონტექსტში.**

რადგანაც, როგორც დაზოგვაზე, ისე ინვესტიციებზე პასუხისმგებლობები ეკუთვნის როგორც მთავრობას, ისე კერძო სექტორს, ზემოაღნიშნული იგივეობის გარდაქმნა მეტი ანალიზის საშუალებას გვაძლევს:

$$(S_g + S_p) - (I_g + I_p) = CAB, \text{ ანუ}$$

$$(S_g - I_g) + (S_p - I_p) = CAB,$$

რაც ნიშნავს, რომ საგადასახდლო ბალანსის მდგომარეობა დამოკიდებულია ერთი მხრივ, მთავრობის, ხოლო მეორე მხრივ, კერძო სექტორის დანაზოგები-ინვესტიციების ბალანსის მდგომარეობაზე.

თუ უფრო დეტალურად მივუდგებით ამ დამოკიდებულების შესწავლას, შეგვიძლია განვიხილოთ მისი წონასწორობის დარღვევის შესაძლო შემთხვევები. კერძოდ:

1	$Sp - Ip > 0$	$Sg - Ig < 0$	$CAB < 0$, თუ $ Sg - Ig > Sp - Ip $
2	$Sp - Ip < 0$	$Sg - Ig < 0$	$CAB < 0$
3	$Sp - Ip < 0$	$Sg - Ig > 0$	$CAB < 0$, თუ $ Sg - Ig < Sp - Ip $

შემთხვევა 1: სახეზეა ფისკალური დეფიციტი ($Sg - Ig < 0$). ამასთან, თუ ამ უკანასკნელის აბსოლუტური მნიშვნელობა მეტია კერძო სექტორის დანაზოგები-ინვესტიციების დადებით ბალანსზე, მაშინ მიმდინარე ანგარიში უარყოფითია. ასეთ ვითარებაში, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შესამცირებლად, დგება დილემა: ან უნდა გამკაცრდეს ფისკალური პოლიტიკა და მოხდეს ბიუჯეტის კორექტირება, ან კერძო სექტორში უნდა შემცირდეს ინვესტიციები.

პირველ შემთხვევაში აღწერილ სიტუაციას ხშირად „ორმაგი დეფიციტის“ (“twin deficit”) სახელით მოიხსენიებენ, რადგანაც დეფიციტურია, როგორც მთლიანი ფისკალური ბალანსი ($Sg - Ig < 0$), ისე საგადასახდლო ბალანსი ($CAB < 0$).

შემთხვევა 2: მთელს ეკონომიკაში რესურსული დეფიციტია, რაც იწვევს საგადასახდლო ბალანსის დეფიციტს. ამ პრობლემის დაძლევა კომპლექსურ ღონისძიებებს მოითხოვს, რაც ადვილი არ არის და სხვადასხვა სცენარების განხილვას მოითხოვს, როგორც კერძო, ისე სამთავრობო სექტორში.

შემთხვევა 3: ფისკალური მდგომარეობა ნორმალურია, თუმცა კერძო სექტორში სახეზეა ინვესტიციური ბუმი. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს:

- ⌋ უცხოური კაპიტალის შემოდინებით და კერძო სექტორში ინვესტიციების დაფინანსებით;
- ⌋ კერძო მოხმარების ბუმით, ან
- ⌋ დანაზოგების განხორციელების დაბალი შესაძლებლობებით.

ყველა ამ შემთხვევაში აუცილებელია საჭიროებების გადახედვა, შეფასება და საბაზრო ინსტრუმენტებით (შესაბამისი რეგულაციები, გადასახადები, საბაჟო ტარიფები და ა.შ.) მდგომარეობის ნორმალიზება.

ამდენად, დამოკიდებულებაში $S - I = CAB$ ჩანს საგარეო სექტორის კავშირი როგორც რეალურ, ისე სამთავრობო სექტორთან, და ეს კავშირი იგივეობრივია.

თუმცა, საგარეო და სამთავრობო სექტორებს შორის დამოკიდებულება სხვა ასპექტშიც ვლინდება. კერძოდ, ბიუჯეტის საგარეო დაფინანსების შემთხვევაში, არა მარტო უარესდება საგადასახდლო ბალანსის ფინანსური ანგარიში, უცხოური ვალდებულებების წმინდა წარმოქმნის ზრდის ხარჯზე, არამედ საერთაშორისო

ინვესტიციური მდგომარეობაც, საგარეო ვალდებულებების ნაშთის ზრდის გამო. შესაბამისად იზრდება საგარეო ვალიც. აღნიშნულიდან გამომდინარე, იზრდება საგარეო ვალის მომსახურების ხარჯებიც, რაც აუარესებს საგადასახდლო ბალანსის პირველადი შემოსავლების ანგარიშს და შესაბამისად - მიმდინარე ანგარიშსაც. ამასთან, საგარეო ვალის მომსახურების გადაუხდელობის შემთხვევაში, იზრდება საგარეო ვალდებულებების ნაშთი საერთაშორისო საინვესტიციო მდგომარეობაში და შესაბამისად იზრდება საგარეო ვალი.

ამდენად, სამთავრობო სექტორის სიჯანსაღე და საგარეო დაფინანსებაზე მისი დამოკიდებულების ხარისხი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საერთაშორისო ინვესტიციურ მდგომარეობაზე, რადგანაც გაზრდილი უცხოური ვალდებულებები მოითხოვს მეტ უცხოურ აქტივებს მათ დასაფარად. თუ წონასწორობა უცხოურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის დარღვეულია აქტივების საზიანოდ (საქართველოს შემთხვევა), უცხოური ვალდებულებების კიდევ უფრო ზრდა უფრო მეტად ამცირებს აქტივებს, თუ სავალუტო შემოსავლების წინმსწრები ტემპებით ზრდა ვერ ხერხდება.

ჩანართი 4.2.1. საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები მშპ-სთან მიმართებაში: ხედავს აბსორბციის და დაზოგვა-ინვესტიციების ქრილში*

	2008	2019
ძირითადი მაჩვენებლები		
აბსორბცია (ადგილობრივი მოთხოვნა)	128,7	108,9
საბოლოო მოხმარება	102,7	82,1
ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება	26,0	26,8
საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	28,6	54,0
საქონლისა და მომსახურების იმპორტი	-58,4	-62,9
წმინდა პირველადი შემოსავლები	-0,5	-4,0
წმინდა მეორადი შემოსავლები	8,3	7,7
მიმდინარე ანგარიში	-22,0	-5,1
მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი	107,8	103,8
დანაზოგი	5,1	21,7
დაზოგვა-ინვესტიციების ბალანსი (S-I)	-20,9	-5,1

რა ინფორმაციას გვაძლევს აქ მოტანილი ცხრილის მონაცემები?

პირველ რიგში, შედარების შედეგები რომ უფრო თვალსაჩინო გაგვხადა, 2019 წლის მონაცემები შევადარეთ 2008 წლის მონაცემებს: საქართველოსთვის ორმხრივად რთული - ეკონომიკური კრიზისის და რუსეთთან საომარი მოქმედებების წლის მონაცემებს.

ჩანართი 4.2.1. საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები მშპ-სთან მიმართებაში: ხედვა აბსორბციის და დაზოგვა-ინვესტიციების ყრილში* (გაგრძელება)

აღნიშნულ პერიოდში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი შემცირდა 16.9 პროცენტული პუნქტით მშპ-სთან მიმართებაში. რამ განაპირობა ამ მაჩვენებლის ასეთი გაუმჯობესება? თუ საკითხს შევხედავთ აბსორბციის თვალსაზრისით, ამ პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა ადგილობრივი მოთხოვნა, თითქმის მთლიანად საბოლოო მოხმარების შემცირების ხარჯზე - 19.8 პროცენტული პუნქტით მშპ-სთან მიმართებაში, მაშინ როცა ინვესტიციები თითქმის არ შეცვლილა. მეორე განმაპირობებელი ფაქტორი იყო ექსპორტის ზრდა 25.4 პროცენტული პუნქტით. ამავე პერიოდში მიმდინარე ანგარიშის უფრო მეტად გაუმჯობესებას ხელი შეუშალა იმპორტის ზრდამ (4.5 პროცენტული პუნქტით) და პირველადი შემოსავლების ბალანსის გაუარესებამ (3.5 პროცენტული პუნქტით).


თუ საგადასახდელო ბალანსის გაუმჯობესებას აღნიშნულ პერიოდში შევხედავთ დაზოგვა-ინვესტიციების ბალანსის ცვლილების თვალსაზრისით, დავინახავთ, რომ ამ პერიოდში ეს ბალანსი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა (15.8 პროცენტული პუნქტით), უმეტესად დაზოგვის ზრდის ხარჯზე 5.1 პროცენტიდან 21.7 პროცენტამდე მშპ-ს მიმართ. დამატებითი მონაცემების ანალიზის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს: რომელ სექტორში ჰქონდა ადგილი დანაზოგების ასეთი ტემპით ზრდას, იყო ის განპირობებული ადგილობრივი, თუ უცხოური წყაროებით და ა.შ.

ამდენად, მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ცოდნა გვეხმარება მოვლენებს (ამ შემთხვევაში, მიმდინარე ანგარიშის გაუმჯობესებას) შევხედოთ მაკროეკონომიკური თვალთახედვით, რაც გვეხმარება არსებითი დასკვნების გაკეთებაში.

*** გაანგარიშებულია საქსტატისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების საფუძველზე.**

4.3. სამთავრობო სექტორის ანგარიშების გავლენა საგარეო სექტორზე

სქემა 4.3.1. სამთავრობო სექტორის ანგარიშების გავლენა საგარეო სექტორის ანგარიშებზე



თუ საგადასახდლო ბალანსი დადებითია, ქვეყანას მეტი შესაძლებლობა აქვს განახორციელოს ინვესტიციები, აწარმოოს საექსპორტო პროდუქცია, მიიღოს სავალუტო შემოსავლები საზღვარგარეთიდან და გაუმკლავდეს საგარეო დავალიანებას. ეს ყოველივე დადებითად აისახება, ერთი მხრივ, ქვეყნის წმინდა საერთაშორისო მდგომარეობაზე (საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსის მიხედვით) და, მეორე მხრივ, წმინდა უცხოური აქტივების დინამიკაზე საბანკო სექტორში. სწორედ საგარეო სექტორის მონეტარულ სექტორთან კავშირურთიერთობებს ასახავს საგადასახდლო ბალანსის მონეტარული წარმოდგენა.

4.4. საგარეო და მონეტარული სექტორების ურთიერთქმედება

საგარეო და მონეტარული სექტორების ურთიერთკავშირის საილუსტრაციოდ, საგადასახდლო ბალანსის მთავარი იგივეობა შეიძლება გამოვსახოთ შემდეგნაირად:

მიმდინარე ანგარიში + კაპიტალის ანგარიში - არასაბანკო კორპორაციების ფინანსური ანგარიში - საბანკო კორპორაციების ფინანსური ანგარიში + შეცდომები და გამოტოვებები = 0
ან -
საბანკო კორპორაციების ფინანსური ანგარიში (ETB) = მიმდინარე ანგარიში + კაპიტალის ანგარიში - არასაბანკო კორპორაციების ფინანსური ანგარიში (ETN) + შეცდომები და გამოტოვებები

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ბანკების საგარეო ეკონომიკური ოპერაციები აისახება მათ საბალანსო ანგარიშში, როგორც წმინდა საგარეო აქტივები და, ამავე დროს

$$NFA + NDA + OIN = EM,$$

სადაც: NFA წმინდა უცხოური აქტივებია

NDA - წმინდა საშინაო აქტივები

OIN - სხვა მუხლები, წმინდა

M - ფართო ფული.

მაშინ მართებულია შემდეგი იგივეობა:

$$ETB + NDA + OIN = EM,$$

საიდანაც გამომდინარეობს, რომ **წმინდა საგარეო აქტივები არის ფულის შექმნის ერთ-ერთი წყარო.**

ხოლო მეორე მხრივ, საგადასახდლო ბალანსის იგივეობის თანახმად $ETB + ETN = 0$, შესაბამისად $ETB = -ETN$, საიდანაც მივიღებთ, რომ $-ETN + NDA + OIN = M$.

ბოლო ფორმულიდან დგინდება არასაბანკო ეკონომიკური ერთეულების საგარეო ეკონომიკური ოპერაციების გავლენა ფულის შექმნის პროცესზე.

4.5. სამთავრობო სექტორის გავლენა მონეტარულ სექტორზე საგარეო სექტორზე

როგორც ფინანსური სექტორის კლიენტი, **სამთავრობო სექტორიც ახდენს გავლენას მონეტარულ სექტორზე.** კერძოდ, ხშირად მთავრობა თავისი ფონდების ქარბ ნაწილს განათავსებს ფინანსურ კორპორაციებში, მათ შორის ცენტრალურ ბანკში. გარდა ამისა, მთავრობას შეუძლია გამოუშვას სავალო ფასიანი ქაღალდები და ამ გზით მიიღოს დაფინანსება საბანკო სექტორიდან. ამდენად, პირველი მათგანის შემთხვევაში ადგილი აქვს საბანკო სექტორის ვალდებულებების ზრდას მთავრობისადმი, ხოლო მეორე შემთხვევაში - საბანკო სექტორის მოთხოვნების ზრდას მთავრობისადმი. ერთი და მეორეც გავლენას ახდენს წმინდა სამინაო აქტივებზე და შესაბამისად - ფულის მოცულობაზე (M). დეპოზიტური კორპორაციების მთავარ იგივეობას თუ მივმართავთ:

$$NFA + NCGov + CODS + OIN = M,$$

სადაც: **NFA** წმინდა უცხოური აქტივებია,

$NCGov$ - წმინდა მოთხოვნები მთავრობის მიმართ,

$CODS$ - მოთხოვნები სხვა სექტორების მიმართ,

$$NCGov + CODS = NDA,$$

OIN - სხვა მუხლები, წმინდა,

M - ფართო ფული.

შეგვიძლია დავადგინოთ მთავრობის ზემოაღნიშნული ოპერაციების მაკროეკონომიკური გავლენა მონეტარულ სექტორზე.

როგორც ცნობილია, სამთავრობო სექტორის დეფიციტის დასაფინანსებლად ორი წყარო არსებობს: საშინაო და საგარეო. დეფიციტის დაფინანსების საშინაო წყაროებიდან მნიშვნელოვანია საბანკო სექტორი, კერძოდ ცენტრალური ბანკი და კომერციული ბანკები, რაც აისახება ამ ქვესექტორების ანალიტიკური ბალანსების აქტივების ნაწილში, როგორც „წმინდა მოთხოვნები მთავრობისადმი“.

ცხრილი 4.1. ცენტრალური ბანკის ანალიტიკური ბალანსი	
აქტივები	ვალდებულებები
წმინდა უცხოური აქტივები (NFA)	სარეზერვო ფული (MB)
წმინდა საშინაო აქტივები (NDA)	ეროვნული ვალუტა მიმოქცევაში
წმინდა შიდა კრედიტი (NDC)	ვალუტა ბანკების სალაროში
წმინდა მოთხოვნები მთავრობისადმი (NCGov)	ბანკებს გარეთ არსებული ვალუტა
მოთხოვნები სხვა დეპოზიტური კორპორაციებისადმი (CDMB)	ბანკების დეპოზიტები
მოთხოვნები დანარჩენი სექტორებისადმი (CPS)	სავალდებულო რეზერვები
სხვა მუხლები, წმინდა (OIN)	ნაშთები საკორესპონდენტო ანგარიშებზე
	სხვა დეპოზიტები
	ვალდებულებები ეკონომიკის დანარჩენი სექტორებისადმი

განვიხილოთ ცენტრალური ბანკის მიერ მთავრობის დაფინანსების შემთხვევა.

ცენტრალური ბანკის მიერ მთავრობის დაფინანსება ხდება ორი გზით:

-) აქტივების ზრდის ხარჯზე, როგორც მთავრობაზე სესხის გაცემის შედეგი, ან/და
-) ვალდებულებების შემცირებით, რაც ხდება ცენტრალურ ბანკში მთავრობის დეპოზიტების შემცირებით.

ორივე შემთხვევაში, ცენტრალური ბანკის ბალანსი განიცდის ზეწოლას: თუ აქამდე ის იყო დაბალანსებული (აქტივები უდრიდა ვალდებულებებს), ახლა ეს ბალანსი ირღვევა. შესაბამისად, ცენტრალური ბანკი იძულებულია გაატაროს ღონისძიებები, რათა კვლავ გააწონასწოროს ბალანსი. ამისათვის მას აქვს რამდენიმე გზა:

-) ერთ შემთხვევაში იგი იძულებულია შეამციროს სხვა აქტივები (მაგალითად, შეუმციროს დაფინანსება ბანკებს), ან
-) გაზარდოს ვალდებულებები, რისთვისაც აქვს ორი გზა:
 - o ისესხოს უცხოეთიდან (რაც შეამცირებს მის წმინდა საგარეო აქტივებს), ან

- გაზარდოს თავისი ვალდებულებები არაფინანსური კერძო სექტორის მიმართ (მაგალითად, გაზარდოს ფულის მასა მიმოქცევაში).

ორივე ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მთავრობის დაფინანსებით გამოწვეულ მაკროეკონომიკურ შედეგებთან. კერძოდ, თუ ცენტრალური ბანკი:


- ⌋ დაფინანსებას შეუმცირებს ბანკებს, ისინი შეუმცირებენ დაფინანსებას შინამეურნეობებსა და საწარმოებს, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს რეალური სექტორის განვითარებაზე (ქცევითი ურთიერთდამოკიდებულება);
- ⌋ გაზარდოს თავის ვალდებულებებს არაფინანსური კერძო სექტორის მიმართ და გამოუშვებს ფულს მიმოქცევაში, ეს გამოიწვევს სარეზერვო ფულის ზრდას და ინფლაციას (ქცევითი ურთიერთდამოკიდებულება);
- ⌋ ისესხებს უცხოეთიდან - გაიზრდება უცხოური ვალდებულებები (იგივეობრივი ურთიერთდამოკიდებულება).

საბანკო სექტორის გარდა, მთავრობას შეუძლია ისესხოს უცხოეთიდანაც, ან მიიღოს გრანტები საზღვარგარეთიდან. ამ შემთხვევაში ეს გავლენას მოახდენს საგადასახდლო ბალანსის პირველადი და მეორადი შემოსავლების ბალანსებსა და ფინანსურ ანგარიშზე, აგრეთვე წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობაზე.

ამდენად, თუ კარგად დავაკვირდებით ზემოაღნიშნულ მაკროეკონომიკურ ურთიერთკავშირებს, დავინახავთ, რომ ეს კავშირები ზოგჯერ მკაცრად ფორმალიზებულია შესაბამისი იგივეობებით, ხოლო რიგ შემთხვევებში ისინი დაკავშირებული ეკონომიკური ერთეულების გარკვეული ტიპის ქცევებში ვლინდება. ქვემოთ მოტანილი სქემა ასახავს მაკროეკონომიკური წონასწორობის მიღწევის განუწყვეტელი მცდელობების პროცესში მონეტარული სექტორის ურთიერთქმედებას დანარჩენ სექტორებზე (სქემა 4.3). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური ანალიზის პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს აღნიშნული მაკროეკონომიკური კავშირების ბუნების ცოდნას - არის ისინი ქცევითი, თუ იგივეობრივი.

4.6. მონეტარული სექტორის გავლენა რეალურ სექტორზე

ეკონომიკის ყველა სექტორი, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი, მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან: მონეტარული სექტორი ამარაგებს ეკონომიკას ფულით, ხოლო დანარჩენი სექტორების ქცევები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს, ერთი მხრივ, ფულის მასის სიდიდეს, ხოლო მეორე მხრივ, მასზე მოთხოვნას.



როდესაც საბანკო სექტორის სხვა სექტორებთან ურთიერთქმედებაზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ საპროცენტო განაკვეთებს, რაც 4.6.1 სქემაზეც კარგად ჩანს.

ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ იმაზე, რომ ბანკები თავიანთი ფუნქციების განხორციელების პროცესში, ქმნიან ფულს დეპოზიტების სახით. მასში შედის დანაშოგები, რომლებსაც ეკონომიკური ერთეულები ინახავენ ბანკებში, ხოლო მეორე მხრივ, დეპოზიტების ნაწილს ქმნიან თვითონ ბანკები თავიანთი საშუალო ფუნქციების განხორციელების პროცესში. კერძოდ, როდესაც ბანკი გასცეს სესხს, იგი პარალელურად ქმნის მოკორესპონდენტო სადეპოზიტო ანგარიშს კლიენტის სახელზე და ამგვარად იგი ქმნის ფულს. **გასესხების აქტი ქმნის დეპოზიტს.**

იმისათვის, რომ ბანკების მეცადინეობამ - შექმნან ფული, არ გამოიწვიოს ფასების უკონტროლო ზრდა, საჭიროა ცენტრალური ბანკების შემხვედრი მოქმედება - პოლიტიკის გატარება ამ პროცესების სამართავად. ცენტრალური ბანკის მანდატი ითვალისწინებს სწორედ ფულის მასის მართვას და ამ გზით თავისი მთავარი მიზნის - ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფის მიღწევას (სხვადასხვა ცენტრალური ბანკის შემთხვევაში აღნიშნული მანდატი და მიზნები განსხვავებულია).

მონეტარული პოლიტიკის მთავარ ინსტრუმენტს სტაბილური ინფლაციის უზრუნველსაყოფად წარმოადგენს მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთი.

საქართველოში მონეტარული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანოა საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელიც მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების მეშვეობით ახორციელებს ფულად ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის მართვას

ბანკთაშორის ბაზარზე მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის მართვას ეროვნული ბანკი ახორციელებს რეფინანსირების ინსტრუმენტის მეშვეობით. ამ მიზნით 2008 წლიდან შემოღებულია ერთკვირიანი რეფინანსირების სესხები, რომლის საშუალებითაც ხორციელდება საბანკო სექტორისთვის მოკლევადიანი ლიკვიდობის მიწოდება. ეროვნული ბანკი არის ლარის ბაზარზე მოკლევადიანი ლიკვიდობის ერთადერთი მიმწოდებელი, ამდენად მას აქვს საშუალება რეფინანსირების ინსტრუმენტით მიაღწიოს ბანკთაშორის ბაზარზე სასურველ საპროცენტო განაკვეთს (უფრო დეტალური ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <http://www.nbg.gov.ge/index.php?m=555>).

2010 წლის აპრილიდან ეროვნულმა ბანკმა აამოქმედა ახალი ინსტრუმენტი მუდმივმოქმედი რეფინანსირების სესხი. აღნიშნული ინსტრუმენტით კომერციულ ბანკებს საშუალება აქვთ მიიღონ სესხი გარანტირებულად, აუქციონის გარეშე.

საპროცენტო განაკვეთი მულტიპლიკაციურ რეფინანსირების სესხზე განისაზღვრება, როგორც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს პლუს ერთნახევარი პროცენტული პუნქტი.

თანამედროვე საზოგადოების ყოველდღიურობა წარმოუდგენელია ფინანსურ სექტორთან მისი ურთიერთქმედების გარეშე. ჩვენ გამოვიმუშავებთ ხელფასს, რომელსაც დამქირავებელი საბანკო ანგარიშებზე გვირიცხავს; ვაკეთებთ დანაზოგს, რომელსაც ბანკში ვინახავთ; ჩვენი სამომხმარებლო და კაპიტალური მოთხოვნილებების სრულად დასაკმაყოფილებლად მივმართავთ ბანკებს კრედიტისთვის. და ეს პროცესები განუწყვეტილივ მეორდება. ბანკებთან ჩვენი ურთიერთობები და პირიქით, ანუ საფინანსო მომსახურებით სარგებლობა დაკავშირებულია შესაბამის გადასახდელებთან, რაც უკავშირდება გარკვეული საპროცენტო განაკვეთების ჩართვას ამ ურთიერთობებში.

საპროცენტო განაკვეთების შესახებ ინფორმაცია არა მარტო ჩვეულებრივ მომხმარებელს სჭირდება. იგი განსაკუთრებით საჭიროა ცენტრალური ბანკებისთვის, ვინაიდან იგი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს ე.წ. გადაცემის მექანიზმის მონიტორინგისათვის, ე.ი. იმისათვის, რომ დააკვირდეს როგორ რეაგირებს ეკონომიკა მონეტარული პოლიტიკის ცვლილებაზე (უფრო დეტალური ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <http://www.nbg.gov.ge/index.php?m=564>).

ამდენად, ისევე როგორც ნებისმიერი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა და პროცესი, საპროცენტო განაკვეთებიც რაოდენობრივ შესწავლას ექვემდებარება, იმისათვის, რომ სწორი გადაწყვეტილებები მიიღონ თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას ცენტრალურმა ბანკებმა, ფინანსურმა შუამავლებმა, ბიზნეს სუბიექტებმა და შინამეურნეობებმა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება საპროცენტო განაკვეთების სტატისტიკა.

რამი მდგომარეობს საპროცენტო განაკვეთების სტატისტიკის მნიშვნელობა?

პირველ რიგში, როგორც აღვნიშნეთ, საბანკო სისტემის საპროცენტო განაკვეთების სტატისტიკა საჭიროა მონეტარული გადაცემის მექანიზმის ანალიზისათვის, რამეთუ მონეტარული პოლიტიკა ეკონომიკას გადაეცემა სწორედ საპროცენტო განაკვეთების ცვლილების შედეგად. სტატისტიკის ეს მიმართულება შესაძლებელს ხდის დააკვირდეთ, თუ როგორ აისახება ოფიციალური და საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილება შინამეურნეობებისა და არაფინანსური კორპორაციების დაფინანსებასა და მათ დეპოზიტებზე.

მეორე, საბანკო საპროცენტო განაკვეთების ცვლილება გავლენას ახდენს კაპიტალურ ხარჯებზე და ამგვარად ზემოქმედებს საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე, რაც თავის

მხრივ გავლენას ახდენს გადაწყვეტილებებზე მიმდინარე და მომავალ მოხმარებასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, საპროცენტო განაკვეთების სტატისტიკას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური ანალიზის სწორად და სიღრმისეულად წარმართვისათვის.

მესამე, საპროცენტო განაკვეთების სტატისტიკა საშუალებას იძლევა გაანალიზდეს საპროცენტო განაკვეთების ცვლილების შედეგად შინამეურნეობებისა და არაფინანსური კორპორაციების მიერ გადახდილი/მიღებული ხარჯი/სარგებელი და მისი გავლენა მათ შემოსავლებზე.

და ბოლოს, საპროცენტო განაკვეთების სტატისტიკა მნიშვნელოვანია ფინანსური სისტემის სტრუქტურული განვითარების მონიტორინგისა და ფინანსური სტაბილურობის ანალიზისათვის. ბაზრის მონაწილეებს, ისევე როგორც მონეტარულ ორგანოებს, აინტერესებთ ეს საკითხები თავიანთი გადაწყვეტილებების დასაბუთებელი მართვისათვის. საპროცენტო განაკვეთების სტატისტიკის ასეთი დიდი ანალიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ იგი იყოს დროული, საიმედო და ხელმისაწვდომი მომხმარებლისათვის.

4.7. რეზიდენტი ინსტიტუციური სექტორები და საგარეო სექტორი

მაკროეკონომიკური ანალიზი სრულყოფილი ვერ იქნებოდ, თუ არ გავითვალისწინებთ იმ ქვევით ურთიერთდამოკიდებულებას, რაც არსებობს საგარეო სექტორსა და რეზიდენტ სექტორებს შორის და ამ უკანასკნელთა მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ პოლიტიკასა და საგარეო სექტორს შორის.

თუ გავიხსენებთ ძირითად მაკროეკონომიკურ იგივეობებს, ადგილობრივი მოთხოვნა, მოხმარებისა და ინვესტიციების სახით, განსაზღვრავს იმპორტს: რაც მეტია საზოგადოების მოთხოვნა, მით მეტია იმპორტის განხორციელების ალბათობა.

მეორე მხრივ, რაც მეტს აწარმოებს ეკონომიკა, მით მეტი შესაძლებლობა აქვს დააკმაყოფილოს საგარეო მოთხოვნა.

თუმცა, საგარეო ვაჭრობის დინამიკას განსაზღვრავს აგრეთვე ინფლაცია და გაცვლითი კურსი, ანუ როგორც რეალური, ისე მონეტარული სექტორი გავლენას ახდენს საგარეო სექტორზე და, კონკრეტულად, მიმდინარე ანგარიშის დინამიკაზე (იხ.პარაგრაფი 3.2.5).

ზემოთ ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ რა გავლენას ახდენს სამთავრობო სექტორი მიმდინარე ანგარიშზე დაზოგვა-ინვესტიციების ბალანსის კონტექსტში. ეს სამთავრობო სექტორის პირდაპირი გავლენაა საგარეო სექტორზე. თუმცა, სამთავრობო სექტორს შეუძლია არაპირდაპირი გავლენაც მოახდინოს საგარეო სექტორზე, კერძოდ, ფისკალური პოლიტიკის მეშვეობით წარმოებასა და ადგილობრივ მოთხოვნაზე ზემოქმედების გზით.

ამავე მიმართულებით, მაგრამ სხვა ინსტრუმენტებით, კერძოდ, საპროცენტო განაკვეთების, ეკონომიკის დაკრედიტებისა და ფულის მასის მოცულობის ცვლილების გზით წარმოებასა და ადგილობრივ მოთხოვნაზე ზემოქმედებით, მონეტარულ სექტორსაც აქვს არაპირდაპირი გავლენა საგარეო სექტორზე.

თავის მხრივ, საგარეო სექტორი ექსპორტსა და იმპორტზე საერთაშორისო ფასების ცვლილების გზით გავლენას ახდენს ადგილობრივი წარმოებისა და მოთხოვნის დინამიკაზე და, მაშასადამე, რეალურ სექტორზე. აგრეთვე, საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული გადასახადებისა და სამთავრობო საქონლისა და მომსახურების იმპორტზე ფასების მეშვეობით იგი პირდაპირ გავლენას ახდენს სამთავრობო სექტორზე.

კიდევ ერთი არხი, რომლის მეშვეობითაც საგარეო სექტორი გავლენას ახდენს რეალურ სექტორზე, ეს არის ფინანსური ანგარიში. იმ ქვეყნებში, რომლებიც არ მიმართავენ სავალუტო შეზღუდვებს, ფინანსურ ანგარიშს შეუძლია დიდი გავლენა მოახდინოს ეკონომიკაზე. უცხოელი ინვესტორები, დაინტერესებულნი არიან რა ინვესტირებით ასეთ ქვეყნებში, აბანდებენ რა თავიანთ სახსრებს, მაგალითად საბანკო სექტორში სესხების ან პორტფელის ინვესტიციების ფორმით, გავლენას ახდენენ მონეტარულ და ფინანსურ სექტორზე. კერძოდ, ამან შესაძლოა გაზარდოს კერძო სექტორის დაფინანსება, ან/და გაზარდოს აქტივების ფასი და, შესაბამისად, გავლენა მოახდინოს რეალურ სექტორზე.

მეორე მხრივ, ფისკალური და/ან მონეტარული პოლიტიკა და, შესაბამისად, სამთავრობო და მონეტარული სექტორი გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშზე. კერძოდ, მაღალმა საპროცენტო განაკვეთებმა და ზოგადად კარგმა საინვესტიციო გარემომ შესაძლოა მოიზიდოს უცხოელი ინვესტორები. მაშინ, როცა ამავე ფაქტორების გაუარესებამ შესაძლოა პირიქით იმოქმედოს. ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების საგარეო წყაროების გამოყენება ასევე მოქმედებს ფინანსურ ანგარიშზე.



დავალბა 1.

ინტერნეტრესურსების გამოყენებით შეისწავლეთ ინსტიტუციურ სექტორებს შორის მაკროეკონომიკური კავშირები და იმსჯელეთ რამდენად კომპლექსურია ისინი, რამდენად მრავალმხრივია (რამდენიმე სექტორის მონაწილეობით) და რამდენად კარგად არის ისინი აღწერილი შესაბამის მაკროეკონომიკურ ანგარიშებში; იძლევა თუ არა ხელმისაწვდომი მაკროეკონომიკური სტატისტიკური ანგარიშები ღრმა ანალიზის საშუალებას ამ თვალსაზრისით. ჩამოაყალიბეთ თქვენი მოსაზრებები და რეკომენდაციები.

დავალბა 2.

შეარჩიეთ დადებითი და უარყოფითი მიმდინარე ანგარიშის მქონე რომელიმე ორი ქვეყანა და გააანალიზეთ საგადასახდლო ბალანსის მდგომარეობა განმაპირობებელი ფაქტორების მიხედვით: აბსორბციის, დაზოგვა-ინვესტიციების ჭრილში და მიმდინარე ანგარიშის ძირითადი მუხლების მიხედვით; გააკეთეთ დასკვნები და ჩამოაყალიბეთ გასატარებელი ღონისძიებების სცენარები.



ტესტი 1

სამთავრობო სექტორის ანგარიშების რომელ მუხლს ეკორესპონდენტება ეროვნული ანგარიშების მუხლი „სახელმწიფო სექტორის მოხმარება“:

1. გრანტებს
2. შიდა დაფინანსებას
3. საგარეო დაფინანსებას
4. მიმდინარე დანახარჯებს

ტესტი 2

სამთავრობო სექტორის ანგარიშების რომელ მუხლს ეკორესპონდენტება ეროვნული ანგარიშების მუხლი „სახელმწიფო სექტორის ინვესტიციები“:

1. საგარეო დაფინანსებას
2. საბანკო სექტორიდან დაფინანსებას
3. მიმდინარე დანახარჯებს
4. კაპიტალურ დანახარჯებს

ტესტი 3

სამთავრობო სექტორის ანგარიშების რომელ მუხლს ეკორესპონდენტება საგადასახდელო ბალანსის მუხლი „მიმდინარე ტრანსფერტები“:

1. ცენტრალური ბანკიდან დაფინანსებას
2. საბანკო სექტორიდან დაფინანსებას
3. გრანტებს
4. საგარეო დაფინანსებას

ტესტი 4

სამთავრობო სექტორის ანგარიშების რომელ მუხლს ეკორესპონდენტება საგადასახდელო ბალანსის მუხლი „საშუალო და გრძელვადიანი კაპიტალი“:

1. გრანტებს

2. ცენტრალური ბანკიდან დაფინანსებას
3. საბანკო სექტორიდან დაფინანსებას
4. საგარეო დაფინანსებას

ტესტი 5

ცენტრალური ბანკის (მონეტარული ხელისუფლების) ანგარიშების რომელ მუხლს ეკორესპონდენტება საგადასახდლო ბალანსის მუხლი „საერთაშორისო რეზერვების ცვლილება“:

1. წმინდა უცხოურ აქტივებს
2. ბანკების დაფინანსებას
3. სახელმწიფო სექტორის დაფინანსებას
4. არცერთს

ტესტი 6

საბანკო სექტორის ანგარიშების რომელ მუხლს ეკორესპონდენტება საგადასახდლო ბალანსის მუხლი „მოკლევადიანი კაპიტალი“:

1. ბანკების რეზერვებს
2. წმინდა უცხოურ აქტივებს
3. წმინდა საშინაო აქტივებს
4. კერძო სექტორის დაფინანსებას

ტესტი 7

საბანკო სექტორის ანგარიშების რომელ მუხლს ეკორესპონდენტება ცენტრალური ბანკის ანგარიშების მუხლი „ბანკების დაფინანსება“:

1. წმინდა საშინაო აქტივებს
2. ვალდებულებებს მონეტარული ხელისუფლების მიმართ
3. ვალდებულებებს კერძო სექტორის მიმართ
4. სხვა აქტივებს

ტესტი 8

სამთავრობო სექტორის ანგარიშების რომელ მუხლს ეკორესპონდენტება ცენტრალური ბანკის ანგარიშების მუხლი „სახელმწიფო სექტორის დაფინანსება“:

1. საგარეო სექტორიდან დაფინანსებას
2. საბანკო სექტორიდან დაფინანსებას
3. არასაბანკო სექტორიდან დაფინანსებას

4. არცერთს

ტესტი 9

საბანკო სექტორის ანგარიშების რომელ მუხლს ეკორესპონდენტება ცენტრალური ბანკის ანგარიშების მუხლი „სარეზერვო ფული“:

1. წმინდა საშინაო აქტივები
2. ბანკების რეზერვებს
3. სხვა აქტივებს
4. არცერთს

ტესტი 10

დამოკიდებულება $CAB = S - I$ ასახავს:

5. რა კავშირია კაპიტალის ანგარიშსა და ინვესტიციებს შორის
6. თუ რა გავლენას ახდენს საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის მდგომარეობა ქვეყნის დაგროვება-ინვესტიციების ბალანსზე, ან პირიქით
7. რომ თუ ინვესტიციები სჭარბობს დაგროვებას ეს გამოიწვევს მიმდინარე ანგარიშის გაუმჯობესებას
8. რომ ქვეყნის რესურსები საკმარისია საგადასახდელო ბალანსის პროფიციტის შესანარჩუნებლად

ტესტი 11

ვთქვათ გვაქვს მცირე ზომის ეკონომიკა, სადაც მთავრობობის დანაზოგი 0-ია, მთავრობის ინვესტიციები 5, ხოლო მიმდინარე ანგარიშის ბალანსი - მინუს 8. გაიანგარიშეთ შემდეგი მაჩვენებლები მოცემული ეკონომიკისათვის:

		პასუხები
1	რას უდრის მთავრობის დანაზოგები-ინვესტიციების ბალანსი?	
2	რას უდრის კერძო დანაზოგები-ინვესტიციების ბალანსი?	
3	ფისკალური დეფიციტის მუნუს 10-მდე შემცირების შემთხვევაში, რამდენი იქნება მიმდინარე ანგარიშის ბალანსი?	
4	დავუშვათ, რომ რეალური გაცვლითი კურსის გაუფასურებით და კერძო ექსპორტიორების წახალისებით, გაიზარდა წარმოება და შესაბამისად კერძო სექტორის განკარგვადი შემოსავალი გაიზარდა 5-ით. სხვა თანაბარ პირობებში, რამდენი იქნება კერძო დანაზოგები-ინვესტიციების ბალანსი?	
5	ახალი კერძო დანაზოგები-ინვესტიციების ბალანსისა და მთავრობის დანაზოგები-ინვესტიციების ბალანსის იმავე დონის (-5) პირობებში, რამდენი იქნება მიმდინარე ანგარიშის ახალი ბალანსი?	

ტესტი 12

ვთქვათ გვაქვს მცირე ზომის ეკონომიკა, რომლისთვისაც მშპ=100, ექსპორტი=15, იმპორტი=15, მთავრობის მოხმარებისა და ინვესტიციების ჯამი=25. რას უდრის კერძო სექტორის მოხმარებისა და ინვესტიციების ჯამი?

1. 25-ს
2. 45-ს
3. 75-ს
4. ინფორმაცია საკმარისი არ არის ამის გასაგებად

ტესტი 13

საგადასახდელო ბალანსის რომელ მუხლებთან არის დაკავშირებული ფისკალური ანგარიშები (ერთზე მეტი პასუხი):

1. საქონლისა და მომსახურების ანგარიშები;
2. პირველადი შემოსავლების ანგარიშები;
3. მეორადი შემოსავლების ანგარიშები;
4. ფინანსური ანგარიში.

ტესტი 14

შეარჩიეთ სწორი პასუხი ტექსტში გამოტოვებული სიტყვების შესავსებად:

„თუ საპროცენტო განაკვეთები _____, ეს გამოიწვევს სავალუტო ბაზარზე ეროვნული ვალუტის _____ და შედეგად - წმინდა ექსპორტის _____“.

1. იზრდება-გაუფასურებას-ზრდას;
2. მცირდება-გაუფასურებას-ზრდას;
3. მცირდება-გამყარებას-ზრდას;
4. იზრდება-გამყარებას-შემცირებას.

ტესტი 15

ფისკალური დეფიციტის დაფინანსება ადგილობრივი კომერციული ბანკების მიერ იწვევს საბანკო სექტორის წმინდა მოთხოვნების ზრდას ცენტრალური მთავრობის მიმართ

1. სწორია
2. არასწორია

ტესტი 16

თეორიულად, ეროვნული ანგარიშების რომელი ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლის ტოლი უნდა იყოს ფინანსური ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლი „წმინდა გასესხება (+)/წმინდა სესხება (-)“

1. წარმოების ანგარიშის
2. შემოსავლების ფორმირების ანგარიშის
3. განკარგვადი შემოსავლის გამოყენების ანგარიშის
4. კაპიტალის ანგარიშის

ტესტი 17

ეროვნული ანგარიშების ანგარიშთა რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ფინანსური ანგარიში

1. მიმდინარე ანგარიშებს
2. დაგროვებით ანგარიშებს
3. საბალანსო ანგარიშებს
4. ზემოთამოთვლილთაგან არცერთს

ტესტი 18

თუ ცენტრალური ბანკი ყიდის დიდი რაოდენობით მთავრობის ფასიან ქაღალდებს ღია ბაზარზე, მაშინ:

1. საპროცენტო განაკვეთი უცვლელი რჩება
2. ფულის მიწოდება იზრდება
3. კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელი მცირდება
4. კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელი იზრდება

ტესტი 19

თუ ცენტრალური ბანკი ყიდულობს დიდი რაოდენობით მთავრობის ფასიან ქაღალდებს ღია ბაზარზე, მაშინ:

1. საპროცენტო განაკვეთი უცვლელი რჩება
2. ფულის მიწოდება იზრდება
3. კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელი მცირდება
4. არცერთი პასუხი არ არის მართებული

ტესტი 20

რეალური გაცვლითი კურსის გაუფასურება იწვევს

1. საგარეო სავაჭრო ბალანსის გაუარესებას
2. საგარეო სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას
3. მშპ-ს ზრდის შემცირებას
4. ჰიპერინფლაციას

ტესტი 21

მიმდინარე ანგარიში დეფიციტურია, როდესაც:

1. დაზოგვა-ინვესტიციების ბალანსი უარყოფითია
2. დაზოგვა-ინვესტიციების ბალანსი დადებითია
3. დაზოგვა-ინვესტიციების ბალანსი ნეიტრალურია
4. დაზოგვა-ინვესტიციების ბალანსი ნულის ტოლია

ტესტი 22

მიმდინარე ანგარიშის ბალანსი დეფიციტურია, როდესაც:

1. მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი მეტია აბსორბციაზე
2. მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი ნაკლებია აბსორბციაზე
3. დაზოგვა-ინვესტიციების ბალანსი ნულის ტოლია
4. არცერთ პასუხი არ არის სწორი

ტესტი 23

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ემსახურება საბანკო სისტემაში ჭარბი ლიკვიდობის შემცირებას

1. სარეზერვო მოთხოვნების ზრდა
2. ბანკების დაკრედიტების შემცირება
3. არცერთი
4. 1 და 2

ტესტი 24

თუ ერთობლივი დანაზოგი აჭარბებს ინვესტიციებს, მაშინ:

1. ეკონომიკა განიცდის რეცესიას
2. ეკონომიკა განიცდის ბუმს
3. მიმდინარე ანგარიშის ბალანსი დეფიციტურია
4. მიმდინარე ანგარიშის ბალანსი დადებითია

ტესტი 25

ქვემოთ ჩამოთვლილი იგივეობებიდან რომელი ასახავს ეკონომიკური აგენტების დაზოგვებთან და ინვესტიციებთან დაკავშირებული ქცევების მიმართებას საგადასახდლო ბალანსის მიმდინარე ანგარიშთან (ერთზე მეტი პასუხი):

1. $C = S - I$.
2. $C = X - M + P + S$
3. $C = (S - I_1) + (S - I_2)$.
4. $G - (C + I) = X - M$

ტესტი 26

რამდენად მართებულია დებულება: მიმდინარე ანგარიში ასახავს მოცემულ ეკონომიკაში ეკონომიკური აგენტების დაზოგვებთან და ინვესტიციებთან დაკავშირებულ ქცევებს:

1. სწორია
2. არასწორია

ტესტი 27

იგივეობა $C = S - I$ შეიძლება გარდაიქმნას, როგორც:

1. $C = (S_1 + S_2) + (I_1 + I_2)$
2. $C = (S_1 - I_1) + (S_2 - I_2)$
3. $C - B = (S_1 - I_1) - (S_2 - I_2)$
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 28

მონეტარული პოლიტიკა ეკონომიკას გადაეცემა

1. ფულის მოწოდების ცვლილების შედეგად
2. საპროცენტო განაკვეთების ცვლილების შედეგად
3. გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგად
4. ლარიზაციის შედეგად

თავი 5. მონაცემთა გავრცელების საერთაშორისო სტანდარტები

ვინც იგნორირებას უკეთებს სტატისტიკას, განწირულია მის ხელახლა გამოგონებისთვის.

ბრედ ეფრონი

სტენფორდის უნივერსიტეტის
სტატისტიკის პროფესორი

5.1. წინაპირობები

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქვეყნებს შორის გლობალური ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარებამ მრავალი ურთიერთგადაჯაჭვული პრობლემა წარმოშვა, რაც, შესაბამისად, ეკონომისტებისა და პოლიტიკოსების მწვავე მსჯელობის საგნად იქცა. ფინანსური ურთიერთობებისა და სავაჭრო კავშირების გაფართოების კვალობაზე სხვადასხვა ეკონომიკების ერთმანეთზე ზემოქმედების ხარისხი იმდენად გაიზარდა, რომ თითოეული ქვეყანა სხვა ქვეყნებში მიმდინარე პროცესების პირდაპირი თუ ირიბი მონაწილე გახდა. ფინანსური ნაკადების ინტენსივობამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ რომელიმე ქვეყნის ფინანსურმა თუ სავალუტო რყევებმა ინფექციის მსგავსად იწყო გავრცელება სხვა ქვეყნებში. აღნიშნულის ნათელი მაგალითია ლათინური ამერიკის 1994-1995 წლების კრიზისი, რომელიც “ტეკილას კრიზისის” სახელით არის ცნობილი, ინდონეზიის, კორეის, მალაიზიის, ფილიპინებისა და ტაილანდის კრიზისები 1997-1998 წლებში, აგრეთვე რუსეთის 1998 წლისა და თურქეთის 2000-2001 წლების კრიზისები. ამდენად, პრობლემის გარდუვალობამ დღის წესრიგში დააყენა აღნიშნული “ინფექციის კერების” დროულად აღმოჩენისა და გავრცელების თავიდან აცილების აქამდე უცნობი ინსტრუმენტების გამონახვა და ამოქმედება.

1994-1995 წლების საერთაშორისო ფინანსური კრიზისის ფონზე (რაც დაიწყო მექსიკის პესოს კრიზისით) ნათელი გახდა, რომ ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებლების ნაკლებ საჯაროობა შეუძლებელს ხდის მაკროეკონომიკურ გადაწყვეტილებათა შემუშავებასა და რეალიზაციას, რასაც უკიდურესად მწვავე შედეგები მოსდევს არა მარტო ერთი მოცემული ქვეყნისათვის. აღნიშნული კრიზისისა და მისი განმაპირობებელი ფაქტორების ანალიზის ფონზე გაცნობიერებულ იქნა, რომ

სტატისტიკური სისტემების დამუშავებისას აუცილებელია გლობალიზაციის ფაქტორის გათვალისწინება. ქვეყნები სულ უფრო მეტ ინტერესს უნდა იჩენდნენ (და იჩენენ კიდევ) სხვა ქვეყნების სტატისტიკური მონაცემების გაცნობისადმი, რათა დროულად შეაფასონ მოსალოდნელი ცვლილებები მსოფლიო ეკონომიკაში და განსაზღვრონ თავიანთი მთავრობების მოქმედების სქემები ექსტრემალურ სიტუაციაში.

საერთაშორისო ფინანსური კრიზისების საერთო დამახასიათებელი ნიშნების კვლევისას სპეციალისტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ კრიზისების თავისებურებები იმდენად განსხვავებულია, რომ იმ საერთო ნიშნების აღმოჩენა, რომლებიც კრიზისების პროგნოზირებას შეუწყობდა ხელს თითქმის შეუძლებელია. თუმცა, სპეციალისტების მოსაზრება ერთიანი აღმოჩნდა იმ საკითხში, რომ სხვადასხვა ქვეყნის სტატისტიკური მონაცემების ფართო სპექტრის საჯაროობის გარეშე აღნიშნული პრობლემატიკის კვლევა, ანალიზი და პროგნოზირება შეუძლებელია. XX საუკუნის 90-იანი წლების კრიზისების სწრაფი გავრცელება სხვადასხვა ქვეყანაში სწორედ ინფორმაციის ნაკლებობამ და მათი დროული გაანალიზების შეუძლებლობამ გამოიწვია. განსაკუთრებული სირთულეები შეინიშნებოდა საერთაშორისო რეზერვების სტატისტიკის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. გარდა იმისა, რომ ასეთი სტატისტიკა მეტად მწირი იყო, მისთვის დამახასიათებელი იყო სერიოზული მეთოდოლოგიური განსხვავებები ქვეყნების მიხედვით, რის გამოც შეუძლებელი იყო ამ მონაცემების ურთიერთშედარება. არასაკმარისი იყო და ხშირად საერთოდ არ იყო ხელმისაწვდომი ინფორმაცია მოკლევადიანი ვალდებულებების შესახებ უცხოური ვალუტით, რომელიც ძალზედ მგრძობიარეა საგარეო შოკებისადმი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სპეციალისტები ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბდნენ მონაცემთა საერთაშორისო ბაზების შექმნის აუცილებლობის საკითხში.

5.2. მონაცემთა გავრცელების სტანდარტების შემოღება

1994-1995 წლების კრიზისისა და მისი განმაპირობებელი ფაქტორების გაანალიზების შედეგად საერთაშორისო ეკონომიკური წრეებისათვის ნათელი გახდა, რომ ეროვნული სტატისტიკური სისტემების ფუნქციონირებისას აუცილებელია თანამედროვე გლობალიზაციის ფაქტორის გათვალისწინება. ქვეყნებს უნდა მიეცეთ საშუალება მეტი წვდომა ჰქონდეთ სხვა ქვეყნების სტატისტიკურ მონაცემებზე, რათა დროულად შეაფასონ მოსალოდნელი ცვლილებები მსოფლიო ეკონომიკაში და განსაზღვრონ თავიანთი მთავრობების მოქმედების სქემები ექსტრემალურ გარემოებებში. სწორედ სტატისტიკურ ინფორმაციაზე ნაკლებმა ხელმისაწვდომობამ და, შესაბამისად,

მოსალოდნელი საფრთხის განჭვრეტის ინსტრუმენტების უქონლობამ განაპირობა XX საუკუნის 90-იანი წლების კრიზისების ესკალაცია. აღნიშნული პრობლემის გაცნობიერების ფონზე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (შემდგომში – სსფ) მმართველთა საბჭოს დროებითმა კომიტეტმა (შემდგომში – დროებითი კომიტეტი) 1995 წლის აპრილში დაავალა ფონდის აღმასრულებელ საბჭოს შეემუშავებინა სტატისტიკური მაჩვენებლების გავრცელების საერთაშორისო სტანდარტი, წვერი სახელმწიფოების მიერ გამოსაყენებლად. 1995 წლის ოქტომბერში დროებითმა კომიტეტმა მოიწონა ასეთი საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც გულისხმობს ორ დონეს: სპეციალურს – მონაცემთა გავრცელების სპეციალურ სტანდარტს (SDDS), იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ისწრაფვიან კაპიტალის საერთაშორისო ბაზრებში მონაწილეობისაკენ და ზოგადს – მონაცემთა გავრცელების ზოგად სისტემას (GDDS) დანარჩენი წვერი ქვეყნებისათვის

მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტი სსფ-ს აღმასრულებელმა საბჭომ დაამტკიცა 1996 წლის 29 მარტს, ხოლო 1997 წლის 19 დეკემბერს მანვე დაამტკიცა მონაცემთა გავრცელების ზოგადი სისტემა, როგორც სახელმძღვანელო ფონდის წვერი ქვეყნებისათვის მონაცემთა გავრცელების სფეროში.

მონაცემთა გავრცელების სტანდარტები ოთხი ძირითადი კრიტერიუმით ხასიათდება. ესენია:

-) მონაცემთა მოცვა,
-) პერიოდულობა,
-) დროულობა,
-) გავრცელების პრაქტიკა.

მონაცემთა მოცვა გულისხმობს გამოსაქვეყნებელ მაჩვენებელთა წრეს, მათი დეტალიზაციის ხარისხს, აგრეთვე ამ მაჩვენებელთა გეოგრაფიულ და ინსტიტუციურ მოცვას.

პერიოდულობა გულისხმობს მონაცემთა შეგროვების სიხშირეს. ეს შეიძლება იყოს ყოველდღიური (უმეტესად, საპროცენტო განაკვეთები, გაცვლითი კურსი), ყოველთვიური (სარეზერვო აქტივები, ინფლაცია და ა.შ.), კვარტალური (მშპ, საგადასახდელო ბალანსი და სხვ.) და წლიური (მაგალითად, მოსახლეობა).

დროულობა გულისხმობს იმ დროის შუალედს, რამდენიც განსაზღვრულია მონაცემთა გამოქვეყნებისათვის საანგარიშო პერიოდის დამთავრების შემდეგ. ასეთი შუალედი მნიშვნელოვნად განსხვავებულია მაჩვენებლების მიხედვით. მაგალითად, მშპ-ს გამოსაქვეყნებლად საჭიროა დაახლოებით 3-დან 6 თვემდე პერიოდი საანგარიშო

კვარტლის დამთავრების შემდეგ; გაცვლითი კურსები ქვეყნდება დაუყოვნებლივ, კურსის დადგენისთანავე.

გავრცელების პრაქტიკაში იგულისხმება გამოცდილება, თუ როგორ და როდის ხდება ინფორმაცია საჯარო, რა ფორმით, ელექტრონულად, ბეჭდური სახით, გაზეთებით, თუ რა გზით.

მონაცემთა ხარისხის შეფასების კრიტერიუმად გამოდის, ჯერ ერთი, მონაცემთა წყაროებისა და გაანგარიშების მეთოდების შესახებ დეტალური დოკუმენტაციის გამოქვეყნება; მეორე, დაწვრილებითი ცნობების გამოქვეყნება მაჩვენებლების შემადგენელი კომპონენტების შესახებ, მათი პირველად მონაცემებთან შესაბამისობის შესახებ, რამაც უნდა უზრუნველყოს ე.წ. ჯვარედინი შედარებები და დამაჯერებელი დასაბუთება. ინფორმაციის ასეთი დეტალური სისტემატიზაცია ნათლად წარმოაჩენს ხარვეზებს, თუ მათ ადგილი აქვთ ამა თუ იმ ქვეყნის სტატისტიკურ პრაქტიკაში და ამის საფუძველზე მონაცემთა გავრცელების ზოგადი სტანდარტი რეკომენდაციას იძლევა შედგეს სტატისტიკურ მონაცემთა სრულყოფის გეგმები (მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი) არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით.

საიმედოობას უზრუნველყოფს, უპირველეს ყოვლისა, სტატისტიკურ მონაცემთა დამუშავების მეთოდებისა და პროცედურების, ე.წ. მეტამონაცემების გამჭვირვალობა. სტატისტიკური მონაცემების საიმედოობა, საბოლოო ანგარიშში, ვლინდება საზოგადოების მხრიდან იმ უწყებისადმი ნდობაში, რომელიც პასუხისმგებელია ამა თუ იმ სტატისტიკური ინფორმაციის მომზადებასა და გამოქვეყნებაზე. ამიტომაც, ჯერ ერთი, ინფორმაციის გამოქვეყნებამდე იგი ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმ თანამდებობის პირთათვის, რომლებსაც ევალებათ ამ მონაცემთა კომენტირება; მეორე, მონაცემებთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს ცნობები ამ მონაცემთა მომზადების პირობების შესახებ, რაც გულისხმობს კონფიდენციალობის საკითხებსაც; მესამე, თუ ხდება ადრე გამოქვეყნებული მონაცემების ცვლილება, ასეთ შემთხვევაში ნათლად უნდა იყოს აღწერილი ცვლილებების მიზეზები.

საჯაროობა აუცილებელი მოთხოვნაა სტატისტიკური ინფორმაციისადმი. ამასთან, იგი გულისხმობს, ჯერ ერთი, სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნების გრაფიკების დროულად გავრცელებას და მეორე, ყველა მომხმარებლისათვის ინფორმაციის ერთდროულად მიწოდებას. ამასთან, რეკომენდებულია სტატისტიკური გამოცემების დიზაინის ერთგვაროვნების დაცვა, ამა თუ იმ გამოცემისათვის დამახასიათებელი ემბლემის, გარეკანის ფერის და სხვა გარეგნული ნიშნების გათვალისწინება, რაც მომხმარებლის ყურადღებას უნდა იქცევდეს.

ამდენად, თუ ერთი მხრივ, მონაცემთა გავრცელების სტანდარტების დანიშნულებაა სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებათა მიმღებთა, მთავრობების, ბიზნესების,

საზოგადოების, პრესისა და აკადემიური წრეების მომარაგება მათთვის საჭირო ინფორმაციით, მეორე მხრივ, იგი ემსახურება სტატისტიკური მონაცემებისადმი სისტემური მიდგომის დანერგვისა და განვითარების პროცესების ხელშეწყობას.

5.3. მეტაინფორმაციული სისტემა და მისი დანიშნულება

მონაცემების გავრცელებისადმი სისტემური მიდგომის დანერგვა და განვითარება, პირველ რიგში, გულისხმობს მეტაინფორმაციული სისტემის განვითარებას - სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად მეტამონაცემების შემუშავებას, გამოქვეყნებას და მათი ხარისხის სისტემატურ სრულყოფას.

მეტამონაცემები წარმოადგენს მონაცემებს, რომლებიც აღწერს სხვა მონაცემებს. მისი დანიშნულებაა ახსნას მოცემული ინფორმაცია სხვადასხვა კომპონენტის მიხედვით, როგორებიცაა ინფორმაციის წყარო, წარმოების პერიოდულობა, სტატისტიკური კონცეფციები და განმარტებები, გამოყენებული მეთოდოლოგია და ა.შ. არსებობს სავალდებულო მეტამონაცემები, პირობითი და დამატებითი (არასავალდებულო) მეტამონაცემები.

სავალდებულო მეტამონაცემები, რომლებიც აუცილებელია ახლდეს სტატისტიკურ ცხრილებს, გრაფიკებს, დიაგრამებს, რუკებს, შემდეგია:

-) სათაური;
-) სტატისტიკური ერთეული: ერთეული, რომლის მიხედვითაც არის შედგენილი სტატისტიკა (მაგ.: ფიზიკური პირები, შინამეურნეობები, საწარმოები და ა.შ.);
-) დაკვირვების არეალი: ქვეყანა ან გეოგრაფიული არეალი, რომელსაც მოიცავს წარმოდგენილი მონაცემები;
-) დაკვირვების პერიოდი: დროის მონაკვეთი, რომელსაც მოიცავს წარმოდგენილი მონაცემები (კონკრეტული თვე, კვარტალი, წელი);
-) ზომის ერთეული: ერთეული, რომელშიც არის გაზომილი მოცემული მონაცემები;
-) მონაცემების წყარო: ორგანიზაცია, რომელიც არის მოცემული მონაცემების მწარმოებელი;
-) სტატისტიკური კონცეფციები და განმარტებები: მონაცემების მნიშვნელობის აღწერა. სტატისტიკის მწარმოებლის განმარტებების ცოდნას ამა თუ იმ მონაცემთან დაკავშირებით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მომხმარებლის მიერ მის ხელთ არსებული ინფორმაციის სწორი ინტერპრეტაციისათვის.

პირობითი მეტამონაცემები, რომლებიც შენიშვნის სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი, ხსნის გარკვეულ მონაცემებს შორის განსხვავების მიზეზებს. ასეთი მონაცემები შეიძლება იყოს:

-) გეოგრაფიული: სხვადასხვა გეოგრაფიული არეალების მონაცემებს შორის განსხვავებების ასახსნელად;
-) დროითი: სხვადასხვა პერიოდების მონაცემებს შორის განსხვავებების ასახსნელად;
-) მონაცემების პირველადი წყარო: აღწერს იმ პირველად წყაროს, რასაც ეყრდნობა სტატისტიკური აგრეგატების გაანგარიშება. მაგალითად, პირველადი წყარო შესაძლებელია იყოს გამოკვლევა, ადმინისტრაციული წყარო და ა.შ. შესაბამისი მეტამონაცემები კი აღწერს მათთან დაკავშირებულ პროცედურებს, მიდგომებსა და მეთოდებს (მაგალითად, შერჩევის ზომა, შერჩევის არეალი და სხვ.).
-) სიმბოლოები და აბრევიატურები: ნებისმიერი სიმბოლო, აბრევიატურა და ა.შ. რომლებიც გამოყენებულია მონაცემების წარმოდგენისას, უნდა იყოს ახსნილი.

დამატებითი (არასავალდებულო) მეტამონაცემები ემსახურება მომხმარებელთა უკეთ გაცნობიერებას წარმოდგენილი მონაცემების სპეციფიკაში, რაც სასარგებლოა მონაცემთა ადეკვატური ინტერპრეტაციისთვის. ასეთ მეტამონაცემებს მიეკუთვნება:

-) მონაცემთა სიზუსტის შესახებ ინფორმაცია (მონაცემთა შეფასების მეთოდები, მოცვა, შერჩევა, გამოუპასუხებლობის დონე და ა.შ.);
-) საკონტაქტო ინფორმაცია;
-) დამატებითი ინფორმაცია: ბმულები წარმოდგენილი მონაცემების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, დაკავშირებული ანალიტიკური მასალები, ზოგადი ინფორმაცია, რაც ხელს შეუწყობს წარმოდგენილი მონაცემების უკეთ გაგებას და ა.შ.

მეტამონაცემები ორი ტიპისაა: სტრუქტურული და საცნობარო.

სტრუქტურული მეტამონაცემები აღწერს მონაცემებს, მაგალითად, სვეტებისა და სტრიქონების დასახელების მიხედვით, მონაცემთა ბაზებში მსაზღვრელების დასახელების მეშვეობით და ა.შ.


საცნობარო მეტამონაცემები აღწერს სტატისტიკური მონაცემების კონცეფციებს, მეთოდებსა და ხარისხს.

კონცეპტუალური მეტამონაცემები აღწერს მონაცემთა წარმოებისას გამოყენებულ კონცეფციებს, რომლებიც მომხმარებლებს აცნობს რა მონაცემებთან გვაქვს საქმე, როგორ გამოვიყენოთ ისინი და ა.შ.

მეთოდოლოგიური მეტამონაცემები გვამცნობს მონაცემთა ფორმირების მეთოდების შესახებ, როგორებიცაა შერჩევის მეთოდები, მოპოვების მეთოდები, კორექტირების პროცედურები და ა.შ.

ხარისხთან დაკავშირებული მეტამონაცემები აღწერს სხვადასხვა ხარისხობრივ განსაზღვრებებს მოცემულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, როგორებიცაა დროულობა, სიზუსტე და ა.შ.

სქემა 5.3.1. სტატისტიკური მეტამონაცემების სტრუქტურა



მეტამონაცემებში გარკვევა მომხმარებელს ეხმარება მის ხელთ არსებული მონაცემების სწორ ინტერპრეტაციაში. იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, რამდენად სწორად გვესმის ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების შინაარსი, მათი განვითარების ტენდენციები და კანონზომიერებები, მართო ჩვენი დამოკიდებულება მათ მიმართ არ არის საკმარისი. როგორც მომხმარებლებმა, უნდა დავსვათ კითხვები და შევეცადოთ ვიპოვოთ პასუხები მათზე. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მზად ვართ შევეცადოთ გამოვთქვათ მოსაზრებები ამ მონაცემებთან დაკავშირებით, ე.ი. გავაკეთოთ მონაცემთა სწორი ინტერპრეტაცია.

კითხვების სიმრავლე დამოკიდებულია თითოეული მომხმარებლის გამჭრიახობაზე. თუმცა, პირველ რიგში გასარკვევია რამდენიმე აუცილებელი საკითხი, რომელიც მომხმარებელმა უნდა მოიძიოს. კერძოდ:


1. ინფორმაციის ავტორის ვინაობა (წყარო);
2. ინფორმაციის წყარო პირველადია (ანუ თვითონ აგროვებს წყარო მონაცემებს), თუ მეორადი (სხვის მოპოვებულ ინფორმაციას ხომ არ აქვეყნებს);
3. ინფორმაციის პირველად წყაროს ხომ არა აქვს მონაცემების დამახინჯების მიზეზი (მოტივი);
4. თუ ინფორმაცია მეორადი წყაროდან მოდის, შესაძლებელია თუ არა რომ მონაცემები რაიმე მიზეზით იყოს დამახინჯებული;
5. რამდენად აუცილებელია მონაცემების შეგროვების მეთოდების, შერჩევის ტექნიკის, გამოპასუხების კოეფიციენტის შესახებ ინფორმაციის გაცნობა;
6. თუ ინფორმაცია მიღებულია შერჩევითი გამოკვლევის შედეგად, რამდენად ადეკვატურია შერჩევის ზომა;
7. რამდენად ადვილი იყო გასაგებად გამოკვლევის კითხვარი;
8. რამდენად გასაგები იყო გამოკვლევის კითხვარში მოცემული ცვლადების განმარტებები;
9. რამდენად არის შესაბამისობაში კითხვარის ცვლადები და მათი განმარტებები ერთმანეთთან.

ამდენად, მონაცემთა სწორი ინტერპრეტაცია მოითხოვს მათ შესახებ რაც შეიძლება დეტალური მეტამონაცემების მოპოვებას და მათში საფუძვლიანად გარკვევას.

5.4. მონაცემთა გავრცელების სტანდარტები და მათი მახასიათებლები

დღეისათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა გავრცელების სტანდარტები მოიცავს სამი დონის სტანდარტს. ესენია e-GDDS, SDDS და SDDS PLUS.

სქემა 5.4.1. მონაცემთა გავრცელების სტანდარტები



მონაცემთა გავრცელების საწყისი სტანდარტი ეს არის **მონაცემთა გავრცელების ზოგადი სისტემის (GDDS) გაფართოებული ვერსია e-GDDS**. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა გავრცელების სტანდარტების ინიციატივების მე-9 განახლების განხილვისას 2015 წლის მაისში, ფონდის აღმასრულებელმა დირექტორებმა წამოაყენეს წინადადება მონაცემთა გავრცელების ზოგადი სისტემის GDDS-ის ჩანაცვლების თაობაზე გაფართოებული მონაცემთა გავრცელების სისტემით - e-GDDS-ით, რაც მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა ფონდის აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2015 წლის 1 ივლისს. ამ ნაბიჯით საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიზანი იყო წვერი ქვეყნების მონაცემთა გამჭვირვალობისა და ღიაობის ხელშეწყობა.

e-GDDS-ის მიზანია:

-) მონაწილე ქვეყნების წახალისება თავიანთი სტატისტიკური სისტემების გაუმჯობესების მიზნით;
-) მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესებისათვის განვითარების ჩარჩოს შეთავაზება;
-) წვერი ქვეყნების დახმარება ყოვლისმომცველი, დროული, ხელმისაწვდომი ეკონომიკური, ფინანსური და სოციალ-დემოგრაფიული მონაცემების გავრცელების საქმეში.

e-GDDS-ის მონაწილე ქვეყნებს მოეთხოვებათ e-GDDS-ის ჩარჩოს გამოყენების ვალდებულების აღება, ქვეყნის კოორდინატორის დანიშვნა და მეტამონაცემების

მომზადება, სადაც აღწერილი უნდა იყოს ქვეყანაში სტატისტიკის წარმოების მიმდინარე პრაქტიკა და მისი გაუმჯობესების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ამოცანები.

e-GDDS-ის დაფუძნების შემდეგ, ყველა ქვეყანა, რომელიც იყო GDDS-ის წევრი, ავტომატურად გახდა e-GDDS-ის წევრი 2015 წლიდან.

განსხვავებით GDDS-ისაგან, e-GDDS-ის მოთხოვნაა ქვეყნების მიერ 15 კატეგორიის არსებითი მონაცემების გამოქვეყნება მაკროეკონომიკური მდგომარეობის ანალიზისათვის. ეს კატეგორიებია:

1. მონაცემთა სასურველი კატეგორიები

) რეალური სექტორის სტატისტიკა

- ეროვნული ანგარიშები (მშპ)
- სამომხმარებლო ფასების ინდექსი

) ფისკალური სექტორის სტატისტიკა

- მთავრობის ოპერაციები
- ცენტრალური მთავრობის ოპერაციები
- ცენტრალური მთავრობის ვალი

) ფინანსური სექტორის სტატისტიკა

- დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა
- ცენტრალური ბანკის მიმოხილვა
- საპროცენტო განაკვეთები
- საფონდო ბაზარი

) საგარეო სექტორის სტატისტიკა

- საგადასახდლო ბალანსის სტატისტიკა
- საგარეო ვალი
- ოფიციალური სარეზერვო აქტივები
- საგარეო ვაჭრობა
- საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია
- გაცვლითი კურსი

2. მონაცემთა დამატებითი კატეგორიები

- წარმოების ინდექსი
- შრომის ბაზარი
- მწარმოებელთა ფასების ინდექსი
- ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორები

3. დემოგრაფიული და ზოგიერთი სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატორები

- მოსახლეობა
- სოციალ-დემოგრაფიული ინდიკატორები

e-GDDS ქვეყნებს სთავაზობს სტატისტიკის გავრცელების სტანდარტების ჩარჩოს და სტანდარტიზებულ პლატფორმას მონაცემთა გამოქვეყნებისათვის. ბევრი ქვეყანა იყენებს e-GDDS-ს მონაცემთა გავრცელების სპეციალურ სტანდარტზე (SDDS)

წარმატებით გადასვლისათვის. ამ სტანდარტში მონაწილეობა გარკვეულწილად ნიშანია იმისა, რომ მონაწილე ქვეყანას აქვს სერიოზული განზრახვა განავითაროს და სრულყოს თავისი სტატისტიკური სისტემა, რამდენადაც სტანდარტის მოთხოვნების ანალიზი ხელს უწყობს იმის წარმოჩენას, თუ სად რა ნაკლოვანებები აქვს სტატისტიკას მოცემულ ქვეყანაში.

ესა თუ ის ქვეყანა ნებაყოფლობით იღებს გადაწყვეტილებას მონაცემთა გავრცელების ზოგად სისტემაში მონაწილეობის შესახებ. მთავარია, რომ ქვეყანამ გააკეთოს განაცხადი, აიღოს ზემოაღნიშნული 15 კატეგორიის მაჩვენებლიდან უმეტესობის გამოქვეყნების ვალდებულება და გამოაქვეყნოს მეტამონაცემები. დღეისათვის e-GDDS სტანდარტის მონაწილეები არიან უმეტესად განვითარებადი და საშუალო-შემოსავლიანი ქვეყნები. 2019 წლის მდგომარეობით e-GDDS-ის წევრია 108 ქვეყანა (მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს <http://dsbb.imf.org>).

მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტი (SDDS) შეიქმნა იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ოპერირებენ საერთაშორისო ფინანსურ და კაპიტალის ბაზრებზე, ან აქვთ განზრახვა განდნენ ასეთი ბაზრების მოთამაშეები. 2019 წლის მდგომარეობით SDDS-ის წევრია 55 ქვეყანა, მათ შორის - საქართველო. ამ სტანდარტის მონაწილეებს ეძლევათ შესაძლებლობა გამოაქვეყნონ უფრო ფართო სპექტრი ისეთი მაჩვენებლებისა, რომლებიც აღწერენ მათი ეკონომიკების სტაბილურობისა და სხვადასხვა რისკებისადმი მათ მედეგობის ხარისხს და ამით ხელი შეუწყონ ფინანსური ბაზრების ნორმალურ ფუნქციონირებას. მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტის მონაწილე ქვეყნები ისეთი დიდი ეკონომიკებია, როგორებიცაა ბრაზილია, ჩინეთი და ინდოეთი, აგრეთვე განვითარებული ეკონომიკების ისეთი წარმომადგენლები, როგორებიცაა ავსტრალია, ბელგია, ფინეთი, ირლანდია.

მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტით გამოსაქვეყნებელი მონაცემების კატეგორიებია:

) რეალური სექტორის სტატისტიკა

- ეროვნული ანგარიშები
- წარმოების ინდექსი
- წინმსწრები ინდიკატორები
- შრომის ბაზარი: დასაქმება
- შრომის ბაზარი: უმუშევრობა
- შრომის ბაზარი: ხელფასი
- ფასების ინდექსი: მწარმოებელთა ფასები
- ფასების ინდექსი: სამომხმარებლო ფასები

) ფისკალური სექტორის სტატისტიკა

- მთავრობის ოპერაციები

- მთავრობის მთლიანი ვალი
- ცენტრალური მთავრობის ოპერაციები
- ცენტრალური მთავრობის ვალი
- მთავრობის ვალი

)] **ფინანსური სექტორის სტატისტიკა**

- დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა
- ცენტრალური ბანკის მიმოხილვა
- საპროცენტო განაკვეთები
- ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორები
- საფონდო ბაზარი: აქციების ფასების ინდექსი

)] **საგარეო სექტორის სტატისტიკა**

- საგადასახდლო ბალანსის სტატისტიკა
- საერთაშორისო რეზერვები და უცხოური ვალუტის ლიკვიდობა
- საგარეო ვაჭრობა
- საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია
- საგარეო ვალი
- გაცვლითი კურსი

)] **სოციალურ-დემოგრაფიული მონაცემები**

- მოსახლეობა

2012 წლის ოქტომბერში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა გავრცელების სტანდარტებს შეემატა ახალი, უფრო მაღალი დონის ინიციატივა - **მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტი პლუსი (SDDS Plus)**, რომლის მიზანია იმ ინფორმაციული ნაკლოვანებების დაძლევა, რაც კრიტიკული აღმოჩნდა 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის დროს. აღნიშნული სტანდარტის მონაწილეები არიან ისეთი ეკონომიკები, რომლებიც წამყვან როლს თამაშობენ კაპიტალის საერთაშორისო ბაზრებზე და გააჩნიათ სისტემურად მნიშვნელოვანი ფინანსური სექტორი. ამასთან, ეს ახალი ინიციატივა მიმართულია სწორედ იმ ქვეყნების სტატისტიკური სისტემების შემდგომი გაძლიერებისაკენ, რომლებსაც გააჩნიათ სისტემატურად მნიშვნელოვანი ფინანსური სექტორი. იგი გულისხმობს მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტის მოთხოვნების გაძლიერებას ფინანსური სექტორის სხვა დამატებითი მაჩვენებლებით.

2019 წლის მდგომარეობით SDDS Plus-ის წევრია 22 ქვეყანა (მეტი ინფორმაციის-თვის ეწვიეთ ვებ-გვერდს: <http://dsbb.imf.org>). ეს ქვეყნებია, აშშ, იაპონია და დასავლეთ ევროპის არაერთი ქვეყანა, აგრეთვე ბულგარეთი და ჩეხეთი.

მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტი პლუსის წევრი ქვეყნები ვალდებული არიან გამოაქვეყნონ დამატებით 9 კატეგორიის მონაცემები.

მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტი პლუსის ფარგლებში გამოსაქვეყნებელი მაჩვენებლების კატეგორიებია:

) **რეალური სექტორის სტატისტიკა**

- ეროვნული ანგარიშები
- წარმოების ინდექსი
- წინმსწრები ინდიკატორები
- ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სექტორული ნაშთები
- შრომის ბაზარი: დასაქმება
- შრომის ბაზარი: უმუშევრობა
- შრომის ბაზარი: ხელფასი
- ფასების ინდექსი: სამომხმარებლო ფასები
- ფასების ინდექსი: მწარმოებელთა ფასები

) **ფისკალური სექტორის სტატისტიკა**

- მთავრობის ოპერაციები
- მთავრობის მთლიანი ვალი
- ცენტრალური მთავრობის ოპერაციები
- ცენტრალური მთავრობის ვალი

) **ფინანსური სექტორის სტატისტიკა**

- დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა
- ცენტრალური ბანკის მიმოხილვა
- სხვა ფინანსური კორპორაციების მიმოხილვა
- საპროცენტო განაკვეთები
- ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორები
 - საზედამხედველო პირველადი კაპიტალი რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან
 - საზედამხედველო პირველადი კაპიტალი აქტივებთან
 - წმინდა უმოქმედო სესხები კაპიტალთან
 - უმოქმედო სესხები მთლიან სესხებთან
 - უკუგება აქტივებზე
 - ლიკვიდური აქტივები მოკლევადიან ვალდებულებებთან
 - საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასები
- სავალო ფასიანი ქაღალდები
- საფონდო ბაზარი: აქციების ფასების ინდექსი

) **საგარეო სექტორის სტატისტიკა**


- საგადასახდლო ბალანსის სტატისტიკა
- საერთაშორისო რეზერვები და უცხოური ვალუტის ლიკვიდობა
- საგარეო ვაჭრობა

- საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია
- კოორდინირებული პორტფელის ინვესტიციების მიმოხილვა
- კოორდინირებული პირდაპირი ინვესტიციების მიმოხილვა
- საგარეო ვალი
- გაცვლითი კურსი
- ოფიციალური უცხოური ვალუტის რეზერვების სავალუტო შემადგენლობა

) **სოციალურ-დემოგრაფიული მონაცემები**

- მოსახლეობა.

დიაგრამა 5.4.2. მონაცემთა გავრცელების საერთაშორისო სტანდარტებში მონაწილე ქვეყნების გეოგრაფია



მონაცემთა გავრცელების საერთაშორისო სტანდარტების მნიშვნელოვანი ატრიბუტია **ერთიან მონაცემთა ეროვნული გვერდი (NSDP)**.

ერთიან მონაცემთა ეროვნული გვერდი წარმოადგენს სპეციალურ პორტალს იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა გავრცელების სტანდარტებში. იგი მომხმარებელს სთავაზობს მონაცემებს,

მეტამონაცემებს და აგრეთვე ბმულებს მონაცემთა მწკრივებზე წვდომისათვის. მისი ერთიანი ფორმატი მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს ადვილად შეადაროს ერთმანეთს მისთვის საინტერესო ქვეყნების მონაცემები; მომხმარებელს საშუალება აქვს დააკვირდეს სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკას მონაცემთა გავრცელების სფეროში, მათ მიერ გამოქვეყნებული მონაცემთა გავრცელების წინასწარი კალენდრის დაცვის გამოცდილებას და ა.შ.

ერთიან მონაცემთა ეროვნული გვერდის სტანდარტიზებული ფორმატი აიოლებს ქვეყნების სტატისტიკური მაჩვენებლების შედარების პროცედურებს, მოსახერხებელია მონაცემთა გავრცელების მონიტორინგისათვის და მოხერხებულია მონაცემებზე ადვილად წვდომისათვის

მონაცემთა გამოქვეყნების წინასწარი კალენდარი (ARC) მონაცემთა გავრცელების სტანდარტების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი იძლევა ინფორმაციას, თუ როდის გახდება მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი. მასში რამდენიმე გზავნილი იკითხება:

-)] იგი უზრუნველყოფს იმას, რომ საზოგადოებისთვის მონაცემები ხელმისაწვდომი ხდება ერთდროულად, რომ არავის, არცერთ ბაზარზე არ მიუწვდება მონაცემებზე ხელი წინასწარ;
-)] იგი ახდენს იმის დემონსტრირებას, რომ მონაცემთა გავრცელება სავალდებულოა;
-)] მისი დაცვის მონიტორინგს ახორციელებს საერთაშორისო სავალუტო ფონდი;
-)] მისი ხშირად დარღვევის მიზეზები ექვემდებარება კვლევას და შესაძლოა ტექნიკური დახმარების მოთხოვნის საბაზი გახდეს.

სტატისტიკურ მონაცემთა მომხმარებლების ერთნაირ პირობებში ჩაყენება მონაცემებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნებისთვის, სადაც საფონდო ბირჟებია, რადგანაც მათი მონაწილეთა ნაწილისთვის ამ პრივილეგიის მიცემა, დიდი ალბათობით, მეორე ნაწილის დაზარალებას გამოიწვევს.

წინასწარი კალენდრის გამოქვეყნება სტატისტიკის მწარმოებელს მეტად ორგანიზებულს ხდის მონაცემთა განრიგის მიხედვით გამოქვეყნების მიმართ, რითაც იგი მეტ ნდობას და კეთილგანწყობას იმსახურებს მომხმარებლის მხრიდან. მონაცემთა გავრცელების კალენდარი, როგორც წესი, ხელმისაწვდომია 4 თვით ადრე მონაცემთა გამოქვეყნებამდე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი, როგორც მონაცემთა გავრცელების სტანდარტების შემოღების ინიციატორი, ყოველთვიურ მონიტორინგს ახორციელებს, თუ როგორ იცავენ ქვეყნები მონაცემთა გავრცელების სტანდარტებს, ხომ არ აქვს ადგილი ვადების

დარღვევას, ანუ წინასწარი კალენდრით განსაზღვრულ ვადებზე გვიან ან ადრე გამოქვეყნებას. მონიტორინგის შედეგების გაანალიზება ხდება ყოველთვიურ ანგარიშებში, რაც ეგზავნება ამა თუ იმ ქვეყანაში სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ ორგანოებს. სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნების წინასწარი კალენდრის დარღვევა უარყოფითი სიგნალია როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ისე სხვა ფინანსური ორგანიზაციებისა და დონორებისათვის ქვეყანაში სტატისტიკისადმი გულგრილი დამოკიდებულების შესახებ.

5.5. საქართველოს მონაწილეობა მონაცემთა გავრცელების საერთაშორისო სტანდარტებში

მონაცემთა გავრცელების ზოგად სისტემაში მონაწილეობის სურვილი საქართველომ ჯერ კიდევ 2002 წელს გამოთქვა. ამავე წლის ივლისში საერთაშორისო სავალუტო ფონდის სამკვირიანმა მისიამ შეაფასა საქართველოში სტატისტიკის განვითარების, კერძოდ, საერთაშორისო სტანდარტებისა და წესების დაცვის მდგომარეობა და შესაბამისი ანგარიში (Georgia: Report on Observance of Standards and Codes (ROSC) – Data Module) 2003 წლის 14 მაისს გამოაქვეყნა თავის ინტერნეტ-გვერდზე. ანგარიშში ნათქვამია, რომ სტატისტიკის მთელ რიგ სფეროებში საქართველოში კარგი პროგრესია მიღწეული, თუმცა არის ნაკლოვანებებიც, რომელთა გამოსწორებაც დამატებით რესურსებს მოითხოვს. ეს ანგარიში, გარდა იმისა, რომ ხაზს უსვამს სტატისტიკის მნიშვნელობას საერთოდ და მათ შორის საქართველოში, აგრეთვე წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს საქართველოს სტატისტიკური მონაცემებით დაინტერესებული მომხმარებლისათვის, იმ აზრით, რომ მასში აღწერილია, თუ რამდენად დაცულია საქართველოს სტატისტიკურ პრაქტიკაში საერთაშორისო სტანდარტები, რამდენად გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია შესაბამისი მონაცემები მომხმარებლისათვის, როგორია მონაცემთა გამოქვეყნების ვადები და ა.შ.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს სტატისტიკაში საერთაშორისო სტანდარტებისა და წესების დაცვის შესახებ ანგარიშის გამოქვეყნება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის სტატისტიკის ისტორიაში, რომელმაც გარკვეული წინაპირობა შექმნა იმისათვის, რომ საქართველოს გამოეხატა მზადყოფნა მიერთებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის კიდევ ერთ ინიციატივას – მონაცემთა გავრცელების ზოგად სისტემას (GDDS). აღნიშნულის თაობაზე წევრ ქვეყნებს (რომლებიც არ იყვნენ

მიერთებული GDDS-ს) და მათ შორის საქართველოს, ფონდმა შესთავაზა 2001 წლის წლიურ შეხვედრაზე, ხოლო ოფიციალური მოლაპარაკებები ამ თემაზე დაიწყო 2002 წელს. მცირე პაუზის შემდეგ, 2005 წლიდან მოლაპარაკებები კვლავ განახლდა და გადაიდგა კიდევ სათანადო ნაბიჯები მეტამონაცემების პროექტების მომზადების თვალსაზრისით სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურში და ოფიციალურ სტატისტიკაზე პასუხისმგებელ სხვა სახელმწიფო ორგანოებში, კერძოდ, საქართველოს ეროვნულ ბანკსა და ფინანსთა სამინისტროში. ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყდა აღნიშნული მიზნით საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2006 წლის 8-22 ნოემბრის მისიის სამუშაო პროგრამის ფარგლებში.

2006 წლის 15 დეკემბრიდან საქართველომ დაიწყო მონაწილეობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა გავრცელების ზოგად სისტემაში, რაც სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია ქვეყნის სტატისტიკური სისტემის განვითარების თვალსაზრისით და გულისხმობს საქართველოში სტატისტიკის წარმოებისა და გავრცელების პრაქტიკის შესახებ ყოვლისმომცველი ინფორმაციის გამოქვეყნებას საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა გავრცელების სტანდარტების ბიულეტენის სტენდზე (DDBB).

2010 წლის 17 მაისიდან საქართველო მიუერთდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა გავრცელების სპეციალურ სტანდარტს (SDDS).

5.6. რა უპირატესობა აქვს მონაცემთა გავრცელების სტანდარტებში მონაწილეობას?

უდაოა, რომ დღეისათვის სტატისტიკა განიხილება, როგორც საზოგადოების განვითარებისა და პროგრესის უალტერნატივო ინსტრუმენტი და აღნიშნულის ლოგიკა კარგად ჩანს ქვემოთ მოტანილ სქემაზე:



უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ეროვნული სტატისტიკური სისტემების განვითარების ყველაზე თვალსაჩინო და ქმედითი ინიციატივები უკავშირდება მონაცემთა გავრცელების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას და ამ სტანდარტებში მონაწილეობას.

რა კონკრეტული უპირატესობები გააჩნია ამ პროცესებს?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მონაცემთა გავრცელების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, პირველ რიგში, ემსახურება ეროვნული სტატისტიკური სისტემების ნაკლოვანებების გამოვლენას და მათ ფოკუსირებას მოწინავე საერთაშორისო სტატისტიკური სტანდარტების დანერგვაზე. ამის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ:

ჯერ ერთი, სტატისტიკის სფეროს ნაკლოვანებებს შეუძლია გამოიწვიოს ქაოსი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე;

მეორე, ინფორმაციის დეფიციტი ხელს უშლის ადეკვატური მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებას;

მესამე, არასრულყოფილი სტატისტიკა დიალოგის ენის არქონის ტოლფასია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში.

მთლიანობაში, სტატისტიკის საერთაშორისო სტანდარტების უგულებელყოფა სერიოზულ ზიანს აყენებს ქვეყნის იმიჯს, რადგანაც მის გარეშე იგი ვერ იქნება მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების სრულფასოვანი მონაწილე.

ცნობილია, რომ დღეისათვის მთელ მსოფლიოში ბაზრის მონაწილეები ამა თუ იმ ქვეყნის მონაცემთა გავრცელების საერთაშორისო სტანდარტებში მონაწილეობის ფაქტორს იყენებენ რისკების შეფასებისას, იმ თვალსაზრისით, რომ სტატისტიკურ მონაცემებზე ხელმისაწვდომობა ამცირებს საერთაშორისო ბაზრებზე მათი ოპერირების რისკებს. ამდენად, მონაცემთა გავრცელების სტანდარტებში ქვეყნის მონაწილეობა ერთგვარი გარანტიაა იმისა, რომ კერძო სექტორს მათი პარტნიორები უფრო ხელსაყრელ პირობებს შესთავაზებენ თანამშრომლობისათვის.

გლობალიზაციის თანამედროვე მასშტაბების პირობებში სტატისტიკის განვითარებიდან სარგებელი სულ უფრო ხშირად არაპირდაპირი ხასიათისაა. თუმცა, სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებები თავისთავად გულისხმობს ეკონომიკურ და სოციალურ ეფექტიანობას.

გარდა ამისა, არაერთი გამოკვლევა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მონაცემთა გავრცელების სტანდარტებში ამა თუ იმ ქვეყნის მონაწილეობა სერიოზულად ამცირებს

მის საგარეო დავალიანების ტვირთს (Cady, John. (2005), Cady, John, and Anthony Pellechio, (2006). კერძოდ:

GDDS-ში მონაწილეობა დაახლოებით 9%-ით ამსუბუქებს საგარეო დავალიანების ტვირთს, ხოლო SDDS-ში მონაწილეობა – 20%-ით.

მონაცემთა გავრცელების სტანდარტებში მონაწილეობა სერიოზულად მოქმედებს ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე, რაც ერთ-ერთი საფუძველია:

-) ინვესტორების დაინტერესების,
-) საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მხრიდან ფინანსური მხარდაჭერისა და
-) საგარეო სავაჭრო პარტნიორების დაინტერესებისა.

ზემოაღნიშნულის კონტექსტში განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი ისეთ მორალურ სარგებელს, როგორცაა ცოდნის დაგროვება სტატისტიკის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის. სტატისტიკის სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციების ახალი ინიციატივები კიდევ უფრო აძლიერებს ამ დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის უპირატესობებს. ამ ინიციატივებში ქვეყნის სრულფასოვანი მონაწილეობა საფუძველია სტატისტიკის შესაბამის სფეროებში ახალი ცოდნის შექმნისა და ამის საფუძველზე ქვეყნის სტატისტიკური პოტენციალის განმტკიცებისათვის.

ასეთი დიდი ყურადღება მონაცემთა გავრცელების სტანდარტებისადმი და მათი მოთხოვნების დაცვისადმი გამოწვეულია იმიტომ, რომ აღნიშნულ ინიციატივას განუზომლად დიდი მნიშვნელობა აქვს სტატისტიკურ მონაცემებზე ხელმისაწვდომობის ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით. პოლიტიკის გამტარებლებს, მთავრობებს, ბიზნეს-წრეების წარმომადგენლებს, აკადემიურ წრეებს, ინვესტორებს, დონორებს და რა თქმა უნდა შინამეურნეობებს სჭირდებათ ინფორმაცია, რათა გამოიყენონ თავიანთ საკანონმდებლო, მარეგულირებელ, კვლევით, ანალიტიკურ საქმიანობაში, შეაფასონ ბიზნეს გარემო ინვესტიციების განსახორციელებლად, დაეხმარონ ადამიანებს სიღარიბის დაძლევაში, მიიღონ გადაწყვეტილებები სად, როდის და რა ზომით მოიხმარონ მათთვის საჭირო საქონელი და მომსახურება და ა.შ. მეორე მხრივ, მონაცემთა გავრცელების საერთაშორისო სტანდარტებში მონაწილეობა უხმარება მონაწილე ქვეყნების სტატისტიკურ სისტემებს განვითარდნენ, აღმოაჩინონ ნაკლოვანებები თავიანთ საქმიანობაში, გაიზიარონ ერთმანეთის გამოცდილება, დანერგონ ახალი სტატისტიკური პროდუქტები და გააუმჯობესონ სტატისტიკის წარმოების თავიანთი ბიზნეს პროცესები.

5.7. საერთაშორისო სტატისტიკური გამოცემებისა და წყაროების მიმოხილვა

სტატისტიკური საქმიანობა საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა. მათი მრავალფეროვანი გამოცემები მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი სტატისტიკურ მონაცემთა ბაზების ერთ-ერთი სოლიდური მფლობელია. მისი გამოცემები მოიცავს საერთაშორისო ფინანსებს, საგადასახდლო ბალანსს, საერთაშორისო ინვესტიციურ მდგომარეობას, მონეტარულ სტატისტიკას, სამთავრობო სტატისტიკას, საპროცენტო განაკვეთებს, გაცვლით კურსებს და მრავალ სხვა მიმართულებას.


საერთაშორისო ფინანსური სტატისტიკა საერთაშორისო სავალუტო ფონდი უმნიშვნელოვანესი გამოცემაა. მისი ბეჭდური ვერსია გამოიცემა 1948 წლის იანვრიდან ყოველთვიურად. მონაცემთა ბაზა მოიცავს 200 ქვეყნისა და ტერიტორიის მონაცემებს, აგრეგირებულ მონაცემებს შერჩეული რეგიონების მიხედვით, აგრეთვე ჯამურ მონაცემებს მსოფლიო ეკონომიკის მიხედვით; მოიცავს ისეთ თემებს, როგორებიცაა:

1. სამომხმარებლო ფასები, მწარმოებელთა ფასები, დასაქმება;
2. გაცვლითი კურსი, ეფექტური გაცვლითი კურსის ჩათვლით;
3. საგარეო სექტორის მონაცემები და საქონლით საგარეო ვაჭრობა;
4. მთლიანი შიდა პროდუქტი და მისი კომპონენტები;
5. სამთავრობო ფინანსები;
6. საპროცენტო განაკვეთები;
7. საერთაშორისო ლიკვიდობა;
8. მონეტარული მაჩვენებლები იმ ქვეყნების მიხედვით, რომლებიც არ აწარმოებენ სტანდარტიზებულ ფორმებს (არა-SRF ქვეყნები);
9. მონეტარული მაჩვენებლები იმ ქვეყნების მიხედვით, რომლებიც აწარმოებენ სტანდარტიზებულ ფორმებს (SRF ქვეყნები);
10. მოსახლეობა.

საერთაშორისო ფინანსური სტატისტიკის ინტერნეტ-ვერსია უკავშირდება ისეთ მონაცემთა ბაზებს, როგორებიცაა საგადასახდლო ბალანსი და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა და მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა.


საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ელექტრონული ბაზა¹⁷ მოიცავს როგორც საგადასახდელო ბალანსებს (ანალიტიკურ წარმოდგენას), ისე საერთაშორისო ინვესტიციურ მდგომარეობას ქვეყნების მიხედვით, აგრეთვე მსოფლიოსა და რეგიონების მიხედვით; განმაზოგადებელ მაჩვენებლებს მშპ-თან მიმართებაში, მეტამონაცემებს და ბევრ საინტერესო მასალას. მაგალითად, მსოფლიო ქვეყნების მიმდინარე ანგარიშისა და წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ინტერაქტიურ რუკებს, ქვეყნების პირველ ათეულებს სხვადასხვა განმაზოგადებელი მაჩვენებლის მიხედვით და სხვ.

დიაგრამა 5.7.1. მიმდინარე ანგარიშის მდგომარეობა, 2018



¹⁷ <https://data.imf.org/?sk=7A51304B-6426-40C0-83DD-CA473CA1FD52>

დიაგრამა 5.7.2. წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა, 2018




მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის¹⁸ ელექტრონული ბაზა მოიცავს მონეტარულ მიმოხილვებს: ცენტრალური ბანკის, სხვა დეპოზიტური კორპორაციების, სხვა ფინანსური კორპორაციების; აგრეთვე ისეთი მაკროეკონომიკური ინდიკატორების მწკრივებს, როგორებიცაა საბაზისო ფული, ფართო ფული, სესხებს, უცხოურ აქტივებსა და ვალდებულებებს.

ამავე განყოფილებაში ქვეყნდება დეტალური მონეტარული სტატისტიკა, რომელიც ეფუძნება სტანდარტიზებულ საანგარიშგებო ფორმებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი შედარებით ახალია მონეტარულ სტატისტიკაში, ქვეყნების რიცხვი, რომლებიც აწარმოებენ სტანდარტიზებულ საანგარიშგებო ფორმებს, საკმაოდ მასშტაბურია.


¹⁸ <https://data.imf.org/?sk=B83F71E8-61E3-4CF1-8CF3-6D7FE04D0930>

დიაგრამა 5.7.3. მონეტარული სტატისტიკის წარმოების გავრცელების რუკა



სამთავრობო ფინანსების სტატისტიკის სფეროში ძირითად გამოცემას წარმოადგენს **„სამთავრობო ფინანსების სტატისტიკის წელიწადული“** (*Government Finance Statistics Yearbook*), რომელიც გამოიცემა საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტატისტიკური სამსახურის მიერ. მასში გამოქვეყნებული დროითი მწკრივები ასახავს 40 წლიან პერიოდს და მოიცავს 140 ქვეყანას.

აღნიშნულ წელიწადულში სამთავრობო ფინანსების სტატისტიკის სტრუქტურას თვალსაჩინოდ ასახავს სქემა, რომელიც ქვემოთ არის მოცემული.



სქემის მარცხენა მხარეს წარმოდგენილია სამთავრობო ფინანსების სტატისტიკის ყველაზე უფრო განზოგადებული მაჩვენებლები, რომლებიც თავის მხრივ სხვა გამოცემებშიც გვხვდება (მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდის „საერთაშორისო ფინანსების სტატისტიკის“ ყოველთვიურ გამოცემაში). თუმცა, მათი დეტალური ჩაშლა წარმოდგენილია სწორედ „სამთავრობო ფინანსების სტატისტიკის წელიწადულში“. მისი დანიშნულებაა მიაწოდოს სტატისტიკის მომხმარებელს უნფორმაცია, თუ როგორ ხდება მოგების/პროფიციტის ინვესტირება და დეფიციტის დაფინანსება (თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მონაცემთა სასურველი დეტალიზაცია ყველა ქვეყნის მიხედვით არ არის შესაძლებელი).

ძალიან მნიშვნელოვანია სამთავრობო ფინანსების სტატისტიკის წარმოება ხარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაციის (COFOG) მიხედვით. ეს კლასიფიკატორი გულისხმობს მთავრობის ხარჯების დისაგრეგაციას მასზე დელეგირებული ფუნქციების მიხედვით, როგორებიცაა ჯანდაცვა, განათლება, მეცნიერება, თავდაცვა, ეკონომიკური საქმიანობა, უსაფრთხოება, რეკრეაცია და კულტურა, გარემოსა და სოციალური დაცვა და სხვა საზოგადოებრივი მომსახურება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გაითვალისწინა სტატისტიკის მომხმარებელთა დიდი ინტერესი სამთავრობო ფინანსების სტატისტიკის მიმართ და 2010 წლიდან აამოქმედა ახალი პროექტი სტატისტიკის ამ სფეროს 1972-1989 წლების მონაცემთა მწკრივების ფორმირების შესახებ (ამ დრომდე ეს მონაცემები ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ 1990 წლიდან). თუმცა, ამ სამუშაოს განხორციელება ადვილი არ არის ყველა ქვეყნისათვის და მხოლოდ 86-მა მათგანმა შეძლო მონაცემთა აღდგენა 1972 წლიდან მთავრობის შემოსავლების, ხარჯების, არაფინანსური და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ.

გარდა წელიწადულისა, სამთავრობო ფინანსების სტატისტიკის მონაცემები ხელმისაწვდომია აგრეთვე საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვებგვერდზე (IMF eLibrary Data: <http://elibrary-data.imf.org>).

საქართველოში სამთავრობო ფინანსების სტატისტიკის წარმოებასა და გავრცელებაზე პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, რომლის ვებ-გვერდზეც ქვეყნდება სტატისტიკის ამ სფეროს მონაცემები (www.mof.ge).

მსოფლიო ეკონომიკის მიმოხილვა¹⁹ (World Economic Outlook) მოიცავს შერჩეულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს მსოფლიო მასშტაბით, ქვეყნების ჯგუფებისა და ცალკეული ქვეყნების მიხედვით. მონაცემთა ბაზები მოიცავს ეროვნული ანგარიშების მაჩვენებლებს, ინფლაციას, უმუშევრობის დონეს, საგადასახდლო ბალანსის

¹⁹ <https://www.imf.org/external/pubs/ft/weo/2019/01/weodata/index.aspx>

მაჩვენებლებს, ფისკალურ ინდიკატორებს, საგარეო ვაჭრობას, საქონლის ფასებს. აღნიშნული მონაცემები 1980 წლიდან არის ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, ამ გამოცემაში ქვეყნდება ასევე მომავალი ორი წლის პროგნოზები აღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით.

ინვესტიციების მსოფლიო ანგარიში²⁰ (World Investment Report) გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (United Nations Conference on Trade and Development) მიერ გამოცემული ერთ-ერთი ფუნდამენტური პუბლიკაციაა; გამოიცემა ყოველწლიურად 1991 წლიდან. მასში ქვეყნდება მსოფლიოს მასშტაბით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი მიმართულებები და ხდება ამ პროცესებთან დაკავშირებული ერთი რომელიმე თემის სიღრმისეული ანალიზი.

ინვესტიციების მსოფლიო ანგარიში ეხმარება პოლიტიკის გამტარებლებს თვალი აღევნონ გლობალურ და რეგიონალურ დონეზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ქვეყნებს და საინვესტიციო პოლიტიკის განვითარების ტენდენციებს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო მასშტაბით.

გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის კიდევ ერთი ფუნდამენტური გამოცემაა **ვაჭრობისა და განვითარების ანგარიში²¹**, რომელიც 1981 წლიდან ყოველწლიურად გამოიცემა. ეს ანგარიში აანალიზებს ძირითად ეკონომიკურ ტენდენციებს ამ სფეროში და შეიმუშავებს სასარგებლო წინადადებებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკური სამსახური სტატისტიკური გამოცემების ლიდერთა შორისაა. მისი სხვადასხვა ქვედანაყოფი აქტიურ სტატისტიკურ საქმიანობას ეწევა.

გაეროს ვაჭრობისა და ტურიზმის სტატისტიკის ქვედანაყოფი²² პასუხისმგებელია საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის²³ (IMTS), ასევე მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის²⁴ (SITS), ტურიზმის სტატისტიკის²⁵ და სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის საკითხების განვითარებაზე.

გაეროს აღნიშნული ქვედანაყოფის ძირითადი სტატისტიკური პუბლიკაციაა **საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის წელიწდური²⁶** (The International Trade Statistics Yearbook). მასში ქვეყნდება საქონლითა და მომსახურებით საგარეო ვაჭრობის

²⁰ https://unctad.org/en/Pages/DIAE/World%20Investment%20Report/World_Investment_Report.aspx

²¹ <https://unctad.org/en/Pages/Publications/TradeandDevelopmentReport.aspx>

²² <http://unstats.un.org/unsd/trade/default.asp>

²³ <http://unstats.un.org/unsd/trade/methodology%20IMTS.htm>

²⁴ <http://unstats.un.org/unsd/tradeserv/msitsintro.htm>

²⁵ <http://unstats.un.org/unsd/tradeserv/tourism/Methodology.htm>

²⁶ <https://comtrade.un.org/pb/>

ტენდენციები ქვეყნების, რეგიონებისა და მსოფლიოს მასშტაბით და განკუთვნილია როგორც სპეციალისტების, ისე სტატისტიკის რიგით მომხმარებელთათვის. წელიწდეულში წარმოდგენილი მონაცემები უაღრესად მნიშვნელოვანი და სასარგებლოა პოლიტიკის გამტარებელთათვის, სახელმწიფო დაწესებულებებისათვის, ჟურნალისტებისათვის, აკადემიური და ბიზნეს წრეებისათვის.

ვინაიდან ყველა სტატისტიკური პუბლიკაციის აქ განხილვა შეუძლებელია, ამიტომ ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ მხოლოდ ძირითად მათგანზე. აღნიშნულის მიზანია მაკროეკონომიკური სტატისტიკის მომხმარებელი გათვითცნობიერებული იყოს საჭირო პუბლიკაციების ძირითად შინაარსსა და მიმართულებებში.



დავალბა 1.

როგორ დავრწმუნდეთ სტატისტიკის საიმედოობაში?

(რა სახის ცოდნა და ინფორმაცია გვჭირდება ამისათვის, რაში მდგომარეობს ჩვენი უფლებები სასურველი ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით, რა საფუძველი უნდა გავაჩნდეს იმისათვის, რომ მოპოვებული ინფორმაცია მივიჩნიოთ საიმედოდ და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად).

თქვენი პრაქტიკიდან გამომდინარე რა სიძნელები შეგხვედრიათ სტატისტიკური ინფორმაციის გამოყენებისას; მოახერხეთ თუ არა ამ სიძნელების გადალახვა და როგორ?



ტესტი 1

საერთაშორისო სტატისტიკაში მაკოორდინებული როლი ეკუთვნის:

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკურ კომისიას
2. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას
3. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას
4. ევროსტატს

ტესტი 2

რომელი მოვლენა მიიჩნევა ეკონომიკური სტატისტიკისადმი საერთაშორისო ინტერესის ოფიციალური გამოვლენის დასაწყისად:

1. ერთა ლიგის მიერ მოწვეული საერთაშორისო კონფერენცია 1928 წელს
2. საერთაშორისო სტატისტიკური ინსტიტუტის შექმნა 1885 წელს
3. აშშ-ს შრომის ფედერალური ბიუროს (ამჟამად, შრომის სტატისტიკის ბიურო) შექმნა 1884 წელს
4. ამერიკის სტატისტიკური საზოგადოების შექმნა 1839 წელს

ტესტი 3

რომელ წელს შეიქმნა გაეროს სტატისტიკური კომისია

1. 1946 წელს
2. 1919 წელს
3. 1920 წელს
4. 1928 წელს

ტესტი 4

რომელ საერთაშორისო სტატისტიკურ ორგანოს აქვს „თანასწორთა შორის პირველის“ სტატუსი

1. გაეროს სტატისტიკურ კომისიას

2. გაეროს დარგობრივ სტატისტიკურ ქვედანაყოფებსა და სპეციალურ დაწესებულებებს
3. სახელმწიფოთაშორის სტატისტიკურ სამსახურებს
4. რეგიონალურ სტატისტიკურ სამსახურებს

ტესტი 5

მონიშნეთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელი საბჭოს მიერ მონაცემთა გავრცელების ზოგადი სისტემის დამტკიცების თარიღი:

1. 28 მარტი, 1996
2. 19 დეკემბერი, 1997
3. 19 დეკემბერი, 1996
4. 29 მარტი, 1996

ტესტი 6

მონიშნეთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელი საბჭოს მიერ მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტის დამტკიცების თარიღი:

1. 29 მარტი, 1996
2. 19 დეკემბერი, 1997
3. 19 დეკემბერი, 1996
4. 28 მარტი, 1996

ტესტი 7

მონაცემთა დამუშავებისა და გავრცელების ხარისხობრივი მეთოდების რომელი პარამეტრების დაცვის უზრუნველყოფას გულისხმობს მონაცემთა გავრცელების სტანდარტები (ერთზე მეტი პასუხი):

1. მონაცემთა მოცვას
2. პერიოდულობას
3. დროულობას
4. გავრველების პრაქტიკას

ტესტი 8

რა მიზნებს ემსახურება მონაცემთა გავრცელების ზოგადი სისტემა:

1. სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნებას მონაცემთა გავრცელების კალენდრის შესაბამისად;

2. სტატისტიკური მონაცემებისადმი სისტემური მიდგომის დანერგვისა და განვითარების პროცესების ხელშეწყობას;
3. სტატისტიკური მონაცემების წარდგენას საერთაშორისო ორგანიზაციებში;
4. სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნებას შედეგებისდაგვარად.

ტესტი 9

მონაცემთა გავრცელების ზოგადი სისტემის დანიშნულებაა:

1. სტატისტიკური მონაცემების უმოკლეს ვადაში გამოქვეყნება
2. სტატისტიკური მონაცემებისადმი სისტემური მიდგომის დანერგვისა და განვითარების პროცესების ხელშეწყობა
3. მკაცრი წესებისა და ვადების დაცვა სტატისტიკური მონაცემებისა და მეტამონაცემების გამოქვეყნებისას
4. სტატისტიკური მონაცემების გავრცელების კალენდრის წელიწადში ერთხელ გამოქვეყნება

ტესტი 10

სტატისტიკური მონაცემებისადმი საჯაროობის მოთხოვნა გულისხმობს (ერთზე მეტი პასუხი):

1. მონაცემთა გავრცელების კალენდრის დროულად გამოქვეყნებას;
2. ყველა მომხმარებლისათვის ინფორმაციის ერთდროულად მიწოდებას;
3. ინფორმაციის გავრცელებას მომხმარებელთა პრიორიტეტულობის მიხედვით;
4. ინფორმაციის გავრცელებას მონაცემთა პრიორიტეტულობის მიხედვით.

ტესტი 11

მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტის მოთხოვნაა (ერთზე მეტი პასუხი):

1. სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნება მკაცრად შეთანხმებული ფორმატითა და ვადებში
2. სტატისტიკური მეტამონაცემების განახლება წელიწადში ერთხელ
3. სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნების 4 თვის კალენდრის წინასწარ განახლება
4. სტატისტიკური მონაცემების წინასწარ გადაცემა დაინტერესებული პირებისთვის

ტესტი 12

რომელ წელს მოხდა საქართველოს სტატისტიკური სისტემის მიერთება მონაცემთა გავრცელების სპეციალურ სტანდარტთან?

1. 2010 წელს
2. 2006 წელს
3. 1997 წელს
4. 1996 წელს

ტესტი 13

რომელ წლებში იყო საქართველოს სტატისტიკური სისტემა მონაცემთა გავრცელების ზოგადი სისტემის წევრი?

1. 2001-2006
2. 2005-2006
3. 2005-2007
4. 2006-2010

ტესტი 14

მონაცემებზე წვდომის ერთდროულობა ყველა მომხმარებლისათვის არის:

1. მონაცემთა გავრცელების ზოგადი სისტემის აუცილებელი პირობა
2. მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა
3. მონაცემებზე წვდომის ერთდროულობის დაცვა არ არის სავალდებულო მონაცემთა გავრცელებისას
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 15

მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა არის:

1. მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა
2. გამოქვეყნებული მონაცემები არ ექვემდებარება გადასინჯვას
3. მონაცემთა გავრცელების ზოგადი სისტემის აუცილებელი პირობა
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 16

საზოგადოების რომელი სფეროებისთვის არის სასარგებლო ამა თუ იმ ქვეყნის მონაცემთა გავრცელების საერთაშორისო სტანდარტებში მონაწილეობა

1. ქვეყნის მთავრობისთვის
2. პოლიტიკის გამტარებლებისთვის
3. შინამეურნეობებისთვის
4. ბიზნეს-წრეებისთვის
5. არარეზიდენტებისთვის
6. ყველა ზემოთ ჩამოთვლილისთვის

ტესტი 17

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი განსაზღვრავს სტატისტიკური მონაცემების საიმედოობას

1. დიდი რაოდენობით მონაცემების გამოქვეყნება
2. მონაცემთა დამუშავების მეთოდებისა და პროცედურების გამჭვირვალობა
3. მონაცემების ერთსა და იმავე რიცხვში გამოქვეყნება
4. მონაცემების ხშირად გამოქვეყნება

ტესტი 18

მონაცემთა გავრცელების რომელი სტანდარტები მოქმედებს მსოფლიოში 2015 წლიდან

1. GDDS, SDDS და SDDS PLUS
2. e-GDDS, SDDS და SDDS PLUS
3. e-GDDS და SDDS PLUS
4. GDDS და SDDS

ტესტი 19

მონაცემთა გავრცელების რომელი სტანდარტია გამიზნული საერთაშორისო კაპიტალის ბაზრების მონაწილე ან ასეთი ბაზრების მადიებელი ქვეყნების სტატისტიკური სისტემებისთვის

1. GDDS
2. SDDS
3. SDDS PLUS
4. არცერთი

ტესტი 20

მონაცემთა გავრცელების რომელი სტანდარტია გამიზნული სისტემურად მნიშვნელოვანი ფინანსური ცენტრების მქონე წევრი ქვეყნების სტატისტიკური სისტემებისთვის

1. SDDS
2. e-GDDS
3. SDDS PLUS
4. არცერთი

ტესტი 21

რას წარმოადგენს მეტამონაცემები

1. აგრეგირებულ მონაცემებს
2. კონსოლიდირებულ მონაცემებს
3. გადასინჯულ მონაცემებს
4. მონაცემებს მონაცემების შესახებ
5. ყველა ზემოთ ჩამოთვლილს

ტესტი 22

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება არ არის სწორი:

მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა არის:

1. მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტის ერთადერთი აუცილებელი პირობა
2. მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა
3. გამოქვეყნებული მონაცემები გადასინჯვის შესახებ პოლიტიკა დადგენილია წინასწარ
4. გამოქვეყნებული მონაცემები გადასინჯვის შესახებ პოლიტიკა დადგენილი და გამოქვეყნებულია წინასწარ

ტესტი 23

გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების მეთოდოლოგიური ცვლილებების შესახებ ინფორმაცია:

1. ცნობილი უნდა იყოს მხოლოდ განსაზღვრული ტიპის მომხმარებლისათვის
2. არ არის საჭირო იყოს საჯარო
3. უნდა იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

ტესტი 24

რისთვისაა გამიზნული ერთიან მონაცემთა ეროვნული გვერდის (NSDP) პორტალი

1. მონაცემთა მწკრივების გამოსაქვეყნებლად დიდი პერიოდის მიხედვით
2. მონაცემთა გავრცელების სტანდარტების მონაწილე ქვეყნების მიერ ამ სტანდარტებით გათვალისწინებული მონაცემების გამოსაქვეყნებლად
3. მხოლოდ და მხოლოდ მეტამონაცემების გამოსაქვეყნებლად
4. საერთაშორისო ვაჭრობის მონაცემების საერთაშორისო შედარებებისათვის

ტესტი 25

სტატისტიკური ორგანოები ვალდებული არიან მონაცემთა გავრცელების კალენდარი გამოაქვეყნონ:

1. ერთი წლით ადრე
2. 6 თვით ადრე
3. 4 თვით ადრე
4. მონაცემთა გავრცელების კალენდრის წინასწარი გამოქვეყნება სავალდებულო არ არის

ტესტი 26

მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტი პლუსის ინიციატივა განსაზღვრულია იმ ქვეყნებისათვის:

1. რომლებსაც გააჩნიათ სისტემურად მნიშვნელოვანი ფინანსური სექტორი
2. რომლებიც ფლობენ ძლიერ კაპიტალის ბაზრებს
3. რომლებიც ახლა იწყებენ თავიანთი ფინანსური ბაზრების განვითარებას
4. რომლებსაც აქვთ მისწრაფება განავითარონ თავიანთი სტატისტიკური სისტემები

ტესტი 27

სლოგანი: „უკეთესი პოლიტიკა უკეთესი ცხოვრებისთვის“ ეკუთვნის:

1. მსოფლიო ბანკს
2. საერთაშორისო სავალუტო ფონდს
3. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციას
4. ევროსტატს

ტესტი 28

ევროპის ყოფილი ქვანახშირისა და ფოლადის საზოგადოების სტატისტიკური სამსახურის სამართალმემკვიდრე არის:

1. ევროპის ცენტრალური ბანკი
2. ევროსტატი
3. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

4. ზემოთ ჩამოთვლილთაგან არცერთი

ტესტი 29

რომელი საერთაშორისო ორგანიზაციის სტატისტიკური სამსახურის ფუნდამენტური გამოცემაა საერთაშორისო ფინანსების სტატისტიკა

1. ევროსტატის
2. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის
3. მსოფლიო ბანკის
4. საერთაშორისო სავალუტო ფონდის

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი რ. (2014). თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია. „სიახლე“. თბილისი.
2. ასლამაზიშვილი ნ. (2020). საქართველო კორონომიკის სამყაროში: საფრთხეები და გამოწვევები. მე-3 ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის - „კორონომიკა: ეკონომიკური მეცნიერების და ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები“ მასალები. 11 სექტემბერი, 2020 წელი.
3. ასლამაზიშვილი ნ. (2019). საქართველოს სტატისტიკური სისტემის განვითარების ზოგიერთი პერიპეტის შესახებ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ სამეცნიერო გამოცემაში „სტატისტიკის თეორია და პრაქტიკა საქართველოში“. თბილისი. 2019. გვ.27-37.
4. ასლამაზიშვილი, ნ., გელაშვილი ს. (2018). საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა. დამხმარე სახელმძღვანელო. თბილისი. – 246 გვ.
5. ასლამაზიშვილი, ნ. (2009). საერთაშორისო სტატისტიკა. თბილისი. - გვ.
6. ასლამაზიშვილი, ნ. (2003). საგარეო ვაჭრობა. თბილისი. - გვ.
7. ლოკიე ფ, ბლეიდსი დ. (2014). ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (როგორ ვისწავლოთ და გავიგოთ). მეორე გამოცემის ქართული თარგმანი. თსუ.
8. Cady, John. (2005). “Does SDDS Subscription Reduce Borrowing Costs for Emerging Market Economies?” *IMF Staff Papers, Vol. 52, No. 3, pp. 503–17*;
9. Cady, John, and Anthony Pellechio, (2006). “Sovereign Borrowing Cost and the IMF’s Data Standards Initiatives,” *IMF Working Paper 06/78* (Washington: International Monetary Fund).
10. Corden, Max W, and Peter J. Nearvy. „Booming Sector and De-Industrialisation in a Small Open Economy.“ *The Economic Journal, Vol. 92, 1982: pp.825-848*.
11. Flow-of-Funds Analysis at the ECB: Framework and Applications. Occasional Paper Series. No105/August 2009. By Louis Be Duc and Gwenael Le Breton.
12. Johan Mathisen, Anthony Pellechio. *Using the Balance Sheet Approach in Surveillance: Framework, Data Sources, and Data Availability*. 2006.
13. IMF. (2009). Balance of Payments and International Investment Position. Sixth Edition. BPM6. International Monetary Fund. Washington D.C.
14. IMF. (2014). *BPM6 Compilation Guide. Companion Document to the Sixth Edition of the Balance of Payments and International Investment Position*. International Monetary Fund. Washington D.C.
15. IMF. (2014). Government Finance Statistics Manual. 3rd ed. International Monetary Fund. Washington D.C.
16. IMF. (2016). Monetary and Financial Statistics Manual and Compilation Guide. International Monetary Fund. Washington D.C.

17. IMF. (2007). The System of Macroeconomic Accounts Statistics. Pamphlet Series. N56. Statistics Department. International Monetary Fund. Washington D.C.
18. Lima, Juan Manuel, Enrique Montes, Carlos Varela, and Johannes Wiegand. „Sectoral Balance Sheet Mismatches and Macroeconomic Vulnerabilities in Colombia, 1996-2003.“ (International Monetary Fund) 2006.
19. Louis Bê Duc, Frank Mayerlen and Pierre Sola. „The Monetary Presentation of the Euro Area Balance of Payments.“ *Occasional Paper series No 96*. European Central Bank, September 2008.
20. *Making Data Meaningful. Part 1: A guide to writing stories about numbers*. New York and Geneva: United Nations, 2009.
21. *Making Data Meaningful. Part 2: A guide to presenting statistics*. Geneva: United Nations Economic Commission for Europe, 2009.
22. *Making Data Meaningful. Part 3. A guide to communicating with the media*. Geneva: United Nations Economic Commission for Europe, 2011.
23. *Making Data Meaningful. Part 4: How to improve statistical literacy: A guide for statistical organizations*. New York and Geneva: United Nations Economic Commission for Europe, 2014.
24. Matthieu Bussiere, Marcel Fratzscher, Winfried Koeniger. *Currency Mismatch, Uncertainty and Debt Maturity Structure*. Frankfurt am Main: European Central Bank, 2004.
25. Morris Goldstein, Philip Turner. *Controlling Currency Mismatches in Emerging Markets*. Washington D.C.: Peterson University, 2004.
26. Purchasing Power Parities and the Size of World Economies: Results from the 2017 International Comparison Program. World Bank Group. 2020. International Bank for Reconstruction and Development / The World Bank.
27. Romain Ranciere, Aaron Tornell, Athanasios Vamvakidas. *A new Index of Currency Mismatch and Systematic Risk*. Washington D.C.: IMF, 2010.
28. *SNA 2008*. (2009). New York: EU, OECD, IMF, UN, WB.
29. United Nations Conference on Trade and Development. „In Search of Cross-Border E-Commerce Trade Data.“ *Technical Notes N6 on ICT for Development*. United Nations Conference for Trade and Development, 2016 წლის April.

სტატიები

- 1) ასლამაზიშვილი ნ. (2021). როგორ უნდა გავიგოთ მთლიანი შიდა პროდუქტის, როგორც ტერმინის და როგორც ეკონომიკური კატეგორიის ფილოსოფია. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, N1, 2021.

-) ასლამაზიშვილი ნ. (2018). სტატისტიკური ბიზნეს პროცესის ინოვაციური მოდელი მონეტარული და ფინანსური სტატისტიკისთვის. ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ სამეცნიერო გამოცემაში „სტატისტიკის სწავლება და სტატისტიკური კვლევები საქართველოში“. თბილისი.
https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/statistika_61265.pdf
-) ასლამაზიშვილი ნ. (2016). მაკროეკონომიკური მოწყვლადობის შეფასების სტატისტიკური ასპექტები: ქვეყნის საბალანსო უწყისი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის (19 ივნისი, 2016) „ევროპული ინტეგრაცია და საქართველო: ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში“ მასალები. ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი. თბილისი, 2016. გვ.გვ.: 155-120.
<https://www.eugb.ge/uploads/content/N1/1-18.pdf>
-) ასლამაზიშვილი ნ., ვახვახიშვილი ნ. (2016). ეკონომიკის ცალკეულ სექტორში არსებული სავალუტო შეუსაბამობის ანალიზი: საბალანსო მიდგომა. ჟურნალი „ეკონომიკა და საბანკო საქმე. ტომი 4, N2, 2016. გვ.გვ.: 49-65.
<https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2016/2/IV.pdf>.
-) პაპავა ვ., სილაგაძე ა. (2019). ერთი საკვანძო ეკონომიკური ტერმინის - „Gross Domestic Product“ -ის ქართული სახელწოდების შესახებ. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, N1.
-) ჯიბუტი მ. (2020). ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ტერმინის შესახებ. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, N2.

ინტერნეტ რესურსები

-) ასლამაზიშვილი ნ. (2020). ზოგადად სტატისტიკის შესახებ (ვიდეოლექცია).
<https://www.youtube.com/watch?v=K1f8T0u-yUw&t=41s>
-) ასლამაზიშვილი ნ. (2020). მაკროეკონომიკური სტატისტიკა: ძირითადი მაკროეკონომიკური იგივეობები (ვიდეოლექცია).
https://www.youtube.com/watch?v=W_0WS-GqWtk&t=187s
-) ასლამაზიშვილი ნ. (2020). უმთავრესი კლასიფიკატორები სებსტატში: რეზიდენტობა (ვიდეოლექცია).
<https://www.youtube.com/watch?v=A6jqD8HJpK0>
-) ასლამაზიშვილი ნ. (2020). ეკონომიკური ერთეულების სექტორიზაცია (ვიდეოლექცია). <https://www.youtube.com/watch?v=T4VZRVJGLbE&t=34s>
-) ასლამაზიშვილი ნ. (2020). ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (ვიდეოლექცია).
<https://www.youtube.com/watch?v=dzgTXZhmkAo&t=105s>

-) ასლამაზიშვილი ნ. (2020). წარმოების საზღვრები (ვიდეოლექცია).
<https://www.youtube.com/watch?v=GUDd8ndUxfQ&t=99s>
-) ასლამაზიშვილი ნ. (2020). ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მაგიური კითხვა (ვიდეოლექცია). <https://www.youtube.com/watch?v=kqZ8rohOPmk&t=11s>
-) ასლამაზიშვილი ნ. (2021). ფინანსური სტატისტიკა (ვიდეოლექცია).
<https://www.youtube.com/watch?v=K6VmTa7eTxY>
-) <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>
-) <https://www.geostat.ge/ka>
-) <https://www.imf.org/en/Data>
-) <http://www.principalglobalindicators.org/Pages/Default.aspx>
-) <https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/33623/9781464815300.pdf>
-) <http://www.yourarticlelibrary.com/macro-economics/national-income-macro-economics/flow-of-funds-accounts-meaning-limitation-and-importance/30779>